

მანანა ღუმბაძე

წერილები

თბილისი
2004

ISBN

© მანანა ლუგბაძე

ერთ ქილაში ჩატეული სიმართლე

ერთ შორეულ ქვეყანაში ფილოსოფიის ლექტორმა სემინარი იმით დაიწყო, რომ მაგიდაზე რალაც-რალაცების დალაგებას შეუდგა. სტუდენტები სულგანაბრულები ადევნებდნენ თვალყურს. ბოლოს, პროფესორმა მაგიდაზე ერთი მოზრდილი მინის ქილა დადო და პირამდე რიყის ქვებით აავსო. შემდეგ მიუბრუნდა აუდიტორიას და ჰკითხა, რას იტყვით ყმანვილებო, სავსეა თუ არა ქილაო? სტუდენტებმა უპასუხეს, დიახ, სავსეაო.

შემდეგ პროფესორმა ხრემით სავსე ყუთი ჩაცალა ქილაში. ხრემმა თავისუფლად გაიკვლია გზა ქვებს შორის დარჩენილ სივრცეში და ქილა შეავსო. პროფესორმა კიდევ ერთხელ ჰკითხა სტუდენტებს, სავსეა თუ არა ქილა პირამდეო. სტუდენტებს გაეცინათ და კვლავ დაეთანხმდნენ.

პროფესორმა ახლა ქვიშით სავსე ტომსიკა ჩააპირქვავა ქილაში. ქვიშა სრიალ-სრიალით მოედო ქილას და დარჩენილი ღრიჭოებიც ამოავსო. პროფესორს სტუდენტებისთვის აღარაფერი უკითხავს, მხოლოდ დასძინა: მე მინდა, რომ ახლა ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ეს ქილა თქვენი ცხოვრებაა, მასში მთავარი ქვებია — თქვენი ოჯახი, მშობლები, შვილები, ჯანმრთელობა, ყოველივე ის, რაც თქვენი ცხოვრების აზრია და რისი დაკარგვაც გაგანადგურებდათ. ხრემი მეორეხარისხოვანია და ეს არის თქვენი სახლი, სამსახური, მანქანა... ქვიშა ყველაფერი დანარჩენია — პატარ-პატარა ყოფითი საგნები. თუ ქილის შევსებას ქვიშითა და ხრემით დაიწყებთ, ქვებისთვის ადგილი აღარ დაგრჩებათ. ასე მოხდება ცხოვრებაშიც. თუ მთელ დროსა და ენერგიას „ქვიშისა და ღორღის“ შეგროვებას მიუძღვნით, ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი საქმეებისთვის სიცოცხლე აღარ გეყოფათ.

უმეტესი დრო ყველაზე სანუკვარ საქმეებს დაუთმეთ, ეთამაშეთ შვილებს, ეცეკვეთ შეყვარებულს, მოეფერეთ მეგობარს და ნახავთ, რომ ისეთი რამეე-

ბისთვის, როგორიცაა სამსახური, დალაგებული სახლი, კმაყოფილი სტუმარი და „დროსტარება“, დრო თავზე საყრელად გექნებათ.

ჯერ ქვებზე იფიქრეთ! — თქვენი ცხოვრების ქეშმარიტ არსზე და იყავით ბედნიერი!!! — იმედია, გაგიმართლებთ!

დაე, შენს ხელებს საქმე საძებარი ნურასოდეს ექნება!

დაე, შენს ჯიბეში მუდამ იჩხრიალოს საკმარისმა ხურდამ!

დაე, შენს ფანჯრებში მუდამ ანათებდეს მზე!

დაე, ყოველი ნვიმის შემდეგ ცისარტყელამ გამოანათოს!

დაე, ღმერთმა მეგობრის თავი ნუ მოგიშალს!

დაე, ღმერთმა გული სიხარულით აგივსოს!

რაც ახლა მოისმინეთ, სიტყვასიტყვით გადაეცით თქვენს ახლობლებს! ახლავე! ვინც თქვენგან შორს არის, ფოსტით გაუგზავნეთ და თან სურვილი ჩაუთქვით! ხომ გიყვართ, როცა ოცნებები გისრულდებათ? ჰოდა, როგორც გითხარით, ისე მოიქეცით! სურვილი ჩაუთქვით და აუცილებლად აგისრულდებათ! ჩაუთქვით?

რაც მეტს მიაწვდენთ ამ ამბავს, მით უფრო ადრე აგისრულდებათ ოცნება. თავად წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი მოგბაძავთ და რამდენს ჩაესახება ოცნების ასრულების იმედი. მაშ, დავინყოთ, დავლოცოთ ერთმანეთი?!



ეგება წალმა ვიფიქრო, სოფლის უკულმა ტრიალი, ჰე!

ამის სამღერლად უკეთეს დროს ვერ იპოვი. მახვილი თვალი და მგლის მუხლი დღეს წინასაარჩევნო ქაოსის დამტრიალებელ მომავალ დეპუტატებს სჭირდებათ, რომ საკუთარივე სიბრძნით მორყეულ ქართულ ნიადაგზე როგორმე მყარად მოიკიდონ ფეხი.

ჩვენ კი, ელექტორატმა, ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ამომრჩევლებმა, და კიდევ უფრო მდაბიურად — საქართველოს მოსახლეობამ, ის დროა, ნელ-ნელა კუთხე-კუთხე ფესვმაგარი ხე და მყუდრო ტოტი ვიპოვოთ ზედ თავდაყირა დასაკიდებლად. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საარჩევნო მოთელვისას ჩვენზე ზრუნვით გულდამძიმებულ რჩეულებს სიყვარულით არ შემოვვჭყლიტოთ. და მეორეც — ხიდან, ჩვეულებრივ, უკეთ ჩანს ხოლმე ორთაბრძოლის თავი და ბოლო.

ჩამოკიდება რომ აუცილებელია, ეს უკვე გაგარკვეით. ახლა მთავარია, იმ ტოტზე არ ჩამოვეკონწილოთ, არჩევნების შემდეგ დეპუტატები საკუთარი ხელით რომ მოჭრიან, ან უკეთეს შემთხვევაში, ჩვენვე მოგვაჭრევენებენ. მეორე საშიშროებაც არსებობს: ხომ შეიძლება, გამარჯვებულმა დეპუტატებმა ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევით მიწიდან ამოგვხედონ და გაოცებულებმა იკითხონ, ესენი ვისლა დაკარგვიათო? მაშინ ნახე შენ საწყალი დამურას ბედი — აკაკის დამურასავით შეიძლება, დღის სინათლე დაგავიწყონ. იფრინე მერე უკუნეთში კაზინო-კაზინო, ბარი-ბარ, რესტორან-რესტორან და იენავლე „სადა ხარ ჩემო სულიკო?“. სად არის და, იქ, სადაც შენ გაამწყსე. ოღონდ, ველარც ხედავს და აღარც არაფერი ესმის.

გაზ. „დილის გაზეთი“, N161 (979), 17 ივლისი, 1999 წელი.

მე, ყოფილი პიონერთა სასახლის ყოფილი აღსაზრდელი

„უფროსო მეგობარო!

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეს (ყოფილი პიონერთა სასახლე) წელს დაარსებიდან 55 წელი უსრულდება. ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტს კი (ყოფილი ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტი) — 40 წელი“.

ორ წინადადებაში ორი „ყოფილი“, დღეს ტაბუდადებული ორი სიტყვა — „პიონერი“ და „ინტერნაციონალური“ და იქვე მათი ვითომ აზრობრივად გამომორიცხავი „ბავშვთა“ და „საერთაშორისო ურთიერთობათა“.

ყოფილ პიონერთა სასახლესა და მის ყოფილ კაბინეტს სულ რამდენიმე წლის წინ „რადიკალურად“ შეუცვალეს სახელწოდება. ჯერჯერობით შეუცვლელი დარჩა თვითონ შენობა, რომელსაც კიდევ უფრო ადრე, ვიდრე პიონერთა სასახლე დაერქმეოდა, სახელიც სხვა ერქვა და ფუნქციაც სხვა ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ საგანთა ფუნქცია-დანიშნულებაზე ზოგადი მსჯელობა დღევანდელი წერილის თემას არ წარმოადგენს, გაკვრით მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასევე სულ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ყოფილ მთავრობასა და მის ყოფილ პრეზიდენტს ცოტაც რომ დასცლოდა, ყოფილი პიონერთა სასახლე მხოლოდ სახელწოდებაშეცვლილი კი არა, სწორედაც რომ ფუნქციაშეცვლილი შეეგებებოდა დაარსებიდან 55 წლისთავს. წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, ყოფილმა პიონერთა სასახლემ კი ჯერ კიდევ 55 წლის წინ დაკისრებული ვალდებულება, ნათელი მომავლის ქვეყნისთვის მორალურად მდგრადი და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა აღეზარდა, ნაწილობრივ შეინარჩუნა.

„მრავალმა თაობამ გაატარა თავისი საუკეთესო წლები სასახლისა, და კერძოდ, ამ კაბინეტის კედლებში. დღეს ისინი სხვადასხვა ასპარეზზე უანგაროდ ემსახურებიან თავიანთ სამშობლოს, რაც გარკვეული სიამაყით გვავსებს კაბინეტის დღევანდელ პედაგოგებსა და აღსაზრდელებს!“ — ეს არის ნაწყვეტი იმ მიმართვა-კითხვარიდან, რომელიც ახლა სანერ მაგიდაზე მიდევს და ბუნებრივია, ჩემგან გულწრფელ და მაღლიერ პასუხს მოელის. ბუნებრივია-მეთქი რომ ვამბობ, აქვე დავძენ, რომ ერთხანს ყოფილი პიონერთა სასახლის სწორედ ამ კაბინეტის აღსაზრდელი გახლდით (ჩვენ მას „ინტერკლუბს“ ვეძახდით), დღეს

კი, ეს კაბინეტი სასახლის კედლებში გამოწრთობილ ვეტერანთა რიგებში მიპირებს შეყვანას.

ნინასნარ ვუხდი მაღლობას მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ხელმძღვანელებს პატივისა და დაფასებისათვის. შეიძლება ასეთი რამ არც კი დამიმსახურებია. ერთს კი გამოგიტყდებით: „სამშობლოსადმი უანგარო სამსახური“ დღეისათვის ცოტა არ იყოს განზოგადებულ და რბილადაც რომ ვთქვა, ბუნდოვან ცნებად მიმაჩნია. ვერც იმას დავიფინებ, რომ, ჩვენსას არ ვიტყვი და, პირადად ჩემი უანგარო სამსახური რამდენადმე „ღაღავებდეს სიამაყით დღევანდელ პედაგოგებსა და აღსაზრდელებს“. ისევ მათ დიდსულოვნებას უნდა მივანერო ჩვენი ნაღვანის ამგვარი დაფასება, თორემ რა ხანია საქართველოში ქუჩების, ორგანიზაციების, შენობების, პარტიების სახელწოდებათა, ცხოვრების წესის, თანამდებობების, პრინციპებისა და პოზიციების ცვალებადობასთან ერთად ღირებულებათა გადაფასების და მოვლენათა შეფასების კრიტერიუმების ცვალებადობის ტენდენცია ელვისებურად იზრდება.

ასე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი და აზროვნება ჩემთვის ყოფილ პიონერთა სასახლეში არ უსწავლებიათ. იქ პირიქით — დღენიადაც გვაქმცადინებდნენ, აზრი მკაფიოდ და ნათლად გამოხატეთ, შუბლი გახსენით, თვალები ფართოდ გააღეთ და ვიდრე ბავშვები ხართ შეირგეთ ეს ბედნიერი ბავშვობაო.

საქმე ისაა, რომ ამ სიტყვებს გარკვეული პერიოდულობით სკოლებშიც გვეუბნებოდნენ. „ინტერკლუბში“ კი სიტყვას საქმეც მოჰყვებოდა ხოლმე და ერთხანს მართლაც ბედნიერი მომავლის ბედნიერ შვილებად წარმოგვედგინა თავი. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, ხასიათი რომ გაგვიფუჭდა, როდესაც „ძნელად გვიგებდნენ“ და მძიმე ასატანები გავხდით, ოჯახებიდან კვირაობით დიდის სიამოვნებით მიგვერეკებოდნენ „ინტერკლუბში“ ხასიათის მოსათოკად, თუმცა იქ არც თავისუფალ, დამოუკიდებელ აზროვნებას გვიშლიდნენ და არც პირზე მომდგარი პირველივე სისულელისთვის გვინწყობდნენ ამხანაგურ სასამართლოებს.

ჩვენ ვწერდით წერილებს მსოფლიოს ყველა კუთხეში, ვილაც გადამთიელ ბავშვებს, ჩვენს უღრუბლო ცასა და ბედნიერ ბავშვობაზე ვუყვებოდით, უსაზღვროდ ვეტრახახებოდით, ვეპატიჟებოდით საქართველოში, სასახლეში და წარმოიდგინეთ, ღირსეულადაც ვმასპინძლობდით. ჩვენი კლუბი მინი საგარეო საქმეთა სამინისტროს გავდა. მინისტრები ჩვენი აღმზრდელები იყვნენ, მოხელეები — ჩვენ. ისინი ცხოვრების გლობალურ (მაშინ ეს სიტყვა მოდაში არ იყო) აღქმას, ანუ დღეს როგორც იტყვიან, „საერთაშორისო სტანდარტებით“ აზროვნებას გვაჩვენებდნენ, ჩვენ კი, როგორც გაირკვა, ტყისკენ გაგვირბოდა თვალი. ხუმრობა იქით იყოს და კომკავშირის ცეკას ამ სამჭედლოდან (ასე ეძახდნენ მაშინ პიონერთა სასახლეს მოფერებით), კერძოდ კი ყოფილი ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტში ჩემთან ერთად აღზრდილთაგან არც ერთი ან ვერც ერთი სრულყოფილი პარტიული ლიდერი და

თქვენ წარმოიდგინეთ, უბრალო აქტივისტიც კი არ ან ვერ გამოვიდა. მეტსაც გეტყვით, ზოგიერთმა ჩემმა თანაკლუბელმა მეგობარმა უბრალო მოკვდავი პიონერისთვის დამახასიათებელი სისუსტეებიც გამოამჟღავნა, რის გამოც ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე საზოგადოების მითქმამოთქმისა და ანონ-დანონის საგანი გახდა.

ეს რაც ყოფილ „ინტერკლუბს“ ეხება, სხვა კაბინეტების თაობაზე სხვა მოგახსენებთ, თუმცა დიდი განსხვავება ვფიქრობ არც იქ უნდა ყოფილიყო, იქაც უბრალო მოკვდავი პიონერები დადიოდნენ და შიგა და შიგ, შეპარვით თავიანთი სახელის უკვდავყოფაზე ოცნებობდნენ. აი, ეს კი უდავოდ სასახლის დამსახურებაა. იქ მოსწავლე ახალგაზრდობას ხომ სულ სხვა ნათელი გადასდიოდა, მათთვის მუდმივად მწვანე შუქი ენთო ბედნიერი მომავლისაკენ და ფრთებიც ძლიერი ურიგდებოდათ ასაფრენად, რა თქმა უნდა, თუ ჭკვიანად გამოიყენებდნენ.

დავუბრუნდეთ სასახლიდან გამოგზავნილ მიმართვა-კითხვას. გვეკითხებიან:

— ორიოდე სიტყვა თქვენს შესახებ

გპასუხობთ:

— ორიოდე სიტყვა ჩემს შესახებ ამ წერილის წამკითხავისთვის მიმინდვია.

— გაიხსენეთ ყოფილ ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტში თქვენს მიერ გატარებული წლები.

— უკვე გავიხსენე, თუმცა მთავარი დამავინყდა.

აქ გატარებულ წლების გამოცდილებამ მოგზაურობის კულტურას, გარემო პირობებისადმი შეგუებასა და გამძლეობას მიმაჩვია. იქნებოდა ეს დიდი ქალაქების კომფორტულ სასტუმროებში თუ სოფლად, სადღაც ტყე-ღრეში, მონადირის ქოხში, მშვიდ, სარკესავით გაკრიალებულ ზღვაზე თუ ყალყზე შემდგარ ოკეანეში, მზით გადატრუსულ უდაბნოსა თუ ზევაჭრამონოლილ ნასოფლარში. მოგზაურობა არც მარტო სიამოვნებაა და არც მარტო სარგებელი, იგი საკმაოდ რთული საგანია, მას სწორი სწავლება ესაჭიროება, ჩვენ კი „ინტერკლუბში“ კარგი მასწავლებლები გვყავდა.

კიდევ ის მახსენდება, რომ ყოველი კვირა დღე რომელიმე ჩვენგანის დღეობას გავდა. კოხტად გამოწყობილები კაბინეტის სპეცკოსტუმებში მივეშურებდით სასახლეში ერთმანეთის შესახვედრად და გამოგიტყდებით, რომ იქ მხოლოდ ამერიკელ ზანგთა ბედუკულმართ ცხოვრებასა და ჰიროსიმას უბედურებაზე არ ვსაუბრობდით, არც ლპობადი კაპიტალიზმის გინებითა და აყვავებული სოციალიზმის პროპაგანდით ვიძაბავდით კისრის ძარღვებს, უბრალოდ, ვკითხულობდით აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონს, შიგა და შიგ ფადევს, ოსტროვსკის, შოლოხოვის, შემდეგ ისევ აკაკის, ილიას, შოთას, მურმანს, მუხრანს, ანას, ხანდახან საკუთარ „ნაწარმოებებსაც“ ვკითხულობდით, საპატიო სტუმრებს ვინვევდით, ვხატავდით ყველაფერს, მათ შორის წითელ დროშასაც და ხუთქიმიან ვარსკვლავსაც და მიუხედავად ამისა, ყოველივეს ხელი არ შეუშლია გიგი სულაკაურისთვის უჩვეულოდ არაწითელი და წარმოიდგინეთ არატრადი-

ციული უმშვენიერესი ლექსები ეწერა, ეხატა ჩამავალი წითელი მზე და ცეცხლმოკიდებული ზღვა. არც ჩემთვის შეუშლია ხელი „კომკავშირის ცეკას სამქედლოს“ იმ მიმართულებით მევლო, საითაც გული მიმიწევდა, სადაც ოჯახივით მელოდნენ, მეკეთებინა ის, რაც მომეპრიანებოდა. ჩემს აზროვნებაზე და ცხოვრების წესზე გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ზენოლა ვფიქრობ, არც მის კედლებს გარეთ არ მომხდარა, თუმცა ერთხანს კი მივიყინებდნენ (და არა მარტო მე — თითქმის მთელს საქართველოს) მონა ხარო. ვინც მართლა მონა იყო, იმან დაიჯერა კიდეც, რომ მონაა. ვინც მონა იყო, ის დღესაც მონაა, პატრონი შეიცვალა მხოლოდ.

ეს პასუხიც დავასრულე, ვგონებ, გადავუხვიე კიდეც თემას. მაშ ასე, ვაგრძელებ:

— თქვენი დღევანდელი მოღვაწეობის ასპარეზი.

— ფურცელს რომ სიცილი შეეძლოს, ავახარხარებდი.

აბა რა ასპარეზი უნდა ჰქონდეს დღეს ყოფილი პიონერთა სასახლის, ყოფილ „ინტერკლუბში“ აღზრდილ, მომიტევეთ და ინტელიგენტს. კითხვის დამსმელი ეტყობა ძველი თაობის პიონერია და იქიდან აღებული სტარტის ინერციით კვლავ ნათელი მომავლისაკენ მიილტვის, თორემ რომელ ასპარეზზე შეიძლება დღეს პირადად ჩემთან საუბარი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სადაც ვასპარეზობდი და ჰა-ჰა ფინიშის სწორზეც ერთობ წარმატებით გავდიოდი, მისტიურმა ბურუსმა მოიცვა, ფინიშის ხაზმა გაურკვეველი მანძილით გადაინია და საასპარეზო მოედანზეც სქელი ნისლი ჩამოწვა.

ჩემი მოღვაწეობის ასპარეზი დღეს „დილით გაზეთია“, ოღონდ არ იფიქროთ, რომ ამ მცირე მოედანზე ისე მიდგებ-მოდგები, როგორც გინდა. ყოველი „უხერხული“ გაფართხალება ყვითელი და წითელი საჯარიმო ბარათით მთავრდება, უარეს შემთხვევაში დახურვით გვემუქრებიან. ასე რომ, მოკლედ თუ მოვხაზავ, ჩემი დღევანდელი მოღვაწეობის ასპარეზი, ჩემი ქვეყნის მოღვაწეობის ასპარეზისა არ იყოს, ერთობ შეზღუდულ-გაფართოებულ-გარკვეულ-გაბუნდოვანებულია.

არც ამგვარი წარმოებული განსაზღვრებებით აზროვნება უსწავლებიან ჩემთვის „ინტერკლუბში“, იგი ამაზე პასუხს არ აგებს.

გვეკითხებიან, დაგეხმარათ თუ არა კაბინეტში მიღებული გამოცდილება მომავალი პროფესიის არჩევაში?

— არა, მე ვიტყვოდი პროფესია საერთოდ არასოდეს ამირჩევია, უამრავი პროფესია გამაჩნია და რატომღაც ისე მოხდა, რომ ყოველმა მათგანმა თვითონ ამირჩია. არც ამაში მიუძღვის რაიმე ბრალი „ინტერკლუბს“.

და ბოლოს, გვეკითხებიან: რას მოიმოქმედებდით თქვენ რომ სასახლის დირექტორი იყოთ?

— სასახლის დირექტორი რომ ვიყო, ზუსტად იმას მოვიმოქმედებდი, რასაც სასახლის არც ძველი, არც დღევანდელი და არც ხვალინდელი დირექტორი მო-

იმოქმედებდა. ამიტომ, სასახლის საბედნიეროდ, არც ვყოფილვარ, არც ვარ და არც ვიქნები მისი დირექტორი. მე ყოფილი პიონერთა სასახლის, ყოფილი „ინტერკლუბის“ ყოფილი წევრი და ან მისი, ანუ ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის ვეტერანი გახლავართ. ჩემი იქიდან წამოსვლის შემდეგ სასახლემ სახელწოდების გამოცვლაზე ინტენსიურად დირექტორები გამოიცვალა. ღმერთმა დაგვიფაროს ვინმეს მოღვაწეობის განსჯისაგან, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყოველი მათგანის გამოცდილება და შეცდომები თუ აინონ-დაინონა, გაანალიზდა და შესაბამისი დასკვნებიც გაკეთდა, მაშინ რალა უდგას წინ რეფორმას, რომლის წარმოთქმაც კი მთელ საქართველოს შიშის ზარსა სცემს.

გაზ. „დილის გაზეთი“, 14 სექტემბერი, 1996 წელი.

ვინ ვყოფილვართ დღეს ქართველები!

ან უკვე ისტორიულ წარსულში, ანუ უძრავობის შორეულ ეპოქაში, როცა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში ვიკა სირაძე დანიშნეს, ნოდარ დუმბაძემ იხუმრა, საქართველოში ჩინით ვინც ვიკაზე მეტია, „ბოლშე-ვიკია“, ვინც ნაკლები „მენშე-ვიკი“, გამოდის მთელი ქვეყანა ხუთი კაცის გარდა „მენშე-ვიკები“ ვყოფილვართო. ეს ვითომ უწყინარი ხუმრობა მაშინ ოფიციალურმა და არაოფიციალურმა წრეებმა შესაშური ენთუზი-აზმით აიტაცეს, მაგრამ შემდგომ ვიკა სირაძის გადაყენებასთან ერთად დავინ-ყებას გაატანეს. მაშ, რამ გამახსენა იგი ახლა მე — თავისუფალი და დემოკრა-ტიის გზაზე შემდგარი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეს?

კითხვას კითხვითვე ვუპასუხე. თუ „ზასტოის“ დროის მთელი საქართველო ხუთი კაცის გამოკლებით „მენშე-ვიკები“ ვიცავით, მაშ, ვინ ვართ ქართველები დღეს?

განგებას და ნოდარ დუმბაძეს ნიჭიერად აზროვნების სისხარტე ჩემთვის უხვად რომ ებოძებინათ, ერთი კარგი სიტყვათშეთანხმების ავტორი შეიძლება მეც გავმხდარიყავი, მაგრამ ეგრე სადაა! და ვინაიდან სხარტად ვერ ვახერხებ, შორიდან უნდა შემოვუარო, მაშ ასე: ეს ბოლო თვეა, თუ ზოგადად, თუ კონკრე-ტულად, თუ მიზანდასახულად დასმულ კითხვათა შორის, ერთათვის ყველა-ზე მტკივნეულად და მეორეთათვის ყველაზე აქტუალურად ჟღერდა შეკითხვა: გვყავს თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები? ხელისუფლებისგან კონკ-რეტული და სრული პასუხი მოვიდა: საქართველოში პოლიტპატიმრები არა გვყავს!

აგაშენათ ღმერთმა! არა გვყავს და ნუ გვყავს. თუმცა, ქართული ხასიათი მოსვენებას მაინც არ გვაძლევს, ცოტა არ იყოს, გულდასაწყვეტიცაა: როგორ, ნუთუ ოჯახში ერთი შავი ცხვარი მაინც არ გამოგვერია? ყველას ყავს და ჩვენ ისეთი რა ეშმაკი შეგვეყარა, რომ ამ ჭრელ ქვეყანაში ერთიც ვერ გამოვზარდეთ, კბენია-ღრენია?! კი გამოვზარდეთ ალბათ, მაგრამ კარგად ვერ მოგვიძებნია. მოგვხსენებათ, მე არ მითქვამს, „ეძიებდე და ჰპოვებდეო“. საუკუნეების წინ ჩვენზე ჭკვიანმა და გამოცდილმა ხალხმა თქვა. ჰოდა, დრო ხომ არ დადგა, გავუგონოთ?

მაშ ასე, დავეძებ საქართველოში პოლიტპატიმარს! დავეძებ სანთლით, ფარნით, პროჟექტორით, ენთუზიაზმით, გულისყურითა და მონდომებით. ჩვენში კარგად თუ მიდექ-მოდექი, პოლიტპატიმარს კი არა, „ზასტონდროინდელ“ სუკში გამობრძმედილ აგენტსაც შეიძლება გამოჰკრა ხელი, ხოლო ამგვარი კვალიფიკაციის აგენტს თუ მიაგენი, ჩათვალე, რომ პოლიტპატიმარი და, თანაც არა ერთი, გარანტირებული გყავს.

ესე იგი, დავიხიეთ ერთი ნაბიჯით უკან, ანუ ახლა სასწრაფოდ ვეძებ ან ვცვლი სამოთახიან ბინას, ლოჯიით, 40 კვ. მეტრი მიშენებით, ავტოსადგომით, სარდაფით, გენერატორით, გათბობით, ცხელი წყლითა და კეთილი გულით ერთ სუკის აგენტზე. ვიდრე ამ განცხადებას „დილის გაზეთში“ გამოვაქვეყნებდი, ერთი ძალიან თანამედროვე, აქტუალური და თურმე პოპულარული რუსული ანექდოტი-განცხადება მოვისმინე: „ $\begin{matrix} \text{X} & \text{E} & \text{E} & \text{X} & \text{E} & \text{E} & \text{X} \\ \text{X} & \text{X} & \text{X} & \text{X} & \text{X} & \text{X} & \text{X} \end{matrix}$ “. ამ განცხადების მომგონი პოლიტპატიმარი თუ არა, წესით სუკის აგენტი მაინც უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, პროჟექტორით საძებნი რომ არის, ამაში ეჭვი, პირადად მე, არ მეპარება. ჰოდა, ახლა მეორე სატკივარიც გამიჩნდა: ვეძებ პოლიტიკური ანექდოტების მომგონ, ან უკიდურეს შემთხვევაში, გამავრცელებელ პირებს, თუნდაც კავკასიური ან ებრაული ნაციონალობისას.

სანთლით ვეძებ-მეთქი, ზემოთ რომ მოგახსენეთ, არ გეგონოთ, ფიგურა-ლურად ან იდიომატურად ვაზროვნებდე. პირდაპირი მნიშვნელობით მოგახსენებთ, ვინაიდან უსახსრობის გამო სხვა საშუალებანი არ გავგანჩია. იდეები კი, როგორც სოციალიზმის წიაღში აღმოცენებულს და გაზრდილს, უხვად გვანუხებს. ჰოდა, ძიების პროცესში არქიმედესავით აღმოვაჩინე, რომ ვარ „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“ და დიდი სიამოვნებით ვიცვლები „ურთულ სიფათზე“. მაშ, წავედით ერთი ნაბიჯით წინ, თუმცა კითხვა, გვყავს თუ არა საქართველოში პოლიტპატიმარი, ჯერჯერობით უპასუხოდ გვრჩება.

ამას წინათ, გრაფიკით გათვალისწინებული იმ ხუთწუთიანი გამონათებისას, ჩვენი სახელმწიფო და ხელისუფლება ასე დიდსულოვნად რომ დაგვისაზღვრავს ხოლმე (და ხანდახან არც დაგვისაზღვრავს), მისგან, ვისაც ეს ეხება, შევიტყვეთ, რომ მან, ვინც კავკასიურ პირს ურთულ სიფათზე ცვლის, დროებით გაზის მონოდება შეგვიწყვიტა, თანაც გაუფრთხილებლად (ნეტავი რომ გავეფრთხილები-

ნეთ, ეშველებოდა რამე ჩვენს გაჭირვებას?). შეგვატყობინეს თუ არა ეს სასიამოვნო ინფორმაცია, პირადად ჩემს სახლში ისევ უკუნეთმა დაისადგურა, რასაც მოპირდაპირე და მომდევნო ჩაბნელებული სახლების ფანჯრებიდან მთავრობისა და ხელისუფლების მისამართით ხმამაღლა გამოხატული გულწრფელი და კეთილი სურვილები მოჰყვა რაიონული და, რატომღაც, „საკავშირო“ მასშტაბით.

კარგად მახსოვს, ბავშვობაში, ბაბუაჩემი ფანჯრიდან ცას რომ ახედავდა, თუ იქ ერთ პატარა ღრუბელს მაინც შენიშნავდა, მაშინვე კომუნისტებს შეუკურთხებდა ხოლმე. ეს ალბათ იმიტომ, რომ კომუნისტები თავის დროზე უღრუბლო ცასა და ნათელ მომავალს შეჰპირდნენ. ახლა დემოკრატიის მეტს არავინ არაფერს გვპირდება. მოვლენებმა მომავალი დროიდან წარსულსა და აწმყოში გადმოინაცვლა: გვქონდა და გვაქვს ცა, მზე, ვარსკვლავები, გაზაფხული, ზაფხული, შემდგომა, ზამთარი, გვქონდა და ნაწილობრივ აღარ გვაქვს ზღვა, მთა, გვქონდა და აღარ გვაქვს შუქი, გაზი, გვქონდა და ნაწილობრივ აღარა გვაქვს საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური, ვითომ გვქონდა და საერთოდ აღარა გვაქვს (უმცირესობის გარდა) ფული, არ გვქონდა და გვაქვს პარტიები, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სიტყვის თავისუფლება, თეორიულად ვიცოდით, ახლა პრაქტიკულად აღარ ვიცით, რა ვუყოთ და სად წავილოთ ეს ამდენი ცოდნა, უფლებები, შესაძლებლობები და ვალდებულებანი.

ეს, რაც გვქონდა და გვაქვს, რა გვექნება, არც ჩვენ ვიცით და არც იმათ, ვინც წარსული და აწმყო ასე საათივით აგვინყვეს. მთავარი ისაა, რომ ისე ეშმაკურად მოაწესრიგეს ყველაფერი, შესაკურთხი ხატიც არ დაგვიტოვებს. ისეთი, მაგალითად, როგორც კომუნისტებს ჰქონდათ — პარტია. დღევანდელი მოქალაქე ჰაერში იკურთხება, უმისამართოდ, არც ადრესატის ეშინია და არც იმის, რომ ერთ მშვენიერ დღეს წყევლა-კრულვა ბუმერანგივით უკან მოუბრუნდება.

ამას წინათ, დღევანდელი გაგებით შუალამისას, ანუ დაახლოებით სალამოს ათ საათზე, როცა მესამედ ჩაქრა სულ ნახევარიოდე საათის წინ ბოძებული სინათლე, ჩემი მეზობელი მთვრალ მდგომარეობაში, ფაფარაშლილი და მკერდგაღელილი, რკინის მესერიტ შემოღობილ აივანზე გამოენთო და უშვერი სიტყვებით მოიხსენია თელასის ხელმძღვანელი და მომსახურე პერსონალი, მერე ზედ მიაყოლა მათი იქ დამნიშვნელი, დამნიშვნელის დამნიშვნელი და ბოლოს დასაწყნარებლად გამოელვებულ ცოლ-შვილსაც მოუკითხა კეთილისმსურველები. დებოშის ხმაზე მეზობელი სახლების მოსერიე მეზობლებიც გამოეფინენ თავთავიანთ აივნებზე. ერთმა გარემოებამ გამაოცა: ამ სახლების ზედა და ქვედა ორი სართული უკლებლივ რკინის მესერში იჯდა. ხალხი გისოსებს იქიდან იცქირებოდა და არმატურას ჩაბლაუჭებულები საოცრად გაგდნენ სამუდამო პატიმრობაში მყოფ დამნაშავეებს. ბავშვმაც კი იცის, რომ ის, რაც ფხიზელს გულში უდევს, მთვრალს ენაზე ადგას. ჰოდა, ერთი მთვრალი მესერს იქით ყვიროდა, დანარჩენი ფხიზელები მესერს იქით კვერს უკრავდნენ. ყველანი ერთად კი ერთ დიდ ციხეში გამომწყვდეულ იმ პატიმრებს გაგზდნენ, დასახულ პოლი-

ტიკურ ხაზსა და სოციალურ ყოფას რომ აგინებენ და არ ებუებიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში თითქმის ყოველდღე ყოველ უბანში ანალოგიური სცენა თამაშდება, ანალოგიური სცენართა და ადეკვატური ტიპაჟით, გამოდის, რომ მთელი საქართველო თუ არა, თბილისი მაინც, ნებსით თუ უნებლიედ ბნელშია, პატიმრობაში იმყოფება, აგინებს ხელისუფლებას და, აქედან გამომდინარე, პოტენციული პოლიტპატიმარია უმნიშვნელო გამოწვევისათვის, ანუ „ზასტოისდროინდელი“ ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა „მენშე-ვიკია“.

კავკასიური ტიპის პოლიტპატიმრებისა და სუკის აგენტების ძიებაში ასე ულოგიკოდ, მაგრამ მშვიდობიანად მივედით ორუცნობიანი განტოლების ამოხსნამდე. მართალია, სუკის აგენტები ძიების პროცესში იმთავითვე ამოვარდნენ ძებნილთა სიიდან, სამაგიეროდ, პოლიტპატიმრების არსებობის ფაქტი და ადგილსამყოფელი ასე თუ ისე დადასტურდა: ყველანი აქა ვართ, მშობლიურ საქართველოში!

გაზ. „დილის გაზეთი“, 28 დეკემბერი, 1996 წელი.

ოცნებაო, ჩემო ძველო, ვარ ღამეთა მთველი

დღეიდან „დილის გაზეთი“ თავის მკითხველსა და მთელ საქართველოს რუბრიკის „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“ გახსნაზე იწვევს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ რუბრიკას ნოდარ დუმბაძის ერთი პოპულარული წერილის სათაურს დავესესხეთ, იდეა კი, როგორც ამქვეყნად ყველაფერი სხვა კარგად დაგინწყებული ძველია. ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ, და შემდგომ — რეგულარულად, ჩვენი გაზეთის „ოცნების“ გვერდიდან გიამბობთ. დასაწყისისთვის ჯერ ერთს მოგახსენებთ: რუბრიკა ვერ იარსებებს მასში თქვენი მონაწილეობის გარეშე, მით უმეტეს, იგი ვერ განვითარდება და ვერ გამოისხამს ყლორტებს თქვენს დაუხმარებლად. ჩვენს წამოწყებაში არაფერია უჩვეულო და არაბუნებრივი. უბრალოდ, გვინდა საზოგადოებას და საკუთარ თავსაც კიდევ ერთხელ შევასხენოთ კლასიკური ჭეშმარიტება — პრესის უპირველესი დანიშნულება და მოვალეობა: უტყუარად ასახოს რეალობა, თავისი ხალხის ყოფის სურათი, მოსახლეობას მხოლოდ მართალი ინფორმაცია მიანოდოს, არ ჩამორჩეს ქვეყნის მაჯისცემას, ხელი შეუწყოს საკუთარი ხალხის კეთილდღეობას, იყოს პატიოსანი და მიუკერძოებელი.

კიდევ, გვინდა „დილის გაზეთი“ გადავაქციოთ ყველა განუხორციელებელი იდეის, ვითარცა ობლის, თავშესაფრად, გახვადოთ იგი „უპატრონო იდეებისა

სახლად“, საიდანაც ისინი მხოლოდ ღირსეულთა ხელში გადაინაცვლებენ, რომ შემდგომ უანგაროდ ემსახურონ საკუთარ ქვეყანას. უკიდურეს შემთხვევაში, „დილის გაზეთი“ თავად პირველი შემოჰკრავს განგაშის ზარს.

მაცნე რა არის ოცნება?

ტარიელ ჭანტურია

ოცნება ჰერაკლეზე ღონიერია;
 ოცნება დიუპონზე მდიდარია;
 ოცნება მზეთუნახავზეც ლამაზია;
 ოცნება ელვაზე სწრაფია;
 ოცნება იმდენია, რამდენიც უნდა;
 ოცნება ყინვაში აკაშკაშებული მზეა;
 ოცნება კუნაპეტ ლამეში გამოჩენილი მთვარეა;
 ოცნება მშიერის პურია;
 ოცნება მწყურვალის წყალია;
 ოცნება ლატაკის სასახლეა;
 ოცნება პატიმრისთვის ქალია;
 ოცნება თითქმის ბედნიერებაა —
 სხვა ბედნიერება არ არსებობს!
 ოცნება ყველაზე მაგარი მსმელია!
 ოცნება ყველაზე კარგი დამრტყმელია;
 ოცნებას ყველა ვალი გასტუმრებული აქვს;
 ოცნება ცალმხრივი სიყვარულის ნამალია;
 ოცნება სამართლიანი შურისმაძიებელია;
 ოცნება ყელზე ადგას რეალობას;
 ოცნება ფანტაზიის სისხლით ნათესავია;
 ოცნება ერთადერთი თავისუფლებაა;
 მეოცნების არც გამოსწორება ხერხდება, არც დამარცხება;
 ოცნება და ღიმილი განუყრელნი არიან...
 კაცი რომ მიდის ქუჩაში და იღიმება,
 თქვენს გაკვირვებას ნუ გამოიწვევს —
 იგი მთელი სამყაროს პატრონია!
 იგი ბედნიერია!

ახალი რუბრიკა „დილის გაზეთის“ ახირება არ არის, ეს საშუალებაა, კუნაპეტ ლამეში იაროს ნაკუნ-ნაკუნ დაგლეჯილ საქართველოს გაღალულ მთაბარზე და იყოს ბედნიერი. ესე იგი, ოცნებით სავსე ფიალა შეასვას საქართველოში ყველა მწყურვალს, ყველა მშიერს, რკინის მარწუხებს იქით და აქეთ მბორგალ ყველა სულიერს გაუნათოს დღე მშვენიერი. დღეიდან „დილის გაზე-

თი“ ხსნის თავისი ფანტაზიის გუდას და ნურავის ექნება იმედი, რომ მისი გამოსწორება მოხერხდება.

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, თქვა ნოდარ დუმბაძემ და, ვიდრე უკეთეს სამყაროში გადავიდოდა, თაობებს თავისი დიდი ოცნება, თავისუფალი საქართველოს მინი-მოდელი, საბავშვო ქალაქი „მზიური“ დაუტოვა, რომელმაც წლების მანძილზე თავისი პროტოტიპის — დედა საქართველოს — ბედი სრულიად გაიზიარა. ოცნებას ყველა იმ თვისებებთან ერთად, რაც ტარიელ ჭანტურიას თავის ლექსში აქვს ჩამოთვლილი, კიდევ ისიც ახასიათებს, რომ იგი საოცრად გადამდებია და მხოლოდ „სუსტსა და უნებისყოფოს“ კი არა, შესაძლებელია, ყველაზე კერკეტსა და სკეპტიკოსსაც შეეყაროს.

ვიდრე ამ წერილს დავწერდი, რაზე ოცნებობ-მეთქი, ვკითხე პოეტს. მაგ საქმეს კარგა ხანია შევეშვი, იმიტომ რომ არ გაამართლაო, მიპასუხა ირონიანარევი ღიმილით. კითხვით მივმართე ოსტატს და იმანაც იგივე მიპასუხა. მერე სახელმწიფო მოხელეს მივადექი, შენ მაინც რაზე ოცნებობ-მეთქი და იმან კი სხაპა-სხუპით იმდენი ოცნება მომაცარა, მაგათ ჩამოთვლას მთელი გაზეთი არ ეყოფა. ავაშენა-მეთქი ღმერთმა, გამიხარდა, ბურთიც ხომ შენს ხელშია და მოედანიც, ხმალიც და ფილაიც, ქვეყნის ბედიც და ილბალიც. ჰოდა, ყოველივე ამას სულ ცოტასაც თუ დავუმატებთ, მაგალითად: მართალ სიტყვას, სამართლიანობას, სუფთა სინდისს (სასურველია ხელებსაც), სიბრძნეს, განათლებას, გამოცდილებას, შრომისმოყვარეობას, მიმტყვებლობას, მოყვასის სიყვარულს, პატრიოტიზმს და მსგავს წვრილმანებს, მაშინ ოცნებების ასრულებას რალა უდგას ნინ?!

ერლომ ახვლედიანმა მითხრა, ოცნება — იდეაა. კეთილშობილ იდეას სასწაულქმედება შეუძლია, შეიძლება არაფერი გეზადოს და იდეას ხორცი მაინც შეასხაო. ამას რომ ამბობდა, დასტურად, მართალია ძალზე მცირე, მაგრამ კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა. ამ მაგალითებიდან ერთ-ერთი სწორედ თბილისში, უძრაობის ხანაში, „მზიურ-ქალაქის“ მშენებლობით საზოგადოების ყველა ფენისა და თაობის „უჩვეულო“ გატაცება იყო.

თბილისი საქართველოს გულია, მაგრამ ეს გული ზომაზე მეტად გაიზარდა, დასტაქარი ამ მოვლენას მარტივი ენით „გულის მანქს“ ეძახის. მანკით დასწეულებული თბილისი კი პერიფერიას სისხლს ვეღარ აწვდის, ამიტომ, იგი თითქმის მთლიანად მოწყდა საქართველოს ერთიან სხეულსო, — მითხრა ბატონმა ერლომმა.

ამ სიტყვების გამგონეს ძველი, უცხოური ზღაპრიდან ამოტივტივებული ერთი ფრაზა ამეკვიცა: სარეცელს მიჯაჭვული მომაკვდავი მამა თავის ვაჟშვილებს უკანასკნელ დარიგებას აძლევს: გახსოვდეთ, უდიდესი ძალა აქვს სიტყვას და რაც უფრო შორს გაიჭრება იგი, გზად უფრო მეტ ძალას იკრებსო. ამით მამა თავის შვილებს აფრთხილებდა, ვიდრე პირიდან სიტყვას ამოუშვებთ, კარგად ასწონ-დასწონეთ მისი ძალა და შესაძლო შედეგებო.

გამხელილი ოცნებაც სიტყვაა, კეთილია იგი თუ ბოროტი, ამტაცებელი ყოველთვის მოენახება. და მაშინ, უზენაესის წინაშე ამ სიტყვის, ანუ ოცნების გავრცელების ძალასა და შედეგზე პასუხისმგებელი უშუალოდ მეოცნებე ხდება. გამხელილი ოცნება არც იმისგანაა დაზღვეული, რომ მას ცუდი გამგონე არ დაამახინჯებს, ხოლო პასუხს შედეგზე, წესისამებრ, ოსტატსა და მის გულშემატკივარს მოსთხოვენ. ეს წესი, საუბედუროდ, მარტო საქართველოში როდი მოქმედებს, იგი მსოფლიოს დაუნერელი კანონია და ამიტომაც, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ნებისმიერ ხანაში პოეტისა და ოსტატის ბედი თითქმის იდენტურია — „ოცნება ყელზე ადგას რეალობას“ — ყველგან!

„დილის გაზეთის“ ოცნებაა, საქართველოს ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში თავისთვის მომღიმარი კაცი აღმოაჩინოს, ამ ღიმილში ოცნების მარცვალი იცნოს და არ გაიკვიროს, მასთან მიახლოება არ დაეზაროს, კეთილი და მართალი სიტყვით ამ მომღიმარი კაცის ისეთი ნდობა დამსახუროს, რომ ამ უკანასკნელს თავისი ბედნიერების დაკარგვისა, ანუ ოცნების გამხელის არ შეეშინდეს. ჩვენი ოცნებაა „დილის გაზეთი“ იდეების, რომელიც ოცნების სინონიმია, მოძრავ მუზეუმად ვაქციოთ, ხოლო მეოცნებეებს პირობას ვაძლევთ, ქვეყანას მათი იდეის ყველაზე კარგ გამგონებებად მოვევლინოთ. ფრთებზე დავეკიდებით მათ ოცნებებს და ზუსტად იქ დავეშვებით დედამიწაზე, სადაც თავად გაიდგამენ ფესვებს. შუა გზაზე არასოდეს მივატოვებთ და მათთან ერთად გავიზიარებთ ოსტატის ბედსა და უბედობას. გვინდა, მეოცნებეების პატარა ფოსტალიონები გავხდეთ, გვინდა ოცნება ხალხამდე თავისი პირვანდელი სითეთრითა და სისუფთავით მივიტანოთ.

იდეას განხორციელება მაშინ უნერია, თუ მას მთელი საზოგადოება მხარს დაუჭერს. თავს მოხვეული იდეაც არსებობს, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ხალხის სანუკვარ, უკვდავ ოცნებასთან. ასეთ ოცნებას ადამიანის თანდაყოლილი ინტუიცია, საუკუნეების გამოცდილება და ყველაზე კეთილშობილური ვნებები ბადებს. მართალია, რომ ამ გენეტიკური კოდით დალდასმული მეოცნების არც გამოსწორება და არც დამარცხება არ იქნება, რადგან იგია ქვეყნად ყველაზე ღონიერი, ყველაზე მდიდარი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე სწრაფი, ყველაზე ბევრი და ყველაზე თავისუფალი. ამ ფასეულობებისადმი სწრაფვა თავად არის ყოველი ადამიანის და მთელი კაცობრიობის ცნობიერებაში ღრმად ჩამარხული, სანუკვარი ოცნება. ჩამარხულს მოპოვება უნდა, მიძინებულს — გაღვიძება. და ვინაიდან ჩვენი ერთი ციდა საქართველო უძვირფასესი ოცნებების უმდიდრეს საბადოდ მიგვანჩნია, უნდა კიდევ ჩავიცვათ რკინის ქალამანი, ხელში რკინის ჯოხი დავიკავოთ და გავუდგეთ გზას მთელს დედამიწაზე მიმობნეული ჩვენი ოცნებების საძებნელად.

სერტიფიკატი რუსული ენის შესასწავლად?

1987 წლიდან ვმუშაობ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ანუ ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, უცხოელ სტუდენტთათვის რუსული ენის შემსწავლელ კათედრაზე უფროს მასწავლებლად. სამი წლის მუშაობის გამოცდილებამ გადამაწყვეტინა შემენყვიტა მუშაობა ამ სფეროში, და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის სახელზე განცხადება დავწერე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ვიდრე ყოველივეს ოფიციალური სახე მიეცემოდეს, მინდა მოკრძალებულად გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი ენა უნდა ვასწავლოთ უცხოელ სტუდენტებს საქართველოში! კითხვა თავისთავად აბსურდულია, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად აქტუალური, რადგან ბაღებს მისგან გამომდინარე კიდევ რამდენიმე არანაკლებ პრობლემატურ კითხვას, მაგალითად, რომელ ენას სწავლობენ უცხოელები ჩვენს ეროვნულ სამეცნიერო ტაძრებში და რა ცოდნით ტოვებენ საქართველოს?

როგორც წესი, სასწავლებელთა ადმინისტრაცია მათ ჩამოსვლისთანავე სხვადასხვა ფაქულტეტების რუსულ სექტორებზე ანაწილებს ხოლმე, თითქოს ასეა საჭირო და აზრადაც არ მოსდის არავის, თუნდაც რომელიმე მათგანს ქართულ სექტორზე სწავლა შესთავაზოს, რა თქმა უნდა, წინასწარ ქართული ენის მოსამზადებელი კურსის გავლით. თუ არ ვცდები, ასეთი კურსები ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ უხვად გვაქვს რუსული ენის მოსამზადებელი კურსები და მეტიც, შემუშავებული გვაქვს რუსული ენის დაუფლების არქარებული მეთოდიც. უცხოელ სტუდენტთათვის ქართული ენის შესწავლის უგულვებელყოფაზე როცა ვლაპარაკობ, იმას კი არ ვგულისხმობ, ვინმე დანაშაულს სჩადის, არა, ეს იმიტომ ხდება, რომ ასე ვართ დაჩვეულები, ასე ხდებოდა წლების მანძილზე და მომავალშიც, ამ მხრივ, არავითარი ძვრები არ არის მოსალოდნელი. არადა, ეს უცხოელი სტუდენტები, როგორც წესი, გამონაკლისთა გარდა, ისევე უბადრუკად ფლობენ რუსულს, როგორც ნებისმიერ სხვა უცხო ენას, თუნდაც ქართულს, რომელიც ისევე უცხოა მათთვის, როგორც რუსული. ამიტომ, სწავლების დაწყებით სტადიაზე, ჩემი მოსაზრებით, მათთვის აბსოლუტურად სუღერითი უნდა იყოს (რა თქმა უნდა, თუ მაინც და მაინც რუსულით არ არიან დაინტერესებულნი), რომელ ენას შეისწავლიან. ჩვენთან კი რუსულ ენას ისეთ რეკლამასა და პროპაგანდას ვუწევთ (თითქოს აკლდეს), მას წინ ვერც ერთი სხვა ენა, მით უმეტეს, უმცროსი ძმისა — ქართული — ვერ დაუდგება. კერძოდ, კურსდამთავრებულებს ვაძლევთ სპეციალურ სერტიფიკატებს იმის თაობაზე, რომ ისინი უფლებამოსილი არიან თაივანთ ქვეყნებში და სხვაგანაც ასწავლონ, ანუ პროპაგანდა გაუწიონ, რუსულ ენას. ეს უკვე დამატებითი სპეციალობაა, შესაბამისად, დამატებითი

გასამრჯელო და რომელი ჭკუათმყოფელი უცხოელი სტუდენტი იტყვის უარს ამგვარ უპირატესობაზე.

განა ჩვენთვის უფრო სასახელო არ იქნებოდა, უცხოელ სტუდენტთათვის ქართული ენის შემსწავლელი კათედრა ჩამოგვეყალიბებინა და ის სერტიფიკატებიც ქართული ენის პროპაგანდისათვის დაგვეხარჯა?

უმალეს სასწავლებლებში უცხოელ სტუდენტთათვის ქართული ენის სწავლებას მრავალი უპირატესობა გააჩნია, მაგალითად, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში მხოლოდ ჭეშმარიტად ქართული კულტურითა და მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტების ჩამოსვლას (და არა დიპლომებისა და საკანდიდატო დისერტაციების უიოლესი დაცვით მოხიზლული უცხოელი სტუმრების მოზღვავებას), რაც თავისთავად გამოიწვევს თბილისის საერთო საცხოვრებლებში ქართველი სტუდენტების მეტად მძიმე ცხოვრების პირობების, მათი ეკონომიკური მდგომარეობის ბევრად გაუმჯობესებას და, თუ გნებავთ, საცხოვრებელი ადგილების გამოთავისუფლებასაც.

ის, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ უცხოელ სტუდენტებთან საქართველოს კულტურისა და ისტორიის გასაცნობად, ერთ-ერთი მეტად მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხია. კეთილი ინებოს ყველა სტუმარმა, ვისაც სურს საქართველოში დაეუფლოს მეცნიერებას, დაეუფლოს ქართულად. ქართული ენის სწავლა უცხოელ სტუდენტთათვის ნებაყოფლობითი რომ გავხადოთ, მათ წინასწარ უნდა შევატყობინოთ ჩვენი პირობები. ამის შემდეგ თავად გადანყვიტონ, ისწავლიან საქართველოში თუ არა. რუსული ენის შესასწავლად და უცხოელებისათვის სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად არსებობს უკიდევანო რუსულენოვანი სამყარო, თავისი მძლავრი სამეცნიერო დანესებულებებით, სადაც არანაკლებ კარგად ასწავლიან რუსულ ენას და სხვა სპეციალობებს.

გაზ. „მამული“, N8, დეკემბერი, 1989 წელი.

ამერიკაში ცხოვრება საათივით არის ანყობილი?! (პირველი და უკანასკნელი წერილი მეგობრებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან)

ძვირფასო ქალებო!

როგორ ხართ, მე — კარგად, ამერიკულად. ეს რას ნიშნავს? ახლავე მოგახსენებთ: დაივიწყე შენი სახელი და გვარი, მაშინვე, რა წუთსაც ფეხს დადგამ ამ დალოცვილ მიწაზე! მოგაკერებენ სოციალური უზრუნველყოფის ნომერს (Social Security Number) და მორჩა, აღარავის აინტერესებს მერე, რა გქვია, საიდან ხარ, ვის დაკარგვიხარ. ამის მერე გაძლევენ ID-ის — პირადობის მონმობას, ამასაც ნომერი აქვს და ეს ნომერია შენი სახელი და გვარი. მოლარეს ID „კარდი“ თუ არ აჩვენე, საბანკო წიგნაკით არაფერს მოგყიდის. ბოლოს გადმოგცემენ „ჯადოსნურ“ საბანკო ბარათს. ამ მონმობას ოთხციფრიანი საიდუმლო ნომერი აქვს, რომლითაც ფული გამოგაქვს ქუჩაში, ბანკებში ან სავაჭრო ცენტრებში მოთავსებული ეგრეთ წოდებული ფულის მანქანებიდან. მაგრამ თუ ღმერთი გაგინყრა და ნომერი დაგავინყდა, კარგად მეყოლე. ამერიკაში ყველაფერი საათივით არის ანყობილი, რომ ამბობენ, არც ეგ არის მთლად მართალი. საბანკო ბარათი უკვე მეორედ გადამიყლაპა იმ სულელმა აპარატმა. კიდევ კარგი, პატარა ქალაქში ვცხოვრობ და ორჯერვე უკან დამიბრუნეს. მოკლედ, უკვე დღეისთვის იმდენი ციფრი მაქვს დასამახსოვრებელი, ჭკუაზე აღარა ვარ. მუშაობის დრო ჯერ ვერ გამოვნახე, მომდის და მომდის ხელმოსაწერი და დასამონმებელი ბარათები ვაშინგტონიდან. ვიდრე გავერკვევი, რას თხოვლობენ ჩემგან და რაზე ვაწერ ხელს, მთელი დღე გადის. ამათ ბიუროკრატიასთან ჩვენსას მიუქარავს; ცხვირის დაცემინებაზეც მართვის მონმობის წარდგენას ითხოვენ (ეს მონმობა აქ ყველაფერს ცვლის).

იანვრის თვე იდგა, ორი კვირის ჩამოსული ვიყავი დუხჭირი საქართველოდან. ისე დათბა, თბილები გავიხადეთ და ზაფხულის ტანსაცმელი ჩავიცვით. საღამოს წვიმა მოვიდა, მერე მოთოვა, თავი გუდაურში მეგონა. არც მე და, მგონი, არც ერთ ქართველს მსგავსი რამ ცხოვრებაში არ უნახავს: დილას გარშემო ყველაფერი ყინულის გამჭვირვალე ქანდაკებად იქცა. შუადღისათვის მთელ ქალაქში სინათლე გამოირთო და დაიწყო ნამდვილი მეორედ მოსვლა. გაყინული ხეები სიმძიმისგან წელში ტყდებოდნენ და ისეთი შემზარავი გრუხუნით ეხეთქებოდნენ მიწას, თბილისის ომის სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა. ასე გაგრძელდა ერთი კვირა და ცოტა მეტი. ამერიკელები ღრმა დეპრესიაში ჩაცვიფდნენ, მე თავი სახლში მეგონა. ჩემზე ვაჟაკურად ერთი იუგოსლაველი პროფესორი ირჯებოდა, იმისთვის სამშობლოს გარდა ყველაფერს სამოთხე ერქვა და უკვირდა კიდევ აქაურების ამგვარი შემფოთება. მოკლედ, აქ არ ვამბობ, თორემ მე ხომ ვიცი, ყველაფერი ჩემი ბრალი რომ არის, რა სიდუხჭირიდა-

ნაც წამოვედი, ის უბედურება ჩამომყვა. ახლა გვეუბნებიან, მისში ტორნადოს ელოდეთო. ჰოდა, დაველოდები და თუ გადავრჩი, მოგნერთ როგორი იყო.

ისე რა მიჭირს, კარგად ვარ, ოქსფორდი 30-იანი წლების ამერიკულ ვესტერნებში რომ გინახავთ, ისეთი „ძველი“ სამხრეთული ქალაქია პატარ-პატარა ბარებით და რესტორნებით, მღერიან ბლუზს, ქანთრის. თითქმის მთელი ქალაქი და, რა თქმა უნდა, მეც მისისიპის უნივერსიტეტში ვმუშაობთ, რადგან მთელი ქალაქი უნივერსიტეტია. მკვლევობა, ყაჩაღობა, ქურდობა აქაც დანაშაულად ითვლება, ისჯება და ამდენად, ერთობ იშვიათი მოვლენაა. აქ ჯერ კიდევ „სამხრეთია“ და, დანარჩენი შტატებისგან განსხვავებით, ცოტა სხვა კანონებით ცხოვრობენ, შავებს მაინცდამაინც არ ანებივრებენ. ორი მეტრით ჩრდილოეთში მცხოვრებს „იანკის“ ეძახიან და მაგრა აშაყირებენ. ამბიციების ზღვა, ამყები იმდენს ტრაზახობენ სამხრეთელობით და ძველი სამხრეთით, ქართველებს მოწაფეებად არ აიყვანენ. მუშაობა, რა თქმა უნდა, ამათაც მაინცდამაინც არ უყვართ, სამაგიეროდ ყველა წერს, ყველაზე პოპულარული ადგილი ნიგნების მალაზიაა — **Square Books** — პატარა მწერალთა კავშირს გავს, იქ უძახიან ერთმანეთს გენიოსებს და, როგორც წესი, ფოლკნერს ეტოლებიან (ოქსფორდი ფოლკნერის სამშობლოა). ისე, საქართველოსი არ იყოს, დიდი დალოცვილი კუთხეა: თბილი, ტკბილი, ხალხი — ყურადღებიანი. იმ ავადსახსენებელი შტორმის დროს ძალიან დამეხმარნენ, სამაგიეროდ მე და შტორმი რომ არა, მეზობლები ერთმანეთს, ალბათ, ვერასოდეს გაიცნობდნენ. მე თითქმის ყველას ვიცნობ და ყველასთან კარგად ვარ. ამათ უკვირთ, ხანდახან ერთმანეთზე ეჭვიანობენ, იმასთან ორჯერ რომ გადახვედი, მე რა დაგიშავო. ისე, ყველას ფეხებზე კიდიხარ, შენც ყველა ფეხებზე გკიდია და ხარ ასე მთვარეულივით, ვიდრე ახალი შტორმი არ დაგარტყამს.

ამ წერილიდან ბევრი თუ ვერაფერი გაიგეთ, ეს იმის ბრალი იქნება, რომ ჯერ კიდევ ვერ მოვერგე კარგად აქაურობას. რომ გითხრათ, მაქაურობა მენატრება-მეთქი, ბანალობად ჩამითვლით, მაგრამ ასეა. ეს ამერიკა, სადაც მე ვარ, თურმე ყველაზე კარგი ამერიკაა, მაგრამ მაინც დიდი ვერაფერი ბედენა ქვეყანაა, არავინ მოგატყუოთ. არც ამათი თავისუფლებაა მთლად „ჭეშმარიტი“: პრესა, ტელევიზია, იდეოლოგიის მანქანა ისე მუშაობს, ისე ატვინებს ადამიანს, ცენზურა და მთავლიტი ზედმეტია. დამუშავებული და ყალიბში ჩასმული ხალხის ქვეყანაა, ბედნიერები ვართო, ყველაფერზე იძახიან და ისე, როგორც ჩვენ, ყველა უადგილო შემთხვევაში, „ღმერთი არს ჩვენთან“ გვაქვს პირზე მიკერებული, ისინიც, საშუალება მიეცემათ თუ არა, **God Bless America**-ს გაჰყვირიან თავგამოდებით. — ჩვენ რომ რუსების მოგონილი გვეგონია, თურმე ამათ მოუგონიათ. აქვთ ალბათ საბაბი და იმიტომ. ცხოვრებით მართლა კარგად ცხოვრობენ, აქ, სამხრეთში — განსაკუთრებით. „ზასტო-ისდროინდელი“ საქართველოსავით არის: ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვის უკეთ აცვია, ვის მეტი ქონება აქვს დაგროვილი, ვის უკეთესი განათლება მიუღია, ვი-

სი შვილი სად სწავლობს, რა მიღწევები აქვს, მოკვდება და მეორეს, საშუალოდ ვარო არ ეტყვის. „შესანიშნავად!“ — ამბობს ისე, რომ ეჭვსაც ვერ შეიტან მის კეთილდღეობაში. მოკლედ, აბრუებენ და აბრუებენ ერთმანეთს ზოგი ტყუილით და ზოგიც — მართლით. ამბობენ, სამხრეთის მაფიის ცენტრი სწორედ აქ არისო. მე ამისი არაფერი ვიცი, ისე კი ძალიან მაინტერესებს ნამდვილი „მაფიოზების“ ნახვა. ახლა თქვენ მეტყვით, თბილისის მაფიის მერე ამერიკის მაფიაზე დროს რომელი სულელი დაკარგავსო, მაგრამ ტრადიციული, როგორც არ უნდა ჩამორჩებოდეს თანამედროვეს, მოგეხსენებათ, მაინც სხვაა.

ძალიან გაჭირვებული კაცი მე აქ ჯერ არ მინახავს. ტრანსპორტი არ არსებობს. მთელს ქალაქში მარტო მე, ნოდარიკო და ორი რუსი დავდივართ ფეხით. აქაურები ბავშვობიდან მანქანებზე სხედან, ჩვენ სპორტსმენები ვგონივართ, თორემ იმას როგორ წარმოიდგენენ, მანქანა რომ არა მყავს და არც ყიდვის საშუალება გამაჩნია. ტარება არ ვიცი-მეთქი, რომ ვთქვა, გაუსინჯავად გამაქანებენ ფსიქიატრიულში. მოკლედ, ამაყად დავაბიჯებ ფეხით და გაკვირვებული ძაღლები მომმტერებიან, არ იციან, დამიყფონ თუ არა (ტყუილად აშშ-ში ძაღლიც არ იყფება). მანქანებიდან ხალხი ხელს მიქნევს და ცერა თითს მიწევს, მაგარი ხარო. მეც დაჩემებული მაქვს, ეკოლოგი ვარ და, რაც ბოლს უშვებს და გარემოს აბინძურებს, იმას პროტეტს ვუცხადებ-მეთქი. გაგეცინებათ და მიმდევრებიც გავიჩინე. მოკლედ ასეა, თან არც მაინცდამაინც ასეა, ცოტას ვამატებ, როგორც ყოველთვის. ძალიან მინდა თქვენთან ჯდომა და ჭორაობა. ერთი ქალი მოდის ხოლმე სახლის დასალაგებლად, იმას ვეჭორავები, დანარჩენები უფრო სწობები არიან და მხოლოდ ოჯახის კეთილდღეობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ეკოლოგიურ პრობლემებსა და ქველმოქმედებაზე სურთ საუბარი, ისე, ძალზე კარგი დისასახლისები არიან, მშვენიერი სამზარეულო აქვთ, არაფრით ჩამორჩება ქართულ სამზარეულოს. მე დიდ სახლში ვცხოვრობ, მყავს ულამაზესი კატა, მაქვს ჭურჭლის სარეცხი და ისე სარეცხი მანქანა, ეზოში დილ-დილაობით მოდიან ირმები, სამშაბათობით მოდის ქალი და მილაგებს სახლს, მოკლედ, დედოფალივით ვცხოვრობ, მაინც თქვენთან მინდა. თუმცა ჯერ არა, ჯერ კიდევ მენანება ამ პატარა სავანის დათმობა. თბილისის ზამთარი რომ მახსენდება, გული მისკდება, მაგრამ, არ დამიჯერებთ და მაინც იქ მინდა, სადაც ჩემიანები არიან და ჩემიანებს უჭირთ, მოკლედ, ყველაფერი სიაფანდია, რაც შენი არ არის. იმიტომ მეცოდებოდნენ ჩვენი მეგობრები, რომლებიც კვიპროსში ჩვენზე ბევრად უკეთ ცხოვრობდნენ. ახლა მე დამიჯერეთ, არაფერი მაკლია, შესანიშნავად ვცხოვრობ და მაინც „აუტსაიდერი“ ვარ. აქ ეგ ძალიან საგრძნობია. ჩვენსავით კი არ არიან, აქ სტუმარი დაუდგენელი ხარისხის ადამიანია, მასპინძელი კი — პირველი. კარგი იქნებოდა, ცოტა ჩვენც გვესწავლა ჭკუა და ჩვენი ნიჭი სტუმარ-მასპინძლობის უნიკალური ინსტიტუტის შექმნის ნაცვლად სხვა სფეროშიც გამოგვემულავნებინა.

დამიშრა მელანი, დანარჩენს მერე მოგნერთ, სათქმელს და მოსანერს ამერიკაში რა დაღვეს. ამჯერად გკოცნით, გეხვევით, ვხარობ თქვენთან ერთად, თუ გასახარია, ვტირი — თუ სატირელია, მიყვარხართ.

1994 წელი. 3 მარტი.

გაზ. „დილის გაზეთი“, 24 ივლისი, 1996 წელი.

საუკეთესო სურვილებით!

გაზეთ „მერიდიანის“ 14-18 ივნისის (პარასკევი-სამშაბათი) ნომერში დაიბეჭდა სტატია „მწერალთა კავშირი — კომუნისტური ატავიზმი საქართველოში“ (ავტორი ზაზა გვიმრაძე). ამ სტატიამ ერთი ძველი, მაგრამ თავის დროზე პოპულარული ანეკდოტი გამახსენა:

„კახელი მამა მოსკოვიდან შვილის გამოგზავნილ წერილს კითხულობს ხმა-მაღლა: მამი, ფული გამომიგზავნე!!!“

— ჩემ ფეხებს გავეუგზავნი... დაეწერა: მამი, ფული გამომიგზავნე?

მწერალთა კავშირს რომ დაშლა და გაქრობა ემუქრება, ამაზე კამათი და შეხლა-შემოხლა დღეს არ დაწყებულა, ძალზე მოძველებული, მაგრამ როგორც ირკვევა, ზოგიერთებისთვის ერთობ მომგებიანი და „მარადმწვანე“ თემაა. ამაზე იყო ლაპარაკი საქართველოში „სოციალიზმის განვითარების პიკის“ დროსაც. მას არაერთგზის უწოდებდნენ ეპოქასთან შეფარდებით რალაციის ატავიზმს, კოლმეურნეობას, „ცეხს“, მდივანთა კავშირს და კიდევ არაერთ მაინტრიგებელ თუ გასაკილ სახელს. დღეს ზაზა გვიმრაძე მწერალთა კავშირის ახალ, სტილურად გამართულ, მაგრამ გრამატიკულად რთულ დეფინიციას გვთავაზობს — „სერვანტების“, „კუხნის“ და საზღვარგარეთ მოგზაურთა მოყვარულთა კავშირი. ასეთი სხარტი შეფასება მწერალთა კავშირისთვის, სამწუხაროდ, მაშინაც კი არ მიუციათ, როცა იქ „სერვანტები“, „კუხნები“, „ტროიკები“, „სერვიზები“, ავტომანქანები და შემოქმედებითი მივლინებები მსოფლიოს ყველა კუთხეში ოხრად ეყარა. ამ განსაზღვრებამ კიდევ ერთი, სოციალიზმის-დროინდელი ანეკდოტი გამახსენა:

ერთი კაცი გამყიდველს ეკითხება:

— ხიზილალა გაქვთ?

— არა.

— ზუთხი?

— არა.

— ორაგული?

- არა.
- ზეთისხილი?
- არა.

— აბა, რა გაქვთ? — ამბობს გაბრაზებული და გადის მაღაზიიდან. გამყიდველი საჩვენებელ თითს მიიძებს საფეთქელზე და მეორე მომხმარებელს მიმართავს, ეს კაცი გიჟიაო. მომხმარებელი კი უპასუხებს: გიჟის რა მოგახსენო, ნახე, რა მეხსიერება აქვსო!

შესაშური მეხსიერება და სალი, ახალგაზრდული გონება თქვი, თორემ მწერალთა კავშირში უკვე რა ხანია (უძრაობის დროიდან) „სერვანტები“, „კუხნები“ და ასე შემდეგ ოცნებასა და საგანთა აღქმის სფეროდან სრულიად ამოვარდნილ ცნებებად იქცა. საგზურებს კი, ადრე უფასო რომ იყო, ისეთი ფასი ადევს, მოგზაურობის მოყვარულთა კავშირის წევრებს კილომეტრის მანძილზე ხელს, თვალს, ყურს, გულს, ტვინს და, რაც მთავარია, სურვილსაც უსპობს.

აღსანიშნავია, რომ ზაზა გვიმრაძე იმ მოკლე წერილში ყველაფერს თავის სახელს არქმევს, რაც უთუოდ მისასალმებელია მაშინაც კი, თუ არ ეთანხმები. მაგრამ, როცა ერთ გარკვეულ პრინციპს ემსახურები, უნდა კიდევ ბოლომდე უერთგულო მას, თორემ რა განსხვავებაა შენსა და მათ შორის, ვისაც „გამყიდველური ბუნების სოციალურ ჰიბრიდს“ ეძახი. კერძოდ, იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ „საქართველოში ოთხი მწერალია“, ვინ არის ეს ოთხი მწერალი, ამას რატომღაც არ ამბობს ზაზა გვიმრაძე. განა ასე ძნელია ოთხი კაცის დასახელება? რა უდგას ამას წინ. გაგვიძილეთ თქვენი არჩევანი და ეგებ ჩვენც მანდა ვართ. ეგებ არც ის ოთხი მწერალი იმის ღირსი, რომ მწერალი ერქვას, ანდა ეგებ, გამოგრჩათ ვინმე და ჩვენც თითო-ოროლა სახელი აქვე მოკრძალებით შემოგაშველოთ. სამწუხაროდ, საქმე უფრო რთულადაა. ამგვარ ტონში მოსაუბრეთ, როგორც წესი, ავიწყდებათ, რომ უნდათ თუ არ უნდათ, სწორედ იმ სოციალური ჰიბრიდის ნაყოფს წარმოადგენენ, თურმე „ისტორიის კანალიზაციისკენ“ რომ მიემართებიან თავანყვევით, გზადაგზა კი იმას მაინც ახერხებენ, მოდას არ ჩამორჩნენ. მერედა, რა არის დღეს მოდამი? მოდამია დაუძღურებულ, შეცდენილ, შერცხვენილ და გზააზნეულ მშობელს რაც შეიძლება მეტი ჩირქი, ღვარძლი, ნაღველი და ლაფი გადმოანთხიო. ამას ჩემი ახალგაზრდობის (ანუ უძრაობის) დროს „პავლიკა მოროზოვის სინდრომი“ ერქვა. ახლა რა ქვია არ ვიცი. ასეთი საყოველთაო ზიზლით საყოველთაო სიყვარული და პოპულარობა ჯერ არავის მოუპოვებია.

დაგენერა, შე კაი ადამიანო:

„მამი, ფული გამომიგზავნე?“

და ჩვენც მანდ ვიქნებოდით. ამით ხომ შინაარსი არ შეიცვლებოდა?!

გამოცეთ თუ არ გამოცეთ? ანუ: გაიყიდება თუ არ გაიყიდება

1994 წლის 8-10 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ოქსფორდში (შტატი მისისიპი), მისისიპის უნივერსიტეტში გაიმართა „ნიგნის“ ყოველწლიური მეორე კონფერენცია. წილად მხვდა ბედნიერება, მწერალთა და ნიგნის „მკეთებელთა“ ამ დიდ ფორუმს დავსწრებოდი. კონფერენციის დღიური კი დავწერე, მაგრამ კარგა ხანია, შიგ ალარ ჩამიხედავს. ახლა, როცა ვიხედები, ისეთი აღტაცებით აღვიქვამ ზოგიერთ ჩანაწერს, კაცი იფიქრებს, სხვისი დანერვილიაო.

ასე, მაგალითად, ვკითხულობ: „უოლტ უიტმენმა თვითონ ააწყო თავისი „ბალახის ფოთლები“, ჩასვა ყდაში, დაპრესა, დაასურათა, მერე თვითონვე დანერა ნიგნზე რამდენიმე უარყოფითი და დადებითი გამოხმაურება, უარი და თანხმობა ამ ნიგნის გამოცემის თაობაზე და შემდეგ თავისი ანგარიშით გამოსცა“. ციტატა ეკუთვნის კონფერენციის მონაწილე გამოცემელსა და კრიტიკოსს ჯოზეფ ჰელერს. აქვე ვიგებთ, რომ ამ ნიგნის ტირაჟი პირდაპირპროპორციული ყოფილა უოლტ უიტმენის საერთო მატერიალური მდგომარეობისა, დაახლოებით ხუთას ეგზემპლიარამდე (ეს მთელი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის). სამწუხაროდ, ჩემი მაშინდელი კომენტარი და რეაქცია ამ ციფრზე დღიური არ ჩამიწერია. ეტყობა, არც მქონდა და იმიტომ. სამაგიეროდ, ახლა აღვშფოთდი, პარადოქსულად და ერთობ სიურეალისტურად მომეჩვენა ჩვენს ერთ ციდა საქართველოში სულ რამდენიმე წლის წინ ასიათასიანი ტირაჟებით გამოცემული ნიჭიერი და უნიჭო, წასაკითხი და პრაქტიკულად ვერ წასაკითხი ნიგნებით ჩაზნექილი ნიგნის თაროები, ქუჩის დახლები, მაკულატურით გამოტენილი საცავეები, თავშესაფრები. თქვენ მეტყვით, სულ რამდენიმე წლის წინ საქართველო დიდი საბჭოეთის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო და მასშტაბებიც საბჭოური ჰქონდაო, ამაზე გიპასუხებთ, უთუოდ მართალი ბრძანდებით-მეთქი, თან დავსძენ, რომ მაშინ „ზასტოისდროინდელ“ გამოცემლობებში ხშირად გაიგონებდით, ომი რომ დაიწყო, დავილუპებით, თავშესაფარში ცხვირს ვერ შეყოფ, გაუყიდავი ნიგნებითაა გამოტენილიო. როგორც ვიცი, არც უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლების“ ნაცოდვილარი ხუთასი ეგზემპლიარი დაუტაცია „უეკთესზე“ აღზრდილ ამერიკელ მკითხველს, მაგრამ განსხვავებაც ხომ არის და განსხვავებაც — სულ რაღაც 99500 ცალი ნიგნი.

ტარიელ ჭანტურიამ მითხრა, წავიდა დიდი ტირაჟების დრო, ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. სადაა გიომ აპოლინერის ასი ათასი მკითხველი, დღეს საქართველოში დიდი-დიდი ასი ცალი გაიყიდოს. აბა, როგორ გგონიათ, პოეზია მეფეების ნუგბარიაო. მჯერა, რომ ასეა, და, წარმოიდგინეთ, არც კი მიკვირს, რატომ არ იყიდება ასი ცალი გიომ აპოლინერი. არც ის მიკვირს, რა

რჯიდათ, ასიათასიანი ტირაჟებით რომ გამოსცემდნენ მავანსა და მავანს. მე მხოლოდ იმის მეშინია, რომ ვიცი: ის ავადსახსენებელი თავშესაფრები, ნიხლით შეტენილი გაუყიდავი მაკულატურით რომ არის გამოვსებული, ჯერ არავის გახსენებია და ახლა უკვე ახალი, ნაკლებტირაჟიანი, ფორმა-შინაარს ახელილი, ნახევრად პორნო, ნახევრად ფსიქო, ნახევრად მოდერნ და ნახევრად პათოლოგიური გაუყიდავი ლიტერატურით ივსება. თანაც უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, როდესაც ომის საშიშროებამ ფანტასტიკის სფეროდან რეალურში გადმონაცვლა, გამართული თავშესაფრების არსებობა-არარსებობა ერთობ აქტუალური პრობლემა გახდა და მოსწრებულმა ფრაზამაც — ომი რომ დაიწყოს, დავიღუპებით — იუმორისტული ელფერი სრულიად დაკარგა.

მე რომ პროფესიონალი გამომცემელი ვყოფილიყავი, იქვე კონფერენციაზე მივხვდებოდი, რატომ ადარებდნენ ამერიკელი გამომცემლები ბექდვით წარმოებას უკიდევანო უკეანეს — თანაც არა „წყნარს“, არამედ ვერაგს, მუდამ მშფოთვარესა და საიდუმლოებითა და მოულოდნელობით აღსავსეს: „ავტორს რომ ჰგონია, გამომცემლობას რომანი ჩავაბარე დასაბეჭდადო, აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელს საოპერო ლიბრეტო გამოუცია“ — ასე მასხრობენ ამერიკელი გამომცემლები თავიანთ წარმოებაზე და ასე ამასხარავებენ მათზე ხელეებითა და ფეხებით ჩამოკიდებულ საცოდავ ავტორებს (აღბათ, საავტორო უფლებების დაცვით). ამ ჩანანერს იქვე მინანერიც აქვს: „იცინეთ, იცინეთ, რა გენაღვლებათ, საქმე საათივით გაქვთ აწყობილი, მანქანა ჩართულია, თქვენ ღილაკებს აჭერთ“. მერე უცებ აღმფოთებული — „ცენზურა!!!“ თურმე გამომცემელს ფოლკნერისათვის დედნიდან ორმოცი გვერდი, როგორც არაფერი, ისე ამოუღია. ესეც შენი „უცენზურო“ ამერიკული ბექდვითი სიტყვა — არ მოენონა და ამოუღო — ფოლკნერს. და, აღბათ, არა მარტო ფოლკნერს, შერვუდ ანდერსონსაც, სკოტ ფითჯერალდსაც, ჰემინგუეისაც, კურტ ვონეგუტსაც...

„ამერიკელები ისევე დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ლიტერატურაში, როგორც პოლიტიკაში. როდესაც ლიტერატურის იმპორტს ენევი, რა დამოუკიდებელიც არ უნდა იყო პოლიტიკურად, ლიტერატურულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია“, — ვკითხულობ კონფერენციის მეორე მონაწილის, ცნობილი ლიტერატურული აგენტის ვენდი ვეილის გამონათქვამს და თან მეღიმიება, ასე როგორ ემსგავსებიან განსხვავებულ ერთა პრობლემები ერთმანეთს. ეტყობა, მართლა ერთი ციციქნაა ეს დედამინა და მართლა მჭიდროდ დასახლებული, თორემ ასე ერთ ჯამში როგორ იხარშება ოკეანის გაღმა და გამოღმა ვნებები?! განსხვავება ამ ვნებათა გამოხატულებაშია. ქართველმა იცის, რომ გენიალური უნდა შექმნას, პროპაგანდა და გავრცელება მისი საქმე არაა. ამას ვილაცა სხვა მოუვლის. საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ და არა შენ თვითონ წარმოაჩინე საქმენი შენნი. ეს რომ უოლტ უიტმენს სცოდნოდა, დაიკრეფდა გულზე ხელს, გადაიდებდა ფეხს ფეხზე და თავს არ მოიკლავდა „ბალახის ფოთლების“ ტექნიკური სრულყოფისათვის. თუმცა, ასე რომ

მოქცეულიყო, სულ ცოტა, საქართველოში მაინც უნდა დაბადებულიყო, დიდ საბჭოეთში თუ არა.

დღეს ლიტერატურაში საბაზრო ეკონომიკის კანონები ბატონობენ. ამიტომ, დაბეჯითებით, ახლა ვერც უოლტ უიტმენის წარმატების პერსპექტივებზე მოგახსენებთ რამეს. ერთი მსურს მხოლოდ — აღსრულდეს ტარიელ ჭანტურიას პროგნოზი: ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს და ვისაც ეკუთვნის, იგი გაუდგეს ოლიმპოს მთის ბალახმოკიდებულ ბილიკებს მწვერვალისაკენ.

გაზ. „დილის გაზეთი“, 1 აგვისტო, 1996 წელი.

ჩვენი სურვილის ავტობუსი

ვის უმგზავრია თურქეთიდან საქართველოში მერსედესის ფირმის ავტობუსით? გაგეცინებათ ამ კითხვაზე, რადგან ალბათ მთელს თუ არა, ნახევარ საქართველოს მაინც, თანაც არა მარტო თურქეთიდან, არამედ პირიქით, თურქეთშიც, საბერძნეთშიც და კიდევ სხვა მიმართულებითაც. პირადად მე პირველად მხვდა წილად ეს ბედნიერება და არ შემოძლია არ გაგიზიაროთ. თურქეთის მშვენიერი საზღვაო კურორტიდან, მარმარისიდან მოვემგზავრებოდით. ავტობუსის ერთ-ერთი მძღოლი, თურქი ყმანვილი, მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულად და დაგვპირდა, უპრობლემოდ გადაგვამტ ტრაპიზონში თბილისისაკენ მიმავალ ავტობუსშიო. დაუფჯერეთ. მართლაც, საგულდაგულოდ გაპრიანებულმა, კომფორტულმა ავტობუსმა გეზი ტრაპიზონისკენ აიღო და ახლა, გემივით მისრიალებდა თურქეთის, რომ იტყვიან, გაუთავებულ გზებზე. ჩვენი ქართულად მოტიკტიკე გამყოლი, სულ თავს დამტრიალებდა. რატომღაც შენიშვნებს მაძლევდა, გეგონებოდა, ეშინოდა აქ, თურქეთში, ამ ქართველმა ქალმა რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს და არ შემარცხვინოსო. რატომ აკეთებ-მეთქი ამას ვკითხე და მიპასუხა: „თქვენთან საქართველოში პრობლემ არა, თურქეთში პრობლემ“! მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი რას გულისხმობდა, მაგრამ მაინც ვეცადე ზუსტად ისე მოვქცეულიყავი, „თურქეთში პრობლემ“ რომ არ შემექმნა მისთვის. მივიყუყე ჩემს კუთვნილ კუთხეში და მთლიანად მივინდე მის დირექტივებს. ერთ-ერთ დიდ გაჩერებაზე ვკითხე, საიდან ხარ, ქართული ვინ გასწავლა-მეთქი. ასე მიპასუხა, თბილისში ცოლი მყავსო ქართველი, საბურთალოზე ოროთახიანი ბინა ვიყიდე და ნახევრად თბილისში ვცხოვრობო. რატომ ნახევრად-მეთქი. იმიტომ, რომ ერთი ცოლი რიზეშიც მყავს, იქაც სახლი მაქვს და ნახევრად იქ ვცხოვრობო. მერე რომელი ქართველი გამოგყვა მაგ პირობით-მეთქი, გული დამწყდა ვილაც ქართველი გოგონას გამო. ვისაც პირ-

ველად შევთავაზე, ის გამომყვავო, მიპასუხა ამაყად. ესეც მე! რას ვუპასუხებდი, მხრები ავიჩქეე მხოლოდ.

მთელი გზა ამ ყმანვილის ყურადღება არ მოგვეკლებია. თანაც რაღაც ისე შინაურულად მეძახოდა „გოგოს“, გულიც კი მომიბრუნდა მისკენ. სიტყვა პირნათლად შეასრულა, ტრაპიზონში მშვიდობიანად ჩამოგვიყვანა და ავტობუსების მთავარი ტერმინალის ერთ-ერთ ტურისტულ ბიუროს პატრონს მზრუნველობითა და პასუხისმგებლობით ჩააბარა ჩვენი თავი. მადლობა მას ამისთვის.

ახლა იწყება ჩვენი მოგზაურობის ახალი ეტაპი — ქართულ-თურქული კულტურულ-ეკონომიკურ-სოციალურ-ყოფითი და, თუ გნებავთ, პოლიტიკური ურთიერთობანიც. მერსედესის ფირმის ავტობუსი ნახევრად ბარგით იყო გაჭედილი, ბარგი: უშველებელი ყუთები, ჩანთები, ათობით კორდონის კოლოფი, ანტენები, გენერატორები, მეტალის ნანარმი, მოკლედ, ყველა საუკეთესო ადგილი, რაღაც ნივთს ეკავა, რომელსაც ამ ავტობუსში აშკარად მეტი დაფასება და პატივისცემა ჰქონდა, ვიდრე უბრალო მოკვდავ მგზავრს. ავტობუსში ქართველ მანდილოსანთა ერთი ჯგუფი ამოვიდა, და თავისი ადგილები რომ დაკავებული დახვდათ (ბარგით), წინა რიგებში მოკალათდნენ, ცოტა კი წაიბურტყუნეს, აქ ჩვენ მაინც არავინ მოგვასვენებსო. ერთ-ერთ მათგანს თურქული ტანისამოსი ეცვა — ფუშფუშა წრელი ბოლოკაბა, გრძელსახელოებიანი, ასევე წრელა-წრულა პერანგი და თავზე ქალაღია ჰქონდა შემოხვეული. თათრის ქალისაგან ვერ გავარჩევდი — ისე კახეთიდან იყო. ხელში ძველი გიტარა ეჭირა. თურქ მძღოლებს მათ ენაზე გამართულად გამოელაპარაკა და ავტობუსის სიღრმეში გასწია. იქ ბარგთან ახლოს მოკალათდა. ნელ-ნელა სხვებიც ლაგდებოდნენ. ავტობუსში მკაცრი სახით შემოიხედა კომპანიის ზედამხედველმა, ამ ქალებს შეუბღვირა და რაღაც დარიგებები მისცა. იმათაც ქართულად მიანყევლეს, შენი ჯიში განყდაო და წინა რიგებიდან ოდნავ უკან გადაინაცვლეს. ნახევარი საათი გადაცდა განრიგით დადგენილ გასვლის დროს. ამაშიც ეტყობა ქართველები ვართ დამნაშავენი. როგორც იქნა, დავიძარით. მთავარ გასასვლელში, შლაგბაუმს რომ მივადექით, პოლიციამ გვანიშნა, უკან დაიხიეთო. დავიხიეთ, უფრო სწორად გზა დავუთმეთ რამდენიმე სხვა ავტობუსს, რომელთაც ეტყობა დანიშნულ ადგილას უფრო ეჩქარებოდათ, ანუ უბრალოდ ეკუთვნოდათ კიდევ ჩვენგან გზის დათმობა. მერე თათრის ქალს რომ ჰგავდა, იმ კახელმა დედაკაცმა, გიტარას მოკიდა ხელი და ჩამოჰკრა, ყველანი მისკენ შევტრიალდით, მიდი, დაიწყეო, შესძახეს მეგობრებმა და იმანაც დაიწყო, ჯერ დამწვრისა, მერე სახუმარო, სადედამთილო, სარძლო, სამამამთილო, ქალაქური, კახური, კინტაური, შალახო, ბოლოს, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ დააგუგუნა. მარტო კი არ მღეროდა, ყველანი ავყევით, ვიცინოდით, ვყაყანებდით. საოცარი სიტბო და სევდა ჩამედვარა სხეულში. როცა თქვა, გიტარა რომ არა, აქ რა გამაძლებინებდაო. ბაზარში ხუთი საათის შემდეგ რა უნდა აკეთო, ვზივარ და ვუკრავ ჩემთვისო (მე კი მივხვდი, რომ მარტო თავისთვის არ მღეროდა, სხვებსაც

ართობდა და ცოტა ფულსაც შოულობდა ამით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ხუთი საათის შემდეგ მეორე დილაზე ბაზარში ზიხარ და მხიარულად დასტორი საკუთარ თავს. ავტობუსი გაჩერდა. დაიწყო — ვიფიქრე. ამჯერად შეეცდი. პატარა მალაზიიდან ორი ქალი გამოვიდა. ერთი ათი წუთი ბარგს ეზიდებოდნენ ავტობუსში, შემდეგ თვითონაც ამოყვნენ. ადგილები ნელ-ნელა მცირდებოდა. ჩვენი ძველი თანამგზავრები დიდი აჟიოტაჟით შეხვდნენ ამ ქალებს. სახელებიც კარგად იცნონენ მათი — ეკა და თეონა. ეკას და თეონას ამ წამოსვლაზე შედარებით ნაკლები „მესტა“ მოჰქონდათ, ხასიათზე ვერ იყვნენ. ავტობუსში საოცარი შინაურული ატმოსფერო სუფევდა. ყველაფერს გულწრფელად ჰყვებოდნენ, ცოტაც, და მეც მათი ცხოვრების თანამონაწილე და მოზიარე გავხდი. ლაპარაკი ქართველების ორპირობასა და გაუტანლობაზე ჩამოვარდა. თეონამ ამის დასტურად ერთი ეპიზოდი შემოგვთავაზა თავისი ცხოვრებიდან: „ჩვენთან სასტუმროში ერთ თურქს მოვენონე, ყველაფერზე შევთანხმდით, წასვლა რომ დავაპირე, დოდომ (დოდოს ყველა იცნობდა) მითხრა, დააყეო, იმ კაცმა გადაიფიქრა, სხვა ქალი წაიყვანაო, მერე გავიგე დოდოს იმ კაცისთვის უთქვამს, ეგ არ წაიყვანო, ავად არის, რამე არ შეეყაროსო“ — მსმენელებმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის მეც, უმაღლესად ვილაც ყოვლისშემძლე დოდოს საქციელი. ესეც მასობრივი ჰიპნოზი, თორემ ვინ მეკითხება ან დოდოს ან თეონას მოღვაწეობის შეფასება-ანალიზს. მაინც ბოლომდე ჩავვიძიე. აღმოჩნდა, რომ ჩვენი სასიქადულო გოგონები აქ, საქართველოში, აღმოსავლური ცეკვების კურსებს გადიან, იქ კი, თურქეთში, თურქ ქალებს უწევენ კონკურენციას, იაფფასიანს, რა თქმა უნდა, თუმცა ძალიან კი ცდილობენ, კვალითაცაია აიმაღლონ. მერე უეცრად თვალში მომხვდა, რომ ამ მანდილოსანთა უმეტესობას თმა ქერად ჰქონდათ შეღებილი. ისე, უბრალოდ ქერად კი არა, ყვითლად. ყორანივით შავი წარბები, მაყვალისვით შავი თვალები და ოქროს კულულები. ავტობუსის მძღოლი და მტურმანი ხმამაღლა ყაყანებდნენ, რადიო ბოლომდე ჰქონდათ აწეული და ბაიათებს უსმენდნენ. ღამის ხუთი საათია, ერთი კი დავიყვირე, ახლა გაჩერდით და გამორთეთ ეგ რადიო-მეთქი, მაგრამ ქალებმა მთხოვეს, ნუ გააღიზიანებ, თორემ მთელი გზა სისხლს გაგვიშრობენო. მე ვიუარე, სისხლის გამრობა როგორი უნდა აქეთ მოიკითხონ-მეთქი. მაგრამ გამახსენდა, ნავში მენავეს რომ არ ეკამათებიან და გაჩუმება ვარჩიე. ერთი-ორჯერ კიდევ გაჩერდა ავტობუსი. ჩაის დასალევად გადავედით. კაფეს მეპატრონეს ვთხოვე, ხელ-პირი დამაბანინე-მეთქი. იქვე პატარა სასტუმროში შემიძლვა და ონკანზე მიმითითა. ონკანის გვერდზე ოთახი ღია იყო, იქვე ვილაცას ქერა თავზე საბანი ჰქონდა წაფარებული და პრაქტიკულად შავ ქვეშაგებში, ასე მოღიავებულში ეძინა მშვიდი ძილით. რეგისტრატურის მაგვარ ოთახში რამდენიმე კაცი და რუსის ქალი შეკრებილა. მომესმა, რომ ეს ქალები თურქულად მეტყველებდნენ, ოღონდ ქართული აქცენტით, შიგ შევედი, ვითომ რაღაც მაინტერესებდა. ოთხი, ყვითლად შეღებილი ქართველი გოგონა, საქმიანად ესა-

უბრებოდა და ეკამათებოდა კიდეც სასტუმროს ადმინისტრატორს. შემომხედეს და ერთმანეთს ქართულად უთხრეს, მგონი ქართველიაო. მე წავუყრუე — შემრცხვა იმ თურქი ოღრაშისა, თორემ ქართველი გოგონების დანახვა ინსტინქტით გამიხარდა კიდეც. მერე გავბრაზდი, რატომ გამიხარდა-მეთქი, მერე გამახსენდა, როგორ დამსდევდა იმ პირველ ავტობუსში თურქი მძღოლი და მოქცევას მასწავლიდა. ეშინოდა მისი ქართველი ცოლი არ შემერცხვინა თურქეთის მიწაზე. მერე გამახსენდა, რომ ისტორიულად თურქეთში ქართველ ტყვე ქალებს ოქროში ცვლიდნენ ან დიდგვაროვან ხანებს უძღვნიდნენ საჩუქრად. ახლა ამ გაუბედურებული თავისუფალი ქართველი ქალის მინიმალური ფასი თურმე სულ 5 ამერიკული დოლარია. თანაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთს არ უმუხთლეს და უღალატეს.

ყველაზე ეფექტურად ქართველი ქალბატონები საბაჟოზე გამოვიყურებდით. უკუნი სიბნელიდან გამოყრილი ნახირივით თავგზაბნეულები შეგვყარეს თურქეთის საბაჟოში და თითქმის სახრის რტყმით ჩაგვყყენეს რიგში. მუჯღლუგუნებით ასწორებდნენ მებაჟეები უსწორმასწორო ქართულ რიგს, ქართველი დედაკაცები კი ერთმანეთს ვდებდით ბრალს უნიათობასა და მოუნესრიგებლობაში. ვერც ჩხუბსა და თმებით ერთმანეთის წწევას გადავრჩით. ამის შემხედვარე მებაჟეები ერთობ გამხიარულდნენ, ცოტა ისიერეს და შემდეგ ისევ სახრით ჩასვეს მოქიშპეები კალაპოტში. თურქეთის საბაჟოში კიდევ რამდენჯერმე ამონყვიტეს ქართველმა ქალებმა თურქების ჯიში და ჯილაგი და ასე, წყევლა-წყევლით, როგორც იქნა გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი. იქ მათ აღარავინ ერხუბებოდა, არც სახრეს ურტყამდა. უმტკივნეულოდ, სულ ფერებფერებით გააძრეს ცხრა ტყავი და სუნთქვის, დაცემინების, არსებობის და მომსახურების დაუნერელი საბაჟო გადასახადები ოთხმაგად გადაახდევინეს. შემდეგ გზა მშვიდობისა უსურვეს. აქედან კი იწყება ნამდვილი მშვიდობიანი სვლა სამშობლოს მიწაზე, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე ტყიდან გამოვარდნილმა გზაში არ დაგაყარა, საგზაო ინსპექციამ არ დაგაჯარიმა, უადგილო ადგილას ავტობუსს ბენზინი არ გაუთავდა და ბოლოს, რაც მთავარია, თუ ღმერთი არ გაინყრა და საპირფარეშო არ დაგჭირდა.

გაზ. „დილის გაზეთი“, 5 ოქტომბერი, 1996 წელი.

პათეტიკა დლესასწაულის შესაბამისად

„ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების 130 წელი 1992 წელს შესრულდა, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო მაშინ არ მოხერხდა იუბილეს ჩატარება და აი, წელს, 1996 წლის ოქტომბერში, იუნესკოს ეგიდით აღინიშნება დიდი ქართველი მხატვრის საიუბილეო თარიღი“ (გაზეთი „ფიროსმანი“, დეკემბერი, 1995, N2, გვ. 1).

ის, რომ 1992 წელს ფიროსმანის იუბილეს გადახდა არ მოხერხდა „მრავალი მიზეზის გამო“ დღეს არავის უკვირს. გვიკვირს მხოლოდ ერთი: როდემდე უნდა ვეძახოთ ჟურნალისტებმა კონკრეტულ მოვლენას საქართველოში — სამოქალაქო ომს — ცნობილი მოვლენები, გარკვეული მიზეზები, მრავალი ხელის შემშლელი ფაქტორი, ავადსახსენებელი დრო და ასე შემდეგ. მართალია ჭრილობებზე მარილის მოყრა მხოლოდ სადისტებს და ჟურნალისტებს ეხერხებათ, მაგრამ ამ შემთხვევაში სადისტებიც და ჟურნალისტებიც, რატომღაც, თანამედროვე მელოდრამის პერსონაჟებად ქცეულან და მახვილი სიტყვის ნაცვლად სულ ჭრელ-ჭრელ და სურნელოვან თაიგულებს ისვრიან ხოლმე გაურკვეველი მიმართულებით, თუმცა ხანდახან, შეიძლება, მონამულ თაიგულებსაც.

თქვენ მეტყვიით, ახირებული ქალი თუ არა ხარ, ამ პატარა, უწყინარმა აბზაცმა რატომ გაგაგიჟაო, მერე ვილაც იმასაც წამომადახებს, განა ეგ ფრაზა შენ თვითონ ჯერაც არ გიხმარიაო, და სულ თითო-თითოდ დამითვლის.

ჰოდა, საქმეც იმაშია, რომ მიხმარია და მეც ზუსტად იმ მრავალსერიანი მელოდრამის პერსონაჟი გახლავართ, მთელი საქართველო რომ ჰყავს ჩათრეული. მეც სხვებთან ერთად ჭრელ-ჭრელ თაიგულებს ვისვრი იქით-აქეთ. ახლა რომელ სერიაში ვართ განხერილები, ვერ გეტყვი, მაგრამ ვგრძნობ, რომ სარეკლამო პაუზის დროც დადგა. და აი, ჩვენი უცხოელი მეგობრები, კერძოდ კი „იუნესკო“ გვამცნობს, რომ დროა (5 წლის შემდეგ), ბოლოს და ბოლოს, ნიკო ფიროსმანსაც მივხედოთ. თანაც როგორ მივხედოთ, „იუნესკოს ეგიდით“, ანუ იუნესკოს ფულით, იდეებით და ჩვენი მონაწილეობით. მონაწილეობა კი, თუ ჩვენ არაფერი დაგვიშავდება, იცოცხლე, ვიცით!

მოკლედ, საქმე გაკეთებულია. როგორც იქნა გავიხსენეთ, უფრო სწორად გაგვახსენეს, რომ ფიროსმანს დაბადებიდან 130 წელი შეუსრულდა. თუმცა, ჩვენ რა გვიკვირს, თვითონ ნიკალას არ უკვირდა, ღმერთისა და კაცისგან რომ იყო დავინწყებული... „შენ ჩემო ძმა ნიკალა, რად გინდა წუთისოფელი, სახლად მოგცემენ სამოთხესა, იქ მოგივა ყველაფერი, სახლი-კაცად მეყოლება — მიქელა და გაბრიელი... მე საფრანგეთშიც ვარ ცნობილი...“ ჰოდა, ახლა იქიდან შემოგვძახიან, ნიკალა დაიბადო.

ასე თუ ისე, 13 ოქტომბერს, მირზაანში დიდი დლესასწაულია. ნიკალას დაბადების დღე. იუნესკო იხდის, სრულიად საქართველო ვართ დაპატივებული, ჩვენი სტუმრებიანად.

ახლა სკეპტიკოსი მკითხველი მეტყვის, რალა დროს 13 ოქტომბრის ზეიმზე

ვიშვიშიაო. ერთი გასამართლებელი საბუთი მაქვს მხოლოდ, თუ იუბილეს გადახდა შეიძლება 5 წლის დაგვიანებით, მაშ, ერთი საგაზეთო პუბლიკაციის 7 დღით დაგვიანებას წინ რალა უდგას, მითუმეტეს, რომ ჩვენი გაზეთი ქართულაია, ჟურნალისტიკა — ქართველი.

მირზაანში ზეიმზე ერთი-ორი საათით დაგვიგვიანდა. როცა ჩავედით, დღესასწაული უკვე ეშხში იყო შესული. ფიროსმანის მუზეუმი ციხე-სიმაგრესავით ადგა ასლანის მთას, მის ძირში კი ჭრელი ფარდაგვივით გაშლილა სცენა, ამფითეატრი, ზედ მინდვრის ყვავილებით გაბნეული გოგო-ბიჭებით.

ფიროსმანაანთ უბანი ხალხით იყო სავსე. ბრმა და ყრუ, ქვა და რკინა უნდა იყო, ეს სიხარული და აღმაფრენა რომ არ გადმოგდებოდა, გული არ აგჩუყებოდა და პათეტიკის ხასიათზე არ დამდგარიყავი. ჰოდა, მეც ამ დღესასწაულზე ოდის შეთხზვა მომინდა. ოდაც ისეთი გამომივიდა, ალბათ, რა პოეტიკი ვბრძანდები. ოდის დამწერი იქ ბევრი იყო. ამდენი სილამაზისაგან და დიდებულებისაგან ყველას თავბრუ ჰქონდა დახვეული. ყველა ცდილობდა იქ მირზაანში უკიდურესად მართალი და გულწრფელი ყოფილიყო. ერთი ლამაზი სიმართლე საქართველოს პრეზიდენტმაც თქვა:

„როცა ნიკალაზე ვფიქრობთ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ სამართლიანი ვიყოთ, ჩვენი თანამემამულეების მიმართ, მათ მიმართ, ვინც დღეს საქართველოს შემოქმედებას ქმნის, მწერლობას, ხელოვნებას, საქართველოს მეცნიერებას ქმნის. მძიმე გასაჭირის მიუხედავად ისინი მაინც ამ დიდ საქმეს, ამ დიდ უღელს ენევიან. შეგვეძლოს თანამემამულეთა დაფასება, ვიყოთ სულგრძელი ზოგიერთის შეცდომის მიმართაც“.

სცენაზე და პრეზიდენტში მიკროფონთან ნამდვილი მამულიშვილები ენაცვლებიან ერთმანეთს, ქართული კულტურის მესვეურნი და პოლიტიკური მოღვაწენი. დღეს ყველა მადლიერების გრძნობითაა აღვსილი. მრავალ მათგანს თვითონ მიუძღვის წვლილი ამ დღესასწაულის თავის დადგმაში, ფიროსმანის დღეებისადმი მიძღვნილ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობაში. ამაზე საჯაროდ ილაპარაკეს მიკროფონიდან, ჩვენ კი ისინი ამოვირჩიეთ, ვინც მიკროფონთან არ მისულა, ვინც პრეზიდენტის ქვემოთ იჯდა, ანუ ჩვენი ქართული კულტურის სხვა წარმომადგენლები, სტუმრები, მუზეუმის და სახლ-მუზეუმის თანამშრომლები. ისინიც ფიროსმანზე საუბრობენ:

რეჟისორი გოგიტა ჭყონია

— აქ იკითხეს, რას ზეიმობსო ხალხი და აღდგომასო, უპასუხა ქიზიყელმა ბიჭმა. ნიკალას აღდგომის დღეა დღეს ქიზიყში. აქ დადიოდა ნიკალა და სულელი ეგონათ, ახლა ერთი თვალით მაინც რომ შეახედა, რა ხდება დღეს მის სამშობლოში. 24 მილიონად რომ გაიყიდა ვან გოგის ნახატი, სუნთქვა შემეკრა, ასე მეგონა, ჩემი ნახატი გაიყიდა. 75 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა მისივე „იასამნები“. ამ კაცმა სიცოცხლეში ერთი ნახატიც ვერ გაყიდა. ფიროსმანი კიბის ქვეშ მოკვდა...

იუნესკოს ეგიდით? კარგია, რომ იუნესკოს ეგიდითაა მოწყობილი. იმიტომ, რომ მართლა მასშტაბი ეძლევა, ხალხიც გრძნობს, რომ საერთო საქმეშია ჩართული და მართო კინკილად არ დაიარებიან სოფელში. სულ სხვაა, როცა სხვებსაც აინტერესებს შენი სიმდიდრე. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ხალხმა გაიგოს, რა მდიდრები ვართ. რომ ლატაკი არ გვეგონოს ჩვენი თავი. ჩვენ ვართ უმდიდრესი ერი და ეს უნდა იცოდნენ. განსაკუთრებით ბავშვებმა, რომ სადღაც სხვაგან არ ეძებონ სიმდიდრე. ეს არის ნიკო ფიროსმანი, ეს არის იუნესკოც და ეს არის დღეს აქ შეკრებილი ხალხი. მთავარია, იცოდნენ, რომ მდიდრები ვართ.

რუსი მხატვარი ნიკიტა ალექსეევი:

— მადლობელი ვარ, რომ აქ დაგვპატიოეს. შევხვდით და გავიცანით ქართველი მხატვრები. ჩემი პირველი გაცნობა ქართველებთან არც საქართველოში მოხდა და არც რუსეთში — ჩერნოგორიეში. იქ ერთად ვლებულობდით მონანი-ლეობას დიდ საერთაშორისო გამოფენაში. ახლა საქართველოს ვესტუმრეთ. შესანიშნავია. ფიროსმანის შემოქმედებას ბავშვობიდან ვიცნობ და კომპლიმენტად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ ჭეშმარიტი გენიოსია. რაც შეეხება უშუალოდ დღევანდელ ზეიმს, იგი საოცარია. ერთის მხრივ, შესანიშნავი, მეორეს მხრივ, სასაცილო, რაღაც სიურეალისტური. საოცარი რაღაცეები ხდება — პრეზიდენტისგან ორი მეტრის დაშორებით ვზივარ და... ასეთი რამ რუსეთში წარმოუდგენელია. არც არასოდეს მოხდება, გადასარეგია, პირდაპირ.

სცენაზე ქართველები (ანსამბლი „ჟურნალისტი“) და კორსიკელები ხასან-ბეგურას მღერიან. ვიდრე რუსი მხატვარი მართლა გადარეულა, ქუჩიდან შენობაში შევიდვართ, უფრო სწორედ, ვეჭეჭყებით, მუზეუმში სხვანაირად ვერ შეხვალ. სრულიად საქართველო ერთდროულად აპირებს იქ შეღწევას. პოლიციელი ყვირის, ხალხო, დანყნარდით, ეს მუზეუმი არსად გარბის, ხვალაც აქ არ იქნება? ხვალ აქ ერთ კაცსაც ვერ ნახავო, უპასუხა ერთ-ერთმა „მოძალადემ“. სწორედ ამ კითხვით მივმართე ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მეთვალყურეს ნინო ბიკაშვილს.

— როგორ არა, ხალხი დადის, მართალია მძიმე დროა, ხალხს ბევრს ვერ მოთხოვ, ახლა უფრო ხშირად დადიან, უცხოელები ჩამოდიან ხოლმე. განსაკუთრებით ზაფხულში. მუზეუმიც ღიაა, ყოველდღე მუშაობს, გარდა კვირისა.

ფიროსმანის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ეთერ ჭილიტაშვილი კი მოგვითხრობს:

— დღესდღეობით მუზეუმში გვაქვს 28 ორიგინალი. ბოლო ნახატი სულ ახლახან შევიძინეთ, „მუშა სოსო“. ზოგი სურათი უშუალოდ კერძო მფლობელებმა გადმოგვცეს, ზოგი შეძენილია. მაგალითად, „შოთა“ და „თამარი“ აკაკი ბელიაშვილის ოჯახიდან შევიძინეთ. ორივე ორმოცი ათას დოლარად. პირობები მუზეუმში ცუდი გვაქვს. არ არის შუქი, არ იქნება გათბობა. სურათებს კი განსაკუთრებული ტემპერატურა თუ არ დავურეგულირეთ, კარგად ვერ შევინა-

ხავთ. გენერატორი ჩვენს გაჭირვებას ვერ უშველის, რაიმე უნდა იღონონ, ალბათ, იღონებენ კიდეც.

თუ არ ვცდები, აქ, მირზაანში, ხელოვნების ცენტრი უნდა შეიქმნას. სასურველია, რომ მსოფლიო ხელოვნების მუშაკები სწორედ აქ, ფიროსმანის მუზეუმში შეიკრიბონ და პატივი სცენ დიდი მხატვრის გენიას. მუზეუმს დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი კულტურის სამინისტრო. გვყავს შესანიშნავი დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი. დღევანდელი ექსპოზიციაც მათი რუღუნების შედეგია.

მხატვარი სოსო გირკელიძე:

— თანამშრომლების გარდა აქ მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ფერმწერმა და ექსპოზიციების საუკეთესო მცოდნემ, მურმან ჭანიშვილმა. ამ ექსპოზიციასაც მისი ხელი ეტყობა, იშვიათად ნახავთ ასე ლამაზად განაწილებულ ნახატებს, სივრცეში რომ მუშაობდეს, განათება რომ არ გალიზიანებდეს. სრულად რომ აღგაქმევინებს გამოფენას, ესეც დიდი ცოდნისა და გამოცდილების შედეგია.

ექსპოზიცია მართლაც მაღალ კულტურულ დონეზე და ნიჭიერადაა შესრულებული, მოდურად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე: პირველ დარბაზში მრგვალ მაგიდაზე ძველისძველი სამოვარი დგას, ჩაის ფინჯნებითა და ლამბაქებით გარშემორტყმული. უნებლიედ ნიკალას სიტყვები გაგონდება:

„...ჰო, აი რა გვინდა, ძმებო! იცით, — უსათუოდ საჭიროა, ჩვენ, მხატვრებმა ავაშენოთ დიდი ხის სახლი, სადმე ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის ახლოს იყოს. ავაშენოთ დიდი სახლი, შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი მაგიდა და სამოვარი. ვსვათ ჩაი. ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე, ხელოვნებაზე... თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ...“

გაზ. „დილის გაზეთი“, 19 ოქტომბერი, 1996 წელი.

„პალეოი ტეატრი“ ცოდნის ტაძარში

„თბილისის პატივცემულო პუბლიკავ და არისტოკრატია! დღეს თქვენ ნახამთ საქართველოს პუბლიჩნი არტისტის, ავეტიკ ბაბაიანცის, პალეოი ტეატრის, ახალი ტრაგედიის „ოტელოს“, თანამედროვე ვარიანტს“ (ნოდარ დუმბაძე „მარადისობის კანონი“).

ეს იყო 30-40-იან წლებში. დღეს თბილისს „პალეოი ტეატრი“ და „პუბლიჩნი არტისტი“ ჯერ არა ჰყავს, ან საიდან ეყოლება, თუ ამ ჟანრის კლასიკოს გასტროლიორთა ნიაღვარმა თითქმის წაღეკა არა თბილისის ქუჩები და ეზოები, არამედ კულტურული დანესებულებანი, და რაც მთავარია, ცოდნის ტაძრებიც კი.

ერთ ამგვარ „პუბლიჩნი ნარმოდგენაზე“ 21 სექტემბერს, ორშაბათს, ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გახლდით. „პუბლიჩნი ნარმოდგენების მოყვარულთ“ მინდა მოგახსენოთ, რომ სპექტაკლები იმართება ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, 16 საათზე და 20 წუთზე. ბილეთი საჭირო არ არის, შესვლა უფასო და ნებაყოფლობითია.

სპექტაკლის პოპულარობა მატულობს თბილისის მუშაობას დანატრებული, მაგრამ უმუშევარი და ოდნავ გაზარმაცებული, „ადვილი ფულის“ შოვნით შეპყრობილ მოსახლეობის ხარჯზე.

პოპულარულ გაზეთ „ალიამი“ ამოვიკითხე, რომ ვინმე იუღია მილერი — ამერიკული კომპანიის „გლობალ ექსპრესის“ ნარმომადგენელი — სამუშაოდ ეპატიჟება რუსულად მოლაპარაკე აქტიურ, ნესიერ და ენერგიულ მოქალაქეებს, ევროპული სტანდარტების უმაღლესი ხელფასებით — 300 ამერიკული დოლარი და ზევით.

ახლა ერთი წუთით ნარმოდგინეთ, თბილისში რამდენი მოქალაქე ფლობს მეტნაკლებად რუსულს, უჭირს, არ მუშაობს და უკიდურესად სჭირდება 300 დოლარი და ზევით — ქვევით არა. ასეთი ხელფასი ჩვენც გვჭირდება და ამიტომ გამოცხადებიდან პირველივე ორშაბათს გაზეთში მითითებულ მისამართზე გავეშურე. ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსი ყოველდღიური მაჯისცემით ცხოვრობდა, ანუ სტუდენტების უმრავლესობა იყო ქუჩაში, უმცირესობა ჰოლში. ცოდნის ტაძარს რომ შეეფერება, იმგვარი აკადემიურობითა და სიდიდით აუყვებით კიბეს მესამე სართულზე სააქტო დარბაზისაკენ. სააქტო დარბაზის მისადგომებთანვე ხალხმრავლობა იყო, კარებთან კი ჭედვა. უცნაურმა ეჭვმა შემიპყრო. სააქტო დარბაზის ჰოლი საარჩევნო უბნის ოთახს ჰგავდა. გრძელ მაგიდას რამდენიმე გარეგნულად მეტად საპატივცემულო და სერიოზული შუახნის პირი უჯდა (ალბათ, უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი) და რეგისტრაციაში ატარებდა მონვეულ სტუმრებს, ანუ — ჩვენ. ეჭვებმა იმძლავრეს, მივხვდი, რომ რაღაც სატყუარაში გავეხვიე, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და მკაცრად მოვითხოვე იუღია მილერი მომგვარეთ-მეთქი. იმათ ირონიულად ჩაეცინათ და რეგისტრაციაში გამატარეს, მერე თავაზიანად მიმიპატიჟეს სააქტო დარბაზში, სადაც წესით გასაუბრება უნდა ჩატარებულიყო იმ ვილაც ეფემერულ იუღია მილერთან. გასაუბრების რიტუალი ასე დაიწყო: უკანასკნელ ხმაზე ჩართული გამაძლიერებლები, სხვადასხვა ჟანრის თანამედროვე რიტმული მუსიკა, ცეკვა-თამაში და ტაში, ტაში, ტაში... როკავს პირველი რიგი, როკავს გასასვლელში ჩამწკრივებული სახეგაბრწყინებული, რაღაცის მომლოდინე ადამიანთა წყება, როკავს სრულიად სააქტო დარბაზი, რამდენიმე ჩემსავით გასაუბრებაზე მოსული ადამიანი გზააბნეული ბატკანივით ხან აქეთ აწყდება, ხან იქით.

ამფიტეატრისა და პარტერს შორის მოცეკვავე და ტაშისდამკვრელი ფიგურები მოძრაობენ, თან გაბრწყინებული თვალებით სადღაც შორს მომაფ-

ლისკენ იყურებიან. ეს საზოგადო ექსტაზის დასაწყისია, განვითარება წამყვანთა ოსტატობასა და ჩვენს ამყოლუნარიანობაზედ ჰკიდია. მოკლედ, თავგზააზნეული, ვინც პირველი უკრავდა ტაშს, იმას მივადექი და აქ რა ხდება-მეთქი, ვკითხე. იმან მითხრა, დაჯექი, დაწყნარდი, გამხიარულდი, მოემვი, ისიამოვნე და ყველაფერს გაიგებო. მე ვუთხარი, სამხიარულოდ კი არა, სამუშაოს სამოვნელად მოვედი და იულია მილერს ვეძებ-მეთქი. ჰოდა, ჯერ ადგილი მოძებნე, ისიამოვნე და იულია მილერი თვითონ აგიხსნის ყველაფერსო. მუსიკისა და ტაშის რიტმში დამშვიდების ნაცვლად ავნერვიულდი, აღარ მოვიშალე, გინდა თუ არა მითხარით, აქ რა ხდება-მეთქი. იმან კვლავ თავაზიანად ცარიელი ადგილისაკენ მიმითითა და ოდნავ დამაშინა კიდევ, თუ არ დაჯდებით, მალე საერთოდ უადგილოდ დარჩებით. მალე მართლა უადგილოდ დავრჩი და ახლა იმას მივაშურე, ვინც აქ შემომიძღვა, იგი მთელი გატაცებით ტაშს უკრავდა და თეძოების რხევით გადი-გამოდოდა გასასვლელებში. ძლივს დავამაგრე ერთ ადგილას. ასე ვუთხარი ადგილი არა მაქვს და ვიდრე უკან გავბრუნდები, ორი სიტყვით ამიხსენით, სად ვიმყოფები-მეთქი. იმან მითხრა, რას ჰქვია, უკან გაბრუნდებით და სასწრაფოდ მიდგა-მოდგა, წინა რიგებში კარგი ადგილი გამომიძებნა. ადგილზე რომ მოვკალათდი, მივიხედ-მოვიხედე და მაშინლა აღმოვაჩინე, რომ მოცეკვავე ფიგურებს მკერდზე მოზრდილი პლასტმასის სამკერდეები ეკეთათ. ამ სამკერდეების ტექსტის შინაარსი, სტილი და მხატვრული მეთოდი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. აი ერთ-ერთი მათგანი.

ჩ 1 ?

ჩქ და ასობით ამგვარი.

მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ამ შიმშილიანობისა და უმუშევრობის დროს ნახევარ დედამინას თურმე აინტერესებს, როგორ გახდეს, მეორე ნახევარმა უკვე იცის და თავის გამოცდილებას დიდსულოვნად უზიარებს დანარჩენებს.

უცბად, უკნიდან ტაშთან ერთად ღმუილი გაისმა. სამკერდეებიანები ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით შეეგებნენ კონფერანსიეს. ნახევარი დარბაზი კვლავ აცეკვდა. ამ უკანასკნელმა კი კომპანია „ჰერბალაიფ ინტერნიშენ“-ის პრეზენტაცია კვილით გახსნილად გამოაცხადა. ვილაცას კომპანიის დასახელებაზე გული აუჩუყდა და გადმოგორებულ ცრემლს უნებლიეთ აღმომხდარი „ვაიცი“ დააყოლა. ერთი წუთით თავი ხუთიოდე წლის წინანდელ მიტიგზე მეგონა და მეც უნებლიეთ ტაში დავცხე. დავცხე მთელის მონდომებით, მით უმეტეს, რომ იქიდან გადმოგვძახეს, ეს ტაში ჩვენ კი არა, თქვენ გეკუთვნით, ძვირფასო მეგობრებოო. ჩემმა პატივმოყვარეობამ ამ დაფასებას ველარ გაუძლო, ეტყობა, ვერც სხვისმა პატივმოყვარეობამ, მთელი დარბაზი ერთნაირად ექსტაზში ჩავარდა, ამ ექსტაზს კი ერთილა აკლდა და ისიც მოგვართვეს:

მსოფლიო გუნდის წევრი (აქ კონფერანსიე კვლავ კვიის...) მერაბ ფაშალიშვილი.

ისევ ფეხზე წამოხტნენ მკერდოსნები, ისევ აცეკვდა პუბლიკა, რომელზეც ახალგაზრდაო ვერ იტყოდი — პირიქით, დაპირებული ხელფასისა არ იყოს, შუა ასაკის და ზევით.

მერაბ ფაშალიშვილმაც გაგვიმეორა, რომ აპლოდისმენტები მას კი არა, ჩვენ გვეკუთვნოდა და საზოგადო ექსტაზში ჩავარდნილი დარბაზი კონტრასტების მეთოდით აღმგზნებადიდან პროზაულ, საქმიან საუბარზე გადაიყვანა.

საუბრის თემა კი გახლდათ პროდუქტი „ჰერბალაიფის“ სასწაულმოქმედება, ეფექტურობა და წარმოიდგინეთ, პრესტიჟულობაც კი. ყოველი ფრაზა მთავრდებოდა რეფრენით — მადლობა პროდუქტს! მადლობა რისთვის? გამზიარულდით, დამშვიდდით, ისიამოვნეთ და ახლავე გაიგებთ!

აქამდე სად ვიყავი, არ ვიცი. მაგრამ უეცრად აღმოვაჩინე, რომ სცენაზე ლამაზი მაგიდა იყო გაშლილი ჰერბალაიფის ჯიშის კვებისა და კოსმეტიკის პროდუქციით. სწორედ ამ პროდუქტს ეთაყვანებოდა ტაშითა და როკვით „ჰერბალაიფ ინტერნეიშენელის“ ქართული მრეველი.

„მადლობა პროდუქტს!“, „მადლობა კომპანიას!“ — არ ცხრებოდა ალტკინებული დარბაზი.

მომხსენებელი დროს არ კარგავს და ამ პროდუქტის საშუალებით დამსწრეთ ქვიდან რძის გამოდენის ხელობის დაუფლებას ჰპირდება, შემდეგ უბრალოდ გამდიდრებას კი არა, საშვილიშვილო დასახლებას, ხოლო თუ რა წარმოდგენა აქვს მსოფლიო გუნდის ნევრს საშვილიშვილო დასახლებაზე, ამას მიკროფონთან მწკრივში ჩამდგარი „ჰერბალაიფით“ ფულის კეთებაში უკვე „განაფული“ სამკერდეებიანები გვეტყვიან. ასე მაგალითად, არც თუ ისე ახალგაზრდა და არცთუ ისე ხანდაზმული ლ.შ. გვამცნობს, რომ სულ ორი კვირის წინ ჰქონდა ნევროზი, გაუვალობა, უშუბდებოდა ფეხები, ანუხებდა გულის დეკომპენსაცია, თირკმელში ჰქონდა კენჭები, ფილტვში — წყალი და ასე შემდეგ — ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი დაავადება, მაგრამ მას მერე, რაც დაინყო (ანუ ორი კვირის წინ) „ჰერბალაიფის“ მიღება, სრულიად გამოჯანსაღდა. ნუ იტყვით და გაახალგაზრდავდა კიდეც, რაც ტაშით დაადასტურა ჩემს გვერდით მჯდომმა მისმა მეუღლემ. ლ.შ.-ს შემდეგ მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადრე თურმე ფიზიკურად და სულიერად დაძაბუნებული, ამჟამად კი „ჰერბალაიფის“ წყალობით გამოჯანმრთელებულნი და ცხოვრებისკენ შემობრუნებული პაციენტები. მათი შემოსავლის წყაროს ახლა „ჰერბალაიფის“ გავრცელება წარმოადგენს, გასაღებული პროდუქციიდან 25 პროცენტი მათია. თუ არ ვცდები, აქაც სუბორდინაციასთან გვაქვს საქმე, დისტრიბიუტერი იღებს 25 პროცენტს, სუპერვაიზერი — 50.

იულია მილერის სახელის ხსენებაზე არამარტო სამკერდეებიანებს, არამედ დარბაზში დამსწრე მამაკაცთა უმეტესობასაც ცხოველი ხვნეშა აღმოხდა. ეს ქალბატონი ჯერ არ იყო სცენაზე ასული, რომ გზადაგზა დაპირებების მთელი კასკადი მიაფრქვ-მოაფრქვია. თავისი ბიოგრაფია იმით დაინყო, რომ ერთ დროს

უბრალო ბიბლიოთეკარი ყოფილა, წიგნებისა და მათი კითხვის მეტი არაფერი ცოდნია ცხოვრებაში. მერე ვილაც ღვთისწიერს ლენინგრადში „ჰერბალაიფ ინტერნიშენის“ პრეზენტაციაზე წაუყვანია. ამდენი სისულელის მოსმენას რომ ველარ გავუძელი, უკან გაბრუნება დავაპირე, მაგრამ გარეთ ველარ გამოვეციეო (ზუსტად ისე, როგორც მე). შემდეგ თურმე დიდხანს ეძებდა გამბედნიერებელს მადლობის სათქმელად, მაგრამ ველარ უპოვნია, ამასობაში ისეთი სიმაღლეებისთვის მიუღწევია და ისეთი „სუმაშედშიე დენგი“ უშოვია. ამ სიტყვებს დარბაზში ტამის გრიალი და ვნებათა ჭექა-ქუხილი მოჰყვა, მაგრამ ჯერ სადა ხარ, თურმე „ჰერბალაიფ ინტერნიშენი“ ფულს, თან საკმაოდ დიდ ფულს, მხოლოდ იმ უწყინარი სამკერდე ნიშნის ტარებაში იძლევა, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით. ამასთან ერთად, კომპანია გასამრჯელოს უხდის მას, ვინც მეტი და უკეთესი ლაპარაკი იცის, ენის ჭარტალი არ ეზარება და სხვათა გაბრუნების თანდაყოლილი ნიჭი აქვს. მოკლედ, ვინც უკეთ ასალებს სასწაულმოქმედ პროდუქტს.

ადრე უბედური და ან გამბედნიერებული ბიბლიოთეკარი გარწმუნებს, ბევრი ფული უნდა გქონდეთო — გვჯერა, რატომ არ უნდა გვქონდეს, თუ ამისთვის საჭიროა მხოლოდ ბევრი იცინო, იხტუნო, იყვირო და ტაში უკრა.

სუპერვაიზერი, ვინმე დოდო გვიცხადებს, შეგნებულად და პრინციპულად არ ვმუშაობო. ლტოლვილი ყოლბაია კი გვარწმუნებს, რომ ყველა ყოფითი პრობლემა „ჰერბალაიფის“ მეშვეობით უკვე მოაგვარა, ახლა მთავარილა დარჩა (აღბათ, აფხაზეთში დაბრუნებას თუ გულისხმობდა). ესეც თუ მოახერხა და მართლა მადლობა პროდუქტს!

გათვალისწინეთ, რომ თხრობის ფონზე არ წყდება მუსიკა, ტაში, შეძახილები, აჟიოტაჟი, ალტაცება, ხვნეშა, ოხვრა, სიცხილი. შემდეგ იწყება დასკვნითი ნაწილი. სამუშაოს მაძიებლები და რეგისტრირებულები ავსებენ ანკეტებს და მასპინძელ კურატორებთან იკრიბებიან. ჩემი მასპინძელი თვით იულია ბიბლიოთეკარი აღმოჩნდა. ანკეტაში ერთი ასეთი გრაფა იყო: რამდენი ფული დაგაკმაყოფილებდათო, რაზეც დიდხანს პასუხი ვერ გავეცი იმის შიშით, ვაითუ ბევრი მომივიდეს ან ვაითუ ძალიან ცოტა მოვითხოვო-მეთქი. ბოლოს როგორც იქნა, 500 დოლარი ჩავწერე.

ჩემმა მონაცემებმა იულია სავსებით დააკმაყოფილა, სულ „დუშეჩკა“ მიძახა, კომპანიის ტელეფონის ნომერი მომცა, მერე მკითხა, თანხა როგორ გირჩევნიათ, ლარებში თუ დოლარებშიო. მე ვუთხარი, სულ ერთია-მეთქი და იმანაც ჩაწერა 140 ლარი. მეცოტავა და აღმომხდა კიდევ, ნუთუ ეს იქნება ჩემი ხელფასი-მეთქი? იმან კი მითხრა, ეს თქვენი პირველი შესატანია, კომპანიისგან პროდუქტისა და სერტიფიკატის მისაღებადო. ნათქვამი კარგად ვერ გავიგე, შევატყვე, ჩემმა აქციებმა დაიწიეს. როცა დაგვირეკავთ, ყველაფერს უფრო დანვრილებით მოგახსენებენო. მერე მე იმ ხალხს გავხედე — სამკერდეებიანებს და უმისამართოდ ვიკითხე, ნუთუ ამათ 140 ლარი გადაიხადეს იმისთვის, რომ აქ ცეცხვით და ტაში დაეკრათ-მეთქი. მერე გამახსენდა, რომ ეს ხალხი კვი-

რაში თურმე 151 დოლარს „აკეთებს“ და მზარდი ინტერესი ამით დავიკმაყოფილეთ. მერე მარკ ტვენის ერთი მოთხრობა გამახსენდა — „კაცი, რომელმაც აცთუნა მთელი ჰედლიზერგი“. ვისაც არ ნაგიკითხავთ, პრეზენტაციაზე წასვლამდე აუცილებლად წაიკითხეთ, პატარაა და სასაცილო, მაგრამ ძალიან სასარგებლო და აქტუალური.

კიდევ „ოსტატი და მარგარიტა“ გამახსენდა, ეშმაკის მიერ ცირკში მონყობილი კლოუნადა, მასიური ჰიპნოზი.

კამპიროვსკის სეანსებიც გამახსენდა, მაგრამ, მერე რა, რომ გამახსენდა, არც ერთი მათგანი არც ფულს და არც ნათელ მომავალს არ გპირდება.

„ჰერბალაიფ ინტერნეიშენი“ კი პირიქით — ორივეს. მაგრამ ვიდრე ფულს გააკეთებინებს, ცოტა თვითონაც ხომ უნდა „გააკეთოს“, თორემ ამხელა ზარალი — ეხუმრები კაცი? სხვათა შორის, იულია მილერი გამოგვიტყდა, ძალიან მომეწონა თბილისი და აღფრთოვანებული ვარ ქართველთა სტუმართმოყვარეობითო. ამისთვისაც მადლობა პროდუქტს!!!

გაზ. „დილის გაზეთი“, 26 ოქტომბერი, 1996 წელი.

ბრიტანული გალა სადილი-მეჯლისი „მეტეხი-პალასში“

„დილის გაზეთსა“ და ბრიტანეთის საელჩოს შორის თავიდანვე ერთგვარი ურთიერთსიმპათია და თანამშრომლობა დამყარდა. საელჩოს პრესცენტრი აკურატულად გვანვდის ყველა სახის ინფორმაციას დიდი ბრიტანეთის ცხოვრებიდან და ჩვენც ასევე აკურატულად ვთარგმნით და ვაქვეყნებთ ხოლმე ამ ინფორმაციებს. ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. საელჩომ „დილის გაზეთს“ ბრიტანეთის დღეებზე დასასწრები რამდენიმე მოსაწვევე გამოუგზავნა. ხოლო მე კი, ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენელმა საქართველოში მაია ყიასაშვილმა პირადად გადმომცა მისი აღმატებულების სტივენ ნეშის ნათქვამი, „დილის გაზეთი“ თავისი ოპერატიულობით და რუდუნებით ერთგვარ დადებით როლს ასრულებს ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობათა განვითარების საქმეშიო.

„მეტეხი-პალასში“ შეადგამ თუ არა ფენს, იმთავითვე ბრიტანული სული ტრიალებს. შესასვლელში, იქით-აქეთ ორი ინგლისელი გვარდიელი დგას, ტრადიციულ წითელ ფორმაში გამოწყობილი ბუკინგემის სასახლის მცველები, მაღალი შავი ფაფახები ახურავთ, მაღალყელიანი და მაღალქუსლიანი შავ სქელცხვირა ჩექმებს უცნაურად აბაკუნებენ, ერთმანეთს კი ქართულად მიმართავენ ჩუმად, პირისახეც ქართული აქვთ, თვალებიც ქართულად უბზინავთ, უხერხუ-

ლად ელიმებათ. „ესენი ჩვენი სასტუმროს თანამშრომლები არიან, — გვიყვება „მეტეხი-პალასის“ „პაბლიკ რილეიშენის“ ოფისის თანამშრომელი თამარ ვარდიანიშვილი. — ფორმები არენდით გამოვიწერეთ ლონდონიდან, თავიდან ძალიან ეუხერხულეობდათ ბიჭებს ფორმის ტარება, მაგრამ დიდიდან უკვე მოშინაურდნენ და ახლა თავისუფლად მიდი-მოდიან“.

სწორედ თამარს ვესაუბრებოდი, როცა დარბაზში მხიარული ფუსფუსი ატყდა, შამპანურის სმა შეწყდა და ყველამ იქით გაიხედა, საიდანაც გუდა-სტვირის ხმა მოდიოდა — ეს მესტვირე სპეციალურად ჩამოვიყვანეთ გალა სადილისათვის შოტლანდიიდან — დასძინა თამარმა. შოტლანდიელმა მესტვირემ დარბაზის ცენტრისკენ აიღო გეზი. სასმელით განყობილ მაგიდასთან შეჩერდა, ელჩს დაუკრა თავი ისე, რომ დაკვრა არ შეუწყვეტია და „სამეფო ოჯახის ფოტოექსპოზიციასთან“ შეჩერდა. იქ კარგი განათება იყო, ფოტოკორესპონდენტებმაც არ დააყოვნეს და ისეთი ჩხაკაჩხუკი ატეხეს, სტვირის ხმა აღარ ისმოდა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ფოტოექსპოზიციას გია ჭანტურიას ეკუთვნის. იგი თბილისის 55-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა. ინგლისი და მისი დინასტიის ისტორია გიას გატაცებაა. აქვს უნიკალური ფოტოკოლექცია და საელჩომ მას პირადად მიმართა თხოვნით, „მეტეხი-პალასში“ თავისი კოლექციის გამოფენა მოეწყო. ამ ექსპოზიციის მოპირდაპირე მხარეს მეორე ფოტოგამოფენაა. იგი ინგლისელ ფოტოგრაფს, ნაიჯელ დევისს ეკუთვნის. გამოფენას ჰქვია „საქართველო დღეს“. ეს არის ინგლისელის თვალთ დანახული ჩვენი ქვეყანა. პირადად მე საქართველოს ხედების უამრავი ხარისხიანი და უხარისხო ფოტო და რეპროდუქცია მინახავს, მაგრამ ინგლისელის თვალთ დანახული ჩვენი ქვეყანა მართლაც ერთ-ერთი უმშვენიერესი მეჩვენება. ძალაუბრურად ამ ფოტოებიდან მომზირალ საქართველოში მინდა გადასახლება.

საქართველოს ფოტოებს ვათვალისწინებდი და გია ჭანტურიას ვესაუბრებოდი, როცა მეჯლისის მთავარი მასპინძელი, მისი აღმატებულება ბრიტანეთის ელჩი სტივენ ნეში მოგვიახლოვდა და ჩვეული ინგლისური იუმორით მოგვმართა. სამუშაო იქ, სადილზეც გვეყოფათ, ახლა ცოტა შეისვენეთო. დაუფჯერეთ და მაშინათვე შამპანურის ჭიქებს დავავლეთ ხელი. ამასობაში ინგლისელმა ჯენტლმენმა ფართოდ გამოაღო სამეჯლისო დარბაზის კარი და, სადილი დაიწყო, გამოაცხადა ბრიტანული ღირსების გრძნობით.

ჩვენც ქართულ-ბრიტანული სიდარბაისლით შევავიხვეთ სამეჯლისო დარბაზში, სადაც ერთი თვალის მოვლებით მივხვდი, რომ ასკინკლა ჭამა-სმას გადავრჩი. ეს იყო ტრადიციულად გაშლილი ევროპული სუფრა, ბევრი თეფშებით, ბოკალებით, დიდი და პატარა ჩანგლებით, გახამებული ხელსახოცებით და ლურჯბაფთიანი მენიუებით — მოკლედ, ტრადიციული-მამაპაპური, ოლონდ ბრიტანული. თუმცა, არც მაინცდამაინც, მაგრამ ამაზე მერე. ცენტრალურ მაგიდას უსხდნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი მეუღლითურთ. ბრისტოლის მერი, თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენელი საქართვე-

ლოში მათა ყიასაშვილი, ბატონი გელა ჩარკვიანი მეუღლითურთ, საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში და ორი ჩემთვის დაუდგენელი ინგლისელი. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გელა სადილი-მეჯლისი და დიდი ბრიტანეთის სამზარეულოს კვირეული საქველმოქმედოა, დასწრება ნებაყოფლობითია, ბილეთები იყიდება „მეტეხი-პალასში“ და ღირს 60 ლარი. მიღებული თანხა გადაეცემა უპატრონო ბავშვთა სახლებს და უსახსრო მოხუცებს.

ასეთი კეთილშობილური საქმისთვის 60 ლარი თუ გაქვს, ნესით, არც უნდა გენანებოდეს, თანაც ერთხელ კიდევ გაიგებ ცხოვრებაში, უცხო ხილი მართლა ტკბილია თუ არა.

ინგლისურ სამზარეულოსთან დაკავშირებით მათა ყიასაშვილმა ერთი კარგი გამონათქვამი გაიხსენა, რომელიც გაინგლისელებულ უნგრელ მწერალს ჯორჯ მიკეს ეკუთვნის: ინგლისელებს კერძები არა, მაგრამ სუფრასთან მოქცევის მანერები კარგი აქვთო. ამას უნგრელი მწერალი დიდ ბრიტანეთს როგორ აკადრებდა, თვითმხილველი რომ არ იყოს იმისა, თუ როგორ დარბიან თვითონი ბრიტანელები ჩინურ, ინდურ, მექსიკურ, იტალიურ და სხვათა და სხვათა რესტორნებში მათ ოსტატობაზე ინგლისური იუმორის ასაღესად.

ჩვენი მენიუ კი გვამცნობს, რომ სულ მალე სასწაულის მოწმენი გავხდებით. დარბაზში ჩამოატარებენ „ჰაგესს“, რომელსაც ოდას უძღვნის ბატონი ჯიმ ვაისი. ვიდრე რიტუალი დაიწყება, ჰამფშირის სამეტს (ანუ ჩვენებურად „კატლეტს“) შევექცევით ტკბილი სანებლით და ორი ფოთოლი ახალი კომბოსტოთი. ამასობაში ბრიტანეთის ელჩი ესალმება დამსწრე საზოგადოებას, მოკლედ მიმოიხილავს XIX საუკუნის ქართულ-ბრიტანულ კულტურულ ურთიერთობებს, შეჩერდება თანამედროვე ურთიერთობებზეც, შესვამს საქართველო-ბრიტანეთისათვის თავდადებული მოღვაწეების სადღეგრძელოს და სიტყვას გადასცემს ბრისტოლის ქალბატონ ლორდ მერს ჯოან მაკლარენსს, რომელიც შუა საუკუნეების მერის ტრადიციულ სამოსშია გამოწყობილი და ტრადიციული ინგლისური იუმორი ყოფნის იმისთვის, რომ ყოველივე ეს ელჩის ფანტაზიასა და მის დაჟინებულ თხოვნას გადააბრალოს.

ქალბატონი ლორდ მერი ჯოან მაკლარენი შუა საუკუნეების ინგლისური ეპოსის დიდებულ პერსონაჟს წააგავდა და კილტში გამონყოილ იმ სამ შოტლანდიელთან და მესტვირესთან ერთად დიდი და მძლავრი ბრიტანული იმპერიის სახეს განასახიერებდა.

„ჰაგესის“ მოლოდინში, და სანახაობის ყურებაში ყველაფერს ბოლომდე გეახელით. გზადაგზა კი, უმადური და უზნეო სტუმრისა არ იყოს, ის უნგრელი მწერალი მაგონდებოდა, ინგლისურ კერძებსა და სუფრასთან მოქცევის ინგლისურ ნესებზე ასე ინგლისურად რომ ხუმრობდა.

და, აი, ისიც, „ჰაგესი“! შემოიტანეს სპეციალურად შოტლანდიიდან მონვეულმა მზარეულებმა დიდ ლანგარზე, წინ მოუძლოდათ მესტვირე, უკან კი რჩებოდა აპლოდისმენტები და შეძახილები: „ჰაგეს“, „ჰაგეს“. ეს იყო რალაცით გატიკნილი,

ბურთივით მრგვალი მასა, ათასგვარი ბოსტნეულით, ძირითადად, კომბოსტოს ფოთლებით გარშემოწყოილი. წინ წამოვიდა კილტში გამოწყოილი ჯიმ ვაისი და სიამოვნებისაგან მუცელზე დაისვა ხელი, შემდეგ თავზე დაადგა ჰაგესს და ო, მშვენიერო, ასე მიმართა მას, ამას რას ხედავს ჩემი თვალებიო, როგორ უნდა დაგაკარო პირო, როგორ გავხდე შენი ღირსიო, მერე ამოილო პრიალა დანა და ხელის კანკალით შიგ გულში ჩასცხო „ჰაგესს“. დაჭრილი „ჰაგესი“ უკან გააბუნძულეს სამზარეულოში და ნაწილ-ნაწილ დაურიგეს სტუმრებს კარტოფილის ფაფასთან ერთად. ჩვენს მაგიდას თითქოს განგებ არ მოუტანეს. ჩვენი სუფრის წევრი, ერთ-ერთი სპონსორი ბუზლუნებდა, ამაში ვიხდიდი 5000 დოლარსო, მაგრამ ბოლოს მოგვიტანეს და თავისი სიტყვები მორცხვად უკან წაიღო.

„ჰაგესთან“ ერთად თითო ულუფა შოტლანდიური ვისკი ჩამოგვირიგეს. ბრიტანულ კერძებთან დიდ და მშვენიერ ჰარმონიას ქმნის თურმე ქართული ღვინო, რაშიც სავესებით დავრწმუნდი გალა სადილ-მეჯლისზე, ვინაიდან იმ ერთი ყლუპი ვისკის გარდა ქართული „ვაზისუბნის“, „წინანდლის“ და წითელი „მუკუზანის“ (რომელიც ძალზე უხდება ინგლისურ „ცხვრის უნაგირს“) სხვა სასმელი არ შემოუტანიათ.

„ცხვრის უნაგირს“ ოთხი თუ ხუთი სახის ბრიტანული წარმოშობის ყველი მოჰყვა, ყველს — საერთაშორისო წარმოშობის ყავა, ყველაფერ ამას მივირთმევდით ჩუმი კამერული მუსიკის ფონზე. მეჯლისში მონაწილე ბრიტანელ მასპინძლებს სმოკინგებზე მკერდთან წითელი ყაყაჩო ებნიათ. ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცოდი რას მოასწავებდა ეს ნიშანი. შემდეგ თვალში მომხვდა, რომ ქართველ მიმტან გოგონებსაც მკერდზე ზუსტად ასეთი ყაყაჩოები ებნიათ. ერთ-ერთს ვკითხე, ეს რა არის-მეთქი, იმან მითხრა, აზრზე არა ვარ, დაგვანბიეს და მთელი კვირა, ვიდრე ეს სამზარეულო იმუშავებს, უნდა ვატაროთო. კიდევ უფრო ცხოველი ინტერესი აღმეძრა, მივაფურთხე თავმოყვარეობას, მაია ყიასაშვილი დავიმარტოხელე და ჩავჩურჩულე, არ გამამხილო, ისე მითხარი, ეგ ყაყაჩო რას ნიშნავს-მეთქი. იმან მითხრა, კვირას ომში დაღუპულ ბრიტანელ ჯარისკაცთა ხსოვნის დღეა, ყაყაჩო გლოვის სიმბოლოა და ბრიტანელები ერთი კვირა მკერდით ატარებენო. შესანიშნავი ჩვეულებაა, მაგრამ ქართველ „ოფიციალტ“ გოგონებთან რა კავშირი აქვს, ამის დადგენა ერთობ გამიჭირდა. ვერც დავადგინე.

ვიდრე გალა-სადილი მეჯლისში გადაიზრდებოდა, ბრიტანეთის ელჩმა პერსონალური სადღეგრძელო მოითხოვა და მთელმა დარბაზმა ფეხზე ადგომით ბრიტანეთის დედოფლის, მისი უდიდებულესობა ელისაბედ II სადღეგრძელო შესვა.

შემდეგ გაისმა საოცრად ნაცნობი ჰანგები. ინგლისელი გენიოსების — „ბითლზის“ — მელიოდიამ სამეჯლისო დარბაზი აავსო. სტუმარ-მასპინძელი გვიან ღამემდე ცეკვავდა.

ფეხბურთის მოყვარულის გზამკვლევი

მასსოვს 1969 წლის ზაფხულში, ქოლერის ეპიდემიის საშიშროების დროს, მაშინდელი ჯანმრთელობის მინისტრი ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი ყოველდღე გამოდიოდა ტელევიზიით და საქართველოს სამმილიონიან მაყურებელს ემუდარებოდა — ჭამის წინ ხელი დაიბანეთო, საპირფარეშოდან გამოსვლის წინაც დაიბანეთ ხელიო, ერთმანეთის კბილის ჯაგრისებს ნუ იხმართო. საერთო თეფშიდან საჭმელს ნუ შეჭამთო, თორემ მოდის ქოლერა და მომზადებული თუ არ დაგვხვდით, ვერ მოვერევითო.

კიდევ ერთი სატელევიზიო რჩევა გამახსენდა: ამ რამდენიმე წლის წინ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებამდე ერთ-ერთი კანდიდატი გვირჩევადა, ყველანი ადრე ავმდგარიყავით, ვისაც გვჭირდებოდა, დაგვებანა პირი, გავპარსულიყავით, ჩაგვეცვა სუფთა ტანსაცმელი, კარგ რაღაცეებზე გვეფიქრა, ერთმანეთისთვის ჩაგვეკიდა ხელი და ბედნიერი მომავლის იმედით წავსულიყავით საარჩევნო უბნებში.

კიდევ ერთი ციტატა, ამჯერად საბჭოთა კლასიკიდან: „ავადმყოფმა ექიმთან წასვლის წინ ფეხი დაიბანა, იქ მისულმა კი აღმოაჩინა, რომ ის ფეხი არ დაუბანია, რომელიც ანუხებდა“ — ილია ილფი.

ბუნებრივია, ამგვარი რჩევები საჭირო არ გახდებოდა ცხოვრების რეალობა მათ საჭიროებაზე რომ არ ლაღადებდეს. ახლაც ასეთი საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით. სტადიონზე წესრიგი გვჭირდება, ამიტომ გულშემმატიკორებს ჯიბეები უნდა ამოვუტრიალოთ, რომ სიჩქარეში შიგ შემთხვევით ჩარჩენილი არყის ბოთლი, ანაშა, იარაღი, ან კიდევ სხვა ათასი რამ სტადიონზე უნებლიეთ არ შეყვეს. მზესუმზირა დასაშვებია, მაგრამ არ არის სასურველი. დასაშვები უწმანური სიტყვებისა და გინების ფრაზეოლოგიური ლექსიკონები ინგლისურ და ქართულ ენებზე მაყურებლებს შესასვლელში დაურიგდებათ. გათამაშდება ნომინაცია — ყველაზე მონესრიგებული გულშემმატიკვარი (პრემია — მაყურებელთა ქონების კონფისკაციის შედეგად მიღებული მოგების 25 პროცენტი და „ლატარია ყველასათვის“ — 25 მომგებიანი ბილეთი).

ინგლისელ გულშემმატიკორებს სტადიონზე შესვლის წინ უსაფრთხოების მიზნით დაურიგდებათ ხელკეტები, ორლესური ნიჩბები და ცრემლმდენი გაზის პისტოლეტები, ვინაიდან ბრიტანელი გულშემმატიკორები, ტრადიციულად, ერთობ ემოციურნი არიან და ფეხბურთის მატჩის ექსცესების გარეშე დამთავრება მათთვის ცოტა არ იყოს უჩვეულო და, ალბათ, მიუღებელიცაა. ამიტომ ქართული სტუმართმოყვარეობის ეტიკეტის დაცვით ერთი-ორი კაცი გაუჭყლეთილი ან თავგატეხილი თუ არ გავითანეთ სტადიონიდან და სტუმარს პატარა გაფართხალების საშუალება არ მივეცით, თავი მოგვეჭრება.

მოკლედ, „დილის გაზეთი“ სხვას თუ ვერა, თავის მკითხველ გულშემმატიკვარს მაინც ურჩევს, რომ დილიდანვე განსაკუთრებული სერიოზულობა გამო-

იჩინოს, დაიბანოს პირი, გაიხეხოს კბილი, ჩაიცვას ტყვიაგაუმტარი „ჟილეტი“, თავზე დაიხუროს „კასკა“, ყოველი შემთხვევისათვის გამოირეცხოს კუჭი, მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე პროფილაქტიკის მიზნით ენვიოს გამო-საფხიზლებელს, ჩააბაროს მინის ტარა და მშვიდად, ღიმღინარევი გამომეტყველებით, ბრიტანელ მეგობრებთან ერთად შეგნებულად მოეკიდოს შსს სპეც-კონტროლს.

გაზ. „დილის გაზეთი“, 9 ნოემბერი, 1996 წელი.

ჩვენ რომ ბავშვობაში წიგნები გვეკითხა...

„ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის!“ ბევრისთვის დღეს სოციალისტურ-კომუნისტურ იდეოლოგიაში უპატრონოდ ნათრევი და გაცვეთილი ფრაზა გახდა. სიტყვა „სოლიდარობას“ კი ჩვენი ხანის ყველა თაობაში ტაბუ დაედო და მისი გამოყენება თითქმის უზნეობად გამოცხადდა. მაშ, რამ გაგვახსენა უძრობა-პერესტროიკა „მშვიდობიანად“ გამოვლილს ეს ორი ან დავინყებულნი გამოთქმა? — დღევანდელმა ურთიერთობებმა, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებამ, გაციებულმა გულმა და ერთობ უჩვეულოდ მოქოქილმა გონებამ!

ვიდრე „თეთრ ბაირაღებს“ დაწერდა, მამარქემა ოჯახში ერთი კურიოზული ამბავი გაიხსენა ციხის ცხოვრებიდან: საკანში, პატიმრებისათვის წიგნები შეუტანიათ. ერთ „გაფუჭებულ“ ქურდს, ფადევის „ახალგაზრდა გვარდია“ შეხვედრია წასაკითხად, კითხვა რომ დაუმთავრებია, ხმამაღლა დაუწყია ტირილი, მე რომ ეს წიგნი ბავშვობაში წამეკითხა, ჩემს ძმებს ხომ არასდიდებით გავცემდიო. ესეც შენი სოცრეალიზმის და კომუნისტური იდეოლოგიის ლიტერატურული მწვერვალი. რეაქცია — მაღალზნობრივი და ჰუმანური, შედეგი — რადიკალურად უარყოფითი, ანუ საპირისპირო.

ძველი იდეები კანონზომიერად დავგმეთ, ცენზორი მოვსპეთ, „ავტორიტეტები“ გავაიაფეთ, სიტყვა „იდეალი“ და მისი პათეტიკური გამომყენებლები დაუნდობელი ირონიისა და, უკეთეს შემთხვევაში, მონყალე დაცინვის ობიექტად ვაქციეთ. სამაგიეროდ, ახალი იდეოლოგია ვერ შევქმენით, დაკარგული ღმერთი ვერ ვაღიარეთ, მიზნის მისაღწევი ყველა გზა დასაშვებად მივიჩნიეთ — ერთმანეთის გვამებზე სასიარულო გზებიც კი. მოკლედ, ყველაფერი დასაშვებია, მთავარია შედეგებზე ბევრი არ იფიქრო.

„ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ ზოგს მარსქიზმ-ლენინიზმის წიაღში აღმოცენებული სენტენცია ჰგონია, უფრო განათლებულებს — ალექსანდრე დიუმას მოგონილი, მაგრამ დროსთან შეფარდებით ფრანგი კლასიკოსის იდეალს იდეალისტურად მიიჩნევს, კოლექტივიზმის იდეის ქვაკუთხედად

რაცხს და, აქედან გამომდინარე, ვაი-უბედურებით მოპოვებულ „ინდივიდუალობას“ უპირისპირებს.

ერთმა ნიჭიერმა, ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა ტელეინტერვიუში თქვა, ჩვენ სამართლიანი ომი იმიტომ წავაგეთ, ერთობა გვაკლდა, საერთო საქმისათვის ერთად არ ვიღწვოდითო. ახლა ერთობის უქონლობის გამო მეორე სამართლიანი „ომიც“ შეიძლება წავაგოთ (აფხაზეთის არაკანონიერი არჩევნების საპირისპიროდ გამართულ პლემბიცისტს გულისხმობდა)!

პლემბიცისტი დღეს ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი მოვლენაა. მის გამარჯვებით დაგვირგვინებას შეურყეველი იდეოლოგია, შეუბღალავი ავტორიტეტის შეძახილი, სუფთა ხელები და შეურცხვენელი სინდისი განაპირობებს, სხვა შემთხვევაში, ვისთვის სამართლიანი და ვისთვის — უსამართლოო, მოგვახლიან ცხვირ-პირში ისე, როგორც ადრეც მოუხლიათ.

ვიდრე გლობალურ ომებს მოვიგებდით, იდეოლოგიის გარეშე დარჩენილები ყოველ ფეხის ნაბიჯზე პატარ-პატარა, შეუიარაღებელი თვალით უხილავ ომებს ვაჩალებთ და ვაგებთ საკუთარ თავთან, ოჯახში, ახლობლებთან, სამსახურებში, ქუჩაში, ადამიანებთან, თურმე ნუ იტყვი, და ცხოველებთანაც კი, რომლებიც ჩვენი დაუდევრობის გამო ჯერ მოვამრავლეთ, მერე ქუჩების და სანაგვეების ამარა დავტოვეთ, ცოფი შევყარეთ და ახლა მთელს ჩვენს პოტენციალსა და მოზღვავებულ ტემპერამენტს მათთან ბრძოლასა და მათ ხოცვაში ვხარჯავთ. რა არის ეს, თუ არა დამარცხებული ტიპის თვითდამკვიდრებისა და დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობის მკაფიო გამოხატულება? ჰოდა, სწორედ ასეთ ტიპებად ვიქეცით.

გადაუნყვეტელ წვრილმან პრობლემებს ხელსაყრელი განსაზღვრება — „საბაზო ეკონომიკის პრინციპი“ და „კაპიტალიზმის სინამდვილე“ ავაფარეთ და ვისაც „გაფართხალება“ შეუძლია, იმან იმარჯვოს, ვისაც არა — იმან დაყვინთოსო, ასე გადავწყვიტეთ.

აღმოჩნდა, რომ დღევანდელი გაგებით „გაფართხალება“ არ შეუძლია მას, ვისაც არც ადრე შეეძლო, თუმცა, ამისათვის უხერხემლო ინტელიგენტებს არ ასამართლებდნენ. მიუხედავად ამისა, დასალუჰად არავის გაუმეტებია, დაცინვისა და შებრალების ობიექტად არ ქცეულან, პირიქით, ამ აბსურდულ ეპითეტს ერთგვარი კომპლიმენტის ელფერი დასდევდა და მის მატარებელს სიამაყის გარკვეულ გრძნობასაც მატებდა ხოლმე.

„უხერხემლო ინტელიგენტობამ“ დღეს პირდაპირი მნიშვნელობა შეიძინა. ხერხემალი მართლაც გადატყდა თუ გადატყხეს, ვინაიდან ყველაზე ადვილი მისი გადატყხა აღმოჩნდა. ჩვენც სოფლის შენება სწორედ ამით დავინწყეთ. ღმერთისგან და კაცისგან დავინწყებულ ინტელიგენტებს დღეს მრავლად შეხვდებით საქველმოქმედო უფასო სასადილოებში, მონყალების სახლებში. ტაქტიანი ქველმოქმედები მათ სახელებს არ ამხელენ, მათ შერჩენილ თავმოყვარეობას უწვენენ ანგარიშს. ეს, ვისაც ფიზიკური „გაფართხალება“ არ შეუძლია,

ხოლო ვისაც ღონე ჯერ კიდევ „ერჩის“, ბედმა გაუღიმა და იმედად უცხოელი კეთილმსურველები მოუვლინა, მათ კარზე მოღვაწეობენ — ზოგი მზარეულად, ზოგი მდივნად, დამლაგებლად, გადიად... უცხოელი მარჩენალი შეპარული კმაყოფილებითა და გამხელილი გაცეცებით ზრდილობიანად აცხადებს, საქართველო პარადოქსების ქვეყანაა: მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები ხელზე გვემსახურებიანო.

უცხოეთის საქველმოქმედო ორგანიზაციები ინტელიგენციას ვერ ეხმარება იმიტომ, რომ იგი რაც არ უნდა „ხერხემალგატეხილი“ იყოს, გაჭირვებულთა ვერცერთ კატეგორიას ესადაგება — ვერც ინვალიდთა, ვერც მრავალშვილიანთა და ვერც მარტოხელა მოხუცთა. საერთაშორისო პრინციპების დაცვით, ინტელიგენციის სათანადო მატერიალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს პრეროგატივაა. რა სახელმწიფოცაა, ინტელიგენციაც ისეთიაო — ასე სჯიან ჩვენი უცხოელი მარჩენლები. ჩვენ კი, ჩვენსავე უკატეგორიო და ყველა ნუსხიდან ამოშლილ მოქალაქეებს თვალს ვუხუჭავთ, ყურს ვუყრუებთ, სირაქლემასავით ქვიშაში ვრგავთ თავს და რითი ვიხედებით, ვერავინ დაადგენს.

რატომ? იმიტომ, რომ „გაფართხალებისას“ შესაძლოა მტერის ის უთხელესი საფარიც ჩამოცვივდეს, ზოგს სასწაულებრივად რომ შემორჩა და გარემო გამყინვარებისაგან ჯერჯერობით უსუსურად, მაგრამ მაინც იფარავს. ახლა მას რუსეთიდან შემოტანილი, უკვე მოარული კლიშეს მიხედვით „ძველი ქართველობა“ შევარქვით და მოვარდნილ დინებას გავაყოლეთ. ჰოდა, ვიდრე „ძველი ქართველობა“ საბოლოოდ დაიძირებოდა, ჰორიზონტზე „საბაზრო ეკონომიკაზე“ დამყნობილი „ახალი ქართველობაც“ წამოიჩინა: ახალი იდეებით, ახლებურად თუ ვიტყვით — ახალი მენტალიტეტით, უხერხემლოთა ცოცხალ გვამებზე მოსიარულე, მათ „შეცდომებზე“ ნასწავლი და მათი უარყოფი, იდეალების, რიტორიკის, რომანტიზმის, „დევიზების“ გარეშე ქვეყნის მაშენებელი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“, ისტორიული ძეგლების მსგავსად, გარდასულ დროთა ღირსშესანიშნაობად მიაჩნია და მხოლოდ მაშინ გაიხსენებს, როცა წინაპართა „საქმენი საგმირონი“ საკუთარი უძლიერესი გენეტიკური კოდის წარმოსაჩენად და მაცურებლის თვალში ნაცრის შესაყრელად დასჭირდება.

გაზ. „დილის გაზეთი“, N210, 23 ნოემბერი, 1996 წელი.

ანი თოვლის ბაბუაც მოვა!

უნივერსიტეტის წინ ჭავჭავაძის პროსპექტის 2 ნომერში ვცხოვრობდით მეოთხე სართულზე, კომუნალურ ბინაში, ჯახაიების ოჯახთან ერთად. ჩვენი სამზარეულოს ფანჯრები უნივერსიტეტის ბალსა და ვარაზის ხეებს გადაჰყურებდა. ზამთარში ფანჯრის რაფაზე ვისხედით ხოლმე მე და თემურ ჯახაია, რადგან იქ, რადიატორის თავზე, ყველაზე უფრო თბილოდა და გავყურებდით თოვლიან პროსპექტზე ზარების წკარუნით მორიკრიკე ტრამვაის, ხოჭოებივით მლოლავ შავ-შავ მანქანებს, თოჯინებივით პანია ფეხით მოსიარულეებს და არც ერთ მათ შესტს უკომენტაროდ არ ვტოვებდით.

ჩვენი თაობის პოპულარულ თამაშობებიდან „ომობანა“, „შპიონობანა“ და „კახაკი-რაზბოინიკი“ მაშინ ყველაზე დიდ გასავალში იყო, რადგან ომის რომანტიკა ღვიოდა სკოლებში, საბავშვო ბალებში, ბანაკებში, ქუჩებსა და ყველგან, სადაც არ გაიხედავდით. ჰოდა, ერთი ახალი წლის ღამესაც ფანჯრის რაფაზე მჯდომმა თემურს ვუთხარი, რა მოხდება, ახლა ქვემოთ, ქუჩაში, ნამდვილი ომი რომ დაიწყოს-მეთქი?! იცოცხლე, კარგია, მაგრამ შენ რა, მაინც არავინ წაგიყვანს, შენ კი არა, შეიძლება მეც არ წამიყვანონო, მიპასუხა. ძალიან დამწყდა მაშინ გული ჩემზეც და თემურზეც. ჩემზე განსაკუთრებით. ხოლო იმ ახალი წლის ღამეს სიზმრად ვნახე, როგორ გადავიქციე წითელ პარტიზანად და როგორ ვაწამებინე თავი კაციჭამია ფაშისტებს (გერმანელებს).

კომმარისაგან შიგადაშიგ თბილი ბაგე მალვიძებდა და ვინაიდან მაშინ ყველანი ერთ ოთახში ვცხოვრობდით, ძილ-ღვიძილში ბუნდოვნად ვხედავდი, როგორ ირთვებოდა და ლამაზდებოდა ჩვენი პატარა ბუდე, ციმციმებდა ნაძვის ხე, მესმოდა დაბალ ხმაზე ამღერებული რადიოლას ჰანგები და ცისფერ ნისლში ჩემს თავზე ანგელოზებივით დაფრინავდნენ ჩემი საოცრად ლამაზი და ახალგაზრდა მშობლები.

ის, რაც შუალამეს ნისლში დაცურავდა, დილას ცხადში გამოიკვეთა: ჰაერში ჩამოკიდებულ ვერცხლისფერ წვიმაში გახვეული ნაძვის ხე დიდ ხის ქოთანში ჩარგულიყო, გვერდით ის თოვლის ბაბუა ამოდგომოდა, ღამით, რომ კოცნით მალვიძებდა და გულო, ჩადექ საგულესა, ახალი წელი მოვიდაო, მეუბნებოდა. ბალმ ქვეშ ხელი შევაპარე და იქიდან თეთრი, ქათქათა წინდები გამოვაძვრინე, სასთუმალთან კანფეტებით ამოვსებული ახალი ფეხსაცმელი იდო, ჩემს დედას და მამას ოთახის მეორე კუთხეში ეძინათ. მათ ბალიშთან თოვლის ბაბუას საჩუქრები არ დაენყო. ჩვენი თოვლის ბაბუა, ეტყობა, ჩვენსავით ღარიბი იყო და ჩემი მშობლების საჩუქრებზე ფული აღარ ეყო, სამაგიეროდ, სუფრაზე იმდენი გემრიელი საჭმელი, ტკბილეული და სასუსნავი დაეტოვებინა, ყოჩაღ, თოვლის ბაბუა! გმადლობთ!

თითქმის ოცი წელი გავიდა მას მერე. 31 დეკემბრის ღამე იდგა. ჩემი შვილი, ნოდარიკო, სამიოდე წლის იყო. კარებზე ზარი დარეკეს. მე და ნოდარიკომ გავადეთ და სადარბაზოი სრულიად ჭალარა, ღამაზი მომღიმარე შუახნის კაცი

დავინახეთ, მის გვერდით დიდ ხის ქოთანში ულამაზესი გატოტვილი ხე ამოზრდილიყო, რომელსაც ნითელი, ნითელ-ყვითელი, ოქროსფერი და მოლივლივე ფერის ლოყებ-ლაჟღაჟა ვაშლები მოესხა. ეს მომღიძარი კაცი დავით სეფიაშვილი აღმოჩნდა, თბილისში ცნობილი ჰურმანი და ქართული სუფრის ტრადიციების დიდი მოამაგე, მამაჩემის ძველი მეგობარი.

— შეაბრძანეთ, — თქვა მან და ორმა ყმანვილმა ეს ზღაპრული ვაშლის ხე შუა ოთახში დააბრძანა. მერე ბატონმა დავითმა ნოდარიკო ხელში აიყვანა, იმ ხესთან მიიყვანა და უთხრა, რასაც ახლა ჩაიფიქრებ ყველაფერი აგისრულდებაო. მე არ ვიცი რა ჩაიფიქრა მაშინ სამი წლის ნოდარიკომ, მე კი ამ კაცის დღეგრძელობა და დალოცვა ნამდვილად არ დამვიწყებია.

— იცი მე ვინა ვარ, ბაბუ? — ჰკითხა მან ნოდარს.

— ვიცი, თოვლის ბაბუა, — უპასუხა ნოდარიკომ.

იმ დღიდან ბატონ დავითს ჩვენს ოჯახში თოვლის ბაბუა შეეარქვით. მართლაც თოვლის ბაბუასავით იყო, წელიწადში ერთხელ მოვიდოდა და სახლში უცნაური ხალისი და სითბო შემოჰქონდა.

1992 წლის 31 დეკემბრის ღამეს ბავშვობის ძველი „ოცნება“ სრულად ამიხდა. მე ფანჯრის რაფაზე ვიჯექი, ქუჩაში კი ომი იყო. ქართველები ერთმანეთს ესროდნენ. ყველაფერი სწორედ ისე დატრიალდა, როგორც მაშინ ჩავიფიქრე, ერთის გარდა — მე აღარ მინდოდა პარტიზანობა და აღარც გერმანელები მეჩვენებოდნენ კაციჭამიებად. კაციჭამიებს ქართველები უფრო ვგავდით. იმ ღამეს თოვლის ბაბუას ჩემს ოჯახში ფეხი არ შემოუდგამს, არც ჩვენ გავსულვართ გარეთ, თუნდაც დედასთან, ახალი წლის მისალოცად. უღიმღამოდ ჩამოვიარეთ მეზობლები, ისიც პოზიცია-ოპოზიციის შერჩევით და მერე ასევე უღიმღამოდ შევძვერით ლოგინებში.

გავიდა წლები, ის კი მოდის და მოდის ყოველ 31 დეკემბერს 12 საათზე, ოდნავ მომაგრებული, სულმოთქმული, მოყოყლოჩინებული, დაბნეული, მაგრამ მაინც ღიმილიანი, ხვავით, ბარაქით, ცეცხლნაკიდებული ბაზრებით, თავანყვეტილი ყიჟინით, ვაჭრობით, შეხლა-შემოხლით, კისკისით, მასხარაობით და ჩვენც აქა ვართ იგივენი, ოდნავ სულმოთქმულები, ვითომ შემოსილები, შემკრთალ-გაფითრებულები, მაგრამ მაინც ღიმილიანები, თვალებში იმედჩამდგარ-ჩაუმიდგარები, სავესე გულით, ცარიელი ჯიბით (ყველა არა!), ჯიბეში გახვრეტილი 5 თეთრიანი და არაფრის გვეშინია, ვინაიდან ვიცით, რომ რაც არ უნდა ვიხტუნაოთ, ის მაინც ბრუნავს, ბრუნავს ხან სწრაფად, ხან დინჯად, ხან ჯანჯლართა და კისრისტეხით, ხან ნარნარით, ამას დიდად ხელს ვერც შეუწყობ და ვერც შეუშლი, თოვლის ბაბუაც მოვა და ჯიბრში თუ არ ჩავუდევით, პირიდან სულ თაფლს და შაქარს, გულიდან სითბოს და თვალთაგან სინათლეს გადმოაფრქვევს.

გაერო საქენერგო ეკონათ

ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ-საზოგადოებრივ და მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას მსოფლიოში ნებისმიერ დროს და ნებისმიერ თემაზე მოგონილი ანეკდოტი შეიძლება მოერგოს. ჩვენ კი, საქართველო-გაეროს უახლეს თანამშრომლობას ერთი წმინდად ეროვნული და სადღეისოდ აქტუალური ანეკდოტი გვინდა მივუსადაგოთ.

ქართული ბიზნესი: ორმა ახლადგამოჩეკილმა ქართველმა საქმოსანმა ბარტერულ ოპერაციაზე დადო ხელშეკრულება. გააფორმეს კონტრაქტი და დასცილდნენ თუ არა ერთმანეთს, ერთიც დაპირებული საქონლის საშოვნელად გაიქცა და მეორეც.

ასე დაგვემართა ჩვენ და გაეროსაც. მართალია, ფართო საზოგადოებას ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რას დაგვირდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგრამ ჩვენ რომ ხმის უფლების მოპოვების სანაცვლოდ მას სხვას თუ ვერაფერს, სანევროს გადახდას მაინც შევპირდით, ეს ფაქტია.

თუ გაერომ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში აღუთქვა დახმარება, ცხადია, იმ ანეკდოტის გმირივით, იგი ჯერჯერობით თავად არის დაკარგული და დაპირებული საშუალებების ძიებითაა დაკავებული. ჩვენ კი, ქართველები, რისი გადამხდელებიც ვიყავით, ეს გაეროს თუ არა, სიდუხჭირეში გამოწრთობილ-გამომდნარებს მაინც ხომ მოგვეხსენებოდა?!

ქართულ ხაზინას ვალუტა უკვე კარგა ხანია მხოლოდ სარეკორდო ციფრით დაკომპლექტებული დელეგაციების ტურებისათვის მოეპოვება. ჰოდა, ახლაც წავალთ საჭირონი და არასაჭირონი, სავსე თვითმფრინავებით, თუნდაც გაეროში, ოღონდ ამჯერად ტურგენევის გერასიმეს სტატუსით, ანუ „მუმუს“ ინსცენირება მოგვიხდება. თუმცა, იმის იმედს მაინც არ ვკარგავთ, რომ „პრემიერა“ წარმატებით ჩაივლის, რადგან, წესით, ასეთი გადაწყვეტილებებისთვის უფრო უნდა ვიყოთ მზად, ვიდრე სანევროების გადახდისათვის.

გაზ. „მოქალაქე“, N8 (51), 22 თებერვალი, 1997 წელი.

ქართველი დეპუტატები თურმე ტყვიას ტყვიაში აჯენენ ვეძებთ მეხუთე დოცლაპიას

ცვლილებები და დამატებანი კანონში ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების შესახებ — სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა 20 ივნისის სხდომა. კანონპროექტის თანახმად, იარაღის ტარების უფლება (ვადის გასვლის შემდეგ) უნარჩუნდებათ პარლამენტის წევრებს. არსებულ კანონში დამატებანი და ცვლილებების შეტანა იმითაც გამოიხატება, რომ იარაღის მატარებელთა არსებულ სიას ემატებიან საბაჟო და საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები, რომელნიც ოპერატიულ ფუნქციებს ასრულებენ, ტყის მუშაკები, პენსიაში გასული მოსამართლეები და უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ღვანლმოსილი მუშაკები.

კანონპროექტი განიხილეს და კენჭიც უყარეს (ფარულად). ვიდრე ხმებს დაითვლიდნენ, დეპუტატები გათავხედებულ ჟურნალისტთა სრულიად მიუღებელ კითხვაზე, ხომ არ მიგიციათ კანონპროექტისთვის ხმაო, კატეგორიულად პასუხობდნენ „არა, არ მიმიციაო“. შედეგებმა, ანუ ტაბლომ კი სრულიად საპირისპირო აჩვენა: 5 — წინააღმდეგი, დანარჩენი — მომხრე. მომხრეთა რიგს განეკუთვნება ქართველ დეპუტატ ქალთა უმრავლესობა, რომელთა ძარღვებში, უდავოა, სწორედ კენჭისყრის დროს უყვილია ჩვენი შორეული წინაპრების სისხლს.

რაც შეეხება მამაკაცებს, აქ საქმე უფრო მძიმედ გვაქვს. ვაჟკაც დეპუტატებს შორის მაინც აღმოჩნდა ხუთი შემარცხვენელი დოცლაპია დეპუტატი, რომელთა ძარღვებში არამცთუ წინაპართა, არამედ ჩვენი თანამედროვისა და მათი ყოფილი კოლეგის, ჯაბა იოსელიანის, სისხლიც აღარ ყივის (არადა, ეს უკანასკნელიც ხომ იარაღის ტარების უფლების დაკანონებას მოითხოვდა და, თუ არ ვცდები, ოფიციალურად, სწორედ იარაღის ტარებისთვის ზის).

როგორც რიგითი ჟურნალისტი, ვსარგებლობ წყაროს არ დასახელების უფლებით და ფარული კენჭისყრიდან მოპოვებული ზუსტი მონაცემებით, გთავაზობთ ხუთიდან ოთხი დეპუტატის სახელს. გვარების ამომცნობათვის „დილის გაზეთს“ დანესებული აქვს „პრიზი-სიურპრიზი“.

მაშ ასე, ვინყებთ:

ზურაბი...

მიხეილი...

ბესო...

რამაზი...

მეხუთე ვინ იყო, „წყაროს“ აღარ ახსოვდა.

მეექვსე დოცლაპია, ალბათ, თავად პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ ვაგლახ,

რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ხმის უფლება არა აქვს. რომც ჰქონდეს, მისმა ერთმა ხმამ რა უნდა დააკლოს იარაღის მოუღარუნე სრულიად ქართულ დეპუტაციას უმცირესი გამოჩაქვით?! როგორც ყოველთვის, ედუარდ შევარდნაძეს ახლაც აუსრულდა ის, რისიც ემინოდა და, მისსავე სიტყვებს თუ გავიმეორებთ, ის დროა, „ერთი ჯაბახანა იარაღი მანაც შეიძინოს“, ხოლო როგორ გამოიყენებს, ეს თავად ჩვენზე უკეთ იცის.

ცოტა წინაც თუ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ ოციოდე წლის შემდეგ მთელი საქართველო, პარლამენტისა არ იყოს, მილიტარიზებული გახდება. მაშინ აღარც თავდაცვის სამინისტრო დაგვჭირდება, არც შინაგან საქმეთა და, საერთოდ, ყველამ თუ ჩვენ-ჩვენს თავს მივხედეთ, რალა საჭირო იქნება ძალოვანი სტრუქტურები? უმაგათოდაც ქვეყნად მშვენივრად დაისადგურებს სამარისებური სიმშვიდე და მყუდროება.

ახლა მთავარი ის არის, ამ ოცი წლის განმავლობაში რა ვაკეთოთ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის უიარაღო ნაწილმა, ვიდრე ყველა გავდებუტატდებით? ალბათ, არალეგალურად ჩვენც უნდა შევიარაღდეთ, რათა თავი დავიცვათ ლეგალურად შეიარაღებულებისაგან. ეს ერთი, ახლა — მეორე. მე, უიარაღო, უსახელ-გვარო, მშიშარა და არამკითხე ყურნალისტი გეკითხებით თქვენ — ამაგდარო, სამართლიანო, ქრისტიანო და ჰუმანისტო, რჩეულო მოქალაქეებო, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, დედებო, მეუღლეებო, ბებიებო, თქვენ, „პატიმრების უფლებების დამცველო“ ქალბატონო, ნუთუ მართლა ჩაიდებთ ჯიბეში იარაღს და გაისვრით, თუნდაც თავდაცვის მიზნით?

P.S. ამ ორიოდ დღის წინ ერთმა „მაფიოზომ“ ორი თავისნაირი, რომ იტყვიან, სწორედ „თავდაცვის მიზნით გააგორა“.

გაზ. „დილის გაზეთი“, 23 ივნისი, 1997 წელი.

უმიკროფონოდ და უმეგაფონოდ

რამდენი ქალთა ორგანიზაცია არსებობს დღეს საქართველოში? ალბათ იმდენი, რამდენი ქალიცაა. და ეს მხოლოდ საქართველოზე როდი ითქმის, ეს უკვე მთელმა მსოფლიომ აღიარა. წარმატებულობის თანამედროვე ფორმულა (რომელიც ეტყობა, მამაკაცებმა შეადგინეს) გვამცნობს: „თუ გსურს, რამეს მივალნიო, ან ქალი უნდა იყო ან ჰომოსექსუალისტი. ორივე ერთად თუ ხარ, შენს ბედს ძალი არ დაჰყეფს!“

და მაინც, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მანდილოსნებს მიანც მიაჩნიათ, რომ კაცობრიობის საერთო მზის ქვეშ ადგილები ისეა განაწილებული, იქ ქალ-

თა სქესი შევიწროებასა და უუფლებობას განიცდის. უფლებები კი ყველას ერთი აქვს, განურჩევლად სქესისა და მსოფლმხედველობისა.

ყველა ორგანიზაცია და მათ შორის, ქალთაც, ძირითადად, ერთ მთავარ იდეას და მიზანს ემსახურება. იდეათა სიმრავლეს ამკარად ჭარბობს ქალთა ორგანიზაციების სიმრავლე, მიზანთა აქტუალობას კი — ქალთა აქტიურობა.

ქალთა მოძრაობა დემოკრატიის ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტია. არის თუ არა დემოკრატია საქართველოში, ამას ვერ დავიჩემებ, მაგრამ მოდაში რომ არის — ეს ფაქტია. ჰოდა, როდის ყოფილა ქართველი ქალი ფრანგ, ინგლისელ, იტალიელ და, თუნდაც, ამერიკელ ქალზე ნაკლები მოდის მიმდევარი. თუ არ გჯერათ, გაისეირნეთ შანზე-ლიზეზე, პიკადილიზე, ტრევის მოედანზე, ბროდვეიზე და მიხვდებით. თუ ვერ გაისეირნებთ, მაშინ ცოტა მოიცადეთ, დაფიქრდით და ისე შექმენით ქალთა ორგანიზაციები, კლუბები, გუნდები, ასოციაციები და ასე შემდეგ.

რა იცოდა ჩემმა უახლოესმა ნათესავმა მარია ბარნოვმა, რომელიც ამჟამად საქართველოს მრეწველთა კავშირის ქალთა კლუბს ხელმძღვანელობს, ასეთი წარმოდგენისა რომ ვიყავი ქალთა კავშირებზე, თორემ ალბათ სულაც არ დამპატიჟებდა მათ მიერ 20 ოქტომბერს თბილისობისადმი მიძღვნილ გამოფენა-გაყიდვაზე.

ლონისძიებზე ზემოთ გამოხატული განწყობით მივედი და კარებში სალამზე ჩამსკრივებული ყელ-ყურ აბდღვრიალებული ქალებიც რომ დავინახე, ქილიკის ხასიათზე დავდექი, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემთვის ჩემს მიერ აღიარებულ აქსიომაში, რომ ჟურნალისტი არც ნაცნობი ვარგა და არც ნათესავი. თუ შეგიძლია, არც ქორწილში უნდა დაპატიჟო და არც ქელეხში. რატომ, თავად განსაჯეთ:

ჩავატარე თუ არა დამსწრეთა წინაშე აუცილებელი მოკლე რიტუალური თვითპრეტენზია, საგამოფენო დარბაზების დათვალიერებაზე გადავედი. აქ წარმოდგენილი იყო ქართველ ხელოვან ქალთა ხელით ნაკეთები სუფრები და თავსაბურავები, ირაკლი ფარჯიანის ნახატები, ძველი საიუველირო ნამუშევრები თბილისის საოჯახო კოლექციებიდან.

დიდი ხანი არ დამჭირვებია იმისათვის, რომ მივმხვდარიყავი, ამ გამოფენა-გაყიდვაზე პირადად მე არამცთუ აქტიურ მონაწილედ, ექსპონატადაც არ გამოვდგებოდი. ლატარიაში ვცდი-მეთქი ბედს, ვიფიქრე და იქაც მენარმეებმა მაჯობეს. ერთხელ, 2-ლარიანი ლატარიის ბილეთით 60 თეთრიანი სავარცხელი მოვიგე. ეგ იყო და ეგ. ნეტავ, აქ რა ბედი გამიწყრა?!

ყველაზე ლამაზ ნივთებს „გაყიდულია“ ეწერა, გაუყიდავენს, ფასი — 100 ლარი და ზევით. ამ ექსპონატა მსყიდველუნარიანობასა და უუნარობას ჩემისთანა უბრალო მოკვდავისთვის სულ ერთი ფასი აქვს, მაგრამ ჩემს ძარღვებში ხომ უბრალო მოკვდავის გარდა „სასიკვდილე“ ჟურნალისტის სისხლიც ჩქეფს, მოსვენებას რომ არ მაძლევს და ტვინს ათასი უადგილო კითხ-

ვით მიღრღნის.

„ვინ იყიდა?“, „ვინ გაყიდა?“, „რას მოხმარდება შემდეგ ეს ფული?“, „რითი ერთობიან საერთოდ შეძლებული ქალბატონები?“.

ჰოდა, ამ და კიდევ მრავალი უტაქტო კითხვით ვის მივადგებოდი, თუ არა ჩემს სისხლსა და ხორცს, კლუბის პრეზიდენტს მარიკა ბარნოვს.

აღმოჩნდა, რომ მრენველთა კავშირის ქალთა კლუბი თავისი ფილოსოფიით შორსაა ქალთა ფემინისტური მოძრაობის იდეისგან. ისინი არ მოითხოვენ საკუთარი უფლებების დაცვას და მამაკაცთან თანასწორუფლებიანობას. პირიქით, მიზნად დაუსახავთ საკუთარი მამაკაცების, ანუ მეუღლეების ხშირად დარღვეული უფლებების დაცვა, ავტორიტეტის ამაღლება და მათი საქველმოქმედო თუ ძირითადი მოღვაწეობის შეძლებისდაგვარად სწორად „მართვა“. ისინი თავიანთი ქმრების საქმიანობის სადარაჯოზე დამდგარან და გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, ცდილობენ, ცდილობენ, როგორც შეუძლიათ.

მარიკა ბარნოვი:

ჩვენი კლუბის წევრებს მატერიალურად ნამდვილად არ უჭირთ, პირიქით, „ოდნავ“ სხვაზე მეტიც აქვთ. უჭირს ქვეყანას, სადაც მდიდარი მის გვერდით მდგომ გაჭირვებულს შეგნებულად ვერ ხედავს და ცალკე, სხვათაგან იზოლირებულად ილამაზებს ყოფას, ცალკე სამყაროს იქმნის. ასეთი სამყარო ფუყე და ერთფეროვანია, დეპრესიულიც. პირადად ჩემს გვერდით უამრავი ნიჭიერი, განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანი დარჩა გაჭირვების ზღვარზე და მის მიღმაც. ბევრი მათგანი საქმის მაღალი პროფესიონალია, მათი პროფესიულობა კი, ჩვეულებისამებრ დღეს ან საერთოდ არ ფასდება, ან — „სიმბოლურად“. დღევანდელ გამოფენა-გაყიდვასაც, თუ გსურთ, ამ მოვლენის ერთგვარი პროტესტი დაარქვით. დარბაზებში გამოფენილი სუფრები ჩვენი ქართველი ხელოვანი ქალების შრომისა და ნიჭის ნაყოფია. დღეს ამ ქალბატონებს საშუალება ეძლევათ, მაღალპროფესიულობით თავი გამოიჩინონ და ჰონორარიც ისეთი მიიღონ, როგორც მათ ნაღვანს ეკადრება.

მენარმეები დღეს აქ ვაჭრობას არ გამართავენ. მათაც ფართო არჩევანის საშუალება ეძლევათ და, თუ ისურვებენ საკუთარი გემოვნების დაკმაყოფილებას, ბუნებრივია, საზღაურიც შესაბამისი და რეალური უნდა გადაიხადონ. მიმაჩნია, რომ ეს ჭეშმარიტი, ნესიერი ბიზნესის უმთავრესი პრინციპის, ორმხრივი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის, საუკეთესო და ყველაზე მშვიდობიანი საშუალებაა.

ჩვენ ვცდილობთ, ნიჭიერ, მშრომელ ადამიანებს შეძლებისდაგვარად შემოქმედების სტიმული გავუღვივოთ და საკუთარი შრომის ნაყოფი თვალნათლივ დავანახოთ. მოვძებნოთ ასეთი პიროვნებები და, თუ უჭირთ, ფეხზე წამოვაყენოთ. ღვანლმოსილ მოხუცებს, ვისაც ფიზიკური შრომა აღარ შესწევთ, მოკრძალებით მონყალება კი არა, მაღლიერება გამოვუცხადოთ თუნდაც იმ მცირედით, რითაც რეგულარულად ვეხმარებით. საქართველოს კულტურულ-

სოციალური პროცესების ცენტრში ვიყოთ ინფორმირებულობის თვალსაზრისით. მოკლედ, ვცდილობთ, მაქსიმალური ტაქტიკა და ჩუმი თანადგომით დავებმართო ჩვენს ინტელიგენციას მდიდარი ტრადიციების შენარჩუნებაში.

ვიდრე ამის საშუალება გვაქვს, მიკროფონისა და მეგაფონისგან შორს ვიჭერთ თავს. როცა ვაგვიჭირდება და ზოგიერთი არაკეთილმოსურნე უსამართლოდ შემოგვიტევეს, მაშინ შეიძლება მიკროფონიც დავიჭიროთ ხელში და მეგაფონიც.

მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე სწორი არჩევანი გავაკეთეთ. შეძლება და კეთილი ნება თანდაყოლილი თვისებაცაა და შეძენილიც შეიძლება იყოს. ამიტომაც ვდგავართ მყარად ჩვენი მიუღლებების გვერდით და ვცდილობთ, ჩვენი და მათი სახე მართლაც ღირსეულად წარმოვჩინოთ. რაც ღმერთით თან არ დაგვყოლია, შევიძინოთ, რაც თან დაგვყვა, იმას მოვუაროთ და სხვებსაც გავუზიაროთ.

მარიკა ბარნოვის მოკლე და კონკრეტულმა პასუხმა კონკრეტულ კითხვებზე, მართალი გითხრათ, ქილიკის ხასიათი სულ დამაკარგვინა და ერთ კონკრეტულ და ფართო საზოგადოებაში ნაკლებ გაზიარებულ დასკვნამდე მიმიყვანა: ხომ არ აჯობებდა, ქვეყნის პრეზიდენტისა არ იყოს, „ვაცალოთ“ ამ უატარა კლუბს, ბუნებრივია, იგი მთელ სახელმწიფოს და მის მთავრობას საკუთარი ინტელიგენციის ფეხზე წამოყენების პრობლემას ვერ გადაუწყვეტს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მცირე ნაწილს მაინც გაუსაძლის ყოფას ნაწილობრივ შეუმსუბუქებს, მატერიალური თუ სულიერი თანადგომის იმედის სხივს ჩაუდგამს გაცურებული იმედებითა და საყოველთაო გამყინვარებით გათოშილ მკერდში.

გაზ. „დილის გაზეთი“, 24 ოქტომბერი, 1997 წელი.

შენ ქელეხში ნაბრძანდი და მე ქორწილში წავეთრევი

(თანამედროვე ვარიანტი საქართველოს მინისტრებისა და მათი მოადგილეებისათვის)

„ფინანსისტებს ცრემლების არ სჯერათ“ — ასეთი ქვესათაურით დაიბეჭდა 10 ნოემბერს, გაზეთ „რეზონანსში“ წერილი, რომელიც პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში სოციალური სფეროს ბიუჯეტის განხილვას მიეძღვნა.

„განხილვის დაწყებამდე რამდენიმე მონაწილემ მკაცრად ითხოვა სხდომის გადატანა: „სახელმწიფო პოლიტიკას მინისტრები ატარებენ“, — ამბობდნენ ისინი, შეხვედრას კი არც ფინანსთა მინისტრი ესწრებოდა და არც განათლებისა. ეს უკანასკნელი, მისი მოადგილის მედეა გოცირიძის ინფორმაციით, კახეთში ბრძანდებოდა, ილიაობაზე, ხოლო ფინანსთა მინისტრმა კი განათლების,

მეცნიერების თუ ახალგაზრდობის საქმეების მესვეურთ ჯოხის გადასატეხად თავისი მოადგილე ვასილ გოგოლაშვილი შეატოვა („რეზონანსი“ 1997 წლის 10 ნოემბერი)!

ცნობილია, რომ მწვავე საკითხებზე საინფორმაციო მართონის მოწყობას „რეზონანსს“ ვერავინ დაასრებს. დღეს ჩვენც, „ქართული კულტურის“ ჟურნალისტებიც, ჩავებით ამ მართონში, ავითაცეთ ჩირაღდანი და გვსურს მან ადრესატამდე მიაღწიოს. ადრესატი კი ვინ შეიძლება იყოს, ამას თავად მიხვდებით.

პირველი, რაშიც „რეზონანსსა“ და ბიუჯეტის განხილვის მონაწილეთა ერთ ჯგუფს ვეთანხმები, არის ის, რომ უდავოდ აჯობებდა კულტურის მინისტრი „ქელეხში“, ანუ ბიუჯეტის განხილვაზე ნაბრძანებულიყო პარლამენტში, ხოლო თავისი მოადგილე „ქორნილში“, ანუ ილიაობაზე გაემწესებინა, ზუსტად ისე, როგორც ფინანსთა მინისტრი მოიქცა, როცა თავისი მოადგილე გაუშვა იმისთვის, რომ „ქორნილში ნათრეული“ მინისტრის მაგივრად ამ უკანასკნელს ხელი ესავსავებინა და დაბეჯითებით ემეორა, რა ვქნათ, ბიუჯეტი განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პრობლემებისთვის 10,3 პროცენტზე მეტს ვერ ითვალისწინებსო.

როგორც ვიცით, ცხოვრებაში სასწაულებიც ხდება და ამიტომ ოცნების უფლება კაცობრიობისთვის ჯერ ვერც ერთ ხელისუფლებას ვერ აუკრძალავს, თუმცა ზოგიერთმა მისი საზღვრები საგრძნობლად შეზღუდა. სწორედ ამ შეზღუდულთა სიაში აღმოვჩნდით ჩვენც — ქართველებიც. თვალსაჩინოებისთვის საკმარისია, ამ აუადსახსენებელი ბიუჯეტისადმი მიძღვნილი სხდომა განვიხილოთ, თუნდაც ერთი უმნიშვნელო ასპექტიდან:

ფინანსისტებს, როგორც რადიკალურად პრამატისტ, ურწმუნო და არარომანტიულ კლასს ერთის მხრივ, და „კულტურისტებს“, როგორც რადიკალურად იმედგაცრუებულ, სახსრებს და ენერჯია დაშრეტილ, მუხლში წყალჩამდგარ, თვალწირპლიან, ინდიფერენტულ და ინფანტილურ, ანუ ოპოზიციის ენით თუ ვიტყვი, „დამპალ ინტელიგენციას“, მეორე მხრივ, საერთოდ დაუკარგავთ ერთმანეთისკენ სავალი გზები. თანაც „კულტურისტებისგან“ განსხვავებით ფინანსისტები ამ ბოლო დროს ისე გასუქდნენ, გალადნენ და გაზულუქდნენ, დღედაღამ რომ უჩიჩინო, საქართველოს განათლებაც სჭირდება, მეცნიერებაც, კულტურაც და სპორტიცო, ვერასგზით შეაგნებინებ. ისეთ ჯავშან-ტრანსპორტიორში ჩამსხდარან შიგ არც ხვენწა ატანს, არც ცრემლი და, ბუნებრივია, არც ტყვია.

არც ის გვინდა დავიჯეროთ, რომ ამ ბიუჯეტის შემდგენელთ და მასზე ხელის მომწერთ არა უწყით რა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ძველთაგან მხოლოდ მისი მრავალსაუკუნოვანი და დიდი კულტურა შემორჩა, სამაგიეროდ, შეიძინა მანანწალა ბავშვებით მოფენილი ქუჩები, მათხვრებად ქცეული პროფესორ-მასწავლებლები, ლტოლვილებით დასახლებული სასტუმროები, ბაზრობები და კიდევ მრავალი სხვა „სიკეთეები“, რომელთა ჩამოთვლაც ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ამ ჩამონათვალთაგან ბიუჯეტში ზოგ-ზოგზე ცოტ-ცოტა ყველაფერია გათვალისწინებული, მაგრამ ისე, ზრდილობისათვის, ქვეყნის მმართველ ძალებს გაუნათლებლობა, მიკერძოება და ცრუპატრიოტიზმი რომ არ დაბრალდეთ, თორემ ეს ციფრები სერიოზულ ფინანსისტს რომ ანახო (თუ ჯერ არ უნახავს), გული სიცილით გაუსკდება.

მაგრამ ნუ იტყვიან და, თურმე, საქართველოს მიმდინარე ბიუჯეტი ძალზე მოსწონებია უცხოელ ექსპერტებს, რომელთაც ბატონი რომან მიმინოშვილის თქმით, „სრულიადაც არ აინტერესებთ საქართველოს კულტურისა და განათლების დონე, მათთვის სულ ერთია აქ პანამა იქნება თუ საქართველო“.

ერთსაც დავამატებთ: ყველა შეგნებული უცხოელისათვის თავისი ქვეყნის გავლენის სფეროს გაფართოება და გაძლიერება უმთავრესი მიზანია, ჩვენი, ქართველების წმიდათა წმიდა წესი და ჩვეულება კი უცხოელის უსაზღვრო პატივისცემა, მისი ცხოვრების გაიოლება და მარადი თავყვანისცემაა. თუ ყველა ქართველი ასეთია, მაშ რისთვის გვიკვირს სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელთა ასეთი რუდუნება და თავდადება უცხოელთა თავის მოსაწონად? ჩვენი პოლიტიკოსები და ეკონომისტებიც ხომ ბედკრული საქართველოს ღვიძლი შვილები არიან და საკუთარი მოქალაქის თვალში ნაცრის შეყრა მათი უძველესი და ტრადიციული პროფესიაა?

გაზ. „ქართული კულტურა“, N16 (57), 14-20 ნოემბერი, 1997 წელი.

ვარდი უეკლოდ ამერიკაშიც არავის მოუკრეფია

უკვე მესამე თვეა, ამერიკის შეერთებული შტატების მისურის საუნივერსიტეტო ქალაქ კოლუმბიაში ვცხოვრობ და საქართველოს „მაცნედ“ კვირაში ერთხელ — დედაჩემი და სამჯერ „ჯორჯიან ტაიმსი“ მევლინება.

ამბავი, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, საქართველოში მიმდინარე პროცესებთან შედარებით, ნამდვილად არ გამოირჩევა სიუჟეტის სიმძაფრით, არც სკანდალურობით, მაგრამ სანტიმენტალურია და ეგებ, ჭრილობებზე მალამოდ დაედოს ჩვენს მკითხველს.

კოლუმბიაში ჩამოსვლისთანავე უნივერსიტეტელმა კოლეგებმა ერთი ადგილობრივი ოჯახის, ვერნა და ჯიმ როუდსის ტელეფონის ნომერი მომცეს და მითხრეს, ეგენი საქართველოსთან მჭიდრო კავშირში არიანო. ქალბატონი ვერნა მისურის უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის საფერშლო კათედრის პროფესორია, მისურის ონკოლოგ ფერშალთა საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ACTS-ინტერნეიშენალის აქტივისტი.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ვერნამ, როგორც ყველა ქართველი, მეც გულში ჩამიხუტა და სითბო და ყურადღება არ მომაკლო. ერთ საღამოს დამირეკა, მინესოტადან ჩემი მეგობარი ჩამოდის, ჩვენთვის სიურპრიზი ჩამოაქვს და მინდა შეგახვედროო, სიამოვნებით დავთანხმდი. მეორე დღეს ვერნასთან ვიკრიბებით სადილად. დილით დამირეკა, სადილი მგონი ჩაიშალა, იმ ჩემს მეგობარს გზაში მანქანა დაუმტვრევია და ახლა დამირეკა აიოვაში ვარ, აქედან როდის ჩამოვალნევ, თვითონ არ ვიციო. შევწუხდი, მაგრამ რას გავანყობდი, ვიფიქრე, კიდევ კარგი, ცოცხალი გადარჩა-მეთქი და ჩემს საქმეებს მივუბრუნდი.

რამდენიმე საათში ვერნამ კვლავ დამირეკა, სადილი, მართალია, ჩაიშალა, მაგრამ მთლად არა, ვახშმად გადაკეთდაო. ახლა ველაპარაკე ჩემს მეგობარს. ასე ამბობს, ყველაფერი მოწესრიგდა, მანქანა უკვე გადავაგდე, „ახალი ნახმარი“ ვიყიდე და რამდენიმე საათში მანდ ვიქნებიო. კარგი-მეთქი, — ვუთხარი მშვიდად, რადგან ამერიკაში ეგეთი რამეები ხდება და მაინც და მაინც არავის უკვირს. ჰოდა, მეც მივეჩვიე ნელ-ნელა.

მოკლედ, საღამოს ვერნამ მართლაც გამომიარა და თავისთან წამიყვანა მანქანით. გზაში ასეთ ამბავს მიაშობს:

— ბეტი მოლინი მინესოტას ფეარვიუს უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ფერშალია, ძალზე გამოცდილი სამედიცინო და, მინესოტას ონკოლოგ ფერშალთა საზოგადოების წევრი და ჩვენი ძველი მეგობარი. ონკოლოგიის ფერშალთა საზოგადოების ჟურნალში ჩემი სტატია წაუკითხავს, სადაც ვიტყობინებოდი, რომ ჩვენი ორგანიზაცია ამა და ამ დღიდან თავის ოფისში საქართველოში საჩუქრად გასაგზავნ სამედიცინო სახელმძღვანელოებს აგროვებს. მას, თავის მხრივ, ეს ხმა მინესოტაში გაურვცელებია და სწორედ დღეს 600 კილოგრამი წონის წიგნები მოჰქონდა მანქანით. უკან იმიტომ აღარ დაბრუნდა, ეს წიგნები ჩვენთან ჰქონდა ჩამოსატანიო.

მინესოტადან კოლუმბიამდე რამდენი საათი უნდა-მეთქი, — ვიკითხე უმისამართლოდ და ვერნამ მიპასუხა — დაახლოებით თორმეტიო. კი მაგრამ, რა საჭირო იყო ასეთი თავგანწირვა, სული მოეთქვა ავარიის შემდეგ და ცოტა მოგვიანებით ჩამოსულიყო-მეთქი, — სრულიად გულწრფელად, მაგრამ, ალბათ, საოცრად უტაქტოდ წამომცდა, რადგან გულში კიდევ უფრო უარესმა გამიელვა და, რაც, კიდევ კარგი, აღარ წამოვყარნტალე — ნეტავი, იმ 600 კილო წიგნს საქართველოში, დღევანდელ ვითარებაში, 600 მკითხველი მაინც თუ გამოუჩნდება-მეთქი.

— რას ამბობ, ასე მითხრა, ცოცხალი ან მკვდარი მაინც ჩამოვიტანო. შენი თვალით ნახავ, ჩვენზე მხნედ გამოიყურება და ბედსაც მგონი არ უნდა უჩიოდეს. ამ მასალაში ვერნას სახლსაც მივუახლოვდით. ჭიმკართან შუახნის, საშუალო სიმაღლის, მოკლე ვარცხნილობის, ჭალარა ქალი იდგა, გვილიმოდა და ხელს გვიქნევდა. როცა მივუახლოვდი, მისასალმებლად ხელი გავუწოდე. მოულოდნელობისგან ადგილზე გავშემდდი: ამ ქალს ნახევარი სახე და ცალი თვალი სრულიად ჩაშავებული ჰქონდა, ცალი ხელი უშველებელი ჰემატომებით დაფარული, მე-

ორეზე — ჯერაც ახალი, სისხლშეუმშრალი ჭრილობა. უცბად ისე ამტკივდა ყველაფერი, ორივე ხელი ქართულად თავში წავიშინე.

— აბა, რასაა გადარჩენილი?! — აღნიშნა ვერნამ, იმან კი კვლავ გაიღიმა, ხელი ჩაიქნია და „ზეთს ოქეი“-ო, ანუ ეგ არაფერიო, — თქვა.

ცოტა ხანში სუფრას შემოვუსხედით. დაზარალებული ერთობ მახვილი იუმორით დაჯილდოებული ქალბატონი აღმოჩნდა. ისე გადამდებად და სასაცილოდ ჰყვებოდა თავისი ინციდენტის და მისგან გამომდინარე შემდგომი მოვლენების ამბავს, შურით გავსკდი, ყოველივე ეს მის მაგივრად მე რომ არ გადამხდა. შესაშურიც იყო და მეტიც — ვილაც გადამთიელი ამერიკელი ქალი სულ რამდენიმე საათის წინათ საქართველოს ქველმოქმედებას ეწირებოდა, მე კი, ქართველთა სისხლი და ხორცი ამ დროს არხეინად ვერნას მომზადებულ, მშვენიერ სადილს გვახლებოდით და საკუთარი ქვეყნის სვე-ბედით შეწუხებულ შვილს არაფრით ვგავდი.

ბეტი მოლინი: ძალიან მიყვარს მოგზაურობა, თავგადასავლები, უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ჩვენი ეკლესიიდან დავდივარ ხოლმე მივლინებებით, უმეტესად მოხალისედ, სად ფერშალი ვარ, სად ბებია-ქალი, სად მასწავლებელი, სად მედდა, სად ვინ და სად რა — ამ დედამინაზე ბევრს სჭირდება დახმარება, ჩემი პროფესია და მოწოდებაც სწორედ ეგ არის. ჩემი და მეუბნება, რას დანაწილებ ალმა-დალმა, ამერიკაში, რა, პრობლემა და გაჭირვებული დაილიაო? ალბათ, არ დაილია, მაგრამ მე არც აქ მეზარება მუშაობა, უბრალოდ, უცხო გარემო მაინტერესებს, სხვა კულტურები, სხვა ხალხი, რამდენიმე წლის წინათ თქვენს ქვეყანაში ვიყავი — მოსკოვში.

ნუ იტყვით და, როგორც სხვა ამერიკელებს, ბეტისაც საქართველო რუსეთი ჰგონებია. ამის გამგონე, ვიდრე პირს დავალებდი, ვერნა ენერგიულად ჩაგვეერთო საუბარში და მინესოტელ მეგობარს ერთი ათწუთიანი პოპულარულ-მეცნიერებითი ლექცია ჩაუტარა საქართველოს კულტურულ-ისტორიულ და გეოგრაფიულ საკითხებზე.

ჩუმად ვიჯექი და ვუცქერდი, როგორ ცდილობდა ერთი შემართული ამერიკელი ქალი მეორე დარცხვენის განათლებას და საოცრად მომწონდა, რომ ყოველივე ჩემ ჩაურევლად ხდებოდა. ამის შემყურეს ისე ამიჩუყდა გული, ბეტი მოლინი საქართველოში დავპატიჟე. მან კი გაიხარა და მითხრა: — სტუმრობის გარდა, საფერშლო საქმის სწავლება შემიძლია თქვენს სამედიცინო სკოლებშიო.

საქართველოსთან შედარებით, ამერიკაში სუფრა გაცილებით ადრე მთავრდება. ჩვენც დროზე მოვუყარეთ თავი საკუთარ გრძნობებს და გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ხვალ დილით ბეტი მოლინი, დაშავებული, მაგრამ საოცრად თვითკმაყოფილი, მინესოტისკენ მიმავალ გზას დაადგება თავისი ავტოთი. მე კი გადავშლი ჩემს ამერიკულ დღიურს და შიგ კიდევ ერთ მშრალ ინფორმაციას ჩავწერ: 30

მაისი, მინესოტადან კოლუმბიაში ჩამოვიდა ექვანი ბეტი მოლინი, რომელმაც საქართველოში გასაგზავნად მისურის ონკოლოგ ფერშალთა საზოგადოებას 600 კგ სამედიცინო სახელმძღვანელოები ჩამოუტანა. ეს საჩუქარი სხვა წიგნებთან ერთად მალე გადაიგზავნება საქართველოში და ACTS Georgia-ს ოფისში დაიდებს ბინას, იქედან კი, უფასოდ გაუნაწილებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს.

*მისური, კოლუმბია.
გაზ. „დილის გაზეთი“, 6 ივნისი, 1998 წელი.*

გადახადე და თუ გინდა ნუ ისწავლი

მსოფლიოში პედაგოგთა უფლებებისა და ღირსების დაცვის რამდენიმე ხერხი არსებობს, თუმცა ოროსანი სტუდენტისა არ იყოს, ჩვენს ინტელექტუალურ, უინტელექტო და დაბრმავებულ საზოგადოებას, თურმე, არც ერთ მათგანზე ჰქონია წარმოდგენა. ამბობენ, არცოდნა არცოდვას, ამიტომ ამ გაურკვეველი უფლებებისა და ღირსების მოსაპოვებლად ყველა ხერხი დასაშვებია.

მაგალითად, თუ საშუალო სკოლების ბაზაზე, ეგრეთ წოდებულ „სკოლის ფონდს“ აღმოაჩენთ, იცოდეთ: იმ სკოლის პედაგოგთა ღირსებისა და უფლებების დაცვა თავად სკოლის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მიანდეს. ამიტომ მისი ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია იმისა, თუ რამდენად ძვირი უჯდებათ დამცველებს ეს მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო მისია. ვერაფერს გეტყვით, თუ რა შეფარდებაშია იგი დამცველთა მოსწავლე ნაწილის აკადემიურ მოსწრებასთან.

პირწმინდა ინტრიგანი უნდა იყო, უფლება და ღირსებააყრილ პედაგოგებზე დღეს ავი სიტყვა დაგცდეს, მაგრამ უფლებებისა და ეთიკის საკითხები ჯერ არც მასმედიაშია მოგვარებული, ამიტომაც რალაც რალაცეების უფლებას თავად ვაძლევთ ხოლმე თავს...

ამას წინათ განათლების დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, არასამთავრობოებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ განათლების სფეროში არ მიმდინარეობს არავითარი რეფორმა, განათლების სამინისტროში კორუფციაა, ბოლო დროს სკოლებში განსაკუთრებით იძალა მასწავლებლების ზემოქმედებამ მოსწავლეებზე. არაოფიციალურად სწავლა ფასიანია, მოხდა სკოლების დიფერენციაცია, ნორმალური განათლება ხელმიუწვდომელია და ათასი სხვა სატკივარი.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან დღეს ერთზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. მასწავლებლების ბავშვებზე ზემოქმედების ხერხები, თურმე, უფლებებისა და ღირსების დაცვის ხერხებისგან განსხვავებით, საქართველოს პედაგოგთა წრეში საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული.

აქაც მოქმედებს ყბადაღებული, მაგრამ ამჯერად დაუნერეული ლოზუნგი — გადაიხადე და გექნება სინათლე (სინათლე ამ კონტექსტში სწავლა-განათლებას და მასთან დაკავშირებულ სიამეებს ნიშნავს).

სულ რამდენიმე წლის წინათ, სკოლებიდან არდადეგებზე (რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაინც იყო თითო-ოროლა შემთხვევა) უცხოეთში მოსწავლეები აკადემიური მოსწრების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტივობის გათვალისწინებით მიჰყავდათ. ძველი წესები, როგორც იქნა, ძირშივე აღმოფხვრით და აი, უკვე დღესვე თბილისის აეროპორტიდან ეგვიპტის პირამიდების სანახავად გაემგზავრებიან ერთ-ერთი სკოლის ის მოსწავლეები, რომლებმაც სკოლის შუამდგომლობით ტურისტულ ფირმას 380 დოლარი გადაუხადეს (დანარჩენებს კი რამდენიც უნდათ, იმდენი ისწავლონ, ან იაქტიურონ საზოგადოებრივ ასპარეზზე). სხვათა შორის, მშობლებსაც შეუძლიათ გაჰყვინენ თავიანთ შვილებს, თუ დამატებით 450 დოლარს გადაიხდიან. მერე და პედაგოგებს რა? იკითხავთ თქვენ. რა პრივილეგიებით სარგებლობენ პედაგოგები ან სკოლა, საერთოდ ვერ გეტყვით. დაზუსტებით ვიცი მხოლოდ ერთი: ის, ვინც ტურისტულ ფირმას 4-5 ტურისტს მიუყვანს, თავად უფასოდ ჯდება თვითმფრინავში და მიდის ტურში, რომელსაც, სხვათა შორის, „მოპტური“ (სავაჭრო) ჰქვია. რამდენადაც ვიცი, სახელწოდება სავსებით ამართლებს მოგზაურობის შინაარსს.

მათ, ვინც ამჯერად თავი შეიკავა, ან ვერ მოუგროვა თავის ბედოვლათ შვილს 380 დოლარი, ვთავაზობთ პატარა რეკლამას:

იმოგზაურეთ ჩვენთან და თქვენს ფეხქვეშ გაეგება სამყაროს ერთ-ერთი საოცრება, ხეოფსის პირამიდა, სხვა პატარა პირამიდებთან ერთად.

თქვენს ლოდინში დაშრა ლეგენდარული ნილოსი.

სულ ერთი კვირის მანძილზე თქვენს წინაშე ქართველი ქალბატონები და ბატონები თანამედროვე აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის სასწაულებს ჩაიდენენ.

და ყოველივე ეს თქვენთვის, ჩვენო ძვირფასო, დაუცველო, ღირსება და უფლებაჩამორთმეულო საქართველოს მოქალაქეებო!

ჩაალაგეთ ჩემოდანი!

შევექმნათ მანანალებს სკოლა-ოჯახი-კოლეჯი

ჭავჭავაძის პროსპექტისა და კეკელიძის ქუჩის გადაკვეთაზე, წითელ შუქზე გაჩერებულ მანქანებს, ჩვეულებისამებრ გარს ქუჩის მათხოვრები და მანანა-ლა ბავშვები ეხვევიან. ხანდაზმული მათხოვრებისგან განსხვავებით, პატარა მანანალები ადრე თავიანთი შრომის საფასურად (მაგალითად, მინების დან-მენდა) ცდილობდნენ გასამრჯელოს მოპოვებას, ახლა უფროს კოლეგებს აპყობიან და პირდაპირ ფანჯრებში გივარდებიან მონოტონური (რომელიც ისტერიულზე გაცილებით უარესია) „დამეხმარე-დამეხმარეს“ ზუზუნით. ამ გზაჯვარედინზე ადგილის „დათრევა“, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ადვილი არ ყოფილა — თურმე, საკმაოდ „დიდი“ ფული ღირს. ამიტომ, იმ უბანში მოხვედრილ მძღოლებს ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვინმე უპოვარი პირდაპირ ბორბლებში შემოგივარდებათ თავგანწირვით და თქვენგან შესატყვისი „ბეგარის“ მიღებამდე ადგილიდან დაძვრის საშუალებას არ მოგცემთ. დღეს ეს ჩვენი ცხოვრების წესია. ვინც რკინის ფარდის მიღმა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში გავიზარდეთ, ამას, ცოტა არ იყოს, უჩვეულო მოვლენად აღვიქვამთ, მაგრამ, ბუნებით ოპტიმისტები, დამოუკიდებელი ქვეყნის გარდამავალ პერიოდის თანმდევ თვისებას მივანერთ და გარდაუვალი კეთილდღეობის მოლოდინში ვართ გატრუნულები.

თავი დავანებოთ ფილოსოფიას და დავუბრუნდეთ კეკელიძის ქუჩისა და ჭავჭავაძის პროსპექტის „ოქროს კვეთს“.

გვიანი საღამოა, ვზივარ მანქანაში და გული მისკდება. ჯიბეში გახვრეტილი კაპიკიანიც არ მიგდია, შუქნიშანი კი წითელს ანთებს. ვხედავ, როგორ მოინევს ჩემსკენ მარჯვნიდან მოხუცი და ახალგაზრდა ხეიბარი, მარცხნიდან კი — თავსაფრიანი და ჯოხიანი დედაბერი. უბადრუკი გამომეტყველებით და რალაც უსუსური შესტიკულაციით ვანიშნებ, არაფერი მაქვს-მეთქი. მათხოვრები ცინიკური ღიმილით იხევენ უკან. ამ შუქნიშანზე წითელი, წესისამებრ, საუკუნე ანთია. თვალს ვარიდებ მათხოვრებს, ისინი — ზედაც აღარ მიყურებენ. ამ დროს შუა გზატკეცილიდან ასკინკილა-ასკინკილით ძალიან გაბადრული და უდარდელი ღიმილით შემოიჭრა პატარა ბიჭუნა, ასევე ასკინკილით მოკუნტრუშებდა ჩემს მანქანასთან, ცხვირი ფანჯარას მიადო და ჩემს თვალწინ, სულ ერთ ნაშში, გარდასახვის ისეთი სასწაულებრივი უნარი წარმოადგინა, რომლის მსგავსსაც ჰოლივუდის ვერც ერთი აღიარებული ვუნდერკინდი მოახერხებდა.

ვაი, ჩვენ უბადრუკ ყოფას, მასობრივად უპოვართა და მასხარების საზოგადოებად რომ გადავიქცეთ და ვეღარ ვუნყით, საით მიაქვს თავდატეხილ ქარბორბალას ქუჩის მტვრად ქცეული ჩვენი ნიჭი და მომავალი-მეთქი — ამის მეტი ვერაფერი გავილე პატარა გენიოსის „დამეხმარეზე“ და, ჩემდა სამარცხვინოდ, ამ პათეტიკურ ტირადას ზედ ისტერიული სიცილიც დავაყოლე. ეს იყო და ეს.

ამას წინათ რედაქციაში ერთი წერილი მომიტანეს. მისმა ავტორმა მიაბო, ამ წერილით უამრავი მაღალი და შედარებით დაბალი ინსტანცია მოვიარეო. თურმე, ყველგან დიდი ენთუზიაზმითა და გულდასმით უსმენდნენ, მოინონეს კიდევ იდეა და ამის დასტურად წერილის თითო ეგზემპლარი თითქმის ყველგან დაიტოვეს განსახილველად და დასამუშავებლად. ეგ იყო და ეგ. მას მერე მრავალმა წყალმა ჩაიარა. წერილის ავტორი დარწმუნებულია, იგივე ეპოპეა თავიდან რომ წამოიწყოს, ყველაფერი იდეალური სიზუსტით განმეორდება, ანუ კვლავ დაიხარჯება უამრავი ქალაქი, მელანი, ენერჯია, სიტყვა-დაპირება, ღიმილი, ბოლოს და ბოლოს, დრო და არაფერი შეიცვლება!

მაინც რას სთავაზობენ ამ წერილით ათასი ახირებისა და დონკიხოტისგან ისედაც გაბზერებულ საქართველოს ხელისუფლებას?

„საქართველოში, უკლებლივ ყველა რაიონის ჩათვლით, უნდა შეიქმნას ბავშვთა სახლების მინი-ქსელი, რომელთაგანაც ყოველი სახლი დაახლოებით ოცბავშვიანი იქნება. ამ დიდ ოჯახს თაოსნობს „დედა და მამა“, რომლებიც ცოლი და ქმარი არიან.

ბავშვებმა უნდა ისწავლონ სკოლაში, გაიარონ სპორტული წვრთნა, დაეუფლონ სხვადასხვა სპეციალობებს, მიიღონ საწყისი რელიგიური განათლება.

თავმესაფარი საქართველოში უამრავია. ეს არის დაუმთავრებელი, მიგდებული და გაძარცვული იგივე სკოლა-ინტერნატები, მიგდებული სპორტული და ტურისტული ბაზები, რომლებიც ათწლობით არ უნახავთ თავიანთ პატრონებს. ისინი ინგრევა, მაგრამ პატრონები მათ ცოცხალი თავით ხელიდან არ უშვებენ. ასეთი შენობები, ვიდრე საერთოდ არ განადგურებულა, სპეციალური განკარგულებით უნდა გადაეცეს ბავშვებს.

ვინაიდან უპატრონო მოზარდები, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს ძალოვან სტრუქტურებს, თავდაცვის სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასაზღვრო დეპარტამენტი უნდა მიენმარონ ბავშვთა მინი-სახლებს თავმესაფრების მოწესრიგებასა და მათ აღჭურვაში. არ არის გამორიცხული, ამ საქმეში მშენებლობის სამინისტროს ჩართვა, ბუნებრივია, გამგეობის მონაწილეობა. საერთოდ, ეს დახმარება დადებითად უნდა მოქმედებდეს დამხმარეს რეიტინგზე.

განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ამ სახლებში სკოლის კურსის ნორმალური მსვლელობა.

სპორტის დეპარტამენტმა და ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა გამოყონ საჭირო მწვრთნელ-საათები.

ტრანსპორტის უწყებებმა რაღაცნაირად უნდა გაიჭირონ და შესაძლოა კერძო ბანკებთან ერთად უზრუნველყონ ოჯახები თითო ავტობუსით ან მიკროავტობუსით და გამართონ ისინი ისე, როგორც ამერიკულ სკოლებში (SCHOOL BUS). სანავაი საქნავთობისა და ნავთობსადენის ამოცანაა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უნდა შექმნას საიმისო პირობები, რომ ბავშვები უზრუნველყონ საკვებით.

ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი უნდა იყვნენ მუდმივად მზად, რომ ბავშვებს, მათი აღმზრდელების საშუალებით დროზე მიეწოდებოდეთ სახელმწიფოს გამოყოფილი თანხები.

16 წლის ასაკში, როცა ბავშვების ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, ხელთ უნდა ჰქონდეთ სიმწიფის ატესტატი, უნდა იცოდნენ ერთი უცხო ენა მანც, განვრთნილი იყვნენ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, შეეძლოთ ტურისტული მომსახურება (მაგალითად, ჯგუფის მარშრუტზე გაყვანა), იცოდნენ ამა თუ იმ ტექნიკური მოწყობილობების მართვა (ავტომანქანა, ტრაქტორი) მუშაობდნენ კომპიუტერზე, შეეძლოთ სახლის სხვადასხვა მოწყობილობის (უთო, ავეჯი) შეკეთება. გოგონებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ საჭმლის მომზადება და კერვა.

აღბათ, აუცილებელია, რომ საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე ოჯახის „დედ-მამამ“ ან საგანგებო მასწავლებელმა ასწავლოს ბავშვებს სასაზღვრო სპეციალობების სანყისები. ისეთი, როგორც არის მაგალითად, ცხენის შეკაზმვა მთაში ტვირთის გადასატანად ან აკვალანგებით წყალქვეშ ცურვა საზღვაო რეგიონებში.

ამ გზით თავისებურად აღორძინდება საშუალო სპეციალური განათლების ის სპეციალობები, რომელნიც რეალურად საჭიროა. განვითარებულ ქვეყნებში ეს უტოლდება კოლეჯის განათლებას. ამიტომ, ბავშვების ცხოვრებას და სწავლას ასეთ ორგანიზაციაში შეიძლება დაერქვას სკოლა-კოლეჯი-ოჯახი.

როგორ შეიძლება პრაქტიკულად დაინყოს ამ სისტემის შექმნა?

1. უნდა შეიქმნას საბუთების პაკეტი ასეთი დანესებულებების შექმნის იურიდიული ბაზის ჩამოსაყალიბებლად.

2. საბუთების თანახმად, ყოველმა გამგეობამ უნდა ითავოს თავის ან სხვის ტერიტორიაზე შპს სკოლა-ოჯახი-კოლეჯის შექმნა მშობლებით და დამხმარებით, რომელსაც ქონების მართვის სამინისტრო გადასცემს თავშესაფარს.

დამფუძნებლები თავად ანესრიგებენ თავშესაფრებს, განათლების სამინისტრო კი არჩევს ბავშვებს და გამოჰყოფს სასწავლო გეგმების შესასრულებელ თანხებს მასწავლებლებისათვის. „დედ-მამა“ და სხვა პერსონალი იწყებს ყოველდღიურ მუშაობას იმ თანხებით, რასაც სახელმწიფო გამოჰყოფს ბავშვისათვის, თუ მას ოჯახში აღსაზრდელად უშვებენ.

წლის ბოლომდე შეიძლება ამუშავდეს სამი სკოლა-კოლეჯი-ოჯახი, რომელშიც აღიზრდება საქართველოს უპატრონო და მანანალა ბავშვების გარკვეული ნაწილი. წარმატების შემთხვევაში ეს სკოლები შეიძლება გადაიქცეს საქართველოს ბავშვთა აღზრდის კიდევ ერთ სისტემად“.

რას ფიქრობთ, ცოდო არ არის ჩვენი ხელისუფლება, ამდენი „გიჟპოეტას“ ხელში? ვისაც არ ეზარება, ყველა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ეჯობრება, ყველა ჭკუას ასწავლის, იმდენს იზამენ, ბოლოს საერთოდ დააკარგვინებენ ქვეყნის მართვისა და შენების ხალისს!

გაზ. „დილის გაზეთი“, 6 მარტი, 1999 წელი.

როგორ გავხდი მანანა დუმბაძე გრაფინია დიმიტროვსკაია

რამდენიმე ეპიზოდი ქართველ ჰაერნაოსანთა ცხოვრებიდან

1783 წლის ივნისში, საფრანგეთის ქალაქ ანონში ძმებმა ჟოზეფ და ეტიენ მონ-გოლფიებმა პირველად გამოსცადეს თავისუფალ ფრენაში მათ მიერ გამოგონილი აეროსტატი — ცხელი ჰაერით გაბერილი ქალაქის ბურთი, სახელწოდებით, „მონგოლფიე“. აეროსტატის პირველი ეკიპაჟის წევრები ცხოველები იყვნენ. ამავე წლის ნოემბერში კი საჰაერო ბურთით ადამიანებმაც იფრინეს. საფრანგეთის ხელისუფალმა პირველ ჰაერნაოსნებს იმ ტერიტორიის გრაფობა მიანიჭა, რომელზეც ისინი დაემყნენ. ეს სამეფო ჟესტი ტრადიციად იქცა და დღესაც, აეროსტატით პირველი ფრენა პილოტის ნათლობითა და გრაფის ტიტულის მინიჭების საოცრად ლამაზი რიტუალით გვირგვინდება.

ამა წლის 4-12 აგვისტოს რუსეთში, „პოდმოსკოვიეს“ ქალაქ დიმიტროვში რუსეთის მერვე ჩემპიონატი და „პოდმოსკოვიეს“ გუბერნატორის თასის მეორე საერთაშორისო შეჯიბრი გაიმართა საჰაერო ბურთებით ფრენაში. წინასწარ წარდგენილი 46 ეკიპაჟიდან ჩემპიონატში მონაწილეობა რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის 26-მა ეკიპაჟმა მიიღო. შეჯიბრის წესის თანახმად, შესასრულებელი იყო 18 აუცილებელი დავალება. ჩემპიონატის ბოლოს გაიმართა საჩვენებელი ფრენები და განათებული საჰაერო ბურთების ღამის შოუ.

ჩემპიონატს მთელი რუსეთის მედია აშუქებდა. ეჭვი არ გვეპარება, რომ არც ჰაერნაოსნობის ქართველ მოყვარულებს გამორჩეობადთ მხედველობიდან ეს შეჯიბრი. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ერთ მათგანს წარმოდგენაც არ აქვს, რომ რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ეკიპაჟის წევრები, კერძოდ, ქალაქ ყუუკოვსკისა, საქართველოს მოქალაქეებიც ვიყავით — ვლადიმერ მალოვიჩკო (შტურმანი) და მე, მისი მეუღლე მანანა დუმბაძე (გუნდის წევრი). ეკიპაჟს ხელმძღვანელობდა ქართველებისთვის უკვე კარგად ცნობილი ჰაერნაოსანი ვალერი ბოკუა.

ჩვენი ეკიპაჟი 26 მონაწილეს შორის ერთადერთი ინტერნაციონალური გუნდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნაციონალიზმი და ხალხთა მეგობრობა ერთგვარი ცინიზმით აირეკლება ჩვენს თანამედროვე აზროვნებაში, ინტერესი ამ გუნდის მიმართ განსაკუთრებით თბილი და თვალმისაცემი იყო. ამან თავი შეჯიბრის მეორე დღესვე იჩინა, როცა მიწაზე დაშვებისას ჩვენი აეროსტატის კალათში გაზის მილი გასკდა და ავარიული მდგომარეობა შეიქმნა. საბედნიეროდ, პილოტის გამოცდილებამ და ოსტატობამ უბედურებას აგვაცილა, სამაგიეროდ, ჩვენი აღჭურვილობის უსაფრთხოებით უმალ დაინტერესდა ჩემპიონატის უშიშროების სამსახური. შესაბამისად, გაზის მიწოდების სისტემის სრულფასოვნად აღდგენამდე ეკიპაჟი შეჯიბრებიდან მოიხსნა.

რომ არა კოლეგების დიდსულოვნება, ჩემპიონატში მონაწილეობის გაგრძელებაზე ოცნებაც ზედმეტი იქნებოდა. სავლელ პირობებში და დანესებულ რეჟიმ-

ში გაზის სისტემის აღდგენა ფანტასტიკის ტოლფასი იყო, მაგრამ საოცრება მაინც მოხდა: ჩემპიონატის საორგანიზაციო საბჭოს დირექტორმა, პროფესიონალმა პილოტმა იური ტარანმა ჰაერნაოსანი გრაფის ხელგამლილობით ჩვენს პილოტს თავისი პირადი აღჭურვილობა დაუთმო. ჩემს გარდა ეს შესტი იქ არავის გაკვირვებია. საჰაერო ბურთით ფრენაში რუსეთის სამგზის ჩემპიონმა სერგეი ვინოგრადოვმა დაჯილდოების ცერემონიაზე ასეთი რამ თქვა: „საჰაერო ბურთით ფრენა ღვთის ნების აღსრულებაა. ადამიანი ცაში იყურება და იღიმის, განა ეს ბედნიერება არ არის?!“

ასეთი ყოფილა ჰაერნაოსანთა კანონი და ეთიკის ნორმა. ამ კანონით ვხელმძღვანელობდით ჩვენც, როცა სხვა გუნდს უჭირდა. ცაში აჭრილი საჰაერო ბურთის ყურება ამაღლებულ ემოციებს იწვევს, მაგრამ რა შეედრება იმ ემოციას, როცა საკუთარი თვალთ ხედავ, საკუთარი კუნთებით გრძნობ, რა დატვირთვასა და დაძაბულობას მოითხოვს ამ ულამაზესი კონსტრუქციის ჰაერში აშვება.

ჩვენმა ეპიკაჟმა, რომელსაც ბედნიერი ნომერი 5 ამშვენებდა, სამი შეუსრულებელი დავალებისა და უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო დაგროვილი ჯარიმების წყალობით საპატიო მერვე ადგილიდან ოცდამესამეზე გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, გულშემატკივრებისა და თავად ჟიურის სიმპათია და ნდობა ჩვენი გუნდის მიმართ სავსებით აშკარა იყო. კინოოპერატორებსა და მძაფრი ემოციების მოყვარულ ჟურნალისტებს ძირითადად ჩვენი ეპიკაჟი ემსახურებოდა. ვალერი ბოკმა კი გულშემატკივრებსა და ცნობისმოყვარე ადგილობრივ მოსახლეობას პირველივე შესაძლებლობისთანავე ჰაერნაოსნობის ისტორიის და სპეციფიკის საკითხებზე პოპულარული ლექციებით ანათლებდა.

ჩვენი ეპიკაჟი კიდევ ერთი თვისების გამო იყო ღირსშესანიშნავი: მისი გუნდის ერთ-ერთი წევრი, კერძოდ, მე, პირველი ქართველი ჰაერნაოსანი ქალი აღმოჩნდი რუსეთის ჰაერნაოსნობის ისტორიაში. მანეტრო ბოკმამ ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვა და ქალაქ დიმიტროვში, აპრაკსინოს მამულში, ტბის პირას, ჩემთვის ჰაერნაოსანთა დიდ ორდენში განევრიანებისა და გრაფინია დიმიტროვსკაიას ტიტულის მინიჭების რიტუალი ჩაატარა.

ამჟამად, მე, რუსეთის ჰაერნაოსნობის მერვე ჩემპიონატზე „დილის გაზეთის“ სპეცკორესპონდენტ მანანა დუმბაძეს, იგივე გრაფინია დიმიტროვსკაიას, მაქვს თავისუფალი ფრენის ხუთი საათის გამოცდილება. რუსეთის წესების თანახმად, საჰაერო ბურთის პილოტის ნოდების მოსაპოვებლად თავისუფალი ფრენის სულ ოციოდე საათია საჭირო. მე თუ მკითხავთ, ის ჩემი დაგროვილი ხუთი საათი თავისი შესაძლებელი და შეუძლებელი წინააღმდეგობითა და ექსტრემლობით ოცსაც უდრიდა და ცოტა მეტსაც, მაგრამ კანონი კანონია, გინდა რუსული იყოს ის და გინდა ქართული. რა მენაღვლება, ვიფრენ იმ 15 საათსაც, სამაგიეროდ, შესაძლოა, ხვალ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კეთილშობილ პროფესიას ვეზიარო, პროფესიას, რომელიც ადამიანებს ცაში ღიმილიანი თვალებით ყურების საშუალებას აძლევს. განა ეს ბედნიერება არ არის?!

გაზ. „დილის გაზეთი“, N190 (1903), 17 აგვისტო, 2002 წელი.

◦ Ø œ Æ ,
 ┆ ┆ ┆
 ┆ ┆ ┆



იმ მიმართულებით არაფერი დადის

გახსოვდეს აფხაზეთიო. მახსოვდეს? ოთარ ჭილაძის რომანი მაგონდება — „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ — ნანარმოების მოხუცი პერსონაჟი, შვილმშვილების წინ ძველ ჭრილობაზე მარილს იყრის, ტკივილი რომ არ გაუყუჩდეს, ბებერი ჭრილობა არ შეუხორცდეს და ბოლმამ არ გაუაროს.

1982 წლის სექტემბერია. ჩვენები გულრიფშში არიან, მე — ბათუმში. აქ „მონანიებას“ იღებენ. თბილისიდან ორი ავტობუსი ხალხი წამოვედით „მასოვკაში“ სათამაშოდ. ფილმის სცენარის ავტორმა ნაცნობთა წრე შეკრიბა და დღეში 3 მანეთად „დაგვიქირავა“. სხვათა შორის, მაშინ „მონანიებას“ სულ სხვა სახელი — „აფთარი“ ერქვა. მთავარ როლზე გეგა კობახიძე ჰყავდათ. შემდეგ, თვითმფრინავის გატაცების ოპერაციაში მონაწილეობის გამო, გეგა შემსრულებელთა სიიდან ამოირიცხა და ნახევრად გადაღებული ფილმიც თავიდან გადასაღები გახდა.

მოკლედ, ბათუმში მაშინ მშვიდი და უზრუნველი დღეები იდგა. დრომ მზიარულად და საოცრად სწრაფად გაიბრინა. ქართული კინემატოგრაფიის ისტორიას ასეთი დამჯერი შემსრულებელი და ენთუზიაზმით აღსავსე „მასოვკა“ არ ღირსება. კუთვნილი სამ-სამი მანეთი ჰონორარი საღამოსათვის პირდაპირ „ინტურისტის“ რესტორანს გამოეწერა და ჩვენი ფასდაუდებელი წვლილიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ისტორიაში გრანდიოზული ბანკეტით დაგვირგვინდა.

ღამე ნავსადგურში გავედი. ბებერი მეთევზეებისა და ყავის მსმელების გარდა აქ აღარავინაა. უკან მობრუნებული, კედელზე, მექანიკურად გემების განრიგს ვკითხულობ. დილის 7 საათზე „კომეტა“ გადის სოხუმის მიმართულებით. ძალიან ადრეა-მეთქი, რატომღაც გავიფიქრე. ჩვენი ავტობუსი თბილისისკენ ალბათ შუადღისას დაუყვება.

გამთენიისას ელდანაკრავივით მეღვიძება. ნომერში ინგას და ირინას სძინავთ მშვიდი და ტკბილი ძილით. ინგას ნაკლებად ვიცნობ და მერიდება. ირინასი — არა. ვალვიძებ და ნავედი-მეთქი, ვეუბნები. ირინა თვალებს იფშვნეტს და სადო, მეკითხება.

— გულრიფშში, — ვეუბნები მე. — ძალიან მენატრება!

— ერთი კვირის წინ არ ჩამოხვედი იქიდან?

— მოკლედ ნავედი. პორტში მაგვიანდება. ვკოცნი, ის ლასლასით მაცილებს კარამდ და გიჟი ხარო, ასეთ დიაგნოზს მისვამს (ფსიქოთერაპევტია და იცის).

ნავედი გულრიფში.

1996 წელია. კვლავ ბათუმი. მთელი ღამე არ მძინებია. გარიჟრაჟისას ნავსადგურს მივაშურე. ასე მგონია, ნაპირს ძველებურად „კომეტა“ მოადგება და შენსკენ გამოვცურავ. ვერა და ვერ გიგონებ წართმეულს, დაკარგულს. ვდგავარ და შენკენ მომავალ „კომეტას“ ველი. ეს ყველა მოლოდინზე მეტია. ამას ჩემი აფხაზეთისა და გულრიფშის მოლოდინი ჰქვია. იქ ჩემი სახლია. ჩემი სისხლი და ხორცი. ჭიშკარი ღია დამრჩენია. რა ხანია მეღის, ეგებ ვინებო ჩასვლა და მიხურვა, თორემ ეზო საქონელმა გადაჯეგა, სახლი თაღლითმა და გადამთიელმა გააპარტახა, ბოროტმა და ვერაგმა მზე ჩააქრო.

ბათუმის ნავსადგურში ვდგავარ. აქ ბებერი მეთევზეების გარდა აღარავინაა დარჩენილი, ყავას სვამენ და ცივ წყალს აყოლებენ. ძველი, შემორჩენილი ჩვეულებაა, თურმე სისხლძარღვებს უხდება?! ჰორიზონტს იქით თურქეთია. იქ ყველაფერი მიდის — გემი, მანქანა, თვითმფრინავი, ვირიც და „კომეტაც“.

აქედან ყველა მიმართულებით მიდიან, ერთი მიმართულების გარდა — იქ, სადაც ღიაა ჭიშკარი, ეზო გადაჯეგილი, სახლი გაპარტახებული და მზე ჩამქრალი. პორტის კუთხეში ვიღაც მოხუცი კაცი ჩაცუცქულა, სევდიანი თვალებით გაჰყურებს ჰორიზონტს და ღრმა ნაფაზებით ეწევა თუთუნს. ძალაუნებურად ისევ ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მაგონდება.

გაზ. „დილის გაზეთი“, 17 აგვისტო, 1996 წელი.

ნეტავ, გულრიფში თუ ისევ წვიმს?..

გულრიფში გრილი საღამოები იცის. თუ განვიმდა, სიცივე და ნესტი ძვალში ატანს. თანაც ერთი და ორი დღე კი არ წვიმს — კვირაობით. ასეთ დროს ბუხარს ვუსხედვართ ხოლმე მთელი ოჯახი და თბილისიდან ზღვაზე „დასასვენებლად“ ჩამოსული მთელი იქაური საზოგადოება. იმ დილას მამიდაჩემი გვეწვია ქმარ-შვილით. ვახშობის დროა. ბუხრის წინ ტაბლას ვართ გარშემომსხდარნი. ჩემი მამიდა მსუქანი ქალია. როცა იცინის, თვალებიდან სულ კურცხალ-კურცხალ სდის ცრემლები, მთელი ტანი უთახთახებს და ისეთი საყვარელია, ერთი სული მაქვს, მაგრად დავჩქმიტო. დედაჩემი მეუბნება, ჭამას თუ არ მოუკელი, მალე ზუსტად ეგეთი გახდებიო. მამიდაჩემი მამშვიდებს, ნუ გემინია, შენს ასაკში უკვე კარგა ფუშფუშა ვიყავი, თანაც სიყმაწვილეში იმდენი ვიმიშვილე, ორი გრამით თუ დავმძიმდი, არაფერი უჭირს რა, გამასვენებს როგორმე ჩემი სამი შვილი და მორჩება ამით ჩემს წონაზე ლაპარაკიო. სამი შვილი კი ამ დროს მშვიდად სვამს ჩაის და დასახული პერსპექტივის მიმართ ენთუზიაზმს მაინც-დამაინც არ ამჟღავნებს

— შიმშილზე გამახსენდა — მოგონებებს მიეცა უცბად გიგლა ფირცხალავა — ოცდაჩვიდმეტი წელია, ვიქნები ასე რვა, ცხრა წლის, მამაჩემმა სამი მანეთი მომცა და ნავთზე გამაგზავნა. ბელინსკის ქუჩას დაუყევი, ათ ნომერთან ნიაზა შემხვდა, დიასამიძე. ბიღონით რომ დამინახა, უკან გამოიყვა, ნავთი იქვე, ქუჩის დასაწყისში იყიდებოდა. ჯერ საკონდიტრო უნდა გაგვევლო. ვერელებს გახსოვთ ალბათ იქაური „პონჩიკების“ გემო. ჰოდა, საკონდიტროდან იმისთანა სუნი გამოვარდა, ადგილიდან ფეხი ველარ მოვიცვალეთ. ცხრაჯერ გადავთვალ-გადმოვთვალე ნავთის ფული, არაფერი გამოდიოდა, ან ნავთი უნდა გვეყიდა ან... ჰოდა, ჩვენც „პონჩიკები“ ვარჩიეთ. გვიანლა გამახსენდა, სახლში დასაბრუნებელი რომ ვიყავი და მამაჩემი ტყავს გამაძრობდა. ბევრი ვიბოდიალე, მაგრამ რას ვიზამდი, მაინც სახლისაკენ გაუყევი გზას, ფეხები უკან მრჩებოდა. ეზოში შეუმჩნეველად შევიპარე, ჩვენი ბინის კიბესთან მეზობლებს მოეყარათ თავი, შემოსასვლელში სინათლე ენთო, იქაც მეზობლები მოჩუქებულიყვნენ და ჩუმად, ფრთხილად საუბრობდნენ. მე ვერავინ შემამჩნია. თვითონ გამოველაპარაკე ერთ-ერთს, რა მოხდა-მეთქი? იმან თავზე ხელი გადამისვა და მამაშენი წაიყვანესო, მითხრა. არაფერი ვუპასუხე, კიბე ავირბინე და ოთახში შევვარდი. დედა ტიროდა, მეზობელი ქალებიც ტიროდნენ, მეც მომინდა ტირილი, მაგრამ შემრცხვა და თავი შევიკავე...

— რისი შეგრცხვა? — არ აცალა დედაჩემმა.

— რისი და თავდაპირველად, ვიდრე გავიაზრებდი, რა მოხდა, საშინლად გამიხარდა, მამა რომ წაიყვანეს, მე კი დასჯას გადავურჩი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამაჩემს გაცეცინა.

— რა გაცინებს! — გაუბრაზდა გიგლა და უნებლიედ თვითონაც სიცილი წასკდა.

— არაფერი, არაფერი — თქვა მამაჩემმა და მამიდაჩემს გახედა რალაც ეშმაკურად. მამიდა ნამცხვარს გეახლებოდათ და ძმისთვის სულ არ ეცალა, მამაჩემი სიცილს ვერ იკავებდა?

— რა გაცინებს, ნოდარ? — იეჭვიანა მამიდაჩემმა და თვალები დააბრიალა.

— არაფერი. ჩემთვის რალაც გამახსენდა, ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

— მაშინ, ვიდრე არ დამეინყებია, მე მოვყევი, — საუბარში ანზორ სალუქვაძე ჩაერთო — დილაა, მე და ნიაზი „პახმელიაზე“ ვართ, ფული არა გვაქვს, არც შოვნის შანსი. ვკვდებით, „ლუდხანაში“ კი არავინ გვეპატიუება. ნიაზმა მითხრა, ცოტა დამაცადეო და სახლში წავიდა. როცა დაბრუნდა, ხელში რუსულ-ინგლისური ლექსიკონის უძველესი გამოცემა ეკავა. ლექსიკონი დაბლა, ლენინის ქუჩაზე, ბუკინისტებში მივიტანეთ და სამას მანეთად გავყიდეთ. მონაპოვარი კი დავამღერეთ, მაგრამ ცოტა ფული კიდევ დავგრჩა მეორე დილას პახმელიაზე გამოსასვლელად. დილას ბელინსკის ქუჩის კუთხეში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. მივედი. ნიაზი მელოდა, დამინახა თუ არა, თავში წაიშინა ხელები.

— რა ამბავია? — უიმედოდ და უნდობლად ვკითხე მე.

— რალა რა ამბავია? გუშინ საღამოს მამაჩემმა ლექსიკონი მოიკითხა და რომ ვერ ნახა, ულტიმატუმი წამომიყენა, ან დღესვე დააბრუნე, ან დაჯექი და შეადგინეო.

ყველას გულიანად გაგვეცინა, მამიდაჩემი, როგორც ყოველთვის, ცრემლებად დაიღვარა, მამაჩემიც გულიანად იცინოდა, მაგრამ უფრო იმაზე კი არა, რაზეც სხვები, რალაც სულ სხვაზე. თითქოს თავისთვის განმარტოვდა, თანაც მამიდაჩემს არ აცილებდა თვალს.

— რა მოხდა, ნოდარ, აღარ იტყვი? — ველარ მოითმინა მამიდამ — რას მომჩერებიხარ, პირველად მხედავ?... მითხარი ერთი, რა გაცინებს, რა გაგახსენდა ასეთი. მითხარი, გეხვენები, გაფიცებ ყველაფერს, არ დამიმალო.

— მოვყვე?... კარგი, მოვყვები... ომის შემდეგ ლეილამ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, ფრიადოსანი სტუდენტი იყო და კარგი სპეციალური ლიტერატურაც ჰქონდა შეგროვებული. ერთხელ მე და ოთარ სადრაძე სახლში მართო დავრჩით. საშინლად გეშოოდა, დედა ჯერ კიდევ გადასახლებაში იყო. არც საჭმელი გვქონდა და არც ფული. ვინრიალეთ, ვინრიალეთ, შემდეგ ლეილას ერთ სქელტანიან წიგნს დავადგით თვალი. ერთი კი გამაჟრიალა ტანში, მაგრამ შიმშილმა სძლია სინდისს, დავავლეთ ხელი იმ წიგნს და მივაყიდეთ. ბუკინისტმა რა კაპიებიც მოგვცა, იმით ბაზარში ვიყიდეთ ყველი, ნივრის წნილი, კიტრი, პამიდორი, მწვანელი, ხუთი ნომერი და გემრიელად ვიჭეიფეთ. ხუთი წელი ეძებდა მერე ლეილა დუმბაძე იმ წიგნს, თუ არ ვცდები, ხანდახან ახლაც ეძებს ხოლმე.

ყველამ მამიდას გავხედეთ. იმას აღარ ელიმებოდა, გამომეტყველება შეეცვალა, თვალი გაუშტერდა, ერთი შესძახა, უსინდისოებოო, და ღაპა-ღუპით წასკდა ცრემლები. მამაჩემი მოეხვია და ცრემლიან ლოყაზე აკოცა.

— არ გრცხვენია, გოგო, ასი წლის ამბავს ტირი? რა გლოცეთ, რომ იცოდეთ, მე და ოთარამ, სულ შენი სადღეგრძელოები ვსვით.

ამაზე მამიდას კიდევ უფრო აუჩუყდა გული და ხმით მოუთქვა, ოღონდ რას ლულულულებდა, არავის ესმოდა.

— სუ, გაჩერდი, გოგო, არა გრცხვენია, სუ-მეთქი... ამშვიდებდა მამა.

— მერე, მე არ მშოოდა, მე რატომ არ მაჭამეთ, მე ცოდო არ ვიყავი? — ზღუქუნებდა მამიდა.

ასეთ რეაქციას მამაჩემი ნამდვილად არ ელოდა. მამიდა პატარა, მსუქან, გულმოკლულ ბავშვს გავდა. მის დანყნარებას აზრი არ ჰქონდა, თავის უბედურ ბავშვობას ტიროდა. მამაჩემმა მკერდზე მიიკრა მისი ფუმფულა ხუჭუჭა თავი და დიდხანს, ძალიან დიდხანს უაღერსა. თვლებში რომ შევხედე, მასაც თვალის უკეებთან ორი პატარა კურცხალი უბრწყინავდა.

გახსოვდეს „ივერია“!

რატომ? 30 წელი შესრულებია. არქიტექტურული ძეგლისთვის ეს ბალღობის ასაკია, ადამიანისათვის — ნახევარი ცხოვრება. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარი სასტუმრო „ივერიასთან“ ერთად გამიტარებია. მახსოვს, როგორ დაიწყეს თბილისში რალაც სხვანაირის, უცხოურის, პირველი ქართული „ცათამბჯენის“ შენება მტკვრის სანაპიროზე, რუსთაველის პროსპექტის გულში. მაშინ მოედანზე ის ასწლიანი ჭადარი, რომელიც ოციოდე წლის წინ მოჭრეს და ახლა მკვდრეთით აღადგინეს, შრიალებდა და ხარობდა. მაშინ არც რესპუბლიკის მოედანი არსებობდა და არც მოედანზე უფუნქციოდ (ყოველ შემთხვევაში დღეს) წამოჭიმული ბეტონის ტალღები, რომელთაც მოფერებით „ანდროპოვის ყურები“ შეარქვეს და ვისაც საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი გენერალური მდივანი იური ანდროპოვი ახსოვს, მიხვდება, რომ არცთუ უსაფუძვლოდ.

„ივერიის“ გახსნასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტური ამბავიც მახსენდება. სასტუმროს სახელის არჩევა უმაღლეს დონეზე წყდებოდა. იქ თურმე კამათობდნენ, „იბერია“ დაერქმიათ თუ „ივერია“. შუა კამათის დროს ნოდარ დუმბაძეს უთქვამს, მე რომ ჩვენი ელექტრომომარაგების ამბავი ვიცი, „ი“ სისტემატურად ჩამქრალი იქნება და მთელს ქალაქზე „ბერია“ იციმციმებსო. თურმე, ამ მომაკვდინებელი არგუმენტის შემდეგ კამათი შემწყდარა და სასტუმროსაც მშვიდობიანი „ივერია“ დარქმევია.

ათიოდე წლის წინ თბილისში პოპულარობით და პრესტიჟულობით „ივერიის“ დარი სასტუმრო არ გვეგულებოდა. პოპულარობით მას ვერც დღევანდელი „მეტეხი პალასი“ შეედრება. იქ ნამდვილი თბილისური სული ტრიალებდა და არც ისე მიუწვდომელი და ელიტარული იყო, როგორც არაფრით უკეთესი რომელიმე დღევანდელი სასტუმრო თუ რესტორანი. „ივერია“ საერთო დღესასწაულის ბუდე გახლადთ. კაცი იფიქრებდა, თაფლი სცხიაო, უცხოელიც და ადგილობრივიც ბუზივით ზედ ეხვეოდა.

მერე „პერესტროიკა“ დაიწყო, აღლუმებმა რესპუბლიკის მოედანზე გადმონაცვლეს, მერე ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა, დრონი მეფობდნენ და „ივერიაშიც“ ფორმისა და შინაარსის შესაბამისად მონაცვლეობდნენ მეფეები, პარტიები, შტაბები, ბანდები. ყველამ სინდისის, შესაძლებლობებისა და მოთხოვნების მიხედვით გამოიყენა „ივერია“. ამ უკანასკნელმა კი ვერავის გული მოიგო, ვერავის შეაყვარა თავი. შეცდენილი და მიტოვებული, ძონძებშემოხვეული მეძავივით ჩამჯდარა ქალაქის ცენტრში, ხელი გაუშვერია და მონყალებას ითხოვს, მაგრამ განა თბილისში რომელი „მათხოვრისათვის“ შეუწევიათ ორი თეთრი, „ივერიას“ რომ შეაწიონ?!
 მაგანი მეტყვის, ნუ მკრეხელობ, იქ აფხაზეთის ლტოლვილები ცხოვრობე-

ნო. ვიცცი, და სწორედ მაგას ვჩივი. შეიძლება ადამიანმა, თუნდაც ლტოლვილმა, ოთხი წელი სასტუმროს პირობებში იცხოვროს?.. ახლა იმასაც მეტყვით, ასე თუ შეგტკივა გული, შენი ბინა დაუთმო. მე კი დავუთმო, აი, ვინც არ დაუთმო და არც არასდროს დაუთმობს, იმაზე მოგახსენებთ. მე ნაკლებად ვიცცი, როგორ უჭირს დღეს მთავრობას, თბილისის მერიას, მაგრამ ვიცცი, რომ ლტოლვილი და დევნილი არც აზერბაიჯანის რესპუბლიკას აკლია და არც სომხეთს. აბა ნახეთ, ბაქოს ან ერევნის ინტურისტებში ერთი ლტოლვილი მაინც თუ ცხოვრობს. თუ სომხებსა და აზერბაიჯანელებს თავის მოქალაქეთა ბედი არ ანუხებთ?! არა მგონია, მთლად ასე იყოს საქმე. ჩვენ ჩვენსავე ლტოლვილებს „საცდელი არსებების“ ბედი ვარგუნეთ, ახლა ველოდებით, როდის დაავინყდება ადამიანს სახლის, როგორც აუცილებელი სასიცოცხლო ატრიბუტის მნიშვნელობა, როდის გაუქრება საკუთარი „ჭერის“ შეგრძნების რეფლესია.

„ივერია“ დღეს კიდევ ოკეანიდან ამოთრეულ, დაფლეთილ იალქნებში გახვეულ, ბრძოლაში დამარცხებულ და დაძირულ პრეისტორიულ ხომალდს ჰგავს, მისი ბინადარნი კი — ამ ხომალდზე შემორჩენილ მოფარფატე აჩრდილებს, ისინიც დაძირულები და დამარცხებულები არიან.

ჩვენს მთავრობას შტატში ერთი სერიოზული ფსიქოლოგი მაინც რომ ჰყავდეს, ასე ზეზეურად არ ჩააკვლევინებდა „გულშემატკივარს“ პოტენციურად შურისმაძიებელი ადამიანის სულში წინააღმდეგობის განევისა და პროტესტის გამოხატვის სურვილს. საბოლოო ჯამში, აფხაზეთი ხომ მათი დასაბრუნებელია, დამარცხებულ გემზე ცხოვრებას მიჩეულ მეზღვაურს კი ზღვაში გასვლის არამცთუ სურვილი, ინსტიქტიც კი უქრება.

როდესაც ნაწარმოებში მწერალი ხიდის აფეთქებას აპირებს, როგორც წესი, დრამატულობის გასაძლიერებლად ტერორისტებს ამ ხიდის არქიტექტორს აპოვნიებს და ნაგებობის „აქილეესის ქუსლს“ გამოსტყუებს ხოლმე. ღმერთმა აშოროს ბატონ ტონი კალანდარიშვილს ის დღე, როდესაც „ივერიის“ აფეთქებაში მიაღებინონ მონაწილეობა, არც სჭირდებათ, ვინაიდან „ივერიის“ აქილეესის ქუსლი უკვე კარგა ხანია მისი არქიტექტორის დახმარების გარეშე ნაპოვანია. მშობელი კი თავისი სწეული პირმშოს წელი კვდომის თვითმხილველი ხდება.

გამკითხავი არავინაა, არც SOS-ის დამძახებელი, არც SOS-ის გამგონი, არც მშველელი და არც ჭირისუფალი: ღმერთო! შენ უშველე შენს შვილებს, გაჭირვებულებს და დაღბნილებს, დაღბნილებს უფრო, რამეთუ კეთილდღეობისაგან თვალში სინათლე და ყურში სმენადაკარგულებს თურმე ველარც გონი უჭრით სხვისი და საკუთარი თავის სასიკეთოდ.

სამკუთხა ბარათი ზულეიკა ბენიას, ჩემს აფხაზ მამიდას

ზულეიკა მამიდა!

ჩემი ხმა, ალბათ, ვერც ახლა მოაღწევს შენამდე. ვნერ ისევ ჩემთვის და იმ ათასი გამწარებული ჩემნაირისათვის, ვინც უაფხაზეთობას კიდევ ვერ შეჰკუთვნიდა და სასონარკვეთილებისგან დამძიმებულ თავს კვლავ უშედეგოდ უხატოქუნებს ბეტონის კედელს. ვნერ და სინამდვილეში, ისევ იმ ვილაც ჩემნაირს ვაცოდებ თავს. იმედის ერთი პატარა ნაპერწკალი გამკრავს ხოლმე გულში: იქნებ, ჩემმა სიტყვებმა მარცვალ-მარცვალ, თუნდაც ბგერა-ბგერა მაინც მოახერხონ ჩვენს შორის გადაჭიმული, დანალმული ტრამალის გადალახვა და ჩემი გულრიფშის მზიან ტალღებში მომაკვდავი მარგალიტებივით ჩაიფანტონ გადასარჩენად.

ამას წინათ სამეგრელოში ვიყავი — ჯვარში. იქაურებმა მითხრეს, მანქანით თუ ხარო, უმჯობესია, მზის ჩასვლამდე აქედან გააღწიოთ, თორემ დაბინდებისას ყაჩაღებმა შესაძლოა, მანქანა წაგართვან და სულ რაღაც წუთებში გადაიყვანონ აფხაზეთში და მერე ეძებე რამდენიც გინდაო. ამის გამგონეს, უპირველესად, საოცრად შემშურდა იმ გონებამახვილი და გამჭრიახი ყაჩაღების, რომლებსაც, იმ ძალით მოგონილ საზღვარს იქით, თავისნაირებთან საერთო ენა და ინტერესი გამოუნახავთ. როგორც ჩანს, კრიმინალური სამყარო, ჯერჯერობით, ის ერთადერთი გარემოა, სადაც აფხაზთა და ქართველთა შორის კონფლიქტი ურთიერთსასარგებლო გარიგებებით გვარდება. ერთი გაფიქრება, ვიფიქრე, რა მოხდება იმ მანქანიანად მეც გადამათრიონ-მეთქი „საზღვარზე“. სხვა გზით უბრალო მოკვდავი ქართველი სოხუმში ხომ ვეღარ მოხვდება. ჩვენმა „შემრიგებელმა“ საერთაშორისო ორგანიზაციებმა აფხაზური და არამარტო აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ათასი ხერხი იციან, მსოფლიოს ასწავლიან, მათ შორის ჩვენც და ხომ ხედავ, „მშვიდობა“ სუფევს მთელ დედამიწაზე, საქართველოს გარდა. სამწუხაროდ, „ნიჭიერმა“ ქართველებმა, კრიმინალების გარდა, ამ ათასი ხერხიდან ვერც ერთი ვერ, აფხაზეთმა კი — არც ერთი არ ისწავლეს.

მთავრობათა დონეზე მოლაპარაკებებმა არ გაამართლა და ახლა „ხალხური დიპლომატია“ შემოდის მოდამი. დაინყო ორივე მხარის ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს შორის სამშვიდობო შეხვედრები. სოხუმში ერთი ასეთი შეხვედრა ნახევარი წლის წინ გაიმართა, თბილისში — სულ ახლახან. მე, სამწუხაროდ, არც ერთ ამ შეხვედრას არ დავსწრებივარ იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩემი არც სოხუმელობა და არც ჟურნალისტობა არავის გახსენებია. არა და, რა კარგად იციან იმ ადამიანებმა, ვისაც ყოველივე ეს ეხება, რომ პირადად ვიცნობ და, თუ გნებავს, ძველი მეგობრობა მაკავშირებს იმათთან, ვისაც დღეს აფხაზი სეპარატისტები ჰქვია და აქედან ჩასულთა

უმრავლესობა სათოფზეც ვერ ეკარება. განა არ იციან, რომ მე, ჩემი ტკივილითა და ძველი ურთიერთობების წყალობით, ბევრად უფრო მეტ ადამიანთან მიმესვლება, ვიდრე სხვას და რომ მე, იმ ადამიანებთან სალაპარაკო და გასარკვევი მეტი მაქვს, გასაყოფი — არაფერი. თბილისში გამართულ შეხვედრაზე, აკი გითხარი, არ ვყოფილვარ-მეთქი. ეს იყო ქართველი და აფხაზი ჟურნალისტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალიან წარმომადგენლობითი შეხვედრა-დიალოგი. მთელი გულისყურით ვადევნებდი თვალს ამ ღონისძიებას და მართალი გითხრა, ეჭვი შემეპარა, გამიზნულად ხელს ხომ არ უწყობს-მეთქი ორივე მხარე ერთმანეთისთვის სრულიად არასაინტერესო, უცხო და ერთმანეთის მიმართ ინდიფერენტულად განწყობილი პიროვნებების შეხვედრას.

როგორც ნებისმიერ, რიგით სამთავრობო შეხვედრაზე, აქაც არავინ ამადლიდა ერთმანეთს მოზომილ, დიპლომატიურ ღიმილს, არავინ ისროდა გესლს და ტალახს, ყველაფერი ტრადიციული სტუმართმოყვარეობის ფარგლებში მიმდინარეობდა და ბოლოს, იცი, რა თქვეს აფხაზებმა? საქართველოს რომ შევუერთდეთ, უნდა მოვიინდესო, გადააქციეთ საქართველო სასურველ ქვეყნად და ეგებ, მოვინდომოთ კიდევ თქვენთან შეერთებაო. ამას ისინი მთელი აფხაზი ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ და შენ წარმოიდგინე, მე მათ გულწრფელობაში ეჭვიც არ შემპარვია, — როდის იყო გამარჯვებულს ასამართლებდნენ. გამარჯვებულს ხომ ყველაფრის თქმის უფლება აქვს, თანაც აღმატებით ტონში. საქმე ისაა, რომ პირადად მე, სულ აღარ მჯერა, რომ საქართველო ოდესმე მათ „სასურველ ქვეყნად“ გარდაიქმნება. სხვისი რა გითხრა, მე თვითონ, ვერანაირად ველარ გარდავიქმნები. გულრიფში მინდა-მეთქი „უზნეო“ ბავშვივით დამიჩემებია და როგორც გინდა, ისე მოინდომე ჩემთან გაერთიანება, ზულიეკა მამიდა! თუნდაც ჩემი სიცოცხლის ფასად.

მე აფხაზეთში, საკუთარ ნათესავებთან და მეგობრებთან სალაპარაკოდ „ხალხური დიპლომატიის“ კურსები არ მჭირდება, არც უცხოელი შუამავალი. არაფერი მესაქმება არც იქაურ და არც აქაურ მთავრობასთან. მე, როგორიც ვარ, ისეთს მინდა შენთან, როგორიც ხარ ისეთთან, ჩემო ზულიეკა მამიდა!

დღეს ქართული და უცხოური ფირმები რეკლამებით შვეიცარიაში, ფლორიდაში და კანარის კუნძულებზე ნაკვეთების შეძენას გვთავაზობენ. მე იმ ჩემს კუთვნილ 700-კვადრატულმეტრიან ეზოს ნანგრევებში მინდა ჩაჯდომა და განა ამისთვის დიპლომატიაა საჭირო? ვის შორის: ჩემსა და შენს შორის? ჩემსა და დიშკა გულიას შორის? ჩემსა და გენა ალამიას შორის? არა მგონია.

მე ნელი მამიდას მოდულეზული ყავა მენატრება, მამაჩემის და შენი გულისნასვლამდე კისკისი, კოკას და საშკას საფლავი, ჩვენი ბუხარი, ნავი „აჯიკა“ — გახსოვს? მამამ კოკას რომ აჩუქა — ერთი თვე არ დალიო და შენი იყოსო, ჩვენი ეზოს ჩემმა — „ლუქს N13“ და იქვე, სხვათა შორის ამოსული პალმა. ბებიაჩემის ზღაპარი მენატრება სოხუმელ ბერძნებზე... ვკვდები, ისე მენატრება, შენ არა? აღარაფერი გაკავშირებს ჩემთან? — არა მგონია.

პაატამ მითხრა, ზულეიკა მოსკოვში ვნახე და ასე თქვა, ძალიანაც მაგრად ვართო. მერე ცერა თითი ასწია და გაიცინა — აი, ზუსტად ასე მაჩვენაო. მეც მინდა ვნახო ეგ ანეული ცერა თითი, რომლითაც შენ თურმე, „ძალიან მაგრად ყოფნას გამოხატავ. დოდოს მოუნერია მამიდაჩემისთვის, ვბრმავდები და აქ ნუ დამტოვებთო. ალბათ, შენ არ გაგირბის. არასოდეს მიგიტოვებია გასაჭირში და რაღა „მაგრა რომ ხარ“, მაშინ გაგინყრება ღმერთი. გიყურებ და ეჭვი არ მეპარება შენს სიმტკიცეში, თორემ, დაძაბუნებულ, არარაობად ქცეულ ქართველ დედაბერს, რომელიც მეთერთმეტე წელია ლანდივით დაფარფატებს სახლსა და ეკლესიას შორის და „გაგებაში არ არის, გარშემო რა ხდება“, ვინ არ გამოგვატანს.

თუ ხვდები მაინც, რა ექაჩება დაბადებით სოხუმელ დოდოს აქეთ? იგივე ხომ არა, რაც მე, დაბადებით თბილისელს — იქით? მეც ჩემი ცოცხალი სისხლისა და ხორცის მონატრება მტანჯავს, მე ჩემს გულრიფში მინდა — ჩემი სიცოცხლის საუკეთესო ზმანებების ნავსაყუდელში. მე ჩემი და შენი ბებიების ზღაპარში მინდა დაბრუნება, გიკვირს? არა მგონია. მაშინ, დაიყვილე ერთი და გადმოვეშვები შენსკენ, თუნდაც სიცოცხლის ფასად. და-მი-და-ხე!!!

გაზ. „დილის გაზეთი“, 28 დეკემბერი, 2000 წელი.


1

1

E

o

!



ამ წერილის დაბრუნება რალაციით მართლა ჰგავდა „ოდისევსის დაბრუნებას“ 20 წლის შემდეგ

ამ რამდენიმე თვის წინათ ზუგდიდიდან სტუმარი მენვია — სრულიად უცნობი ადამიანი, 50 წელს გადაცილებული იქნებოდა. ისეთი თბილი და ღიმილიანი თვალებით მიყურებდა, ვიფიქრე, ახლობელია და ვაითუ, ვერ ვცნობ-მეთქი, მაგრამ გამომეცნაურა და მაშინ კი დავრწმუნდი, რომ პირველად ვხედავდი. წარმოდგენა არ მქონდა, რისთვის მოვიდა, იმან კი მეგრული პენითა და თავაზიანობით შორიდან მოუარა: დაიწყო თავისი ბიოგრაფიით, ოჯახით, ზუგდიდში მცხოვრები ჩვენი საერთო ნაცნობების გახსენებით, იქითურით, აქეთურით და უცბად ყოველივე ამას ასეთი ამბავი მოაყოლა: „ერთხელ მივლინებით ვიყავი კიევში. კარგი ნომერი მქონდა სასტუმროში და მარტო ვცხოვრობდი. ადმინისტრატორმა მთხოვა, ადგილი აღარა გვაქვს და უარს თუ არ გვეტყვი, ერთ ზაპოროჟიელ ჟურნალისტს შემოგისახლებთო. სიამოვნებით დავთანხმდი. მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს. კიევში ერთი ნაცნობი მანდილოსნისთვის ნოდარ დუმბაძის „ოდისევსის დაბრუნების“ რუსული თარგმანი მქონდა წამოღებული, მაგრამ კიევში არ დამხვდა და წიგნი იმ ზაპოროჟიელ ჟურნალისტს ვაჩუქე. ეს იყო 1984 წელი. 14 სექტემბერს მამათქვენი გარდაიცვალა, 29-ში კი ზაპოროჟიედან ეს წერილი მივიღე“.

ბატონმა ავთო სიჭინავამ (ასე ერქვა ჩემს სტუმარს) 18 წლის, დაცრეცილი, გაყვითლებული და შიგადაშიგ „სკოჩით“ დანებებული ფურცელი მომანოდა. აი, რა ეწერა ამ ფურცელზე ლამაზი რუსული კალიგრაფიით:

„პატივცემულო ავთანდილ!

ბოდიშს გიხდით დავვიანებისთვის, მაგრამ გთხოვთ, მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი ძვირფასი ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო. საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდი დანაკლისია ნოდარ დუმბაძის სიკვდილი საქართველოსთვის, მთელი ჩვენი ქვეყნისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის დედამიწის ზურგზე, ვინც მის განუმეორებელ ნაწარმოებებს კითხულობს.

ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან შეხვედრამ ნოდარ დუმბაძის კიდევ ერთ მშვენიერ ნაწარმოებს — „ოდისევსის დაბრუნებას“ მაზიარა. დიდი მადლობა ამისთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

პატივისცემით კონსტანტინე სუშკო.“

1984 წლის 23 სექტემბერი.

ავთო სიჭინავა:

— ეს ნერილი დიდხანს ჩემი და ჩემი ოჯახის რელიკვიად მიმარჩნდა. ახლა, 18 წლის შემდეგ მივხვდი, რომ იგი ყველას საკუთრებაა და ნოდარ ღუმბაძის მუზეუმში უნდა დაიდოს ბინა. ამიტომ, მისი ქსეროასლი შინ დავტოვე, ორიგინალი კი თქვენთან წამოვიღე თბილისში.

ბატონი ავთო ისევე ჩუმად და მოკრძალებით წავიდა ჩემი სახლიდან, როგორც მოვიდა ამ რამდენიმე თვის წინათ. მხოლოდ ეს საოცარი ნერილი და უთბილესი ღიმილი დამიტოვა სახსოვრად. მას შემდეგ ერთმანეთს არ შევხმთანებიათ. ნერილი, ჯერჯერობით, ჩემთანაა. ხვალ, მამაჩემის დაბადების დღეზე, ჭაჭაჭაძის პროსპექტზე გადაინაცვლებს — ნოდარ ღუმბაძის სახლ-მუზეუმში.

გაზ. „დილის გაზეთი“, N160 (1873), 13 ივლისი, 2002 წელი.

შევედ შენ კიდობნად!

ზენობნელებმა „მე ვხედავ მზეს“ რომ წაიკითხეს, „ი ბრმაი ციცე ვინ იყო“, იკითხეს, დანარჩენი პერსონაჟების პროტოტიპი მაშინვე ამოიცნეს. ასე ეძებდნენ უნივერსიტეტელი ძმაკაცებიც „მზიანი ღამის“ წაკითხვის შემდეგ, ის ვინ არის და ის ვინო. „თეთრი ბაირალების“ ხელნაწერის კითხვის დროს ასე მაინტერესებდა მეც, ვინ იყო შოშია, ჭიჭიკო გოგოლი რეალური ტიპია, თუ გამოგონილი? ლიმონას პროტოტიპი მართლა ილო დევდარიანია, თუ ვინმე სხვა? ისიც მპასუხობდა და მოთმინებით ელოდა, როდის დავსვამდი იმ მთავარ კითხვას, რისთვისაც, ჩემი აზრით, დაინერა „თეთრი ბაირალები“. და ეს დრო დადგა ზუსტად მაშინ, როცა რომანის ბოლო თავს მივადექი:

„ნაკაშიძე სვეშჩამი, ნაკაშიძე სვეშჩამი, — დაირხა ექო ცარიელ საკანში. საკანი ვარდისფერი ბურუსით აივსო. — გათავდა წყლით რღუნა ქვეყანასა ზედა, — ჩამესმა ყურში ნაცნობი მოხუცის ხავერდოვანი, მოალერსე და თბილი ხმა. — გამოვედ კიდობნისაგან და აღუშენე საკუთრხეველი უფალსა, — აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლეთ მას!“

„თეთრი ბაირალები“ ნოეს გამოცხადებით იწყება და მთავრდება. საკანში შესვლისას ზაზა ნაკაშიძეს ვილაცამ მხარზე ხელი შეახო და უთხრა: — „შევედ შენ კიდობნად“. გაილო ბნელი და შავი სახლის დახშული რკინის კარი და ზაზა შევიდა კიდობნად. და მერე შვიდი თვე, ვითარცა წარღვნის ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ატივტივა კიდობანმა ზაზას უცოდველი სული ცოდვათა მორევში. საკანში ათი პატიმარი დახვდა. ათი განსხვავებული სახის დანაშაულისთვის გასასამართლებელი პატიმარი. კიდობნის კარი კი მხოლოდ მაშინ გაილო, როცა ციხეში კარანტნი დამთავრდა და საკანში ათი მცენების დამრღვევი არცერ-

თი სულიერი აღარ იყო. შემდეგ ისევ გაიღო ბნელი და შავი სახლის დახშული რკინის კარი და ვიდრე ზაზა ნაკაშიძე ცარიელი „კამერიდან“ გამოვიდოდა, იქ ახალი პატიმარი შეიყვანეს.

ადამიანი დამნაშავედ არ იბადება. იბადება დანაშაული ადამიანის სულში, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს არასრულწლოვანმაც და ზრდასრულმაც, პატიოსნად განვლილი ცხოვრების უკანასკნელ წამშიც კი, თუ სასონარკვეთის ჟამს სულისა და გონის გადასარჩენად ნოე არ მოეველინა კიდობნით.

გულწრფელად აღმაფრთოვანებს ყველა იმ ადამიანის ძალისხმევა, რომელიც ცდილობს, საკუთარი ზურგით ზიდოს ნოეს ტვირთი და ადამიანთა სულელებში დანაშაულს ჩაბუდებამდე შეერკინოს. ამ ტვირთის ზიდვა კი ერთობ ძნელი და საფრთხილო საქმეა, მეტად საფრთხილო საქმე.

მახსოვს, დეპუტატობის დროს მამაჩემმა ერთ ახალგაზრდა პატიმარ გოგონას უშუამდგომლა და იგი ციხიდან ვადაზე ადრე გამოუშვეს. ერთი წლის შემდეგ ეს გოგონა გვესტუმრა უზომოდ ბედნიერი, ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლითა და ჩვილი ბავშვით. კოცნიდა მამაჩემს და ეუბნებოდა, თქვენმა ნდობამ ახალი ცხოვრება დამანყებინაო. მაგრამ იყო მეორე შემთხვევაც — სრულიად საპირისპირო. ერთი ყმანვილი მთელი წელი ციხიდან ინერებოდა, უბედურება შემემთხვა, გაუგებრობაში მოვყევი და მკვლელობას მაბრალეებნო. ძალიან გაუძნელდა მამაჩემს დახმარება, მაგრამ, როგორც იქნა, გაჭრა მისმა ავტორიტეტმა და ის ყმანვილიც ვადაზე ადრე გამოუშვეს ციხიდან. სამი თვის შემდეგ მისი და მოვიდა და მამაჩემს ტირილით ძმის წერილი გადასცა. თურმე იმას სიმთვრალეში ვიღაც მოუკლავს, შემდეგ, გონს როცა მოსულა, თავად ჩაბარებია მილიციას. ჩემგან ეტყობა ადამიანი არ დადგება და თუ შეგიძლიათ მაპატიეთ, ასეთ შეცდომაში რომ შეგიყვანეთო, წერდა იგი წერილში. მამაჩემი იმ ღამით დარდს კინალამ გადაყვა.

ერთმა პატიმარმა მითხრა, შენ არც კი იცი, რა კაცის შვილი ხარ, მამაშენის „თეთრი ბაირალები“ კამერიდან კამერაში გადადისო. ბევრი ვიცინე მაშინ. ვერ გეტყვით, რამდენად დადებით ზეგავლენას ახდენს ნოდარ დუმბაძის შემოქმედება კრიმინალურ სამყაროზე (ამაზე სხვადასხვა დროს არაერთგვარი მოსაზრებები გამოითქვა), მაგრამ ერთი უეჭველია: ბედნიერია ის მწერალი, ვისი სიტყვაც ბნელი და შავი სახლის დახშულ რკინის კარს მიღმა ადამიანს გაყინულ სულსა და სხეულს გაუთბობს.

თქვენ, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, გისურვებთ, მრავალი ასეთი სიტყვა გეთქვათ იმ ადამიანებისათვის, ვისი სულების გადარჩენაც ჯერ კიდევ არ არის გვიან, ვინც გზის გასაყარზეა, იმედი დაუკარგავს და ისღა დარჩენია, თავის წილ წარღვნას დაელოდოს. გაუღეთ მათ კარი და უთხარით — შევედ შენ კიდობნად!

რისთვის, ღმერთო?

ამ ორიოდე წლის წინ ფოტოკორესპონდენტმა დამირეკა და მითხრა, მამათ-ქვენის ბოლოდროინდელი სურათები მაქვს და მინდა ოჯახს გაჩუქოთო. შევხვ-დი, საფოსტო კონვერტში სათუთად ჩანყობილი ფოტოსურათების დათვალიე-რება დავინყე. ერთია, როცა მამაშენის უცნობ სურათებს უყურებ — ზოგჯერ გავინყდება, რომ აღარ არის და გიხარია მათი ცქერა, იცინი, რალაც-რალაცე-ბი გახსენდება, მეორეა, როცა ელდა დაგკრავს მათი ხილვით: სურათებიდან მხიარული, მაგრამ სნეული, უჩვეულოდ დაბერებული და სამარდისო განმორე-ბის გზაზე დამდგარი მამა მიყურებდა. მე ის ფოტოები დედაჩემისათვის არ მიჩვენებია, შინ მაქვს გადამალული, იმავე საფოსტო კონვერტში მომწყვდეუ-ლი და ძალიან ივშიათად თუ შევავლებ ხოლმე თვალს.

დედა მიაბობდა: ერთხელ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ასეთ სცე-ნას შევესწარი: ნოდარი საძინებელში სარკის წინ იდგა, დიდხანს აკვირდებოდა თავს ისე, რომ ჩემი იქ ყოფნა არც კი შეუნიშნავს, უეცრად ხელი სარკისკენ გა-იშვირა და თავის ანარეკლს უთხრა: ეს რა უქენი, ბიჭო, შენს თავს!

ეტყობა, სარკიდანაც ზუსტად ის ნოდარი უმზერდა, მე რომ კონვერტში ჩავმალე და მერე დღის სინათლე აღარ ვალირსე.

მაინც, რა უქნა ასეთი თავის თავს ნოდარ დუმბაძემ? ის, რაც მაგონდება, ყოველთვის იწყება და მთავრდება ორი ფრაზით, რომელთაც ძალზე იშვიათად ამბობდა, მე კი მათი გაგონება მუდამ შიშის ზარს მცემდა — ნეტავი რისთვის მამზადებს ღმერთი, ასეთ სასტიკ გამოცდებს რატომ მიწყობსო.

„ილიკო და ილარიონის“ პრემიერას მარჯანიშვილის თეატრში ორივე, მამა-ჩემიც და დედაჩემიც შავებში ჩაცმულები დაესწრნენ — ნახევარი წლის გარ-დაცვლილი ჰყავდათ ხუთი წლის ზაზა. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. პრემიე-რას მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი, ვასილ მჟავანაძე ესწრებოდა. ამ პიე-სის გარშემო ცენზურას წინასწარ უკვე ისეთი აჟიოტაჟი ჰქონდა ატეხილი, სპექტაკლის საბოლოო ბედი სწორედაც რომ ცეკას მდივნის სიტყვაზე იყო და-მოკიდებული. მოხდა ის, რასაც „ცენზორი“ არა და არ ელოდა: სპექტაკლის მსვლელობისას მჟავანაძე ხან ტიროდა, ხან იცინოდა, ბოლოს კარგი ტაშიც დასცხო და ამით ხელი მოაწერა „ილიკო და ილარიონის“ მომავალ სასცენო ტრიუმფს. კულისებში შთაბეჭდილების გაზიარებისას მან თქვა, პიესაში ბევრი უცენზურო სიტყვა და გინებააო. ამაზე გიგა ლორთქიფანიძემ მოსწრებულად მიუგო, ეგ ყველაფერი დუმბაძისაა, დანარჩენი — ჩემიო. შემდეგ მჟავანაძემ თურმე დასძინა, მშვენიერი სპექტაკლია, ბებიაჩემი გამახსენდა, სულ ოლდას ჰგავდაო, ურჩია, ამოიღეთ პიესიდან უცენზურო გამოთქმები და დანარჩენი როგორც არის, ისე დატოვეთო. ამის მერე ფეხზე წამოდგა და პალტოს ასაღე-ბად წაიწია. ეს გიგა ლორთქიფანიძემ ადრევე იგრძნო, გუმანით, რადგან ვიდ-

რე მჟავანაძე ან მისი მსლებლები გონს მოეგებოდნენ, ფეხზე წამოხტა და თვალის დახამხამებაში ჩააცვა ხელმწიფისტოლა სტუმარს პალტო. ეს რომ მოათავა, მამაჩემს გახედა, იგი თავჩალუნული იდგა და უღვაშებში ელიმებოდა. როცა ცეკას მდივანი გაისტუმრეს, გიგა მიუახლოვდა მამას და ილარიონის ენით შესჩივლა — „დამჭამე, ნოდარა, დამტკვირე, ხომ ვიცი, ჩემი საქმე გათავებულისა, ამიგდებ ახლა მასხრად და აღარ გამახარებ ამ დუნიანო“. ამის გამგონეს, მამაჩემს მართლა სიცილი აუტყდა — რა გჭირს, ბიჭო, ჩემი მასხრად ასაგდები, გულზე ვარ გამსკდარი, ამ კოჭლმა კაცმა როგორ დამასწარიო.

ცხრა წლის იყო, ოცდაჩვიდმეტში მამა რომ დაუხრიტეს და დედა ათი წლით შუა აზიის ბანაკებში გადაუსახლეს. ამ ათი წლის განმავლობაში რაც თავს გადახდა, ნოდარ დუმბაძის მკითხველმა კარგად უწყის, რადგან იგი ყოველთვის თავის ცხოვრებას წერდა და არასდროს იმას, რაც არ იცოდა. მე კი ანდერძად ეს პატარა კანონი დამიტოვა: მთელი ქვეყნიერების ვალი მაქვს, მამა, კეთილი ადამიანები რომ არა, ღმერთმა უწყის, რით დამთავრდებოდა ჩემი ცხოვრება. თითო სიკეთე ყველასგან მასხოვს და უფლება არა გვაქვს არც მე და არც ჩემს ნაგრამს სიკეთე არ ვთესოთო.

ორმოცდაერთი წლის იყო, პირველმა ინფარქტმა რომ დაჰკრა, არავინ ფიქრობდა მაშინ მის გადარჩენას. ჯანსუღ ჩარკვიანი უცხოეთში იყო მივლინებული, მაგრამ ამ ამბის გამო თბილისში დარჩა, საავადმყოფოდან არ გასულა. როცა მამაჩემმა მესამე დღეს ძლივს თვალი გაახილა, თავზე წამომდგარი ჯანსუღი დაინახა: მე შენ წასული მეგონო, — წაილულლულა. ჯანსუღმა ერთხანს ხმა ვერ გასცა, მერე გახალისდა, ხუმრობის გუნებაზე დადგა და მკვახედ მიუგო — მეც კი მეგონე წასული, მაგრამ აქ ხარ და ფეხის მოცვლასაც არ აპირებო. მეორე დღეს მამაჩემმა ცოტა მოიბრუნა სული და ფანჯრისკენაც გაიხედა. კვლავ თოვდა (ეს ის დრო იყო, ხრუშჩოვი ქართველებს გადასახლებით რომ ემუქრებოდა).

— მგონი უკვე გადაგვასახლეს და გვიმაღავენო, - თავისთვის ჩაილაპარაკა და პალატაში ისეთი ხარხარი ატყდა, საავადმყოფო აზანზარდა. მას მერე ხშირად გაიგონებდით საავადმყოფოს დერეფანში სხვა ავადმყოფთა ჭირისუფლებისაგან, ეს დუმბაძეები ან გიჟები არიან, ან „აფერისტები“, კაცი ნახევრად იქით არის, ამათ სიცილ-კისკის კი ბოლო არ უჩანსო. გურულებმა კაცი აფრინეს ჩოხატაურიდან, „ნოდარას“ ჯანმრთელობის ამბავი ჩამოგვიტანეო. დიდხანს იბრძოდა ის კაცი პალატის კართან, მაგრამ არ შეუშვეს. დედაჩემმა უთხრა, მშვიდად წადი, ან არაფერი უჭირს, კარგად არისო. მაინც არ მოიშალა და ჩუმიად შეძვრა მამასთან. დიდხანს უყურა წამლებით გაბრუებულს, გამოვიდა, არავისთვის არაფერი უთქვამს, ისე გაბრუნდა ჩოხატაურში. მერე გურულები გვიყვებოდნენ: როცა ვკითხვით, ნოდარა რაფრაა-თქვა, ასე გვითხრა, ნანულია ამბობს კარგადააო, ცუდად ყოფნას რას უძახის, მაი არ ვიცი მეო.

ოცდახუთი წლისა დაპატიმრებული იყო გახმაურებული მკვლელის გამო და დახვრეტის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ექვსი თვე იჯდა „გუბერსკში“, გაა-

მართლეს. ამის შემდეგ დაიწყო ზეპირი ამბების მთელი სერიები ციხის ცხოვრებაზე, შემდეგ „თეთრი ბაირალებიც“ დაიწერა. ერთხელ, თურმე, როცა ციხის მორიგ ამბავს ყვებოდა, ჭაბუა ამირჯიბს უთქვამს, — ბიჭო, 25 წელი ვხეხე, გამოვედი და 25 წუთში მოვყვევი ყველაფერი, შენ რა ექვსი თვე იჯექი ასეთი, რომ დღემდე ველარ დაგიმთავრებიაო.

პირველი ინფარქტის შემდეგ რვა წელი აღარც ეწეოდა და აღარც სვამდა (თუმცა ამას ვერ დავიჯინებ!), მერე დედაჩემს შეეყარა რალაც უცნაური სენი: თავის ქალის ახდა და ტვინის ოპერაცია დასჭირდა. იმ დღიდან დაიწყო მამაჩემმა გამხელილად სიგარეტის წევაც და სმაც. რატომღაც, რუსულად მითხრა, — „აჰ ჯი ჯი, აჰ ღი ჯი“ —ო. ეს უკვე მერამდენე გამოცდა იყო მის ცხოვრებაში. დედაჩემი გადარჩა. ოპერაციის მერე მოსკოველმა პროფესორმა კანავალოვმა გვითხრა — „აჰ ჯი ჯი, აჰ ჯი“ —ო. ჰოჯა მას მერე შეკლული ჰყავდა დედაჩემი, — როგორც კი მისთვის რაიმე უსიამოს ეტყოდა, მაშინათვე მიახლიდა ხოლმე: „კანავალოვის დედა ვატირე, ამოიღო ხომ ყველაფერი, აღარაფერი ჩატოვა ხომ შიგ, უჰ, მაგისი...“.

1978 წელს ამერიკაში მიიწვიეს საბჭოთა და ამერიკელ მწერალთა ისტორიულ კონგრესზე. 24 დღე დაჰყო ოკეანის გაღმა და ამ მოგზაურობას „ოდისევსის დაბრუნება“ მიუძღვნა. სწორედ ამერიკაში ყოფნისას, 22 აპრილს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მისი სიძე, მწერალი ჯემალ თოფურდიე, რომელსაც შვილებში არ არჩევდა და რომლითაც სამართლიანად მამაცობდა. ჯემალის მოთხრობა „გოგია“ გვიან ღამით წაიკითხა, ვერ მოითმინა და მაშინვე დაურეკა — ეს პატარა შედეგური ნეტავ მე დამეწერაო. იცოცხლე, მერე ნანობდა ნათქვამს, რადგან გახარებული ჯემალი დილიდანვე ქეიფს შეუდგა და ერთი თვე აღარ გამოფხიზლებულა.

ესეც მერამდენე უსასტიკესი გამოცდა: კიდევ ერთი ბიჭი გამოსტაცა ბედმა.

მეორე ინფარქტმა გულრიფში მიიმწყვდია, მარტო. იმდენჯერ მოვკვდი, საიქიოს გზას თვალდახუჭული ვაგნებო, ეხუმრებოდა სოხუმელ ექიმებს და იქით ამხნევებდა, ნუ გემინიათ, სანამ ბოლომდე არ გამომწურავს ბუნება, ვიდრე ბოლომდე არ დამაფქვევინებს ბედის წისქვილი ჩემს საფქვავს, სიკვდილი არ მელირსებაო... და ხუთი წელი კიდევ იცოცხლა, სასწაულით. „მარადისობის კანონიც“ მაშინ აღმოაჩინა. ხუთი წლის თავზე მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში, სიკვდილის წინ ახლადგამოცემული „ილიკო და ილარიონის“ კითხვა დაიწყო ხმამალა, დაილალა და მე და ქეთინოს გვთხოვა, თქვენ განაგრძეთო. ვკითხულობდით და ვიცინოდით, თვითონაც გულიანად იცინოდა, მერე ხელით გვაჩვენა, გეყოფათო. — ეს რა მაგარი რამე დამინერიაო, თქვა და მშვიდად დაიძინა.

კონსტანტინე გამსახურდიას დასაფლავება მაგონდება. ბატონ კონსტანტინეს ხელით მისავენებდა სრულიად საქართველო კოლხური კოშკისკენ. რუსთაველის პროსპექტზე რეპროდუქტორები მისი ნაწარმოებების ნაწყვეტებს გადმოსცემდნენ და ხალხი გმინავდა, ისეთი მომწესხველი და ამაღელვებელი იყო ეს

პროცესია. შინ რომ დავბრუნდით, მამაჩემმა უეცრად თქვა, თავი არ მომჭრათ, ბაღნებო, და ჩემს გასვენებაზე იგივე არ გაიმეოროთ (საკუთარი ნაწარმოებების ნაწყვეტების კითხვას გულისხმობდა), თორემ დაწყდება პროცესია სიცილითო.

ხანგრძლივ სიცოცხლეზე ოცნება ვერც კი წარმოედგინა, თუმცა წამოსცდებოდა ხოლმე, ისე როგორ უნდა მოვკვდე, ცალი თვალით მაინც არ შევიჭყიტო XXI საუკუნეშიო. 2000 წელს იგი 72 წლის გახდება (არც ისე ბევრია, როგორც თვითონ ეგონა). გარდაიცვალა მაშინ, როცა სოციალიზმი „ჰყვაოდა“ და „პერესტროიკამდე“ ჯერ კიდევ დრო იყო.

თავისი „პერესტროიკა“ კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა, პირველივე ფელეტონებიდან, მის განხორციელებას კი ველარ მოესწრო. ცხადია, შემდგომ მოვლენებსაც გამოაკლდა, თუმც ამ მოვლენათა უშუალო „მონაწილე“ თუ ადრესატი ხშირად გამხდარა ორივე კონტექსტში — დადებითშიც და უარყოფითშიც. მისი გარდაცვალების შემდეგ იმდენი ძვრა მოხდა მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოში, პირადად მე მიჭირს კიდევ იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცეოდა ამა თუ იმ ვითარებაში ნოდარ დუმბაძე, სად დადგებოდა ან დადგებოდა თუ არა სადმე საერთოდ, რადგან ხშირად უთქვამს, ერთხელაც თუ დავუძვერი სიკვდილს, ჩემს გულრიფში გადავსახლდებიო. ახლა აღარც გულრიფში გვაქვს...

პაპანაქება სიცხება, ვხედავ, როგორ მოასვენებენ შენს ცხედარს მწერალთა კავშირიდან „მზიურისაკენ“. პროცესიას ბოლო არ უჩანს. რუსთაველზე რეპროდუქტორები შენს ნაწარმოებებს გადმოსცემენ და გაგიკვირდება, მაგრამ არავინ იცინის. სამარისებული სიჩუმე სუფევს „მზიურში“. მხოლოდ შენი ზურკელა, სოსოია, ხატია, ავთო, ზაზა, კუკარაჩა... გეხმაურებიან ბეთანიის ტყის გორაკებიდან, ექო კი გუგუნებს: „მე მეყოლება უამრავი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით, მერე ჩვენ გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდა და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით, ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით, აღარ დავილევით და აღარ გავთავდებით...“.

გაზ. „დილის გაზეთი“, 13 ივლისი, 1996 წელი.

იქ, სადაც ზურიკელას, ოლღა ბებიას, ილიკოს, ილარიონის, სოსოიას და ხატიას საბუდარია

ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე ჩოხბატაურში 10 ოქტომბერს იყო დაგეგმილი. ოჯახის წევრებითა და ნათესავებით სავსე ერთი რაფი და ორი მსუბუქი მანქანა ნოდარ დუმბაძის თბილისის სახლ-

მუზეუმიდან გურიის გზას გაუყვა, მეორე რაფმა კი სტუმრები 10-ში დილას ნა-მოიყვანა მწერალთა კავშირიდან.

პირველი რაფის მგზავრებმა ზენობნის მემორიალური სახლის ჭიშკარი მაშინ შევალეთ, იქ ჯერ კიდევ მოსამზადებელი სამუშაოები რომ მიმდინარეობდა და სტუმრებს მაინცდამაინც არ ელოდნენ. წინ მთელი ღამე და დამდეგი დილა იყო. ამიტომ პატივცემულ სტუმრებს ზრდილობიანად შემოგვთავაზეს, სახლში მოისვენეთ და იქვე მეზობლად, დარეჯანა მამიდას სახლისკენ წაგვიძღვენ.

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როცა მამამ არქიტექტორ ჯემალ დავითაიას ხიდისთავში, გუბაზოულის პირას, თავისი ოცნების პატარა სახლის პროექტის გაკეთება სთხოვა. ჯემალმა პროექტთან ერთად სახლის მაკეტიც მოუტანა. მას შემდეგ მამაჩემი დღეებს ითვლიდა, როდის გამოჯანმრთელდებოდა და როდის შეასხამდა ხორცს ამ ოცნებას. ვერ მოესწრო.

გურულებმა ნოდარ დუმბაძეს ნატვრა გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე წელიწადში შეუსრულეს. დაბადებიდან სამოცი წლისთავზე სახლ-მუზეუმს საძირკველი ჩაეყარა, ოღონდ, ერთი „დარღვევით“: თანასოფლელებმა თავიანთი „ნოდარიას“ დათმობა არ ისურვეს და მემორიალური სახლის ჩადგმა სწორედ იქ ითავეს, სადაც, ზურიკელას, ოღლა ბებიას, ილიკოს, ილარიონის, სოსოიას, ქეთო მამიდას და ხატიას სამოსახლო ბუდე, ზენობანი, ეგულებოდათ. „სიცოცხლის სამოსახლოა ჩემი პატარა გურია“ — აღმოგხდებოდა კაცს, როცა იმ სახლის აივანზე გადმოდგები და ხელის გულზე გადაშლილ ქვეყნიერებას გადმოხედავ. გუბაზოულიც იქ არის, სუფსაც, ჩოხატაურიც, ლანჩხუთიც, ოზურგეთიც და მთელი მსოფლიოც. ნოდარ დუმბაძესაც ხომ ეს უნდოდა.

გვიან ღამეს დარეჯანა მამიდა „სტუმრებს“ მოკრძალებული სუფრა გაგვიშალა, თან მოგვიბოდიშა, რა ვქნა, მამიდა, უჭირს სოფელს, გავწყდით წელში, ჩვენი საშველი მაინც არ არისო. ეტყობა, მართლა ძალიან გაუჭირად, თორემ მამიდასნაირი (მამიდას მექანიკურად ვეძახი, რადგან მამაჩემი ეძახდა, თორემ სინამდვილეში ბებიად მეკუთვნის) ამაყი ქალისგან მსგავსი რამის მოსმენა წარმოუდგენელია. ჩემმა ნამდვილმა მამიდა ლეილამ მამიდამისი დარეჯანას თვალელებში სევდა რომ დაინახა, არავისთვის უკითხავს, თამადობა ისე დაიბრალა და ცოტა ხანში სუფრაზე მხიარულების ისეთი ცეცხლი დაანთო, გეგონებოდა, ცხოვრებაში ტაშ-ფანდურის მეტი არაფერი უკეთებია. არადა, ოცდაჩვიდმეტში მამაჩემის და თავისი „ნათელი“ ბავშვობის ამბებს იგონებდა. მოყოლის დროს მასაც და ჩვენც სიცილისგან ლაპა-ლუპით გვდიოდა ცრემლები, დარეჯანა მამიდა კი ოღლა ბებიასავით თავის ძმისშვილს ხან კუდიანს და ხან მატყუარას უძახდა.

ასე სიცილ-კისკისში ვიყავით, მასპინძელოო, რომ დაიძახეს ეზოდან. კარი გავალეთ და ოთახში ოციოდე წლის ახალგაზრდა ყმანვილი შემოვიდა. ეს ყმანვილი მანუჩარ კაჭახიძე აღმოჩნდა — ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა შემოქმედთა იმერეთის გაერთიანება „აშრილის“ პრეზიდენტი. სუფრასთან მოვინვიეთ და ვიდრე შემოგვიერთდებოდა, სულ სხაპასხუპით მოგვაყარა,

ისე ბაძავდა „ილიკო და ილარიონის“ პერსონაჟებს, ნოდარ დუმბაძის რომანი მისი დაწერილი გეგონებოდათ.

ზეიმს დასასრული არ უჩანდა. დიდიან-პატარიანად ყველა სიყვარულის და „ციგნობის“ ხასიათზე იყო. მამაჩემმა ერთხელ იხუმრა: მე რომ მოვკვდები, სამ-გლოვიარო პროცესიაზე ჩემი წიგნების რადიოფიცირება არ მოაწყობ, თორემ ხალხი სიცილით დაიხოცება და თავი მოგეჭრებათო.

სიცილითაც დაიხოცა ხალხი იმ დღეს, სიმღერითაც, ცეკვითაც, ტირილითაც და ჩვენ მაინც გვიხაროდა, რა გვიხაროდა, თავად არ ვიცოდით.

ეს, ალბათ, მარტო შენ იცი და შენმა პატარა გურია!

გაზ. „დილის გაზეთი“, 13 ოქტომბერი, 1998 წელი.

ალბათ ნამდვილი ამბავი

სულ რამდენიმე დღეში მამაჩემს სამოცდაათი წელი შეუსრულდება. გარდაცვალების წინა საღამოს ოჯახის წევრებს გვთხოვა, კუთხეში დასხედით და ცოტა ხანს ნუ გაინძრევით, კარგად მინდა დაგიმახსოვროთო. მეორე დღეს, შუაღლისას დაგვტოვა.

აგონია რომ დაეწყო, პალატიდან აივანზე გავვარდი, ქვეცნობიერმა ეგოიზმმა საკუთარი ნებით დამათმობინა მამასთან ურთიერთობის ის ბოლო წუთები, დღეს ყველაზე მეტად რომ მენატრება და მენანება. თურმე, როგორც თავად მიგვანიშნა, ისე უნდა მოვქცეულიყავი — დავმდგარიყავი კუთხეში და რა მძიმეც უნდა ყოფილიყო, კარგად უნდა დამემახსოვრა ყოველი წამი.

მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო: გამხდარი, ფერმკრთალი, წყლიანი, საოცრად კეთილი თვალებით. ხელი ჩამკიდა და ჭავჭავაძის პროსპექტიდან ტრამვანით გავემგზავრეთ სადღაც შორს, სადაც მივედით, იქ ორი მეგობარი დახვდა. ვერაფრით ვიხსენებ, ვინ. ისინიც ძალზე ახალგაზრდები იყვნენ, გამხდრები და ფერმკრთალები. მათაც თავიანთ შვილებზე ჰქონდათ ხელი ჩაკიდებული.

მამაჩემს შავი კოსტიუმი და ძალიან თეთრი პერანგი ეცვა. იმ ორს, ზუსტად არ მახსოვს — რუხი თუ ყავისფერი. საუბრობდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ჩვენ, ბავშვები, ვიმშუშნებოდით. ერთმანეთს თვალს ვარიდებდით და არ ვიცინოდით. მერე ერთი დეიდა მოვიდა და შენობაში შეგვიძღვა. „უშველებელ“ დარბაზში ამოვყავით თავი. ბავშვები პარტერის შუა რიგში დაგვესვენა, მამები კი სცენაზე, რკალისებურად განლაგებულ სკამებზე. აქეთ-იქიდან ყვავილების გვირგვინები ედგათ. ჩვენი მამების გარდა, სცენაზე კიდევ ერთი ყელსახვევიანი პუტკუნა ქალბატონი და სიმალლის მიხედვით ჩამწკრივებული პიონერები იყვნენ. მოგვიანებით

ამ პიონერებმა ომახიანად ნაგვიკითხეს ლექსები უღრუბლო ბავშვობასა და ნათელ მომავალზე. მე გულწრფელად შევნატროდი მათ ნარმატებას.

ბოლო რიგებში უფროსკლასელ ყმაწვილებს მოეყარათ თავი. ისინი გამომწვევად ხმაურობდნენ და სცენაზე მიმდინარე არც ერთ მომენტს უკომენტაროდ არ უშვებდნენ. მათი მახვილი სატირის კლანჭებს ვერც ჩვენი მშობლები გადაურჩნენ. კარგად და საკმაოდ მწარედ მახსოვს შეძახილები: „ერთი ამის გალიფეს შეხედე!“, „გიჟპოეტები“, „სალოლ, ბიძაჯან“, „ტუფლი ხომ არ გიჭერს“ და ასე შემდეგ. ისიც კარგად მახსოვს, მამაჩემის გვარი რომ გამოაცხადეს, დარბაზს კანტი-კუნტად გადაურბინა სუსტმა ტაშმა. მე სკამს ავეწებე და ისედაც ერთი ციდა, სულ მთლად დავიღიე. მამაჩემი მძიმედ დაიძრა მიკროფონისკენ, გზად, თუ არ ვცდები, წაიბორძიკა კიდეც. კოსტიუმის გარე ჯიბეები მოიჩხრიკა, ეტყობა, იქ ვერაფერს მიაგნო, მიკროფონის წინ დადგა, ხელით შუბლზე თმა ჩამოიფოცხა და გაიტრუნა. ბოლო რიგიდან ერთმა ბიჭმა შემოსძახა, მიდი, ბიძაჯან, ნუ გეშინიაო. მამაჩემს გაეცინა და უბის ჯიბისკენ წაიღო ხელი, იქიდან ოთხად დაკეცილი რამდენიმე თაბახის ფურცელი ამოაძრო, დიდხანს ასწორა და ვიდრე კითხვას დაიწყებდა, დარბაზმა დაასწრო — „შპარგალკა!“, ამ შეძახილს აუდიტორიის ერთსულოვანი ხორხოცი მოჰყვა. ეგ კიდეც არაფერი, მამაჩემს ის „შპარგალკა“ ხელიდან გაუვარდა, დაუნდობელ დარბაზს არც ეს დარჩენია აუტაცებელი. მერე, როგორც იქნა, მამაჩემმა თავი მოუყარა ფეხებთან გაფანტულ ფურცლებს და დაიწყო. პირველი ლექსი რომ ჩაამთავრა, წინა რიგებმა ერთობ თავშეკავებული, მაგრამ ზრდილობიანი და გამამხნეველები ტაშით დააჯილდოვეს. მე თვალები დავხუჭე და ცოტახანი მამაჩემის მხოლოდ ხმაღა მესმოდა. მეორე ლექსის შემდეგ დარბაზი საერთოდ გაიტრუნა, შიშით თვალი გავახილე და ვიდრე მივიხედ-მოვიხედავდი, ისეთმა ტაშმა იგრილა, კინაღამ გული გამისკდა. სცენიდან მამას მზერა დავიჭირე. იგი თვალებში მიყურებდა, თითქოს მეკითხებოდა, როგორიაო. მაგარია მეთქი, ვუპასუხე მე თვალებით, იმან თავი დამიკრა და რიხიანად დაიწყო „დაილოცოს“. სკამის სახელურს ისე ჩავებლაუჭე, რომ მახსენდებოდა, ახლაც მტკივა ხელი. ბოლო სტროფიც ჩაიკითხა. მე უკანა რიგებისკენ მივიხედე, უფროსკლასელი ბიჭები ტაშისკვრით იხეთქავდნენ ხელისგულებს, სკამზე გავიმართე, გავფართოვდი, ბეჭებში გავიშალე, ტრიუმფატორის მზერა მივაპყრე ყოფილ „მტრებს“ და თვალებით ვკითხე, ჰა, როგორია-მეთქი, იმათ ჩემთვის არც შემოუხედავთ, ხმამალა ყვიროდნენ — მაგარიაო.

მერე რა მოხდა ვერ გეტყვით, აღარ მახსოვს, ალბათ, მამაჩემმა კვლავ ჩამჭიდა ხელი და ტრამვავით წამომიყვანა უკან შინ. არც ის მახსოვს, დედას რა მოუყვევით. მგონი, იმ ღამეს ძალიან ტკბილად დამეძინა. მეორე დილას, ალბათ, ჩვეულებრივ წავედი სკოლაში და თანაკლასელები ტრაბახითა და ტყუილებით გავბერე.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს?

„მამულის“ 1990 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილმა წერილმა „რქეზისა და ჩლიქების ასოციაცია?!“ მიბიძგა, ქართველი მკითხველისათვის გამეზიარებინა ის მწვავე გულისტკივილი, რომელიც საბედნიეროდ, თურმე მხოლოდ მე არ მანუხებს. მადლობას მოვახსენებ ყველას და მათ შორის საქართველოს სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციასაც, რომელსაც „მზიურზე“ ზრუნვა თუნდაც იმით დაუნყია, რომ სახელის გადარქმევას უპირებს და თვლის, რომ უკეთესია ეს უწყინარი, საქართველოსა და ქართველობისათვის ზედგამოჭრილი, მეტიც, გათავისებული სიტყვა — მზიური — „მასწავლებელთა და მოსწავლეთა ქალაქად“ შეიცვალოს. ამასთან დაკავშირებით დამეზადა ერთი უმარტივესი კითხვა: რა ქნან იმ ნორჩმა და ხანშესულმა მოქალაქეებმა, რომელნიც არც მოსწავლეები და არც მასწავლებლები არ არიან, „მზიურში“ აღარ შევიდნენ? თუ, როგორც ჩვენს უკულმართ ქვეყანაში ხდება ხოლმე, საშვისათვის ჩინიანი ნათესავ-ნაცნობები მოძებნონ და ნერვებისა და თამოყვარების ფასად მოიპოვონ შიგ შესვლის უფლება? განა იმისთვის, რომ რაიმე კეთილი საქმე წამოვიწყოთ, აუცილებელია ისე დავანგრიოთ ძველი, რომ საძირკველიც არ დავიტოვოთ? მე მგონი, არა, მითუმეტეს, რომ ნოდარ დუმბაძის თხუთმეტი წლის წინ დაწერილ წერილში „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“, ნათლად აქვს ჩამოყალიბებული „მზიური“ ქალაქის დაარსების მიზანი და დანიშნულება.

როგორც „მამულში“ გამოქვეყნებული წერილიდან ჩანს, პედაგოგთა ასოციაციის წევრები კარგად იცნობენ და უღრმესი პატივისცემითაც ეპყრობიან მწერლის იდეას და გულისტკივილსაც გამოთქვამენ ხელისუფლების მიერ მისი განუხორციელებლობის გამო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პედაგოგებს ავინყდებათ, რომ „მზიური“ ქართველი ბავშვების აღზრდისა და ჩამოყალიბებისთვის იყო დაპროგრამებული და ამიტომ, მისი შენება უნდა დაიწყოს არა მეორე და მესამე ხარისხოვანი (თუნდაც მასწავლებელთა სახლი თავისი სასტუმროთი და გამომცემლობით), არამედ ქალაქისათვის პირველხარისხოვანი და აუცილებელი კომპონენტებით. კერძოდ, ვისაც ნაუკითხავს ნოდარ დუმბაძის ეს წერილი, კარგად უწყის, რომ მზიური ქალაქის აშენებას, ახალგაზრდათა სწავლა-გართობასთან შედარებით, ბევრად უფრო ღრმა და მტკივნეული პრობლემა უნდა ეტვირთა, თორემ წერილში ტყუილად არ არის ხაზგასმული სიტყვა ავტონომია, რომელსაც თან ასეთი განმარტება მოსდევს: „ავტონომია — რომელიმე ქვეყნის მხარის, ოლქის უფლება ქონდეს საკუთარი მართვა გამგეობა, თვითმმართველობა. ეს სიტყვა განა მხოლოდ ოლქის, სახელმწიფოს ან მხარის საკუთრებაა, იგი ადამიანის მოგონილია და უპირველესად ყოვლისა, პიროვნებას ეკუთვნის, ავტონომია ისე სჭირდება ადამიანს, რო-

გორც მზე, წყალი, ჰაერი“, — ხომ არ იმალება ამ სიტყვებში ის სანუკვარი ოცნება, რომ თავისუფალი ადამიანი, რომელიც ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ამ ჩვენს ცოდვილ სოციალისტურ საზოგადოებაში, იქნებ იმ მზიურ საბავშვო ქალაქში მაინც გაზრდილიყო და ჩამოყალიბებულიყო. ამიტომ ხომ არ გვთავაზობს მწერალი, რომ „ზოობარკიდან, ვიდრე ვაკე-საბურთალოს გადასასვლელამდე, ჩვენებური, ქართული „დისნეილენდი“ აგვემუშავებინა, თავისი თავშესაქცევი ქალაქის საბჭოთი, ქალაქის მერით, ქარხნებით, საამქროებით, ჰერბარიუმებით, ლაბორატორიებით, ყანებით, ბაღებით, ვენახებით, სპორტული მოედნებით, საცურაო აუზებით, თავისი მატარებლით, რომელიც ივლავდა მარშრუტით, თბილისი-ბეთანია, თავისი დასასვენებელი სახლებით, სანატორიუმებითა და კლინიკებით“.

მე მგონი აქ ყველაფერია ჩამოთვლილი, მასწავლებელთა სახლისა და სასტუმროს გარდა და თუ არ ვცდები, ჩამოთვლილიდან ჯერ არაფერი გაკეთებულა რამდენიმე უხარისხო კარუსელის, უწყლო აუზის, უწყლო სანაოსნო არხის, უცხენო საჯინიბოს და ა.შ. გარდა. სამაგიეროდ, მზიურის ტერიტორიაზე განლაგებულია რამდენიმე სამშენებლო ტრესტი, ცემენტის საამქრო და ჯერჯერობით ერთი მრავალსართულიანი სახლი, მაგრამ რადგან ნავსი უკვე გატეხილია, იმედია, ამგვარი სახლები „მზიურის“ ტერიტორიაზე ამიერიდან მომრავლდება. მოკლედ, კეთდება ყველაფერი „მზიურის“ გასაპარტახებლად და არაფერი, მის ასაშენებლად.

თავის წერილში ნოდარ დუმბაძე წერდა: „მე ბევრი ვესაუბრე ამ საქმის მცოდნე ადამიანებს, ბევრი არქიტექტორი, ინჟინერი, მხატვარი, მოქანდაკე, ეკონომისტი, ქვითხურო და კირითხურო მზად არის უსასყიდლოდ ემსახუროს ამ საშვილიშვილო საქმეს. ზოგიერთმა ფრიად პასუხისმგებელმა პირმა ისიც კი მითხრა, თუ საჭირო იქნება, ასეთი კარგი საქმისთვის სახსრები ყოველთვის გამოინახებაო... ხოლო თუ ამ პატარა მზიური ქალაქის მშენებლობას კომკავშირი ითავებს, კომკავშირულ მშენებლობად და ხუთწლედად გამოაცხადებს, ჩვენს ბავშვებს 1980-იან წლებში ფასდაუდებელი საჩუქარი ექნებათ“.

80-იან წლებში ნოდარ დუმბაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. იგი საკუთარი სახლის აივნებიდან გულგატეხილი გადმოჰყურებდა ვერეს ხეობას და ნაღვლიანი თვალებით დასცქეროდა მის აუხდენელ ოცნებას. სიკვდილის წინ თქვა, მე თუ „მზიურში“ დამასაფლავეს, ეგებ მერე მაინც ეშველოს რაიმე მის აშენებასო. ასეც მოხდა, ქალაქის აშენებას კი საშველი არ დაადგა. პირადად მივმართე რამდენჯერმე, არაოფიციალურად, პარტიის და კომპარტიის ცეკას, დახმარება აღმოთქვეს, ბევრ რამესაც დამპირდნენ, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩა, ჩვენმა ხელისუფლებამ კვლავ ხელი ჩაიქნია „მზიურზე“.

დღეს კი, როდესაც, საბედნიეროდ, ბავშვთა ქალაქის ფენომენი ფართო კამათის საგანი გახდა და თანაც ისეთი ეროვნული გაზეთის ფურცლებზე, როგორიც „მამულია“, იმედით ვიგესები და მივმართავ ყველა, სამწუხაროდ დღემდე

არაფორმალურ პარტიასა და საზოგადოებას, ასევე, სრულიად საქართველოს ახალგაზრდობას, თხოვნას მკრეხელობად ნუ ჩამითვლით და ჩვენი სამშობლოსათვის ამ უმძიმეს ჟამს „მზიურის“ ხსნაც დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლის სისხლხორც საქმედ იგულებით. განა რა დაშავდება, რომ საბავშვო ქალაქ „მზიურში“ საკუთარი ძალისხმევით, სხვათა — უცხოთა დაუხმარებლად, თავისუფალი საქართველოს იდეალური მიკრო მოდელი ავაგოთ და დამოუკიდებელ პატარა ქართულ ქალაქად გამოვაცხადოთ.

გაზ. „მამული“, N6 (14), მარტი, 1990 წელი.

არის საშველი?

დღეს მზიურში ბავშვს არაფერი ესაქმება, სხვათა შორის არც მზიურის დირექციას და მის 70-კაციან შტატს, რამდენიმე კაცის გამოკლებით ესაქმება რიმი მზიურში. ეს ქალაქი დღეს რომ დაიხუროს, მის ხსენებას ტაბუ რომ დაედოს და რალაც პერიოდით გაიყინოს, ეგებ აჯობოს კიდევ. რატომ? იმიტომ, რომ სინამდვილეში მზიურისათვის არასდროს არავის ეცალა, ახლა კი ამის თქმის მრავალი და თანაც მეტად დამაჯერებელი მიზეზია, თორემ, თავის დროზე, მაშინ, როდესაც მზიური იბადებოდა, კომკავშირის ცეკამ მშვენიერი ქალაქი ააშენა — „ბორის ძნელადის სახელობის“. რალა უდგას წინ მზიურის აშენებას? ეგებ მზიურის იდეას „იდეურობა“ აკლდა ან პლათფორმა არ ჰქონდა საკმაოდ ძლიერი? არა, ნოდარ დუმბაძემ თავისი წერილი ისე დაწერა, მისი ხორცშესხმისათვის საჭირო არცერთი აუცილებელი კომპონენტი არ გამორჩენია. საქმე ის არის, რომ ცნება „ქალაქი“ მისმა შემსრულებლებმა „ბავშვთა გამაჯანსაღებელი კომპლექსის“ ცნებამდე დაიყვანეს. ასე დაიმარხა ცნება „ქალაქი“, დასამარხი ხარჯი კი საკმაოდ დიდი, თავად მზიური გამოდგა.

მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ნოდარ დუმბაძის წერილი „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“, ვლებულობდით მრავალ წერილს სტუდენტებისგან, ახალგაზრდა დედებისგან, პენსიონერებისგან (ეს წერილები ნოდარ დუმბაძის არქივშია დაცული), ყველანი უანგაროდ გვთავაზობდნენ თავის შრომას, მატერიალურ დახმარებას... იმ წელს ბაკურიანში ლიტერატურისა და ხელოვნების სემინარზე ერთმა მწერალმა ქალმა აუდიტორიას მოახსენა: ჩემი ქალიშვილი უკვე დიდია და მზიურის გემოს ვერ გაიგებს, აუცილებლად კიდევ ერთი შვილი უნდა გავაჩინო, რომ იმ ოცნების ქალაქში გავზარდო. ნეტავ თუ გააჩინა!

მე ეკოლოგთა ახალგაზრდული სამეცნიერო გაერთიანების წევრი გახლავ

ვართ (სხვათაშორის მზიურის უსაშველობამ მიმიყვანა ამ საზოგადოებამდე) და ეჭვი არ მეპარება, ბავშვთა ქალაქი ყველაზე ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა ადგილას უნდა აშენდეს, თუ ასეთი ადგილი ჩვენს ქვეყანაში არ მოიძებნება, უნდა გავწმინდოთ, დავასუფთაოთ და მერე შევუდგეთ გასართობი ატრაქციონების დამონტაჟებას, თორემ გართობა-ჟრიამულში ბავშვები შეიძლება დაგვენამლონ.

საზოგადოების განვითარების ისტორიამ ცხადყო, რომ ვიდრე ადამიანი არ დარწმუნდება იმაში, რომ ეს მინა, წყალი, ჰაერი, გარემო მისია, იგი მას არ მოუვლის, თუ რაღაც მეშვიდე ან კიდევ რომელიმე სხვა გრძნობა თან არ დაჰყოლია. ამიტომ მჯერა, რომ რა დღიდანაც ბავშვებს მზიურის ნამდვილ მემკვიდრეებად გამოვაცხადებთ, შევუშვებთ მათ მზიურში და უფლისწულების დარად თავიანთი ქვეყნის ნამდვილ განმგებლებად აღვზრდით, მზიურში ველარავინ გაბედავს უკანონოდ ცემენტის ტრესტის ჩადგმას, კოოპერატიული მრავალსართულიანი სახლის აშენებას.

თუ ეს არ შეგვიძლია, თუ ჩვენი ბავშვები ამ საქმისათვის გვენანება, მაშინ ერთი სათხოვარილა დამრჩენია, საერთოდ თავი დავანებოთ მზიურს, ნუ ვისარგებლებთ და ნუ შევქმნით მისი სახელით სხვადასხვა ასოციაციებს, კოოპერატივებს, გაერთიანებებს. მზიური მენველი ძროხა არ არის, მას ჯერ თვითონ სჭირდება მშობლის მზრუნველობა და თუ მშობელი არასოდეს ჰყოლია, ნუ გავიმეტებთ საბჭოთა სტილის უპატრონო ბავშვთა სახლისთვის, თავის ნებაზე მივუშვათ, ეგებ თვითონ უკეთ უპატრონოს თავის თავს. ნებისმიერმა დაუფიქრებელმა და აჩქარებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება კვლავ სავალალო შედეგი გამოიღოს, მეტი თავსატეხი გაგვიჩინოს.

ალარც ვიცი საშველი სად არის. რამდენი ხანია დავეძებ. ჯერაც ვერ მიმიგნია, ეგების არც არის საერთოდ?!

გაზ. „დრო“, N5, 19-31 მარტი, 1991 წელი.

ქურდები

მაშინ საგურამოში ერთი პატარა სახლი გვედგა. მამაჩემს იქ ყოფნას არაფერი ერჩია. ამიტომ ბოლო წლებში უმეტესად იქ ცხოვრობდა, მხოლოდ ზამთრობით კეტავდა ხოლმე და დარაჯად კავკასიურ ნაგაზს, მთიულას ტოვებდა.

მთიულა უზარმაზარი იყო და ლომის ბოკვერს გავდა. ჭიშკართან მოსულ სტუმრებს მის დანახვაზე გული უსკდებოდათ, ფეხები უკან რჩებოდათ და ეზოში შემოსვლას ვერ ბედავდნენ. მამაჩემი კი მომსვლელთა შეგებებისთანავე დაუზარებლად იმეორებდა უკვე კარგად ათვისებულ ერთსა და იმავე ტექსტს:

— მობრძანდით ბატონო, ნუ გეშინიათ, თქვენ ეგ ძალი ხომ არ გგონიათ, ისე გავს ლომს, თორემ სინამდვილეში თხაა, კბენა მაგან არ იცის, ღრენა და ყეფა, მთელი ეზო გადამიჭამა, ფოთოლი და ქერქი აღარ შეარჩინა ხეს, მალე პეტელს დაიწყეს და მოიწველება.

ჰოდა, სწორედ ასეთი მცველის იმედზე ჰქონდა ზამთრობით სახლი დატოვებული. შედეგმა ც არ დააყოვნა და ერთ მშვენიერ, სუსხიან დილას, რაიონის მილიციამ თბილისში შეგვატყობინა: თქვენი აგარაკი გაქურდეს და სასწრაფოდ ჩამობრძანდითო. მამაჩემი მაშინვე გაემგზავრა საგურამოში. ჩვენც თან ვახლდით. მილიცია იქ დაგვხვდა. ადგილზე გაირკვა, რომ საქმე მეტად ორიგინალურ ქურდებთან გვექონდა. მათ თავიანთი მანქანა, გაზ-24, მშვიდად შეუყვანიათ ჩვენს ეზოში, ბუხართან უქეიფიანთ მამაჩემის დაწურული „ადესით“, რაც ვერ დაუღვევიათ, ბოცებიანად თან წაუღიათ, სახლი პირწმინდად გაუცლიათ და ჩვენთვის დიდსულოვნად დაუტოვებიათ მათთვის არასაჭირო ნივთები და ნიგნები.

— შეხედე, ჩემი ნიგნების გარდა ყველაფერი წაუღიათ (სიტყვა „მოპარვა“ არ იკადრა) — აბუზღუნდა მამაჩემი და ნიგნების აკრეფა დაიწყო.

— სულელები, ყველაზე ძვირფასი ნამლებიც დაუტოვებიათ — აღტაცებით შესძახა უცებ დედაჩემმა და უცხოური ნამლების შეკვრას დასწვდა.

— ნივთებს ხელს ნუ ახლებთ, ყველაფერი ადგილზე უნდა იყოს, ვიდრე გამოძიება არ დაწყებულა — მკაცრად მიუთითა ჩემს მშობლებს მილიციის თანამშრომელმა. ისინი უმალ დაემორჩილნენ და დანაშაულის ადგილიდან სასწრაფოდ უკან დაიხიეს.

მილიციამ შეადგინა აქტი, აღრიცხა გადარჩენილი ნივთები, ჩაინიშნა მათი მიახლოებითი ფასები და დაგვიპირდა უახლოეს დღეებში ყოველივეს უკან ჩაგაბარებთო.

— ნუთუ ჩემს ჩინურ ყავის სერვიზსაც? — უტაქტოდ შევკნავლე მილიციის უფროსს და დავისაჯე კიდეც ამისათვის.

— დაიხ, ყავის სერვიზსაც! — მიპასუხა მან და თან მრავალმნიშვნელოვნად გაულიმა თავის ქვეშევრდომთ.

სალამოს თბილისში მამამ გვითხრა, ახლა მოვლენ და „პიანინოზე დაგვაკერევენებენო“. ჩემს პატარა ვაჟს, როგორც გამოირკვა, იმდენად არ მოეწონა ეს ამბავი, გადაიმალა და მილიციის ძალით ძლივს გამოვიყვანეთ საკუჭნაოდან.

მამამ ასაკის მიხედვით ჩამოგვამწკრივა ოჯახის წევრები ბებიაჩემის მეთაურობით და პირად მაგალითზე გვაჩვენა, როგორ უნდა დაგვეცვა პატარა, შავ დაფაზე თითების ანაბეჭდი. გამოგიტყდებით, მანდილოსნებს ერთი ცდით გაგვიჭირდა ამ მანიპულაციის ჩატარება. სამაგიეროდ, გვასახელა საკუჭნაოდან ყურით გამოთრეულმა ნოდარიკომ, მას საკუთარი ათი თითი რომ არ ეყო, ჩვენ გვეზვენებოდა, თქვენს მაგივრადაც მე დაუუკრავო. მერე როცა სტუმრები წავიდნენ, ამაყად დადგა შუა ოთახში და მტკიცედ გამოაცხადა: როცა გავიზრდები, მეც მილიციელი გავხდებიო.

იმ ღამეს საგურამოს სახლი კვლავ გაიქურდა. ჩავსხედით მანქანაში და გავემგზავრეთ. მილიციაც იქ დაგვხვდა. იატაკზე კვლავ ეყარა ცოტაოდენი დატოვებული ნივთები, მაგრამ მამაჩემის საამაყოდ, ამჯერად აღარ იყო არცერთი მისი ნივინი და დედაჩემის საუბედუროდ, აღარცერთი ძვირფასი უცხოური მედიკამენტი. სამაგიეროდ, ოთახში, იატაკზე დაყრილ ნივთებზე ამაყად დააბიჯებდა დასავლეთ ევროპული მეძებარი. იგი პროფესიული სიდინჯით ყნოსავდა ნივთებს და დასკვნების გამოტანას არ ჩქარობდა. უცებ ასევე პროფესიული თვითდაჯერებით იგი აუღელვებლად გაჰყვა რაღაც იდუმალ კვალს, ერთხანს შეეყოვნა და შემდეგ ისეთი ყეფა ატეხა, ყველას, მთიულას ჩათვლით, ძარღვებში სისხლი გაგვეყინა. იმ კვალს მივყევით.

— გადი ძაღლო იქით! — ეზუზღუნებოდა მილიციის მეძებარს კუთხეში მიმწყვდეული მამაჩემი, — გაიყვანეთ აქედან, სანამ ცოლ-შვილი არ შემიჭამა! — ველარ იკავებდა სიცილს, — მაგისტანა მეძებარი მეც ხომ მყავს? — ხელი მთიულასკენ გაიშვირა და ის უკანასკნელი კუდამოძულებული რომ დაინახა, უიმედოდ ჩაიქნია.

დარცხენილი და გაბითურებული პროფესიონალი მეძებარი უპატივცემულად გაათრიეს ჭიშკართან. იგი უხერხულობისაგან თვალს ვერ გვისწორებდა, თუმცა მანქანაში შეგდების წინ ერთი ისევე შეჰყეფა სასონარკვეთით, იქნებ არა ვტყუი და ჩემი ვერსია ერთხელაც გადაგემონმებინათო.

ახლა მთელი იმედი ნუხანდელ „პიანინოზე“ დავამყარეთ, მაგრამ, საუბედუროდ, შუადღისას მილიციამ დაგვირეკა, თითქმის ყველა ნივთზე ბატონი ნოდარის თითების ანაბეჭდია, რამდენიმეზე მისი მეუღლის და მცირეწლოვანი ბავშვისო. მოკლედ ქურდობაში ეჭვმიტანილთა სია სულ სამი კაცისაგან შედგებოდა და სამივე ჩვენი ოჯახის ძირითადი წევრი გახლდათ. არ დაგიმალავთ და ერთხანს თამამად ველარ ვუყურებდით თვალებში ერთმანეთს, მხოლოდ პატარა ნოდარიკოს აღტაცებას არ უჩანდა ბოლო, იგი ისე გაახალისა მიმდინარე მოვლენებმა, ჭამასაც კი მოუშობა.

— ბაბუ, ხომ კიდევ მოვლენ? როდის მოვლენ ბაბუ? დასდევდა აბეზარი კითხვებით უკვე იმედგაცრუებულ ბაბუას, რომელსაც ეტყობოდა ერთი სული ჰქონდა მალე გამოსულიყო ამ დაუსრულებელი თამაშიდან.

ამასობაში ჩვენი აგარაკი სამჯერ კიდევ გაიქურდა, დარჩა მხოლოდ ერთი, სამახსოვრო წარწერიანი, ინდური თასი, რომელიც მამაჩემს 50 წლისთავზე გამზრდელმა ნათესავებმა მიართვეს. მამამ კატეგორიული უარი განაცხადა ამ თასიდან ანაბეჭდების აღებაზე.

ამჯერად, მილიციამ უკიდურეს ზომას მიმართა: მთელ ეზოსა და სახლზე უახლესი სიგნალიზაცია დააყენა და ღამის მორიგეობა დაანესა. ყოველივე დაგვირგვინდა იმით, რომ პირველივე ღამეს მილიციის თანამშრომლის ერთმა უნებლიე მოძრაობამ სიგნალიზაცია მთელის ძალით აამოქმედა და საგურამოს მკვიდრთ ტექნიკის ამ უახლეს სასწაულთან ბრძოლაში მთელი ღამე თეთრად

გაათენებინა. დილისათვის ურჩხული როგორც იქნა დაამარცხეს და სამუდამოდ ჩააწყვეტინეს ხმა. სასონარკვეთილმა მამაჩემმა კი იმავე დღეს დაჟინებული ვედრებით დაითხოვა სახლიდან მასზე არანაკლებ სასონარკვეთილი და თვალებგამოლამებული მილიცია, თვითონ კი უსტარის წერას შეუდგა. შემდეგ შუა ეზოში გამოიტანა ის ინდური თასი, ზედ თხოვნა-მიმართვა მიაკრა და დასტოვა საგურამო. აი, რა ეწერა იმ ფურცელზე:

„ძვირფასო ქურდებო! თუ კიდევ ველირები თქვენს სტუმრობას, გთხოვთ ნულარ ჩაამტერვეთ კარ-ფანჯარას. სახლში ამ თასის მეტი აღარაფერია, ისიც თქვენი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. აღტაცებული ვარ! ყოჩაღ!

პატივისცემით
ნოდარ დუმბაძე“.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, N43 (2667), 21 ოქტომბერი, 1988 წელი.

ტრადიციები გვტანჯავს, თორემ ქურდობა რა მოსატანია

„დილის გაზეთმა“ თავის წინა ნომერში გამოაქვეყნა ცნობა, რომ „ადრე დაკავებულმა სპარტაკ კალმახელიძემ დანაშაული აღიარა. 1994 წელს მან სოფელ საგურამოში, ნოდარ დუმბაძის აგარაკიდან მოიპარა საოჯახო ნივთები. ნაქურდალის ნაწილი ამოღებულია. სამართალდამცავმა ორგანოებმა შეგვატყობინეს, რომ საოჯახო ნივთებში არაფერი, ნოდარ დუმბაძის საავტორო ნივთები და ჭადრაკის სატურნირო საათი იგულისხმებოდა.

დაზარალებული ოჯახის სახელით მოგახსენებთ, რომ საგურამოს სახლ-მუზეუმს გაქურდვების მდიდარი ისტორია აქვს. კერძოდ, 80-იან წლებში, ანუ მწერლის სიცოცხლეში, მაშინ, როდესაც მუზეუმი ჯერ კიდევ ერთი უბრალო სახლი იყო, მრავალჯერ გაიქურდა და თანაც პირწმინდად. მწერალი დროთა განმავლობაში შეეჩვია კიდევ ამგვარ დაუსჯელ ეგზეკუციებს მომხდურთა მხრიდან და ერთ დღეს, როდესაც მოეჩვენა, რომ ქურდებმა ტრადიციას უღალატეს და სტუმრობა შეაგვიანდათ, თვითონ გაიტანა ეზოში ძველებური ინდური თუნგი, თან ზედ წაანერა, ამ სახლში მეტი აღარაფერი დარჩა, ღირსეულად დაიმსახურეთ, ეგეც თქვენი იყოს, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო.

ახლა იმასაც გაგიხვებით, რომ როგორც მწერალს, ნოდარ დუმბაძეს, ცოტა არ იყოს, წყინდა კიდევ, ჩემს წიგნებს რატომ არ იპარავენო. ჰოდა, მისი გარდაცვალებიდან ზუსტად 10 წლის თავზე სახლიდან გაქრა ტომეულები. უცბად შევ-

შფოთლით, მაგრამ ერთი ყოფილი ქურდის ნათქვამი გამახსენდა, მამაშენის წიგნები ორთაჭალაში „კამერიდან კამერაში გადადიოდა“. ამას დაემატა ისიც, რომ 1992-ში ყოფილმა პრეზიდენტმა ნოდარ დუმბაძე კრიმინალური ინტელიგენციის ოფიციალურ ფუძემდებლად გამოაცხადა და შესაბამისად, დასაშვებია, რომ ქურდებმაც მის წიგნებზე არაოფიციალური უფლებები გამოაცხადეს.

ნიგნის გამავრცელებელი საზოგადოების ქურდულ ფრთას მოღვაწეობის თავისი მეთოდები, რიტუალი და დროის განრიგი აქვს. ქურდული კანონების დაცვის ფარგლებში, თუ საჭიროება მოითხოვს, იგი მოქმედებს შეფარვით, მაღლულად, ბოქლომის მტვრევით, მესერის გადახერხვით. თუ არ მოითხოვს — ხელის ოსტატური მოძრაობა საკმარისია, რომ საქმე გაკეთებულად ჩაითვალოს. მაგრამ ყველა კეთილად დაგვირგვინებულ საქმეს, მედალის არ იყოს, მეორე მხარეც აქვს. სულ რომ არ ელი, სწორედ მაშინ ამოგიტრიალდება და შეიძლება მთელი ტირაჟი სულ სათითაოდ ამოგანთხევინოს. რას იზამ, ქურდის ბედიც ეგ არის.

ახლა არაყზე მოგახსენებთ. მოცემულ შემთხვევაში საქმე უფრო არა ქურდულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო და, კონკრეტულად, ქართულ ხასიათთან გვაქვს. იმარჯვებს სტუმართმოყვარეობის ტრადიციული ინსტიტუტი. კეთილშობილურ საქმეს „დასველბა“ უხდება და, თუ სასმელი თვითონ გამოგეკიდა, თვალეში შეგეჩხირა და გაცდუნა, აქ ქურდობასთან კი არა, ადამ-ჩვევათა ერთგულებასთან გვაქვს საქმე. ასე რომ, კარგად თუ განვსჯით, სამი ბრალდებიდან ორი თუ შემოგვრჩება ხელში.

ჭადრაკის საათთან საქმე გაცილებით რთულად გვაქვს. ჩვენს ოჯახში ჭადრაკის დიდი მოყვარული ჩემი დის მამამთილი, ანუ ოჯახის მძახალი, გახლავთ. საათის ქურდობლა უკვე კარგა ხანია მას დაბრალდა, ვინაიდან ზუსტად ანალოგიური საათი „ჩხრეკის“ შედეგად მის ოჯახში აღმოვაჩინეთ და ეჭვიმითანის დაჟინებული პროტესტის მიუხედავად, საათი მამა-პაპისეულიაო, განაჩენი გამოტანილ იქნა: მას დუმბაძეების სამარადისო ნათესაობა მიესაჯა. ასე რომ, ამოღებულ ნაქურდალ საათის მფლობელობაზე უფლება დაზარალებულებს ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ. ნიგნის გავრცელების მისიით სტუმრად მოსულ კეთილშობილ ქართველებს კი უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით არ ასამართლებენ. ასე რომ, ჩვენ, ნოდარ დუმბაძის ოჯახი, ჩვენის მხრივ კანონიერ პრეტენზიას ვერ გამოვაცხადებთ დაკარგულ ნივთებზე, ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით კი, ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, დავსძენთ: ამ სახლში მეტი აღარაფერი დარჩა, ეგ ნადავლიც თქვენი იყოს და წამლებს ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

გაზ. „დილის გაზეთი“, 23 ნოემბერი, 1996 წელი.

ℤ

∅

∅



ოდესს ვართ როდოსს!

ვინაიდან თბილისიდან თვითმფრინავები სხვადასხვა მიზეზების გამო სხვადასხვა მიმართულებით დაფრინავენ არა ჩვენი, არამედ თავიანთი ავიაკომპანიების განრიგით, კუნძულ როდოსზე დანიშნული 22 სექტემბრის ნაცვლად 20-ში აღმოვჩნდით — ნუ დამიჯერებთ, თუ ვიტყვი, სამწუხაროდ-მეთქი. როდოსი სამოთხის ერთი პატარა ჩამონატეხია. ჰოდა, სწორედ ის ორი ზედმეტი დღე ვაგატარეთ სამოთხეში. თუმცა, ამაზე სხვა დროს. ვიცი, თვითმხილველის გადაჭარბებულმა ემოციამ მკითხველის გაღიზიანება იცის, მით უმეტეს, რომ როდოსისა და საბერძნეთის შთაბეჭდილებები ამ პუბლიკაციის მიზანი არ არის. მხოლოდ გაგახსენებთ: სულ ორიოდ კვირის წინ „დილის გაზეთის“ შაბათის ნომერში გაუნყებდით, რომ როდოსს მივემგზავრებოდით მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრის ინაუგურაციის ცერემონიალსა და ამ ცენტრის გახსნისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. კონფერენციის სამუშაო ენა ინგლისური იყო. საქართველოს მწერალთა კავშირიდან კი მიწვეულები გახლდით ბატონი გურამ ფანჯიკიძე, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე პროფესორი ზაზა გაჩეჩილაძე და თქვენი მონა-მორჩილი. წასვლის წინ, ერთი კვირით ადრე, ბატონ გურამს მწერალთა კავშირში გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდა, ამიტომ იძულებული შეიქნა, გამგზავრებაზე უარი ეთქვა, ხოლო ინაუგურაციის ცერემონიალზე საქართველოს მწერალთა კავშირის მისალმება და მსოფლიოს 40 ქვეყნიდან შეკრებილი 300 მწერლისადმი მიმართვის წაკითხვა ზაზა გაჩეჩილაძეს დაავალა. მასვე ხვდა წილად პატივი მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის ცენტრის ორგკომიტეტისათვის შავი ზღვის სანაპიროზე (მწვანე კონცხი) მწერალთა სახლის დაარსებისა და აშენების პროექტი გაცნო, რომელშიც საქართველოს მწერალთა კავშირი უცხოელ კოლეგებს თანამშრომლობას სთავაზობდა გარკვეულ პირობებზე. ეს აქცია ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების საკმაოდ ჩამკვდარი და ჩაქვავებული წერტილიდან დაძვრის ერთ-ერთი წინაპირობაა, ორკაციანი ქართული დელეგაციისათვის კი ამ სიმძიმის საკუთარ მხრებზე გადატანა — ერთობ საფრთხილო და საშური საქმე. დელეგაციის ორივე წევრი ძალზე ველავდით. დრო ცოტა გექონდა, დღის წესრიგი — დაძაბული.

იქ, როდოსზე, სხვადასხვა ეროვნების უკვე კარგა ხნის წინ დამეგობრებული ლიტერატორები შეიკრიბნენ. მათ ერთმანეთის ფასიც იცოდნენ და შესაძლებლობათა დიაპაზონიც, ენდობოდნენ ერთმანეთს, ჩვენ კი მათთვის უცხო

ხილი აღმოვჩნდით, ამიტომ სიფრთხილით გვეკიდებოდნენ, შორიდან გვივლიდნენ, თითქოს თითის დაკარება ეშინიათო. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანა იყო წარმოდგენილი, კავკასიიდან — მხოლოდ საქართველო. მოხდა ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის კურიოზი:

სხვადასხვა ხრიკებითა და ათასგვარი მაქინაციებით, ასევე თავიანთი უცხოელი ქომაგების დახმარებით, აფხაზმა კოლეგებმა მოახერხეს ამ ორგანიზაციაში დამოუკიდებელი დელეგაციის სტატუსის მოპოვება და, შესაბამისად, დამოუკიდებელ ერთეულად აღიქმებოდნენ. ჩვენ ამის შესახებ ადრევე ვიცოდით. ამიტომ ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ თავისი და საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ოფიციალური განცხადება გაუგზავნა საბერძნეთის ელჩს იმის თაობაზე, რომ საქართველოს მოქალაქეებს (და აფხაზებიც იურიდიულად ჯერჯერობით ასეთებად ითვლებიან) სახელმწიფოს საზღვრების გადაკვეთის უფლებებსა და ვიზებს მხოლოდ საქართველოში მოქმედი შესაბამისი ორგანოები ანიჭებენ, სხვა სახელმწიფოს მათთვის პასპორტებისა და ვიზების გაცემა არ შეუძლიათ. საბერძნეთის საელჩოს და ასევე სხვა სახელმწიფოთა საელჩოებს ბატონმა გურამმა თხოვნით მიმართა, შეძლებისდაგვარად აღეკვეთა აფხაზ მოქალაქეთა უცხოეთში მოგზაურობის ფაქტები სხვა ქვეყნის პასპორტითა და ვიზებით. როდოსს ისე გავემგზავრეთ, ამ მიმართვის არც პასუხი ვიცოდით და არც საელჩოების რეაგირების შესახებ გაგვიცხადებდნენ. მოკლედ, ისედაც რთული სემინარი ახლა დაძაბულ მოლოდინდაც გადაგვექცა.

უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი უცხოელი მეგობრები ერთმანეთში საკმაოდ მოშინაუბრეულები ჩანდნენ, გეგონებოდა, ერთი საერთო მწერალთა სახლიდან არიანო. მარტო ჩვენ ვიყავით დასაწყისში ეგზოტიკური ბუჩქივით ცალკე გამოფენილი, დანარჩენები კი ექსკურსანტებივით გარს გვივლიდნენ და გულდასმით გვსწავლობდნენ, გვიშინაუბრდებოდნენ.

21-22 სექტემბერი. შაბათ-კვირა სასტუმრო „ბელვედერში“ სემინარის მონაწილეთა შეკრება-გამოცნაურების დღეები იყო. აფხაზი მწერლები არ გამოჩენილან.

23 სექტემბერი. 10.00 — სემინარის გახსნა. აფხაზები კვლავ არ ჩანან.

სემინარის მთავარი თემა: ლიტერატურა და ინტერნეტი.

საქართველოს მწერალთა კავშირში ნეტავი ერთი მწერალი მაინც მანახა, ინტერნეტის მნიშვნელობა ბოლომდე რომ ესმოდეს ან ამ ეტაპზე რამეში სჭირდებოდეს. სასაცილოა, აბა რა, ქალაქისა და სახსრების დეფიციტის დროს, როდესაც საქართველოს შურნალ-გაზეთებში ავტორები ხელნაწერებს აბარებენ და მწერალთა კავშირში ერთ სულ მწერალზე 0,000N საბეჭდი მანქანა მოდის, აქ, ერთ პატარა სემინარზე, კომპიუტერიდან კომპიუტერში ისე მიდი-მოდიან მსოფლიო მნიშვნელობის ბიბლიოთეკები და არქივები თავიანთი ექსკლუზიური მასალებით, გინდა-არგინდა, თავს მაინც გამოგაყენებინებენ. ამას, უხეშად რომ ვთქვათ, ინტერნეტში ჩართვა ჰქვია და სწორედ ამ მოვლენასა და მის უზადო მნიშვნელობას

მიეძღვნა სემინარის მთელი დღე. პოპულარული, ზოგადსაგანმანათლებლო ლექცია ინტერნეტის საერთაშორისო ექსპერტებმა წაგვიკითხეს. მათ, ვისაც ხელენიფებოდა, მაგრამ კარგად ვერ უწყობდა ინტერნეტის მნიშვნელობა (ანუ განვითარებული ქვეყნის შვილებს) ჩაუტარდათ რამდენიმე პრაქტიკული მეცადინეობა — დაახლოებით ისეთი, ჩვენთან კომპიუტერულ ცენტრებში რომ ატარებენ. აღმოჩნდა, რომ რთული აქ არაფერია, საქმე მონდომებასა და მოხერხებაშია, კიდეც — ფულში, აპარატურის ქონა-არქონაში. ვისაც ეს ბოლო ორი ატრიბუტი არა აქვს და არც უახლოეს მომავალში ექნება (ანუ ჩვენ — განვითარებად ქვეყნებს), შეუძლია ერთ ხანს მოისვენოს და ძველი მეთოდებით გააგრძელოს წერა-კითხვა.

გამემტყუნება, ალბათ, მაგრამ მე და ინტერნეტი ამ ეტაპზე რომ იტყვიან, ვერ ავეწყვეთ. ზაზა გაჩეჩილაძე ვაცილებით გათვითცნობიერებული აღმოჩნდა, იგი რალაც მომენტში აქტიურადაც ჩაება დისკუსიაში და ისეთი არგუმენტები მოიშველია, მისი კონცეფცია კამათისა და შემდგომი ანალიზის საბაზად იქცა. საგულისხმო ის იყო, რომ ჩვენი ნორვეგიელი, ინგლისელი, გერმანელი, შვედი, რუმინელი და ქურთი მეგობრები კონფერენციაზე „ლეპტოპებით“ (პორტატული პერსონალური კომპიუტერი) დაიარებოდნენ, პირადად მე კი გახურებული წერისაგან მელანთან ერთად სისხლიც გამიშრა. კათედრიდან გვიკიჟინებდნენ, ყველანი ინტერნეტში ჩაერთეთო. მე ვეკითხებოდი: საიდან, როგორ და რა საშუალებებით-მეთქი. არავინ იცის. ჰოდა, გამოსავალიც თვითვე შევთავაზე — ან ერთი ხუთიოდე წელი დაგვაცადეთ, ან კეთილი ინებეთ და უზრუნველგვყავით სათანადო ცოდნითა და აღჭურვილობით, არადა, საქართველოსთან კულტურულ ურთიერთობებს დაემშვიდობეთ-მეთქი. ჩვენმა ყოვლის შემძლე კოლეგებმა ეს გამოწვევა ერთობ სერიოზულად მიიღეს, ჩაფიქრდნენ და გზებისა და სახსრების გამოძებნას შეგვპირდნენ. წესით, არ უნდა ხუმრობდნენ. ამგვარი ქველმოქმედება რიგ გაჭირვებულ ქვეყნებს თურმე უკვე ღირსებიათ. ვნახოთ, ეგებ კეთილმა ანგელოზმა საქართველოს მწერალთა კავშირსაც გადაუფრინოს, და არამარტო გადაუფრინოს, ერთხანს დაიბუდოს კიდეც შიგ. მართალია, შეიძლება ბევრი ჩვენგანი ინტერნეტის ქსელში გაბუდრულ სრულიად საქართველოს ველარც მოესწროს, მაგრამ ამასობაში ელემენტარულ კომპიუტერთან გათამაშებას მაინც ეღირსება.

ჩემი და ინტერნეტის ტანდემი ამ ეტაპზე შეწყდა, სამაგიეროდ მოქმედების ახალი და სრულიად განსხვავებული ასპარეზი გაიხსნა: სალამოს 10 საათზე, როდოსის უნარმტაცეს სანაპიროზე, შუა საუკუნეების ამფითეატრის არენაზე პოეზიის სალამო გაიმართა. აფხაზეთის წარმომადგენლები კვლავ არ ჩანდნენ.

იქ, როდოსის მცხუნვარე მზის ქვეშ, „ლიტერატურულ საქართველოში“ რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნებული ტარიელ ჭანტურიას უახლესი ლექსი, „იმედგაცრუებული ფიქრი“, ვთარგმნე ინგლისურად. მომეჩვენა, რომ თარგმანი გამომივიდა, ამიტომ პოეზიის განყოფილებას მივაკითხე და მონაწილეთა სიაში ჩავეწერე. დილას სიას რომ გადავხედე, შემეშინდა და ვინანე კიდეც, მაგრამ გვიანლა იყო. ვიფიქრე, რაც არის არის, გავიმარჯვებ — დამსახურება ჩემია, დავ-

მარცხდები — ავტორის, ვიტყვი, ცუდი ლექსი დაუნერია-მეთქი. თეატრონში ავტობუსებით ნაგვიყვანეს, ზედ ხმელთაშუა ზღვის ნაპირას, წვიმა დაიწყო, ხასიათი გამიფუჭდა, შემცივდა, მგონი სიცხემ ამინია, ახლა გავიქცევი აქედან-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გასაქცევიც არსად იყო. ზაზა გაჩეჩილაძეს გავხედე. იგი მშვიდად ემუხსაფებოდა რომელიღაც ცოცხალ კლასიკოსს და ჩემთვის არ ეცალა. მე ვიყავი სრულიად მარტო, „იმედგაცრუებულ ფიქრთან“ ერთად.

არენიდან ისმოდა პოეტებისა და მთარგმნელების უღურტული, ტიკტიკი, გუგუნი, გრიალი, ჩურჩული და წარმოიდგინეთ, სიმღერაც კი, სხვადასხვა ენაზე. მათ უკრავდნენ ტაშს, ან არ უკრავდნენ, უმართავდნენ ოვაციებს, ან არ უმართავდნენ, შიგა და შიგ გასძახოდნენ ბრავოს, ჩემი ჯერი კი არ დგებოდა. მერე უეცრად გადამავიწყდა სად ვიყავი და სრულიად მოვეშვი, რომ გამახსენდა, საოცარი ბრძოლის უინით აღვივსე. მეგონა, სწორედ იმ ლექსის ნაკითხვას ვაპირებდი, რისი მოსმენაც ამ ხალხს უნდოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დღეს ბერძნულ ამფითეატრში ქართულ პოეზიას უნდა ეხეიმა. ჰოდა, გამოაცხადეს კიდევ: „მთარგმნელი საქართველოდან“. ეს მე ვიყავი. ამფითეატრის ცენტრში ვიჯექი, მუხლები ისე ამიკანკალდა, მთავარი გასასვლელისკენ ვერ გავიდოდი, ამიტომ პირდაპირ კიბე-კიბე გავიკვლიე გზა არენისაკენ და გლადიატორივით ვეკვეთე მიკროფონს. უკან გამამხნევებელი ტაში მომყვა.

ტარიელ ჭანტურიას ლექსს შეგნებულად არ გთავაზობთ. ისე, ვისაც არ ნაგიკითხავთ, გირჩევთ, ნაიკითხოთ („ლიტერატურული საქართველო“, N37, 13-20 სექტემბერი, „იმედგაცრუებული ფიქრი“). ამ ლექსმა როდოსელი მსმენელის ნამდვილი ემოციური აფეთქება გამოიწვია. ვფიქრობ, მაშინ იქ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული გრძნობა ამოქმედდა: მსხვერპლის გაღების სურვილი, როცა ბუნებაში არც მსხვერპლის ამღები არსებობს და არც მისი დამნახავი ჩანს სადმე. მაყურებლისკენ არ გამიხედავს, იქით ვიყურებოდი, სადღაც შორს, ალბათ, საქართველოსკენ. შუა კითხვისას, ზუსტად იქ, სადაც მოველოდი, სიცილი და ტაში გაისმა. გულში ლექსის ავტორს მივმართე, მგონი გამოგადექი-მეთქი. მერე იყო ხანგრძლივი პაუზა და... „ის არ ვიცი, ოღონდ, ვის ჭირდება ლექსი“ — ჩავიკითხე ბოლო სტრიქონი. ამას მოჰყვა ბევრი ბრავო, ყვირილი, ღმუილი, ჯორჯია! ჯორჯია! და დამანგრეველი ტაში. უხერხულობისაგან უკან გზა ამებნა და ახლა ნამდვილი გასასვლელისაკენ ავიღე გეზი. იქ ვილაცამ გაზონიდან მოგლეჯილი ყვავილი მომართვა. ვილაცამ, სამახსოვროდ, თავისი ლექსები შემომაჩეჩა, ვილაცამ უკნიდან სახელით მომმართა, ცერა თითი ამინია და შენთან ვართო, შემომძახა. სალამოს დასასრულს თითქმის ყველა მთარგმნელმა და რედაქტორმა თარგმანის ამონაბეჭდი მთხოვა. ერთი გადათეთრებული ხელნაწერი მქონდა, ერთ-ერთ მათგანს ვათხოვე იმ პირობით, რომ ასლს გადაიღებდა და უკან დამიბრუნებდა. შევედმა პოეტმა პიტერ კურმანმა შემომჩივლა, ნეტავ, მე დამენერა ეგ ლექსიო. მერე დანერეთ-მეთქი, ვუთხარი, ხომ ნახეთ, რა სადა და ადვილი ლექსია. იმან უნდობლად შემომხედა

და მიპასუხა — აი, ამ ადვილი ლექსის დანერა მინდოდა, თორემ ტვინის საჭყ-
ლეტს ისედაც მშვენივრად ვწერო.

მოკლედ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზუსტად ისე მოხდა. „იმედგაცრუე-
ბული ფიქრი“ — ტარიელ ჭანტურიას, დაფნა და გვირგვინი — მთარგმნელს, ანუ
მე. ლექსი კი უკვე ერთი კვირაა ითარგმნება ნორვეგიულ, შვედურ, დანიურ,
ფრანგულ, გერმანულ, რუმინულ და სხვა ენებზე დევს ინტერნეტის რამდენიმე
საიტზე. მართალია, ქვეყანას, სადაც უკალმისტროდ, უქალაღდოდ, უსაბეჭდ-
მანქანოდ, უფულოდ, უწყლოდ, უსინათლოდ და უწამკითხველოდ იქმნება ნამდ-
ვილი პოეზია, შეიძლება არც სჭირდებოდეს ამგვარი ექსპრომტული ხერხებით
საერთაშორისო არენაზე გამოყვანა, მაგრამ ცდას ხელს რა უშლის, ქვეყნის ინ-
ტერნეტის ქსელში გახვევა სწორედაც რომ დროული საქმეა და დაყოვნებას ვერ
ჰგუობს. იქნებ, ისიც მართალია, რომ ინტერნეტში ჩართვის დღიდან „ინტერმ-
წერლის“ სახელი და გამავლობა გაქვს გარანტირებული, თანაც, „ინტერმთარგ-
მნელების“ მრავალრიცხოვანი არმია გემსახურება, თუ „ინტერმწერალი“ ხარ,
„ინტერმთარგმნელი“ თვითონ მოგიძიებს, ხოლო რაც თავად „ინტერმთარგმ-
ნელს“ შეეხება, ეს უკანასკნელი ყველაზე ძნელად მოსაპოვებელი ნადავლი ყო-
ფილა, ვისზეც უშუალოდაა დამოკიდებული ამა თუ იმ ავტორის ინტერნეტში,
ანუ მსოფლიო ცოცხალ საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებში ჩართვა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, თუ ინტერნეტს საქართველოში ქართული
ლიტერატურის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად მივიჩნევთ, მაშინ კი-
დეც უნდა შევუწყოთ ხელი მისი დანერგვის დაჩქარებას, თუნდაც ლიტერატუ-
რული ურთიერთობების დონეზე. ქართულ ხელოვნებას ამით საშუალება მიე-
ცემა მსოფლიო კულტურის კოლიზეუმში საუკეთესო ადგილების დაკავების
შანსი ხელიდან აღარ გაუშვას. ცენტრალურ ადგილებზე მოგახსენებთ და არა
კიდითებზე, საიდანაც ცუდად ჩანს და, უფრო ხშირად, არაფერი ისმის. საქარ-
თველოს ხმა კი ისე საამოდ ჟღერს ნებისმიერი არენიდან, მით უმეტეს კარგი
გამგონეც თუ გამოუჩნდა.

24 სექტემბერი: 10.00 — სემინარი თემაზე „სიტყვის თავისუფლება“. აფხა-
ზი მწერლები არ ჩამოსულან.

სპიკერები: ჯელჯ ბონელენდი (ნორვეგია), ჟან მაგნუსონი (შვედეთი).

18.00 — ხმელთაშუა ზღვის კუნძულ როდოსის დედაქალაქის, როდოსისა
და ბალტიის ზღვის კუნძულ ვისბის ქალაქ გოტლანდის დაძმობილების რი-
ტუალური ცერემონიალი და აქტის ხელმოწერა როდოსის მუნიციპალიტეტის
შენობაში.

ქალაქი როდოსი დაარსდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 408 წელს კუნძულის
ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირას. აშენებულია ამ ხანის დიდი ოსტატისა და ქა-
ლაქთმშენებლის ჰიპოდამუს მილეტუსის მიერ. სწორედ ამ პერიოდს მოიხსენი-
ებენ როდოსის ოქროს ხანად. ამ დროს აიგო ქალაქის ნავთმისადგომთან მსოფ-
ლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი — როდოსის კოლოსი.

აღმავლობის ხანას მოჰყვა ჯერ დამანგრეველი მიწისძვრა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში, რომელმაც თითქმის ალგავა პირისაგან მიწისა ქალაქი და რომელსაც ვერ გადაურჩა თვით კოლოსიც. სამწუხაროდ, ეს არ იყო პირველი და ერთადერთი მიწისძვრა როდოსზე.

IX საუკუნეში როდოსი კვლავ დაინგრა — ამჯერად არაბთა შემოსევის შედეგად. 1082 წელს იგი განთავისუფლდა და ვენეციის ვაჭრობის ცენტრად იქცა. ხოლო შუა საუკუნეებში წმინდა იოანეს რაინდთა ორდენის მმართველობის დროს იგი დიდი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის სახელმწიფოდ იყო ცნობილი. ამ დიდების სული როდოსში დღემდე ტრიალებს.

ორი კუნძულის დაძმობილების რიტუალური ნაწილი ქალაქის კარიბჭიდან დაიწყო. იგი მთლიანად კოსტუმირებული იყო. მხოლოდ ჩამოსულ სტუმრებსა და ოფიციალურ პირებს (მაგალითად, ორი ქალაქის მერს) ეცვა თანამედროვე სამოქალაქო ტანსაცმელი. ისე, ქალაქი მთლიანად წმინდა იოანეს რაინდთა ორდენის ეპოქის ჩანახატებს მოგაგონებდათ. ცხენებზე ამხედრებული მეციხოვნენი წინ მიუძღოდნენ როდოსის მოსახლეობას მთავარი მოედნისაკენ. ჭრელი ბრბო: აქ იყვნენ მასხარები, მზარეულები, ბოშები, მეკობრეები და ოჩოფეხებზე შემოსკუპული ჯამბაზები, იყო შუა საუკუნეების ბებერი, კეთილი ევროპა და უცხო მინარევებით დახუნძლული საბერძნეთის როდოსი.

დაძმობილებული ქალაქების მერთა საზეიმო გამოსვლები (ბერძნულ და შვედურ ენებზე) ერთმანეთს ტყუპი ძმებზე გავდნენ. მთავარი და საერთო კი ამ გამოსვლებში ის იყო, რომ როდოსი ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპის კულტურათა შორის გადებული ხიდი იყო მუდამ, დღეს ეს ქალაღზე დაფიქსირდა, საუკუნეები კი ღალადებენ, რომ ეს მისია როდოსში ოდითგან მოქმედებდა.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ ქალაქის მთავარ ტაძარში საფორტეპიანო კონცერტი გაიმართა. კონცერტის შემდეგ კი ნამდვილი, ალბათ, შუა საუკუნეებს რომ შეეფერებოდა ისეთი ნადიმი, მეფური სუფრით, დინჯი, რიტორიკული სადღეგრძელოებით, რევერანსებითა და შლიეფების შრიალით. ნადიმზე მუსიკოსები ძველბერძნულ და სკანდინავიურ ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ.

ყველაფერი იმდენად ბუნებრივი და სამყაროსთან შერწყმული იყო, საერთო სურათიდან ამოვარდნილი ტურისტები, დროის მანქანით სხვა განზომილებიდან ჩამოცვნილ მიუსაფარ სტუმრებს გავდნენ, მთავარეულებზე დაეხეტებოდნენ სრულიად უცხო ატმოსფეროში და გაოგნებულებს დიდებულ პეიზაჟში აშკარა დისონანსი შეჰქონდათ.

როგორც მიხვდით, დილის სემინარის თემა ბოლოსთვის შემოვინახე: მარადიული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემა — სიტყვის თავისუფლება.

ზოგადსაკაცობრიო-მეთქი, ხაზგასმით ვამბობ, რადგან „პერესტროიკამდე“ ეს პრობლემა, მოდურად რომ ვთქვათ, ექსკლუზიური, ანუ უშუალოდ საბჭოთა მეგონა. „პერესტროიკის“ შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ არც მონინავე, ანუ ცივილურ ქვეყნებში ჰქონიათ ჩვენს კოლეგებს სახარბილოდ საქმე. მასსოვს აღმანახ

„ხომლი“ 1973 წელს სემუელ ბეკეტის რადიოპიესას ვბეჭდავდი. დაბეჭდვამდე არდასაბეჭდი უცხოელი მწერლების სია კარგად შევისწავლე (მოსკოვის დადგენილებით ასეთებიც არსებობდა), შემდეგ მოვიტყუე, ბეკეტის ეს პიესა რუსულად თარგმნილია-მეთქი, რადგან იგივე დადგენილების თანახმად, ამის გაუთვალისწინებლად, შენთვის გასახარად, რასაც გინდა თარგმნიდი, დაბეჭდვით კი — ნუ-რას უკაცრავად. მოკლედ, ეს რადიოპიესა გავაპარეთ და, საბედნიეროდ, ჩვენს დანაშაულს არც რამე ექსცესი და არც უკურეაქცია არ გამოუწვევია.

ეს ერთი ეპიზოდი ჩემი ღარიბი და უღრუბლო მოღვაწეობიდან. რა თქვას მან, ვინც თითო სიტყვას საკონცენტრაციო ბანაკების კარცერებში წერდა ფარულად და ისედაც გადაღლებულ ცხოვრებას ბედის სასწორზე დებდა. ისინი სდუმდნენ. სამაგიეროდ, უნდა გენახათ, რა გააფთრებული ითხოვდნენ სიტყვის თავისუფლებას პრაქტიკულად ისედაც თავის ნებას უგზო-უკვლოდ მიშვებული, საზღვრებშეუზღუდავი სახელმწიფო ცენზურაგამოუვლელი და დემოკრატიული პრინციპებით ჩასახულ-აღზრდილი ლიტერატორები, რომლებიც საკუთარი ტექსტიდან შორისდებულის ამოგდებასაც არ პატიობენ გამომცემლებს, საერთაშორისო სასამართლოებს უწყობენ მათ, ვინც აზრს ოდნავ მაინც დაუმახინჯებს (ძირითადად მასმედიას), უშველებელ ჯარიმებს აკისრებენ იმ ბეჭდვით ორგანოებს, რომელნიც სიტყვას თუნდაც სინონიმით შეუცვლის, ხოლო თავხედი ყურნალისტისთვის გილიოტინაც კი ეცოტავებათ.

სემინარი თავისი დინებით მიედინება, კალაპოტში კი ვნებები არ ცხრება. თურმე ვის ენატრება ყველაზე უფრო თავისუფლება და, ფაქტობრივად, ისედაც თავისუფალ მწერლებს. ახლა გადავხედოთ, რა ხდება აქეთ ფლანგზე, როგორ გამოიყურებიან საერთო აჟიოტაჟის ფონზე „სუპერ აისბერგული მეთოდით“ წერას მიჩვეული ყოფილი საბჭოთა დისიდენტები და არადისიდენტებიც, ანუ, როგორც ახლა იძახიან, „კონიუნკტურშიკები“. ეს უკანასკნელნი ისე მიეჩვიენ სიტყვის თავისუფლების აღკვეთას, რომ თავისუფლების ის დოზა, რომელსაც განვითარებული სამყაროს კოლეგები სთავაზობენ, ჩვილის სატყუარად, ნიჭის დაბლაგვებისა და მეტიც, შემოქმედებითი იმპოტენციის გამომწვევ ვირუსად მიაჩნიათ. ამიტომ ისინი ჭირში გამობრძმედილი პატრიარქის გამჭრიახი თვალით ზომავენ საქმის ვითარებას, ოლიმპიური სიმშვიდით ისმენენ სხვათა „დენის“ აღმამოთებელ ფაქტებს და, რაც სრულიად ახალია მათ ცხოვრებაში, სხვათა შეცდომებზე სწავლობენ ახლებურად წერას.

სიტყვის თავისუფლებისადმი მიძღვნილი სემინარი ზოგიერთთვის უფრო მოსაწყენი აღმოჩნდა, ვიდრე ინტერნეტის გაკვეთილები, მით უმეტეს, რომ გარეთ საბერძნეთის მცხუნვარე მზე და ლურჯად მოლივლივე ზღვა ნებვირობდა. ფინალისკენ დარბაზი ოდნავ შეთხელდა. სემინარის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა თვით მიაჩნა საკუთარ თავს ქცევის თავისუფლება და სანაპიროს მიაშურა დასასვენებლად. ყოფილმა ჩაგრულებმა კი ბოლომდე მოვისმინეთ ჩვენს თავს გადამხდარი უბედურების ამბავი.

25 სექტემბერი: 17.00 პოპულარული ლექცია როდოსის ისტორიაზე, მომხ-
სენებელი — ჯონ პაპაქრისტოდულუ — საბერძნეთის მწერალთა კავშირიდან.

22.00-24.00 პოეზიის საღამო ღია ცის ქვეშ ძველი ქალაქის ბურგის ეკლესიაში.

ნამყვანები: იური პოკალჩუკი (უკრაინა)

სეზარ დურუ (თურქეთი)

ირენ ვუაძი-პერალამბისი (როდოსი)

აფხაზები ჯერაც არ ჩამოსულან.

როდოსის ისტორიულ წარსულზე პაპაქრისტოდულოს ლექცია, რა თქმა უნ-
და, ბევრად ჯობდა იმ მოკლე ექსკურსს, რომელიც მე შემოგთავაზეთ, მაგრამ იგი
ორი საათი გრძელდებოდა, ამიტომ გადავდივართ პირდაპირ პროგრამის დასკვ-
ნით ნაწილზე, ანუ პოეზიის საღამოზე ღია ცის ქვეშ.

პოეზიის წინა საღამოზე მოხვეჭილმა სახელმა და მისგან გამომდინარე „სა-
ყოველთაო აღიარებამ“, ასევე, როდოსის სემინარის მონაწილეთა მიერ ქართუ-
ლი დელეგაციის არნახულმა რეკლამამ გამოიწვია ის, რომ უცხოელები გაუთა-
ველად გვთავაზობდნენ სათარგმნად თავიანთ მცირე თუ მოზრდილ პოეტურ
ქმნილებებს.

მეც და ზაზა გაჩეჩილაძეც თავაულებლივ ვთარგმნიდით, მართალია, ზღვის
სანაპიროზე ან საცურაო აუზთან, მაგრამ მონდომებას მაინც არ ვაკლებდით.
ვთარგმნეთ გერმანელი, ბერძენი, უკრაინელი, ნორვეგიელი, რუმინელი და მოლ-
დოველი პოეტების ლექსები ქართულად და ინგლისურად. უფრო ინგლისურად,
ვინაიდან, პოეტური თარგმანებიდან კითხულობდნენ მხოლოდ ინგლისურენო-
ვანებს. მუშაობაში ისე გავინაფეთ, ბოლოს „სტახანოვურ“ რეკორდებსაც გადა-
ვაჭარბეთ. ესეც ყოფილი საბჭოთა წრთობის შედეგია, თორემ თეო ინ დერ სმითი,
გერმანელი პოეტი, მთელი კვირა მოუხდა იოსებ სტალინის „ვარდს გაეფურჩქნა
კოკორის“ თარგმნას და მაინც ვერაფერი მოუხერხა. ალბათ იმიტომ, რომ გერმა-
ნელი იყო და სტალინის მიმართ თანდაყოლილი შიში ნებას არ აძლევდა, დიქტა-
ტორი პოეტისათვის ცუდი ადეკვატი ეკადრებინა.

ამ საღამოზე ლექსებს, რომ იტყვიან, A კლასის პოეტები კითხულობდნენ თა-
ვიანთ მშობლიურ ენაზე. თარგმანებს ახლო ხედით კინოეკრანზე აჩვენებდნენ
ისე, რომ ყველას გარკვევით წაეკითხა.

პოეზიის საღამო სულ რაღაც წუთებში კლოუნადად გადაიქცა და თქვენ წარ-
მოიდგინეთ, არც ღვანლმოსილ მწერლებს და არც მათ მთარგმნელებს თავი შეუ-
რაცხყოფილად არ უგრძენიათ, რადგან თვითონაც გულიანად ხარხარებდნენ.

კინომექანიკოსმა ვერაფრით მოახერხა თარგმნილი ტექსტის ეკრანზე ზუს-
ტად დასმა, ეს უბედური თარგმანი ხან მხართეძოზე იყო წამოწოლილი, ხან ყირა-
მალა, ხან უკულმა, მოკლედ, ვერცერთხელ მოარტყეს მიხანში. მაყურებელი პო-
ეტს აღარ უსმენდა, ეკრანს იყო მიჩერებული და სიცილით იგუდებოდა. ვილაცამ
ჩემს უკან „მეხანიკ ნა მილაო“, დაიძახა რუსულად და სწორედ მაშინ გამახსენდა,
რომ ამ საღამოს ერთ-ერთი ნამყვანი და ტექნიკური ორგანიზატორი საბჭოთა
რეალობაში გამონრთობილი, უკრაინელი პოეტი იური პოკალჩუკი გახლდათ. ის

თავს იმართლებდა, პოეზია და ტექნიკა ერთად არ გამოდისო. მეორე ნამყვანი, თურქი პოეტი ქალი სეზარ დურუ კი გვარნმუნებდა, გვერდზე რომ არ გამიკარა და ყველაფერი თავის თავზე აიღო, იმიტომაცაა საქმე „სათივიით აწყობილიო“. ვიდრე პოკალჩუკი და დურუ ერთმანეთში საქმეს გაარჩევდნენ, მაყურებელი სიცილისაგან გადაიღალა, პოეტები თარგმანის გარეშე აღმოჩნდნენ, მერე გადაწყდა, რომ ის მთარგმნელები, რომლებიც სალამოს ესწრებოდნენ, პოეტებთან ერთად გამოვიდოდნენ სცენაზე და ნაწარმოების ინგლისურ თარგმანს თვითონ წაიკითხავდნენ. ასე აღმოჩნდა სახელმძღვანელო პოეტისა და ცნობილი მოლდაველი დისიდენტის ანდრეი ბურაკის გვერდით A კლასის პოეტთა ლიგაში. იქ, როდოსში, მისივე თხოვნით ორი ლექსი ვუთარგმნე და ახლა ბურგის ეკლესიაში მასთან ერთად უნდა წამეკითხა.

როდესაც ასეთი ავტორიტეტის გვერდზე დგახარ, თურმე არაფრის გეშინია, მშვიდად შევასრულე ჩემი პარტია და ანდრეი ბურაკისადმი გამოხატული ოვაციების მოზიარეც გავხდი. როგორც ყველა სახელმძღვანელო პერსონას ჩვევია, მან დიდი მონივნებით წარმოაჩინა ჩემო მოკრძალებული ღვანლი თავის შემოქმედებაში.

ივან დრამმა ორი პატარა ლექსი წაიკითხა, მთარგმნელი საერთოდ არ გამოუძახია, და მიუხედავად ამისა, მსმენელი მას ფეხზე ამდგარი მიესალმა, ნამდვილმა პოეზიამ თურმე ასე იცის, იგი ყველა ენაზე გასაგები და საამო მოსასმენია.

26 სექტემბერი: აფხაზი მწერლები კვლავ არ ჩანან.

17.00 გაიმართება მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრის ინაუგურაცია როდოსის აკროპოლისის თეატრში ღია ცის ქვეშ. მომხსენებლები: ქალაქის მერი გიორგიოს გიანოპულოსი, ბულგარელი პოეტი ბლაგა დიმიტროვა და იუნესკოს კულტურული გაცვლების სექტორის თავმჯდომარე კატერინა სტენუ.

19.00 ძველი ქალაქის მოედანზე, როდოსის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ციხესიმაგრე კასტელოში გაიმართება დასკვნითი სალამო-ნადმი, რომელიც დასრულდება სტოკჰოლმის მარიონეტების თეატრის განთქმული მისტერით „აპოკალიფსის სამსჯავრო“.

მთელი დღია ჩემი ნომრის კარზე კაკუნია. ზრდილობიანი უცხოელი კოლეგები ადრევე იჭერენ დამშვიდობების თადარიგს, მით უმეტეს, რომ იციან: მე და ზაზა 27-ში დილას მივემგზავრებით და კუნძულ სიმისზე გამართულ ლიტერატურულ ბინალეს ველარ ვესწრებით. ესეც ჩვენი და მსოფლიო ავიაკომპანიების ხასიათმუყუნობლობის ბრალია, თორემ განა იმ ერთი დღის გამოკლება შეიძლებოდა ღვთით, მწერალთა კავშირით და ვინმე ღვთისნიერი კონსტანტინ კონსტანტინიდის ნაჩუქარი სამოთხიდან?

რადგან სიტყვამ მოიტანა, თითოეული მათგანის ღვანლზე მოგახსენებთ, რა თქმა უნდა, ღმერთის გამოკლებით, ამ უკანასკნელს ხომ, როგორც წესი, არასოდეს უფასდება ამაგი, თანაც ისე მიეჩვია, არც თხოულობს. ახლა, მწერალთა კავშირზე მოგახსენებთ: როდოსის ცენტრში წასასვლელად საჭირო იყო ორი კაცი-სათვის ბილეთი იქით და აქეთ. ეს ორი ბილეთი ერთად დაახლოებით 1200 დოლა-

რის ღირებულებისა გახლდათ და გურამ ფანჯიკიძემ, მიუხედავად დიდი ცდისა და მონდომებისა, ეს თანხა მთავრობას ვერაფრით გამოლლიტა. ასე, რომ ჩვენი ორკაციანი ქართული დელეგაციის სახელით უდიდესი მადლობა მიიღა გადავუხადო უშუალოდ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას და იმ ხუთას გაჭირვებულზე გაჭირვებულ ქართველ მწერალს, რომელსაც ჩვენს გასამგზავრებლად მწერალთა კავშირის ბიუჯეტიდან 1600 ლარი მოაკლდა.

ორიოდ სიტყვა კონსტანტინ კონსტანტინიძის შესახებ: ვიცი ზუსტად იმდენი, რამდენიც თქვენ, ანუ თითქმის არაფერი. ვიცი, რომ იგი ბერძენია, ძალიან მდიდარი, ღრმად განათლებული და რომ ჩვენს მთავრობას საბერძნეთში საქართველოს საელჩოს გახსნაში დაეხმარა. რა კავშირი აქვს ამ ღვთისნიერ კაცს ჩვენთან? დაიწყებთ თავიდან! როგორც წესი, იქ ჩამოსული ყველა მწერალი თუ მთარგმნელი დაფინანსებული იყო სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების, როდოსის მუნიციპალიტეტის, იუნესკოს, ნორვეგიის, შვედეთის და საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების, კერძო კომპანიების, კერძო სპონსორებისა და მწერალთა კავშირების მიერ. აღმოჩნდა, რომ ქართველები ამათი მფარველობის ფრთის ქვეშ ვერ მოხვდნენ. ორგანიზაციებმა ჩვენთვის სახსრების ძებნა დაიწყეს. ბატონი კონსტანტინ კონსტანტინიძე თვითონ გამოეხმაურა როდოსის ცენტრს. მან იმდენი თანხა გაიღო ქართული დელეგაციისათვის, რომ ჩვენი მოთავსება როდოსის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროშიც კი მოხერხდა. საქმე ისაა, რომ მე დიდხანს, ჯერ კიდევ თბილისიდან, ვცდილობდი მადლობის სათქმელად დავკავშირებოდი ბატონ სპონსორს, მაგრამ შევიტყვე, რომ მას არ სურს თავისი ქველმოქმედების გამჟღავნება — ანონიმურობას არჩევს. ამიტომ, ავიღე მამაჩემის საბერძნეთში ბერძნულად გამოცემული წიგნი „შელადოს“, გარეკანზე დიდი სამადლობელი წერილი დავწერე და როდოსის ცენტრის პრეზიდენტის ხელით გავუგზავნე.

კიდევ, მადლობა მიიღა გადავუხადო საბერძნეთის ელჩს, რომელმაც ყოველგვარი ოფიციალური ეტაპების გაუვლელად, სრულიად უსასყიდლოდ გაგვიფორმა საბერძნეთში გასამგზავრებელი ვიზები და გურამ ფანჯიკიძის მიმართვაც, ეტყობა, ყურად იღო, ვინაიდან ფაქტი სახეზეა — აფხაზი მწერლები რუსეთის ვიზითა და პასპორტებით როდოსში ვერ ჩამოვიდნენ.

სალამოს ხუთ საათზე ცენტრის შენობის საზეიმო გახსნაზე გახლდით. ერთი კვირის წინ აქ სასწაული მოხდა, ექსკავატორმა სრულიად შემთხვევით მიწიდან ანტიკური ხანის ქვა ამოთხარა — ძვ.წ. IV საუკუნის წარწერით. ქვას, რა თქმა უნდა, მაშინათვე არქეოლოგებმა მოაკითხეს, მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ცენტრმა კი თხოვნით მიმართა როდოსის მერიას და სხვა შესაბამის ორგანოებს, ეს ქვა დაეტოვებინათ როდოსის ცენტრის ტერიტორიაზე, როგორც ღმერთის საჩუქარი მსოფლიოს მწერლებისათვის.

თქვენ რომ იცოდეთ, რა დიდებულადაა შემომჯდარი ეს ულამაზესი, შუასაუკუნეების შენობა როდოსის კლდოვანი სანაპიროს კორტოხზე, დაიჯერებდით, რომ მწერალი აქ მხოლოდ ღმერთთან სალაპარაკოდ შეიძლება მოვიდეს,

ქვაზე ამოკვეთილი ნარწერა კი ღვთის ბეჭეღია და იმ სამფლობელოში ფეხის დადგმის ნებართვა.

ასეა თუ ისე, უბრალო მოკვდავნი და ზოგიც კიდევ უკვდავნი (ამას საუკუნეების შემდეგ შევიტყობთ) მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრის ინაუგურაციას ვესწრებოდით.

ზაზა გაჩეჩილაძემ სწორედ ამ დღისათვის შემოინახა საქართველოს მწერალთა კავშირის მისალმება მსოფლიო მწერალთა გაერთიანებისა და ბერძენი ხალხისადმი. აქვე ჩაეყარა საფუძველი ერთ მეტად საშურ საქმეს, რომელზეც წერილის შესავალში მოგახსენებდით: შავი ზღვისპირეთში, მწვანე კონცხზე, მწერალთა კავშირისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ახალი საერთაშორისო მწერალთა და მთარგმნელთა ცენტრის დაარსებას, რაშიც საქართველოს მწერალთა კავშირთან და „სამი ზღვის ტალღების“ კომიტეტთან ერთად, სურვილისამებრ, წილობრივ მონაწილეობას უცხოელი პარტნიორები მიიღებენ. ამ წინადადებას კომიტეტში ერთობ საგულისხმო ინტერესი გამოიწვია. მათ საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება ცალკე გადადეს და სამუშაო გეგმაში სპეციალური მსჯელობისა და უახლოესი განხილვის საკითხად შეიტანეს.

ამ დამშეულ საქართველოს საბოლოოდ რომ არ შევაზიზლო თავი, ნადიმზე და სპექტაკლზე აღარაფერს გეტყვით. მხოლოდ ერთს დავსძენ: გამორიცხული არ არის, რომ ჩემი აზრი სუბიექტურია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ორმა ადამიანმა შეძლებისდაგვარად ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა არ შეგვევრცხვინა, პირიქით — გვესახელებინა კიდევ. უკვე სამი დღეა გიყვებით იმის შესახებ, თუ როგორ შევძელით ეს. რომ იტყვიან, მონწეები არ არსებობენ. მელამ თავისი კული მონმედ მოიყვანაო, რომ არ გათქმევინოთ, ჩემს მონათხრობზე ზაზა გაჩეჩილაძეს დასტურს არ ვთხოვ. ერთი გამოსავალი გვაქვს ორივეს, მეც და ჩემს მკითხველსაც — პატიოსან სიტყვაზე უნდა მენდოთ. გეფიცებით, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა. თუმცა, შეიძლება, ჟურნალისტის ფანტაზიამ იმძლავრა და ცოტა, სულ ცოტა მაინც გადაავაჭარბე. მომიტყვეთ, თუ შეგიძლიათ!

გაზ. „დილის გაზეთი“, 3 ოქტომბერი, 4 ოქტომბერი, 5 ოქტომბერი, 1996 წელი.

გავიხსენოთ, ძალა ერთობაშია!

ახლა ჩვენ როდოსის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ვიმყოფებით და „სამი ზღვის ტალღების მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრის“ წესდებას ვუყრით კენჭს. ჩვენი ქართული დელეგაცია ამჯერადაც სულ ორი კაცისაგან შედგება. წესდების მიღების შემდეგ ცხრანევრიანი, ეგრეთ წოდებული, „კულტურული კომიტეტი“ უნდა აირჩეს, რომელიც ამავე დროს ამ ცენტრის აღმასრულებელი ორგანო იქნება და ქართული პატივმოყვა-

რეობიდან გამომდინარე, ადვილად მიმიხვდებით, როგორ გულითა და სულით გვინდა, ამ კომიტეტში ერთი ქართველის შეყვანა მაინც. ხუმრობა იქით იყოს და რას ნარმოვიდგენდით, რომ ორგანიზაცია, რომელიც 30-ზე მეტი ეროვნების ოთხასამდე მწერალს აერთიანებს, თავის ცხრაკაციან „აღმასრულებელ კომიტეტში“ მაინცდამაინც ორკაციანი ქართული დელეგაციიდან აირჩევდა დელეგატს, თანაც რიგით წევრად კი არა, მის ხაზინადარად. და მოხდა ის, რაზეც მხოლოდ ჩუმად ვოცნებებდით: ბატონი ზაზა გაჩეჩილაძე ოთხი წლის ვადით მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრის „კულტურული კომიტეტის“ წევრი და „ხაზინადარი“ გახდა. უდავოა, რომ ამ ფაქტს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოთვის, კერძოდ, ქართული მწერლობის მომავლისათვის, მისი პოპულარიზაციისათვის მსოფლიო მასშტაბით.

ზაზა გაჩეჩილაძე: როდესაც საქართველო ასე მძლავრად განიცდის ინტეგრაციას მსოფლიო პროცესებში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ბუნებრივია, ამას ლიტერატურულ პროცესებშიც მოჰყვება ქართული ძალის, ინტელექტის, მენტალიტეტის მორგება და მისადაგება. ჩვენ გვჯერა, რომ მალე ლიტერატურულ და კულტურულ ოჯახში საქართველო შესაძლოა მოკრძალებულ, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. ერთ-ერთი მძლავრი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა და ქართველებმა ღირსეული ადგილი დავიმკვიდრეთ „სამი ზღვის აუზის ქვეყნების მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო“ გაერთიანებაში.

მოძრაობა „სამი ზღვის ტალღები“ ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო, მაშინ, როდესაც ბერძნულ ხომალდზე „მსოფლიო რენესანსი“ რამდენიმე ენთუზიასტის ძალისხმევითა და კავშირებით 400-ზე მეტი მწერლის შეკრება მოხერხდა. საბედნიეროდ, ამ მოძრაობას ძალიან სერიოზული და კარგი ინიციატორები აღმოუჩნდნენ. ისინი არ შემოფარგლულან ერთი ეფექტური საერთაშორისო ფორუმით, პირიქით, იგი შემდგომი განვითარებისა და კონტაქტების წყაროდ აქციეს და შედეგად მივიღეთ ორი მძლავრი საერთაშორისო შემოქმედებითი ცენტრი: ბალტიის ზღვაში შვედეთის ტერიტორიაზე, გოტლანდში, კუნძულ ვისბიზე და აქ, საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე. უახლოეს მომავალში ამგვარი ცენტრების დაარსება რეალურია თურქეთში და რუმინეთში, სადაც მთავრობამ რუმინეთის მწერალთა კავშირს კუთვნილებაში გადასცა ჩაუშესკუს ყოფილი აგარაკი, ერთ-ერთ უმშვენიერეს კურორტზე. ჩვენმა დელეგაციამ ჯერ კიდევ შარშან საქართველოს მწერალთა თავმჯდომარის, ბატონ გურამ ფანჯიკიძის ინიციატივით და მხარდაჭერით „სამი ზღვის აუზის მწერალთა და მთარგმნელთა გაერთიანების“ ხელმძღვანელობას შესთავაზა საქართველოში, სახელდობრ, აჭარაში, მწვანე კონცხთან არსებული ტერიტორიის ათვისება, რათა ევროპელი მწერლების დახმარებით იქ აშენდეს საერთაშორისო ევროპულ-ქართული ცენტრი, რომლითაც ისარგებლებს როგორც ევროპული ლიტერატურული ორგანიზაცია, ასევე საქართველოს მწერალთა კავშირი. ევროპულ

„კომპანიონებს“ ჯერჯერობით საკმარისი თანხები არ გააჩნიათ, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში ამ პროექტის განხორციელება არ მიაჩნიათ არარეალურად. და როცა ეს მოხდება, საქართველოს წვლილი საერთაშორისო მწერალთა ორგანიზაციის შემდგომი განვითარების და გაფართოების საქმეში აუნონავი იქნება. ეს იყო ცოტა რამ ახლო წარსულიდან, დღეიდან კი საშუალება გვეძლევა, მთელი ჩვენი პოტენციალი, ყოველ შემთხვევაში მისი გარკვეული ნაწილი მაინც, პრაქტიკულად განვახორციელოთ. ამის დასტური სწორედ „კულტურულ კომიტეტში“ ქართველი კაცის არჩევით გამოიხატა. მიმაჩნია, რომ ეს ძალზე საპასუხისმგებლო და საპატიო მისია, რომელიც დაეკისრა ერთ კერძო პიროვნებას, ამ შემთხვევაში თუნდაც მე, საქართველოს კულტურის, ქართული მწერლობის და მისი იმ საპატიო ადგილის აღიარებაა, რომელიც მას უკავია მსოფლიო კულტურულ პროცესში.

მ ა ნ ა ნ ა დ უ მ ბ ა ძ ე : ასეა თუ ისე, დღეიდან ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა უფრო ფართოდ წარმოვაჩინოთ ჩვენი კულტურა დასავლეთის პრესაში, გამომცემლობებში, წარმოვადგინოთ ჩვენი კულტურის საუკეთესო ნიმუშები ისე, როგორც ისინი ამას იმსახურებენ. უცხოელი კოლეგები მზად არიან ყოველნაირად შეგვიწყონ ხელი, რათა მსოფლიოს საუკეთესო მთარგმნელებმა თარგმნონ ჩვენი ქართული კულტურის მონაგარი, და, რაც მთავარია, ეს არ იქნება სტიქიური, ველური წესით, მდარე ლიტერატურის ექსპორტი, არამედ იქნება აპრობირებული, აღიარებული, საქართველოში უკვე დამკვიდრებული ნაწარმოების პოპულარიზაცია. სწორედ ამ ნაწარმოებებისათვის მოიძებნება შესაფერისი რანგისა და კვალიფიკაციის მთარგმნელები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მასშტაბით. სავსებით რეალურია ქართველი მწერლების მიპატიჟება და მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე, პოეტურ ბენალებზე, მწერალთა ფორუმებზე, მათი დაკავშირება იმ გამომცემლებთან, რომელნიც დაინტერესებული არიან ნაკლებად თარგმნილი ერების ლიტერატურა გამოსცენ. ეს პროცესი კარგად დაიწყო და თუ ამ ტემპით განვითარდა, ქართველები დროზე უნდა გამოვფხიზლდეთ, დროზე უნდა აღვადგინოთ მიცვალებული ქართული მთარგმნელობითი სკოლა, თუ არა და კვლავ უკან ჩამოვრჩებით, თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ, ისე ამოვარდებით მსოფლიო ლიტერატურის ფერხულიდან. დღეს ქართველ მწერალთა დიდი ორგანიზაცია რამდენიმე სხვა შედარებით მომცრო ორგანიზაციებად, იმაზე კიდევ უფრო მცირე კლუბებად, პატარ-პატარა ასოციაციებად და კავშირებადაა დაყოფილი. იმედი გვაქვს, რომ ეს დაყოფა ხელს არ შეუშლის ქართველი მწერლების პოპულარიზაციის საქმეს საზღვრებს გარეთ?

ზ ა ზ ა გ ა ჩ ე რ ი ლ ა ძ ე : პირადად მე მიმაჩნია, რომ მწერლების ცალ-ცალკე გაერთიანება რალაც ინტერესების, ესთეტიკური მრწამსის, შემოქმედებითი მეთოდის თუ სხვა თვალსაზრისით, ეს სრულიად ლოგიკური და ნორმალური პროცესია, მაგრამ, ამავე დროს, მწერალთა კავშირი უნდა იყოს რალაც ზე-სა-

ხელმწიფოებრივი გაერთიანების მსგავსი ორგანიზაცია, რომელიც კი არ იჭრება შენს სახელმწიფოში, არამედ მისი ინტერესების დაცვის პრინციპით მოქმედებს. მწერალთა კავშირს დავარქმევთ მას, ასოციაციას, ფედერაციას თუ სხვა რამეს, რალაც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ისევ და ისევ მწერალთა ინტერესების დაცვისთვისა და დახმარებისთვის იმუშავებს, აუცილებლად საჭიროა. მწერალი, მოგეხსენებათ, ემოციური პიროვნებაა, იგი ბოჰემურია, ნაკლებ ორგანიზებული, ამიტომ მისი დამცავი ორგანიზმები მწერალთა კავშირმა უნდა შექმნას: მატერიალური თუ იურიდიული, სამედიცინო (მაგალითად, დაზღვევის), საავტორო უფლებების დამცავი თუ სხვა ორგანიზაციები. ვფიქრობ, ყოველივე ამას პატარ-პატარა კლუბები, რომელთაც კერძო ინტერესები ამოძრავებს, ვერ შესძლებენ და თუ შესძლებენ, ღმერთმა ხელი მოუშართოთ. თუმცა, განა იგივე ქართველებმა არ მოვიგონეთ ნაცადი, დროში გამონრთობილი შესანიშნავი ანდაზა „ძალა ერთობაშია“? დაქსაქსვამ შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს. ჩვენ აქ, კენჭისყრის დროს, დარბაზში მოწმენი გავხდით იმისა, თუ რა უხერხული სიტუაცია შეიძლება შექმნას ერთ ქვეყანაში რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებულმა მწერალთა გაერთიანებამ, მხედველობაში მაქვს საბერძნეთის მწერალთა გაერთიანებები და უკრაინის ორი სამწერლო ორგანიზაცია, რომელთაც ერთმანეთთან კინკლაობაში ღირსებაც შეილახეს და ვერც „კულტურულ კომიტეტში“ მოიპოვეს ადგილი. ამის საპირისპიროდ მოგახსენებთ, რომ მაგალითად, ინდივიდუალიზმით ცნობილი შვედეთის მწერალთა ცალკეული დაჯგუფებები სულ რამდენიმე წლის წინ ერთ კავშირად გაერთიანდნენ, რათა საერთო ძალებით გამკლავებოდნენ გამომცემლობების კაბალურ რეჟიმსა და დიქტატს. ასევე იქცევინან ნორვეგიელი მწერლებიც, რომლებიც მხოლოდ ჟანრობრივად არიან დაყოფილები და ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, როცა ნორვეგიული ლიტერატურის წინსვლისა და ადგილის ბედი წყდება, ერთიანდებიან ხოლმე, გამოიმუშავენ რალაც ოპტიმალურ პლათფორმას და მოქმედებენ მხოლოდ საერთო ინტერესების დასაცავად. თურმე პრინციპი — ძალა ერთობაშია — მძლავრ კაპიტალისტურ, მდიდარ და თავისუფალ ქვეყნებში უფრო სასიცოცხლო და პოპულარული ყოფილა, ვიდრე გაჭირვებულ, დაქსაქსულ და სიდუხჭირისაგან ხელფეხშეკრულ სახელმწიფოში, როგორც თუნდაც ჩვენია. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ის რალაც ზე-სტრუქტურა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, არანაირ საშიშროებას და ეჭვს არ უნდა ინვედეს, პირიქით, თუ ჩავუკვირდებით და სხვათა გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ — სასარგებლოცაა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანიზაცია ჭეშმარიტად ქართულ ლიტერატორთა და ქართული ლიტერატურის მსახურებისთვის არის მოწოდებული.

o
/ a
b



ისინი ღრიჭოებიდან გაიპარნენ

დაუდგენელი ჟანრის პიესა
კონტრკულტურის ელემენტებით

მოქმედი პირები:

გოგიტა ჭყონია (რეჟისორი),

მამუკა დუმბაძე (მეცნიერი),

ზურა ყიფშიძე (მსახიობი),

ნუგზარ კვაშალი — იგივე კვაშალა (მუსიკოსი),

ლიკა ნადარაია (ფსიქოლოგი და ფემინისტური მოძრაობის
ლიდერი საქართველოში)

მანანა დუმბაძე („დილის გაზეთის“ ჟურნალისტი).

შუახნის, მაგრამ კარგად შენახული ყოფილი ჰიპები (მანანა დუმბაძის გარდა) 7 ივლისს ორბელიანების სახლში, ტავერნა „მაიკოში“ შეიკრიბნენ, რადგან გრიბოედოვის ძეგლთან არც „დილის გაზეთის“ შეხვედრები და აღარც ჰიპების „ტუსოვკები“ იმართება.

მოქმედება პირველი

ტავერნის საზაფხულო კაფეში სხედან გოგიტა, მამუკა, მანანა, კვაშალა და დანარჩენებს ელიან. გოგიტა და მამუკა განსაკუთრებული მღელვარებით მოეღიან ლიკასთან შეხვედრას, რომელიც პირველს 20 წლის წინათ ეჩხუბა, მეორეს კი — 2 დღის წინათ. ლიკა ნადარაია ბავშვობიდან დასავლეთის დემოკრატიული ცხოვრების წესს არის ნაზიარები და შეხვედრაზე ზუსტად დანიშნულ დროს მოდის. უნესო და ქართული დემოკრატიის წესს ნაზიარები ზურა ყიფშიძე მთელი საათი იგვიანებს. ამიტომ პიესის პირველი სურათიც უიმისოდ მიმდინარეობს. საუბრობენ „მსუბუქ“ თემებზე, მაგალითად, სიბერეზე, რომელიც, როგორც გოგიტა ამბობს (და თან ეკლესიასტეს იმონებს), „მოვა მაშინ, როცა კალია დამძიმდება“ და ველარ იხტუნავებს.

მანამდე კი, ვიდრე კალია ჯერ კიდევ კარგად ხტუნავდა (წინა საუკუნის 60-70-იანი წლები), პიესის გმირები და მათი ჯგუფის გამოჩენილი წევრი გია ეძგვერაძე სულ სხვა „ტუსოვკებზე“ დადიოდნენ — გურზუფში. იქ, საბჭოთა კავ-

შირის ცნობილი ანდერგრაუნდი, ჰიპობა და როკერები იკრიბებოდნენ. ჩვენი ბიჭები მაშინ როკ-ანსამბლის „ჯეჯილის“ წევრები იყვნენ და რეპეტიციებიდან თავისუფალ დროს თბილისში, გრიბოედოვის ძეგლის პედესტალზე ატარებდნენ. თმაგანწილები სიმწრით ნაშოვნ ჯინსებს გრიბოედოვის კვარცხლბეკის საფეხურებზე ხევდნენ და ხეხავდნენ.

გოგითა: ერთხელ გადავწყვიტე, შევუერთდები-მეთქი მათ და ნამოვედი, მაგრამ, გრიბოედოვის ძეგლის მაგივრად, გოგოლის ძეგლთან მივედი. იქ რომ არავინ დამხვდა, გულგატეხილი უკან დავბრუნდი. კაროჩე, ძეგლი შემეშალა, მერე აღარც მიცდია იქ მისვლა.

მამუკა: მამაჩემს გული უსკდებადა, ვაითუ, ბავშვი სულ ამ ჭკუაზე დარჩეს. ეს ამხელა ბიბლიოთეკა ვის დაფუტოვოო.

კვაშალა: ბაბუაჩემი ალიოშაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პირველი „პროდიუსერი“ იყო, შიგადაშიგ მაპარებდა, გეყო ანი, ბაბუ, საქმეს მიხედოო.

მამუკა: მხოლოდ ელენე ყიფშიძე იბრძოდა ბოლომდე ჩვენი არსებობისთვის მაშინ, როცა დაუძინებლად გვემტერებოდა ნომენკლატურა, მილიცია და ქუჩაში — ძველბიჭობა. გვიჭერდნენ, თმებს გვკრეჭდნენ, მაგრამ ეგ კიდეე არაფერი, არ არსებობდა არავითარი აპარატურა...

კვაშალა: არ გვცნობდა წყობა, ქართული ოჯახური ტრადიციები, არ გვეპუებოდა ქუჩა.

გოგითა: ჩვენ კი ვერ ვეუგებოდით ტყუილზე აგებულ გარემოს, იმას, რომ გარშემო რეალობის სრული უარყოფა სუფევდა, გაქცევა ერთადერთი გამოსავალი იყო. გაქცევა — „ირონიული გადაადგილება“, და მე „სარკმლიდან გაფცვერი“ — გავიპარი.

პიესის პირველი განყოფილება გოგითას „ირონიული გადაადგილების“ ეტაპობრივი ანალიზისგან ზურა ყიფშიძის გამოჩენამ იხსნა. ატყდა ჟივილ-ხივილი, ხვევნა-კოცნა და გამოცხადდა ანტრაქტი, რომლის დროსაც პერსონაჟებმა ტავერნის საზაფხულო ღია კაფედან კონდიცირებულ ოთახში გადაინაცვლეს.

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

მოქმედი გმირები იგივენი. მათი ჟღერტული საორკესტრო ორმოში წინასაკონცერტო ქაოსს და ინსტრუმენტების აწყობის პროცესს ჰგავს. არაფერი ისმის. იხსენებენ „ჯეჯილის“ პირველ კონცერტს (1966 წელი). ზურას, თურმე, მაშინ „ბას-ბორჯაც“ კი არ ჰქონდა. ოც დღეში მოუმზადებიათ პროგრამა. პროფესიონალ მუსიკოსებსაც კი გაჰკვირვებიათ, ისეთი როკ-ანსამბლი შექმნეს. დაიწყო გასტროლები მარჯანიშვილის თეატრთან ერთად. ეს სარისკო იდეა ელენე ყიფშიძეს ეკუთვნოდა. ოთხი თმაგანწილი და „კალაპოტიდან ამოვარდნილი, უზნეო

ყმანვილი“ პირდაპირ ხახაში შეუგდო ასეთ რამეებს მიუჩვეველ აუდიტორიას. ყველასათვის მოულოდნელად კი, „ჯეჯილი“ საოცრად პოპულარული გახდა — ინგრეოდა სცენა და ინგრეოდა დარბაზიც. კონცერტებზე თბილისში, სოხუმში, ოზურგეთში ახალგაზრდობა ყირაზე იდგა. ოთხ თმაგანენილ „ტიპს“ ცხენოსანი მილიცია იცავდა. ეს სიზმარი არ ყოფილა, ეს მართლა ასე იყო.

ზ უ რ ა : ჩვენ უკვე ერთად ვიყავით, ვუკრავდით და სხვებთან შედარებით ერთობ უჩვეულოდ გამოვიყურებოდით, როცა თემურ ჩიხლაძემ დამირეკა, შენ ბიჭებთან ერთად გრიბოედოვის ძეგლთან ჩამოდიო. თემური ძალიან მომწონდა, თან ვიფიქრე, ალბათ, ვილაცის ქორწილში გვეპატიჟებიან-მეთქი (იქვე ქორწინების სახლი იყო) და წავედით. ასე დაიწყო ჩვენი „გრიბოედოვის ეპოპეა“. თემურს დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენზე. მისი დამსახურებაა, რომ უბრალო თმამოშვებული მუსიკოსებისგან ნამდვილ ჰიპებად ვიქცეით. ქუჩებში არ ვჩხუბობდით, თუ სკოლაში ვილაცა ყბაში მოგვადებდა, წესის თანახმად, მეორე ლოყა უნდა შეგვემერია. ჩვენი აზრით, ასე ვანადგურებდით მტერს, რომელიც თითქმის ყოველ კუთხეში იყო ჩასაფრებული — მილიციაში, ნომენკლატურულ წრეებსა და ქუჩაში. ისინი ვერა და ვერ ეპუებოდნენ ჩვენს ოლიმპიურ სიმშვიდეს, მშვიდობიანობას, გაზავებულს ექსტრავაგანტურ გარეგნობასთან. სადაც მოგვიხელთებდნენ, გვიჭერდნენ, გვკრეჭდნენ, გვსჯიდნენ იმისთვის, რაც ახლა ჩვეულებრივ აღიქმება და არაყის უკვირს.

მამუკა : მასხოვს, 68-ში სპორტის სასახლეში „პოლიანების“ კონცერტი იყო. ახლა რომ გიჟობს დარბაზი, მაშინ როკ-ანსამბლებსაც გასუსულები, გამეშვებულები და სულგანაბულები უსმენდნენ. მე და ზურა სცენაზე აცვივდით და ცეკვა დავიწყეთ. მილიცია, როგორც კი გონს მოეგო, უკან მოგვყვა და სულ ფორთხვა-ფორთხვით გამოგვათრიეს სცენიდან. არადა, რას ვამავებდით, ვცეკვავდით, ქვებს ხომ არ ვისროდით. პლენანოვზე უბნელ ბიჭებთანაც პრობლემები გვქონდა. გიჟდებოდნენ, როგორ ბედავდნენ ვილაც ლანირაკები მათ უბანში, მათგან დაუკითხავად, ძეგლის ქვეშ ასე უდარდელად არსებობას. გვშველოდა ის, რომ ჩვენ ჩვენს უბნებში უკვე კარგად გვცნობდნენ და ავტორიტეტითაც ვსარგებლობდით. ამის გამო, „გრიბოედოვთანაც“ ნელ-ნელა მეგობრები გავიჩინეთ. ამას ისიც ემატებოდა, რომ თემური ძველ ბიჭებს საათობით ესაუბრებოდა კაცთმოყვარეობასა და არაძალადობაზე. ჩვენ ამ უბნის ერთგვარი ღირსშესანიშნაობაც გავხდით — გრიბოედოვის ძეგლის განუყრელი ნაწილი.

ზ უ რ ა : გრიბოედოვის ძეგლს თავისი სიმბოლიკაც ჰქონდა. ის ქორწინების სახლთანაა, იქ, სადაც ბედნიერება, სიმხიარულე სუფევს. იქ მილიცია ასე ხელალებით ვერ გვესხმოდა თავს — მექორწილეების ერიდებოდა. ერთხელ თემური აიყვანეს და დაკითხეს, აქ რას აკეთებთო. იმან გამოუცხადა, პირველ მაისის დემონსტრაციაზე ტრანსპარანტებით უნდა გამოვიდეთ და ვემზადებითო. გაგიჟდა მილიცია, რა დემონსტრაცია, რის ტრანსპარანტებითო. იმან კი აუხსნა: ამერიკის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეთ ლოზუნგით — ხელები შორს ვიეტნამ-

მისგანო. ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, დაუჯერეს და გაუშვეს, მაგრამ სულ თვალყურს გვადევნებდნენ, შორიახლოს დაგვტრიალებდნენ.

მ ა ნ ა ნ ა : ახლა რომ „ჰიპების კვირეული“ შემოიღონ, ან, თუნდაც, ვეტერანი „ჰიპების დღე“, რას იზამთ, გაიმეორებთ ყოველივეს, რასაც მაშინ, 60-იან წლებში აკეთებდით?

გო გ ი ტ ა : შენ ისეთ კარგ რამეს ამბობ, ეგ რომ მოხდეს, იცი, რა სასწაულები დატრიალდება, როგორი პალიტრა გაიშლება? ეგ რომ მოხდეს, ქვეყანას და-ვაჩოქებთ.

ლ ი კ ა (პირველად ერთვება): ძალიან დიდი სევდა მოაქვს ასეთ შეხვედრებს. სევდიანი ნოსტალგიაა.

ზ უ რ ა : ნუგზარმა ერთხელ მოინდომა ასეთი შეკრების მოწყობა. ორი კვირა გავიგოთ თავი და ძველი გავისხენოთო, ამბობდა. მაგრამ, რალაცამ შეგვიშალა მაშინ ხელი და ვერ ავისრულეთ ნატვრა.

კ ვ ა შ ა ლ ა : თუ ვეტერანი ჰიპების შეკრება გვინდა, ისევ უნდა მოვუშვათ თმები (ვისაც დაგვრჩა), მივიდეთ გრიბოედოვის ძეგლთან და ერთი კარგად დავცხოთ ძველებურად. ბევრი ჟურნალისტისთვის მითქვამს, რომ ჩემი ყველაზე სანუკვარი თემა, საგანი, ამბავი, ჩემს ზურას, მამუკას და გაიას უკავშირდება. ჩემი ცხოვრების საწყისი ჩემი „ჯეჯილია“. ამას ვერსად გავექცევი.

მ ა ნ ა ნ ა : ხომ არ ყოფილა რაიმე სულიერი კავშირი ჰიპების მოძრაობასა და თვითმფრინავის ბიჭებს შორის, ახლა რომ „ჯინსების თაობას“ ეძახიან?

თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ხ მ ა დ : ეს ხომ 80-იანი წლებია, თუმცა, მათ შორისაც იყვნენ პოტენციური ჰიპები.

ზ უ რ ა : შემდეგ გაირკვა, რომ თემურ ჩიხლაძესთან ჰქონიათ კავშირი, თუმცა, ეს კავშირი თვითმფრინავის გატაცებამდე ორი წლით ადრე განწყვეტილა. მახსოვს, თვითმფრინავის ამბავი ქუჩაში გავიგე. შინ რომ დავბრუნდი, შემფოთებული დეიდები წამესიენ, ჩვენ ვიფიქრეთ, შენც იმათთან ერთად იქნებოდით. მე არ ვიქნებოდი იმათთან ერთად, იმიტომ, რომ ჩემთვის მაშინ სულ სხვა დრო იყო, გეგა კობახიძისთვის და სხვებისთვის კი — სულ სხვა. თუმცა, არც ისინი იყვნენ უკვე ბავშვები. მერე თემურის ამბავიც რომ გაიგეს სახლში, სულ გაგიჟდნენ, ნამდვილად გარეული იქნები ამ საქმეშიო. ჩვენსა და მათ შორის რალაც უხილავი, ეტყობა, მაინც იყო.

მ ა ნ ა ნ ა : სპექტაკლი თუ ნახეთ?

ზ უ რ ა : ვნახე და საოცრად უცნაური, არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება გამიჩნდა ამ სპექტაკლისადმი. მან, ვინც ეს გააკეთა, მჯერა, დარწმუნებულია, რომ საჭირო და კეთილშობილური საქმე ჩაიდინა, მაგრამ, ვფიქრობ, ის კაცი საერთოდ არ იცნობს იმ პერიოდს. ეს ხომ არ იყო გაქცევა, ეს იყო პროტესტი, აქცია, მართალია, საშინელი, მაგრამ აქცია. ჩემი აზრით, ამ სპექტაკლში დრამატურგი არ არსებობს. არ იცის, მერე, ეს ძალით მოტანილი ჯინსები... ჯინსებისთვის მაშინ იჭერდნენ, გრძელი თმისთვის იჭერდნენ, ტოკ-გიტარა —

ეს ყველაფერი ბურჟუაზიული და კაპიტალისტური ატრიბუტიკა იყო, მკაცრად აკრძალული, ისჯებოდა ყოველი არასწორად გადადგმული ნაბიჯი.

ლიკა: და რა თავგანწირვას მოითხოვდა ნებისმიერი ქმედება!

ზურა: (ისევ პიესაზე) დაკარგულია ეპოქის სული, პერიოდის არსი, თორემ ამ ამბის წინ წამოწევა და გახსენება, თავისთავად, ძალიან საჭირო საქმეა.

ლიკა: (ციტირებას ახდენს) „თქვენ გაფრენა გინდოდათ!“ — როგორ მოგეწონა? საშინლად ბანალური, არასწორი აქცენტები, არაპოლიტიკური, არათემატური აქცენტები, გაყალბებული ის, რაც ბევრად უფრო ტრაგიკული იყო, ზედაპირზე ტივტივებს, სიღრმე აკლია, გაყალბებულია. „დღეს კი გვშია“... კვლავ არასწორი მახვილი. მიმაჩნია, რომ კარგია, თუ გვშია და ის აღარ არის რაც იყო. ეს ხომ უფრო ჯანმრთელი მდგომარეობაა, რომლის შემდეგ შეიძლება, აღარ მოგვივდეს. ეს აღარ ჯობს იმას, რაც მაშინ იყო — რეზერვუარში ჯდომას და უიმედობას? რა მნიშვნელობა აქვს, რა გარშემონერილობის რეზერვუარია, ფაქტია, რომ სრულ იზოლაციაში ვიყავით.

გოგითა: მარადისობა შეიკუმშა, შეიკუმშა და გაქრა. ღამე მარადისობისთვის იყო, დღე — ცხოვრებისთვის. რაღაცას ქმნიდი მარადისობისთვის და მარადისობა გაიპარა.

ამ სიტყვებით დასრულდა მეორე მოქმედების პირველი სურათი და გაუკრვე-ველი ჟანრის პიესაში კონტრკულტურის ელემენტის შემოჭრის დროც დადგა.

სურათი მეორე

ჟურნალისტური გამოძიება:

სათავეები და ორიენტირები — თანამოაზრეობა თუ ფანატიზმი

მამუკა: ჩემი ორიენტირები ევროპაში „ბითლზები“ (დანარჩენებმა აღფრთოვანებით აალაპლაპეს თვალები) და ამერიკაში ჯიმი ჰენდრიკსი იყვნენ. ორი სუპერფენომენი (გვერდიდან მიაშველეს ფრენკ ზაპა, ჯანის ჯოპლინი...). 60-იან წლებში შექმნილი მუსიკა იყო მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი აფეთქება.

ლიკა: სახე იყო სამართლიანი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ნამდვილი ადამიანური ღირებულებებისთვის მებრძოლი პოლიტიკური მოღვაწე-მუსიკოსი — აი, ეს იყო სახე!

მამუკა: „ბითლზები“, „როლინგ სტოუნზი“, ჯიმი ჰენდრიკსი, ზაპა, „დორს“, ბობ დილანი, კარლო სანტანა, არიეტ ფრანკლინი რა, 60-იან წლებში არ მღეროდნენ? ჯიმი მორისონი...

გოგითა: ჯიმი მორისონზე დიდი ვარსკვლავი სულ ორი-სამი სული იყო. A Poet of America — ასე შეარქვეს.

მამუკა: დღესაც, ჯიმი ჰენდრიკსს რომ ვუსმენ, არ ვიცი, ამაზე თანამედ-

როვე რალაა. მაგისია თანამედროვე მუსიკა. გული იმაზე მწყდება, რომ დღევანდელი ეთერი საშინლად დაბინძურებულია.

მანანა: რა იყო ეს, ორიენტირების კედლის გაღმა ძიება, ფანატიზმი თუ სულიერი შიმშილი და გააზრებული შერწყმა მონათესავე ფენომენტთან. კერპთაყვანისმცემლები იყავით თუ მიმდევრები?

ლიკა: ეს იყო ზუსტად იგივე, თანაჟღერადი, იმავე იმპულსებიდან აღმოცენებული, ძალადობის საპირისპირო, ადამიანური სივრცის გაფართოებისკენ მიმართული ახალგაზრდული მოძრაობა, რომლის დროშაზეც მშვიდობა, სიყვარული, თავისუფლება და სამართლიანობა ეწერა. და ეს ყველაფერი — როკის ფონზე.

კვამლა: ბობ დილანს თავის ქვეყანაშიც სდევნიდნენ სიმღერების ტექსტებისათვის. პირველი „ბუნტარები“ ეგენი არ იყვნენ? — ზაპა, დილანი. „ბითლზების“ ახალი დისკი რომ გამოდის, იმ სიმღერებს ქუჩაში ღიღინებდნენ ბავშვები. ჩვენ გვამღერებდნენ „დიდია ჩვენი პარტიას“. ისინი მღეროდნენ — სიყვარულს, მშვიდობას, თავისუფლებას, კაცთმოყვარეობას გაუმარჯოსო.

გოგიტა: აუ, რა დრო იყო!!! (და „დიდია ჩვენი პარტია“ წამოიწყო ომბახიანად. ყველა საოცარი შემართებით აჰყვა).

მეორე სურათის დასასრული

სურათი მესამე

ნარკომანია — აკრძალული ხილი

ზურა ღვინოს წრუპავს, კვამლაც, ლიკაც, გოგიტა — არაყს, მამუკა და მანანა „ბორჯომს“ სვამენ. კონდიციონერი გამორთულია. ოთახი ისე გაიბუღა, ვინ „ჰიპია“, ვინ უბრალო მოკვდავი, კაცი ვერ გაარჩევს. ზურა წუნუნებს მსოფლიო ყირაზე გადადიოდა, მე სახლში, ისწავლე, ისწავლეო, ჩამჩიჩინებდნენ. მერე რა ვისწავლე...

ლიკა: ისწავლე დემაგოგიური საგნები, აგებული ტყუილზე, მარაზში, ხელოვნება გაყინული მე-19 საუკუნეში. წაიკითხე წიგნი? — რა, ბალზაკი (ლ-ს აწვება მაგრა)? და ის, რაც მე-20 საუკუნეში ხდება, რაც აქტუალურია ჩემთვის, რაც ფასეული, ის დაკეტილია, იგნორირებული და არარაობად მიჩნეული. თუ იქ, კედლის გაღმა, დროის და ვითარების შესაბამისად ცხოვრობდი, აქ გაცხოვრებდნენ ერთი საუკუნით უკან და შენს სათქმელ სიტყვას, როგორც თაობას, არ გათქმევინებდნენ. და ეს ინვევდა საშინელ პროტესტს. ადამიანური განვითარების წინა საფეხურზე გამყოფებდნენ, ჩარჩოებში გამწყვდევენ და აქედან მოდიოდა მთელი აგრესია.

ზურა: ამასთან ერთად, მუშაობდა აკრძალული ხილის სიტკბოს ფენომენიც — ახლა არის ერთი დიდი „ცეხი“, სხვა „ცეხების“ მსგავსად, და მას ნარკო-

მანიასთან ბრძოლის სამსახური ჰქვია. ამ „ცეხის“ ჩინოვნიკებს ვითომ ძალიან ალელვებთ ნარკომანიასთან ბრძოლა! ზოგს შეიძლება მართლაც ალელვებს, იმის გამო, რომ საკუთარი შვილი არ გაეხვეს ამ ამბავში, მაგრამ მთლიანობაში, ტყუილია ეს ყველაფერი. ეს არის დიდი, კარგად აწყობილი „ცეხი“, იმისათვის რომ იმუშაოს, რაც შეიძლება მეტი ადამიანები დაიჭიროს, „ბარიგები“ მგონი, სულაც თვითონ არიან, დიდ „მაყუთს“ ატრიალებენ და არაფერში აწყობთ ამ აწყობილი „ცეხის“ მოშლა. იმან იკითხოს, იმ საცოდავმა, ვინც ნარკოტიკის გარეშე ვერ ძლებს. ახლა ადამიანს იმის საშუალება არა აქვს, თავად განსაჯოს კარგი და ცუდი. იმიტომ, რომ სულ რაღაცას უკრძალავენ, ძალიან მონდობებით უკრძალავენ. აი, როცა არ უკრძალავენ, თავად მიხვდება ადამიანი, რომ განწირულია, ასე ცხოვრება არ შეიძლება, რომ ეს სიმარტოვეა.

ლიკა: და ჯაჭვი, რომელიც ამაზეა მობმული, მაშინათვე ჩამოვარდება და დაიმსხვრევა.

გოგითა: ნარკომანია პოლიციური პრობლემა არ არის, ეს არის ევოლუციური პრობლემა.

გოგითა ჭყონიას ამ ჩამკეტი ფრაზით სრულდება მეორე მოქმედება და ყველანი სიგარეტის კვამლში უჩინარდებიან.

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

მშობლები — კონფორმისტები

კონდიციონერი ჩართულია. საუბრის თემა — ჰიპები და გარე სამყარო. კონფორმტაცია ყველა თაობასთან.

ლიკა: საშინელი კონფორმტაცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან მოგვწონს ჩვენი მამები, იმ მომენტში ვერ ვპატიობდით მათ იმ ორმაგობას და ორმაგ თამაშს, რომელსაც ისინი ეწეოდნენ. თუმცა, დღეს, ამ გადმოსახედიდან, კარგად ჩანს, რომ სხვა გამოსავალი მათ არ ჰქონდათ. სინამდვილეში, მამების განცდილი სიმწრიდან მოდიოდა ჩვენი პოზიციაც. ის დამალული, რაც მათში იჯდა, თუმცა, მაშინ ჩვენ იმ სიღრმის და ტრაგიზმის აღმქმელები არ ვიყავით. ჩვენ გვაბოროტებდა შემდეგი: რატომ თამაშობ თამაშს, რომელიც შენ თავად იცი, რომ ბლევია. ჩვენი აგრესიაც აქედან მოდიოდა. განა, იმ დროს ჩვენი ტიპის ახალგაზრდა აპატიებდა ვინმეს კომკავშირის მდივნობას, ან საერთოდ, „კომსომოლობას“?

გოგითა: ამას ჰქვია კონფორმიზმის წინააღმდეგ აღმდგარი ახალგაზრდობა. კონფორმიზმი, ჩემი აზრით, იყო 60-70-იანი წლების დამახასიათებელი ფენომენი, რომელსაც კარგად მოერგნენ, ჩათბნენ. კონფორმიზმი ბუნებრივად მოვიდა და ისე შემოეპარა ჩვენს ქვეყანას, ეს ხრუშოვეკები, ეს შემეგუებლობა...

ვინც არ შეეგუა, ციხეში წავიდა. ეს ძალიან ჰგავდა „ბელკა ვ კალესეს“. მე, მაგალითად, სულ მინდოდა იქიდან ამოვარდნა, გაქცევა, არც ვფიქრობდი იმაზე, რა იყო, არც მაინტერესებდა, რა ერქვა ამას, უბრალოდ, მინდოდა ამ სიტუაციიდან გაქცევა. არც ბრძოლა, არც უბრძოლველობა, არაფერი მინდოდა, გაქცევა მინდოდა და გავიპარე სარკმლიდან.

ლიკა: ეს — შენი ტემპერამენტიდან გამომდინარე.

გოგიტა: ამ გაქცევით ჩვენ სადღაც სხვაგან გავედით და სადაც გავედით, იქ სულ სხვა პლანეტა გაიჩინა. მთელი მულაში იმაში იყო, რომ სინამდვილეში სხვა პლანეტაზე გავედით. ის პლანეტა ჩვენთვის ყველაზე მისაღები — ჩვენი პლანეტა იყო. არ იყო არც იმათი, არც ამათი — რაღაც სულ სხვა, რომელსაც ჰქონდა თავისი რელიგია, წესი, პატიოსნება, თავისი საიდუმლო, უმკაცრესი შინაგანი მორალით... იდეაში ცოტა „ბეტმენს“ ჰგავდა — არც მინისა და არც ცისა.

ლიკა: ჩემს სახლში, სადაც არაფორმალური ორგანიზაცია ჩამოვყალიბეთ, იყო ჯარიმების პრეისკურანტი. მაგალითად, ერთმანეთის მიმართ გამოვლენილი ნებისმიერი სოციალური ძალადობა ისჯებოდა, ვთქვით, მანეთით და 25 კაპიკით. იქვე იდგა ყულაბა, რომელშიც ეს ჯარიმები გროვდებოდა.

კვაშალა: ჩვენ ახლა იქით გადავაბიჯეთ, სადაც, რა თქმა უნდა, ბევრი ნაგავი იყო. ყველამ იცის, ბაბუაჩემი ცნობილი ჩეკისტი იყო, მაგრამ რასაც მე მაშინ გიტარას ვაღრიალებდი, აბა, ერთი ხმა ამოელოთ. მე ჩემსას ვიცავდი კბილებით. ბაბუაჩემი რას აკეთებდა, ამაზე არ ვფიქრობდი. ამას თუ ძირში ჩავყვებით, ძალიან შორს წავგიყვანს. ერთი მახსოვს კარგად, მაშინ ძალიან პოპულარული იყო სადღეგრძელო — „ყველა გაჭირვებულ ადამიანს გაუმარჯოს“. ციხეში ვინც იჯდა, იმას გულისხმობდნენ. ციხეში ბევრი უდანაშაულო ადამიანი იჯდა.

ლიკა: რამდენი პროვოკაცია იხლართებოდა იმისთვის, რომ კრიმინალურ ხაფანგში ჩაეთრიე. თუ პატრონი არ გყავდა და პიროვნულად გამორჩეული ან გამოკვეთილი იყავი, მაშინათვე კრიმინალურ კატეგორიაში გიხილავდნენ.

გოგიტა: შეიძლება ამასაც აქვს თავისებური ახსნა. აქ, გარეთ სვამდნენ იმ ადამიანის სადღეგრძელოს, ოთხ კედელში რომ არის გამომწყვდეული და მეხუთე კედელს ეძებს. ის მეხუთე კედელი იყო სწორედ ძიების საგანი.

ზურა: მეორე საშინელება იყო ფარისევლობა. ვიცოდით, რა იყო ტყუილი, ამ ტყუილში ვცხოვრობდით. ვიცოდით, რა იყო სიმართლე, მაგრამ მაინც ტყუილში ვცხოვრობდით. ახლა ორმაგი ფარისევლობაა. ხალხი მიიჩნევს, რომ ტყუილი გადავაგდეთ და ვცხოვრობთ სიმართლეში, ამ სიმართლეში კი ვაკეთებთ იმას, რაც ორჯერ მეტი ცოდვაა და ტყუილი. მაშინ წინა პირობა იყო ტყუილი, ახლა წინა პირობა ვითომ სიმართლეა — ყველანი ვიტყუებით.

კვაშალა: ის მემამბოხეობა, რაც ჩვენ შემოვიტანეთ, ძალზე გადამდები იყო. ოზურგეთში დავანგრეთ ყველაფერი, მთელი ახალგაზრდობა ჩვენთან იყო, სოხუმშიც. ის მემამბოხეობა პროფესიულ სცენაზე გადავიტანე, მე რომ „ივერიაში“ მივედი, სულ ორ სიმღერას ვმღეროდი და ეს სიმღერები მიდიოდა

გრიფით „სიმღერები საზღვარგარეთის რეპერტუარიდან“. ეს იყო „დიფ ფარფ-ლის“ ორი სიმღერა. მაშინ ამის აფიშაზე დანერა არ შეიძლებოდა. ღირექტორი გუგული ყოფიანი, ყოველი კონცერტის შემდეგ, დამიჭერენო, „ტიროდა“. პო-ლიცია დაიძახებდა — „ფაია“ ინყება და მეოთხე სექტორს ზემოდან დაუარეთ, ბიჭებო.

მა მუკა: გახსოვს, ერთხელ ჩვენზე კრიტიკული წერილი რომ დანერეს — ესენი თავიანთი ჩაცმულობით და ქცევით, თვით განთქმულ „ბითლზებსაც“ გა-აკვირვებდნენო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეს რა მაგრები ვყო-ფილვართ, რომ თურმე „ბითლზებსაც“ გავაკვირვებდით.

კვაშალა: აბა, სულელები. არადა, „ბითლზების“ არც ერთ სიმღერას არ ვმღეროდით.

ზურა: პო, „ბითლზებს“ ძალიან ფრთხილად ვეკიდებოდით, ძირითადად, „როლინგ სტონზის“ რეპერტუარს ვასრულებდით. პირველი ქართული სიმ-ღერა როკის სტილში ჩვენ ვიმღერეთ — სანთელივით დავდნები. ძალიან ძნე-ლია, ქართული ენა როკს მიუსადაგო.

ოთახი ისევ სიგარეტის კვამლით გაიბულა. კონდიციონერი გამორთულია, გარეთ საშინლად ცხელა.

სურათი მეორე

მოვიდა „თავისუფლად ამოსუნთქვის“ დრო!

ოთახი ისევ საორკესტრო ორმოს დაემსგავსა, სადაც კონცერტის წინ ასი სხვადასხვა ჟღერადობის ინსტრუმენტს ერთდროულად აწყობენ.

მანანა (ყურნალისტი): თუ შეიძლება, მომისმინეთ! ერთი შეკითხვა კიდევ მაქვს. რას ნიშნავდა თქვენთვის „პერესტროიკა“? გაგიჩნდათ თუ არა მაშინ იმედი, რომ თავისუფლად ამოსუნთქვის დრო მოვიდა?

ლიკა: ამ შეკითხვის გამო, ისევ თვითმფრინავის თემას დავუბრუნდები. რატომ დატრიალდა ეს ტრაგედია! ჩემი აზრით, იმიტომ, რომ 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში დაიწყო რაღაც, რასაც ჰქვია „გაგანია ზას-ტი“, და სივრცე ისე დაიხუთა, ნებისმიერი მგრძნობიარე სული ტრაგიზმამდე მიდიოდა. რაღაცა აუცილებლად უნდა გარღვეულიყო. ამ ბავშვების რეაქცია სწორედ ამ სოციალურ მოვლენაზე იყო აღმოცენებული. თუ შინაგანად არ გაქვს განცდილი ეს აბსოლუტური ხუთვის განცდა, ალბათ, ვერასოდეს გაი-გებ იმ იმპულსს, რამაც განაპირობა თვითმფრინავის გატაცება. ზუსტად მახ-სოვს, ეს მოხდა და, ერთი თუ ორი კვირის შემდეგ, დაიწყო კიდევ „პერესტრო-იკის“ წინა პერიოდი: შემოდის პირველი იმპულსები, რაღაც ისეთი გადის ეთერში, რაც ადრე არ გადიოდა. მოსკოვში ავანგარდის პირველი გამოფენა გაიმართა... და აი, ჩნდება თავისუფლების იმედის, რალაცნაირი შემართებისა და ძალის იმპულსი. თითქოს, უარესი გათავდა, მთელი ეს დანწეხილი ენერგია

ზემოთ ამოდის და სწორედ აქ, ამ დროს, წინ მოდის ეროვნული იმპულსი თავისი უმახინჯესი გამოვლინებით, რასაც ჰქვია პროვოკაცია — საქართველოს ტრაგედია. ამის გაუცნობიერებამ ჩვენ დაგვანგრა. კიდევ კარგი, დღეს მაინც დაიწყო იმ ინფრასტრუქტურის აღდგენა და გახსენება, იმის აღიარება, რომ თბილისში ეს უკვე იყო, და იყო უნიკალური. თბილისი პეტერბურგზე ავანგარდული იყო თავისი აზროვნებით, კულტურული დრეკადობით, თავისი „ვესტიტით“. თბილისი ბევრად უფრო იყო ინტეგრირებული ევროპულ სივრცესთან, ვიდრე ნებისმიერი ტალინი ან რიგა. ყველაფერი ეს ჩვენთან ჩაქოლეს და რითი აპირებენ ამის გაუცოცხლებლად ევროპასთან ინტეგრაციას, არ წარმომიდგენია. თავისუფალი სულის ადამიანები, ვინც ეს უმძიმესი წნეხი გამოიარა და ვისაც ამ დიდ გზაზე არაფერი მიეცხო, ვინც „გადარჩა“, როგორ ფიქრობთ, სად დგანან ახლა ისინი, ან საიდან მოვიდნენ ისინი, ვინც დღეს თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანას „აშენებენ“? საიდან მოვიდნენ და როგორ მოხდა, რომ ის ნამდვილი ნოვატორები და ავანგარდისტები ისევ გვერდზე დარჩნენ, ისევ ზღვარს მიღმა — ისევ მარგინალები? განა მათ უკეთ არ იციან კულტურული, თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის შენების წესი და პრინციპები? საიდან მოვიდა ის ხალხი, ვინც ათი წელია, მართავს, ვისაც ჩვენ საერთოდ არ ვიცნობდით, ასე ბრმად ვენდეთ, ხმა მივეცით და ახლა ვუყურებთ, როგორ გვამხოვენ ამ ქვეყანას თავზე.

მამუკა: ჩვენი მოძრაობიდან რომ არავინ არის, ეს ხომ ფაქტია!

ზურა: ნუ, ეს ისევ ის ხალხია, ვინც უფრო მოქნილია. იდეალით კი არ ცხოვრობს, იცის, როგორ მოერგოს დღევანდელ ყოფას. ყოფილი პირველი კომკავშირელი პირველი დემოკრატია და ასე შემდეგ.

ლიკა: აიღე, თუნდაც, არასამთავრობოები, დღეს რომ ბევრს ყიყინებენ. სად იყო მაშინ რომელიმე მათგანი, როდესაც ვიღაც-ვიღაცეები ჩუმად, იატაკქვეშ პროგრამებს წერდნენ, კათედრის გამგეობაზე უარს ამბობდნენ (80-იან წლებს ვგულისხმობ), სად იყო მაშინ მათი მოქალაქეობრივი ტონუსი, დღეს რომ ცხვირში გვჩრიან ამ თავის „მოქალაქეობრივ ტონუსს“? სად იყვნენ მაშინ, სად მოღვაწეობდნენ? ისინი ხომ მაინც წარმოადგენენ იმ თაობას, წესით, რომ უნდა გვცნობოდა?

მანანა: საქმე ის არის, რომ ავანგარდისტები ინერტულები არიან კარიერის მიმართ, მათთვის ბრძოლის და იდეალის საგანი აბსტრაქტულია. თანაც, ვერც „მოძრაობას“ ასწრებენ ისე მოხერხებულად, როგორც „საჭიროა“.

ზურა: ესეც არის და ბევრი სხვაც. პირდაპირ გიცხადებენ, რომ სჯობს ის ადამიანი მოვიდეს სათავეში, ვინც მართლა დემოკრატია, სწორად აზროვნებს (ანუ თვითონ), თან დასძენს — იმიტომ მოვიდვარ, რომ ეს ქვეყანა გადავარჩინოო, ვნირავ საკუთარ თავს, დროს, ნიჭს (თუნდაც კომერციულს), შესაძლებლობებს... და მოკლედ, აქეთ გამადლის, რომ შენს კეთილდღეობას ეწირება მისი თავისუფლება და დიაპაზონი. იმიტომ კი არ მოვიდა, რომ ხელი მოითბოს, არამედ

— შენი სატარებელი ჯვარი ატაროს. ჩვენნაირი ინერტულები, მისი აზრით, ისეც იმათი სათრევია, მათი, ვინც აქტიურია, ენერგიული და მოწესრიგებული.

მ ა ნ ა ნ ა : გინდათ, რომ სადავეები ხელში დაიჭიროთ და მართოთ? (ბიჭებს ეცინებათ).

ლი კ ა : მე მინდა და, დავიჭერ! ერთადერთი, რასაც ჩემს თაობას ვაბრალებ, არის ის, რომ ჩვენ მოვედით ნგრევით, საკუთარი თავის ნგრევით. დავანგრეთ ჩვენი დღის წესრიგი, ჩვენი ყოველდღიური დღის წესრიგი. შრომის კულტურა, ასი ათასი რამ ისეთი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ A ნერტილიდან B ნერტილში გადაადგილდე და თან მიზანს მიაღწიო. თუ ეს ვერ შეცვალე, ვერც ერთ სფეროში პროფესიონალი ვერ გახდები. დაწყება კი ყოველთვის შეიძლება. ის, რომ ხვალ შეიძლება ბებია გახდეს, არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება იყო პიონერი.

გო გ ი ტ ა : ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. ისინი, ვისზეც თქვენ ლაპარაკობთ, სულ რაღაცაში არიან ჩართულები, კონკრეტულად აქვთ სადავო. ვილაცას სულ სასამართლო საქმე აქვს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. ასეც უნდა იყოს. ეს ნიშნავს იმას, რომ პროცესი დაიწყო. ჯერ ერთი, მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც სჯერა, რომ ახლა და ამ წუთში რაღაცა ხდება ქვეყნისთვის — თვითონ თუ მაგრა დგას, ქვეყანაც მაგრა დგას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ყველაფრის სახელში წაღება უნდა და ქვეყნისთვის — არაფერი. ეს ასე არ არის. პროცესი მიდის ქონების, ძალაუფლების, ქვეყნის, ყველაფრის გადანაწილების — ხელისუფლების მოპოვების. ეს ბუნებრივი პროცესი და ბუნებრივი ვნებათა ღელვაა. ჩვენ კი, იდეაში, ყველანი ცოტნე დადიანები არა ვართ. ნამდვილი, ლამაზი ბიჭების დიდი ნაწილი წავიდა, ზოგი დაიხოცა. ბევრი მოაზროვნე ან ცოცხალი აღარ არის, ან საერთოდ დატოვა ეს ქვეყანა.

ლი კ ა : ყველა ნამდვილი მოთამაშე და ავანტიურისტი წავიდა.

გო გ ი ტ ა : რომ წავიდნენ, ესეც პროცესია, გაანგარიშებული პროცესი. ამ საყოველთაო პროცესში უძლიერესი ძალებია ჩარეული. საქართველო მათთვის C კვადრატია და როგორ უნდა განანილდეს მართვის სადავეები ამ C კვადრატზე, ის ძალები წყვეტენ. ვინც ამ ძალებმა შეარჩიეს და შედარებით ადვილად იმართებიან, საქმესაც სწორედ ისინი ასრულებენ. ამიტომ რთულია, შევარდნაძისთვისაც რთულია ამ პროცესში მართვა.

ლი კ ა : ჰოდა, სწორედ აქ არის საჭირო ლავირება. მაშინ ხარ შენ და გქვია სახელმწიფო, თუ ყოველივე ამას გაითვალისწინებ.

მ ა მ უ კ ა : და გვჭირდება ნამდვილი ეროვნული მთავრობა, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა. მეტი არაფერი.

გო გ ი ტ ა : ბოსტონში ჩემი მასპინძლის ქმარი ძველი როკერი და ჰიპი იყო, ძალიან ცნობილი როკ-ანსამბლის სოლო გიტარისტი. სურათები მაჩვენა: თავისი ჰარლეი, კონცერტები... ეს კაცი, უკვე დაბერებული, ძალიან ჰგავდა ქართ-

ველს. საერთოდ, როცა რალაცა დასასრულს უახლოვდება, ყველა რატომღაც ქართველს ემსგავსება ხოლმე. ქართველებს გვაქვს ის რალაც მსოფლიური განცდა, რომ სამყარო არ არის ზეიმისთვის მოწყობილი — „ზეიმისთვის ჩვენი პლანეტა მოუწყობელია“. ჩვენი პრობლემა ახლა ის არის, რომ ის მიზეზი მაინც გადავარჩინოთ, რაც საბჭოთა წნეხის დროიდან შემოგვრჩა. ახლა ფილმს ვამთავრებ, რომლის სლოგანია: კინოს მაგისტრი ნარცისი გიგო, რომელიც კეთილშობილი ცრემლისგან, ტოტალიტარული წნეხის ქვეშ, მაყურებლის თვალწინ ფილოსოფიურ ქვას გამოაკრისტალებს და ამას ჰქვია მარგალიტის შვიდი ნახნაგი — შვიდი ნოველა — კონკრეტულად, ჩვენ რა უნდა ვილაპარაკოთ? ვკითხულობთ, ვინ საიდან მოვიდა, ვბჭობთ, ხვალ რა იქნება, რა უნდა ვაკეთოთ, ეს პროცესია. საჭიროა კონცენტრირება დიდ შეერთებაზე და სანამ ქართველები დებილებით გახლეჩილები, „ჩორთებს“ აყოლილები ვიქნებით, სანამ ჩვენ ერთ დიდ ოჯახს არ ვადღეგრძელებთ, არაფერი გამოვა. ჩვენ საბჭოთა იმპერიის დაისში მოვყევით. ამ უტოპიური იმპერიის მზე ჩაესვენა.

მამუკა: 60-იანი წლები იყო იმპერიის ზენიტი.

გოგიტა: ჩვენი ცხოვრება რაც იყო, სულ იმპერია იყო. კედელი იყო, ჩვენ ჰიპები ვიყავით და კედლის გარღვევა გვინდოდა. ჩვენ თავს ციხეში ვგრძნობდით, ჩვენი ესთეტიკა, თავიდან ბოლომდე, ციხის ესთეტიკა იყო. კედლის გარღვევა, ისიც ნელ-ნელა იხვრიტებოდა და დასავლეთის კულტურა რადიოთი, მაგნიტოფონებით, ტრანზისტორებით ძლივს ატანდა იმ კედლის ხვრელებიდან. მერე, უცებ, ერთბაშად ჩამოინგრა ეს კედელი.

სურათი მესამე

ლიკა და გოგიტა ცალკე საუბრობენ, მამუკა, კვაშალა და ზურა — ცალკე. მანანა ჩანანერებს ამონებებს. გოგიტა ხარხარებს და ამბობს: კოტე ყუბანეიშვილს ახალი შაირი დაუნერია: „რა ეშველება ამ ჩვენს ტაკუნებს, როცა სიბერე მოგვიკაკუნებს“. ზურა ამბობს, რომ ამას წინათ კოტეს თარგმანები წაიკითხა და ძალიან მოენონა. მის „უადგილო“ აღფრთოვანებას იქვე ამინებს ლიკა.

ლიკა: კოტე მეტყველებს თანამედროვე ქართულ, თბილისურ ენაზე და იქ თავის თავს მაქსიმალურად გამოხატავს. და როცა თავის თავს უმტკიცებს, რომ ისიც შეუძლია, რასაც კლასიკური ლექსის ნყოფა ჰქვია, იქ კოტე ჩემთვის უცხოა. ველარ ვარჩევ, კოტეა თუ ბებიაშისი ლენა. კოტეს კარგი თარგმანები კი არა, კარგი ლექსები აქვს. ძალიან კარგ და მისასალმებელ მოვლენად მიმაჩნია ახალგაზრდა ბიჭების გამოჩენა მწერლობაში, მუსიკაში... კარგები არიან, ძალიან ნიჭიერები, მშვენივრად გამოხატავენ თავის თავს, კარგ რეკლამას უწევენ საკუთარ შემოქმედებას, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ არც ერთი არ არის იმ ცოცხალი იმპულსის მატარებელი, რისი მატარებელიც არის კოტე. მათ არა აქვთ ის მაცოცხლებელი რადიკალიზმი და ის სპექტაკლიც — „ჯინსების თაობა“ — თემატური შეხება ვითომ მწვავესთან, არ არის ნამდვილი სიმწვავე. ძა-

ლიან მიყვარს დათო, მომწონს მისი შემოქმედება, მაგრამ სულ ერთი პრობლემა მაქვს მასთან: ის მეკითხება „რატომ არ მიგაჩნია, რომ მე ვარ კონტრკულტურა?“ — არა ხარ, იმიტომ, რომ არა გაქვს იმ რადიკალიზმის ელემენტი, რადიკალური ცვლილების იმპულსს რომ ატარებს. შენ ზედაპირზე დასრიალებ.

მ ა ნ ა ნ ა: და შენ შეგიძლია ეს ფორმულა მთელ ამ თაობას მიუსადაგო?

ლი კ ა: ყველას, კარდა კოტესი. კოტე ნამდვილი კონტრკულტურაა.

მ ა ნ ა ნ ა: საზოგადოებრივი მოთხოვნა ამ კულტურაზე საკმაოდ დიდია. არის თუ არა ეს ამავე დროს მასკულტურა?

ლი კ ა: ეს მასკულტურა არ არის, ეს არის კულტურა და კარგი ხარისხის, მაგრამ ეს არ არის კონტრკულტურა, რომელიც განახლების იმპულსის მატარებელია.

კ ვ ა შ ა ლ ა: არის რო დღეს ჩვენში კონტრკულტურა? (თავისთვის კითხულობს)

ლი კ ა: როგორ არ არის. კონტრკულტურა არის ყველა კულტურაში და ყოველთვის, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ნომენკლატურით გაშუქებული. ისევ და ისევ, კონტრკულტურისთვის დამახასიათებელი პიროვნული შიმშილია ჩვენთან, გარკვეულ სივრცეში ვერჩაკეტვის, ან სოციალური შიმშილი.

სურათი მეოთხე

კამათობენ, რა უნდა იყოს: მუსიკა — თუ მუზიკა. მთელი მსოფლიოს ენებზე მუზიკაა და ჩვენთან რატომ უნდა იყოს მუსიკაო, ჩივის კვაშალა.

მ ა ნ ა ნ ა (ზურას ეკითხება): — გინდა, ერთხელ ისეთი ექსპერიმენტი ჩაატარო, რომელიც სრულად გათქმევენებს შენს სათქმელს.

ზ უ რ ა: თეატრში ექსპერიმენტს ახალგაზრდაც უნდა ატარებდეს და ხანდაზმულიც. არიან ასეთი ხანდაზმული მსახიობები თეატრში — მაგრები, მე მათ „ჯაზმენებს“ ვეძახი. მსახიობი პენსიაზე მე ვერ წარმომიდგენია. იმისთვის, რომ ახალი და საოცარი ააშენო, თან თეატრში, არ არის აუცილებელი, ქვა-ქვაზე არ დატოვო. ეგებ იმ ძველზე უფრო კარგი რამის აგება შეიძლება (ვერიკოს იხსენებს, მის უკანასკნელ წლებს თეატრში, მერე — ვასო გოძიაშვილის კურიოზებს, ბაძავს აკაკი ვასაძეს, სხვებს და ტავერნის აუდიტორია სიცილით იხოცება).

ლი კ ა (ძალიან პათეტიკურად): ჰოდა, ჩვენ ვისხედით გრიბოედოვის ძეგლთან, იმიტომ, რომ გადარჩენილიყო ვერიკო და ქართული კულტურა.

კ ვ ა შ ა ლ ა: არ გინდა, ახლა ისევ წამოგანვინა გრიბოედოვთან. ერთი სურათი მაინც გადაგველო?!

ზ უ რ ა: ჰო, ბიჭო, წამონებები, თორემ არ გამოგეკიდოს პარლამენტი.

კ ვ ა შ ა ლ ა: რაც მე ამ ბოლო დროს ძეგლების და დანესებულებების კიბეებზე წამონოლილი ხალხი მინახავს, ვინ არის პატრონი.

ფინალი

ლიკა: მე მინდა ეს შეხვედრა ოპტიმისტურ ტონალობაში დავამთავრო. მე ვამბობ, რომ აი, აქ, გინდ ამ თაობის ზნეობრივ ღირებულებებში, გინდ ამ თაობის სახეში, გინდ ამ თაობის რეფორმატულ იმპულსში, გინდ მის განცდაში სამყაროსი და ამ სამყაროს განცდისკენ სწრაფვაში, და მთლიანობაში, ძალიან დიდი კაპიტალია ჩადებული. მე კიდევ ვამბობ, ნუ ვეძახით ჩვენს თაობას, საკუთარ თავს პენსიონერებს. ჩვენ ჩვენს სიტყვას ვამბობთ პოლიტიკაში, ბიზნესში... აი, ამხელა გამოცდილებადანაგროვები, ამხელა განცდადანაგროვები და ამხელა ტექნიკა-და ინდუსტრიადანაგროვები, და... ოღონდ იყოს ერთი ფითილი, ერთი შემოგდება და ზურა, მომიკლავს შენი დონჟუანი, იცი, რა „შიკი“ იქნები!

მანანა: აი, ვერიკო!!!

ლიკა: და როგორი ლამაზი, განუმეორებელი იქნება ტოტალიტარული წნეხის ქვეშ კეთილშობილი ცრემლისგან გამოკრისტალებული შვიდნახნაგა მარგალიტი...

კვაშალა: და მანჩო, იცი, როგორ დაასრულე ეგ შენი პიესა — რა ეშველება ამ ჩვენს ტაკუნებს როცა სიბერე მოგვიკაკუნებს?

ეპილოგი

ფსიქოლოგის დიაგნოზი პიესის მოქმედი გმირების ჯანმრთელობის სამედიცინო დასკვნა.

ექსპერტი (ანონიმი): შემდგარი ადამიანია ყველა — სევდით, ტკივილით, ილუზიებით, სულის სიფართოვით, რბილი, კეთილი, პლასტიკური დამოკიდებულებით სამყაროსადმი. თუ გავითვალისწინებთ, რომ უკიდურესად რადიკალური იმპულსით მოსულმა ამ თაობამ ყველაზე მეტი დაკარგა (ყველაზე მეტი მეგობარი გაქცეული საზღვარგარეთ, არაბუნებრივად ბევრი სასაფლაო გარშემო, ილუზიების კარგვის და ხელყოფის ათეულწლიანი ვარამი), შეიძლება ითქვას, რომ იგი მაინც „პრაქტიკულად ჯანმრთელია“, თუმცა, სოციალურად შევინროებული. ყოველ მათგანს საქმის კეთება და ახლის შექმნა შეუძლია.

გაზ. „დილის გაზეთი“, 11-12 ივლისი, 2001 წელი.

აბიტურიენტთათვის სასწრაფოდ წასაკითხი „შპარგალკა“

კიდევ რამდენიმე დღე და მთელ საქართველოში ერთდროულად შემოჰკრავს დიდი საგამოცდო ნალარა. ახლა კი, ვიდრე ყველაფერი დაიწყებოდეს, ყველა უმაღლესი სასწავლებლის კედლის ორივე მხარეს აბიტურიენტთა და გამოცელთა არმიაა განლაგებული. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად უახლოვდებიან ერთმანეთს. პირველნი აშკარა რიცხობრივი უპირატესობით გამოირჩევიან, მეორენი — აღჭურვილობით, გამოცდილებითა და გეოპოლიტიკური მდგომარეობით. პირველებს, პროლეტარიატის არ იყოს, ბორკილების გარდა, არაფერი აქვთ დასაკარგი, მეორეებმა კი კარგად იციან, რომ ერთი მცდარი ნაბიჯი ბუმერანგით მოუბრუნდებათ. პირველი არმია, ერთ მუშტად შეკრული, შეტაკებისთვის ემზადება, მეორე — დისლოკაციების მიხედვით, კომისიებად დანაწევრებული — თავდაცვისთვის. ერთი ასეთი კომისიის ოთხკაციანი ჯგუფი, წინასაგამოცდო მოთელვისათვის, ძირითად ბირთვის გამოეყო და ნეიტრალურ ტერიტორიაზე — ტავერნა „მაიკოში“ დაბანაკდა. ისინი „დილის გაზეთის“ დელეგატ მანანა დუმბაძეს თავიანთ საგამოცდო სტრატეგიასა და ტაქტიკაზე ესაუბრებიან. კომისიის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობენ, თამარ ჯაფარიძე (შემდგომში — თამუნა) — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კომისიის თავმჯდომარე (მას შემდეგ, რაც ამ საქმიანობას მიჰყო ხელი, ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები და თაყვანისმცემლები შემოაკლდა), ქეთევან ნიკოლაიშვილი (შემდგომში — ქეთი), თამრიკო ჩხეიძე (ორივე იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც თამუნა, თუმცა, თამრიკო ჯერ კიდევ პასუხობს სატელეფონო ზარებს) და გია ყუფარაძე (სტუდენტები მას „ბასკერვილების ძაღლს“ ეძახიან, მაგრამ გიას არ სწყინს, პირიქით, უხარია კიდევ, რომ სტუდენტებს კონან დოილი წაკითხული აქვთ).

„დილის გაზეთის“ დელეგატ მანანა დუმბაძეს (შემდგომში — დელეგატი), ბუნებრივია, ყველაზე მეტად აინტერესებს, რას გრძნობენ კომისიის წევრები წინასაგამოცდო პერიოდში, რა განცდები ეუფლებათ (თუ ეუფლებათ, საერთოდ) „არენაზე“ გასვლის წინ, რას ეტყვიან ისინი აბიტურიენტებს და რას ეტყვიან აბიტურიენტები მათ?!

თამუნა: — ათასნაირი განცდა გვეუფლება, იმედიც. მაგალითად, მე, იმედი მაქვს, რომ გავხდები, იმიტომ, რომ, საერთოდ, ვერ ვასწრებ ჭამას. წინასწარ განვიცდი იმის გამო, რომ ვიცი, აუცილებლად მოენყობა ისტერიკაც, გვეშინია, თვითონ არ შეგვეშალოს რაიმე. მოკლედ, გამოცდა ჩვენთვისაც ბენვის ხიდზე სიარულს ჰგავს. არცთუ კარგი განწყობით შევდივართ, თანაც ძალიან გადაღლილები. ცუდია, რომ გამოცდები ზაფხულშია. შიშით შევდივართ, ფრთხილად, დაახლოებით ისე, როგორც „ზონაში“. ეს ყველაფერი რალაცით ციხეს ჰგავს.

დელეგატი: — თუ გახსენდებათ, რომ ოდესღაც თქვენც აბიტურიენტები იყავით და ასე ბატკნებივით შედიოდით გამოცდებზე? სამწუხაროდ, ჩვენში ახალგაზრდებს არ ვაცლით ხოლმე პროფესიის არჩევას. სკოლის მერხიდან, ხანდახან, პირდაპირ იქ ვერეკებით, სადაც, თურმე, საერთოდ არ ყოფილა მათი ადგილი.

თამრიკო: — სწორედ ამ შეკითხვით ვინყვებთ გამოცდას, არის თუ არა ამ ფაკულტეტზე შემოსვლა უშუალოდ მისი არჩევანი. თუმცა, არჩევანი უკვე არსებობს და შენ ველარაფერს შეცვლი, უბრალოდ, უნდა შეაფასო მისი ცოდნა.

თამუნა: — როცა კომისიას ვადგენთ, უპირველესად, ისეთ ხალხს ვინვევთ, ვინც ბუნებით კეთილგანწყობილია. აბიტურიენტი გამოცდის დროს ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ უმაღლესში მოხვდეს. ჩვენი მოვალეობაა, მისგან სრულიად ამოვქართ ცოდნა, ისე, რომ არ დაიბნეს. ამიტომ, პირველი, რასაც ვაკეთებთ, ვთხოვთ, არ აღელდეს, მივმართავთ უშუალოდ, სახელით. ისინი, ჩვეულებრივ, საშინლად ღელავენ, კანკალებენ. ხშირად ისე, რომ მოსაბრუნებლები არიან და ამისთვის ჩვენც მზად ვართ. ვცდილობთ, გავუიოლოთ გამოცდელთან ურთიერთობა.

ქეთი: — მე განსაკუთრებით შარშან შემეცვალა დამოკიდებულება მისადეზი გამოცდებისადმი, როცა თავად ვიყავი მშობელი და საკუთარ თავზე გამოვცადე ეს ციებ-ცხელება. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჩემს შვილს, რომელიც საოცრად ემოციურია, გამოცდელები კეთილგანწყობით მოპყრობოდნენ. სხვა შემთხვევაში, მას შეიძლება, ისიც დაგინწყოდა, რაც იცოდა. გარეთ რომ ვიდექი იმ მხურვალე მზის ქვეშ, კიდევ უფრო მძაფრად ვაცნობიერებდი, რამდენად მნიშვნელოვანია, გამოსაცდელს გულისხმიერად მოეპყრო.

გია: — ამას რომ ვითვალისწინებთ, ამიტომაც არის, რომ ჩვენს მიმართ პრეტენზია ნაკლებია ხოლმე. უფრო ხშირად მადლობას გვიხდიან. უარყოფითი ნიშნის დანერის დროსაც კი უთქვამთ: თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, თქვენი ბრალი არ არისო. ერთი ძალიან საყვარელი პედაგოგი გვყავს კომისიაში — ქალბატონი ციალა საკარული. ის თვითონაა ხოლმე მოსაბრუნებელი, როცა დაბალ ნიშანს წერს. ერთხელ, ერთ ზორბა ახალგაზრდა ყმანვილს უარყოფითი ნიშანი დაუწერეთ და ციალას დაევალა ნიშნის გამოცხადება. საცოდავს ცივმა ოფლმა დაასხა. შემოიყვანეს ის ბიჭი, დასვეს, იმან ფეხი ფეხზე გადაიდო, სკამზე გადაწვა და „უჟუჟაკის“ ღეჭვა დაიწყო. ციალას ხელები უკანკალებდა, ძლივს ლულულულებდა: „ვაიმე, დედიკო, არ ინერვიულო, შენ შემოგველე, ცუდი ამბავი უნდა გითხრა“... —და ვერ ეუბნება, ისე ცახცახებს. მერე ის ბიჭი თვითონ მოუბრუნდა და უთხრა: რა მოხდა, ქალბატონო, დაბრძანდით და დანწყნარდით, მოგცლიათ ერთი, რა განერვიულებთო. აი, ასეც ხდება.

თამრიკოები (ერთად) — გამოცდის ჩვენებური მეთოდი იმით არის კარგი, რომ სრულიად გახსნილია, ყველა ერთმანეთს უსმენს, ყველამ იცის, ვინ როგორ პასუხობს და რისი ღირსია. ამიტომ გამოცდაც ექსცესების გარეშე მიმ-

დინარეობს. მთავარია, აბიტურიენტმა არ იგრძნოს, რომ ჩაგრავენ. კომისიის შედგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი მინისტრთა კაბინეტს ჰგავს, თანამოაზრეთა ერთი გუნდია, რომლის ყველა წევრი ბოლომდე ენდობა ერთმანეთს. არცთუ იშვიათად, იცი, რომ ესა თუ ის პედაგოგი კარგი პროფესიონალია, მაგრამ მაინც არ იყვან კომისიაში იმ ნიშნით, რომ ვთქვათ — ნერვიულია, შეიძლება წყობიდან გამოვიდეს. გამოცდის დროს უმთავრესი მაინც ის არის, რომ წყობიდან არ გამოხვიდე.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — ვინ ადგენს კომისიას?

თ ა მ უ ნ ა : — თავმჯდომარე (ესე იგი, თვითონ). ამ მხრივ, უნივერსიტეტში სრული თავისუფლებაა, არავითარი დიქტატი. დგება 15-16-კაციანი კომისია. გუნდს ვირჩევ მე, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ ამა თუ იმ პედაგოგს უკვე ხომ არ გაუვიდა საგამოცდო კომისიებში მონაწილეობის სამწლიანი ვადა. არ შეიძლება, კომისიის წევრობა პროფესიად იქცეს. უდიდეს როლს ასრულებს ნდობა. კომისიის ყველა წევრი ბოლომდე უნდა ენდობოდეს ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ პროფესიონალიზმს და ადამიანურ თვისებებს. ხშირად გამოცდის წინ ისეთ რამეს მოვიფიქრებ ხოლმე, რომ აბიტურიენტებმა გაიცინონ. ეს იმისთვის, რომ ერთი წუთით მაინც დაავინყდეთ, სად არიან და მიხვდნენ, რომ ეს სასაკლავო არ არის.

გ ი ა : — პატარა ანესთეზია ნამდვილად საჭიროა. აი, მაგალითად — დამითვალე ათამდე და ვიდრე ის ათამდე დაითვლის, მოდუნდება, შენ კი მშვიდად და მეგობრულ ატმოსფეროში აგრძელებ შენს საქმეს.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — იძლევა თუ არა გამოცდა იმის საშუალებას, რომ აღმოაჩინო ახალგაზრდა, რომელიც მართალია, ახლა არ არის მაინცდამაინც კარგად მომზადებული, მაგრამ პოტენციურად საუკეთესო სტუდენტია.

ქ ე თ ი : — როგორ არა, ხშირად გვქონია ასეთი შემთხვევა და ამან განაპირობა ის, რომ როდესაც საგამოცდო შეკითხვებს ვადგენთ, ამ ფენომენსაც ვითვალისწინებთ.

თ ა მ უ ნ ა : — მაგალითად, ლექსიკონის შემოტანის უფლებას ვაძლევთ. ოქმშიც შეგვაქვს აბიტურიენტის დეტალური დახასიათება, რაც თავმჯდომარესთან მიდის. თუ აბიტურიენტს ასეთ პოტენციას დაფუნახავთ, შეიძლება, ნიშანიც წავუმატოთ, მაგრამ შეიძლება, უგუნურობამ ისე გაგაგვიყოს, რომ ნიშანი დააკლო.

გ ი ა : — ისე, ხმას ამოიღებს თუ არა, უკვე გრძნობ, რა შეიძლება ამ ბავშვისგან გამოვიდეს. გამოცდილება მაინც თავისას შერება, ხომ არ შეიძლება, კონსერვატორიაში აბარებდე და ხმის ნატამალი არ გქონდეს...

ქ ე თ ი : — მე მაინც სულ ის მახსოვს ხოლმე, რომ ნერვიულობისგან შეიძლება, საკუთარ ენაზე დაგავინყდეს სათქმელი და ეს ხომ უცხო ენაა.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — მაგრამ პირიქითაც ხომ ხდება. გგონია, რომ ის ერთი და განუმეორებელი იპოვე და მერე ხელში საპნის ბუშტილა შეგრჩება.

თამუნა: — ჰო, ეს ძალიან ცუდი გრძნობაა. ასეთი რამეებისგან არავინ არის დაზღვეული.

გია: — აქ სხვა ფაქტორებიცაა. შეიძლება, იმ ერთმა და განუმეორებელმა, უბრალოდ, აღარ მოინდომა, არ აჩვენა ბოლომდე თავისი პოტენცია, ან, სულაც, გული აიცრუა, აღმოაჩინა, რომ ეს მისი საქმე არაა. აქ სულ სხვა მიზეზები მოქმედებს — სუბიექტურიც და ობიექტურიც, მაგრამ ის, რომ შეცდი არჩევანში და იმედი გაგიცრუვდა, ნამდვილად საშინელი გრძნობაა.

დელეგატი: — მაგალითად, დააარსე შენი საკუთარი უნივერსიტეტი, იდეალურ ვარიანტს გთავაზობთ: არა გაქვს გამოცდები, ტესტები, იღებ ბავშვს უგამოცდოდ, თან საკმაოდ მაღალ სტიპენდიასაც უნიშნავ, ატარებ მხლოდ ინტერვიუს. რა შეკითხვებს დაუსვამდით იმისათვის, რომ თქვენს „იდეალურ“ უნივერსიტეტში ჩასარიცხი, ღირსი სტუდენტი გამოავლინოთ?

თამუნა: — ოოო, ეგ მოსაფიქრებელია. უპირველეს ყოვლისა, ისეთ შეკითხვას დავსვამდი, რომელიც გამოავლენდა მის ლოგიკას, იუმორს, ზოგადად განათლებას...

თამრიკო: — ყოფილა შემთხვევა, რომ უცხო ენების გამოცდაზე მოსული აბიტურიენტი „რენესანსზე“ „ვეშჩაო“ გეუბნება. მე, პირადად, ძალიან უარყოფითად ვუყურებ ტესტებით გამოცდას, განსაკუთრებით, ჩვენი ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ხშირად ასეთ ანალოგიას ვავლებ: ეს იგივეა, რომ კონსერვატორიაში ვოკალის შესაფასებლად წერიტი ტესტი ჩაატარო. ენა ხომ გაბმული მეტყველებაა, რასაც ვერავითარი ტესტით ვერ შეამონმბე. ენა კონტაქტია, უცხოეთშიც ტესტის შემდეგ ცოდნას ინტერვიუთი ამოწმებენ — კონტაქტით.

თამუნა: — მე თუ მკითხავ, ეს ტესტები საერთოდ საშინელებაა, ძალიან მექანიკურია.

ქეთი: — ტესტი კარგია, როცა პასუხი გასაცემია ფიქსირებულ დროში, რამდენიმე წამში და ასეთ დროს შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად სწრაფად და საზრიანად აზროვნებ. ტესტის დროს სტუდენტს მობილიზაციის შანსი ეძლევა, შეუძლია, თავისი სწორი პასუხი სხვაზე უფრო სწრაფად დააფიქსიროს.

დელეგატი: — მე ვერც ერთ ტესტს ვერ შევავსებ, იმიტომ, რომ დინჯად ვაზროვნებ.

თამრიკო: — ვერც ერთი ჩვენგანი შეავსებს და ამიტომაც ვამბობ, რომ ტესტი არ არის ცოდნის მაჩვენებელი.

ქეთი: — საუკეთესო სტუდენტის გამოსავლენად, თამუნას მიერ ჩამოთვლილ კითხვებს დაუშვებდით იმ ტიპის შეკითხვებსაც, რომლებიც აბიტურიენტის მიზანდასახულობას გამოავლენდა. მე არ ვიცი, რა სიტყვებს მოვძებნიდი ამ შეკითხვების დასასმელად, მაგრამ, ვფიქრობ, რომ კარგია, თუ გამოავლენ, რამდენად ორიენტირებულია აბიტურიენტი პროფესიულად. შეიძლება, ცოდნა

ჯერ არ ჰქონდეს, მაგრამ თუ მიმართულია, უკვე ძალიან კარგია. კარგია, თუ გამოავლენ, რამდენად შეძლებს იგი დასახული მიზნის მიღწევას.

გ ი ა : — ვეთანხმები ქეთის. მაგალითად, ადამიანს იურისტობა უნდა. რატომ? იმიტომ, რომ მანტია ჩაიცვას? პროცესებს დაესწროს? ბოლოს და ბოლოს, ფული იშოვოს? თუ კიდევ დევს მის მისწრაფებაში რაღაც სხვა, ელემენტარული? რამდენად აქვს მიზანსწრაფვის უნარი?

თ ა მ უ ნ ა : — საინტერესო იქნება, აგრეთვე, რაღაც ზნეობრივი შინაარსის შეკითხვის მოფიქრებაც. რთულია, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს ხომ აქვს საკუთარი აზრი და შეხედულება ცხოვრებისეულ მოვლენებზე?! პათოლოგი და ზნედაცემული ნებისმიერი დარგისთვის სამიში და არასასურველია.

გ ი ა : — დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, პედაგოგისთვის და სხვებისთვისაც, კომუნიკაბელურობას. ამერიკაში წასვლის წინ ინტერვიუს დროს მკითხეს, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი ლექციაზეო. მე იქაც და აქაც ლექციას აღვიქვამ სპექტაკლივით, როგორც თამაშს, შესრულებას. თუ ასეთ ნიუანსებს აღმოაჩენ ახალგაზრდებში, მაშინ უმაღლესის დამთავრების შემდეგ, დარწმუნებული იყავით, რომ ცოტა ვინმე თუ აღმოჩნდება უდაბნოში იმ განცდით, რომ იქ არ მოხვდა, სადაც უნდა მოხვედრილიყო, სადაც მისი ადგილია. ეს ჩემს თაობას ნამდვილად არ სჭირდა.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — რას ამბობ, ჩვენი თაობის 80 პროცენტი ამბობს, რომ შეეშალა, რადგან მოფიქრების დრო არ ჰქონდა და კისრისტეხით შეჯლიგინდა სადღაც სხვაგან, ან უკეთეს შემთხვევაში, მის მაგივრად მშობელი ან კეთილისმსურველი აკეთებდა არჩევანს. აი, თუნდაც თქვენ, მიპასუხეთ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი არჩევანი სწორია? თუ გზა აღარა გაქვთ, შეეგუეთ ბედს და დანებდით, ისლა დაგრჩენიათ, რომ იქ მაინც გახდეთ მაგრები, სადაცა ხართ.

ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ა დ : — არა, ნამდვილად არა, ჩვენ ძალიან გვიყვარს ჩვენი პროფესია.

თ ა მ უ ნ ა : — ჩვენი სპეციალობის ხალხს, სხვებისგან განსხვავებით, ძალიან დიდი არჩევანი აქვს. შეგვიძლია, ადვილად შევიცვალოთ პროფესია, მაგრამ ვართ იქ, სადაც უნდა ვიყოთ და არავითარ დისკომფორტს არ ვგრძნობთ.

თ ა მ რ ი კ ო : — აი, თუნდაც ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი, მაია ყიასაშვილი ნლების განმავლობაში ბრიტანეთის საბჭოში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ახლა „დევიდის სკოლაში“ გადავიდა და ამბობს, სული მოვითქვი, ძლივს იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს და ჩემი საქმეაო.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — ახლა გაგახსენებთ იმასაც, რომ ერთ დროს თქვენი ფაკულტეტის სტუდენტები ლეგენდარულ მეხუთე კორპუსში არაჩვეულებრივ სპექტაკლებს დგამდნენ. მერე მათგან ზოგი რეჟისორი, ზოგი ისტორიკოსი, ერთი, ვიცი, ლოგოპედიც კი გამოვიდა. ხომ არ იმალებოდა გარდასახვის იმ სურვილში ქვეცნობიერი ლტოლვა სხვა სამყაროებისადმი?

თ ა მ უ ნ ა : — იცი, ჩვენთან ეგ რატომ ხდებოდა? დრამა ენის სწავლის ერთ-

ერთი საშუალებაა. უცხო ენაზე რომ ლაპარაკობ, უკვე თამაშობ. დრამა როლური თამაშის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. მაგალითად, წარმოიდგინე, რომ ხარ ექიმი... თამაშობ უცხოელს და ამისთვის საუკეთესო საშუალებაა თეატრი. ჩვენს მოთხოვნებში ამასაც ვითვალისწინებთ — არტისტიზმს, რამდენად შეუძლია ითამაშოს, შეასრულოს, ანუ რამდენად შეუძლია უცხო ენაზე მეტყველება. არტისტიზმი ძალზე მნიშვნელოვანია იურისტებისთვისაც.

დელეგატი: — აი, ამან მიმიყვანა ზუსტად ძალიან ბანალურ, მაგრამ ყველაზე პოპულარულ შეკითხვამდე: ხომ არ გაიხსენებდით რაიმე კუროიზს გამოცდებიდან?

თამრიკო: — დამიჯდა აბიტურიენტი, შეხვდა თემა „შოპინგი“ — საყიდლებზე წასვლა და ვეკითხები: რა ტიპის მაღაზიები იცი, ანუ მაინტერესებს, როგორ მეტყვის ინგლისურად პურის, რძის მაღაზიას, აფთიაქს და ასე შემდეგ. გახარებულმა აბიტურიენტმა ხელი შემოჰკრა, ვიცი, პატივცემულოო, და სხა-პასხუპით მომაცარა: ბატა, ალბატროსი, ბაბილონი, ლონდონი...

თამუნა: — ერთხელ, ისეთი სუსტი აბიტურიენტი შემხვდა, ნორმალურად ველარც ვუსმენდი. უმარტივესი წინადადება მივეცი სათარგმნად: ახლა მე ამერიკაში მივდივარ. იმან დამინერა **Now, I go to ASS (USA-ს ნაცვლად დაწერა ASS, რაც ინგლისურად ნიშნავს უკანალს)** და მეც სასწრაფოდ მივუნერე — **Yes (დაახ).**

დელეგატი: — როგორ ფიქრობთ, განათლების რეფორმა, რომელზეც ასე ცხარედ კამათობენ, როგორ უნდა მოერგოს განათლების ქართული პროგრამის სპეციფიკას?

თამუნა: — რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყველგან, რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემაში უნდა განხორციელდეს, მაგრამ რეფორმა არ უნდა გულისხმობდეს დასავლეთის სტანდარტებზე ბრმად გადასვლას და განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს სტანდარტი არ არის არსებულზე უკეთესი. და მე ვამბობ, რომ ნამდვილად არ არის უკეთესი! განათლების საბჭოთა სისტემა კარგი სისტემა იყო. საბჭოთა საშუალო სკოლის ინტელექტუალური პოტენციალი ერთობ მაღალი იყო. ეს ახლა კიდე უფრო აშკარად გამოვლინდა. პედაგოგიკის ბევრი უცხოელი სპეციალისტი და ექსპერტი აღფრთოვანებულია ჩვენი მეთოდიკით. ამჯერად, მე ჩვენს სფეროზე ვლაპარაკობ და ენის სწავლების ჩვენს მეთოდიკას ვგულისხმობ. ისინი იმ შედეგებით არიან აღფრთოვანებული, რაც ჩვენი მეთოდიკით მიიღწევა. არც ერთი უცხოური მეთოდი, რომელსაც გავეცანით, არ სჯობს ჩვენსას. ამას ვეძალეობოდი ყოველთვის ჩვენს ოპონენტებს, და მგონი გავიმარჯვეთ კიდევც.

თამრიკო: — კვალიფიკაციისთვის რომ ვიყავით კემბრიჯში, ფონეტიკის ჯგუფში შეგვიყვანეს. ფონეტიკას „რეპით“ ასწავლიდნენ — აბსოლუტურად მექანიკურად. ყველანაირი თეორიული სწავლების წინააღმდეგები არიან. იქ ჩვენი თვალთ ვნახეთ, რომ ამ მეთოდით ვერ მიაღწიეს იმას, რის მიღწევაც სურდათ. შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ, იმ ჯგუფში შევეშვით. მახვილის დასმის რამდენიმე წესი

ავუხსენით სტუდენტებს და მაშინათვე ყველაფერი სწორად გააკეთეს. ჩვენთან, საქართველოში მრავალეროვან ჯგუფებთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებადაა აქვს პედაგოგს. უცხოეთში კი, ძირითადად, ასეთი ჯგუფებია. გეუბნებიან, შენ ნურაფერში ჩაერევი, თვითონ გაერკვევიანო. როგორ გაერკვევიან, თუ არ აუხსენი და არ შეუსწორე. ხომ ცნობილია ფსიქოლოგიაში, რომ მექანიკური დამახსოვრების უნარი აქვთ მხოლოდ ბავშვებს, უფროსებს სჭირდებათ, სწორ ახსნამდე ლოგიკით მივიდნენ. მასწავლებელი, იმ მეთოდიკის მიხედვით, მხოლოდ დამკვირვებელია და არა აქვს პროცესში აქტიური ჩართვის უფლება. ეს ბუსურდად მიმანია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მხოლოდ მექანიკითა და პრაქტიკით შემოიფარგლო, საბავშვო ბავშვი ხომ არ არის. ბავშვიც კი, ცოტა რომ წამოზრდება, სვამს შეკითხვას — რატომ? და მოვლენის ლოგიკურ ახსნასა და განმარტებას გთხოვს.

გ ი ა : — შესაძლოა, ჩაურევლობამ მოსწავლეს ისეთი მახინჯი რამ ჩაუჭედოს გონებაში, რომ მერე, წლების განმავლობაში ნაჯახითაც ვეღარ აღმოფხვრი. ჩაურევლობა საშინელებაა. დაჯექი და უსმინე, როგორ მეტყველებენ დამახინჯებული, ცუდი ინგლისურით. მცდარმა რეფორმამ და ექსპერიმენტებმა, საერთოდ, დაანგრის საქართველოს სასკოლო სისტემა. სკოლა აღარ არსებობს! ამას ემატება ისიც, რომ ძალიან დაბალი ხელფასებია და უკეთესი პედაგოგი სკოლაში მასწავლებლად არ მიდის.

თ ა მ უ ნ ა : — მოკლედ, დღევანდელი რეფორმა, ძირითადად, ამერიკული მეთოდოლოგიის დანერგვაა. ჩვენს სფეროში ეს მეთოდოლოგიები არ ამართლებს. ბავშვების აღზრდა ამერიკული მეთოდებით, რომლებიც ამ საზოგადოებაში უნდა დაინერგოს, ნამდვილად არ არის იმაზე უკეთესი, რაც უკვე იყო. მაგალითად, ტრადიციულ ბრიტანულ ოჯახში გაზრდილი ბავშვი ძველ ტრადიციულ სკოლაში მიჰყავთ აღსაზრდელად, სადაც აღზრდის ძველი ბრიტანული წესები მოქმედებს.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — რას იტყვით იმ აურაცხელ კურსებზე, ორ-სამ თვეში ინგლისურს რომ ასწავლიან? ვისთვისაა ეს გათვლილი?

ე რ თ ხ მ ა დ : — რას ამბობთ, ამდენი წელია, ინგლისურს ვასწავლი და თავად ყოველწლიურად ვსწავლობ. ეს კურსები გაქცეული ინგლისელის მოსაბრუნებლად თუ გამოდგება. ამ მხრივ ნამდვილად ამართლებს.

თ ა მ რ ი კ ო : — ვერც ერთ ენას „სასურველ“ დონეზე ვერ შეისწავლი. მაგალითად, ჩვენ შეიძლება გავიაროთ ორთვიანი კურსები და ვისწავლოთ რაღაც ახალი. სრულიად უცოდინარი ადამიანისთვის ასეთი კურსები დროის, ენერჯის და ფულის ფუჭად დაკარგვაა.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — მოდით, დავანებოთ თავი ამ რთულ თემებზე საუბარს და თითოეულმა თქვენგანმა გამოცდების წინ, ანუ „ზონაში“ შესვლამდე თქვენს შემომყურე აბიტურიენტებს რამე დაუბარეთ, ურჩიეთ, როგორ მოიქცნენ.

გ ი ა : — ნუ იღვლეებთ! იყავით მშვიდად, იქ ბოროტი არავინაა. ჩვენც ადამი-

ანები ვართ და იგივე სისხლი გვიჩქევს ძარღვებში, რაც თქვენ. ნუ იფიქრებთ, რომ იქ ვინმე თქვენთან საჭიდაოდ და თქვენს გასანადგურებლად მოვიდა.

თ ა მ უ ნ ა : — ნუ იღელვებთ და ჩვენც ნუ გაგვანერვიულებთ. იცოდეთ, რომ იმ თქვენს მშობლებზე მეტად განვიცდით თქვენს მდგომარეობას და კიდეც, ნუ შეგეშინდებთ ავტორიტეტების, ნუ დაგთრგუნავთ მათი მყვირალა სახელები და ლეგენდები, რომლებსაც მათ სიმკაცრეზე ჰყვებიან. გახსოვდეთ, რომ ისინი ყველაზე ობიექტურნი, უკომპლექსონი, ღმობიერნი და მომთმენნი არიან. რომ მათი ყოველი შენიშვნა არის განძი, რომელიც ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოგადგებათ.

ქ ე თ ი : — მაქსიმალურად დამშვიდდით და ეცადეთ, მთელი თქვენი პოტენცი-ალი გამოამჟღავნოთ. რაც არ იცით, იმის ნუ შეგეშინდებთ, მითხარით, რომ არ იცით, ოღონდ, ინგლისურად მითხარით, რატომ არ იცით. განსაკუთრებით მიწა იმ ბავშვებს მივმართო, ვინც ბევრი იშრომა. არ იფიქროთ, რომ გამოცდა ძალიან ადვილი საქმეა და ნურც იმას იფიქრებთ, რომ ძალიან ძნელია. არ დაუშვათ, რომ მთელი თქვენი დახარჯული შრომა, გამოცდებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამო, წყალში გადაგეყაროთ. საჭიროა მაქსიმალური მობილიზება და განწყობა, რომ თქვენმა ცოდნამ, შეიძლება, თქვენს გარდა, სხვაც გაახაროს.

თ ა მ რ ი კ ო : — გამოცდა არის იმისთვის, რომ გამოჩნდეს, რა იცი, და არა იმისთვის — რა არ იცი. იმიტომ აბარებ, რომ რაღაცა არ იცი და ამის შემდეგ უნდა ისწავლო.

დ ე ლ ე გ ა ტ ი : — აი, ახლა, ამ ნუთას, სიტყვაზე გიჭერთ. თქვენ ამბობთ, რომ გამოცდა არის იმისთვის, რომ გამოავლინო ის, რაც იცი და არავინ დაგჩაგრავს იმისთვის, რომ რაღაც არ იცი, რადგან იმ რაღაცას შემდეგ გასწავლიან. ასე ხომ, ხომ ასე თქვით?

ე რ თ ხ მ ა დ : — მთლად ასეც არ არის. არსებობს პროგრამა, გამოქვეყნებულია მისი ყველა პუნქტი. ეს არის ის მინიმუმი, რის შემდეგაც იწყება ნამდვილი სწავლა. ამიტომ პროგრამა ყველას მომზადებული უნდა ჰქონდეს. დანარჩენს ჩვენ თვითონ განვსჯით თქვენს სასარგებლოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კომისიის ამ ჯგუფთან საუბრის კომენტარებისაგან „დილის გაზეთის“ დელეგატი თავს იკავებს, დასკვნები აბიტურიენტებისა და მათი გულშემატკივრებისთვის მიგვინდია. თუმცა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავს უფლებას მიცემ, ამ წინასაგამოცდო „შპარგალკას“ ერთი ყველასათვის კარგად ცნობილი არაკიც და-ვუმატო: წყალწალღებული ღმერთს ევედრებოდა, მიშველე, ვიხრჩობიო. ღმერთმა გადმოხედა და ჩამოსძახა — ხელი გაანძრიე და გეშველებათ. მორალი: წყალწალღებულის გადარჩენა თავად წყალწალღებულის საქმეა.

არქიტექტორებს მხოლოდ კარგი პროექტების შექმნა შეუძლიათ

იცით, რას ნიშნავს „ბრეინსტორმინგი“ ინგლისურად? სიტყვასიტყვით — ტვინზე შეტევას. ამ სიტყვის ქართულ იდიომატურ შესატყვისად „ტვინის ჭყლეტაც“ გამოდგება. ამერიკულისგან განსხვავებით, იგი უფრო ღრმა და ბუნდოვანია. ამერიკული ბრეინსტორმინგის დროს, რაც პირველი მოგვივა ჭკუ-აში, შემდეგ მეორე, მესამე და ასე ბოლომდე, ვიდრე ფანტაზია არ გამოგელევა, იმას წამოაყრანტალებ. ქართული ტვინის ჭყლეტისას კი მიედ-მოედები, აქეთ ეცემი, იქით, ვიდრე ღდინში არ ჩაჰყვები ამორჩეულ საკითხს და ისე გაუტევე „დაუკრეფავში“, იქიდან შეიძლება, ველარც გამოაღწიო. ამიტომ, ქართველები „ტვინის ჭყლეტას“, საერთოდ, ერიდებიან ხოლმე. ამერიკელები კი, პრობლემის და საჭიროების გამოვლენას სწორედ „ბრეინსტორმინგით“ იწყებენ. პრობლემებს კი რა გამოლევს ამ ცოდვილ დედამინაზე.

ვიდრე დანარჩენი მსოფლიო დღეს გლობალიზაციის აკვარგიანობას ერთობ არაცივილური გზებით არკვევს, დილისგაზეთელებს გვინდა, დრო ვიხელთოთ და ტავერნა „მაიკოში“ ტრადიციული „ტუსოვეკის“ ნაცვლად, თემაზე — „გადავაქციოთ თბილისი კვლავ პატარა პარიზად“ — ამერიკული „ტვინის ჭყლეტა“ ჩავატაროთ. მსოფლიო პრობლემებისგან ეს ტაიმ-აუტი საშუალებას მოგვცემს, ხელისუფალნი და საზოგადოებაც ცოტა ხნით ადგილობრივი პრობლემებისკენ მოვახედოთ.

თემის შესაბამისად, ტავერნაში არქიტექტორები გვყავს მონვეული. წინასაბრეინსტორმინგო მოთელვა ტავერნის საზაფხულო კაფეში დავიწყეთ და ჩემდა (ჩვენდა თუ არა) საუბედუროდ, დასაწყისშივე აღმოვაჩინე, რომ თბილისის ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემის გადაწყვეტა არქიტექტორებს ისევე ხელენიფებათ, როგორც ნარკომანის გადარჩენა — ექიმებს. ამიტომ, ტაქტიკური ნაბიჯი გადავდგი უკან და ტვინზე შტურმი არქიტექტურის უმწვავესი პრობლემებისკენ მივმართე.

მაშ ასე:

„დილის გაზეთი“: — რა არის დღეს არქიტექტურაში ყველაზე მწვავე პრობლემა, რა ანგრევს, აშენებს და ამახინჯებს დღეს თბილისს?

პასუხობენ არქიტექტორები: თემურ დიასამიძე, ქუჩი ჭუბაბრია, გოჩა მიქი-აშვილი და გიორგი ჭკუასელი (ოთხივე სხვადასხვა საპროექტო და საამშენებლო კომპანიისა და სტუდიის გენერალური დირექტორები არიან).

ამ ოთხიდან ტვინისჭყლეტაობანას თამაში, ეტყობა, ყველაზე უფრო ქუჩი ჭუბაბრიას მოეწონა — ვიდრე რომელიმე რამეს წამოიძახებდა, მან მაშინათვე მდულარე გადაავლო საქართველოს არქიტექტორთა მთელ კავშირს, რომელსაც, თურმე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორგანიზაციული განვითარე-

ბის მიმართულებით ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. არქიტექტორთა უმრავლესობამ არ იცის, რა საკანონმდებლო ბაზაზე დგას დღეს საქართველოში არქიტექტურული საქმიანობა, რომ პარლამენტის გადანყვეტილებებში უამრავი ლაფსუსია, რომ არქიტექტურაში, როგორც დარგში, აღარ არსებობს კრიტიკა, რადგან ფული ჭრის ყველაფერს და რომ არავინ იცის, როგორი უნდა იყოს მთავარი არქიტექტორი და რა პასუხისმგებლობა აკისრია მას.

ქუჩი ჭუბაბრიას კატეგორიული განცხადებები თავიდან, თითქოს, ოდნავ შეარბილა გოჩა მიქიაშვილმა, აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ბაზა არსებობს. მიღებულია ორი კანონი — კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ და კანონი არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის შესახებ. ახლა მზადდება მესამე კანონიც, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ორივე ეს კანონი ისეა „დახვეწილი“, რომ არქიტექტორთა ნაყოფიერ საქმიანობას და საქართველოში არქიტექტურის ხარისხობრივი დონის ამაღლებას საფუძველშივე უშლის ხელს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს არქიტექტურული საქმიანობის ზღვრული დაბალი ანაზღაურება. იმაზე დაბალი, კანონით, აღარ შეიძლება. ეს ლიმიტი ჩვენში არ მუშაობს, ვინაიდან, თურმე, ადამიანის უფლებები ირღვევა. არადა, ეს პირდაპირ მოქმედებს არქიტექტურის ხარისხზე და აი, როგორ: როდესაც პროექტში ნაკლების გადახდა გინდა, აღარ მიდიხარ გამოცდილ „მეძვირე“ არქიტექტორთან, არამედ პოულობ სტუდენტს, გამოუცდელს, რომელსაც რასაც გინდა იმას დაახაზინებ, გადაუხდი „ორ კაპიკს“, დაიკმაყოფილებ მოთხოვნილებას, პატივმოყვარეობას და უხარისხო პროექტით ააშენებ შენს მონონებულ სახლს. თუ იარსებებს ზღვარი, რომლის დაბლაც დამკვეთი ვეღარ გადაიხდის, ბუნებრივია, იგი გამოუცდელ არქიტექტორთან აღარ მივა პროექტის შესაკვეთად. ფულს, თუ მაინცდამაინც უნდა გადაიხადოს, ძლიერ არქიტექტორს მისცემს და, უხარისხოს ნაცვლად, კარგ სახლს ააშენებს. ეს არსებული ზღვარი ქალაქში მაღალხარისხიანი არქიტექტორის და, საერთოდ, არქიტექტურული დონის განმსაზღვრელი იქნება. როცა ამ საკითხს პარლამენტი იხილავდა და პარლამენტართა გარკვეული ნაწილი (ძირითადად არქიტექტორები) აქტიურად იბრძოდა ამ მუხლის გასატანად, პარლამენტმა ყურად არ იღო მსოფლიო გამოცდილება და იმ დონეზე დავიდა, რომ ეს მცდელობა დემოკრატიის პრინციპების, კონსტიტუციის, მოქალაქის ადამიანური უფლებების დარღვევად მიიჩნია და დაადგინა, რომ დაკვეთა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს. ეს კი ნიშნავს, რომ მე და შენ მოვილაპარაკეთ და „ორ კაპიკად“ გავაკეთებთ, შენ რომ გინდა ზუსტად ისეთ პროექტს. დაიწყო ეს და მომენტალურად დაეცა არქიტექტურის დონე. და ასე იქნება, ვიდრე არ გავაცნობიერებთ, რომ ასეთი მიდგომით ირღვევა ადამიანის უფლებები, ერთი ადამიანის კი არა, მთელი საზოგადოების, რომელსაც აქვს უფლება და სურვილი, იცხოვროს ლამაზ გარემოში, ქალაქად თუ სოფლად. არქიტექტურაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ძალიან ძნელია და ვილაცის უვიცობის გამო, ადამიანი იძულებული ხდე-

ბა, უვარგის სახლებში იცხოვროს წლების განმავლობაში. ვიდრე კანონი, ამ მხრივ, არ შესწორდება, ყველაფერი ნავა იქითკენ, საითაც ახლა მიედინება, ანუ ქალაქში უვარგისი არქიტექტურა დაკანონდება.

თემურ დიასამიძე: — ჩემი აზრით, არქიტექტურაში ზუსტად იგივე პრობლემებია, რაც, ზოგადად, საზოგადოებაში. არ არის ფული, არ არის დამკვეთი, არაფერი ფასეული არ შენდება. ეს, ზოგადად, კონკრეტულად — უპირველესი და აუცილებელი, რაც გასაკეთებელია, ეს არის ქალაქთა მშენებლობის კანონის მიღება, რომელიც არ არსებობს.

გიორგი ჭკუასელი: — არ არის გენგეგმა.

ქუჩი ჭუბაბრია: — მთავარია, რომ საზოგადოებამ გაიგოს, რას ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს, ეს გენერალური გეგმა. ეს მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ დაასახლო ხალხი, ეს არის კომუნიკაციები და საინჟინრო ნაგებობები, რომლებიც თბილისს თითქმის აღარ აქვს. ზომა-წონითაა დარღვეული როგორც კანალიზაცია, ისე სხვა სასიცოცხლო საკომუნიკაციო საშუალებები. მალე წყალი აღარ გეყოფათო, გვეუწებთან... არ არის საჭირო, ქალაქი უსასრულოდ გაიზარდოს. დასრულდა ის ქალაქომანია, როცა აშენებდნენ გლდანებს, ვაზისუბნებს, ამას საბჭოთა კავშირის საერთო სისტემა მოითხოვდა. ეს იყო და ამ მიმართულებით აღარავინ ნავა, მაგრამ ის, რაც ქალაქის ცენტრის აშენებას სჭირდება, მკაცრად უნდა იყოს ორგანიზებული. სათავეში უნდა ედგას მერია და ჰქონდეს სამყოფი თანხა. სახელმწიფოს ფული არა აქვს. შესაბამისად, არ გააჩნია ფული მერიასაც, მაშ, ვინ უნდა ააშენოს? — კერძო მწარმოებელმა, რომელიც ბანკთან პოულობს საერთო ენას! იმან რომ გადაიხადოს, ბევრი უნდა მოიგოს, რომ მოიგოს, მაღალსართულიანი შენობა უნდა ააშენოს, ეს ძირითად ხაზს არღვევს და შედეგად, ირღვევა თბილისი.

„დილის გაზეთი“: — ნაჩქარევ დასკვნას თუ გამოვიტან, ქალაქის არქიტექტურისა და მშენებლობის დღევანდელი გენერალური გეგმა კორუფციის ერთ-ერთი ბუდე ყოფილა, ამასთან, ირღვევა თავად არქიტექტურა, მომხმარებლის გემოვნება და თაობებს ვუტოვებთ მახინჯ ქალაქს, რომელსაც, რაც კომუნისტებმა დააკლეს, იმას დემოკრატები უმატებენ.

გოჩა მიქიაშვილი: — სკეპტიკოსმა მკითხველმა შეიძლება ახლა პროფესიული ლაფსუსი მოგვანეროს და შეგვახსენოს, რომ ჯერ კიდევ კომუნისტებმა დაამტკიცეს ქალაქის გენგეგმა 2000 წლამდე. ვიდრე ახალი არ დამტკიცებულა, კეთილი უნდა ვინებოთ და ამ გენგეგმას დავემორჩილოთ. მაგრამ ნახეთ, რა პარადოქსთან გვაქვს საქმე. ეს გენგეგმა შემუშავებულია სულ სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პრინციპებზე, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ეს იგივეა, რომ სოციალიზმის პერიოდის გენგეგმით საბაზრო ეკონომიკის პირობებში იხელმძღვანელო. ქალაქში კერძო კაპიტალი შემოდის და მესაკუთრეს სურს, ისეთი ინფრასტრუქტურის აშენება, რომელიც მისთვის ხელსაყრელია. ვერავინ შეზღუდავს მას, გარდა იმ გენერალური გეგმისა, რომელ-

შიც, ქვეყნის განვითარების სტრუქტურულიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი დამკვეთის, თუ გნებავთ, კაპრიზიც კი. ეს გეგმა ანებსებს გარკვეულ ჩარჩოებს და სწორ მიმართულებას აძლევს დამკვეთს.

„დილის გაზეთი“: — არქიტექტურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელსაც ჩარჩოები და კონტროლი სჭირდება.

გიორგი: — სწორია. ცუდ ნაწარმოებს არ კითხულობენ, ცუდ ნახატს არ უყურებენ, ცუდ არქიტექტურას კი თაობები უყურებს. ქუჩაში თვალდახუჭული ვერ ივლი, ამიტომ ამ დარგში პასუხისმგებლობა გაცილებით მეტია, თუმცა, არქიტექტურა ხელოვნების არც ერთ დარგზე ნაკლებად არ ზრუნავს საზოგადოების სულიერ განვითარებაზე.

თემური: — შემოქმედებითი შეზღუდვა არქიტექტურაში ისეთივე დანაშაულია, როგორც მწერლობაში, მხატვრობაში თუ მუსიკაში. აქ სხვა შეზღუდვებსა და კონტროლზეა საუბარი. შესაზღუდია ქალაქდაგეგმარების ასპექტით. დასავლეთში ყველა ქალაქს აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ამ ქალაქის თითოეული ქუჩის მშენებლობის დიაპაზონს. პარიზში, მაგალითად, აღწერილია თითოეული ქუჩა, ზომების მიხედვით დეტალურადაა აღნიშნული, სად რისი და როგორის აშენება შეიძლება, ხოლო მერე როგორ დაამუშავებს ფასადს, ეს უკვე არქიტექტორის ნიჭსა და გემოვნებაზე დამოკიდებულია.

ოთხივე ერთად: — ასეა გერმანიაში, ავსტრიაში, ყველგან, ყველა განვითარებულ ქვეყანაში, პატარა ქალაქს ეხება ეს თუ დიდს, არსებობს ეს დოკუმენტი და მის ფარგლებში მოქმედებენ დამკვეთიცა და შემსრულებელიც.

„დილის გაზეთი“: — გასაგებია, რომ ყველა თავმოყვარე ქვეყანაში ასეა და ასეც უნდა იყოს. მაინტერესებს, ვისზეა დამოკიდებული ის, რომ აქაც ასე იყოს. სამ-ოთხ წელიწადში ჩვენს თვალწინ უმოწყალოდ დამახინჯდა ჩვენი ქალაქი და ვის უნდა მოვკვეთოთ ამისთვის მარჯვენა, დავიჯერო, თქვენც არ იცით?

თემური: — ჯერ უნდა შეიქმნას ეს დოკუმენტი, კანონი, ამ დოკუმენტის იურიდიული საფუძველი.

ქუჩი: — როცა მთავარი არქიტექტორის ფუნქცია ვახსენე, დახვეწილი ორგანიზაციული სტრუქტურა მქონდა მხედველობაში. მთავარ არქიტექტორს უნდა ჰყავდეს ძლიერი ჯგუფი. სულ ადრე, მაგალითად, ვანო ჩხენკელთან მუშაობდა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა ქალაქში რაიმე უცხო, დაუგეგმავი არ აშენებულიყო. ცეკას მდივანი „მიანვებოდა“, გინდა თუ არა ცვლილება შეიტანე გეგმაში და ის უბედური არქიტექტორი ქალაქის გეგმის დამრღვევიცა და მსხვერპლიც ხდებოდა. ახლა ხომ სხვა დროა? ჰოდა, თუ სხვა დროა, უნდა შეიქმნას კიდეც მგეგმარებელთა ძლიერი ჯგუფი ქალაქის მთავარ არქიტექტორთან და ამ ჯგუფმა უნდა გააკონტროლოს, ამა თუ იმ უბანში არ დაირღვეს ძირითადი გეგმა. ამ საქმის აწყობას ფული სჭირდება, ფული მერიას არა აქვს და აქ

მთავრდება ყველაფერი. იძლევიან „აპეზეს“, რომელიც ძველი ფორმაა და დღეისათვის სრულიად მიუღებელი ჩარჩოები აქვს. ამიტომ, ვისაც როგორ უნდა, ისე აშენებს. აი, აქამდე მივდივით. ის ზომა-ნონა, რაზეც თემური ლაპარაკობდა, ქუჩის დატვირთვა, ინფრასტრუქტურა, ლანდშაფტი თუ არ გაითვალისწინე და ამენე ეს მაღალსართულიანი სახლები, როგორ გაუძლებს მერე ის უბანი ამ სახლების დატვირთვას, ერთ-ორ წელიწადში ვერა ჯოჯოხეთს დაემსგავსება, ამხელა სახლებში რომ ხალხი შესახლება, მანქანებით რომ მოვლენ, ან სად გააჩერებენ ამ მანქანებს, ან რა ჰაერი იქნება, ამას ყველაფერს ხომ გააზრება უნდა.

გოჩა: ამ საქმეს სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება. ვერც ერთი ინვესტორი ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამ დოკუმენტს ვერავინ შეგვიქმნის. ასეთ საქმეში ფულს არავინ ჩადებს, ეს მხოლოდ სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს — შექმნას ასეთი დოკუმენტი, დააფინანსოს ეს საქმე და დაამტკიცოს იგი. მანამდე კი, გვაქვს და გვექნება, როგორც ქართველები ამბობენ, „პრაიზ-ვოლი“. რასაც გინდა, აკეთებ, თანაც კანონს არ არღვევ. ამ დოკუმენტის დროულად შექმნით თავად სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული.

თემური: — დრო უკვე დაკარგულია, ჩათვალე, რომ ეს ათი წელი დაკარგულია.

ქუჩი: — ამიტომ კაცი უნდა იყოს, კაცი, რომელიც ამის ორგანიზებას შეძლებს და პასუხსაც აგებს ამ საქმეზე.

გიორგი: — სხვა გზაც არის. არსებობს ამის დიდი მსოფლიო გამოცდილება, თუნდაც, ევროპის ქვეყნებში, ამის აკუმულირება შეიძლება, ან შეჯერებული ვარიანტი ავიღოთ და ჩვენს საჭიროებებს მივუსადაგოთ. ყველაფერი ჩვენი გვინდა, ჩვენი არ გამოგვდის, ცალკე კორუფცია გვანგრევს, ცალკე — უცოდინარობა და ცალკე — არასახელმწიფოებრივი აზროვნება.

„დილის გაზეთი“: — ახლა უცოდინარობაც გამოიკვეთა. სად არის ის ცნობილი და პრესტიჟული ქართული არქიტექტურული სკოლა? როგორ, აღარც ერთი ღირსეული პროფესიონალი აღარ დარჩა? უცოდინარობამ და არაპროფესიულობამ დაუკარგა ქალაქის არქიტექტურას სახე? რას ასწავლიან დღეს არქიტექტურის ფაკულტეტებზე? ნუთუ აღარაფერს, ნუთუ ამ ათ წელიწადში არქიტექტურული სკოლაც მოკვდა საქართველოში, თუ, უბრალოდ, პოპულარული აღარ არის დღეს არქიტექტურულზე ჩაბარება?

ქუჩი: — არქიტექტორი იზრდებოდა საპროექტოში. ყველა აქ მყოფი არქიტექტორი სწავლას პირველი აშენებული სახლიდან იყენებდა. პროექტი ყოველთვის ისეთ კონტროლს გადიოდა, იაღლიშის უფლებას არ გაძლევდა. ეს დღეს დარღვეულია. მე, მაგალითად, მინდოდა ლადო მესხიშვილის საპროექტოში ყოფნა და ამიტომაც იქ მივედი. პროფესიასაც, ფაქტობრივად, იქ დავეუფლე. ასე ხდებოდა. ინსტიტუტის მერე, ვისაც არქიტექტურა აინტერესებდა, ყველა ასე იქცეოდა, ზოგი ყავლაშვილთან მიდიოდა, ზოგი სარქისოვთან, ზოგი რამაზ კიკნაძესთან და ასე შემდეგ.

გოჩა: — როგორც ძველ თბილისში ამქრის პრინციპით — ამქარი ხომ ხელოვანს ხელოსანთან სწავლობდა სახელოსნოში. შემდეგ, როცა დახელოვნდებოდა, თავად ხდებოდა ოსტატი. ეს ტრადიცია რახანია მოიშალა. ის ძლიერი საპროექტო ინსტიტუტები აღარ ფუნქციონირებენ.

გიორგი: — და დამკვეთი, როგორც უკვე აღინიშნა, მიდის იაფად ღირებულ ამქართან, რომელსაც გამოცდილება და ცოდნა აკლია, ორივე ერთად კი, უხარისხო შენობებს აშენებს.

ქუჩი: — მე კიდევ ვიტყვი, რომ როცა სახელმწიფო ჩამოყალიბდება და შესაბამისად მოენყოზა კიდევ, არქიტექტურაც მაშინ გამოცოცხლდება. ჩვენ გვინდა, რომ „დინამო“ დღესვე გახდეს ჩემპიონი. ხომ ვხედავთ, ჩვენი ფეხბურთელები რა წარმატებებს აღწევენ მთელს მსოფლიოში, გუნდად კი ვერ თამაშობენ. თავისუფლებიც ვართ, დამოუკიდებლებიც, აღარავინ გვბოჭავს, ერთად კი ვერ ვთამაშობთ.

გოჩა: — ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ არქიტექტორებს ხშირად თავს მაინცდამაინც ის ხალხი ესხმის, ვინც თავად არის კარგად გარკვეული ამ დარგში, ხელოვნებათმცოდნეებს ვგულისხმობ. ეს ძალიან მალიზიანებს. ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, იცხოვროს კომფორტულ და ესთეტიკურად დახვეწილ, ლამაზ გარემოში. ეს მოთხოვნილება მისასალმებელი და დასაფასებელია და ამ ადამიანურ მოთხოვნილებას არც არქიტექტორმა უნდა აუაროს გვერდი. ასეთი კითხვაც დავსვით — შეიძლება თუ არა დღევანდელ პირობებში ამის განხორციელება? მინდა შეგახსენოთ, რომ ჭეშმარიტად დიდი არქიტექტურა მხოლოდ განვითარების მაღალი დონის ქვეყნების ხვედრია და არა სუსტის. ამის მშვენიერ მაგალითებად ეგვიპტის პირამიდები, საბერძნეთისა და რომის ისტორიული ძეგლები გამოდგება. მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებულ და პოლიტიკურად დანყობილ ქვეყნებშია მშენებლობა და არქიტექტურა აღმავალ გზაზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ არქიტექტურა, ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, ერთი კაცის ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე არ არის დამოკიდებული, მისი აუცილებელი კომპონენტი მთელი ერის ეკონომიკური შესაძლებლობების და ნიჭის შერწყმაა. და თუ მას ერთი კომპონენტი მაინც გამოაკლდა, არქიტექტურა არ განვითარდება. არქიტექტურა საზოგადოებრივი მდგომარეობის სახეა. ყოველთვის ასე იყო, კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ასე იყო ეგვიპტეში და ასეა ახლა შეერთებულ შტატებში. იმ სტანდარტებს აქ ვერ გაიმეორებ. იმ ხალხს, რომელსაც ჭკუა მოეკითხება და მაინც არქიტექტორებს ესხმის თავს, მინდა ვუთხრა, რომ ეს თავდასხმა სხვა არაფერია, თუ არა სარკეში საკუთარ ანარეკლთან ჩხუბი. შეიძლება, დაამტვრიო სარკე, რომელიც შენს რეალურ ყოფას და სინამდვილეს ასახავს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოგწონს ის, რაც იქიდან გიმზერს? სარკეს კი არ უნდა ებრძოლო, არამედ იმ საზოგადოებრივ ყოფას, რომელმაც ასე დაგვამახინჯა.

„დილის გაზეთი“: — მოკლედ, პლასტიკური ოპერაცია გვაქვს ჩასატარებელი, ამის თქმა გინდათ?

ქუჩი: — დაგვიჩემებია, გამოსავალი არ არის, გამოსავალი არ არისო. როგორ არ არის, გამოსავალი არის დრო. დრო მოვა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. არც ისეა საქმე, თითქოს ყველაფერი დაინგრა, მოისპო და ამის შემდეგ ქვა-ქვაზე აღარ დარჩება.

თემური: — ჰო, მაგრამ პროცესების დაჩქარება ხომ შეიძლება... შეიძლება კი არა, აუცილებელია.

ქუჩი: — მაშინ, ჯერ დამკვეთი მოთოკონ და კანონი მიიღონ.

გოჩა: — არ არის ეს მართო დამკვეთის ბრალი.

ქუჩი: — როგორ არ არის.

„დილის გაზეთი“: (როგორც იქნა, დამნაშავეს მიაგნო და აღტაცებულს აღმოხდა) — ეს დამკვეთი ვინ არის, ბოლოს და ბოლოს?

ქუჩი: — დამკვეთი არის გინეკოლოგი, ადვოკატი, პედიატრი, რომელმაც „იციც“, რა უნდა და შენ უნდა გაუკეთო ის, რაც უნდა.

„დილის გაზეთი“: — მე ვარ თბილისის და თუ გენბავთ, ევროპის მოქალაქე, ვარ დაინტერესებული, ვიცხოვრო ლამაზ ქალაქში და, ამ სურვილის მიუხედავად, ვცხოვრობ ერთ დროს ყავლაშვილის პროექტით ნაშენებ და შემდგომ ალაგ-ალაგ ლოჯიებშიშენებულ, ეგრეთ ნოდებულ, „ტრუსჩობში“. მაქვს თუ არა მე, როგორც მოქალაქეს, უფლება, გავიგო ამ დამკვეთის ვინაობა. არა მგონია, მართლა ის გინეკოლოგი ან კბილის ექიმი, ვისაც თავის დროზე ჩემსავით დაუმახინჯეს გემოვნება და ახლა თავისი მოკლე ჭკუით „მშვენიერ“ პროექტებს ხაზავს, იყოს დამკვეთი. არა მგონია, გინეკოლოგი ან პედიატრი შვიდსართულიან სახლებს აშენებდეს.

ოთხივე ერთად: — არა, არა. ბანკირები, ბიზნესმენები, უცხოელები, რომლებიც ოფისებს აშენებენ ან არემონტებენ, ბანკირები და სხვა შეძლებული ადამიანები. შეგნებულად არავის არ უნდა ქალაქის დამახინჯება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჰგონია, თავისი „ხელთუქმნელი“ პროექტით ქალაქს ალამაზებს.

გოჩა: — ამაზე არანაკლებ პრობლემატურია ისიც, რომ არქიტექტორი დააკვდები ხოლმე პროექტს, შეუთანხმდები დამკვეთს, დამტკიცდება, და როგორც წესი, ამის მერე იწყება დამკვეთის შემოქმედება, ანუ შენი პროექტი ისეთ ტრანსფორმაციას განიცდის, რომ შეიძლება ველარც იცნო.

„დილის გაზეთი“: — განა პროექტის ავტორს არ აქვს ამ დროს ჩარევის და გაპროტესტების უფლება?

გიორგი: — როგორ არა, ჩაერიე თუ გინდა. დამცავი მექანიზმი არ არის, შეაგინებ დედას, იჩხუბებ, საერთოდ, აღარ მიხვალ ობიექტზე, ის ისევ თავის ჭკუაზე აშენებს. ყველაფერი კანონის უქონლობასთან მიდის.

„დილის გაზეთი“: — კარგი, დამცავი მექანიზმი არ არსებობს, მაგრამ რალაც ჩარჩო, თუნდაც, წითელი ზოლი ხომ არსებობს, ვინ აძლევს დამკვეთს

ნორმის დარღვევის უფლებას, ხელს ვინ აწერს? თქვენ არ ასახელებთ გვარებს, არც თანამდებობებს, ნუთუ მართლა დამკვეთია მთავარი?!

გიორგი: — მთავარი არის კანონი, რომელშიც მოქცევა დამკვეთიც, არქიტექტორიც, მშენებელიც, მერიც, მთავარი არქიტექტორიც... ჰო, მერიდან დანყებული პრეზიდენტამდე.

„დილის გაზეთი“: — არიან თუ არა დღეს ქალაქის არქიტექტურასა და მშენებლობაში ცალკეული მონოპოლისტები, ანუ ვისაც დაკვეთებზე მიუწვდება ხელი და სხვების აქტივობას ზღუდავს?

ქუჩი: — ჯერ არ არის, მაგრამ, ალბათ, ასეც იქნება.

გოჩა: — საბედნიეროდ, მონოპოლია არ არის, მხოლოდ და მხოლოდ, იმ მიზეზით, რომ ამისი ფინანსური შესაძლებლობა არ არსებობს.

თემური: — მასშტაბი არ არის ჯერ ისეთი, რომ ვილაცამ სადავეებისთვის იბრძოლოს. ვინმეს რომ გაუჩნდეს ასეთი სურვილი, ალბათ, შეძლებს, იმიტომ, რომ კანონი, რომელსაც დამცავი მექანიზმი არ გააჩნია, მას ამის საშუალებას მისცემს. კანონი ამასაც ვერ დაარეგულირებს. ჯერჯერობით, შესაძლებლობები და ნიადაგი არ არის იმისთვის მომზადებული, რომ ჩვენთან მონოპოლისტები გაჩნდნენ.

გოჩა: — ახლა არქიტექტორთა წრეებში მენაშენის (პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამა თუ იმ რაიონის განაშენიანებას განაგებს) სტატუსზე ლაპარაკობენ, მაგრამ იურიდიულად ეს სტატუსი არ არსებობს. ამა თუ იმ უბნის დაპატრონების მცდელობები ნელ-ნელა იკვეთება, მაგრამ, როგორც გითხარით, ამის იურიდიული საფუძველი და ასეთი სტატუსი არ არსებობს. იდეაში „მენაშენე“ განსაზღვრავს ამ უბნის მშენებლობის პარამეტრებს, სახლის სართულიანობას, სიგანეს და ასე შემდეგ. შენ თუ ამ პარამეტრებს არ დაარღვევ, მიდი და ააშენე როგორი ფორმის შენობაც გინდა, ოღონდ, განსაზღვრულ პარამეტრებში. მენაშენს ამ დროს არავითარი უფლება არა აქვს, ხელი შეგიშალოს. ვიმეორებ, ამის მცდელობა არის, მაგრამ, ისევ და ისევ, ძალიან დასახვეწია. სწორი გაგებით, ეს მცდელობა მისასაღმებელიცაა.

„დილის გაზეთი“: — მაინც როგორი გაგებით?

გიორგი: — სწორი გაგებით, მაგალითად, არის ჯგუფი, რომელიც თავად კისრულობს ფინანსურ მხარეებს, ადგენს გარკვეულ გენგეგმას, რომელშიც განსაზღვრულია გაბარიტები. ეს გეგმა შემდეგ საბჭოზე გადის და დევს, ვიდრე არ მოვა ფულიანი ინვესტორი, რომელსაც ამ ადგილას სახლის აშენება უნდა. საბჭო მას სთავაზობს იმ უბნის დაგეგმარებით გათვალისწინებულ, მაგალითად, ექვსსართულიანი შენობის პროექტს. მას ექვსსართულიანი არ აკმაყოფილებს და რვასართულიანის აშენება უნდა. მაშინ ეუბნებიან, რომ ამ უბანში ეს არ მოხერხდება, სამაგიეროდ, არის მეორე უბანი, სადაც რვასართულიანი შენობები შენდება და შეუძლია, იქ ააშენოს. აი, ეს უნდა არსებობდეს, ეს არის გენგეგმა. მე უნდა ვიცოდე, რომ აი აქ, ამაზე მაღალი, ამაზე გა-

ნიერი შენობა არ აშენდება. ახლა კი რა ხდება, როგორც იმას უნდა, ისე უნდა აშენდეს.

„დილის გაზეთი“: — იგივე პრინციპი ხომ არ ვრცელდება ქანდაკების დადგმაზეც? იგივე ეფემერული დამკვეთი ხომ არ უკვეთავს მუსიკას?

ამაზე არქიტექტორები ხმას არ იღებენ, ჩვენი სფერო არ არისო, ამბობენ.

ქუჩი: — ისე, ჩვენში რომ დარჩეს, გამოხვალ ხანდახან ქუჩაში და შემოგეფეთება ახალი ქანდაკება, რატომ დაიდგა, ვინ დადგა, რატომ მაინცდამაინც აქ, ვინ გადანყვიტა, შეიძლება თუ არა ამ ქანდაკების დადგმა აქ — გაურკვეველია. ასეთი რამეები საქართველოში ხდება და ადრეც ხდებოდა. ქანდაკების დადგმის ბევრი გადამწყვეტი კომპონენტია ხოლმე დარღვეული.

გოჩა: — ნურც ასე წყალნალბულებად წარმოვადგინო ახლა თავს, ნუ გადავუსვამთ ხაზს, რაც აქამდე გვიკეთებია, არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ თბილისში საინტერესო შენობები საერთოდ აღარ შენდება.

„დილის გაზეთი“: — მაინც?

გიორგი: — თუნდაც, მაკდონალდის შენობა, დახვენილია და მეტად მორგებული სიტუაციას.

„დილის გაზეთი“: — კი მაგრამ, მაგის გამო არ იყო, კინალამ მეორე სამოქალაქო ომი რომ დაიწყეს ქართველებმა?

ოთხივე ერთად: — ეს ყოველთვის ასე ხდება, პოპულისტები სწორედ ასეთ შემთხვევებს იყენებენ ქულების დასაგროვებლად.

გოჩა: — მახსოვს, ერთმა კორესპონდენტმა მკითხა: „როგორ მოგწონთ რუსთაველის მხრებზე დაყრდნობილი მაკდონალდის?“ სისულელეა ეს ყველაფერი.

გიორგი: — სხვებიც აშენებენ. აი, მაგალითად, დათო აბულაძე, მშვენიერ სახლებს აშენებს, თამაზ გიორგაძეც, ეს რიგის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან, ხომტარიაზე, რაზმაძეზე, ერისთავის ქუჩაზე, ბელინსკის კუთხეში მშენებარე სახლებია. დათო აბულაძე, მაგალითად, დამკვეთიც თვითონ არის და მშენებელიც.

ქუჩი: — აი, ეს, მისასალმებელია.

გოჩა: — ამ ათი წლის განმავლობაში თბილისმა ჯერ პატარ-პატარა აფთიაქების, რესტორნების, ბენზინგასამართი სადგურების... პროექტირებისა და მშენებლობის ეტაპები გაიარა. ახლა მრავალსართულიანი სახლების შენების ბუძია და ამ ეტაპმაც, ეტყობა, უნდა გაიაროს.

თემური: — აბა, მრავალსართულიანი თუ არ ააშენე, ისე ფულს ვერ გააკეთებ. დამკვეთმა ხომ უნდა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მცხოვრებნი, ამის გამო შვიდსართულიანი სახლი სანატრელი გახდა იქ, სადაც, წესით, ოთხხუთსართულიანზე მეტი არ უნდა შენდებოდეს. ეს ასევე უმწვავესი პრობლემაა და ამასაც კანონის უსუსურობა იწვევს. დამკვეთი თავისუფალია, გარემო კი ზიანდება.

„დილის გაზეთი“: — ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამასობაში საზოგადოე-

ბის გემოვნება დეგრადირდება, ირლვევა მისი ფსიქიკაც? ნიშნავს ეს იმას, რომ დამკვეთის უფლება საზოგადოების დეგრადირების ფასადაა დაცული?! ხომ შეიძლება...

თე მ უ რ ი : — რა შეიძლება, რა! ამის ნამალი არის რასაც გეუბნები — ის კანონი და მეტი არაფერი. და ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ამას დაარეგულირებს.

გო რ ა : — დემოკრატიული სახელმწიფო ის კი არ არის, რომელშიც რასაც გინდა იმას მოიმოქმედებ და ყველაფერი შენს კეთილსინდისიერებაზე ჰკიდია, პირიქით, დემოკრატიული სახელმწიფო კანონის ძალით გეუბნება, შენ თუ გინდა უსინდისო იყავი, მაგრამ ის გააკეთე, რასაც კანონი გკარნახობსო.

„დილის გაზეთი“ : — არსებობს თუ არა ამ უკანონობის ზეობის დროს, მაღალი პროფესიული მორალი და ეთიკა?

თე მ უ რ ი : — ეგ რომ არსებობს, სწორედ იმიტომაც ვამბობთ უარს რალაც-რალაცებებზე, თუმცა, ვიცით, რომ ხშირად კომპრომისში კარგ ფულს გადაგვიხდიან.

„დილის გაზეთი“ : — რამდენად ერწყმის ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად და კონკრეტულ პრობლემებს დღევანდელ საეკლესიო არქიტექტურასა და მშენებლობაში არსებული პრობლემები? ეკლესიისთვის ხომ მაინც არსებობს, ცალკე კონსტიტუციაში და ცალკე სახარებაში დანერილი კანონები?!

გო რ ა : — ეკლესიის აშენებას, მოგეხსენებათ, დიდი ფული უნდა. მოსახლეობას ეუბნებიან, შემოწირულობით ვაშენებთ ეკლესიასო. მე ამისი არ მჯერა. უფრო მგონია, რომ ეს შავი ფულის გათეთრების ერთ-ერთი საშუალებაა.

„დილის გაზეთი“ : — თუნდაც, ასე იყოს, ეკლესია ხომ ბოლოს მაინც ხალხს დარჩება. მე სხვა მაინტერესებს, რამდენად კონტროლდება ის, თუ სად შეიძლება ძეგლის აღმართვა და სად არ არის მიზანშეწონილი.

ოთხივე ერთად : — ამას ეკლესია არეგულირებს. ისინი თავად უკავშირდებიან მერიას და თავადვე წყვეტენ ადგილის საკითხს.

„დილის გაზეთი“ : — არქიტექტორებს, საერთოდ, არა გაქვთ ჩარევის უფლება?

ქუჩი : — ერთ მაგალითს გიამბობთ და თავად გამოიტანეთ დასკვნა. ნუცუბიძეზე ერთი პატარა ეკლესია აშენდა, შევიდნენ მღვდლები და აამოქმედეს ეკლესია. ერთი კვირის შემდეგ წავიდნენ, ვკითხე, სად წახვედით-მეთქი, შემოსავალი არ იყოო, — მიპასუხეს.

გიორგი : — მე სხვა რამე შემიძლია ვთქვა, ჩემი აზრით, არ შეიძლება, ოცდამეერთე საუკუნეში აშენო ისე, როგორც შუა საუკუნეებში აშენებდი.

თე მ უ რ ი : — მეც კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამისა.

გიორგი : — რალაც უნდა მოიძებნოს, ამაში ერთსულოვნები ვართ ჩვენ, არქიტექტორები, ერთსულოვნანია საზოგადოება, მაგრამ არ არის ერთსულოვნება ეკლესიიდან. როცა საპატრიარქოს ახალი ფორმის ეკლესია შესთავაზეს,

მათ თქვეს, რომ ამისთვის საზოგადოება მომზადებული არ არის. თვით პატრიარქის აზრი იყო ასეთი — სულიერებაში არ არის შესაბამისი ევოლუცია. ისეთი ევოლუცია, როგორც იყო, თუნდაც, მაშინ, როცა სვეტიცხოველი შენდებოდა. ამ დონის რევოლუციური ცვლილებებისთვის საზოგადოება სულიერად ჯერ არ არის მომზადებული. საეკლესიო მშენებლობაში ნოვაციას დღეს, საერთოდ არ განიხილავენ. კანონიკა, რომელიც დღევანდელ ქართულ ეკლესიაში არსებობს, ფაქტობრივად, შეუცვლელია.

გოჩა: — კაცობრიობის ისტორიაში არქიტექტურის განვითარება მუდამ იმაზე იყო დამყარებული, რომ იმ ეპოქისთვის შესაძლებელი ტექნიკური მიღწევებით აგებულიყო ახალი ძეგლი, ისეთი, რომელსაც ადამიანი ვერ ააგებდა, ვთქვათ, მეხუთე საუკუნეში, იმ უბრალო მიზეზით, რომ ამის ელემენტარული ტექნიკური საშუალებები არ არსებობდა. ასეთი ძეგლის აგების მთავარი პირობა ყოველთვის იყო ის, რომ არ დარღვეულიყო რელიგიური კანონი და წესი. ამ პრინციპით აიგო და დღესაც იგება დიდი ტაძრები, მაგალითად, ისეთი გენიალური ძეგლი, როგორიცაა პეტრეს ტაძარი რომში. ამის საშუალებას კათოლიციზმი იძლევა. ტაძრების მშენებლობაში ნოვატორული იდეების განხორციელებისთვის დიდი ინვესტიციები იდება. ჩვენს ეკლესიას ამის გააგონებაც არ უნდა. უნდა აშენო ისე, როგორც შუა საუკუნეებში აშენებდნენ. იცვლება ტექნიკური საშუალებები, მასალა, მაგრამ არ იცვლება ფორმა.

ქუჩი: — არავის, მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში, უცდია დროსთან შესაბამისად რაიმე ცვლილება შეეტანა საეკლესიო არქიტექტურასა და მშენებლობაში.

თემური: — და ნახეთ, ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში იგივე ხდება. თვითონ სარწმუნოებაშია საიდუმლო, რომელიც ეკლესიამ იცის და ამიტომაც ეკიდებიან ასე სათუთად და კატეგორიულად ამ საკითხს.

რამდენიმე არაპროფესიული კითხვისა და ლაფსუსის შემდეგ მივალნი იმას, რომ ოთხივე არქიტექტორმა არქიტექტურის მეცნიერების მოკლე შესავალი კურსი წამიკითხა. გაამახვილეს რა ყურადღება იმაზე, რომ არქიტექტურა არის ხელოვნების დედაც და მამაც, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიმიყვანეს, რომ ჩემი პატარა სახლი არის ჩემი სამყარო, ასევეა ჩემი ქალაქი და, თემურ დიასამიძის თქმით, როგორც სახლს სჭირდება პატრონი, ასევე სჭირდება პატრონი ქალაქს, ქუჩას, უბანს და ეზოსაც.

„დილის გაზეთი“: — და ვინ არის ეს პატრონი?

თემური: — პატრონი არის ქალაქის მმართველობა, მერია, ოლონდ, როგორი საშუალებაც აქვს მერიას, ისე უპატრონებს ქალაქს. რაც უფრო მდიდარია მმართველობა, მით უკეთაა მონყობილი ქალაქი. ერთი მეგობარი მყავს, დიდი ხანია, არ ყოფილა თბილისში. რომ ჩამოვიდა, ვკითხე, რა ცვლილებას გრძნობ-მეთქი, და იმან მიპასუხა — ჭუჭყიანიაო. ბავშვობიდან ახსოვდა, როგორ დადიოდნენ ქალაქში წყლის მანქანები და დილა-სალამოს რეცხავდნენ

თბილისს. რამდენი ხანია, ასეთი რამ აღარ გვინახავს. კარგი, მდიდარი პატრონი სჭირდება ქალაქს, რომ „ჭუჭყისგან გაირეცხოს“, კანონიც დროზე მიიღოს.

„დილის გაზეთი“: — აქეთ რომ მოვდიოდი, მეზობლებმა მითხრეს, ჰკითხე ერთი იმ არქიტექტორებს, ძველ თბილისს რას უპირებენ, დანგრევის პირას რომ არისო.

გოჩა: — უნდა ითქვას, რომ 70-იან წლებში, ამ მხრივ ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, მაშინ თბილისის ძველ უბნებში ბევრი სახლი დანგრევას გადაარჩინეს და მთელი რიგი უბნები საექსპურსიო ღირსშესანიშნაობად აქციეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც მაშინ იყო საკმარისი თანხები იმისთვის, რომ შიდა სამუშაოებისთვის მოეკლოთ. უმთავრესი კომუნიკაციებია, რომლებიც მაშინაც წყობიდან იყო გამოსული, ახლა რა დღეშია, ხომ წარმოგიდგინათ. ეს უზარმაზარი პრობლემაა, რომელიც დიდი თანხების დაუხარჯავად არ გადაწყდება. ეს საქმე რომ გააკეთო, შედეგს თვალთ ვერ დაინახავ. წარმოგიდგინეთ, მიწაშია ეს ფული ჩასადები. მიწისქვეშა სამუშაოებია ჩასატარებელი მთელს მთანმინდასა და სოლოლაკში. პირადად მე, ამ პრობლემის გადაწყვეტა საეჭვოდ მიმაჩნია. ამას წინათ ლერი მეძმარიაშვილს ვესაუბრე ამ თემაზე. ჩვენ ძალიან ვცდილობთ, რომ იუნესკოს თანხები მოვიზიდოთ და ძველი თბილისის რეკონსტრუქციას მოვახმაროთ, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ძველი თბილისი უნიკალური ისტორიულ-მხატვრული ღირებულებით ხასიათდებოდეს. აქ კი რა ხდება, მიმდინარეობს ინტენსიური მშენებლობა, ცოცხალი პროცესი. გაჩნდა უამრავი ახალი სახლი და ამას ხელს ვერ შეუშლი. კაცს თუ სახლი დაენგრა, ახალი უნდა ააშენოს. სწორედ აქ არის აუცილებელი რაღაც გარკვეული დოზის დაცვა. სულ ახალ-ახალი სახლები თუ ვაშენეთ, ჩამოვა ეს იუნესკო და გვეკითხავს, სად არის თქვენი ძველი თბილისიო. ეს ის გარდაუვალი წინააღმდეგობაა, რომლის გადაწყვეტაც იოლი საქმე არ არის, თუმცა, გამოსავლის მოძებნა შეიძლება. ევროპაში ასეთი მაგალითები არის.

„დილის გაზეთი“: — დიდი ვერაფერი დამამშვიდებელი პასუხია ჩემთვის და ჩემი ცნობისმოყვარე მეზობლებისთვის. ესე იგი, არქიტექტორები ვერც აქ გამოდგებიან გამწევ და მამველ ძალად.

ქუჩი: — ფული თუ არ არის, ვერაფერს უშველი. მარტო წესიერი არქიტექტორები ქალაქს ვერ უშველიან. ისე, ჩვენში რომ დარჩეს, უნესო არქიტექტორი მე არც მინახავს.

„დილის გაზეთი“: — და ბოლოს, ერთი იდეალისტური და უტოპიური კითხვაც მინდა გაგიბედოთ. თქვენი ნებართვა რომ იყოს, რას გაათრევდით თბილისიდან, უპირველეს ყოვლისა, რას გააქრობდით, რას მოასუფთავებდით?

გიორგი (ვითომ კითხვა სწორად ვერ გაიგო): — ერთი შვიდი თვითმფრინავი გვინდა, ჩავყრიდი ამათ და გავაფრენდი აქედან.

„დილის გაზეთი“: — იმას კი არ გეკითხები, ვის გააფრენდი, რას გაათრევდი-მეთქი, გეკითხები.

გიორგი: — მე კი გეუბნები, სულ ზევდან მოყოლებული, სულ ყველას ერთად ჩავსვამდი იმ თვითმფრინავებში და გავაფრენდი აქედან. ვინც შიგ ჩაეტევა, იმას მანც... აი, „დარღუბლის ღამეში“ რომ იყო, ხომ გახსოვს, შვიდი თვითმფრინავი გვინდა, მეტი კი არა ვართ თავის მინისტრებიანადო.

თემური: — ეყოფათ, რო შვიდი თვითმფრინავი?

გოჩა: — იქვე იმასაც ამბობენ, წავალთ, ბატონო, ჩვენ და თქვენ რას იზამთ, იმასაც ვნახავთ.

„დილის გაზეთი“: — ჰოდა, მართლა ეგრე არ მოხდეს, რომ წავიდნენ და მერე „გამოჩნდება“, რა ბიჭებიცა ვართ და როგორ ავაყვავებთ ქვეყანას?!

გიორგი: — ისევ „დარღუბლას“ თუ დაუფუჯერებთ, იმათი წასვლის შემდეგ იქ ყველაფერი აყვავდა და გაიფურჩქნა.

„დილის გაზეთი“: — მაინც რას იზამდით, ყველაფერს დაანგრევდით, რაც ამ წლებში აშენებულა?

ქუჩი: — არა, არა, გამოსწორება შეიძლება.

გოჩა: — წარმოიდგინე, დღეს თბილისში 600 სახლზეა ლოჯია მიშენებული. ამას რა ეშველება? აქედან, მოთხოვნების დაცვით, მხოლოდ 20 პროცენტია აშენებული. ერთი მაგარი მინისძვრა და შეიძლება, დაინგრეს ყველაფერი. რომ შემექდლოს, ამას მართლა გავაქრობდი.

თემური: — გასაქრობი და მოსასუფთავებელი იმდენად ბევრია, ამორჩევაც მიჭირს. ნახევარი ქალაქი დასანგრევია. განსაკუთრებით, ახალი რაიონები. თბილისი არის კლასიკური მაგალითი იმისა, სადაც დაბალსართულიანი ტერასული და ლანდშაფტთან შეხამებული სახლების მშენებლობა შეიძლებოდა. ერთიც არ აშენდა ასეთი. ნუცუბიდის პლატო იდეალური ადგილი იყო ასეთი სახლების მშენებლობისთვის. საშინელი კვარტალები წამოიჭიმა და განადგურდა მშვენიერი რელიეფი. ვითომ შატილია, არა?

გოჩა: — არადა, ყველამ იცის, რომ ეს მაღალსართულიანი სახლი დაბალსართულიანზე ეკონომიური ნამდვილად არ არის. აღარაფერს ვამბობ სასიცოცხლო პირობებზე. შედარებაც კი არ შეიძლება, იმდენად ეკონომიური, ჰუმანური და ადამიანურია პატარა მასშტაბი, როდესაც ახლოა ეზო, ადვილია მიწასთან და ადამიანებთან ურთიერთობა — მოკლედ, ბედნიერი ყოფაა.

წყალნაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისე დამემართა — ვიდრე თბილისის საბოლოო უსაშველობას წარმოვიდგენდი, კიდევ ერთ პატარა ტოტს მოვეჭიდე და გამახსენდა, რომ არსებობს კანონი შემოქმედებითი კავშირების შესახებ. ამ კანონის არსებობა ჩემს სტუმრებსაც შევანსენე და ასეთი პასუხი მივიღე:

თემური დიასამიძე: — ჩემი აზრით, ეს შემოქმედებითი კავშირები ატავისტური გადმონაშთია და საერთოდ უნდა დაიშალოს. ფაქტობრივად, მათ არავითარი ფუნქცია არ აკისრიათ.

ქუჩი ქუბაბრია: — სულ სხვაა პროფესიული კავშირები, ძლიერი დამცავი მექანიზმები რომ აქვს — არის თავისუფალი და დამოუკიდებელი. ჩვენში

დღეს ეს არ არსებობს. ამიტომ პროფესიონალის სიბერე უზრუნველყოფილი არ არის. ეს სისტემა უცხოეთში ძალიან ძლიერია. შენ, როგორც პროფესიონალს, უკან გიდგას უძლიერესი ორგანიზმი, რომელიც ყველა შემთხვევაში დაგიცავს. გამოასწორებს შენს შეცდომას და თუ რაიმე „იალღიში“ მოგივიდა, შენს ვალსაც გადაიხდის ქვეყნის წინაშე. აი, ასეთი პროფკავშირის ნევროზა ნამდვილად საპატიო და საპასუხისმგებლოა. მე სულ მეგონა, შემოქმედებითი კავშირების დაშლა სწორედ არქიტექტორთა კავშირიდან დაიწყებოდა. თუმცა, ვხედავ, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ალბათ, ჩვენი კავშირი მომავალ ყრილობამდე ვეღარც მიაღწევს.

შეხვედრა ამით დამთავრდა. არქიტექტორებს „ტვინისჭყლეტა“ მოენონათ. ეტყობა, დიდი ხანია, აღარ შეკრებილან და არ მოუფხანიათ გული. კიდევ როდის შევიკრიბოთო, იკითხეს და ჩვეული ტაქტითა და ჯენტლმენობით ტავერნა „მაიკოში“ მათთვის განყოფილი სუფრის გადახდა დააპირეს. „დილის გაზეთმა“ ეს ტრადიციის დარღვევად მიიჩნია და არქიტექტორების მცდელობა იქვე აღკვეთა.

გაზ. „დილის გაზეთი“, NN169-170, 25-26 ივლისი, 2001 წელი.

∅

?



შობის ღამის სიზმარი ჩემს კომპიუტერში

ღილის ცხრა საათზე, ზამთრის სუსხისგან მოზუზული, შევდივარ ჩემს სამუშაო ოთახში, ვიფშვინეტ გათოშილ თითებს, ქურქის გაუხდელად ვრთავ კომპიუტერს და მსოფლიო ქსელში ვინყებ მოგზაურობას. პირველად ჩემს საკუთარ ელექტრონულ ფოსტაში შემოსულ წერილებს ვამოწმებ. პირველი წერილი ლარი კილმანს ეკუთვნის. იგი „გაზეთების მსოფლიო ასოციაციის (WAN)“ საკომუნიკაციო სამსახურის დირექტორია. მასთან უკვე სამი წლის მეგობრობა და თანამშრომლობა გვაკავშირებს. „ღილის გაზეთი“ სისტემატურად ესწრება და აშუქებს გაზეთების მსოფლიო ასოციაციის ყოველწლიურ კონგრესებს. ასოციაციაც, თავის მხრივ, სისტემატურად გვანვდის საგაზეთო ბიზნესსა და საერთაშორისო ჟურნალისტურ სამყაროში მიმდინარე ყველაზე ცოცხალი პროცესების ამსახველ პრესრელიზებსა თუ სხვა ბეჭდვით მასალას.

დღევანდელი წერილი საშობაო მილოცვაა, ტექსტი — ტრაფარეტული, ისეთი, როგორსაც ცივილიზებული და ზრდილობიანი დანესებულებების საკომუნიკაციო სამსახურები წერენ ხოლმე თავიანთ პარტნიორებს: გილოცავთ ამას და ამას, გისურვებთ იმას და იმასო და ასე შემდეგ. ასეთი მოსალოცები თავადაც მილიონობით დაგვიგზავნია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ, ამ წერილს თან ერთი განსაკუთრებული დანართი ახლავს — პატარა მოძრავი კონვერტი. დააჭერ ღილაკს და იქიდან საშობაო ღია ბარათი ამოძვრება. ბარათზე ზამთრის პეიზაჟია — დათოვლილი და ჩაბნელებული ქოხი ტყეში. ბარათს კუთხეში ინგლისურად აწერია, თუ გინდა რომ სურათი გაცოცხლდეს, სახლის საკვამურზე „დააკლიკე“ (ანუ, დააჭირე თითიო), მეც „ვაკლიკებ“ და უცებ საკვამურიდან ნაცრისფერი კვამლი ამოდის წერილად. ფანჯარაში მოყვითალო სინათლე ციმციმებს და ბუხრიდან გამოსული ცეცხლის ენები ჩემს ოთახს ათბობს. მერე, ეზოში რომ პატარა მორი გდია, იმას ვაჭერ კომპიუტერულ „თითს“ და მორი უმაღ უშველებელ, მწვანე, გატოტვილ ნაძვის ხედ იქცევა, ცაში ერთი ვასრკვლავი კამკამებს. დააჭერ თუ არა თითს იმ ვარსკვლავს, ნაძვის ხის კენწეროზე ჩამობრძანდება, კიდევ ერთი დაჭერაც და, ნაძვის ხე წითელ-წითელი სანთლებით შეიმოსება, სანთლებს იმ დიდი ვარსკვლავიდან ჩამოცვენილი მომცრო ვარსკვლავები დაასკუბდებიან. ნაძვის ხე მწვანე, წითელ და ვერცხლის ფერებით ჩახჩახებს. მერე ეზოს ჭიშკარიც ამოძრავდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჭრიალებს კიდევ, გეძახის, მოდი, ახლა მეც მომხე-

დეო. ვაჭერ ღილაკს და დათოვლილ ეზოში მსუქანი, ქრელი კატა და შავი, ბომბორა ძაღლი შემორბიან. მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხის დანახვაზე ორივე ირინდება და მონუსხული შეჭყურებს აბრდღვიალებულ სანთლებს.

კიდევ ცოტაც და ჩამუქებული ციდან თოვლის ფანტელების ცვენა იწყება, ბარდნის, ბუხარი გიზგიზებს, საკვამურიდან ამოსული კვამლი ზანტად იკლავება და იფანტება ჰაერში, ეზოში ვეებერთელა, გატოტვილი ნაძვის ხე ბრდღვიალებს, მის გარშემო შენი საყვარელი ცხოველები დახტიან, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ და შენ საოცრად გთბილა. სულში განუზომელმა სიმშვიდემ და მყუდროებამ დაისადგურა. ამ წუთას მთელ დედამიწაზე, ალბათ, ზუსტად ისეთივე სიმშვიდე და მყუდროებაა, როგორც შენში. ეს ის წუთი და წამია, ის ერთი უცნაური ღამე, რომელიც კაცობრიობას ახალ ცხოვრებაზე, ბედნიერებასა და უკეთეს მომავალზე აოცნებებს, გულში იმედის ნაპერწკალს უღვივებს და ოცნების ასრულებას ჰპირდება. ამ ღამეს, დიდიცა და პატარაც, სახლის ზღურბლზე ჩამომსხდარნი, ერთნაირი გულუბრყვილობით მოველით ხურჯინიან თოვლის ბაბუას. ამ ღამეს, ყველას, ერთი წამით მაინც, გაუელვებს ხოლმე გონებაში: რა იცი, ეგებ მართლა მესტუმროს თოვლის ბაბუა, დაიხაროს ჩემს სასთუმალთან და ჩამჩურჩულოს, აი, მოვედი და საჩუქრებით სავსე ხურჯინი მოგიტანეო.

წუ შეგეშინდება თვალის გახელის, ის მართლაც მოვა ახალი წლის ერთ მშვენიერ ღამეს, ჩაგიცუცქდება სასთუმალთან და ჩაგჩურჩულებს — მე მოვედი. მთავარია, არ ჩაგეძინოს და ერთხელ მოსული, სახლიდან უჩუმრად არ გაგეპაროს. ნამდვილად ასეა, თორემ აბა, საიდან ჩაგუბდებოდა ამ სუსხიან დილას ჩემს კომპიუტერში ამდენი სითბო, სინათლე, სიმშვიდე და მყუდროება — ყველაფერი ის, რაც ასე გვაკლია და უზომოდ გვენატრება.

დედამინის მოსახლეობის ორმა მესამედმა არ იცის, რას ნიშნავს პრესის თავისუფლება

მთელ მსოფლიოში პრესის თავისუფლების დასამკვიდრებლად გაზეთების მსოფლიო ასოციაცია წინ აღუდგა და ამკარა ბრძოლა გამოუცხადა ავტორიტარულ მმართველობებს. ასოციაციის პრეზიდენტმა ბენტ ბრაუნმა და მისმა გენერალურმა დირექტორმა ტიმოთი ბოდინგმა ჟურნალისტიკაში იმით გამოიჩინეს თავი, რომ ცხოვრების საუკეთესო წლები პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლას მიუძღვნეს, ვინაიდან, როგორც ბენტ ბრაუნი ამბობს, „დედამინის მოსახლეობის ორმა მესამედმა არც კი იცის, რას ნიშნავს ცნება „თავისუფალი პრესა“.

— გაზეთების მსოფლიო ასოციაცია ყოველ წელს, „თავისუფლების ოქროს

კალმით“ აჯილდოვებს პრესის თავისუფლებისათვის მებრძოლ გამოჩენილ ჟურნალისტებს. როგორ არჩევენ მათ? — ამ კითხვით დაიწყო ინტერვიუ ბატონ ბრაუნთან და ტიმოთი ბოლდინგთან ბრიტანელმა ჟურნალისტმა ოლივიერ ფრენგმა.

ბოლდინგი: უპირველეს ყოვლისა, ვუკავშირდებით მსოფლიოს გაზეთებს, ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციებს, ჯგუფებს, შესაბამის დაწესებულებებს მსოფლიოში და ვთხოვთ კანდიდატების დასახელებას. შემდეგ ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტი აჯერებს შედეგებს და ვისაც მეტი აღიარება ხვდება წილად, იმას ვანიჭებთ წლის პრემიას.

— ამ პრინციპით აარჩიეთ წლევეანდელი კანდიდატიც?

ბოლდინგი: დიახ, ფარაჯ სარქოიმ ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა დააგროვა. ეს არც იყო გასაკვირი. მან ირანის ორი რეჟიმის რეპრესიებს გაუძლო და დღესაც ძველებური თავგანწირვით იბრძვის სამშობლოში პრესის და სიტყვის თავისუფლებისათვის.

— თავად მსოფლიო გაზეთების ასოციაცია როგორ უწევს პროპაგანდას პრესის თავისუფლებას ფართო გაგებით?

ბრაუნი: ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ დაპატიმრებულ ჟურნალისტებს. ლობირებას ვუწევთ კანონებს, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას იცავენ. შარშან იუნესკოს მხარდაჭერით ყოფილ იუგოსლავიაში დამოუკიდებელი გაზეთების ქსელი დაეარსეთ, ყოველწლიურად ვუწყობთ ხელს გაზეთთა ასოციაციების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

— სად, რომელ ქვეყანაში იზღუდება დღეს პრესის თავისუფლება?

ბოლდინგი: ირანში, ჩინეთში, ვიეტნამში, ბირმაში, ნაწილობრივ თურქეთში. დაპატიმრებული ჟურნალისტების რაოდენობით ეთიოპიამ ყველა ქვეყანას გადააჭარბა.

ბრაუნი: ამ ქვეყნებთან ერთად ცენტრალური ევროპის ქვეყნებსაც დავასახელებდი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს დედამიწის მოსახლეობის ორმა მესამედმა არც კი იცის, რას ნიშნავს ცნება „თავისუფალი პრესა“.

— კერძოდ რას აკეთებთ დაპატიმრებული ჟურნალისტების გასათავისუფლებლად?

ბოლდინგი: ჩვენ სამართალზე დაყრდნობილი „აგრესიულობით“ ვუწევთ წინააღმდეგობას რეპრესიის ნებისმიერ გამოვლენას მსოფლიოში. პირდაპირ დიალოგს ვინყებთ მთავრობებთან, საჩივარი შეგვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ახლახან ერთ რედაქტორთან ერთად ჩინეთს გახლდით და ჩინეთის პრემიერმინისტრს 17 დაპატიმრებული ჟურნალისტის სია წარვუდგინეთ.

— რა პოზიცია დაიკავა პეკინის ხელისუფლებამ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით?

ბოლდინგი: საქმე ის არის, რომ ჩინეთი კერკეტი კაკალივით ძნელი გასატეხია. ჩინეთის მთავრობას ვერ დააცდენინებ, ჟურნალისტი მოვალეობის პირ-

ნათლად შესრულებისთვის დააკავესო. მათ სულ სხვა არგუმენტები აქვთ და ირწმუნებიან, რომ თითოეული მათგანი ან სამშობლოს ღალატისთვის, ან შპიონაჟისთვის და ან ეროვნული უსაფრთხოების შერყევის მცდელობისთვის არის მსჯავრდადებული. ბუნებრივია, ეს მართალი არ არის, მაგრამ ვერაფერს გააწყობ. ჩვენ ასეთ ხერხს მივმართეთ: მაგალითად, დაუუკავშირდით ჩინეთის ელჩს შვედეთში და გავაფრთხილეთ, რომ ჟურნალისტთა დაპატიმრების შემთხვევების სამხელად დიდი კამპანია გვაქვს წამოწყებული. ბენტ ბრაუნმა მას უთხრა, დღეიდან ყოველ პრესკონფერენციაზე ჩინეთის ხელმძღვანელებს ჟურნალისტები კონკრეტულ კითხვებს დაუსვამენ მათ ქვეყანაში სიტყვისა და პრესის თავისუფლების მდგომარეობაზე და ეს მსოფლიო საზოგადოებაში ჩინეთის მთავრობის იმიჯს საგრძობლად შეარყევსო. ასეთი უსისხლო იარაღი გვაქვს და ამ იარაღით მომავალშიც ვისარგებლებთ.

— პირადად თქვენ თუ მოგინახულებიათ ციხეში რომელიმე პატიმარი ჟურნალისტი?

ბრაუნი: არა, პირადად მე ჯერ არა, მაგრამ სისტემატურად ვაგზავნი პატიმრებთან ჟურნალისტებს. მთავარი ის არის, რომ მთავრობებმა გაიგონ — ჩვენ სადარაჯოზე ვდგავართ, ვსწავლობთ დაპატიმრებული ჟურნალისტების საქმეებს და ყოველ წამს მზად ვართ მხარში ამოვუდგეთ მათ თავისუფლებისთვის ბრძოლაში, მსოფლიოს შევატყობინოთ მათი ამბავი.

ბოლდინგი: ხშირად მთავრობებისგან ჩვენს აქციებს შესაფერისი რეაქცია მოსდევს. მაგალითად, შარშან თავისუფლების ოქროს კალამი ცნობილ ვიეტნამელ ჟურნალისტს, დოენ ვიეტ ოატს მივანიჭეთ. ოატი ამ დროს 18-წლიან სასჯელს იხდიდა და კიდევ 10 წელი ჰქონდა დარჩენილი. ჩვენ ჰანოიში პრესკონფერენციაზე საჯაროდ შევაფასეთ ოატის ღვაწლი პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლაში და პრიზი მის მეუღლეს გადავეცით. ზუსტად 6 თვის შემდეგ ოატი ვიეტნამის მთავრობამ გაათავისუფლა.

— კიდევ რა შეგიძლიათ თქვით თავისუფლებისათვის მეგრძოლ ჟურნალისტებზე, როგორები არიან ისინი პირად ცხოვრებასა და ურთიერთობაში?

ბრაუნი: პირადად მე ძალიან კარგად ვიცნობ პიუს ნიავეს. 1979 წელს მან კამერუნში საკუთარი სახსრებით თავისუფალი გაზეთი გამოსცა. ადრე მას ხშირად აპატიმრებდნენ, ბოლოს, 1979 წელს, საკუთარ გაზეთთან ერთად ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის დააპატიმრეს. „ცრუ ინფორმაცია“ იყო ის, რომ კამერუნის პრეზიდენტმა ფეხბურთის სტადიონი მატჩის დამთავრებამდე დატოვა, რადგან გულის შეტევა მოუვიდა“. რა თქმა უნდა, ეს იყო საბაბი, სინამდვილეში, ნიავეს სტატია აშკარად ამხელდა კამერუნის მთავრობის აღვირახსნილ კორუფციას მილსადენის პროექტთან დაკავშირებით. პიუს ნიავე ყველა რედაქტორთან ერთად დააპატიმრეს, მის მეუღლესა და ბავშვებს კი სისტემატურად ემუქრებოდნენ. კამერუნში თავისუფალი გაზეთების ბაზარი არ არსებობს, აქედან გამომდინარე, ნიავეს არავითარი მოგება გაზეთიდან არ

ჰქონია, და ყველაფრის მიუხედავად — შერყეული ჯანმრთელობისა, გართულებული დიაბეტისა და სიღარიბისა, 20 წლის განმავლობაში მას ფარხმალი არ დაუყრია, მუდამ ბავშვით მხიარულია, გულლია და მიუკერძოებელი, არ არსებობს ხერხი მის მოსასყიდად.

— დღეს განვითარებულ ქვეყნებშიც დიდი ძვრები შეინიშნება საგაზეთო ბიზნესში. ნიელ პოსტმენი, მასაჩუსეტისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-კრიტიკოსი წერს, რომ მალე გაზეთები იძულებული იქნებიან, გამოეთხოვონ ინფორმაციის წყაროს საპატიო ფუნქციას და შემეცნებით-საგანმანათლებლო საქმიანობაზე გადავიდნენ. თქვენ რას იტყვით ამაზე?

ბრაუნი: ახალი სტილის მედიამ, ფაქტობრივად, უკვე აიძულა კიდევ გაზეთები ინფორმაციის მედიუმის ფუნქცია ანალიტიკოსის ფუნქციით შეეცვალა. კონტექსტები, საფუძვლიანი ინფორმაცია, აი დღევანდელი გაზეთების საკბილო.

ბოლდინგი: ამასთან დაკავშირებით, თქვენის ნებართვით, კვლავ ნიელ პოსტმენს მოვიხმობ. მან თქვა, რომ გაზეთებს დღეს ფილოსოფიანასწავლი, ამ ცხოვრების კარგად მცოდნე ჟურნალისტები სჭირდება. ისეთები, ვინც მოვლენებს ფართო სპექტრში ხედავენ.

— მსოფლიო გაზეთების ერთ-ერთ ბოლო კონფერენციაზე დევიდ მონთგომერიმ აღნიშნა, რომ საგაზეთო საქმე ძველმოდურ ინდუსტრიად იქცა, ეს დროის უქმად ხარჯვა, ერთისა და იმავეს ლეჭვა და სულიერების დამანგრეველი პროცესია. ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ მიუხედავად ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარებისა, საგაზეთო წარმოება კვლავ მოძველებულ ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და სტანდარტებზეა გაყინული. თქვენი კომენტარი?

ბოლდინგი: ამ მოხსენების შემდეგ ზუსტად 4 თვეში დევიდ მონთგომერიმ სამსახური დაკარგა, თუმცა მას ვეთანხმები იმაში, რომ საგაზეთო წარმოება საკმაოდ კონსერვატორულია.

ბრაუნი: და ამას ძლიერი გასამართლებელი საბუთიც აქვს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მკითხველებს არ უყვართ სწრაფი ცვლილებები საგაზეთო საქმეში. ყოველ მათგანს საკუთარი საკითხავი გაზეთი აქვს ამორჩეული და რალაც მყუდრო და ინტიმური ურთიერთობაც აქვს მასთან დამყარებული. მიუხედავად ამისა, უმცირება იქნება იმის მტკიცება, რომ საგაზეთო ინდუსტრიაში არაფერი იცვლება.

— საკმარისია ეს ცვლილებები იმისათვის, რომ გაზეთებმა ინტერნეტის ხანაში სახე და მნიშვნელობა შეინარჩუნონ?

ბრაუნი: სულ ახლახან 1988 წლის მონაცემები მივიღეთ: ამ მონაცემების მიხედვით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გაზეთების მკითხველთა რაოდენობა სასწაულებრივად გაზრდილა. მაგალითად, შვედეთში მოსახლეობის 75 პროცენტი 9-დან 79 წლამდე გაზეთს კითხულობს. ბოლო ათი წლის მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. მკითხველთა რიცხვმა განსაკუთრებით იმატა 16-დან 24 წლამდე ასაკის მოსახლეობაში. ეს იმის მაუწყებელია, რომ ახალ თაობას

წინამორბედთაგან განსხვავებით, არ მოსწონს ბულვარული ჟურნალისტიკა. მეტი რა არგუმენტი გნებავთ?

— მოკლედ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ცხოვრებაში ინტერნეტის შემოჭრის მიუხედავად გაზეთების მოყვარულთა რიცხვი მატულობს?

ბრაუნი: დიახ, მიმაჩნია. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ იმ პირთა 97 პროცენტი, ვისაც შინ პერსონალური კომპიუტერი აქვს, გაზეთებს იწერს. ამას არაფერი აქვს საერთო ინტერნეტისა და გაზეთის დაპირისპირებასთან. საქმე იმაშია, მატერიალურად რომელზე მიუწვდება ხელი მომხმარებელს.

— გაჩნდა ინტერნეტიდან გაზეთების ციფრულად ამობეჭდვის ტენდენციაც. ამით დიდძალი ქალაქი იზოგება.

ბოლდინგი: ზოგიერთ ბაზარზე ასეთი გამოცემები პოპულარულია, მაგრამ მათ ფეხი ვერ მოიკიდეს მასობრივ ბაზარზე.

— ძველად გაზეთებს გამომცემლები ფლობდნენ, დღეს მათ უმრავლესობას მენეჯერები აკონტროლებენ, რომლებიც ხშირად ბაზრის მონაცემებს ეყრდნობიან და არა საკუთარ ინტუიციას. შესაძლოა თუ არა, რომ ბაზრის ანალიზმა სრულიად გამორიცხოს ინტუიციის ფენომენი?

ბრაუნი: მჯერა, რომ დღევანდელ საგაზეთო ბიზნესში ისეთი ხალხი ტრიალებს, ვინც საკუთარ ინტუიციასა და შინაგან მეს პატივს სცემს. საგაზეთო ბიზნესის ერთ-ერთ ბოლო მიღწევად მიმაჩნია ის, რომ გამომცემლები და რედაქტორები საერთო ინტერესებით ერთიანდებიან და ისე მოქმედებენ.

ბოლდინგი: მარკეტინგის ექსპერტები ხშირად ჩივიან, გამომცემლები ჩვენს რჩევებს უგულბებლყოფენო. ეს სწორი არ არის. უკეთესი იქნება, თუ ჟურნალისტები მათ ყურადღებით მოუსმენენ. ფაქტია, რომ ხშირად ჟურნალისტები ერთმანეთს „ეკელუცებიან“ და საშუალო მკითხველი ავიწყდებათ.

— მერე და რა არის ამაში ცუდი?

ბოლდინგი: როგორც წესი, ჟურნალისტები თავს პოლიტიკოსების კოლეგებად მიიჩნევენ, ამ სიტყვის უფინროესი გაგებით, ასევე ეკონომიკის მესაჭეებად და კულტურის მოღვაწეებად. ხშირად მათი სტატიები ზედმეტად სპეციალიზებულია. წერენ იმათთვის, ვინც საქმეშია ჩახედული, სამაგიეროდ, ყურადღების მიღმა რჩებათ მკითხველთა ის მილიონიანი არმია, რომელსაც საშუალო ფენა ჰქვია. მათთვის გასაგებ ენაზე უნდა წერდეს კარგი ჟურნალისტი.

*ციურიხი, შვეიცარია 13-16 ივნისი.
გაზ. „დილის გაზეთი“, 24 ივნისი, 1999 წელი.*

ჯერ გავამარტივებთ, მერე ვართულებთ

12 ივნისს, „დილის გაზეთის“ მივლინებით ციურისს გავემგზავრე გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 52-ე კონგრესსა და რედაქტორთა მსოფლიო მე-6 ფორუმზე დასასწრებად. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან „თურქეთის ავიახაზებით“ დილის 5 საათზე დავინყე მოგზაურობა ციურისსკენ, ჩემი ბარგი იმავე ტრანსპორტით ჩემგან დამოუკიდებლად მგზავრობდა. შუადღისას უკვე ციურისში ვიყავი და ბარგი რომ მოვიკითხე, ნურას უკაცრავადო, მითხრეს. ობლად დარჩენილი ჩემი და კიდევ ათიოდე სხვა მგზავრის ჩემოდნები თურქეთის აეროპორტში უიმედოდ ელოდა პატრონს. ათივე მგზავრმა მაშინვე „შვეიცარიის ავიახაზების“ დაკარგული და ნაპოვნი ნივთების ოფისს მივმართეთ და რომ არა იქაური თანამშრომლების მაღალპროფესიული სიმშვიდე, პირადად ჩემს გურულ ტემპერამენტს ვერაფერი დააშოშმინებდა. საქმე ის იყო, რომ მე იმ დაკარგულ ჩემოდანში საკუთარი და მთელი სანათესავო-სამეგობროს საუკეთესო ტანსაცმელი მენყო. მეორე დღეს კი კონგრესი უმაღლეს დონეზე შეხვედრით იხსნებოდა.

აეროპორტში დამპირდნენ, ბარგს მოგიძებნით და სასტუმროში მოგართმევთო. მართალი გითხრათ, ეჭვი შემეპარა, მაგრამ რას გავანყობდი, შეძლებისდაგვარად ოპტიმიზმით აღვიჭურვე და მორჩილად გავემურე სასტუმროსკენ. მისვლისთანავე კონგრესის ერთ-ერთ ორგანიზატორს ანა-მარია სთოთს დაუკავშირდი და ჩემი გასაჭირი ვუამბე. ანა-მარიასთან ციურისში ჩასვლამდე რამდენიმე თვე ეპისტოლური ჟანრის მეგობრობა მქონდა გაჩაღებული. მითხრა, ნუ გეშინია, ბარგი კონგრესის ოფიციალურ გახსნამდე თუ არ ჩამოგივიდა, ჩემს ტანსაცმელს გათხოვებო. საღამოს აეროპორტიდან შემატყობინეს, თქვენი ჩემოდნის ჯერ არაფერი ისმისო.

ვიდრე ამას გავიგებდი, დარდის გასაქარვებლად ჟენევის ტბის სანაპიროსკენ გავუყევი, უკან რომ ვბრუნდებოდი, ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ დასცხო, შვეიცარიაში ჯერ რომ არ მოსწრებთან. როგორც იქნა, მივალნიე სასტუმრომდე, გასაწერი ტანსაცმელი სააბაზანოში გავფინე და მტკიცე გადანყვებით, ხვალ არსად წავალ-მეთქი, ლოგინში შევნიქე.

დილით ალიონზე გამეღვიძა, წარმოიდგინეთ, ჩემი ტანსაცმელი მშრალი იყო, არცთუ მაინცდამაინც დაჭმუჭნული, მაგრამ საგრძნობლად დამოკლებული. კაფეში ჩავედი სასაუზმოდ, ცა ისევ მოქუფრული იყო და მე მციოდა. კონგრესის მონაწილეები ნელ-ნელა გროვდებოდნენ კაფეში. მარტო ვიჯექი მაგიდასთან. უცებ, ერთი მშვენიერი ახალგაზრდა გოგონა მომიახლოვდა და მითხრა, გიცანით, თქვენ მანანა ხართ, მე ანა-მარია სთოთიო. ძალიან გამიხარდა, მაგრამ გოგონას რომ ავხედ-დავხედე, სიცილი ამიტყდა. ანა-მარია ჩემზე ორჯერ მაღალი, გამხდარი, რომ აღარა ვთქვა, ლამაზი და ახალგაზრდა, ასე გუ-

ლუხვად რომ მთავაზობდა თავის ტანსაცმელს, ნეტავ, როგორ უნდა მომერგო. მოკლედ, ჩემი საშველი ისევ აეროპორტის ოპერატიულობაზე ეკიდა.

ავტობუსებით ნაგვიყვანეს „გოლდერ გრანდ ჰოტელში“, სადაც 9 საათზე მსოფლიო ბანკისა და გაზეთების მსოფლიო ასოციაციის მრგვალი მაგიდა „პრესის თავისუფლება“ იმართებოდა. „გოლდერ გრანდ ჰოტელში“ ციურიხში ყველაზე პრესტიჟული და ძვირად ღირებული სასტუმროა, მთლიანად მწვანეში ჩაფლული, პატარა გორაკზე თავმომწონედ შემოსკუპული, დიდი ძველებური სვეტებიანი დარბაზებით და სუპერთანამედროვე მომსახურებით. კედლებიდან ისეთი სიმდიდრე და მსუყე ამბიცია მოჟონავდა, ამ გარემოში მე სოციალური უსამართლობისადმი პროტესტის გამოსახატად გამოცხადებულ პროლეტარ-რევოლუციონერს ვგავდი. სხვა რა გზა მქონდა, შევიფერე ახალი „სტატუსი“ და განვითარებადი ქვეყნის თვითგამოურკვეველი მოქალაქის მერყევი ნაბიჯით შევბიჯე უშველებელ სხდომათა დარბაზში, სადაც, როგორც მრგვალი მაგიდის ყველა მონაწილეს, მეც საკუთარი მაგიდა, საკანცელარიო ნივთებით და კონგრესის მასალებით სავსე ჩანთა, პოლიგლოტი ყურსაცვამი და, რამაც ყველაზე გამაკვირვა, საფერფლე მელიოდა. გახურებული დისკუსიის დროს მრგვალი მაგიდის რაინდები სიგარეტის კვამლში ძლივს ვარჩევდით ერთმანეთს. მე რა, ამერიკელებმა იკითხონ-მეთქი, ვიფიქრე. იქ, ამერიკაში, შენობაში, სიგარეტით ხელში რომ დაგიჭირონ, დარბაზს კი არა, საზღვარს დაგატოვებინებენ გარემოს დაბინძურებისათვის.

„მრგვალი მაგიდის“ პირველი რაუნდის სპიკერები მსოფლიოში დემოკრატიის ცნობილი ქომაგები, ჩინელი ჟურნალისტი ვეი ჯინშენგი და „თავისუფლების ოქროს კალმის“ წლევეანდელი ლაურეატი, ირანელი ფარაჯ სარქიო იყვნენ. ამ ორიდან, მიუხედავად იმისა, რომ მეორე კონგრესის აშკარა ფავორიტი იყო, ყველაზე მეტი კითხვა მაინც ჩინელ ჟურნალისტს დაუსვეს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ირანის პრესისა და სიტყვის თავისუფლება ისედაც „გამჭვირვალეა“, ჩინეთისა კი — ჯერ არა.

ამერიკის უნივერსიტეტებში დემოკრატიულ პრინციპებზე გამონრთობილი ჯინშენგი ძლივს ასწრებდა პასუხების გაცემას (საგულისხმოა, რომ წესიერ ქვეყნებში პრესკონფერენციებსა თუ მრგვალ მაგიდასთან რეგლამენტს არავინ არღვევს).

პასუხებიდან გამომდინარე, ჩემი „ჩინური ჩანანერი“ ამას გვაუნწყებს: ჩინეთში, თურმე, ყველა დამოუკიდებელი გაზეთი არალეგალურია, არალეგალურ სტამბებში იბეჭდება და კანონის ძალით ისჯება, ანუ, პატიმრდება. მაგრამ, როგორც ყველა კომუნისტურ ქვეყანაში, და არა მარტო კომუნისტურში, ჩინურ პოლიციასაც, ჯოჯოხეთის არ იყოს, ქრთამი ანათებს. ამდენად, არალეგალური გაზეთები ასე თუ ისე, მაინც ვრცელდება. მარტო შარშან, არალეგალური გაზეთების ბეჭდვისთვის, ჩინეთში 1000 კაცი დაიჭირეს. ჩინელმა გამომცემლებმა გაზეთების ბეჭდვა ქვეყნის გარეთ დაიწყეს, რომ მსოფლიო საზოგად-

დოებისათვის მართალი ამბები შეეტყობინებინათ ჩინეთზე, დახმარებოდნენ ჩინელ მწერლებსა და ჟურნალისტებს ცენზურასთან ბრძოლაში. თუმცა, თავად ჩინეთის საზოგადოება დასავლეთს დიდად არც ადრე ენდობოდა და არც ახლა ენდობა. თანაც, არალეგალური გაზეთებიდან წმინდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალზე ცოტაა, მათ ბულვარული და პორნოგრაფიული პრესა სჭარბობს. სამაგიეროდ, რაც არის, ძალზე პოპულარულია. არაოფიციალური პრესის ლიდერები იმდენად დაფასებული ხალხია, რომ მათთან ამკარა ჭიდილს ხელისუფლებაც კი ერიდება. მთავრობაში მძვინვარე კორუფციამ კორუფციურულ ჩინეთში კორუფციურული ჟურნალისტების მთელი არმია დაბადა. ჯინშენგის თქმით, გაზეთების ლეგალიზებას ჩინეთში მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ ეს გაზეთები შემდეგაც თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის ბრძოლის სულისკვეთებას შეინარჩუნებენ. 18 წლის წინათ ჯინშენგს არალეგალური გაზეთის გამოცემისათვის 18 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ახლა ჩინეთში სხვა სიო ქრის და, მიუხედავად ყველაფრისა, პრესის თავისუფლებისადმი დამოკიდებულება, ძველთან შედარებით, მაინც გაცილებით გაუმჯობესებულიაო, ამბობს ის.

მრგვალი მაგიდის მეორე რაუნდის რაინდები ინდოელი გამომცემელი ტ.ნი-ნანი, „ვამინგტონ პოსტისა“ და „ნიუს ვიკის“ ასოცირებული რედაქტორი რობერტ სემუელსონი და შვეიცარიელი რედაქტორი ბით კაპელერი იყვნენ.

პირველმა სპიკერმა დარბაზს უშველებელ ეკრანზე საგაზეთო ბინესში ეკონომიკური წარმატების 10 ცნება გაანდო. მე ათივე ბეჯითად ჩავინერე და ჩამოსვლითანავე „დილის გაზეთს“ გავუზიარე. თუ „დილის გაზეთმა“ საექსპერიმენტოდ ამ ცნებების რეალიზება გადაწყვიტა, მაშინ თავად იხილავთ შედეგს. მე კი ჯერ მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

რაც შეეხება სემუელსონის გამოსვლას, იგი თავიდან ბოლომდე ამერიკულ-საქმიან-არგუმენტირებული უბრალოებით იყო გაჯერებული და ძალზე საცნაური ფრაზით იწყებოდა, რომელიც, როგორც თავად გამოტყდა, სხვას ეკუთვნის: ჩვენ ჯერ ყველაფერს ვამარტივებთ, შემდეგ ვართულებთო.

შვეიცარიელი ბით კაპელერი ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან მისი სამშობლო მსოფლიოში ყველაზე ნაკლებ კორუფციურულ და დემოკრატიულ ქვეყნად არის აღიარებული. მიუხედავად ამისა, კაპელერმა არ მოინდომა ჩამორჩენოდა კოლეგებს და მრგვალი მაგიდის წევრებს სრულიად გულწრფელად გაუმხილა, რომ ამ ორი თვის განმავლობაში ჟურნალისტებმა რამდენიმე მსხვილი კომპანია ამხილეს კორუფციაში და მათი ხელმძღვანელების თანამდებობიდან გათავისუფლებას მიაღწიეს. შვეიცარიაში კორუფცია, თურმე, ჟურნალისტებშიც არცთუ იშვიათი მოვლენა ყოფილა. დიდი კომპანიები მალალ პროფესიულ ჟურნალისტებს „ყიდულობენ“ და საკუთარი ინტერესებისთვის ამუშავებენ. ამას დასავლეთში „ტკბილ ცდუნებას“ ეძახიან, რომელიც, ბუნებრივია, წინა ხაზის „ცხელ ტყვიას სჯობს“. კითხვაზე, როგორ

უნდა მოუგოს „გაზეთების მსოფლიო ასოციაციამ“ საინფორმაციო ომი მსხვილ მაგნატებს, რომლებიც საზოგადოებას საკუთარი მილიონტირაჟიანი გაზეთებით აბრუებენ, კაპლერმა ერთობ ზოგადად, მაგრამ კატეგორიულად უპასუხა: უპირველესად, რედაქტორებმა და გამომცემლებმა ჟურნალისტებს კარგად უნდა გადაუხადონ, დანარჩენს კი დრო და პატიოსანი ჟურნალისტები მოუვლიანო.

„მრგვალი მაგიდის“ ორივე რაუნდს ფონს აფრიკელი ჟურნალისტების გამოგნებლად დროული, ბრძნული და სიტუაციურად გამართლებული კითხვები უქმნიდა. მათზე პასუხის გაცემა წამყვანი ქვეყნების ექსპერტებს სულაც არ ეადვილებოდათ. მათთან კამათში საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ „მსოფლიო ბანკის“ წარმომადგენლები. მსოფლიო ბანკის პოლიტიკას განიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა რედაქტორმა არა ხალხზე, არამედ მთავრობაზე ორიენტირებული უწოდა. ამას ისიც დაამატა, რომ მსოფლიო ბანკის იდეა და ფილოსოფია მისი რეალური საქმიანობის სრულიად საპირისპიროა. განას, რომელსაც მსოფლიოს დიდი დონორები და პრეზიდენტები დღეს დემოკრატიული ძვრების აფრიკულ ნიმუშად ასახელებენ, თურმე, არაფერი აქვს საერთო ნამდვილ განასთან. ამის დანახვა და აღიარება კი არავის სურს. მაგალითად, განაში ჩაბრძანებულმა პრეზიდენტმა კლინტონმა, თურმე, საერთოდ არ ისურვა ოპოზიციურ მედიასთან შეხვედრა. ასევე მოქცეულან ინგლისის პრემიერ-მინისტრი და სხვანიც. ბოლოს და ბოლოს, — თქვა განელმა ჟურნალისტმა, — ოპოზიციონერ ჟურნალისტს შეუძლია, ქვეყნის სახელმწიფო ლიდერი ან მთავრობა გალანძლოს, კორუფციურებულ მთავრობას კი მთელი ერის დაღუპვა შეუძლიაო.

მესამე რაუნდი, პირადად ჩემთვის, ყველაზე განსაკუთრებული აღმოჩნდა. ეს იყო ვაშინგტონიდან პირდაპირი ჩართვა „ვიდეო-პრესკონფერენცია“ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯეიმს დ. ვულფენსონთან. დისკუსიის თემა: „განვითარების ახალი გზები და პრესის როლი ამ პროცესებში“. ვულფენსონის მისასალმებელი სიტყვა საკმაოდ მოკლე, საქმიანი, იმედიანი და იუმორნაზავი იყო. ეკრანს მიღმა გაღიმებულ და მილიარდერის უბრალოებით დადდასმულ ვულფენსონს დარბაზიდან, კეთილგანწყობილი კომენტარების გარდა, არაერთი საყვედურის, ირონიული შეკითხვის და მწარე-მწარე მაგალითის მოსმენა მოუწია. მოსმენა რა არის, ამ კითხვებზე სათანადო პასუხიც და კომენტარებიც მისი მოსაფიქრებელი იყო.

„პრესა მაცურებელი არ არის, — თქვა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა, — პრესა თავად არის განვითარების უშუალო მონაწილე, მაგრამ ამა თუ იმ ქვეყანაში პრესის თავისუფლების ზეობის ჟამი რომ დადგეს, მანამდე ამ ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს. სწორედ ამ პროცესების ხელშეწყობის და მსოფლიოში სილატაკის აღმოფხვრის კონცეფციანა აგებული მსოფლიო ბანკის პოლიტიკა. მსოფლიო ბანკს არ ევალება დემოკრატიული არჩევნების წე-

სით მოსულ მთავრობებთან ბრძოლა. მსოფლიო ბანკი ქვეყნებს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში უწყობს ხელს. მაგალითად, საქართველოში პრეზიდენტ შევარდნაძის თაოსნობით სასამართლო რეფორმა დაიწყო. 300-მდე მოქმედმა მოსამართლემ უბრალო საატესტაციო გამოცდა ვერ გაიარა და დღეს საქართველოს ამდენივე ახალი, პატიოსანი მოსამართლე ჰყავს“.

ამ ფრაზის დასრულება ვერ მოასწრო ვულფენსონმა, რომ ჩემს ახლოს მსხდომმა ჟურნალისტებმა ერთხმად შემომძახეს, მართალიაო, და მეც, თითქოს იმ გამოცდაზე გამარჯვებული მოსამართლე ვყოფილიყავი, ყველას ერთად თავმომხონედ ვუპასუხე, დიახ-მეთქი. დიახ, ასე იყო ეს.

ვულფენსონმა ეს ერთადერთი დადებითი მაგალითი იმისთვის მოიყვანა, რომ განვითარების ხელშეწყობის ახალ ეტაპზე პრესის როლისადმი საკუთარი დამოკიდებულება პრესკონფერენციის მონაწილეთათვის უფრო გასაგებად განემარტა. კიდევ ერთხელ აღენიშნა, რომ დახვეწილი, დემოკრატიულ და სამართლიან პრინციპებზე აგებულ კანონმდებლობის გარეშე ქვეყნის ეკონომიკა სწორი გზით ვერ განვითარდება, ძლიერი ეკონომიკის გარეშე ვერც დამოუკიდებელი პრესა გაიხარებს. კანონი და პრესის თავისუფლება ერთმანეთს უნდა ავსებდეს, პირველის სრულყოფილების გარეშე არ არსებობს მეორე.

მერე რა, ეს ყველაფერი ხომ ისედაც კარგად ვიცით. ჩვენი, ქართველების, უბედურება ის არის, რომ ყველაზე უკეთ ვუნყით, რაცა გვჭირს, საიდან გვჭირს და რითი ვუშველოთ თავს. უბრალოდ, ყველაფერს უკუღმა ვაკეთებთ. იმ „მრგვალ მაგიდასთან“ ჯდომისას ასი პროცენტით დავრწმუნდი, ჩვენთან რომ „პრესის თავისუფლება“, ისეთი მსოფლიოში ჯერ არც გაუგიათ. ნერე და იკითხე, ვინ გიშლის, განსაკუთრებით პრეზიდენტის ლანძღვა „მოსულა“. დანარჩენები ცოტას ბრაზდებიან, მაგრამ ბოლო-ბოლო, არც მაგათ ეკითხებათ არაფერი.

P.S. სასტუმროში დაბრუნებულს დაკარგული ჩემოდანი ნომერში დამხვდა.

მსოფლიო ბანკისა და გაზეთების მსოფლიო ასოციაციის ერთობლივი კონფერენცია, ციურხი, 13-17 ივნისი, 1999 წელი.

გაზ. „დილის გაზეთი“, 29 ივნისი, 1999 წელი.

ხელისუფლება ბჭობს, კრიმინალები იცინიან, რა ქნას მედიამ?

12 ივნისს რიო-დე-ჟანეიროს „ინტერნეიშენლ ჰოტელი“ დილიდან პოლიციის და სხვა სამსახურების ალყაში იყო მოქცეული. სასტუმროში პირადობის აღმნიშვნელი ბარათის გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა, ხოლო გაზეთების მსოფლიო კონგრესის სხდომათა დარბაზში შესასვლელად არც პირადობის მოწმობა და არც კონგრესის მონაწილის სამკერდე ნიშანი ჭრიდა — აქ, საკონტროლო რენტგენი უნდა გაგვევლო, მერე ჩანთა ამოგვეტრიალებინა და დაცვის ბიჭების გრძელი კორდონის გავლით უნდა შეგვევლინა სხდომაზე, რომელზეც, კონგრესის პროგრამის მიხედვით, ბრაზილიის პრეზიდენტი ფერნანდო ენრიკე კარტოზო გამოდიოდა. ზუსტად ისე მოვიქეციით, როგორც განანესით იყო გათვალისწინებული, მაგრამ პრეზიდენტი არ მოსულა. სულ ტყუილად დაგვასხივეს!

ოთხ საათზე რედაქტორების მსოფლიო ფორუმის პირველი სესია ბრაზილიის პრეზიდენტის ლოცვა-კურთხევის გარეშე დაიწყო. პირველ მოხსენებას თემაზე — „ქალაქური კრიმინალის სახელისუფლებო ხედვა“, — რიო-დე-ჟანეიროს ახალგაზრდა გუბერნატორი, ყოფილი ჟურნალისტი ენტონი გაროტინო კითხულობდა. მისი ავტორობით ბრაზილიაში სულ ახდახან გამოიცა წიგნი სახელწოდებით: „კანონის აღსრულება და უსაფრთხოება“. წიგნის ავკარგიანობისას ვერაფერს მოგახსენებთ, არ წამიკითხავს, გუბერნატორის ეს მოხსენება კი, ცოტა არ იყოს, მისი და ქალაქის პოლიციის სამსახურის ეფექტიანი მუშაობის წლიურ ანგარიშს წააგავდა. „პოლიციის განვითარების საქმეში სერიოზულ ინვესტიციებს ვდებთ, რიო აღარ არის კრიმინალის ბუდე, ამ მხრივ იგი სან-პაულოს ბევრად ჩამორჩება“, — დასძინა მან. მაგრამ, როდესაც ორატორის ზომიერ კმაყოფილებასა და მოკრძალებულ თვითკრიტიკას ნელ-ნელა თვითაღტაცების ნოტები შეეპარა, სამხრეთ აფრიკის ერთმა საკმაოდ ავტორიტეტულმა ჟურნალისტმა იგი „უადგილო“ შეკითხვით გამოაფხიზლა — „როდემდე ვისმინოთ მთავრობის პროპაგანდა, მთავარ საკითხზე ხომ არ გადავსულიყავით“. სხდომის თავმჯდომარემ, ბრაზილიელმა ტელეჟურნალისტმა პედრო ბიალმა უმაღლეს გუბერნატორის გამოსარჩლება სცადა და იოჰანესბურგელ ჟურნალისტს შეახსენა, საკითხი კრიმინალის სახელისუფლებო ხედვას ეხება და გთხოვთ, ეს ნიუანსი გაითვალისწინოთ. თავად გუბერნატორს შენიშვნა სრულიადაც არ სწყენია, მან თავის ქომაგზე აშკარად მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა და ერთობ „მიამიტურად“ აღიარა — როგორც ყოფილი ჟურნალისტი, შენიშვნას სავესები ვეთანხმები.

ამის შემდეგ გაროტინომ მთელი ყურადღება გადაიტანა იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე, რომელიც ჟურნალისტებს კრიმინალის გაშუქებისას აკისრი-

ათ. რიო-დე-ჟანეიროს გუბერნატორს მიაჩნია, რომ კრიმინალზე წერის დროს ჟურნალისტი ვალდებულია, თავი შეიკავოს იმპროვიზაციისგან (რაშიც ჩვენც საესებით ვეთანხმებით) და პირადი ვნებათა ლელვისა და მოზღვავებული ემოციების გარეშე მკითხველს საშუალება მისცეს, მიუკერძოებელი მასალიდან თავად გამოიტანოს განონასწორებული და სალი დასკვნა (ესეც საესებით მისაღებ მოსაზრებად მიგვაჩნია). „პრესამ გაზვიადებული კრიტიკით შესაძლოა, მოსახლეობაში პანიკა გამოიწვიოს, საზოგადოებაში შიში და უიმედობა გააღვივოს“, — თქვა გაროტინომ და დასძინა, რომ ბრაზილიის პრესა კრიმინალის გაშუქებისას განსაკუთრებით ემოციურია. გუბერნატორმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ, ახალი სტატისტიკური მონაცემებით, ბრაზილიაში კრიმინალის მაჩვენებელი, ადრეულ პერიოდთან შედარებით, გაცილებით დამამშვიდებელია, მაგრამ, ვინაიდან საზოგადოების დამოკიდებულება კრიმინალის მიმართ რადიკალურად შეიცვალა, ეს სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობაზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო — ნათქვამია. ეს ზოგადსაკაცობრიო ხალხური მაქსიმა 12 ივნისს რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში ასე გაცხადდა: მაშინ, როდესაც ეროვნებითა და სჯულით განსხვავებული 1200 ჟურნალისტი ძალადობის ნებისმიერ გამოვლენას მსოფლიოს ყველაზე გავრცელებულ ექვს ენაზე გამობდა, ორმა ადგილობრივმა ბოროტმოქმედმა, ბანკის გაძარცვის მცდელობის შემდეგ, ქუჩაში მიმავალი საზოგადოებრივი ავტობუსი შეაყენა. ერთ-ერთი ტერორისტი ავტობუსში შეიჭრა (მეორემ გაქცევა და მიმალვა მოასწრო) და იარაღის მუქარით გაიტაცა. რიოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამით ვუყურე ავტობუსისა და პოლიციის ესკორტის მთელ მსვლელობას ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. ტერორისტს ერთი მგზავრი ავტობუსის იატაკზე ჰყავდა განვენილი და კეფიდან რევოლვერის ლულას არ აცილებდა, თან პოლიციასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. მხარეები თითქოს შეთანხმდნენ, მოლაპარაკება გაჩერებული ავტობუსიდან გრძელდებოდა. შემდეგ ტერორისტმა ავტობუსის ფანჯარასთან მძევალი გოგონა (გეისა გონსალესი) მოათრია. გოგონას პირში რევოლვერის ლულა ედო. უეცრად, ავტობუსის ქვემოდან პოლიციელი გამოგორდა, ფეხზე წამოხტა და რამდენჯერმე გაისროლა. ტერორისტი და გეისა გონსალესი ერთდროულად ჩაიკეცნენ. გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ბოროტმოქმედი — საავადმყოფოში. ბრაზილიის და მსოფლიოს თითქმის ყველა ტელეარხის საინფორმაციო პროგრამა რიოში დატრიალებულ ტრაგედიას აშუქებდა (ქართველმა ტელემასურებელმაც იხილა იმ შემთხვევის ამსახველი კადრები). მომდევნო მოვლენები უსწრაფესად განვითარდა. პოლიციის სისასტიკით აღშფოთებული მოქალაქეები ტრანსპარანტებით მთავრობის სახლისკენ დაიძრნენ და იქ აღმართულ პოლიციის კორდონს პომიდვრები, კვერცხები, კოკა-კოლას ცარიელი ქილები და სხვა ათასნაირი ნაგავი დაუშინეს. მოგვიანებით, კონგრესზე ჟურნალისტები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ქალაქში ხმა და-

დის, თითქოს ტერორისტი თავად პოლიციამ გაასალა საავადმყოფოში. მეორე დღესვე ტრაგედიის ადგილას სამოქალაქო სამგლოვიარო პროცესია დაიწყო, იგი რიოდან ჩემს გამომგზავრებაზე არ დასრულებულა, ზვა ხალხი მოდიოდა, მოჰქონდათ ყვავილები და სახელდახელოდ ვაკეთებული ტრანსპარანტები.

გაზეთების მსოფლიო კონგრესი თავისი, ძალზე დატვირთული განრიგით მიმდინარეობდა, რის გამოც ახალ ამბებს მხოლოდ ღამის საინფორმაციო გამოშვებებით ვგებულობდი, თანაც — არასრულად, რადგან პორტუგალიური არ მესმის, უცხოური საინფორმაციო პროგრამები კი რიოს ტრაგედიას უკვე თითქმის აღარ ამუქებდნენ, სადილზე, მაგიდასთან ორ ამერიკელ, სამხრეთ აფრიკელ და ინდოელ რეპორტიორთან ერთად ვიჯექი. საგულისხმოა, რომ რიოს ტერაქტზე საუბრისას, ჩემი კოლეგები მომხდარ ფაქტს უბედურ შემთხვევად და პოლიციის საბედისწერო შეცდომად განიხილავდნენ, რომელმაც იგი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ძალადობის მონაწილე და მის უშუალო აღმსრულებლად აქცია. „ჩვენთანაც ესვრიან“, — რამდენჯერმე ჩამოუარა ჩვენს მაგიდას ამ შემზარავმა ფრაზამ.

მეც ძალიან მინდა, რომ მომხდარი და თვალთ ნანახი არაორდინარულ, გაუთვალისწინებელ უბედურ შემთხვევას მივანერო და როგორმე დავიჯერო, რომ მას არაფერი აქვს საერთო ძალოვან სტრუქტურებში კარგად ნაცად იმ ზოგად წესთან, რომელსაც სამართლის ენაზე ძალაუფლების გადაჭარბება ჰქვია, ხოლო უბრალოდ კი — ძალადობა.

ახლა, როცა მსოფლიო პრესის კონგრესზე ქალაქური კრიმინალის სახელისუფლებო ხედვის შესახებ რიო-დე-ჟანეიროს გუბერნატორის მოხსენების მოკლე ჩანაწერებს ვკითხულობ, იქვე ჩანიშნული ერთი ჩემებური ფორმულის გაშიფვრა მიჭირს.

ბლოკნოტში ზუსტად ასე მინერია: „სამოქალაქო საზოგადოება + პოლიცია + პრესა = დისკუსია + სახელმწიფო უსაფრთხოება“. ეტყობა, დალაგებულ გონებაზე, მშვიდ, საკონფერენციო ატმოსფეროში, მაშინ, როცა ეს „დაშიფრული“ ტექსტი ინერებოდა (ტერაქტამდე), ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთიდან გამომდინარე მოვლენებად აღვიქვამდი. ამიტომ, იქვე რაიმე განმარტება და მინიშნება საჭიროდ არ ჩამითვლია. 12 ივნისის ტერორისტული აქტის შემდეგ კი, გამოგიტყდებით, ამ „მრავალუცნობიანი“ მშრალი განტოლებისა აღარაფერი მესმის. ჩემზე გამოცდილი და საქმის მცოდნე კაცი ამ ზოგადი ფორმულიდან, იმედია, ლოგიკურ პასუხს ადვილად გამოიყვანს.

ბრაზილიის პრეზიდენტს კი 12 ივნისს ამ განტოლების ამოსახსნელად ნამდვილად არ ეცალა. იგი კონგრესს 13-ში, შუადღისას ეწვია. მან მსოფლიოში გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის იდეის დამკვიდრების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, შემდეგ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში მედიის გადამწყვეტ როლზე და გაროტინოს განტოლებაში (გახსოვთ, ალბათ, სამოქალაქო საზოგადოება + პოლიცია + პრესა = დისკუსია + სახელმწიფო უსაფრ-

თხოვბა) ჩამოთვლილი „უცნობების“ ურთიერთმიმართებაზეც ვრცლად ისაუბრა. მოხსენების შემდეგ პრეზიდენტმა შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტების იმ ათ კითხვას უპასუხა, რომლებიც, მისივე პირობით, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა წინასწარ რამდენიმე ათასი კითხვიდან შეარჩია.

ბრაზილიის პრეზიდენტის გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 53-ე კონგრესსა და რედაქტორების მე-7 ფორუმზე გამოსვლის შესახებ მასალას მკითხველი „დილის გაზეთის“ უახლოეს ნომერში იხილავს. მე კი ბედნიერ დროს დაველოდები, როცა პოლიციის განვითარების საქმეში ჩადებული ინვესტიციები ნაყოფს გამოიღებს და მაშინ, სულ ტანზე რომ შემოიხიონ ჟურნალისტებმა და კედლებზე იარონ, მოსახლეობა მათ უსაფუძვლო პანიკას არ აწყვება.

გაზ. „დილის გაზეთი“, 1 ივლისი, 2000 წელი.

დექლარაციის დროს მე ალტერნატიულ პრესაში ვმუშაობდი

„ბილ კლინტონმა ჟურნალისტებთან შეხვედრის წინ განაცხადა, მე მხოლოდ ხუთ შეკითხვაზე გავცემ პასუხსო. ბრაზილიის პრეზიდენტი კი ხვალ ათ შეკითხვაზე გვიპასუხებს“, — მოახსენა გაზეთების მსოფლიო ასოციაციის კონგრესს რედაქტორთა მსოფლიო ფორუმის პრეზიდენტმა, ბრაზილიელმა რუთ ექუიანომ.

კონგრესის მრჩეველთა კომიტეტმა ჟურნალისტების შეკითხვები ისე შეარჩია, ბრაზილიის პრეზიდენტ ფერნანდო ჰენრიკე კარდოზოს თითქმის ყველა პრობლემურ საკითხზე მოუხდა საუბარი. შეკითხვები ეხებოდა გაერთიანებული ევროპის მისიისა და შორსმომავალი მიზნების მისეულ ხედვას, რიო დე ჟანეიროში 12 ივნისს დატრიალებულ ტრაგედიაში პოლიციის ბრალეულობას, კანონს საკომუნიკაციო საშუალებების პრივატიზაციის შესახებ, კორუფციას ბრაზილიისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ხელისუფლებაში, დაუსჯელობის სინდრომს, ბრაზილიის კანონმდებლობის ავკარგიანობას, არჩევნების და, კერძოდ, პრეზიდენტის არჩევნების სამართლიანობას ბრაზილიაში, ხელისუფლების მონაწილეობას კანონშემოქმედებაში და ბოლოს, მის დამოკიდებულებას იმ საინფორმაციო საშუალებებისადმი, რომლებიც პრეზიდენტის სახელს, როგორც თავად თქვა, „ყველა ბრუნვაში აბრუნებენ“.

„დექლარაციის დროს მე ალტერნატიულ პრესაში ვმუშაობდი“, — ასე უპასუხა პრეზიდენტისა და მედიის ურთიერთობით დაინტერესებულ ჟურნალისტს ბატონმა პრეზიდენტმა. პასუხიდან ისიც გავიგეთ, რომ კარდოზოს, თურმე, ძალზე ჰყვარებია კარიკატურები მთავრობაზე და საკუთარ თავზეც, მიაჩნია, რომ ის

ინდივიდები, სულ რომ აგინებენ, სრულიადაც არ წარმოადგენენ მთელ ბრაზილიურ მედიას. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ თავად არასდროს ჩარეულა პრესისა და მაუწყებლობის საქმეში და იგივეს ურჩევს მთავრობის ცალკეულ მოხელეებსაც. შემდეგ დასძინა, რომ ფაქტობრივად, იგი სავსებით კმაყოფილია თანამედროვე ბრაზილიური პრესით და, ათბალიანი სისტემის მიხედვით, პრესის მუშაობას 10 ბალით აფასებს. სამაგიეროდ, იქვე აღნიშნა, რომ ისევე, როგორც ყველა რიგით მოქალაქეს, მასაც გარკვეული მოთხოვნები აქვს მასმედიის მიმართ. ეს მოთხოვნები და სურვილები მან მშვენივრად ჩამოაყალიბა თავის მოხსენებაში, რომელსაც უმნიშვნელო შემოკლებით ქვემოთ გთავაზობთ.

„ჩემი ოცნლიანი პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში (უნდა ითქვას, რომ ჩემი პოლიტიკური გამოცდილება მეზობლი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული) დავრწმუნდი, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა პრესას დემოკრატიული საზოგადოებრივი სივრცის შექმნაში. ეს ხშირად დიდი რისკის ფასად ხდებოდა.

ცნობილი თანამედროვე მოაზროვნის — მანუელ კასტელის პროგნოზით, პოლიტიკური სივრცე შესაძლოა „დაიპყროს“ საკომუნიკაციო მედიამ, მისმა საინფორმაციო ნაკადმა და სახეებმა. კასტელი ამტკიცებს, რომ ის მოსაზრებანი თუ ფაქტები, რომლებიც პრესით არ არის გაშუქებული, ნაკლებად დამაჯერებელი და თითქმის არასანდო ჩანს; მისივე აზრით, მედიის გარეშე პოლიტიკოსები უძღურნი არიან. ისინი აღარ ხვდებიან ხალხის ყურადღების ცენტრში და საკუთარ „raison d'être“-ს კარგავენ.

მართალია, კასტელი არაფერს ამბობს პოლიტიკის დასასრულზე, რაც, თავის მხრივ, ისტორიის დასასრულის ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ გამორჩეული მჭევრმეტყველებით გვისვამს დიაგნოზს, რათა გავაცნობიეროთ, თუ რაოდენ გადამწყვეტია პრესისთვის შემდეგი გარემოება — იყოს არა მხოლოდ გამოსახვის მექანიზმის ალტერნატივა, არამედ შეასრულოს პოლიტიკის საზოგადოებრივი სივრცის მხარდამჭერი და გამაძლიერებელი იარაღის ფუნქცია.

ხშირად მივუთითებთ ხოლმე, რომ ბრაზილიაში აღმოცენდა ახალი საზოგადოება, უფრო პლურალისტური და ნაირგვარი, რომელშიც, გარკვეული ჯგუფების აზრით, გაშუქების ტრადიციული არხები მათ სათანადო დონეზე ვერ ემსახურება. ესაა შემთხვევა, როცა ლაპარაკია ეკონომიკის, გასართობი ინდუსტრიის, ფინანსების, მცირე და საშუალო ბიზნესისა და ტურიზმის თანამედროვე სექტორებთან დაკავშირებულ კატეგორიებზე.

უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც ამ ახალ სექტორებს პოზიციების განმტკიცებისა და ინტერესების ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს. ეს გაშუქების დონის ამაღლებას მოითხოვს და, ასევე, პრესის მხარდაჭერასაც საჭიროებს, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ცალკეული სეგმენტის შეხედულებები თვალნათლივ წარუდგინოს საზოგადოებრივ ინსტიტუტებს.

ვინაიდან ამ ახალ კატეგორიებს მედია საკუთარი თვითმყოფადობის წარ-

მოსაჩენად ესაჭიროებათ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მედიის ყურადღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასმედიის მხრიდან დაინტერესებას ელიან, ფაქტობრივად, ბრაზილიის ისტორიული პროცესის ამსახველი სექტორები; აქ იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობა, შავკანიანთა თემები, ქალები, ახალგაზრდობა, ეთნიკური უმცირესობები და სხვა.

იცით, რა გვესაჭიროება? ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ ვისწავლოთ თუ მოვითხოვთ განსხვავებული აზრის პატივისცემა. დიალოგი არ შედგება, როცა დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ხელისუფლების მიმართ შეურიგებლობა, შეუწყნარებლობა და ძალადობა მძვინვარებს.

პრესას შეუძლია, დახმარება გაუწიოს საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და წინ წამოსწიოს ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულებები; აქედან გამომდინარე, თავად პრესას მეტისმეტად ღირებული და, შეიძლება ითქვას, შეუცვლელი როლი აკისრია, როდესაც საკუთარი წვლილი შეაქვს მოქალაქეობის ჩამოყალიბების, ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისა და კორუფციისა და კანონდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. პრესის დახმარებით, საზოგადოებაში, ცხოვრებისეული ყოველდღიური მოვლენების გაანალიზებისას, საღი აზრი აღმოცენდება და ვითარდება.

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სწორი, გონივრული მიდგომა ინფორმაციისადმი, რაც უკვე დამკვიდრდა ბრაზილიური პრესის პრაქტიკაში.

ფაქტისა თუ მოვლენის რაციონალური განხილვის გარეშე (ფაქტები ისტორიულ პერსპექტივაში უნდა იყოს განლაგებული და საფუძვლიანი და ღირებული ანალიზით უნდა გამოირჩეოდეს), მკითხველი სრულად ვერ გაერკვევა რეალურ ვითარებაში; კურსი არჩეული უნდა იყოს, დაპირისპირებებიც — გამოკვეთილი.

ვიცი, რომ ზოგიერთმა მოვლენამ შესაძლოა, ჩვენზე ისეთი გავლენა მოახდინოს, რომ მიკერძოება გამოვიჩინოთ და სწორ აღქმაში შეგვეშალოს ხელი. თუნდაც ბოლოდროინდელი სიეტლისა და დავოსის დემონსტრაციები გავიხსენოთ, თუ როგორ გააშუქა ისინი საერთაშორისო მედიაში. მათ არაერთი ადამიანიც გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა ახალ გამაფრთხილებელ მონოდებას, რომელიც სოციალური ფაქტორების უგულებელყოფის იმ რისკზე მიგვანიშნებდა, გლობალიზაციაში რომ იმალება. სინამდვილეში კი აქ პოლიტიკური ფაქტორი და სხვა მთავრობების ინტერესი მოქმედებდა...

ჩემდა გასაოცრად, ახლახან ბრაზილიურ პრესაში ასეთ მოსაზრებას წავანყდი: თურმე არსებობს უფსკრული უცხოეთში ჩემს გამოსვლებსა და ჩემს, როგორც ბრაზილიის მთავრობის თავმჯდომარის, მოღვაწეობას შორის. თქვენის ნებართვით ვიტყვი, რომ ეს სოფიზმია, ზედაპირული ჟურნალისტური ხრიკის გადმონაშთი. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ცდილობენ მაიძულონ, გავაკეთო ჩემი არჩევანი ფისკალურ პასუხისმგებლობასა და სოციალურ პოლიტიკას, სავალუტო სტაბილურობასა და სიღარიბეს შორის,

თითქოსდა, ამ ყველაფრის განხორციელება ერთად, ერთმანეთის პარალელურად არ არის შესაძლებელი.

დაბოლოს მიინდა გითხრათ, რომ დიდად ვაფასებ პრესასთან დიალოგს. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს კონგრესი მსოფლიო გაზეთების ასოციაციას საშუალებას მისცემს, წარმატებით განახორციელოს დასახული მიზნები, რაც მჯერა, რომ ძალიან ძვირფასია.

რიო-დე-ჟანეირო. გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 53-ე კონგრესს და რედაქტორების მე-7 მსოფლიო ფორუმში.

გაზ. „დილის გაზეთი“, 8 ივლისი, 2000 წელი

საგაზეთო ბიზნესის მესვეურთ საავტორო უფლებების მოქმედი კანონი აღარ აკმაყოფილებს

11-14 ივნისს, რიო-დე-ჟანეიროში, გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 53-ე კონგრესზე შეკრებილმა გამომცემლებმა ერთხმად აღიარეს, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, საგაზეთო ბიზნესის განვითარებას, მოძველებული საავტორო უფლებების კანონი აფერხებს. ამ თემაზე გაზეთების გამომცემელთა და მსოფლიო საგაზეთო ბიზნესის ლიდერთა საკმაოდ ავტორიტეტული წარმომადგენლობა მრგვალ მაგიდას მიუჯდა და, პრობლემის საფუძვლიანი განსჯის შემდეგ, კონგრესს დასკვნით სესიაზე 93 ქვეყნის 17000 გაზეთის სახელით რეზოლუციის პროექტი შესთავაზა, რომელიც კონგრესმა ერთხმად მიიღო.

მართალია, საქართველოში საგაზეთო ბიზნესი ჯერ იმდენად დახვეწილი და განვითარებული არ არის, რომ მის მესვეურებს საავტორო უფლებების დაცვის ის მექანიზმები ესაჭიროებოდეთ, რომლებიც ამ რეზოლუციამია მოემული, მაგრამ, იმედია, მალე ჩვენთანაც დადგება ამის საჭიროება. კარგი იქნება, თუ საქართველოს საგაზეთო-საგამომცემლო სფეროს პოლიტიკის მწარმოებლები უცხოელი კოლეგების გამოცდილებას და მათი შრომის ნაყოფს ამთავითვე გაითვალისწინებენ.

გაზეთების მსოფლიო ასოციაციის რიო-დე-ჟანეიროს კონგრესზე მიღებული რეზოლუცია:

ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ძირეულად შეცვალა საგაზეთო ბიზნესის წარმოების, გამომცემათა შორის კონკურენციის პირობები და გარემო. ინტერნეტული თუ სხვა ელექტრონული ფორმის გამომცემათა განვითარებამ და დამკვიდრებამ, გაზეთების გამომცემლებს ნიადაგი მოუმზადა იმისათვის, რომ სრულად აეთვისებინათ ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალება.

კანონი საავტორო უფლებების შესახებ კაცობრიობამ ციფრული გარემოს შექმნამდე გაცილებით ადრე შეიმუშავა და ამდენად, ის დღეს საგამომცემლო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. გამომცემლებს უჭირთ საკუთარი პროდუქციის ახალი ტიპის არხებით გავრცელება ეკონომიკურად მისაღებ და გამართლებულ პირობებში. კანონი გამომცემლებს არ აძლევს საშუალებას, საკუთარი პროდუქცია სურვილისამებრ გამოიყენონ, ან აიძულებს, იმდენჯერ გადაიხადონ მისი გამოცემის ხარჯები, რამდენჯერაც იგი გამოქვეყნდება ბეჭდვითის გარდა ნებისმიერი ფორმით.

გაზეთების გამომცემლები საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ, ვინაიდან სწორედ ისინი არიან მაღალხარისხიანი ინფორმაციის შემდეგნელები და სხვა საინფორმაციო საშუალებების მომმარაგებლებიც. საგაზეთო ბიზნესის უსაფრთხოოდ ინვესტირებისთვის გამომცემლებს უფრო მყარი საავტორო უფლებები და მათი დაცვის გარანტიები ესაჭიროებათ. ეს უფლებები არ უნდა იზღუდებოდეს საავტორო უფლებით მხოლოდ გაზეთის ბეჭდვით ვერსიასზე. იგი უნდა მოიცავდეს თანამედროვე მედიის მთელ გარემოს, რომელშიც გამომცემელი მედიუმის როლს ასრულებს. სამართლებრივი სივრცე არ უნდა ზღუდავდეს კერძო საგაზეთო კომპანიების ძალისხმევას და განვითარებას. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა კომპანია ინტერნეტის საშუალებით ცდილობს ახალგაზრდობის გაზეთებისკენ შემობრუნებას.

გაზეთების მსოფლიო ასოციაცია საავტორო უფლებების პოლიტიკის მწარმოებელს და კანონშემოქმედებს მოუწოდებს, ისეთი სამართლებრივი გარემო შექმნან საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც გაზეთების გამომცემლებს საშუალებას მისცემს, კანონით დაიცვან საკუთარი ინტელექტუალური, ადამიანური და ფინანსური ინვესტიციები, რომელიც გაუადვილებს მას დემოკრატიის განვითარებაში სასიცოცხლო როლის შესრულებას.

*რო-დე-ჟანერიო, გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 53-ე კონგრესი, 11-14 ივნისი, 2000.
გაზ. „დილის გაზეთი“, 14 ივნისი, 2000 წელი.*

ფარაჯ სარქოი „თავისუფლების ოქროს კალმის“ კავალერი

14 ივნისს, ორშაბათს, შვეიცარიაში, ციურხში, გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 52-ე კონგრესმა და რედაქტორთა VI მსოფლიო ფორუმმა ირანელ მწერალსა და ჟურნალისტს ფარაჯ სარქოის თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდი პრემია „ოქროს კალამი“ გადასცა.

შვეიცარიის საათების უხუცესმა და მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა კომპანიამ „შატჰაუზენ“-მა იგი შვეიცარიული ოქროს საათით დააჯილდოვა. ეს კიდე არაფერია — თქვა „სვიზ-პრესის“ თავმჯდომარემ, როცა დარბაზში ვარდების ულამაზესი თაიგული შემოიტანეს. თაიგულს პატარა ისტორიული პრელუდიაც ჰქონია: ჰოლანდიაში, გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 50-ე იუბილეზე, ჟურნალისტებს ვარდთაგან ერთი ამოურჩევიათ, სახელად „თავისუფალი პრესა“ შეურქმევიათ და სწორედ ამ ვარდების თაიგულს უდებდნენ ახლა კოლეგები ირანელ ჟურნალისტს ფებით.

1690-კაციანმა კონგრესმა ფარაჯ სარქოის ფეხზე ადგომით მოუწყო ოვაცია. აზიური სიდიდით იდგა თავდახრილი ფარაჯ სარქოი კათედრაზე და საოცრად მორიდებული, მაღლიერი და სევდიანი ღიმილით ელოდა საკუთარ ჯერს, ანუ პრემიის მიღების საპროგრამო სიტყვას, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმოთქვა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო საზოგადოებისადმი დაფასებისთვის უღრმესი მაღლიერება მსოფლიოში სიტყვის და პრესის თავისუფლებისათვის დაუზოგავი ბრძოლის მარადიული მოწოდებით გააჯერა. ამ სიტყვის ბოლო აკორდები ასე ჟღერდა:

„წერისა და გამოქვეყნების თავისუფლებისათვის ბრძოლა არ არის ბრძოლა მარტო იმისათვის, რომ თავისუფლად წერო, ან ინფორმაცია გაცვალო, ეს, ამასთანავე, არის ბრძოლა იმისათვის, რომ ადამიანებს საშუალება მიეცეთ, თავისუფლად იკითხონ და გაიგონ, რა ხდება ქვეყანაზე. ამიტომაც არის, რომ ქვეყანაში, სადაც დესპოტიზმი ზეობს, სიტყვის და პრესის თავისუფლება უმაღლეს ფასეულობად იქცა. აბსოლუტიზმი პრესის თავისუფლების დროს ვერ ხარობს და ხალხმა ეს კარგად იცის. ეს არის ის ხელმოსაჭიდი ძაფი, რომელიც პრესისა და მედიას მოქმედების უდიდეს სივრცეს ანიჭებს. ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ და გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და ვიბრძოლოთ არა მარტო ცენზურის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ, არამედ ყველაზე საშიშის — თვითცენზურის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში.

ჩვენ, მწერლები და ჟურნალისტები, აქ ერთ დიდ ოჯახად ვართ გაერთიანებული. როგორც ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრი, დღეს მე მერგო პატივი, დავეჯილდოებინეთ „თავისუფლების ოქროს კალმით“, რომელიც იმთავითვე ორ მშვენიერ სიტყვას შეიცავს — თავისუფლებას და კალამს. მაღლობელი ვართ ამ დიდი ჯილდოსთვის“.

როცა სარქოის სიტყვას ვისმენდი, თავში ერთი ინგლისური ანდაზა მიტრიალებდა: ადამიანს თავისი მტრებითა და მეგობრებით გამოიცნობო.

ფარაჯ სარქოის საკუთარ სამშობლოში ორმა რეჟიმმა გამოუცხადა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ჯერ კიდე 1960 წელს, სპარსეთის შაჰის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ წამოწყებულ სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, იგი რამდენჯერმე დააკავეს. 1967 წელს კი ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლისთანავე სარქოიმ ირანის ციხეში პატიმარ-

თა გაუსაძლის პირობებზე არა ერთი სტატია გამოაქვეყნა და შაჰის რეჟიმის სამხედრო სასამართლომ მას ამ სტატიებისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ურჩ მწერალს ციხეში სასტიკად აწამებდნენ, საკანიდან საკანში, ქალაქიდან ქალაქში გადაჰყავდათ, რადგან, რომელ ციხეშიც მოხვდებოდა, იმ ციხის სისასტიკეზე წერდა ნოველებს, სტატიებსა თუ საპროტესტო წერილებს.

ზუსტად 8 წლისთავზე გამარჯვებულმა ისლამურმა რესპუბლიკამ სარქოი პატიმრობიდან გაათავისუფლა და, მასთან თანამშრომლობის დიდი იმედით, 80-იანი წლების ბოლოს ლიტერატურული ალმანახის „ადინეის“ მთავარი რედაქტორის პოსტიც უბოძა.

1994 წელს სარქოიმ 133 ირანელ მწერალთან, გამომცემელთან და მთარგმნელთან ერთად ღია საპროტესტო წერილს მოაწერა ხელი. მიმართვის ადრესატი ირანის სახელმწიფო პრესის ორგანოები და საერთაშორისო საინფორმაციო ორგანიზაციები იყვნენ. წერილის ხელმომწერი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ მათი მხატვრული ნამუშევრები გამოექვეყნებინათ და გაეკრიტიკებინათ არა ცენზურისა და იდეოლოგიის მათრახის სამართლით, არამედ იმ პარამეტრებით, რომელთაც ეს ნამუშევრები თავიანთი მხატვრული ღირსებებით იმსახურებდა. ღია წერილს ირანის სახელმწიფო გაზეთმა „თიერან თაიმსმა“ იმით უპასუხა, რომ ხელმომწერი მოსახლეობაში პორნოგრაფიის და უზნეო ლიტერატურის გამავრცელებლად გამოაცხადა. წლისთავზე კი, დეკლარაციის ერთ-ერთი ხელმომწერი, მთარგმნელი აჰმად მირალაი ქალაქგარეთ მკვდარი იპოვეს.

ფარაჯ სარქოისა და ფუნდამენტალისტებს შორის აშკარა ომი 1996 წლის აგვისტოს ქარიან ღამეს დაიწყო, როდესაც მწერალი, ოც სხვა ჟურნალისტთან ერთად, ავტობუსით ირანის მთებიდან სომხეთს მიემგზავრებოდა. ავტობუსს საბარგო მანქანა დაეჯახა და კლდიდან კინალამ გადაიჩეხა. უღელტეხილზე ნახევრად გადაკიდებული ავტობუსის მძღოლი გაიქცა, ხალხმა ძლივს მოასწრო იქიდან გადმოსვლა. პოლიცია 5 საათის დაგვიანებით გამოცხადდა ადგილზე და მგზავრებს სთხოვა, ამის შესახებ არაფერი თქვათო. შემდეგ კი ჟურნალისტები ნარკოტიკებისა და დოლარების კონტრაბანდაში დაადანაშაულა. ეს იყო პირველი, ყველაზე ხანმოკლე პატიმრობა სარქოის ცხოვრებაში. ოცივე ჟურნალისტი მეორე დღეს დილის 6 საათზე გაათავისუფლეს. დანაშაული — არ დაიხოცნენ, როცა ასე იყო ჩაფიქრებული.

ერთი თვის შემდეგ თავის 13 კოლეგასთან ერთად სარქოი ახალგაზრდა ირანელ ჟურნალისტ მანსურ კოჩანის ოჯახში სტუმრობდა. მათ თავზე პოლიცია დაადგა და ყველანი მასპინძელთან ერთად დააპატიმრეს. სარქოიმ მაშინ სამი დღე დაჰყო საპატიმროში. ბრალად ახალგაზრდებზე მავნე ზემოქმედება დაედო, რაც, თურმე, ახალი თაობის ჟურნალისტთა, მწერალთა და მთარგმნელთა მათ საეჭვო ასოციაციაში შეტყუებას ნიშნავდა.

დევნა უკვე აშკარა და საშიში გახდა. ორი თვის შემდეგ ირანის აეროპორტი-

დან გაქრა გერმანიაში მიმავალი ფარაჯ სარქოი. არავითარი კომენტარი არსად გაკეთებულა. შვიდი კვირის შემდეგ იგი რაღაც ჯადოსნური ხრიკებით კვლავ ამოიზარდა ირანის აეროპორტის ფოიეში და ტელევიზიით განაცხადა, ოჯახის გაუფრთხილებლად გერმანიაში წავედი, იქიდან კი თურქმენეთში გადავედიო.

სინამდვილეში სარქომ ექვსი კვირა გაატარა ირანის უშიშროების სამსახურში, სადაც იგი სასტიკად აწამეს. მან წამების ეს ექვსი კვირა დაწვრილებით აღწერა თავის სტატიებში.

„უკვე ერთი სული მქონდა, როდის მომკლავდნენ და ბოლო მოეღებოდა ჩემს წამებასა და გაგიჟებას. 13 ოქტომბერს, ფაქტობრივად, მე მოვკვდი კიდეც“.

1997 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს „წამების სტატიების“ უცხოეთში კონტრაბანდისათვის. დახურულმა სასამართლომ მას სამი ბრალდებით — სამშობლოს ღალატი (ჯამუშობა), ოჯახის ღალატი და ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა — სიკვდილი მიუსაჯა და ფარაჯ სარქოი ყოველდღე რომელიმე ამ განაჩენის სისრულეში მოყვანას ელოდა. მოხდა სასწაული, 1998 წლის იანვარში მოულოდნელად იგი გაათავისუფლეს. მას ირანში ცხოვრება აეკრძალა. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ მის ცოლს, ფერიდეს, უფლება დართეს, გერმანიაში შეხვედროდა მეუღლეს. სარქოის მეუღლე შემდგომ წერდა:

„ოჯახის რვა წევრი იზოლირებულ მოსაცდელ ოთახში ვისხედით და ფარაჯს ველოდით. კარი გაიღო, ვიღაც ჩია, წვერიანი მოხუცი შემოვიდა. იმ წუთას ყველამ ერთი გავიფიქრეთ: ვინ არის ეს ჭაღარა კაცი, უთუოდ ისევ რაღაც ხრიკებს გვეთამაშებიან, ფარაჯის ნაცვლად სხვა შემოაგზავნეს, ვითომდა შეგვეშალაო“.

ირანული ენა განთქმულია სიტყვაკაზმულობითა და ხატოვანი გამოთქმების სიუხვით. ირანელი კაცი დაისზე მზეს ასე მიმართავს: „თუ შეიძლება, შემობრძანდით თქვენი წითელი ბრწყინვალეობით ჩემს სხეულში და თან წაიღეთ ჩემი ყვითელი დაქანცულობა“. იქ, სადაც ამბობენ: „ენა იმას ღალადებს, რითაც თავი ფასობსო“, იმასაც უმატებენ: „წითელმა ენამ კაცს მწვანე თავი წააგებინაო“. ისლამის ფუნდამენტალისტები უმკაცრესი ცენზურით ქვეყანას იმ მწვანე ფერისგან რეცხენ დღითი დღე, და როგორც სარქოი ამბობს: „დღეს ირანში ადამიანის ურთიერთობა საზოგადოებასთან, მთავრობასთან, საერთოდ, ფერს კარგავს და ხუნდება“.

მსოფლიოს ჟურნალისტთა დიდმა ოჯახმა გაითავისა რა ფარაჯ სარქოის აღქმა ფერისა, პატიოსნებისა და კეთილშობილი საქმისადმი თავდადებისა, იგი 1999 წლის „თავისუფლების ოქროს კალმის“ ღირსეულ მფლობელად აღიარა.

*ციურისი, 13-16 ივნისი, 1999 წელი.
გაზ. „დილის გაზეთი“, 21 ივნისი, 1999 წელი.*

ნიზარ ნეიუფი „თავსუფლების ოქროს კალმის“ ლაურეატი

გაზეთების მსოფლიო 53-ე კონგრესი და რედაქტორთა მე-7 ფორუმი 11 ივნისს როო-დე-ჟანეიროს „ინტერკონტინენტალ ჰოტელის“ სხდომათა დარბაზში პრესის თავისუფლებისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდით დაიწყო. პირველივე მოხსენება ჟურნალისტებზე განუკითხავი ძალადობისა და დანაშაულის დაუსჯელობის სინდრომს მიეძღვნა. დისკუსიას მასმედიის 1200 წარმომადგენელი ესწრებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან.

უკვე მეორე წელია, ვმონაწილეობ ჟურნალისტების ამ დიდი ოჯახის ყოველწლიურ შეკრებებში. წლებვანდელი კონგრესის მთავარი თემა, რარიგ აღმაშფოთებელიც უნდა იყოს, ძირითადად, ისევე იმ უძველეს და, როგორც ჩანს, მარადიულ პრობლემას — სიტყვისა და, კერძოდ კი, პრესის თავისუფლებისა მიეძღვნა. სამწუხარო და პარადოქსულია ის, რომ დღეს, მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე, როცა კაცობრიობის უდიდესი ნაწილისთვის დემოკრატიულ და ღია საზოგადოებაში არსებობა ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა, განუკითხავად ირღვევა სწორედ ამ ბუნებრივი მოთხოვნილების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა — ინფორმაციის თავისუფლება. ეს ლიტონი სიტყვები არ არის, არც უსაფუძვლო პათეტიკაა და არც „სიტყვის თავისუფლებით“ გაზულუქებული, უმადური ქართველი ჟურნალისტის „ფუფუნების“ უკუშედეგი. სამწუხაროდ, ეს არის მსოფლიოს მკვლევართა და ანალიტიკოსთა მიერ მოპოვებულ უტყუარ ციფრებსა და ფაქტებზე დაყრდნობით განცხადებული სიმართლე.

ამ ციფრებიდან და ფაქტებიდან გამომდინარე, მხოლოდ ამერიკის სახელმწიფოებში 1990 წლიდან 200-ზე მეტი ჟურნალისტის მკვლელობის გამო აღძრული საქმიდან ჯერ არც ერთი გახსნილა. „ინტერ ამერიკან პრეს ასოციაციამ“ ჟურნალისტებზე განუკითხავი ნადირობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად ჟურნალისტური გამოძიებისთვის სპეციალისტთა ჯგუფი შექმნა. ამ ჯგუფის ანგარიშიდან ვიტყობთ, რომ 1999 წლის მონაცემები ყველაზე შემამფოთებელია. პრესისა და სხვა მედიის 71 ჟურნალისტი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. ამ ჟურნალისტთა უმეტესობა კორუფციისა და კრიმინალისტიკის საკითხებზე მომუშავე რეპორტიორები იყვნენ. „ჟურნალისტებზე ნადირობა არ დამთავრებულა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში, როგორიცაა კოლუმბია, გვატემალა, ჰაიტი, მექსიკა და ურუგვაი, 2000 წელს გაურკვეველ ვითარებაში 9 ჟურნალისტი მოკლეს. ყოველი მათგანი სიკვდილამდე სასტიკად აწამეს. იმ ქვეყნებში, სადაც ჟურნალ-გაზეთებზე ოფიციალური ცენზურაა დაწესებული, თავისუფალი მედიის ქომაგები, ჩვეულებრივ, გრძელვადიან პატიმრობაში იმყოფებიან. ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემებით, დღეისათვის 24 სახელმწიფოში 124

პატიმარი ჟურნალისტი. ჟურნალისტის მოკვლა ცენზურის ერთ-ერთ ყველაზე „მიღებულ“ და „მოხერხებულ“ ფორმად იქცა“, — თქვა გაზეთების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა ბენტ ბრაუნმა პრესის თავისუფლებისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდის შესავალ სიტყვაში. მაგრამ, იქვე დასძინა, რომ დღეს საკმარისი აღარ არის ადამიანის ძირითადი უფლების — ინფორმაციის თავისუფლების დასაცავად მხოლოდ საპროტესტო ღონისძიებების ჩატარება, ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ცალკეულ ჟურნალისტებზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას აუცილებლად თან უნდა ახლდეს გლობალური მასშტაბით დამოუკიდებელი, დახვეწილი და ეკონომიურად გამართული საგაზეთო წარმოების განვითარება და ზრუნვა ამ წარმოებისთვის შესაბამისი ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ამ ორი კომპონენტის ერთმანეთისგან გათიშულობა საფუძველშივე კლავს თავისუფალი პრესის გაძლიერების წინა პირობას.

გაზეთების მსოფლიო 53-ე კონგრესისა და რედაქტორების მე-7 მსოფლიო ფორუმის ოფიციალური გახსნის ცერემონია 12 ივნისს რიო-დე-ჟანეიროს მუნიციპალურ თეატრში გაიმართა. ასეთი ცერემონიების ყველაზე სასიამოვნო ნაწილი, ჩვეულებისამებრ, გაზეთების მსოფლიო ასოციაციის ყოველწლიური პრემიის, „თავისუფლების ოქროს კალმის“ ლაურეატის დაჯილდოებაა ხოლმე, თუმცა, წელს ამ ცერემონიას თან ერთობ დიდი სევდა ახლდა.

წლევანდელი ლაურეატი სირიელი ჟურნალისტი, პრესის თავისუფლებისა და დემოკრატიის საქვეყნოდ ცნობილი ქომაგი ნიზარ ნეიუფი იყო. სირიის მთავრობამ იგი 1992 წელს „არაღვალურ“ ორგანიზაციის (სირიის დამოკრავიული თავისუფლების საბჭოს) წევრობისათვის (თავმჯდომარე) და საკუთარი გაზეთის — Sawt al Demokratia-ს საშუალებით „ყალბი“ ინფორმაციის გავრცელებისთვის დააპატიმრა და 10 წლით იძულებითი შრომა მიუსაჯა სირიის ალ-მაზაჰის სამხედრო ციხეში. ნიზარ ნეიუფს ცხოვრების მესამედი უკვე ციხეში აქვს გატარებული. შუა საუკუნეების თემებზე შექმნილი სამინელებების ისტორიას ჰგავს ციხეში მისი ყოფა: ზუსტად ათი წლის წინათ იგი ცოცხლად დამარხეს სველ და ბნელ საკანში, გამუდმებით სცემდნენ, აწამებდნენ, განსაკუთრებით გამკაცრებულ რეჟიმში ამყოფებდნენ. ნიზარ ნეიუფი ფიზიკურად თითქმის განადგურებულია. სარწმუნო წყაროები ადასტურებენ, რომ ციხეში სამჯერ სცადეს მისი მონამვლა, მაგრამ კლინიკური სიკვდილიდან ციხის იმ თანამშრომლებმა იხსნეს, რომლებიც მისადმი ფარულ სიმპათიებს გამოხატავენ. ნიზარ ნეიუფის სხეული წყლულებმა და კანზე სიგარეტის ნამწვავებმა დაფარა. უკვე რამდენიმე წელია მას ლიმფური ჯირკვლების კიბო და კუჭის წყლული აქვს. თითქმის დაკარგა სმენა და მხედველობა, და მიუხედავად ამისა, პატიმარ ნეიუფს არავითარი სამედიცინო დახმარება არ უტარდება. იგი ლოგინს არის მიჯაჭვული და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლის. სირიის ყოფილი მთავრობა ამაოდ ეცადა ნიზარ ნეიუფის გატყუებას. არ არსებობს წამების ის მეთოდი, ამ პიროვნებაზე რომ არ

გამოეცადათ. ჯერ სკამზე ჰყავდათ ბორკილებით მიჯაჭვული, თავით მუხლებს შორის, შემდეგ ცივ აბაზანაში ჩააგდეს და წყალში დენი გაატარეს. ესეც რომ აღარ აკმარეს, ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე სამი საათი ფეხებით ჰკიდებდნენ და რკინის ხელკეტებით სცემდნენ. ერთ-ერთი ასეთი ნამების შემდეგ, როდესაც ნიზარ ნეიუფმა მცველების ბრძანებაზე, პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის პორტრეტის წინ დაიჩოქა და ელოცა, უარი თქვა, გაბოროტებულმა დამსჯელებმა იგი ბეტონის იატაკზე განართხეს და მის სხეულზე მოისაქმეს.

და მაინც, ნიზარ ნეიუფის ყოფნა-არყოფნა მასზევეა დამოკიდებული, მასზე და იმ საბედისწერო ნამზე, როცა სიტყვის თავისუფლებისათვის თავგანწირულ ჟურნალისტს ბედთან შეპუების პირველი ოხვრა აღმოხდება.

„თავს უფლებას ვაძლევ ნიზარ ნეიუფის სახელით მოგახსენოთ, რომ იგი თავს ბედნიერ კაცად მიიჩნევს და მადლიერია საზოგადოებისა, რომელმაც მისი ხმა ისმინა და გაიზიარა, ასევე, მადლობელია გაზეთების მსოფლიო ასოციაციისა, რომელმაც მისი ძალისხმევა „თავისუფლების ოქროს კალმით“ დააფასა“, — თქვა თავის გამოსვლაში რედაქტორების მსოფლიო ფორუმის პრეზიდენტმა, ბრაზილიის ყოველდღიური გაზეთის „O'Dia“-ს რედაქტორმა რუთ დე ექუიანომ და დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ნაწყვეტები იმ წერილებიდან, რომლებიც ნიზარ ნეიუფმა რალაც მანქანებით ციხიდან გამოუგზავნა.

პირველად რომ დააპატიმრეს, ნიზარ ნეიუფი 20 წლის სტუდენტი იყო და იმდროინდელი ხელისუფლებისათვის არასასურველ ლექსებს წერდა. „უშიშროების თანამშრომლებმა, ლექსები რომ აღარ მენერა, მარჯვენა ხელის თითი მომტეხეს. მაშინ სირიის ისტორიაში მე ყველაზე ახალგაზრდა პოლიტკატიმარი ვიყავი. 1991 წელს, იმისათვის, რომ ვეიძულებინეთ, სახელმწიფო უშიშროების დავალებები შემესრულებინა, მძევლად ჩემი შვილი სარა აიყვანეს. ციხე, რომელშიც ახლა ვზივარ, ცოცხალი არსებების სასაფლაოს ჰგავს. აქ ყოველდღე ვიღაცას ნამებით ხდიან სულს“, — წერს ერთ-ერთ წერილში ნიზარ ნეიუფი და მადლობას უხდის იმ უცნობ ჯარისკაცებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეს წერილი გამოიტანეს ციხიდან. წერილში იგი ასევე ასახელებს იმ სირიელ ჟურნალისტებსა და მწერლებს, რომლებიც მის მსგავსად, სირიის ციხეებში თავისუფლებისა და ჰუმანურობის მაღალი იდეალების დასაცავად ღებნიან. „მოდით ერთად ვიბრძოლოთ სიმართლისათვის. და რამდენი სისხლის გაღებაც უნდა დაგვჭირდეს, შუა გზაზე ნუ შევწყვეტთ ამ ბრძოლას. იმედი მაქვს, დავიმსახურე ჯილდო, რომელიც მსოფლიოს ჟურნალისტებმა მომანიჭეს. მე ის კაცი აღარა ვარ, ვისაც კიდევ ბევრი რამის იმედი დარჩა ამ ცხოვრებაში. დღეს მე დაღესტნელი პოეტი, რასულ გამზათოვივით ვმღერი: „ბედმა გამიღიმა... არც გიჟი ვარ და არც ბრმა, მე მხოლოდ იაფი პურის ხილვა მსურს, და ადამიანისა, რომლის სიცოცხლე იმაზე ოდნავ მეტად ფასობს“, „დამეხმარეთ, ვიდრე არ არის გვიან!“

„გაზეთების მსოფლიო ასოციაციის საბჭომ“ ორჯერ მიმართა სირიის ან განსვენებულ პრეზიდენტს ჰაფეზ ასადს იმის თაობაზე, რომ მის მთავრობას

გაეთვალისწინებინა საერთაშორისო კონვენციები და ნიზარ ნეიუფი, სირიის სხვა ჟურნალისტებთან ერთად (ცნობილია, რომ დღეისათვის სირიის ციხეებში ცხრა ჟურნალისტი პატიმარია), ციხიდან გაენთავისუფლებინა.

ამა წლის 2 მაისს „გაზეთების მსოფლიო ასოციაციამ“ ზოგიერთი სააგენტოს ინფორმაციის საპირისპიროდ, თითქოს ნიზარ ნეიუფი 2 თუ 3 მაისს შეუწყალე-ბიათ, განაცხადა, რომ სირიელი რედაქტორი კვლავ ციხეშია. თავად ნეიუფს მი-აჩნია, რომ ამგვარი ჭორები სირიის ხელისუფლებას სჭირდება იმისათვის, რომ, ეგრეთ წოდებული, „შენწყალები“ შემდეგ იგი საერთოდ გააქრონ ამ ქვეყნიდან. ნიზარ ნეიუფს ციხიდან თავის დაღწევის არავითარი იმედი აღარა აქვს.

„ჩვენი ცნობებით, თვალახვეული ნიზარ ნეიუფი მართლაც გადაუყვანიათ ციხიდან გაურკვეველ ადგილას და თავისუფლების ფასად მისთვის „იუნესკოს“ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ და „გაზეთების მსოფლიო ასოციაციის“ მიერ მინიჭებულ პრემიებზე საჯაროდ უარის თქმა შეუთავაზებიათ, რაზეც ნი-ზარ ნეიუფმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ თავისუფლებისა და დემოკრატიის ქომავი უკან შეაბრუნეს ალ-მაზაჰის სამხედრო ციხეში“ — ვკითხულობთ გაზეთების მსოფლიო ასოციაციის პრესრელიზში.

12 ივნისს რიო-დე-ჟანეიროში, გაზეთების მსოფლიო ასოციაციის 53-ე კონ-გრესის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე, შავი ხავერდით შებურულ სვეტ-ზე ობლად დასვენებული 2000 წლის „თავისუფლების ოქროს კალამი“ ამაოდ ელოდა თავის მფლობელს, თუმცა, თავისუფალი სიტყვისა და აზროვნების ეს მშვენიერი სიმბოლო თავისი უსაზღვრო მოლოდინით ნიზარ ნეიუფის ოკეანის გაღმა და გამოღმა მოღვაწე კოლეგებს აშკარად უმძაფრებდა სიმართლისა და სამართლიანობისთვის განეული თავგანწირვის ფასისა და მნიშვნელობის აღქ-მას, კიდევ უფრო მკაცრსა და შეურიგებელს ხდიდა მათ სიტყვასა და კალამს სიყალბისა და ძალადობისადმი.

*„გაზეთების მსოფლიო ასოციაციის“ 53-ე კონგრესი და რედაქტორების მე-7 ფორუმი
რიო-დე-ჟანეირო, 2000
გაზ. „დილის გაზეთი“, 24 ივნისი, 2000 წელი.*

1 ° E °

L E ° °



საქართველოს ამბავი თავორის ენაზე

25 დეკემბრის დილას კარებზე ზარმა დარეკა. არ მიყვარს, როცა შობასა თუ ახალ წელს მეკვლედ უცნობი შემოდის ხოლმე სახლში და ამიტომ კარი ფეხის თრევით გავადე. ჩემდა გასაოცრად, კარებთან არავინ იყო. ზღურბლთან ერთი რაღაც დაკუჭული და კანშემოფლეთილი ამანათი ეგდო. გამომგზავნის მისამართი ძლივს ამოვიკითხე — კალკუტა, ჟურნალი „ბრომონი“, რედაქტორი ამარენდრა ჩაკრავორტი.

დაახლოებით წლინახევრის წინ ქართული მედია საკმაოდ ფართოდ აშუქებდა საქართველოსა და მის კულტურაზე შეყვარებული, გამოჩენილი ბენგალელი მწერლისა და ჟურნალისტის — ამარენდრა ჩაკრავორტის სტუმრობას ჩვენს ქვეყანაში. ჩაკრავორტი გაზეთების მსოფლიო ასოციაციის წევრი ჟურნალისტია და მე იგი რიო დე ჟანეიროში, რედაქტორთა მსოფლიო ფორუმზე გავიცანი. საქართველოში იგი ოფიციალური სტუმრის სტატუსით არ ჩამოსულა, მე და „დილის გაზეთი“ ვიყავით ამ „თავზეხელაღებული“ მოგზაურის პირადი მასპინძლები. ჩვენ და ჩაკრავორტიმ ქართული ოქროსფერი შემოდგომის ოცდელში თითქმის მთელი ამერ-იმერი გადავსერეთ. ცნობილ ქართველ ხელოვანებს, მივიწყებულ სოფლებში მოფუსფუსე უბრალო და მხიარულ მშრომელებს ვხვდებოდით. გზად შემთხვევით შემხვედრ კეთილ ადამიანებს ვუმეგობრდებოდით, მათი სტუმართმოყვარეობით „ვსარგებლობდით“ და მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ჩვენ და არც ჩვენს უცხოელ სტუმარს გაგვხსენებია, რომ ახლა სხვა დროა, ამდენ ხეტიალში შეიძლება ათას ხიფათს და უბედურებას გადავყროდით.

ამარენდრა ჩაკრავორტიმ საქართველოდან 40-ზე მეტი ფოტოფირი და შთაბეჭდილებებით სავსე რამდენიმე დღიური წაიღო, მთელი წელი ბეჭდავდა იგი თავის „საქართველოში მოგზაურობას“ ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, ბენგალურ-ინგლისურენოვან სამოგზაურო ჟურნალ „ბრომონის“ ფურცლებზე.

დღეს, შობა-დღის პირველ დილას, ყველა ეს პუბლიკაცია ერთ კრებულად აკინძული, დაფლეთილ ძონძებში გამოხვეული უპატრონო ბალღევით ვიღაცას ჩემი ბინის კართან მიეგდო.

სათუთად შევხსენი ნაფლეთები და ბოლო ფურცლის თვალთვალს რომ დავასრულე — „ვიშ, ეს რამდენი უწერია-მეთქი“ — უნებლიეთ წამომცდა. არ გეგონოთ, უმადური ვიყო, ხელში ორმოცდაათზე მეტი დასურათებული გვერდი მეჭირა და შიგ რა ეწერა, სტრიქონსაც ვერ ვკითხულობდი. ეს იყო „ბრომონის“ ბენგალურენოვანი გამოშვებები, ინგლისურენოვანი, თურმე, 2002 წლის თებერვალში გამოვია.

ზურიკელას ატესტაცივით გულში ჩავიკარი „ბრომონის“ პრიალა ფურცლებიდან ამაყად მომზირალი თამარ მეფე, დავით გურამიშვილი, გელათი, ბაგრატი, ჯვარი, იყალთო, ძველი თბილისი, მცხეთა, მერაბ ბერძენიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ახალციხელი გოგო-ბიჭები, სოფლის შარაზე მოსეირნე ფეხშიშველა ბავშვები, წყალწმინდის თევზის ბაზრობაზე მწყვრებით მოვაჭრე წითური ქალები, გარმონზე მომღერალი თუში, თეთრი და შავი არაგვი, კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები, გურიის ნისლიანი ხეობები, შროშის მექოთნეები, ქეთევან წამებული, გალაღებული სტუდენტები, საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II, ახალგაზრდა მხატვარი გოგონა ძველ გალერეაში, თავად ამარენდრა ჩაკრავეორტი დინოზავრის ნაკვალევთან და ქართული შემოდგომის რამდენიმე პეიზაჟი, რომელთა მღებარეობაც, ბენგალური წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, ვერ გამოვიცანი.

თებერვალში, როცა „ბრომონის“ ინგლისური ვერსიებიც ხელთ მექნება, „დილის გაზეთის“ ფურცლებიდან უეჭველად ყველაფერს დაწვრილებით ვიამბობთ, ახლა კი, თავს იმით ვავიმხნევებ, რომ უკვე დღეს საქართველოს კულტურისა და თანამედროვე ყოფის შესახებ ნამდვილ ამბავს თავორის სამშობლოში წაიკითხავენ. ხვალ ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედება, ჩაკრავეორტის მაგალითის სხვა მრავალი ღირსეული პიროვნებაც მიბაძავს და მერე ნახეთ, რამდენი ნამდვილი მეგობარი გაუჩნდება საქართველოს. აღარც მსოფლიო ბანკის კრედიტები დაგვჭირდება და აღარც სავალუტო ფონდის მომადლებული სესხები. თქვენ წარმოიდგინეთ, ველარც კორუფციით გონებადაბინდული და მომხვეჭელობით ღირსებადაკარგული ქართველები დაგვაკლებენ რამეს. გონიერსა და წესიერ კაცს რა გამოლევს დედამიწის ზურგზე!

როგორ უყვართ ნამდვილ მეგობრებს

წელს, 5 მარტს, მწერალ თამაზ ჭილაძეს 65 წელი შეუსრულდა

ბატონო თამაზ, მაშინ მე ყველა პირობა გამაჩნდა იმისათვის, რომ 5 მარტს თქვენდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა საჯაროდ გამომეთქვა („დილის გაზეთის“ მორიგე რედაქტორი ვიყავი და კულტურის გვერდი ჩემი დასაგეგმი იყო). ძალიან მოვიწონებ მინდოდა ჩვენი გაზეთი ყველაზე ლამაზად მოგსალმებოდათ და ამიტომ, მოსალოცი წერილის დაწერა ბადრი ჭოხონელიძეს ვთხოვე. ბადრიც სიხარულით დამთანხმდა, მაგრამ მოულოდნელად მან 4-ში დილას დამირეკა და მითხრა, ვერაფერი გაგიკეთე ჩემო მანანა, გუშინ დედა მიკვდებოდაო.

სულ რამდენიმე დღეში ჩვენ ბადრი დავკარგეთ. მახსოვს თქვენი დიდი სევდა ბატონო თამაზ, კაცური გლოვა. ახლა თავიდან უნდა მოგაყენოთ გულისტკივილი.

თქვენ ეს არ იცით. ამის არ გამხელა კი არ შეიძლება. გამაგრდით ბატონო თამაზ და მოუსმინეთ, როგორ უყვართ ნამდვილ მეგობრებს!

„ქობულეთი.

შემოდგომის ნისლიანი დღეა. ფართო შემინულ ოთახში რუხი ზღვის შრიალი კიდევ უფრო ამძაფრებს სიცვივს, ოციოდე მობუზული კაცი ისე-რა ვუსმენთ ერთმანეთს. ჩვენს შორის შვიდი სტუდენტია. მე ამ ახალგაზრდების მზერით, მათი თვალების შუქით ვთბები, ჩამუქებული, ღრუბლიანი ცა მამინ ნათდება. სიტყვას თამაზ ჭილაძე იღებს... და იწყება აზროვნების ზეიმი, ლღვება ყინული, ზღვის ღრიალიც სასიამოვნო ღლინად ჩაგვესმის. ბედნიერი კაცია თამაზ ჭილაძე. მენდეთ, მისი მეგობრობით განებივრებული ხალხიც ბედნიერები ვართ. მის გვერდით ყოფნა, თუ ჭკუა გაქვს, ზეიმი. ზეიმი, რომლის დასაწყისს ვერ იგებ და ბოლო კი არ აქვს. ეს დიდებული კაცი თუ ერთხელ გაგენდო, ახლობლად ჩაგთვალა, იცოდეთ ამას დასასრული არ ექნება. საოცარ ნიუანსებში იგრძნობ ბატონი თამაზის სითბოს, ერთგულებას და რაც მთავარია მის რაინდულ სულს.

მე ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ თამაზ ჭილაძის მეგობარი ვარ და ისიც ვიცი, რომ უნდა გავუფრთხილდე ამ ბედნიერებას, სული უნდა ვუბერო. იქაც კი, სადაც ბატონი თამაზის მზერა ვერ მომწვდება, ვცდილობ ისე მოვიქცე, ჩემს მეგობარს ჩრდილი არ მივაყენო. არადა, საოცარია, დღევანდელ დღეს ისე იცხოვრო

კაცმა, როგორც ძმები ჭილაძეები ცხოვრობენ. საოცარი კიდევ ის არის, თამაზ ჭილაძე გყავდეს ქვეყანაში და არ იყენებდე მის ნიჭს, დიაბაზონს, ტაქტს...

მე არ ვიცი, რა არის 65 წელი და ამიტომ ვერ გეტყვით ბატონო თამაზ, ბევრია თუ ცოტა, ერთი კი ვიცი თქვენისთანა ადამიანმა და შემომქმედმა გაცილებით მეტი უნდა იცხოვროს ქვეყნის სასიკეთოდ, თანაც ისეთი გაუბედურებული და უპატრონო ქვეყნის, როგორც ჩვენი საქართველოა.

რალაც განსაკუთრებული მინდოდა მეთქვა თამაზ ჭილაძეზე, ეტყობა თავს ვერ ვაბამ...“

ბადრი ჭოხონელიძე.

ეს ჩანაწერი ბადრის არქივში ვიპოვეთ, იგი დაუმთავრებელია. მაგრამ დამეთანხმებით, ისევე მშვენიერი, როგორც მისი ადრესატი.

მახსოვს ერთხელ, თავის პირად წერილებში კირკიტის დროს მამაჩემი დედაჩემის მიერ საგულდაგულოდ გადამამულ ბარათს გადააწყდა და უეცრად მისი ოთახიდან შემზარავმა, გაბმულმა ღრიალმა იქუხა. ახლაც ყურებში მიდგას ის ხმა. ბარათი ხელიდან გამოვვლიჯეთ, მაგრამ მისი დამშვიდება შეუძლებელი აღმოჩნდა, დაჭრილი ლომივით ბორგავდა. ეს იყო ედიშერ ყიფიანის ლოცვა, დაწერილი 1971 წელს თერაპიის ინსტიტუტის რეანიმაციის განყოფილებაში, მომაკვდავი ნოდარ დუმბაძის სასთუმალთან. მაშინ მამაჩემი სასწაულით გადარჩა, ახლა გარდაცვლილი მეგობრის უცნობ ჩანაწერს კითხულობდა და არავინ ვიცოდით, რით დასრულდებოდა ეს მეხის გავარდნა. ედიშერ ყიფიანი თავის ლოცვაში ღმერთს მეგობრის სიცოცხლეს ავედრებდა და სთხოვდა, თუ ჩვენ ორიდან რომელიმე აუცილებლად უნდა წავიდეს, ჩემი ძმის ნაცვლად ჩემი სული მიიღე უფალოო. მჯერა, სწორედ მას შემდეგ დაიწყო ნოდარ დუმბაძემ მარადისობის კანონის ძიება და აკი მიაგნო კიდეც გარდაცვალებამდე ცოტა ადრე.

ბედნიერი კაცი ბრძანდებითო, ბატონო თამაზ, ასე სთქვა ბადრიმ. მართლაც ბედნიერი ბრძანდებით, განა ბევრს ხვდომია წილად ასეთი გაუმხელელი სიყვარული, ასეთი თავდადებული და ფაქიზი მეგობრობა. დაიმსახურეთ ალბათ და იმიტომ. მაგრამ, სიყვარულს ხომ ყველაზე დიდი ნიჭი სჭირდება, ღმერთი ამ ნიჭით მხოლოდ ერთეულებს ასაჩუქრებს, ბადრი ჭოხონელიძე უხვად ფლობდა ამ ნიჭს და, რაც მთავარია, საფლავში არ წაუღია. ჩვენ, თქვენ დაგიტოვავთ, ბატონო თამაზ და ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევ, საჯაროდ გამოგიქვეყნოთ. ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ, როგორ უყვართ ნამდვილ მეგობრებს.

გაზ. „დილის გაზეთი“, 18 მაისი, 1996 წელი.

თეატრი ფეთქავს — ჩვენ ვცოცხლობთ

ფიქრის გორაზე ძველი დიდებული თეატრალური სახლის ფუძეზე ახალი თეატრი აღმოცენდა. არა, ეს სულაც არ არის ახალი ამბავი, თანაც ისეთი, გაზეთმა რომ უნდა ამცნოს საზოგადოებას. ყოველივე სრულიად მოულოდნელად მოხდა ჩემში. მე პირველად შევედგი ფეხი ამ პატარა თეატრში და გავოცდი, იქ ცხოვრება, იქ ფუსფუსი და, უკიდურეს შემთხვევაში, სამსახური მაინც მომინდა (უმუშევარი არ გეგონოთ, სულ ცოტა 3 დანესებულებაში ვმსახურობ). ეს არის პატარა კუნძული, ოაზისი, სასმელი ჭა უკიდევანო უდაბნოში, ბოლოს და ბოლოს, ეს არის ცოდნის ერთი უპრეტენზიო, მაგრამ ერთობ საგულისხმო კერა, სადაც ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იაროს და, სამწუხაროდ კი, როგორც ვატყობ, არ დადის.

დედაჩემი შუახნის ქალია, სწორედ მას ვახლდი სპექტაკლზე „თავო ჩემო, ბედი არ გინერია!“ ვიდრე შინიდან გავიდოდით, მითხრა: „როცა გავიგე, კოტე თეატრალურზე აბარებსო, ცრემლი მომერია“ (კოტე მახარაძე გარე დეიდაშვილად ეკუთვნის) — რატომ-მეთქი ვკითხე და მიპასუხა, მაშინ მომეჩვენა, კოტე თავის ჭეშმარიტ ნიჭსა და მონოდებას მარხავდაო.

ამან კიდევ ერთი ამბავი გამახსენა, თუმცა ფიქრის გორის თეატრს არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მასთან. ორმოციან წლებში თურმე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის კალათურთის გუნდი თეატრალური ინსტიტუტის გუნდს ეჯობებოდა (კაპიტანი — კოტე მახარაძე), მაშინდელი უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ალბათ ბევრს ახსოვს, ძირითადად რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდებით ყოფილა დაკომპლექტებული. ამას ემატებოდა „ტროცკისტების“, გადასახლებულ-დახვრეტილთა, სამშობლოს მტრების ნაშიმშილარი, ყბა-ყბაში გასული და თვალეზამოღამებული შვილები, რომელნიც ახლა, ბედნიერი მომავლის მოლოდინში, აქტიურად და დიდი ენთუზიაზმით ებმებოდნენ უნივერსიტეტში მიმდინარე განურჩევლად ყველა პროცესში. პირადად მამაჩემზე მოგახსენებთ — იყო ლიტერატურული წრის წევრი, „პირველი სხივის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, უნივერსიტეტის თეატრის მსახიობი, დადიოდა შტანგის სექციაზე (მაშინ იგი სულ 53 კილოს ინონიდა და, როგორც თვითონ ამბობდა, მსოფლიო რეკორდი იმით მოხსნა, რომ საკუთარ წონაზე ორჯერ მძიმე შტანგა აწია) და, წარმოდგინეთ, კალათურთის იმ ზემოხსენებულ გუნდშიც თამაშობდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, თავდამსმელად (მისი სიმაღლე კი, როგორც თავად გვარწმუნებდა, პროტექციით 171 სანტიმეტრს არ აღემატებოდა).

მოკლედ, დაიწყო შეჯიბრი. ჯერ მოთელვაა. გავიდნენ ეკონომისტები მოედანზე და ადგილზე გაშედნენ, თვალეზი დაქაჩეს, „შეხედე, ნოდარა, რასაა რომ გვანან ეს „კაიდედამიშვილები“ — აღმოხდა ოთარ ჭიჭინაძეს (შემდგომ საერთაშორისო რანგის სპორტსმენი) და ნაღვლიანად დაიხედა თავის ეგრეთ-

წოდებულ ფორმაზე, რომელიც მამაჩემმა მაშინ, არც მეტი და არც ნაკლები, „ნიფხავად“ მოიხსენია. მოედანზე კი მოკლე ტრუსებით, თეთრი, მაღალყელიანი წინდებით, ქათქათა მაისურებითა და კედებით დაქროდნენ თეატრალური ინსტიტუტის ულამაზესი, დავარცხნილი, ოდეკოლონშეფრქვეული კალათბურთელები და, რაც ყველაზე მომაკვდინებელი იყო, ეკონომისტებისათვის სავსებით გაუგებარ, უახლესი სპორტული ტერმინოლოგიის ენაზე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. „ამათ გინდა რომ მოუფოთ?“ — კიდევ უფრო ნაღვლიანად ამოიოხრა ოთარ ჭიჭინაძემ და... რალა გავაგრძელო, დიდი სხვაობით წააგეს „მოსაგები“ მაჭჩი. მამაჩემის ამ მოგონების მთავარი პერსონაჟი კოტე მახარაძე იყო — ტანწერწეა, მოხდენილი, შეფერებული, თავისი საქმის „დიდი პროფესიონალი“ შურით რომ უხეთქავდა გულს თანატოლ ვაჟებს და სიყვარულით ასაკის, ეროვნებისა და რჯულის განურჩევლად ყველა მანდილოსანს.

კიდევ მახსოვს, მამაჩემმა ერთხელ ისიც მითხრა, კოტე მახარაძე შესანიშნავად თარგმნის მაიაკოვსკისო. შესანიშნავი მსახიობიაო, არასდროს უთქვამს, მაგრამ არც თეატრალური მაგისტრის პრეტენზია ჰქონია, და ამიტომ, ასეთი რამ გოგი ქავთარაძის გარდა, რომელიც თავისი ცხოვრების ნაწილად მიაჩნდა, არავისზე უთქვამს.

ასე მოგონებებით დახუნძლული და მომართული დავჯექი „დარბაზის“ კუთხეში მყუდროდ, ნახევრად კედელს ახუტებული და მოლოდინში გავირინდე. ნეტავ, რას გვიმზადებს დღეს ცნობილი საერთაშორისო კლასის სპორტული კომენტატორი, საქართველოს სახალხო არტისტი და ერთობ კოლორიტული მოქალაქე კოტე მახარაძე.

იგი სცენაზე 40-იანი წლებიდან მონაგონისაგან და თავად დარბაზისაგან განსხვავებით ძალზე სადად ჩაცმული (ოდნავ მოტეხილიც მეჩვენა) გამოვიდა.

ნამდვილი სამოციანელი — ამ ფორმულირების საუკეთესო გაგებით, უძღები შვილივით ბუდისგან განზე გამდგარი და წლების შემდეგ მობრუნებული თავის ნავსაყუდელში. სცენაზე იდგა კაცი, რომელიც სწორედ იმ „ნიჭსა და მონოდებას“ აფრქვევდა, რომელმაც 50 წლის წინ დედაჩემს ცრემლი მოჰგვარა, აკი აღნიშნა კიდევ სპექტაკლის შემდეგ იქვე, ღია კაფეში მოფუსფუსე მაყურებელმა, კოტე თავის ნამდვილ ამპლუაშიაო.

ორიოდე სიტყვა მაყურებელზეც: აღმოჩნდა, რომ იქ მყოფთ, თითქმის ყველას ვიცნობდი. არც არის გასაკვირი, თბილისი პატარა ქალაქია, მისი ინტელიგენცია მცირერიცხოვანი, თეატრის მოყვარულნი უფრო ცოტა, დარბაზი მოცუტქნული, ბილეთის ღირებულება — 5 ლარი, რისი გადახდაც დღევანდელ საშუალო და საშუალოზე მაღალ ინტელიგენტს არ შეუძლია ან შეუძლია და, გაჭირვებისა რა ვთქვი, ვერ იმეტებს. ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოება კვლავ „პოზიცია-ოპოზიციადაა“ დაყოფილი, ხოლო ბატონ კოტეს მკვეთრად გამოხატული ერთი პოზიცია უკავია, აქ თეატრის მოყვარულთა მხოლოდ ერთი ფრთა იკრიბება, რაც თავისთავად ზღუდავს

მაყურებლის მრავალფეროვნებას, იკვრება წრე და იქმნება თითქმის ოჯახური, ან სალონური სიტუაცია.

თბილისის მაყურებელი თავისი მომთხოვნელობით, როგორც წესი, შიშის ზარს სცემს ჩვენებურ თუ უცხო შემსრულებელს. იმდღევანდელი „პუბლიკა“ კი ამგვარი შიშის სრულ საბაბს იძლეოდა. ეს კარგად უწყოდა ბატონმა კოტემ და აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მეტრის პოზიციიდან კი არა, რიგითი მკითხველისა და მკვლევარის მოკრძალებული პრეტენზიით საუბრობდა. განა რა უნდა ეთქვა მას ახალი აკაკიზე იქ შეკრებილ ინტელექტუალთათვის, ალბათ ვერაფერი, თუმცა ხან გასუსული და ხანაც შთაბეჭდილებებით ეგზალტირებული, სპექტაკლში უნებლიეთ ჩართული მაყურებელი იმის თქმის საფუძველსაც იძლეოდა, თითქოს პირველად ისმენდა აკაკის ცხოვრების აქამდე „უცნობ“ დეტალებს, ანდა აკაკის პოეზიის ახლებური ნაკითხვის და აღქმის მოწმე გამხდარაო. მართლაც ასე იყო თუ არა, შეიძლება არ დამეთანხმოს იმდღევანდელი მაყურებელი, მე კი გულწრფელად მოგახსენებთ, ასე მომეჩვენა — ეს არტისტის ნიჭია და ნიჭს კი ყველაზე სკეპტიკური მაყურებელიც ემორჩილება. გავკადნიერდები და დავსძენ, რომ ნიჭიერების ასეთი დემონსტრირებისათვის კოტე მახარაძეს სულ ცოცხა 69 წელი დასჭირდა. დღეს შედგა მისი ნამდვილი ბენეფისი და ღმერთმა დღე გრძელი და კელაპტარი ანთებული ნუ მოუშალოს ბატონ კოტეს.

ერთი პატარა შიში მაინც შემეპარა სპექტაკლის მსვლელობისას. მომეჩვენა, თითქოს კოტე მახარაძე მხოლოდ თავისი თაობის, უკვე მიმავალი ინტელიგენციისთვის ირჯებოდა სცენაზე, თავის და მათ ნოსტალგიას უმღეროდა სევდიან რომანსს, მაგრამ გვერდზე მოვიხედე და სულ პატარა ყმანვილს მოვკარი თვალი, ასე მე-9-მე-10 კლასის მოსწავლე იქნებოდა (სამწუხაროდ, სულ ორიოდ ახალგაზრდა თუ ესწრებოდა სპექტაკლს), თვალები ფართოდ გაეღო, ტუჩებთან ფარული ღიმილის ნაოჭი უკრთოდა, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კი პირველი ნამოხტა ფეხზე და, ვიდრე კოტე მახარაძემ დარბაზი არ დატოვა, ტაში არ შეუწყვეტია. მაშ, რომელ შიშზეა ლაპარაკი, ასეთი დიდი ნუგეში და იმედი ნუ მოგვეშალოს საქართველოში. ვიცი — ის ყმანვილი ტაშს, ვისაც საჭირო იყო, იმას უკრავდა — საქართველოს უგვირგვინო მეფეს, დიდ აკაკის. იქ, იმ დარბაზში, „ნაიკითხა“ მან პირველად აკაკი წერეთელი და ბედნიერი იყო, რომ ფეხზე ამდგარი ასე უშუალოდ, ასე საჯაროდ გამოხატავდა თავის აღტაცებას.

ჩვენ კი, ვისაც შიშები, დეპრესიები, ნოსტალგიები და ასე შემდეგ... გვანუხებს, მოვკიდოთ ხელი ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს და დროდადრო ფიქრის გორის გზას გავუყენოთ, სადაც ძველი დიდებული თეატრალური სასახლის ფუძეზე ახალი თეატრი აღმოცენებულა და, მიუხედავად საყოველთაო სულიერი გამყინვარებისა, ფეთქავს, თანაც როგორ!

სახლში წასაკითხი „პროგრამა გაზეთი“

ერთხელ, კინოს სახლში სამი დღის განმავლობაში ანდრეი ტარკოვსკის „სარკის“ ჩვენება მიდიოდა. ჩვენებას ცნობილ ქართველ რეჟისორებთან ერთად თვითონ ტარკოვსკი ხსნიდა და ფილმის დაწყების წინ საკმაოდ დეტალურად განმარტავდა სურათის სიმბოლიკას (მოგეხსენებათ, ტარკოვსკის ფილმები ჩემნაირი დილეტანტი მაყურებლისათვის, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე ადვილი აღსაქმელია). მეორე დღის ჩვენებაზე კინოს სახლში მწერალთა კავშირის წევრები ჰყავდათ მოპატიჟებული. მე ამჯერად მამაჩემის მოსაწვევით ვისარგებლე, და შესაბამისად, სრულიად უწყინარი მაყურებლების ტარიელ ჭანტურიას, გოგი გეგეჭკორის და ზაურ ბოლქვაძის შორის აღმოვჩნდი. ფილმი დაწყებულიც არ იყო, უკანა რიგებში ცხარე კამათი გაიმართა რეჟისორ ტარკოვსკის ჭეშმარიტი გენიალურობისა და ძალად გაგენიალურების თაობაზე. ამას მოჰყვა ჯერ უნახავი ფილმის მისხალ-მისხალ ანონ-დანონვა და ანალიზი. მაშინ სკეპტიკოსმა მაყურებელმა ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა და გადაწყდა, რომ ფილმი თურმე ფართო და, არამარტო ფართო მაყურებლისთვის ერთობ ბუნდოვანი და მოსაწყენია. ბუნდოვანების გასაქარწყლებლად, წინა დღის გამოცდილებიდან გამომდინარე, დამსწრე საზოგადოებას დავპირდი, რომ რამდენიმე წუთში თვითონ ტარკოვსკი გამოვიდოდა და ფილმის ზოგიერთი გაუგებარი პასაჟის თაობაზე ახსნა-განმარტებას მისცემდა აუდიტორიას. ოპონენტის მხერაში მაშინ აშკარა გაკვირვება ამოვიკითხე — ეს თუ ნამდვილად ნორმალურია, ტარკოვსკის ფილმზე მეორედ რამ მოიყვანაო. მეწყინებოდა, ამ გაკვირვებაში ცოტაოდენი სიმართლაც რომ არ მნიშვნებოდა. მეორედ მართლაც იმიტომ ვიყავი მოსული, რაც პირველად ვერ გავიგე, ის გამეგო. იხტიბარი მანინც არ გავიტყეხე, პროფესიონალი კინომცოდნის ირონიული ლიმილით ვპრუნავი თვალებს და ნიშნისმოგებით ვდუმდი. ჩემზე უფრო გამბედავი მაყურებელი კი არ ცხრებოდა. ცოტაც და ჩემი დუმილი სამარცხვინო მარცხად ჩაითვლებოდა, მაგრამ...

— რა გინდათ, მართალს ამბობს, თურმე ფილმის დაწყების წინ რეჟისორი აგვიხსნის ყველაფერს, დამთავრებისას კი სცენარებს გაგვატანენ სახლში წასაკითხადო, — თავი გამოიძო ზაურ ბოლქვაძემ ჩემს დასაცავად.

ასე დამთავრდა ჩემი პირველი და უკანასკნელი უიღბლო ცდა, კვალი განათლებული დამეტოვებინა კინომცოდნეობის ისტორიაში.

საქმე ისაა, რომ ამ მოგონებას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რის დაწერასაც ახლა ვაპირებ, მაგრამ როდის იყო, ქვეცნობიერი ვინმეს რამეს ეკითხებოდა, როცა უნდა და რასაც უნდა, იმას ამოგიტივტივებს გონებაში, შენ კი, თავი უნდა იმტვრიო, ერთი მეორეს როგორ დაუკავშირო. ჰოდა, მეც ვეცდები, ამ მოგონებიდან ძალიან შორს აღარ წავიდე — ვნახოთ, რა გამოვა.

აი, სანერ მაგიდაზე „გაზეთი-პროგრამა“ მიდევს (ან პირიქით, „პროგრამა-გაზეთი“). იგი სპეციალურად დაისტამბა რუსთავის თეატრის სპექტაკლის —

„იქ, სადაც ღვარად მოედინება...“ — პრემიერისათვის. პიესის ავტორი — ირაკლი სამსონაძე, დამდგმელი რეჟისორი — კოტე აბაშიძე.

ირაკლი სამსონაძე ჩემი ძალზე ახლობელი და საყვარელი ადამიანია — დიდი და რთული ნიჭის პატრონი, ოთხმოციანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერალი — ყოველივეს ვიძახი განზრახ და სრული პასუხისმგებლობით, ვინაიდან დანამდვილებით ვიცი, რომ ასი წლის შემდეგ, როცა აღარავინ ვიქნებით, ამას ვილაც სხვა იტყვის.

რთული ნიჭის პატრონია-მეთქი, რომ ვამბობ, ალბათ სწორედ ამან გამახსენა ტარკოვსკის ფილმის თბილისური დღეები და „სახლში გატანებული სცენარი“.

რუსთავის თეატრის პრემიერის წინ მაყურებელს „გაზეთი-პროგრამა“ დაურეგდა. წინასწარვე მოგახსენებთ, რომ ამ ექსპერიმენტმა ჩემზე ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და ეს წერილიც სწორედ იმას მინდა მივუძღვნა, რა სახის „სცენარები“ შეიძლება თურმე მაყურებელს სახლში გაატანო.

დავინყებ იმით, რომ, თუ ღმერთი გაგინყრა და „გაზეთი-პროგრამის“ კითხვა სპექტაკლის წინ დაიწყე, მეორე მოქმედებამდე სცენისკენ შეიძლება აღარც გაიხედო, პირველივე გვერდზე ირაკლი სასმონაძის იმდენად საინტერესო სტატიაა დაბეჭდილი თავისი ნაწარმოების დაბადება-არსის თაობაზე, რეჟისორისა თუ დრამატურგის ურთულეს ურთიერთობაზე, მისი თაობის მწერლების შემოქმედებით ინტერესებზე, საერთო პრობლემებზე, თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემაზე, პარადოქსებსა და რეალობაზე.

შემდგომი გვერდები მთლიანად დამდგმელ ჯგუფს და მსახიობთა დასს ეძღვნება. ეს გვერდები ვიზუალურადაც და შინაარსობრივადაც ძალზე საინტერესოა, ვინაიდან გაზეთის მოქმედი პირები უგრძობოდ, ყოფით პირობებში გადაღებული ფოტოსურათებიდან მათ მიერ განსახიერებულ გმირებსა და პიესაზე მუშაობისადმი თავიანთ გულწრფელ დამოკიდებულებას გამოხატავენ.

ირაკლი სამსონაძე წერს:

„ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა შენი პიესის მიხედვით სპექტაკლი იქმნება, როგორც წესი, დრამატურგსა და რეჟისორს შორის ჩნდება ერთგვარი შინაგანი ანტაგონიზმი. ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა. და ამ შემთხვევაში არც მე ვარ გამონაკლისი. მე მგონი, ასე იყო და ასე იქნება. ჩემი პროფესიის ყველა ადამიანი, ალბათ უნდა შეეგუოს იმ აუცილებელ ჭეშმარიტებას, რომ სპექტაკლი სულ სხვა ორგანიზმია. თეატრი ახალ მხატვრულ ორგანიზმს ქმნის. მიმანია, რომ პიესა, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურაა და არ ვეკუთვნი იმ დრამატურგთა რიცხვს, ვინც აქტიურად ერევა სპექტაკლის სამზადისში. რა თქმა უნდა, დრამატურგისათვის დიდი ტკივილია მისი პიესის რეჟისორული გადაამუშავება, თუნდაც ერთი სიტყვის ამოღება, შეკვეცა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, არ დაიკარგოს ავტორის სული, პიესის ატმოსფერო, მთავარი თემა, ყოველივე ამის შენარჩუნებას კი, რა სახის მონტაჟით, ეპიზოდების გადაადგილებით თუ შეკვეცით მიაღწევს რეჟისორი, ეს მისი საქმეა. რეჟისურა ხომ ცალკე შემოქმედებაა“.

„მოგეხსენებათ, დრამატურგები მეტად მტკივნეულად განიცდიან პიესაში ყოველგვარ რეჟისორულ ჩარევას“, — თითქოს აგრძელებსო დაწყებულ თემას პიესის დამდგმელი რეჟისორი კოტე აბაშიძე და დასძენს, რომ ირაკლი სამსონაძესთან მას არანაირი პრობლემა არ შექმნია. მეტიც, როგორც მხატვარ აივენგო ჭელიძისგან ვგებულობთ, „თავიდანვე უცნაურად დაიწყო მუშაობა. ფაქტობრივად ყველაფერი რეჟისორისგან წამოვიდა. ძირითადად მის ჩანაფიქრს ვახორციელებდით, მას მთელი სპექტაკლი დეტალურად ჰქონდა მოფიქრებულ-გააზრებული. ჩემთან საუბრისას კოტემ ნათლად ამიწერა პერსონაჟთა სამოქმედო გარემო. მე მხოლოდ მისი ჩანაფიქრი გავავრცეე“.

დამდგმელი ჯგუფის თათბირი კონსილიუმს გავს, სადაც ავადმყოფი, როგორც წესი, დრამატურგია, ავადმყოფობა — თავად პიესა, ქირურგი კი — რეჟისორი. ჰოდა, მისი სეფესიტყვა წყვეტს ხოლმე ავადმყოფის საბოლოო დიაგნოზს“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაესტროს ასე გადაუწყვეტია.

„იქ, სადაც ღვარად მოედინება...“ თანამედროვე ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი საინტერესო ქმნილებაა. იგი რთული, მრავალნახანაგოვანი პიესაა, რომელიც სიღრმისეული წაკითხვის საშუალებას იძლევა და დამდგმელს მრავალნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ასეთი რამე კი ჩვენს დრამატურგიაში, სამწუხაროდ, იშვიათია“.

ამას მოჰყვება თეატრის დირექტორის ჯემალ მაზიაშვილის შეფასებაც. მას მიაჩნია, რომ „ამგვარი დრამატურგია დღეს ჰაერივით სჭირდება არა მარტო მაყურებელს, არამედ ჩვენს თეატრს“.

მოკლედ, კონსილიუმის მსვლელობამ დაგვარწმუნა, რომ პაციენტის (ანუ დრამატურგის) და დაავადების (ანუ პიესის) ბედი ამ შემთხვევაში მშვიდობიანად გადაწყდა. მსუბუქი ქირურგიული ჩარევა არამცთუ წადგომია საქმეს, მეტიც, ოჯახურ-თეატრალური იდილიაც კი შეუქმნია, დასს დიდი საოჯახო ფოტო გადაუღია და შემაჯამებელი სიტყვა თეატრის მთავარი რედაქტორისათვის, ლევან სანიკიძისთვის მიუწვდია. აი ისიც:

„დღეს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ძლიერ პოპულარულია ტერმინი „თანამოაზრეთა გუნდი“. ირაკლი სამსონაძის დრამატურგიით ჩემი დაინტერესებაც სწორედ ამ გუნდის შექმნის დასაწყისი იყო.“

ჩვენ უფრო შორს წავედით, ვიდრე ეს დრამატურგისა და თეატრის ჩვეულებრივი თანამშრომლობის დროს ხდება ხოლმე. ირაკლი თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ მოვიწვიეთ. მაყურებელი მალე ახალ სპექტაკლს იხილავს, რომელიც მისი მეორე პიესის — „ტელემოუ — მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის“ — მიხედვით იდგმება. ამ წარმოდგენაზე მე ვმუშაობ“.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, და კიდევ ბევრი რამ, რაც არ მოგახსენეთ, სულ ყველაფერი „პროგრამა-გაზეთში“ წერია.

მაგალითად, ის, რომ სპექტაკლის სამაგიდო რეპეტიციები 1996 წლის იანვარში დაწყებულა, პრემიერა კი 1996 წლის აგვისტოში შედგა; რომ დამდგმელი

ჯგუფი მადლობას უხდის მოკარნახეს, გრიმიორს, რადისტს, გამნათებლებს, დასის გამგეს, რეკვიზიტის გამგეს, მემანქანეს, სცენის მუშებს, ბუტაფორს, დურგალს, მკერავებს, გარდერობის მუშაკებს, მომმარაგებელს, მძღოლს...

აკი გითხარით, ასეთი პროგრამა ჯერ არ მიინახავს-მეთქი, არც ასეთი გაზეთი; „პროგრამა-გაზეთი“ — მით უმეტეს. იგი უცნაურია, მაგრამ მშვენიერი. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ყოველი პრემიერა ამგვარი გაზეთების ბეჭდვით უნდა აღინიშნოს, მაგრამ ეს პირველი ექსპერიმენტი ძალზე მიმზიდველად მიმაჩნია — მას ოჯახური გაზეთის იერი აქვს და, ამავე დროს, ინფორმაციულიცაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი საკმაოდ დახვეწილი გემოვნებითაა შედგენილი, პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა გამოცემული, და მიუხედავად ამისა, არანაირ პრეტენზიას არ აცხადებს ბეჭდვითი ორგანოს სტატუსზე და არც სხვა პოპულარულ ბეჭდვით ორგანოებს ინვესტს შეჯიბრში — ყოველგვარი ეჭვიანობისა და მიკერძოების გარეშე მივულოცავთ ამ გაზეთის გამომცემლებსა და შემდგენლებს პირმშოს დაბადებას. რაც შეეხება „პროგრამა-გაზეთის“ მთავარ გმირებს, თავს მათთან თანამშრომლობასა და მომავალ კეთილმეგობრობას ვუსურვებთ. „დილის გაზეთს“ და წერილის ავტორს ირაკლი სამსონაძესთან შეხვედრა დიდი ხანია, ჩაფიქრებული აქვს, მაგრამ იგი ყველაფერთან ერთად რთულად მოსაპოვებელი „რესპოდენტი“ გახლავთ და გამოგიტყდებით, თუმცა ჯერ ვერაფერი გავახერხებთ, ამ საკითხზე კვლავაც გმუშაობთ.

გაზ. „დილის გაზეთი“, 24 აგვისტო, 1996 წელი.

ვიდრე ვარსკვლავები ციმციმებენ

„გაჭირვება მანახე და გაქცევას განახებო“ ერთობ აქტუალური, მაგრამ ღრმად შესასწავლი ანდაზაა. ქართული-მეთქი, ვერ ვამბობ და ვიდრე ამ ანდაზის ეტიმოლოგიურ ფესვებს არ მივაკვლევ, არც ვიტყვი, რადგან დღევანდელი ქართული რეალობა რადიკალურად განსხვავდება მისი მორალისაგან, ანუ გაჭირვებისას თავის დაღწევის პრინციპისაგან. ჯერ არასდროს ჩადგომია ქართული საზოგადოება (ერი) გაჭირვებას კრიჭაში ისე, როგორც ახლა. არა გვაქვს ფული, სინათლე, სითბო, ტანსაცმელი, საჭმელი, სამსახური, მაინც გვიხარია, მტრის ჯინაზე ვმართავთ ფესტივალებს, კონცერტებს, ოლიმპიადებს, ვიმარჯვებთ პრაქტიკულად შეუძლებელ, ვერ მოსაგებ ტურნირებში, კონკურსებში. ვიხდით გრანდიოზულ ზეიმებს, ბანკეტებს, ქორწილებს, ქელეხებს, და ეს ყველაფერი სულ მტრის ჯინაზე. ამ ცხოვრების გამოსწორება-დალაგებას საშველი რომ არ ადგას, იმის ჯინაზე.

„დილის გაზეთის“ მკითხველმა სხვაზე უკეთ უნყის, რომ მთელი თვეა თბილისი კინოს ვარსკვლავთა ზეიმის მოლოდინშია. 14-18 ოქტომბერს კი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ერთ-ერთი პრესტიჟული კინოფორუმის, „კინოტავრის“, თბილისური გაგრძელება — „კინოტავრის ექო“. პროგრამა დაიწყება მსოფლიო კინოს საფესტივალო პრაქტიკაში უკვე ტრადიციად ქცეული, კინოს ვარსკვლავთა საპატიო ბილიკზე საზეიმო სვლით. დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ბილიკი ფილარმონიის ქუჩის კიბეზე გაიმართება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საყოველთაოდ ცნობილ ვარსკვლავთა ხილვა შეუძლია მათაც, ვისაც მოსაწვევი არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, იმავე ვარსკვლავთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პოლიციამ ყრუ ალყა არ შემოარტყა ფილარმონიის მისადგომებს.

ასეა თუ ისე, გუნდა აგორებულია, სტუმრები ჩამოდიან, მობილიზებულ მასპინძლებს ახლა წვრილმანებილა დარჩათ მოსაწესრიგებელი. კვირას კინოთეატრ „ამირანის“, როგორც ახლა ამბობენ, შტაბბინაში „კინოტავრის ექოს“ ორგკომიტეტმა ეგრეთ ნოდებულები მოთელვა მოაწყო, ანუ შეხვედრაზე მოიწვია ქართული კინოს ვარსკვლავები, რომლებიც ვარსკვლავთ ბილიკზე ღირსეულად წარუძღვებიან წინ ჩამოსულ სტუმრებს.

იდეა მეტად კეთილშობილურია და ბრძნულიც, მაგრამ ერთობ რთული განსახორციელებლად, ვინაიდან ქართველი კინოვარსკვლავების ერთი დაძახებით დანიშნულ ადგილზე მიყვანა, თურმე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. დაპატიჟებული მსახიობებიდან მხოლოდ შვიდი მობრძანდა. ორგკომიტეტს, რომელიც ძირითადად რეჟისორებითა და ფსიქოლოგებითაა დაკომპლექტებული, ამის გაგება არ უჭირს. ჩვენ, ყურნალისტებს კი ისლა დაგვრჩენია, ქართველი კინოვარსკვლავების ეს მცირე „კაპრიზი“ ვარსკვლავთა საზოგადო სენად მივიჩნიოთ, პირველი გაცდენა საპატიოდ ჩაუთვალოთ, ხოლო მეორე გამოუცხადებლობის შემთხვევაში ურჩებისთვის სასწრაფოდ დავანესოთ პრიზი ყველაზე პენიანი დაგვიანებისათვის.

ყველაზე პუნქტუალური კი ქართველი ვარსკვლავებიდან ლიკა ქაჯუარაძე აღმოჩნდა. ამიტომ ინტერვიუც პირველად მას ჩამოვართვით:

— დილა მშვიდობისა ლიკა, „დილის გაზეთიდან“. გვითხარით, რა არის თქვენი ზოდიაქოს ნიშანი?

— მორიელი.

— ემთხვევა თუ არა შენი ცხოვრება მორიელის ნიშნით დაბადებულთა ცხოვრების საერთო სურათს?

— ემთხვევა, და ამიტომ დიდია დაჯერების ფაქტორი. გჯერა, რომ ყველაფერი როგორც აღწერილობაშია მოცემული, ისე აენყობა, ეს კი მეტად უარყოფით როლს ასრულებს პირადად ჩემს ცხოვრებაში. ალბათ იმიტომ, რომ ბევრი ისეთი რამ მაკლია, რაც მორიელს აქვს. ეს კი ცოტა არ იყოს, გულს მტკენს.

— როგორ მიმდინარეობს შენი შემოქმედებითი ცხოვრება, კინოკარიერა, ხარ თუ არა დატვირთული?

— არა, დატვირთული სრულიად არა ვარ.

— აი, მოლვანეობის პიკში რომ იყავი, მაშინ როგორ გრძნობდი თავს, როგორ იყო რეჟისორის დამოკიდებულება ვარსკვლავებისადმი?

— ძალიან კარგი, საუკეთესო რეჟისორები უდიდესი მოწინებით, პატივისცემით მექცეოდნენ. ყოველმხრივ მიწყობდნენ ხელს, მხარში მედგნენ, შეძლებისდაგვარად მისრულებდნენ სურვილებს, თუმცა ჩვენ ხანდახან ისეთ პირობებში გვიხდებოდა შრომა, წარმოუდგენელიც კი იყო მათი დიდსულოვნება. აი „ჩაკლულ სულს“ რომ ვიღებდით, არც ფული გვქონდა, კუპონები ახალი შემოღებული იყო, არც სინათლე, პირობები უმძიმესი, ფილმიც, თუ მკითხავთ, ერთობ არეული და ჟამი გამოვიდა. მრავალმა ხელისშემშლელმა ფაქტორმა დამდგმელ ჯგუფს ნაწარმოების მთავარი ხაზიც კი დააკარგვინა. მოკლედ, ყველაფერს ხელშეწყობა უნდა თურმე.

— როგორ ფიქრობ, რა ტენდენციაა დღეს ქართულ კინემატოგრაფში მსახიობის მიმართ, რა კრიტერიუმები? შენს გარეგნობას, როგორც ვხედავ, არაფერი დაკლებია, ალბათ, არც ნიჭს. რატომ ხდება, რომ შენისთანა მსახიობი დღეს საქმეს ჩამოცილებულია?

— მე ვფიქრობ, რომ ქართულ კინოში დღეს თანამედროვე ქალისთვის როლი არ არსებობს. თუ არის უფრო სოფლური კოლორიტით. კაცების როლები მომრავლდა, ქალის სახე კი კინოში უკან დარჩა.

— გასაკვირია, ქალები და განსაკუთრებით კი, ქართველი მანდილოსნები მიმდინარე პროცესების წინა პლანზე არიან, გინდა — ქუჩაში, მიტინგზე, გინდა პარლამენტის მისადგომებთან, თვით პარლამენტში, სამთავრობო სტრუქტურებში, ბიზნესში, მაშ ქართულ კინოსა და ლიტერატურას რა ღმერთი გაუწყრა, ერთი საინტერესო სახე რომ არ შეიქმნა მისი? ალბათ, გმირი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და რომ ჩამოყალიბდება, შესაძლოა, მისი შესრულება აღარც კი მოგინდეს. ეგებ ისევ კლასიკური გმირების თამაში გერჩიოს, იმათ ანი ველარაფერი შეცვლის, დროით არიან გამოცდილებით.

— მე მაინც მიმაჩნია, რომ მსახიობმა ყველანაირი როლის შესრულება უნდა შეძლოს. მთავარი რეჟისორი და მისი არჩევანია.

— რომელ რეჟისორთან ისურვებდი კვლავ მუშაობას?

— ნანა ჯანელიძესთან, რომ შეიძლებოდა, ისევ თენგიზ აბულაძესთან. ელდარ და გიორგი შენგელაიებთან. მიყვარს თანამედროვე რეჟისორებთან ურთიერთობა. თუ მსახიობი მართლა მსახიობია, ბედნიერი მაშინაა, როცა სამუშაო აქვს, როლს კი ნებისმიერს შეასრულებს.

— როგორ უყურებ ფესტივალ „კინოტავრის“ თბილისურ გაგრძელებას. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მსახიობების და რეჟისორებისათვის ამგვარ მოვლენას. რომელი რუსი კინომსახიობის სტუმრობა გეამაყება?

— იანკოვსკი, უდოვიჩენკო. თუმცა, ყველანი არაჩვეულებრივები არიან. მიმაჩნია, რომ დღევანდელ ქართველ მსახიობებს ბევრი ესწავლებათ რუსი

აქტიორებისაგან. პირადად მე, ძალზე მიხარია, რომ რუსეთისა და საქართველოს კინემატოგრაფს შორის კულტურული ურთიერთობები აღდგა. კარგი იქნება, თუ სხვა ქვეყნებთანაც დამყარდება ასეთივე ურთიერთობა. ჩვენ თუ ხშირად შევხვდებით და ერთმანეთს დახმარების ხელს გავუწვდით, ქართული კულტურა უდავოდ წინ წაინეწვს. ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა დღეს კინოში. წლის განმავლობაში ორი თუ სამი ფილმი კეთდება. ამ საერთო წარღვნაში ყველაზე მეტად რატომღაც კინო დაიჩაგრა. არ ვიცი რატო, ტარდება რეპრესიები კინოს ხარჯზე. რატომ არ ფინანსდება არც ერთი ფილმი, ნუთუ ეს არის ქართული კინემატოგრაფის ბედი, რატომ აიღო ხელი სახელმწიფომ ქართულ კინოზე. ნუთუ იგი საჭირო აღარაა, მაგრამ ეს უკვე პოლიტიკაა და მე კი პოლიტიკაში...

— არ გიყვარს პოლიტიკა? ამ რამდენიმე წლის წინ, თბილისის ცნობილი მოვლენების დროს, მახსოვს, ერთი სკანდალური ფოტო გავრცელდა: ულამაზესი ლიკა ქავჭავაძე ტანკთან, თუ ტანკზე, აღარ მახსოვს, ავტომატით ხელში.

— დიახ, ასეთი ფოტო მართლაც არსებობს, მაგრამ სრული გაუგებრობის შედეგია. გადაღება გვქონდა მილიციაში. შესაბამისად იქ იყო ტანკიცა და ავტომატიც. მოვიდა იური მეჩითოვი, გადამიღო სურათი და ფოტო მეორე დღესვე გაზეთში დაიბეჭდა. შემდეგ, ამის გამო, ახსნა-განმარტების გაკეთება მომინია პრესის საშუალებით. იმ გულუბრყვილო და უწყინარ ფოტოს არაფერი ჰქონდა საერთო პოლიტიკასთან და საერთოდ, ჩემნაირი აპოლიტიკური ადამიანი ქვეყნად არც კი მეგულება.

მიუხედავად ამისა, როგორც ვიცით, ამ ფოტომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიამდეც მიაღწია. კორესპონდენტისათვის ამგვარი მასალა მონაპოვარია, მსხვერპლისთვის შეიძლება განაჩენიც იყოს. ხანდახან ჟურნალისტები ტირანებზე დაუნდობლები არიან, ხან თვითონ დადიან დანის პირზე, ხან სხვას ატარებენ. ცეცხლთან თამაში ნარკოტიკზე ძლიერი ყოფილა, თორემ რა იცი, კაცი რომ სათავეში მოექცევა, როდის და საით გადაუგორდება ტვინის გორგალი, თანაც ისეთ წყენია და ბრაზიან პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდია რომ იყო.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ კაფეში მშვენიერი ია ნინიძე შემოვიდა ოქროსთმიანი ანგელოზებით. გამოვეცნაურე და ორიოდ სიტყვა შეანიე-მეთქი „დილის გაზეთს“, ვთხოვე.

— რა გითხრათ, გენაცვალე, მე დღეს არაფერს ვაკეთებ, არსად ვმოღვაწეობ იმის გარდა, რომ ბავშვებს ვუვლი. ეს არის დღეს ჩემი შემოქმედება და აქ ინარჯება მთელი ჩემი ნიჭი და შესაძლებლობა. არც კი ვიცი, რაზე გელაპარაკოთ.

— სურვილი თუ გაქვთ მუშაობის?

— როგორ არა. განა ასეთი სურვილის გარეშე არსებობს მსახიობი? მაგრამ სურვილი სურვილად რჩება, ჯერ არავის გავხსენებთ, თეატრიდან ხუთი წელია, რაც წამოვედი. მძიმე სურათია, ვიტყვოდი, მაგრამ ეს არის, რაც არის. მეტი ცხოვრება მე არა მაქვს.

— თავს თუ უვლით ძველებურად? რა იცი, ეგებ სხვაგვარად აენყოს დღეის იქით თქვენი სამსახიობო კარიერა?

— თავს როგორ არ უვული, ვცდილობ, ფორმაში ვიყო. მართალია, დღეებს არ ვიცავ, არც ვარჯიშით ვიკლავ თავს, მაგრამ ჩემს თავს მუდამ თვალყურს ვადევნებ, არ მინდა ფორმა დაკარგო. თუმცა, ეს ხომ ისედაც ყველა ქალის მოვალეობაა, თუ უნდა, რომ ქალს გავდეს.

— ვისი სტუმრობა გახარებთ ყველაზე მეტად ამ ზეიმზე?

— ირინა სკობცევასი. ის ჩემი მასწავლებელია. მე მოსკოვის ვიკი-ის ბონდარჩუკისა და სკობცევას კლასი დავამთავრე. ასევე ძალიან მიყვარს გერდტი. ადრე წილად მხვდა ბედნიერება მისთვის პარტნიორობა გამენია „შჩელკუნჩიკ-ში“. კარგად ვიცნობ იანკოვსკის. ძველად ფესტივალებზე დავდიოდით, ხალისი იყო, სტიმული, ახლა რაღაც იზოლაციაში მოვყევით,

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ „კინოტავრის თბილისურ ექოს“?

— იქნებ ამ პატარა ზეიმმა ვაკუუმიდან გამოგვიყვანოს. მსახიობებს მეტი რა გვინდა: შეხვედრები, აქტივობა, ჩამოვიდნენ სტუმრები. ჩვენც ღირსეულ მასპინძლობას გავუწევთ. იქნებ „კინოტავრის ექომ“ ჩვენი გაყინული კარიერა მკვდარი ნერტილიდან დაძრას, ვინმემ შეგვამჩნიოს, კეთილი თვალთ შემოგვხედოს, ცხოვრება განახლდეს. დარწმუნებული ვარ, ამით არც საქართველო იზარალებს.

* * *

კინო დაუნდობელია. კინო აგიტაცებს ვარსკვლავებამდე და დაგანარცხებს სასიკვდილოდ მიწაზე. პასუხს არავინ აგებს. ეს ყველამ იცის და მაინც ყველა თანახმაა კინოსთან თუნდაც წამიერ ურთიერთობაზე. სხვაა ვარსკვლავთა ხვედრი. ვარსკვლავის კვდომასთან ერთად კინოს ორგანიზმის ნაწილიც კვდება. ქართულ კინოს და განსაკუთრებით კი დღევანდელ ქართულ კინოს განა აქვს ის ფუფუნება, რომ ლიკა ქავჭავაძისა და ია ნინიძის მონაცემების მსახიობებს შემოქმედებითი დღეგრძელი დაუსაზღვროს და შემდეგ ასე არხეინად განაგრძოს არსებობა? ვფიქრობ, რომ არა აქვს. თუ არადა, ამას ვარსკვლავებით აციმციმებულ ბილიკზე 14 ოქტომბერს ვიხილავთ საკუთარი თვალთ.

ორი მშვენიერი ქალბატონის ჩანერას მოვრჩი. ცოტა არ იყოს, გუნება გამიფუჭდა. უკვე წამოსვლას ვაპირებდი, რომ კლუბში დოდო ჭიჭინაძე შემოვიდა. ქალბატონ დოდოსთან სხვადასხვა მიზეზთა გამო ისედაც მინდოდა შეხვედრა, ახლა კი ღმერთმა გამომიგზავნა მისი თავი. ცოტაც და მას ფეხდაფეხ ედიშერ მაღალაშვილი შემოჰყვა, მერე დუდუხანა წეროძე. ისინი ერთად დასხდნენ და ახლა რაღაც ახალი, ჯერაც სახელშეურქმეველი თანავარსკვლავედევით მოევიდნენ იქაურობას. სინათლესა და ხალისს აფრქვევენ კეთილი თვალებიდან. იფიქრებდი, ამ ხალხს არც საერთო გაჭირვება შეხებია და არც უამთა სვლაო. საუბარზე რომ გამოვიწვიე, ბატონმა ედიშერმა მთხოვა, თუ შეგიძლია, უბრალო, ადამი-

ანური კითხვები დამისვიო. დოდო ჭიჭინაძე კითხვას არც კი დალოდებია, ისე გადმოილაგა ცხვირწინ საქართველოს ყველა სატკივარი, დუდუხანა წეროძე ქართული კულტურის ისეთ მტკივნეულ საკითხს შეეხო, ამას ცალკე სტატია ჭირდება. მოკლედ, საკუთარი თვალით ვიხილე, რომ ძველი გვარდია ცოცხალია, შემართული და დანებებას არ აპირებს. როცა ძველი გვარდია შემართულია, ახალგაზრდობაც იმედით წამოყოფს ხოლმე თავს. ჭირსა შიგან გამაგრება მარტო ძველების პრეროგატივა როდია. ჩვენც უნდა ვისწავლოთ ცოტა რამ ამ მეცნიერებისა, თორემ ხომ ხედავთ, ახალგაზრდებში დებურესია ჩვეულებრივ და მოდურ სენადაც გადაიქცა. ამ სამი ახალგაზრდა „მოხუცის“ ყურება, მათი მხნე საუბარი, სიცოცხლეს მოგანყურებს. ჰოდა, ახალგაზრდული მინორის შემდეგ სიამოვნებით გადავდივარ ძველგაზრდულ მაჟორზე.

* * *

დოდო ჭიჭინაძეს ძველმოდური, წინა საუკუნის ან საუკუნის დასაწყისის ტანისამოსი აცვია, შავი შლიაპა და ვუალი ოდნავ უფარავს ლამაზ სახეს, მაგრამ, ამავე დროს, რაღაც იდუმალებას ანიჭებს მის დიდებულ გარეგნობას, მოკრძალებით მოპყრობას ითხოვს. ზუსტად ასეთი მოკრძალებით მივუახლოვდი და „დილის გაზეთის“ სახელით სალამო მშვიდობისა ვუსურვე. ქართველ ვარსკვლავს ვთხოვე, ორიოდ სიტყვა გაემეტებინა ჩვენი მკითხველისთვის.

— ჩვენ უკაპიკო მილიონერების თაობა ვართ! სამაგიეროდ, გვაქვს უზარმაზარი სიყვარული ჩვენი ხალხისა და ისეთ კინემატოგრაფში ვმუშაობდით... უსუფთავეს! ხანდახან თანამედროვე ფილმებს რომ ვუყურებთ ხოლმე, იცით, მზარავს, იმიტომ, რომ ყველაფრის ჩვენება ეკრანიდან, თანაც მაშინ, როცა ქვეყანა ჯერ დაულაგებელია, არ დაწყნარებულა, არ შეიძლება. პირადად მე ტიპური ქართველი ადამიანი ვარ. საქართველო ჩემთვის ყველაფერია, სიცოცხლეზე მეტი. ჩემთვის საქართველო იდეოლოგიაა და მე მინდა, რომ ეს იდეოლოგია ქართველების განწმენდას ემსახურებოდეს, არ ისმოდეს ეკრანიდან სიბინძურე, არ გადმოინდებოდეს იქიდან ჭუჭყი. ამის დანახვაც კი საშინლად მოქმედებს ჩემს ფსიქიკაზე. ჩემი თატრი, ჩემი საყვარელი მარჯანიშვილის თეატრი, ტრადიციულად იყო ის უდიდესი სამჭედლო, სადაც მუდამყამ ქართული სული ღვივდებოდა. ჩვენს სცენაზე ყოველთვის ეროვნული პიესები იდგმებოდა. ნახეთ, რა სპექტაკლებს ვთამაშობდი: „დავით აღმაშენებელი“, „ერეკლე“. 15 წელი ვთამაშობდი „ერეკლეში“ და 15 წელი იყო ანშლაგი. ხალხს წყუროდა თავისი წარსულის გახსენება, ენატრებოდა, ეამაყებოდა. მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც კოცნაც კი არ უგემია ეკრანზე. წარმოიდგინეთ, რა უჩვეულოა ჩემთვის ეკრანიდან დღევანდელი ეროტიული სცენების ყურება. ვიღაცის გამო მე მრცხვენია ახალგაზრდების. მინდა, რომ ძველი ქრისტიანული წესები გავიხსენოთ, ღმერთისკენ მივბრუნდეთ, ეს მოგვეხმარება გაერთიანებაში, ეს დაგვაყენებს მთელ ერს ერთად სამშობლოს გადასარჩენად. ხელოვნებაც ამას უნდა

ემსახურებოდეს. ეს არის ჩემი... არც კი ვიცი, რა დავარქვა. აგერ უკვე 71 წელს გადავაბიჯე და სულ ამაზე ვოცნებობ. ქართულ ხელოვნებას ეს ხელეწიფება, საქართველოში ხომ სულთი ყოველი მეორე ხელოვანია. საქართველო ხომ დიდ ფილარმონიის დარბაზს ჰგავს, სადაც თავი უამრავმა ნიჭიერმა ადამიანმა მოიყარა და მე მინდა, რომ ამ ნიჭიერმა ხალხმა მსოფლიოს ამცნოს ქართული ნიჭის შესახებ. მე უდიდეს პატივს ვცემ ანზორ ერქომაიშვილს, რომელმაც, მხატვრულად რომ ვთქვათ, სრულიად დედამინა აამღერა ქართულად. ეს არის, ჩემი გაგებით, კაცობა და დიდი ადამიანობა.

— ქალბატონო დოდო, მე ვიცი, რომ ამ 70 წლისთავზე თქვენ ბევრი გაუთვალისწინებელი უსიამოვნება შეგხვდათ, თქვენი შემართებაც გვახსოვს, თქვენი გულისწყრომაც, ახლაც გისმენთ და მიკვირს კიდევ, თქვენს სიტყვებში, თქვენს ინტონაციაში იოტისოდენა სიბრაზეც რომ არ იგრძნობა. ვგრძნობ დიდ წუხილს, მაგრამ სიბრაზეს არა, თქვენ არაფერს ლაპარაკობთ პირად უსიამოვნებებზე...

— არც არასოდეს გავბრაზდები, მე ქრისტიანი ვარ და ყველას ყველაფერს ვაპატიებ. ერთმანეთს შეცდომები უნდა ვაპატიოთ, რადგან უშეცდომონი დედამინაზე არ დაიარებიან. ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ხომ იმისთვის მოდის ამ ქვეყნად, რომ სილამაზე შექმნას.

თქვენ რომ ჩემთან ერთად ახლა დიქტოფონს უსმენდეთ, უთუოდ ტანში ჟრუანტილი დაგივლიდათ. დოდო ჭიჭინაძე ისეთი დადებითი ემოციითაა დამუხტული, მთელ საქართველოს ეყოფა. ამას თუ მსახიობის პათეტიკასაც მივუმატებთ, მარტო საქართველოს კი არა — ქვეყნიერებას. სკეპტიკოსმა ჟურნალისტმა მის უპეებთან აციმციმებულ ცრემლს შეიძლება არც დაუჯეროს, მოტრიალდეს და თქვას, ყოჩაღ! დოდო ჭიჭინაძე კვლავ თავის სტიქიაშია, დღეს მან კიდევ ერთი მშვენიერი როლი შეასრულაო. და თუ ეს მართლა ასეა, მშვენიერი კი არა, მაშინ ეს გენიალურად ნათამაშები როლი გახლავთ, ჰიპნოზივით რომ მოქმედებს მაყურებელზე და ალბათ, ქვეცნობიერად ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაადენინებს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ახლა ქართული კინოსა და თეატრის მეორე ვარსკვლავს, დუდუხანა წეროძეს მივმართავთ:

— ქალბატონო დუდუხანა, თქვენს შესრულებულ როლებზე თაობები აღიზარდა, მიუხედავად ამისა კი, დღევანდელმა თაობამ ცოტა რამ თუ იცის თქვენს შესახებ. ქართული ხელოვნება ვალში გრჩებათ, გული ხომ არ გწყდებათ რამეზე?

— მე, იცით, რა მინდა ვთქვა: თუ ახალი თაობა არ მიცნობს, ეს იმის ბრალია, რომ ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობს უცხოურ გადაცემებს, გვაქვს უამრავი არხი, გადატვირთული უცხო ფილმებით, ესტრადით, ბავშვებს არჩევანის საშუალება არა აქვთ. ჩემს შვილიშვილებს ქართული ფილმები აინტერესებთ, იმიტომ, რომ იქ მათი ბებია მონაწილეობს, სხვის შვილიშვილებს კი, აბა, რაში

ენაღვლებათ დუდუხანა წეროძე?! თითქმის არავინ დაინტერესებულა იმით, რომ ახალგაზრდებს თავისი ქართველი წინაპრები გააცნოს. ამაში, უპირველეს ყოვლისა, მშობლებს მიუძღვით ბრალი. ჩვენ ჩვენს შვილებს ყოველთვის ვასწავლიდით ქართველი მოღვაწეების ცხოვრებასა და შემოქმედებას, დაგვყავდა თეატრებში, ვათავლიერებინებდით ჩვენს ქვეყანას, ვავყარებდით გამოჩენილ პიროვნებებს. ჩვენმა შვილებმა კარგად იცოდნენ ნატა ვაჩნაძის, მიშა გელოვანის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვასო გოძიაშვილის, სესილია თაყაიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის ფასი. მეც და ჩემი ოჯახიც ყოველთვის ვამაყობდით იმით, რომ ამ ხალხთან მოგვინია ცხოვრება და შრომა. ეს თაობა წავიდა, ახალგაზრდობამ თუ არაფერი იცის მათ შესახებ, უნდა ვასწავლოთ, ავუხსნათ, დავანახოთ. განა ამას ბევრი ტვინის ჭყლეტა უნდა? ყველაფერი უმარტივესად შეიძლება გადაწყდეს, ოღონდ არ უნდა დაგვეზაროს მივუჯდეთ ჩვენს შვილებს და მისხალ-მისხალ შევაგნებინოთ ჩვენი აუნონავი სიმდიდრის, ქართული ხელოვნების მნიშვნელობა.

— დაკავებული თუ ხართ დღეს რომელიმე რეჟისორთან, თუ გაქვთ მუშაობის საშუალება და ხალისი?

— დიდი ხანია არაფერი გამიკეთებია. ჯერ იყო და ძალიან ავად ვიყავი, არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი, არც სამუშაო შემოუთავაზებია ვინმეს. ახლა კი მეძახიან სადღაც-სადღაც, მაგრამ უკვე აღარც ძალა მაქვს და აღარც სურვილი. მსახიობის ნიჭის გამოყენება მთლიანად რეჟისორზეა დამოკიდებული. ასეა ჩვენში და მთელ ცივილურ სამყაროში. მსახიობის ნიჭის უკვდავება რეჟისორის უკვდავ ნიჭსა და შეძლებას ემყარება. რეჟისორმა თუ არ გამოძერწა მსახიობი, ნიჭი მკვდარია. ასე არ არის, ედიშერ? (მიმართავს ედიშერ მაღალაშვილს).

— საერთოდ, მსახიობის პროფესია ასეთი უბედური პროფესიაა: იგი უშუალოდაა დამოკიდებული სხვის სურვილებზე. ამ შემთხვევაში — რეჟისორის. თეატრს კინოსთან შედარებით ერთი დადებითი თვისება აქვს: აქ მსახიობი თავის როლს მუდმივად თვალს ადევნებს, ასწორებს, აკეთებს ან აფუჭებს, ქმნის. მაგრამ საერთო ჯამში, თეატრშიც და კინოშიც მსახიობის ბედი რეჟისორზეა დამოკიდებული, აქ ბევრი ფაქტორი მოქმედებს: ადამიანური თუ პროფესიული ურთიერთობა, ბევრი სხვა ნიუანსი, რომლის გახმაურებაც არ ღირს. ყველაფერზე ვერ ილაპარაკებ.

— ბატონო ედიშერ, მე თითქმის ყველა ფილმი და სპექტაკლი მინახავს თქვენი მონაწილეობით, თქვენს მიერ შესრულებული პერსონაჟების უმეტესობა უარყოფითი ხასიათისაა, ამავე დროს თქვენ შესანიშნავად ასრულებთ დედამიწაზე ყველაზე დადებითი ადამიანის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის როლს. პირად ცხოვრებაშიც თქვენს სიკეთესა და დიდსულოვნებაზე ბევრი გამიგია. რა ხდება, რატომ გერგოთ წილად უარყოფითი პერსონაჟების განსახიერება?

— ეს, როგორც წელან მოგახსენეთ, რეჟისორის ხედვიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებით — კინოში. აქ, ალბათ, რაღაც ფიზიკური მონაცემები

მძლავრობს. გააჩნია, როგორ აღგიქვამს რეჟისორი. მე ვერ ვიტყვი, რომ თეატრში უარყოფით როლებს ვასრულებდი, პირიქით, დადებითი პერსონაჟები მეტი იყო. თუმცა, ყველანაირი როლი მითამაშია.

— ეგებ, ორი სიტყვით გვიამბოთ, როგორ ცხოვრობდა ათიოდე წლის წინ და როგორ ცხოვრობს დღეს ქართული კინოს ვარსკვლავი?

— რომელ ვარსკვლავზე მეკითხებით, ჩვენ ვართ ვარსკვლავები? ვინ გითხრათ? ვარსკვლავი საერთოდ რა არის? — ვარსკვლავი არის შორს და ანათებს, შენთვის ხელმიუწვდომელია. ხოლო, როდესაც შენ დგახარ პურის რიგში, ეჭყეყები მეტროში (თორემ სხვანაირად არ გაგატარებენ), სადაური ვარსკვლავი ხარ?! ჩვენში ცნება „ვარსკვლავი“ არ არსებობს. უცხოეთში სულ სხვაგვარად არის საქმე დაყენებული...

— რუს კოლეგებზე რას გვეტყვი, აი, იმათზე, ვისთან ერთადაც კინოს ვარსკვლავების საპატიო ბილიკზე უნდა გაიაროთ?

— არც ისინი არიან ვარსკვლავები. მე ნიჭს არ ვგულისხმობ, შეიძლება ბრწყინვალე მსახიობები იყვნენ, მაგრამ მათი ცხოვრებაც, ჩვენი არ იყოს, დასავლელი ვარსკვლავებისგან განსხვავებით, სულ სხვა წესით წარიმართა. ჯერ-ჯერობით ასეა და ასე იქნება კიდევ დიდხანს.

— ერთხელ, მახსოვს, კინემატოგრაფისტთა ყრილობაზე ვიყავით, — ერთვება საუბარში დუდუხანა ნეროძე, — ბუფეტში ჩვენთვის ტკბილეული უფასო იყო. ანდრეი ბატალოვი ამ ტკბილეულს ჩანთაში აწყობდა და სახლში მიჰქონდა. ეს იყო საბჭოთა ვარსკვლავის ცხოვრების რეალობა. ახლა ხომ სულ აღარაფერი გვაქვს. ამას წინათ მოსკოვში კინემატოგრაფის 100 წლის იუბილე გაიმართა, დამპატიყეს, ფული არ მქონდა და ვერ წავედი. თქვენ კი გინდათ დამარწმუნოთ, რომ ვარსკვლავები ვართ? ვარსკვლავი გარდერობს მაინც უნდა იცვლიდეს დრო და დრო. ძალიან გთხოვთ დაგვიძახეთ ის, რაც ვართ. ჩვენს სახელმწიფოს ჩვენთვის ნოდებებისა და ორდენების მოცემა შეეძლო მხოლოდ და ამას აკეთებდა კიდევ. სინამდვილეში კი ჩვენი დაფასება მხოლოდ ჩვენს საყვარელ ხალხს შეუძლია, მათი სიყვარული კი ნამდვილად არ მოგვკლებია. მადლობა მათ ამისათვის!

ამით დამთავრდა ქართული კინოს, ბატონი ედიშერი და ქალბატონი დუდუხანა მამატიებენ, ვარსკვლავთა ერთი ჯგუფისა და კინოს ვარსკვლავთა ზეიმის „კინოტავრის ექოს“ ორგკომიტეტის შეხვედრა დამოუკიდებელ კინოსტუდია „აისის“ შტაბ-ბინაში. ოთხშაბათს, 16 საათზე, დანიშნულია უდისციპლინო, ანუ გამცდენი ვარსკვლავებისათვის დამატებითი შეხვედრა. „დილის გაზეთი“, როგორც ამ ფორუმის ერთ-ერთი გულშემმატკივარი ფებდაფენ მიჰყვება ზეიმის წინა მოსამზადებელ და შემდგომ მის ოფიციალურ ნაწილსაც. ამიტომ დიდი ხნით არ გემშვიდობებათ. უახლოეს მომავალში კვლავ შეგახვედრებთ ჩვენი ქვეყნის უსაყვარლეს შვილებს, რომელთაც, მართალია, დღეს საქართველოში დაბუდებული საყოველთაო გულგრილობის გამო, ცოტა არ იყოს, გულიც გასტეხიათ, თავის თავზე წარმოდგენაც შეცვლიათ, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ვართ — მათი

ბრწყინვალეების ცოცხალი მოწმეები. კარგად ჩაფიქრდეთ, გავისენოთ რალაც-რალაცეები და ყველასათვის აშკარა გახდება, რომ ამათ გარეშე ჩვენი ქვეყნის ისტორია არ დაინერება, ამათი მოვლა და კეთილდღეობა კი ჩვენი საქართველოს მოვლისა და მომავალი კეთილდღეობის ერთ-ერთი სისხლხორცეული პირობაა.

გაზ. „დილის გაზეთი“, 9 ოქტომბერი, 1996 წელი.

ფილიპ ჟერარი — ნიაზ დიასამიძის მეგობარი (წინასიტყვაობა ნიაზ დიასამიძის პირველად გამოქვეყნებულ წერილზე ფილიპ ჟერარი)

ეს პუბლიკაცია საქართველოში ჟერარ ფილიპზე გამოქვეყნებულ წერილებს შორის არც პირველია და არც უახლესი. მიუხედავად ამისა კი იგი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოთაგანია და ბევრი თბილისელისათვის, სანუკვარიც. იგი ნიაზ დიასამიძის კალამს ეკუთვნის. მოძიებულია ავტორის არქივიდან და დაახლოებით 1961 წლით თარიღდება.

ვისაც კარგად ახსოვს ნიაზ დიასამიძის საოცრად დახვეწილი გემოვნება, ერუდიცია, აზრის სიღრმე და სისხარტე, მისი უნატიფესი თვალთახედვა და ბოლოს და ბოლოს, მისი განსაკუთრებული, ორიგინალური იერი, ნამდვილად არ გაუკვირდება, რატომ აურჩევია ავტორს თავისი წერილის ობიექტად მსოფლიოს სათაყვანებელი, თეატრისა და კინოს კერპი ჟერარ ფილიპი. რა აწერიანებს მას ფრანგ მსახიობზე ასეთი გატაცებითა და თავდავინყებით? ნიაზ დიასამიძის ახლობელი იტყოდა, ჟერარ ფილიპის პორტრეტში, ნიაზი, ალბათ, თავისი შეუმდგარი მომავლისა და სულიერი მეგობრის ხატს ხედავდაო. იტყოდამეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მიუხედავად უამრავი მოგონებისა, ასეთი რამ ჯერ არვისგან გამიგია, გაგონება კი მინდა.

თბილისელებმა, უდავოა, დიდი სიყვარულითა და სითბოთი იმდენი ვატრიალეთ ნიაზ დიასამიძის სახელი, ლადაობა-ლადაობაში მისი ნამდვილი პორტრეტი, ცოტა არ იყოს, შემოგველახა, სარესტავრაციოდ კი პროფესიონალი მხატვრისა და ნამდვილი ოსტატის ნაცვლად, პორტრეტი მღებავებს ჩაუფდეთ ხელში, ანეკდოტებისა და სალალობო გამონათქვამების ხელოსნად ვაქციეთ და ბევრი ისეთი უკბილო ხუმრობაც მივანერეთ, ცხოვრებაში რომ არ იტყოდა.

ეს ხელნაწერი ნიაზ დიასამიძის დამ, ქალბატონმა ტუსა დიასამიძემ, მოგვანოდა და დასძინა, არ მინდა, ნიაზი შთამომავლობას მარტო „შაყირისტად“ დამამხსოვრდესო.

გაზ. „დილის გაზეთი“, 29 ოქტომბერი, 1996 წელი.

გულს ვიოხებ და ისევ მწყობრში ვდგები

მამაჩემის საწერი მაგიდის უჯრაში საგულდაგულოდ ინახებოდა ერთი სქელტანიანი ბლოკნოტი და მიუხედავად იმისა, რომ ამ ბლოკნოტში ჩაჭყეტა ბავშვებს თექვსმეტი წლის ასაკამდე, ანუ მე და ჩემს დას, სასტიკად გვეკრძალებოდა, სასკოლო პროგრამის მინიმუმით გათვალისწინებული ლიტერატურისაგან განსხვავებით, იგი ორივეს შესაშური გულმოდგინებით გვეკონდა გადაბუღბუღებული. მაინც რა ეწერა ასეთი იმ ბლოკნოტში? — ფუნაგორიები, მამაჩემის და მისი მეგობრების, დღეს ყველასათვის კარგად ცნობილი და საყვარელი პოეტების ფუნაგორიები ერთი საერთო სახელწოდებით „დებილიადა“.

ჩემს ბავშვობაში ეს ფუნაგორიები ხელნაწერებით ან გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით ზეპირად ვრცელდებოდა ქალაქში, ამიტომ, უფრო ხშირად, ტექსტი მახინჯდებოდა, მის ავტორებს ერთმანეთში ურევდნენ, და მაინც დაჟინებით იმეორებდნენ, რადგან ფუნაგორიები მუდამ სიმართლეს ლაღადებდნენ, მწარე სიმართლეს, ხანდახან შავი იუმორით, სარკაზმით, ირონიითა და მახვილგონიერებით. კარგ ფუნაგორიას ვერ დანერ თუ ზემოთ ჩამოთვლილის ნიჭი ღმერთმა სათნოებასთან ერთად უხვად არ დაგამაძლა. ამიტომაც ინახებოდა ფუნაგორიები სულ ცოტა ხნის წინ საწერი მაგიდების უჯრებში. ახლა სხვა დროა, ჰოდა, ფუნაგორიებმაც ნელ-ნელა გამოძრომა დაიწყეს უჯრებიდან და პრესას მიაშურეს. რატომ? თურმე მწერალსა და პოეტს დღეს ფიზიკური და თუ გნებავთ, სულიერი გადარჩენისთვის ბრძოლა უხდება და იმიტომ. ფუნაგორია კი, პოეტის ხელში ყველაზე ბასრი დამცავი იარაღია. პირადად მე, ჯანსუღ ჩარკვიანი ქართული კლასიკური ფუნაგორიის დიდოსტატად მიმაჩნია. იგი არაერთი მოარული ეპიგრამის ავტორია და ამიტომ სწორედ მას მინდა ვკითხო, როგორ და რა შემთხვევაში იყენებს ფუნაგორიას, როგორც დამცავ იარაღს, რამ გამოიწვია მისი ადრე გამოუქვეყნებელი ეპიგრამების მომრავლება დღეს ჩვენს პრესაში?

— იცით რა? ძალიან აიშვეს თავი, მე პატივს ვცემ განონანსწორებულ პრესას, მართლისმთქმელ პრესას, დამთმობი კაცი ვარ, ჩემს სამეგობრობაში ვერავინ იტყვის, რომ გულში ჩამედოს წყენა და გავბოროტებულიყავი. არა და არა, ხოლო თუ მე შემშლია, მილიარებია კიდევაც, შემრიგებელი კაცი ვარ, მაგრამ ზღვარს როცა გადადიან, ვატყობ, გამოვდივარ მდგომარეობიდან და იმავე ბოროტი კაცის ტოლი ვხდები. ამ დროს გამოსავალს ფუნაგორიაში ვხედავ, ანუ, როგორც ტარიელ ჭანტურია იტყვის, „ლექსპრომტში“. ვწერ ფუნაგორიებს და წყენაც მიქარვდება, ფუნაგორია ჩემი ნავსაყუდელია, გულს ვიოხებ და ისევ მწყობრში ვდგები. ზევით მართლისმთქმელი ვახსენე. არსებობს პრესა რადიკალური, კი ბატონო, იმ პრესისაც მესმის. არსებობს პრესა ჭრელიც, ყვითელიც, მაგრამ არ მწამს ისეთი ჭრელი პრესისა... აი, გველივით ჭრელი პრესისა.

არიან ადამიანები, რომლებიც დედის გინებას პატიობენ მოწინააღმდეგეს. მე ვერა, გინებას ვერ ვაპატიებ, გინება ისეთი ვიცი, რომ გვერდზე დარჩებათ ტყლაპი, ტყემალი, ტყვარჩელი და ტყიბული...

საქართველო პოეზიის ქვეყანაა, ამას წყალი არ გაუვა. საქართველო პოეტების ქვეყანაცაა, მაგრამ საქართველოში რომ პოეტებისთვის გიჟდებიან, არაა სწორი. კი, რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებმაც მართლა იციან პოეტის ფასი, მაგრამ უმეტესობას მკვდარი პოეტი ურჩევნია ცოცხალს, მოჰკლავს და მერე თავში ხელებს ნაიშენს. არადა, ქართველმა რომ ტირილი იცის, ბევრი ქვეყნის სიმღერას სჯობია.

ერთხელ მე და ნოდარ დუმბაძე ერთ რაიონში ვიყავით შეხვედრაზე. კლუბამდე მთელი ასი მეტრის მანძილზე ხალხი ორ მხარეს იყო ჩამსკრივებული. გზაზე ყვავილებს გვიფენდნენ. ნოდარმა მხარი გამკრა და მითხრა: „ჯანუკა, ძამა, არ დეიჯერო, თვარა დეილუპებო“. კიდევ კარგი, რომ არ დავიჯერე.

ერთი ქალბატონი 1993 წელს პირველ სკოლასთან გაცხარებული გადამიდგა წინ და ცოფმორეულმა მითხრა: კაი, ბატონო, ყველაფერს თავი გავანებოთ, ერთი ეს მითხარით, რატომ დგას ჯერ ილია ჭავჭავაძე და მერე, იქით, აკაკი წერეთელიო. მე კი გავვოცდი, მაგრამ არ დავბნეულვარ და უმალ ვუპასუხე: ქალბატონო, თქვენ საიდან მოდიოდით? თუ იქიდან მოდიოდით, მაშინ, ჯერ აკაკი დგას, თუ აქედან მოდიოდით, მაშინ ჯერ ილია დგას... (შარზე იყო) ბუზღუნით გამშორდა და მომადახა — რა უნდა გელაპარაკო.

პოეტი „გარემოების საყვირია“ და ყველაფერს უნდა გაუძლოს, მითუმეტეს, მე არავინ ისე არ მერჩის, რომ მომკლას, გახდი ილია და კი, ბატონო, მოგკლავენ.

ილიაზე გამახსენდა, ერთხელ „ალიას“ კორესპონდენტმა მკითხა, „რა უნდა პოეტს პარლამენტშიო“, მე ვუპასუხე, რა ვიცი, რა უნდოდა ილია ჭავჭავაძეს „დუმაში“-მეთქი. პარლამენტში გურამ შარაძემ საქვეყნოდ შემისწორა: „ილია დუმაში კი არ იყო, სათათბიროში იყო“. მე პატარა „ლექსპრომტი“ გავუგზავნე:

უცებ შემიტოკდა ულვაში,
შენ რომ დაგინახე ფიგარო,
ილია არ ყოფილა დუმაში,
შენ ვის დუმაში ხარ, ჯიგარო?

ბევრი ვიცინეთ მეც და იმანაც, ამით ბოლო მოელო ჩვენს წამიერ „აღშფოთებას“. დრო დადგა ისეთი, რომ ბოროტება ზეიმობს, სიძულვილი ზეიმობს, მალე დადგება სიყვარულის ზეიმის დრო და ის ძველი მოყვარული ქალბატონები და ბატონები ისევ ყვავილებით გამოვლენ პოეტთან შესახვედრად... როცა კაცს შია, რა ეპოეტება?

ეჰ, მე თითქმის სულ კარგ გუნებაზე ვარ, სიძულვილს აკაკის ლექსით ვხვდები: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა“.

— რას ნიშნავს თქვენთვის ცნება „მოქალაქე“?

— მოქალაქეობა კაცის ღირსებაა, მოქალაქეობაა, როცა ბავშვმა უფროს-უმცროსობა იცის. მოქალაქეობაა, როცა ახალგაზრდას ეამაყება ეროვნულ ჯარში სამსახური. მოქალაქეობაა, როცა შენი მეგობრის მწუხარებას იზიარებ. მოქალაქეობაა, როცა სამშობლოს მხარში უდგახარ, მოქალაქეობაა, მტერს სიკეთით რომ გადაუხდის. მოქალაქეობაა, როცა სიძულვილს სიყვარულით ებრძვი, ხოლო კავშირი მოქალაქეთა შორის უნდა იყოს ისეთი, როგორც დიდმა გალაკტიონმა ბრძანა „კავშირი გულთა შორის“. როცა მოქალაქეებს ერთმანეთი უყვართ, მტრისთვის ლახვარია.

— დღეს საქართველოში, მგონი, სამი ოფიციალური მწერალთა კავშირია, შეიქმნა მწერალთა ცალკეული კლუბები, ორგანიზაციები, საზოგადოებები. ამით მწერალთა კავშირის ერთიანი ორგანიზმი კნინდება, იფიტება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ერთ დღეს იგი საერთოდ შეწყვეტს არსებობას?

— მწერალთა კავშირი დაიყო? არაფერიც არ დაყოფილა. თქვენ გინდათ ბრძანოთ, რომ არიან გულნამცეცა ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ დაჰყონ და იბატონონ. აქაც იმას ვიტყვი, რაც ადრე ვთქვი: არსებობს კავშირი გულთა შორის... მე და გივი გეგეჭკორი, მე და ოთარ ჭილაძე, მე და ანზორ სალუქვაძე ბავშვობის მეგობრები ვართ. სადაც უნდა იყვნენ, ისინი ყოველთვის ჩემთან არიან, ჩვენს გულებს შორის დიდი კავშირია. ნოდარ დუმბაძე საერთოდ აღარ არის ამ ქვეყანაზე, არც ერთი კავშირის წევრი აღარაა, მაგრამ ერთი მე მკითხეთ, არის თუ არა ჩვენს გულებს შორის კავშირი? რა თქმა უნდა, არის, აი, ასე, დაყონ ახლა რამდენიც უნდათ. ვინც ის იცის, რომ ძალა ერთობაშია, ხოლო ერთი კი ღმერთია, დაყოფისაგან თავს შეიკავებს, დღეს დაყოფის დრო არაა, დღეს ერთად ყოფნის დროა.

— თქვენ ხმაურიანი, მებრძოლი პოეტი ბრძანდებით. ხომ არ ნანობთ ხანდახან, ხომ არ ფიქრობთ, ეგებ გაჩუმება და მშვიდი ცხოვრება ჯობდესო?

— არაფერს ვნანობ, გაჩენის გარდა, ხოლო რაღაი გავჩნდი, ღვთის ნება იყო, ღვთისავე ნებაა ჩემი წასვლა ამ წუთისოფლიდან, მე ვცდილობ, ეს წუთისოფელი ისე განვკლო, რომ ღირსი ვიყო მარადიული სოფლისა.

— ახალგაზრდული ჟურნალის — „ცისკრის“ ყოფილ რედაქტორს დღეს როგორ გესახებათ ქართული მწერლობის მომავალი. ხედავთ თუ არა ჰორიზონტზე ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს, იქნებ იცნობთ და ძველებურად მეგობრობთ კიდევ მათთან?

— მე თორმეტი წელი ვხელმძღვანელობდი ჟურნალ „ცისკარს“. ეს იყო ყველაზე საუკეთესო დრო ჩემი მოღვაწეობისა. ხმამაღლა ვიტყვი: რომელმა ნაწარმოებმაც კი იმ დროს დიდი რუსთაველის პრემია დაიმსახურა, ყველა „ცისკარში“ დაიბეჭდა. ეს მაშინ, როცა ცენზურა გრიალებდა, ახლა აღარაა ცენზურა. მე ვთხოვ ყველას, დაწერონ „დათა თუთაშხიას“-ნაირი რომანები და დაბეჭდვაში მივებმარები. გახსოვს, ალბათ, როგორ ვუნწყობდით ხელს ახალგაზრდებს, ჯემალ თოფურაძეც ხომ პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა.

იქნებ, რაც მეტი დანოლა იყო, წინააღმდეგობაც უფრო ძლიერებოდა?

არ ვიცი, რას მივანერო, მწერლობაში აღარ მოდიან ახალგაზრდები. თუ გაქვს ცუდი ლექსები და ბევრი ფული, კი ბატონო, წიგნად გამოსცემ. ცუდ დღეშია ქართული მწერლობა, წიგნიც აღარავის უნდა, ანდა, ვისაც უნდა, იმას ფული არა აქვს.

მე ვზივარ და ვწერ, ბევრს ვმუშაობ, ზოგს დავავინყედი, არც მეუბნებიან რამე მოგვიტანეო. „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“ — ეს რუსთაველმა დოცენტებზე და პროფესორებზე კი არ თქვა, ქრისტიან კაცზე თქვა, ჰოდა, მეც ვარ და იმ ორ დღესაც კარგ ხასიათზე გავისტუმრებ, ტირილით არაფერი აშენებულა, კარგ ხასიათს გაუმარჯოს! სიკეთეს გაუმარჯოს!

გაზ. „მოქალაქე“, N44 13 თებერვალი, 1997 წელი.

მე თბილისში ვნახე წიგნების კოცონი

სულ ცოტა ხნის წინ არჩილ სულაკაურმა სახელმწიფო პრემია მიიღო. ხვალ მას სამოცდაათი წელი უსრულდება.

ამ სამოცდაათი წლიდან ორმოცი წელი, პირადად მე, ბატონო არჩილ, თქვენი და თქვენი მშვენიერი ოჯახის სიყვარულში მაქვს გატარებული. აღტაცებით მიდევნებია თვალი თქვენი ჭეშმარიტად მწერლური, ლამაზად ბოჰემური და გულახდილი ცხოვრებისათვის და ვერც კი წარმომედგინა, თუ ცხოვრების სხვაგვარი წესი მისაღები იყო. ახლა საშუალება მეძლევა, გაზეთ „მოქალაქის“ ფურცლებიდან იუბილე მოგილოცოთ, კვლავ ვისარგებლო თქვენი გულახდილობით და რამდენიმე კითხვით მოგმართოთ.

— ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა თქვა, ვშიშობ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული ცხოვრების წესის ჩვენს ქვეყანაში დანერგვა ქართველს იმ ყველაზე გამორჩეულ თვისებას დააკარგვინებს, რასაც სიკეთის უანგაროდ კეთების სურვილი ჰქვიაო.

— როგორც ჩანს, ამ შეკითხვის ძირითადი არსი ოთარ იოსელიანს ეკუთვნის. მე არ ვიცი, იგი რას გულისხმობს სიკეთის უანგაროდ კეთების სურვილში. ჩემი აზრით კი, სიკეთე თუ უანგარო არ იქნება, ის უკვე სიკეთე არ არის. სიკეთე ყოველთვის უანგაროა. რა თქმა უნდა, ასეთი სიკეთე ჩვენ გაგვარჩნია, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ჩვენი ყველაზე გამორჩეული თვისებათაგანი იყოს, რომელიც სხვა ერისგან განგვანსხვავებს.

იქ, სადაც არის ქრისტიანული რწმენა, უსათუოდ იქნება სიკეთის კეთების სურვილიც. სიკეთე აკეთო, დაეხმარო — ეს ყველგან არის, სადაც ქრისტიანულ

რწმენას მყარად აქვს ფესვები გადგმული. და თუ ჩვენ ეს გვინდა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შევინარჩუნოთ ჩვენი საუკუნეობრივი რწმენა. ეს თუ ალორძინდება, ჩემი აზრით, მას ვერავითარი კაპიტალიზმი ვერ მოერევს.

— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის სკეპტიკური აზრი, რომ ფულიანი ქართველი მაინც და მაინც ვერ ვარგობს საზოგადო საქმის სპონსორად, მეცენატად. საინტერესოა ამაზე თქვენი თვალსაზრისი, რადგან სპონსორი და მეცენატი, ალბათ, არ აწყენდა ჟურნალ „მნათობსაც“, რომლის რედაქტორიც თქვენ ბრძანდებით.

— ფულიანი კაცი არსად ვარგობს, არც აქ და არც იქ. თუ არიან მეცენატები სადღაც, არიან იმიტომ, რომ მათ ეს ფული ნესიერი გზითა აქვთ მოპოვებული. შეუძლებელია, რომ კაცი, რომელმაც ფული უკანონო გზით მოიპოვა, მეცენატი გახდეს. იმის იმედი, რომ ის ხალხი, ვინც დღეს საქართველოში უკანონოდ იხვეჭს ფულს, ოდესმე მეცენატი გახდება, გამორიცხებულია.

მეცენატი ჩვენ გვყავდა. სარაჯიშვილი დიდი მეცენატი იყო და ეს იმიტომ, რომ მას ფული პატიოსანი შრომით ჰქონდა მოპოვებული. სანამ საქართველოში ნესიერი გზით გამდიდრებული თაობა არ მოვა, ქველმოქმედებას არ უნდა ველოდეთ. ადამიანს ქვეცნობიერად მაინც აქვს შიში უკანონოდ მოპოვებული ფულის გამო. თუ მას ფული ძარცვით და ბანდიტობით აქვს მოპოვებული, როგორ გაამყლავენებს ამას?! მომავალში კი იმედი მაქვს, რომ უსათუოდ გამოჩნდებიან მეცენატები.

— რატომ დაკარგა მწერალმა საქართველოში ის დიდი ავტორიტეტი, ადრე რომ ჰქონდა?

— ვერ ვიტყვი, რომ კითხვა ზუსტად არის დასმული. იმიტომ, რომ მწერლობამ ავტორიტეტი საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ნაწილში დაკარგა. თუმცა ეს მართლაც ასეა. ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ქართულმა მწერლობამ თითქოს ისეთი რამ ჩაიდინა, რაც არ ეკადრებოდა. ამის გამო არა. საზოგადოების იმავე გარკვეულმა ნაწილმა იზრუნა იმისთვის, რომ მწერლობას ავტორიტეტი დაჰკარგოდა. მე ამას ვუკავშირებ ეროვნულ მოძრაობას, რომლის სათავეებთან ორი საუკუნის განმავლობაში ყოველთვის ქართული მწერლობა იდგა, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინ, ეროვნული მოძრაობის არც ერთ მესვეურს ეს არ გახსენებია. გამოჩნდა ისე, თითქოს ისინი იყვნენ ყველაფრის წამომწყებნი. მათ განსაკუთრებით მწერლობაზე მიიტანეს იერიში. უნდოდათ, რომ მისთვის ავტორიტეტი შეერყიათ და ამ გზით ეროვნული მოძრაობის ლიდერები გამხდარიყვნენ. მათ არც 1832 წელი გახსენებიათ, არც 1937 და არც 1948 წელი, როდესაც ქართველი მწერლები პირდაპირ მიდიოდნენ სახრჩობელაზე. დღესაც ცოცხლები არიან მწერლები, რომლებსაც თავიანთი ეროვნული სულისკვეთების გამო წლები აქვთ გატარებული ციმბირში. მწერლებისთვის ავტორიტეტის შერყევა ეროვნული მოძრაობის ლიდერების უდიდესი შეცდომა იყო.

ფაშიზმის შემდეგ წიგნები საჯაროდ არსად დაუწავთ. ეს მოხდა საქართვე-

ლოში. გემახსოვრებათ, იყო ერთი ჩეხი რეფორმატორი იანჰუსი, რომელსაც ბრალი დასდეს საეკლესიო წრეებმა და ცეცხლზე დანვა მიუსაჯეს. ცეცხლი რომ ნაუკიდეს, ერთი მუგუზალი გადმოვარდა, მივიდა დედაბერი და ის მუგუზალი შეუკეთა, თითქოს ის ცეცხლი არ ეყოფოდა. იანჰუსმა დაინახა და მაშინ თქვა ცნობილი ფრაზა: „ო, წმინდაო გულუბრყვილობაჲ!“

მე თბილისში ვნახე ნიგნების კოცონი და აქაც იგივე რამ მოხდა: კოცონმა გაიტკაცუნა და ერთი ნიგნი გადმოვარდა. ერთი მოხუცი ქალი მივიდა, ესეც არ გადარჩესო და ნიგნი ჯოხით შეაგდო ცეცხლში.

სწორედ ასეთმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ და ცილისნამებამ განაპირობა საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაციება ქართული მწერლობისადმი. დღეს, როგორც არასდროს, ისეა მიშვებული ეროვნული სადავეები. ადრე საზოგადოება ეროვნულ სულს ქართულ მწერლობაში ხედავდა, ვინაიდან იგი ინარჩუნებდა ქართულ სულისკვეთებას, ენას. შემდეგ პროცესები ისე განვითარდა, რომ, ბუნებრივია, დამოკიდებულება მწერლობისადმი საგრძნობლად განელდა, ხოლო ყოველივე კი მწერლობის წინააღმდეგ მიმართულმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ დააჩქარა.

— მწერალთა კავშირის პატარ-პატარა კავშირებად და კლუბებად დაყოფაზე რას გვეტყოდით?

— მწერალთა კავშირის დაშლის შესახებ მე ჩემი აზრი გამოვთქვი „ოტარიდის“ ნევრების ტრადიციულ ინტერვიუში. იქ ვთქვი, რომ მე ეს ნაადრევად მიმაჩნია. დაშლის ტენდენცია დღეს, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ყალიბდება, არ არის სწორი. ჯერ გაგძლიერდეთ და მერე დრო დაგვანახებს. არ უნდა ვიჩქაროთ. ხელოვნურად არ შეიძლება რაღაც დაშალო. თუ ცხოვრება მოიტანს, კი ბატონო. ჯერ არა გვაქვს ისე აწყობილი ყველაფერი, რომ განურჩევლად ყველაფერი დავშალოთ და დავანანევროთ.

„ოტარიდის“ არც ერთ ნევრს, ერთი-ორი კაცის გარდა, არ უთქვამს, რომ მწერალთა კავშირის ნევრი აღარ არის. ისინი ახლაც ჩვეულებრივი ნევრები არიან. „ოტარიდის“ შექმნა, ანუ ერთნარმონაქმნი, არ გულისხმობს მწერალთა კავშირის დაშლას, „ოტარიდი“, თავის მხრივ, მწერალთა სიდუხჭირის ერთ-ერთი გამოვლინებაა და სულაც არ არის მიმართული იმისკენ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი დაიშალოს.

გაზ. „მოქალაქე“, 15 თებერვალი, 1997 წელი.

პასპორტი ისეთი უნდა, მტერს რომ გულზე გახეთქავს

მას შემდეგ, რაც ჩვეულებრივი ფილოლოგის უღიმღამო არსებობიდან ჟურნალისტის არაჩვეულებრივ, მჩქეფარე ცხოვრებაში შევაბიჯე, აკვიატებული მელოდიასავით სულ ერთი პატარა ფრაზა მიტრიალებს თავში. იგი მამაჩემს ეკუთვნის: „გურამ ფანჯიკიძე ნამდვილი ჟურნალისტია, ერთხელ ბიძის კუბოსთან ჩამომართვა ინტერვიუ“.

რას ვიფიქრებდი, თუ ბატონ გურამ ფანჯიკიძისგან ინტერვიუს ასაღებად სწორედ მისი ჟურნალისტური მეთოდის ნაკვალევზე მომიწევდა სიარული. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ზუსტად სამი დღე ვსდიე მას დასაფლავებიდან დასაფლავებაზე, ქელეხიდან ქელეხზე, რათა ორიოდ სიტყვა გამომეტყუა. აკი გამოვტყუე კიდეც და, აჰა ინტერვიუც სწორედ იმ აკვიატებული ფრაზიდან გამომდინარე კითხვით იწყება:

— რას გულისხმობს, ბატონო გურამ, სიტყვა — ჟურნალისტი. რის წინაშეა პასუხისმგებელი და რა ვალდებულება აკისრია ჟურნალისტს?

— გაზეთების ცნობილმა ამერიკელმა მეპატრონემ და გამომცემელმა ჰერსტმა ჯერ კიდევ როდის თქვა: ძალიან გთხოვთ, ჩემი გაზეთისათვის ნუ მომიყვანთ ცნობილ მწერლებს, რადგან ისინი გაზეთისათვის წერის უნარს მოკლებულნი არიან. ისინი წერენ შთამომავლობისათვის, მე კი მჭირდება ხალხი, რომელიც დღეს დაივნიყებს იმას, რაც გუშინ დაწერა და ხვალ დაივნიყებს იმას, რასაც დღეს წერს. საგაზეთო საქმე ხელოვნება კი არა, ხელოსნობაა და, საერთოდ, საგაზეთო საქმე მეორე უძველესი პროფესია გახლავთო.

პირველი უძველესი პროფესია კი, კარგად მოგეხსენებათ, პროსტიტუციაა.

სამწუხაროდ, საქართველოში გამომავალი გაზეთების დიდი უმრავლესობა ნათელი დადასტურებაა ჰერსტის სიტყვებისა.

და, მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებს შესწევთ უნარი, ქვეყნის მასშტაბით ერთ დღეში შექმნან გარკვეული პოზიციები და განწყობილებანი ამა თუ იმ საკითხის მიმართ, ერის აზროვნების ფოკუსში ერთ დღეში მოაქციონ გადაუდებელი პრობლემები.

ჟურნალისტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის პატრიოტი უნდა იყოს. როცა რამეს წერს, თავის თავს ყოველთვის უნდა ეკითხებოდეს — სჭირდება ის ჩვენს ქვეყანას, რასაც ახლა ვწერ?

— კომპეტენტურობა?!

— მე ნამდვილ ჟურნალისტებზე მოგახსენებთ. ნამდვილი ჟურნალისტი კი არ არსებობს კომპეტენტურობის, ტაქტის, პოზიციის, პრინციპულობის გარეშე. დიახ, იმ ხალხს როდი ვგულისხმობ, ჩვენში გამომავალ უამრავ გაზეთს რომ ავსებენ.

- რას ნიშნავს თქვენთვის ცნება „მოქალაქე“?
- იმედი მაქვს, რომ კითხვაში კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოქალაქის სტატუსს არ გულისხმობთ.
- დიახ, სწორი ბრძანდებით.
- კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის სტატუსით უფლება გვაქვს მივიღოთ ქვეყნის პასპორტი, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ხარ ქვეყნის ნამდვილი მოქალაქე. ალბათ გახსოვთ მაიაკოვსკის ლექსი „საბჭოთა პასპორტი“. იქ არის ასეთი სტრიქონები „ნაიკითხეთ და გასკდით გულზე, საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე“. აი, ასე მიმართავდა პოეტი უცხოელებს, განსაკუთრებით ამერიკელებს. და მერე იცით, რამდენი ამერიკელი და ევროპელი გასკდა გულზე?!

ჩვენ არ დაგვისახავს ასეთი „მიზნები“, არავის გულის გასახეთქად არ გვინდა პასპორტები, მთავარია, პასპორტებით ისეთი ადამიანები არ ვაქციოთ მოქალაქეებად, ჩვენ რომ გაგვისკდება გული.

შევეშვათ ხუმრობას.

„მოქალაქე“ ჩემთვის წმინდა სიტყვაა, ისეთივე წმინდა, როგორც სამშობლო. „სამშობლო“ და „მოქალაქე“ კი, ვფიქრობ, ერთი მთლიანი და რთული ცნებაა. არ არსებობს ნამდვილი მოქალაქე ნამდვილი სამშობლოს გარეშე და ნამდვილი სამშობლო თავისი ნამდვილი მოქალაქეების გარეშე. აქედან გამომდინარე, სადაც არ უნდა იყო, საკუთარი სამშობლოს ნაწილი ხარ, მისი ღირსების წარმომჩენი და დამცველი ხარ. მასხოვს, ფილიპინების დედაქალაქ მანილას უნივერსიტეტში საბჭოთა დელეგაცია მიგვიპატიჟეს. ჩვენთან ერთად იყო პოლონელი ახალგაზრდების დელეგაცია. არ ვიცი, გაუგებრობის ბრალი იყო, თუ რა, იქ პოლონელებს არ მოელოდნენ, მისალმებისას მხოლოდ საბჭოთა დელეგაცია მოგვიხსენიეს. განაწყენებული პოლონელები ფეხზე წამოიჭრნენ და ეროვნული ჰიმნი იმღერეს.

ჩვენ ეს-ესაა დაფიქრებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა და ჯერ კიდევ არ ვიცით „მოქალაქეობის“ გემო. ამიტომაც იყო, რომ თბილისის აეროპორტიდან ერთი თვითმფრინავით აფხაზეთში მიდიოდნენ საომრად, მეორე თვითმფრინავით — დუბაიში სასაეიროდ. სწორედ ამ მოსაზრებებს ჰქონდათ შემოწყობილი მანქანის კაპოტებზე პურ-მარილი და გაუდიოდა შამპანურს ბათქა-ბუთქი. მოვალეობის გრძნობას ვინლა დაეძებდა, უბრალო მორიდებაც კი არ ჰქონდათ სამშობლოს სამსხვერპლოზე მიმავალი ბიჭებისა.

ასეთ ხალხს, ჯიბეში საქართველოს მოქალაქეობის სამი პასპორტიც რომ ედოს, ოდნავადაც არ ააღელვებს ადმირალ ნელსონის სიტყვები, ტრაფალგარის ცნობილი ბრძოლის წინ რომ წარმოთქვა თავისი მეზღვაურების წინაშე: „სამშობლო ელის, რომ ყველანი ერთგულად მოვიხდით ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს“.

და კიდევ ერთი რამ უნდა ჩავიბეჭდოთ გონებაში — როგორი მოქალაქე-

ბიც ჩვენ ვიქნებით, ისეთი იქნება ჩვენი სამშობლოც. თუ გვსურს გვეკონდეს უკეთესი სამშობლო, ჯერ ჩვენ უნდა გავხდეთ უკეთესი მოქალაქეები.

— გავიგეთ, რომ მარტში თქვენი რედაქტორობით ახალი, 36-გვერდიანი ქართული ლიტერატურული გაზეთი გამოვა. ლიტერატურისადმი ამ უსაზღვრო გულგრილობისა და ასევე გაზეთთა „ვარსკვლავთცვენის“ ჟამს, რამ გიბიძგათ, ბატონო გურამ, ახალი გაზეთი დაგეარსებინათ?

— გაჭირვებამ. მოგეხსენებათ, უსახსრობის გამო ჩვენი ჟურნალები წელიწადში თორმეტი ნომრის ნაცვლად მხოლოდ ექვს-ექვს ნომერს ბეჭდავენ. ესე იგი ორმოცდაათი პროცენტით შემცირდა ახალი ნაწარმოებების გამოქვეყნების შანსი. „ქართული მწერლობა“ — ასე ერქმევა ახალ გაზეთს, — ნაწილობრივ მაინც შეეცდება, მხარში ამოუდგეს ქართველ მწერლებს. ისიც უნდა ვთქვა, რომ იგი იქნება ჟურნალ-გაზეთის ტიპისა, სადაც მწერალს საშუალება მიეცემა ოპერატიულად გამოაქვეყნოს რომანი, პოემა, ვრცელი მოთხრობა, ვრცელი გამოკვლევა...

თუ ჩვენ მომავალში შევძელით თვეში ორი ნომრის გამოცემა, ვთქვათ, საშემოდგომოდ, ვფიქრობ, საგრძნობლად შევხიბდებით „ლიტერატურულ საქართველოს“, „მნათობს“, „ცისკარს“, „განთიადს“, „საუნჯეს“, „ჭოროხს“, „რინას“ და სხვა ჟურნალებს. ასევე ვცდილობთ, მოვანესრიგოთ ჰონორარის საკითხიც, რომელიც, ახლა, ფაქტობრივად, აღარც არსებობს.

გაზ. „მოქალაქე“, 19 თებერვალი, 1997 წელი.

მმართველ პარტიას მთავარი აგენტი ვაახლეთ, ჟურნალი მაინც არავინ გამოიწერა

ქართული ლიტერატურის უახლეს ისტორიაში მწერალთა, კრიტიკოსთა და ლიტერატურის მცოდნეთა ახალი თაობის მოსვლა, ტრადიციულად, ჟურნალ „ცისკარს“ უკავშირდებოდა. ამიტომაც არის, რომ დღესაც ქართველი მკითხველი გაზაფხულის მოსვლასავით გულის ფანცქალით ერის ამ ჟურნალის გამოჩენას.

დღეს, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკურმა გაუსაძლისობამ სრულიად მოშალა ქართული წიგნისა და პერიოდიკის გამოცემის პროცესები, „ცისკრის“ კოლექტივი სასწაულებს სჩადის: მკითხველი ჯერჯერობით რეგულარულად იღებს ჟურნალის ყოველ გამოშვებას.

— ვის გადავუხადოთ მადლობა იმისთვის, რომ „ცისკარი“ გამოდის და არ

ყოვნდება? — ვეკითხები ჟურნალის მთავარ რედაქტორს ბატონ ზაურ კალანდიას.

— ერთი შეხედვით, უწყინარი კითხვაა და პასუხიც იოლი ჩანს... და მაინც, რაც დამოუკიდებლობა გავხდით, რაც, ეგრეთ ნოდებულის, საბჭოური კომუნიკაციები მოიშალა, ცუდ დღეში აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, ეს წარსულის ნოსტალგია არ არის. ამით იმის თქმა მინდა, რაც ჟურნალი „ცისკარი“ არსებობს (აღდგენიდან ვამბობ, 1957 წლიდან, ისე პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ 1852 წელსაა გამოსული და ჩვენ მის მემკვიდრედ ვთვლით თავს), რედაქციას, მის რედაქტორს არასოდეს უფიქრია საბეჭდ ქალაქადზე, სტამბაზე, ჰონორარზე, თანამშრომელთა ხელფასზე თუ სინათლისა და შენობის არენდის გადასახადზე. გავხდით საკუთარი თავის პატრონები და, ჩვენდა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენი საფიქრალი და მოსაგვარებელი გახდა. რა თქმა უნდა, გაგვიჭირდა, თითქმის დახურვის პირას მივედით. ეს საერთო ტრაგედია იყო, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების („ლიტერატურული საქართველო“, „ცისკარი“, „მნათობი“, „საუნჯე“, „კრიტიკა“...) გაუქმება თანამედროვე ქართული მწერლობის დასამარებას ნიშნავდა და მე, ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორს, ჩემი უმოქმედობით ამისთვის უნდა „შემეწყო“ ხელი... დამეთანხმებით, ეს არც ისე უწყინარი დანაშაულია და ლამის „მათხოვრებად“ (ხან — გაღიზიანებულ, ხან — თავმოყვარე) ვიქეცი. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ამ სამიოდე წლის წინ, ქუთაისში, ამერიკის საელჩოს თანამშრომლების პატივსაცემად გამართულ ვახშამზე მოხვდა ჩვენი შესანიშნავი პოეტი, ჟურნალის პოეზიის განყოფილების გამგე ირაკლი ბაზაძე. ირაკლიმ, იქნებ რაიმეს გამოვრჩეთო, ხან მეზობლობა უხსენა (ჩვენი რედაქცია ამერიკის საელჩოს გვერდითაა), ხან — „ცისკრის“ დამსახურება და სიძველე... ერთ-ერთი ჩინოსანი თითქოს დაინტერესდა, მაინც რამდენი წლისაა თქვენი ჟურნალი, ჰკითხა, თან საცივი კარგაო და ჯამით მოიყუდა თურმე, მოხვრიპა... ირაკლი მიხვდა, ტყუილად იქავებდა ენას და: დაახლოებით იმდენი ხნისაა, რამდენისაც ამერიკაო, მიუგო. მოოქროვილი სავსე ჯამი ხელში შეაცვივდა დიპლომატს.

როცა გადარჩენაზე ვამბობ, რა თქმა უნდა, თანამშრომლებისთვის ხელფასების შენარჩუნება არა მაქვს მხედველობაში. ერთი ხუმრობისა არ იყოს, რა ჯამაგირსაც ჩვენ ვიღებთ, ერთი თვე თავდახრილმა რომ იარო ქუჩაში, ისე იპოვი... ყველაზე უარესი მაინც ის არის, როცა ხედავ, არავის სჭირდება ეს შენი ჟურნალი, საერთოდ, არავის აინტერესებს წიგნი, მწერლობა, არც ძველი, არც ახალი... უფრო მეტიც, ერთი პერიოდი საშინელი ზიზღი გაჩნდა კულტურული ფასეულობებისადმი და, რაც უნდა მტკივნეული იყოს ეს, ისევ მწერლობის სულიერ მემკვიდრეთაგან — ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგან წამოვიდა იგი.

ყველა ვხედავთ, წიგნის ბაზარი მდარე, უხამსმა პროდუქციამ დაიპყრო. არავის ადარდებს ეს, ქართულმა კრიტიკამ საერთოდ ჩაიქნია ხელი, ასი წელი არ გაახსენდება არც ნაღდი, არც ვითომ მწერალი... არადა, ეს ვითომ მწერალი გამოს-

ცემს ნახევარფუთიან უნიჭობას და მისი გასაღების შანსიც აქვს. ვინ და რა უნდა დაუპირისპირდეს მას? ისევ კარგი წიგნი და მართალი სიტყვა, კრიტიკა.

მაპატიეთ, სიტყვა გამექცა...

მძიმე წლები უკან დარჩა, ხელმომწერებიც გვყავს უკვე. ჟურნალის გადარჩენაში, უპირველესად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ გურამ ფანჯიკიძეს მიუძღვის უდიდესი წვლილი. არც ჩვენ ვართ გულ-ხელდაკრეფილები. მაგალითად წელს, თუ მთავრობამ დოტაციის სახით ხუთი-ექვსი ნომრის თანხა გამოგვიყო, ჩვენ ჩვენი ძალისხმევით, თორმეტივე ნომრის გამოცემას ვაპირებთ და ეს ასეც იქნება.

მადლობა ყველას, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს „ცისკარი“ და, რაც მთავარია, იმას, ვინც ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას სულმოუთქმელად ელოდება.

— „ცისკარში“ ახალგაზრდა მწერლები კვლავ თუ გრძნობენ თავს ისე, როგორც საკუთარ ოჯახში; სურთ თუ არა მათ თქვენთან თანამშრომლობა.

— ახალი სახელების, ახალგაზრდობის გარეშე „ცისკრის“ წარმოდგენაც შეუძლებელია. „ცისკარი“ ხომ, ტრადიციულად, რაღაც სიახლე, აღმოჩენა, ახალი სიტყვა იყო ყოველთვის. „ცისკრის“ რედაქტორები კი იმდენად გაბედულები იყვნენ, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ყველაფრის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა, საერთოდ მოიხსნა ცენზურა, სამწუხაროდ, ქართულ მწერლობას რაიმე დასაბეჭდი, ანუ დაუბეჭდავი თითქმის არ აღმოაჩნდა... ბატონი ვახტანგ ჭელიძე იყო ჟურნალის რედაქტორი და იმიტომ! ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის გაბედულებაზე მეტყველებს ეს ფაქტი. ბატონი გურამ ფანჯიკიძე, ბატონი ჯანსუღ ღვინჯილია, რაც უნდა სარისკო ყოფილიყო, ხელიდან არ უშვებდნენ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს...

„ცისკარში“ კვლავ, ყოველდღე, ძველებურად მოდიან ახალგაზრდები და ჩვენც მანამ ვიარსებებთ, სანამ ისინი, ასე ნიჭიერები და კარგები, დაუზარებლად ივლიან ჩვენთან.

— ამ წლის „ცისკარი“ სრულიად განახლებული სახით წარსდგა მკითხველის წინაშე. ხომ არ გულისხმობს გარეკანის შეცვლა რეფორმასა და მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს.

— დასაბამიდან დღემდე ჟურნალის მოვალეობა ერთი იყო და არის: ის ემსახურებოდა და ემსახურება ქართულ მხატვრულ სიტყვას, სხვა დანარჩენი, ყველაფერი ფორმალობაა. კი, გარეკანი შევცვალეთ, ფორმატიც... ეს უფრო დრომ მოიტანა, კომპიუტერიზაციამ... უბრალოდ, გვინდა ჟურნალი, ჟურნალს ჰგავდეს და არა აღმანახს.

მოქალაქეთა კავშირზე ვარ „განაწყენებული“. შარშან, ნოემბრის თვეში, როცა ჟურნალის ხელმომწერს სად და სად არ ეძებდა რედაქცია, მე, ამჯერად მინდა ხაზი გავუსვა — ჟურნალის მთავარი რედაქტორი — მოქალაქეთა კავშირს ვენვიე. ბატონი მიხეილ მაჭავარიანი არ დამხვდა და მის ერთ-ერთ მოადგილეს, ბატონ თემურ ლომსაძეს შევხვდი. გავიცანით ერთმანეთი, საუბარიც

აგვენყო. შემპირდა, არა მარტო ცენტრი, მთელ საქართველოში, რაიონული და საქალაქო კომიტეტები გამოინერდნენ ჟურნალს. ბოლოს, გამომშვიდობებისას, თავაზიანად მკადრა: თქვენ, მთავარი რედაქტორი რატომ შენუხდით... აგენტები (!) უნდა გყავდეთ ჟურნალში... მეც თავი გამოვიდე. აგენტების მეტი რა მყავს, ნახევარი საქართველო სულ აგენტურაა და ისინი სხვა, უმნიშვნელო პარტიებს მივუსიე, ხოლო თქვენ, როგორც მმართველ პარტიას მე თავად გეახელით-მეთქი.

აშკარად კმაყოფილი დარჩა. მეც დაიმედებული ნამოვედი.

ახლა მინდა ვკითხო ბატონ ლომსაძეს, ერთი ეგზემპლარი მაინც თუ გამოინერა?

ვიცი, არ გამოუწერია. ჩვენ, მისი თქმისა არ იყოს, ჩვენი „აგენტურა“ გვყავს.

როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო წააგო?

ბევრ რამეს თავი რომ დავანებოთ, ეს ერთი ნამდვილად ვიცი, ქართული მწერლობის უგულვებელყოფა, თუნდაც მმართველი პარტია იყოს, კარგს არაფერს მოუტანს!

ეს ისე, სხვათა შორის...

დიდი მადლობა ჩვენი ჟურნალით დაინტერესებისთვის.

გაზ. „მოქალაქე“, 26 თებერვალი, 1997 წელი.

პასუხმა შეიძლება მართლა დაიგვიანოს!

ჩემს ყველაზე საყვარელ ლიტერატურულ ჟურნალ „XX საუკუნის“ მე-6 ნომერში დაიბეჭდა ლაშა თაბუკაშვილის პიესა „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი...“

იმ უბრალო მიზეზებით, რომ პიესის ავტორი ჩემი უახლოესი მეგობარია, ნაწარმოები თითქმის ხელნაწერში მქონდა ნაკითხული და მანამდეც მიყვარდა, ვიდრე მას რობერტ სტურუა სცენაზე გააცოცხლებდა. გამოგიტყდებით, ყველაფერი, რაც თაბუკაშვილების ოჯახში შექმნილა და იქმნება, ბავშვების ჩათვლით, თავდავინწყებით მიყვარს, ამის უფლება ღმერთით მაქვს მონიჭებული და თუ წერილი ოდნავ სუბიექტური გამოვიდა, მის ადრესატსაც და მკითხველსაც ვთხოვ მომიტევოს.

„დილის გაზეთისათვის“ მიცემულ მცირე ინტერვიუში ლაშა ამბობს, გული მწყდება, რომ ვისაც ეს ნაწარმოები მიეძღვნა, არც ერთი ცოცხალი აღარ არისო. ვიცით, განა არ ვიცით, აღარ არიან ის ბიჭები, მაგრამ არიან სხვები, გიოს,

ბაჩას და კოსტას მსგავსი ბიჭები, ცოცხლები, ჩვენ მათ ვხვდებით, ვიცნობთ, ისინი არასდროს ყოფილან მამა აბრამის ბატონები და არც პრეტენზია განუცხადებიათ, ანგელოზებად გვალიარეთო. მათ, უბრალოდ, ერის და საკუთარი სინდისის წინაშე ვალის მოხდა უნდოდათ, ვისაც როგორ შეეძლო, როგორც ინტუიცია კარნახობდა და სწორედ აქ მოტყუვდნენ. რეალობა არ ცნობს ზოგადად ინტუიციას, რომანტიკას, ილუზიებს და, რაც მთავარია, სრულიად გულგრილია „შეცდომების“ მიმართ. შეცდომებისათვის ისჯებიან და, როგორც ამბობენ ხოლმე, სამართლიანად!

კარგად მახსოვს, ათიოდე წლის წინ სიტყვა „ნარკომანი“ ცენზურის ძალით ნაჯახით იკვეთებოდა ნანარმოებებიდან (თითქოს მაშინ ნარკომანები არ გვყავდა). დღეს ამ თემაზე წერა ნებადართულია, მეტიც — აქტუალურია და მომგებინიც (გააჩნია, რა კუთხით მიუდგები). და იცით, რატომ? იმიტომ, რომ როგორც ყოველთვის, დავიგვიანეთ, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, გენეტიკის ხსენება რომ ავუკრძალეთ „შერეკილ“ სპეციალისტებს. დავაგვიანეთ და მატარებელმაც მთელი საუკუნის გაგვასწრო, შემდეგ კი უკან დაგვრჩა უკუჩრეული სენით შეპყრობილი მთელი თაობა.

ჰიტლერმა ნარკომანებით საესე ხუთი გემი ააფეთქა, ჩვენმა სახელმწიფომ ერთიც ვერ გაიმეტაო, ირონიანარევი იუმორით აცხადებს პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.

ჩვენი სახელმწიფო ჰიტლერზე საზრიანი აღმოჩნდა, დიდი ხნის ფიქრი არც კი დასჭირვებია, ნარკომანები, არასაიმედონი, ძნელად აღსაზრდელნი, პატიმრები, სხვაგვარად მოაზროვნენი, ცოტა გარეკილები, საზოგადოებისათვის საშიშნი და მიუღებელნი, განურჩევლად გამოცდილებისა და ფიზიკური მომზადებისა ყველა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ომში წაასხა.

აქ დარჩენილ საიმედოებს, ჯანმრთელებს, სწორხაზოვნებს, და საზოგადოებისათვის გამოსადეგებს კი მწვანე შუქი დაუტოვა დუბაისაკენ, ირანისკენ, კვიპროსისაკენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ წითელი ხიდისკენ, საიდანაც „საიმედონიც“ არანაკლები ენთუზიაზმით ეზიდებოდნენ ნარკოტიკებს, მხოლოდ არა სიცოცხლის, არამედ განსაზღვრული „საბაჟო გადასახადის“ ფასად (ზოგი ამ ბეგარისგანაც განთავისუფლებული აღმოჩნდა).

აქ, ჩვენთან, სიცოცხლე დულდა, ბოლო აღარ უჩანდა პრეზენტაციებს, შოუ ფესტივალებს, იქ, ერის ფერი, გენოფონდი, სიკვდილს უსწორებდა თვალს. მერე და რა კარგად დავანახეთ ჩვენს მომავალს რას ნიშნავს ქემპარტი არაპროფესიონალიზმი, ქართული უდისციპლინობა, ღალატი, გაუტანლობა, რა ფერისაა მორფგარეული სისხლი, როგორ შეიძლება მტრის ტყვიისაგან თავის დასაცავად მკვდარი მეგობრის სხეული აიფარო. „სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად“ ასე ამბობენ ჩვენი ყოფილი ძმები რუსები და ჩვენმა სახელმწიფომაც, ჩვეულები-სამებრ, რუსულ სიბრძნეს მოუხმო. თუმცა სასიამოვნო, ანუ სიამოვნება დროებითი აღმოჩნდა, სასარგებლო კი, შეცდომების მეტი ხელში არაფერი შეგვრჩა.

თან ვაომეთ, თან განურჩევლად ყველას, ბანდიტს, ყაჩაღს, მოროდორს და ნარკომანს ვეძახდით. მოკლედ, ომის „კაიფში“ მოგება მოგვინდა, „საკაიფოდ“ კი წავაგეთ.

მგონი თემას გადავუხვიე. ლაშას პიესის პრემიერით დავინწყე და სულ სხვაგან წავედი. მაშ ასე: ვიჯექი „გალიორკაზე“ და მთელი სპექტაკლის განმავლობაში ხან გულიანად ვიციხოდ, ხან ვტიროდი. გულჩვილი არ გეგონოთ, არც იმ ტიპს მივეკუთვნები, წიგნებზე, სპექტაკლებზე და ფილმებზე თითებს რომ იკვნიტს. არა, მაგრამ ფაქტია, ამ პრემიერაზე „ურცხვად“ ვაღვარღვარე ცრემლები. ერთი-ორმა გაზეთმა უკვე დაწერა პიესაში მონაწილე მსახიობთა მალაპროფესიულობაზე, რეჟისორულ დახვეწილობაზე, პიესის მხატვრულ ღირებულებაზე. თავიდან მეც ასე მინდოდა, მაგრამ ვერც კი ვავიგე, ისე გამექცა კალამი და სულ სხვანაირად ჩაფიქრებული პუბლიკაცია საერთო პრობლემებზე წუნუნსა და გულისხმეთქვას დაემსგავსა. ამის ძირი, ალბათ, ნაწარმოებისა და სპექტაკლის შთამბეჭდაობაში უნდა ვეძებოთ. ასე რომ არ იყოს, განა ამდენს მივანყდებ-მოვანყოდებოდი? განა ერთ განონასწორებულ რეცენზიას ვეღარ დავწერდი? საქმე ისაა, რომ ის, რაც სცენაზე ხდება, ხდება ყოველ წუთს ჩვენს თვალწინ, ჩვენს გარშემო, ჩვენს ოჯახებში, ყოველ ნაბიჯზე, და კიდევ: ის, რაც სცენაზე ხდება, ფანტასტიკაა, რაც მხოლოდ სცენაზე შეიძლება მოხდეს, ცხოვრებაში მათი ჰარმონია არ არსებობს. მასასადამე, თუ დროზე არ ვუშველეთ იმას, რაც ცხოვრებაში ხდება, მართლა დავიღუპებით.

ჩვენი, ანუ ლაშა თაბუკაშვილის თაობა მიზეზთა და მიზეზთა გამო ისედაც დაღუპვის პირასაა, ჩვენ ვერც ორმოცი წელიწადი უდაბნოში ხეტიალი და ვერც მოსეს დარი წინამძღოლი შეგვიყვანს უკვე იმ სხვა საქართველოში, ლაშა თაბუკაშვილს რომ ენატრება, მაგრამ, თუ დროზე არ მოვიხედეთ უკან „აღთქმულ მინას“ შესაძლოა ვერც თავისუფლებაში დაბადებული და აღზრდილი ჩვენი შვილები მოესწრონ.

ლაშა თაბუკაშვილის პიესამ, პირადად ჩემში, სწორედ ამგვარი მძაფრი და ამღვრეული გრძნობები აშალა და თუ მე ობიექტური მკითხველი და მაცურებელი ვარ, მაშინ ეს დრამატურგისა და რეჟისორის აშკარა გამარჯვებაა.

ლაშა თაბუკაშვილმა თავისი „სველი იასამინთ“ მეტად თამამი და, ვიტყვოდი, სარისკო განაცხადი გააკეთა. მან, როგორც სულითა და ხორციტ შემოქმედმა, უზომო ტკივილის, გაუცხოებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის, იმედგაცრუების, ათასი დამსახურებული თუ დაუმსახურებელი საყვედურისა და ქათინაურის გადახარშვა ვერ გადახარშვის, საკუთარ თავთან და გარემოსთან ჭიდილის ფასად ბოლოს ხელის გულზე დაიდო ის, რაც ყველაზე პირადია, ინტიმური — თავისი წინააღმდეგობებით აღსავსე ბიოგრაფია — და საქვეყნოდ გამოიტანა ყველაზე დაუნდობელ სამსჯავროზე, რომელიც გინდა არ გინდა ისედაც აფათურებს ხელს შენს სულიერ სამყაროში და სულაც არ დაეძებს სად გაგინყვეტს ყველაზე მგრძობიარე სიმს. მაგრამ, სხვანაირად არც შეიძლება-

და მომხდარიყო, ვინაიდან გენეტიკურად სწორედ იმ რწმენითაა კოდირებული, დასკვნითი აკორდით გულის სიღრმიდან რომ ამოიბღავლებს: „საკუთარ ერს არ ებუტებიან! ლამაზი სულის არც ერთი მოძრაობა არ რჩება უპასუხოდ! პასუხმა შეიძლება დაიგვიანოს მხოლოდ...“

გაზ. „მოქალაქე“, N13 (56), 1 მარტი, 1997 წელი.

ძნელია, როცა შუაგულ საქართველოში დგახარ და „შორია გურჯისტანამდე“

დათო ჩემი ახლო მეგობარია. ამიტომ მისი პირველი ლექსიც კარგად მახსოვს და ბოლო კრებულიც საწერ მაგიდაზე მიდევს.

ათიოდე წლის წინ კინოს სახლში მამუკა სალუქვაძის, დათო მაღრაძისა და გიგი სულაკაურის საქველმოქმედო ლიტერატურული საღამო გაიმართა. შემოსული თანხა საქართველოს უპატრონო ბავშვთა ერთ-ერთ სახლს უნდა გადაერიცხოდა. კინოს სახლის დარბაზი ხალხით გაიჭედა. სამივეს, დათოსაც, მამუკასაც და გიგისაც, მთელი თბილისი იცნობდა, დაწყებული „პატრონიანი“ ბიჭებიდან ქუჩის ბიჭებით გათავებული. და ყველანი იქ ვიყავით, გვეამაყებოდა.

დარბაზში ლექსის დღესასწაული იდგა. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ბუნების სამი ახალგაზრდა პოეტი, ასევე სრულიად განსხვავებული სტილის, ფორმის, შინაარსისა და მუხტის ლექსებს კითხულობდა ლალი, ახალგაზრდული შემართებითა და პოეტურ-ბოჰემური სევდით.

დღეს ჩემს მეგობარ პოეტებს რაღაც სულ სხვა, უჩვეულო სევდას ვამჩნევ. ეს იმ ძველ სევდას აღარა ჰგავს, მაგრამ რას მივამსგავსო არ ვიცი, ისევ მათ უნდა ვკითხო... არადა მგონი უკვე მართლაც დადგა დრო, რომ მარტო მე კი არა, მთელი ქვეყანა უგდებდეს მათ ყურს... თუ არადა, მოუსმინეთ და თავად დარწმუნდებით:

— რას ნიშნავს შენთვის ცნება მოქალაქე?

— ქართულ ენაში სიტყვა მოქალაქემ, ვფიქრობ, მოგვიანებით დაიმკვიდრა ადგილი. მოქალაქე, პატრიოტის მშრალი სინონიმივითაა. „პატრია“ მამულია, პატრიოტი — მამულიშვილი.

პატრიოტი, თავის არსში სიყვარულსა და ერთგულებას გულისხმობს, ხოლო მოქალაქეობა, ამ სიყვარულის აღსრულების წესსა ჰგავს.

მარკუს ავრელიუსი მეცხრე წიგნში წერს: „დაითმინე ტანჯვა, არა როგორც ერთმა ვინმე სანყალობელმა, არა როგორც კაცთათვის თავის შეპრალების ან-

და მათი განცვიფრების მსურველმა, არამედ როგორც კაცმა, რომელსაც სურს ერთადერთი რამ: მოქალაქეობის პრინციპს შეუთანხმოს ყველა თავისი მოქმედება თუ უქმად ყოფნა“.

მოქალაქეები, მოქალაქეობის პრინციპს სხვადასხვა მიზეზით ხშირად არღვევენ.

რაინდის კონფლიქტს გარე სამყაროსთან უფრო ღრმა ფესვი აქვს. რაინდი საზოგადოებისაგან შემოთავაზებულ ჩარჩოსა და დანესებულ ნაპირს ვერ გუობს, იგი უზენაესი სამართლის მძებნელად არის მოწოდებული და ცხოვრების არსს თავგანწირვაში ხედავს. ასეთი ადამიანები არსებულ ყოფას, საზოგადოების დადგენილ მორალს, კანონსა თუ შეფასების კრიტერიუმებს ერთი ფრთის დაქნევით მუდამ აღემატებიან და სწორედ ეს ფრთა აშფოთებს ხოლმე გარემოს; რომ „უცხო სხეულმა“ რაიმე დისონანსი არ გამოიწვიოს და არ დააფრთხოს მათი ერთფეროვანი, თუნდაც მონური სიმშვიდე.

წუთისოფლისაგან რაინდი ბევრ შხამს იღებს და ეს კანონზომიერიცაა, რადგან ეს სამსალა მისივე სულის სანართობადაა, ხოლო რაინდი საკუთარი ღირსების შენარჩუნებითა და გაუტყეხლობით სცემს გახრწნილ წუთისოფელს უკეთესის იმედით.

რაინდი და წუთისოფელი მუდამ დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს.

ერთმანეთს ებრძვიან ერთმანეთის გადასარჩენად.

სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის პრინციპის დარღვევა ფარისევლობითა და სიმხდალითაა გამოწვეული. მოქალაქეობა ხომ დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა იმ ქვეყნის მიმართ, რომლის მოქალაქეობის პატივიც ადამიანს აქვს.

პატრიოტობის საზომი-დედექტორი არ არსებობს.

განსაცდელში კი ყოველივე მჟღავნდება.

ჩვენს სინამდვილეში ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა სამამულო ომს თავი აარიდა. ომის დამთავრების შემდეგ კი იგივე ადამიანები ხელისუფლებაში ჭარბად მოვიდნენ. იარაღის დარიგების დროს დაიმაღლნენ, სავარძლების დარიგების დროს პირველ რიგებში ჩადგნენ. — სად არის მოქალაქეობის პრინციპი?.. გაქვს მორალური უფლება, რომ იმ ქვეყანას, რომელსაც გაჭირვებაში გაექეცი, მართვის სადავეებთან დაუდგე?.. მოქალაქე, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი, სამშობლო, არად ჩააგდო და არ შერცხვა, შესძლებს, ერთ რომელიმე უწყებას, ან რაიონს უპატრონოს?..

ბევრი ის მოქალაქე, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ მლოცველებს საეკლესიო დღესასწაულებიდან პირადად ერეკებოდა, დღეს საკურთხეველთან დგას და ადრე თუ მორწმუნეებს რწმენისათვის სთხოვდა პასუხს, დღეს წინა რიგებში ადგილს აღარ უტოვებს მათ. თავიანთ „გარდასახვას“ კი სავლედან პავლესთან მიმავალი გზით ხსნიან: აი, ჩვენი დღევანდელი მოქალაქეობის პრინციპი...

სავლე როცა სინანულში ჩავარდა და პავლეობა იტვირთა, დათმო ხელისუფლება, ამქვეყნიური პატივი და დევნილთა რიგებში ჩადგა და არა პირიქით.

ასე რომ, სავლედან პავლემდე მიმავალი გზა ფარისეველ კარიერისტთა შესანიშნავად ვერანაირად ვერ გამოდგება, სამხილად — კი.

— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღეს პოეტი ერის დასტაქარი, მკურნალი, ენდობა ერი თავის მგოსანს და, საერთოდ, უსმენს კი მას?

— სწეულმა რომ დასტაქარსა და მკურნალს მიმართოს, პირველ ყოვლისა სწეულებათაგან გათავისუფლება უნდა სურდეს და უნდა სჯეროდეს მკურნალის ღირსების და კვალიფიკაციისა. ასეთი მკურნალი ყოველთვის ცოტაა.

ჩვენში კი ასეა, ვინც რაიმეს წერს, განუკითხავად იმისა რას წერს, როგორ წერს, რატომ წერს, რისთვის წერს, თითქმის ყველას ერის წინ გაძლოლის ამბიცია აქვს. ამპარტავნების, ანუ ერის წინამძღოლობის უფლების საბუთიანობის დასტურად, ხშირად ილიას სახელს აწუხებენ. საკითხის ამგვარად დასმა უეჭველად არასწორია. ილია ჭავჭავაძემ უმაგალითო სამსახური გაუწია სამშობლოს და მისი სიტყვები: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მინიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, ყველა მოლექსეს არ ეხება.

ილიას პოეზიაზე, პროზაზე, მორალზე, მიზნებზე, საერთოდ, ღვანლსა და დიდ საქმეთა შესახებ, ბევრი რომ არა ვთქვათ რა, მისი ერუდიციის, ინფორმაციისა და უაღრესად მასშტაბური ინტერესების სადემონსტრაციოდ მხოლოდ წერილების სათაურებს ჩამოვთვლი ნაწერების სრული კრებულის X ტომიდან (1929 წ.): „მილიტარობა ევროპაში“, „ირლანდია და ინგლისი“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, „აზია წინად და ეხლა“, „დღევანდელი სპარსეთი“, „ევროპა 1886 წელს“, „ბალკანეთის საქმეები“, „აშლილობა კრიტის კუნძულზე“, „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის საკითხი“, „ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“, „ოსმალეთის არეულობა და ევროპა“, „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“, „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები“, „პოლიმკების განდევნა პრუსიიდან“, „მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში“... სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ ბანკის დაფუძნებაზე, წერა-კითხვის გავრცელებაზე, გაზეთ „ივერიის“ დაარსებაზე და ასე შემდეგ უსასრულოდ, ვფიქრობ, ამ უმცირესი ჩამონათვალისა და ჩანს, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ პოლუსზე დგას ილია, ხოლო მეორე, საპირისპიროზე ყველა დანარჩენი, ვინც ფიქრობს: „ეო, მეო, ერს ვუწინამძღვრო“. ასე რომ, ყველა მოლექსე დიდი ილიას ხატის გვერდით თავის ფოტოს ვერ დაასვენებს.

საზოგადოება ხშირად სამარცხვინო სენითა ავად და ამავე სენით შეპყრობილ „მგოსანს“ პოულობს. ასეთ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ხოტბას ასხამენ და ცდილობენ საყოველთაო კეთილდღეობის სურათი დახატონ.

გოეთე „ეკერმანთან საუბრებში“ აღნიშნავს, რომ „ლიტერატურაში ვიცით ბევრი მაგალითი, როცა სიძულვილი ცვლის ხოლმე გენიას და პატარა ტალანტები დიდებდა გვეჩვენებთან იმის გამო, რომ ამა თუ იმ პარტიის რუპორობას

კადრულობენ. ასევე, ცხოვრებაში გვხვდება უამრავი ხალხი, რომელსაც არ ყოფნის დიდბუნოვნება, თავის სინდის-პატიოსნების ამარა დარჩეს, მარტოობაში. ისინიც ამა თუ იმ პარტიას, ჯგუფს მიეტიმასნებიან და გუნდრუკს უკმევენ ხროვას. ასე უფრო მყარად გრძნობენ თავს და შეუძლიათ თავი ისე დაიჭირონ, ჩვენც რამეს წარმოვადგენთო.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს წუთიერი დამნუხრების უნარიც არ აღმოაჩნდა. ომებში დაიღუპა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი — ავანგარდი, ვინც ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს.

საზოგადოებამ მათ არ უჭირისუფლა. უსაზღვრო გლოვა და სასწონარკვეთა მიუტევები ცოდვას, მაგრამ ზედ პანაშვიდზე რომ „ბუქნურის“ ფესტივალს გამართავ, ეს ჭირთათმენა კი არა, გარყვნილებაა. არც ამისთანა გულგრილობა და ფარისევლობა იყო ძალზე მოულოდნელი.

ათნლეულების მანძილზე ჩვენი ყოფა ყალბი პათეტიკით იყო აღსავსე. საკუთარი ისტორიით აღტაცებულნი თავყვანს ვცემდით ლექსში და მონუმენტში გამოძერწილ პათოსს. ჩვენი წარსულის გმირებში ადამიანი უარყვავით და ისინი კერპებად დავსახეთ. „სოცრეალიზმზე“ დამყნობილი ნაცრეალიზმით გაეჟღინთეთ თითქმის მთელი საქართველო და ამიტომაც მოხდა, რომ ნამდვილი გმირები არ ვიცანით, რადგან ისინი იმ კერპებს არ ჰგავდნენ, ვისთანაც ჩვენ ალიანსი გვქონდა.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში დაიწყო, ჩემის აზრით, ძალზე საინტერესო, მისასალმებელი და კანონზომიერი პროცესი; იქმნება არამრავალრიცხოვანი გაერთიანებები, კლუბები, ასოციაციები. ჩვენთვის ძალზე პატივსაცემმა მწერლებმა დააარსეს დამოუკიდებელ მწერალთა გაერთიანება „ოტარიდი“. შეიქმნა ლიტერატურული კლუბი „XX საუკუნე“. არსებობს მწერალთა კიდევ რამდენიმე ჯგუფი. სამომავლოდ შესაძლებელია გაფორმდეს მწერალთა სხვა ასოციაციები თუ გაერთიანებები, რადგან საამისო საფუძველი საქართველოში არსებობს.

ეს ტენენცია ნამდვილად მხარდასაჭერია, რადგან მოჩვენებითი მრავლობის საპირისპიროდ „ცოტასკენაა“ მიმავალი. ჩემი ფიქრით, თანამედროვეობას არასოდეს ჰყავს ბევრი ჭეშმარიტი მწერალი, ბევრი ჭეშმარიტი მხატვარი და ასე შემდეგ. რაც შეეხება საერთო ფერხულს და ჟრიაშულს, ეს საბჭოური ინერციაა და არა მგონია ქვეყანას რამეში წაადგეს.

ძალა სიმრავლეშია, სიმართლე ცოტაში.

ხელოვნებაში კი ძალაც, რწმენაც და სიმართლეს „ცოტაში“ გახლავთ.

როდესაც მწერალი ტრიბუნაზე და საუბრობს ქართული მწერლობის სახელით, საშინელი პროტესტის გრძნობა მეუფლება, რადგან არავის აქვს უფლება ვაჟა-ფშაველას სახელით ილაპარაკოს.

ვაჟა-ფშაველას სახელით ლაპარაკის უფლება ერთადერთ კაცს ჰქონდა — ლუკა რაზიკაშვილს.

— ამ სამიოდე წლის წინ, როცა კულტურის მინისტრის პოსტი გეკავა, გამოხვედი ინიციატივით, რომ შექმნილიყო ჰერალდიკის დამდგენი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია. რა ვითარებაა ამ მხრივ დღეს?

— ჩვენი ინიციატივა ერთადერთ მიზანს ისახავდა, საქართველოს დავუბრუნოთ სახელმწიფო დროშა და გერბი.

ჩვენს ქვეყანას, ევროპაში ერთ-ერთ უძველესს, უნდა ჰქონოდა და აქვს კიდევ სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი ატრიბუტიკა: სახელწოდება — „საქართველო“, დროშა — „გორგასლიან-დავითიანი“, გერბი — „კვართიან-დავითიანი“.

უეჭველად მოსათოკია საქართველოს ისტორიის ყოველ მოსახვევზე ქვეყნისათვის ახალ ახალი სახელმწიფო ნიშნების თხზვის ენთუზიაზმი. ამას გაუგებრობისა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დაკნინების გარდა, არაფერი მოაქვს. ძველი ნიშნების იგნორირება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის იგნორირებაა.

ჩვენს პარლამენტს აქვს პატივი, უფლება და საშუალება, დაუბრუნოს ქვეყანას ისტორიული სახელმწიფო ნიშნები (დროშა, გერბი...).

ზოგი მეცნიერისა, თუ პოლიტიკოსის ეჭვი ქართული ისტორიული დროშისა და გერბის სინატიფისა და სემანტიკის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა.

ტარნოვსკის პუბლიკაციის („ისტორია გეოგრაფიის სკოლაში“, 1982) დადასტურებული ვარაუდი აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მიგნებამ უეჭველი გახადა. საქართველოს დროშის სახე დადგენილია.

ეჭვს არ იწვევს საქართველოს გერბის სახეც.

საქართველოს სახელმწიფო დროშისა და გერბის აღდგენა არის უტყუარი გარანტია ისტორიული ტრადიციისა, დაცულ იქნას ნებისმიერი აღმსარებლობის ყველა მოქალაქის უზენაესი უფლება.

კომისიამ უნდა მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, მოამზადოს კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფო ნიშნების აღდგენის შესახებ პარლამენტზე დასამტკიცებლად.

მხოლოდ კანონის მიღების შემდეგ უნდა გამოცხადდეს კონკურსი კანონით მიღებული სახელმწიფო ნიშნების მხატვრულ ინტერპრეტაციაზე დამტკიცებული აღწერილობის მკაცრი დაცვით.

დღესდღეობით სამთავრობო კომისიაში თანამოაზრეებთან ერთად ვმუშაობ მართებული გადაწყვეტილების მისაღებად.

— ალბათ ცოტამ თუ არ იცის, რომ პოეტი დათო მალრადე ამავე დროს საქართველოს „პენ-კლუბის“ ვიცე-პრეზიდენტი. კარგად გვახსოვს, სამოქალაქო ომის დროს საერთაშორისო „პენ-კლუბის“ დროულმა გამომცხილმა არაერთი დევნილი მწერალი იხსნა რეპრესიებისაგან, ხოლო „პენ-კლუბის“ ქართული ფრთის დაარსება ამ მწერალთა უსაფრთხო თავშესაფარში გადამალვას ნიშნავდა. მას, „პენ-კლუბმა“ თავისი პირველი მისია პირნათლად შეასრულა. მას

მერე ამ ორგანიზაციის შესახებ ბევრი აღარაფერი გაგვივია, ხომ არ გადაიქცა იგი ბევრი სხვა ქართული ორგანიზაციისავით ფიქციად?

— დამალვისა რა მოგახსენოთ. როცა მწერალთა გარკვეულმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებულებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მისი წევრების ქომაგობა და რეპრესიის შემთხვევაში საერთაშორისო სკანდალის მოწყობაა, ეს ბრძოლაში ფარის მოშველიება იყო და არა უსაფრთხო თავშესაფრის ძიება.

საპატიო პრეზიდენტად ავირჩიეთ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, პრეზიდენტად ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი, ვიცე პრეზიდენტებად ავირჩიეს ან განსვენებული ბატონი გივი მალულარია, გივი სულაკაური და ამ სტრიქონების ავტორი.

ქართული „პენ-ცენტრის“ დაარსების ცნობა გავაგზავნეთ ბარსელონაში, სადაც საერთაშორისო „პენ-კლუბის“ კონგრესი მიმდინარეობდა. ასე მოხდა ქართველი მწერლების განწევრიანება მწერალთა ძალზე პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციაში. ბევრმა უცხოელმა კოლეგამ დაგვიჭირა მხარი, მათ შორის იოსებ ბროტსკიმ, რომელმაც ჩვენი თანადგომის წერილი პრესაშიც გამოაქვეყნა.

ქართული „პენ-ცენტრისთვის“ თბილისში ოფისი დღემდე ვერ მოინახა. ბატონი ჯანსუღის მიერ ნაშოვნ თანხა გაგვიკუპონდა. საფრანგეთის ნაციონალური „პენ-ცენტრის“ პრეზიდენტს ქართული მხარის ადგილსამყოფელი დღემდე ჩემი ბინა ჰგონია. პარიზში სტუმრობისას, როცა ვნახე რისი მფლობელია საფრანგეთის „პენ-კლუბი“, ვერ ვთქვი, რომ ჩვენ ერთი ოთახის პატრონებიც არა ვართ, და ჩემი ბინის მისამართი ქართული „პენ-კლუბის“ ოფისად გავსაღე.

ქართული „პენ-კლუბი“ არსებობს. ინიციატივის საშუალება არა აქვს, მაგრამ მის არსებობას აქვს დიდი მნიშვნელობა.

ახლო წარსულის მოვლენებს შევებეთ და ჩემს ნაფიქრალს ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ.

სამოქალაქო ომის წინ საზოგადოებაში უშველებელი ნაპრალი გაჩნდა. ეს ნაპრალი ომმა კიდევ უფრო გააფართოვა. დანახეთქის ამოვსება უძნელესი ამოცანაა, მაგრამ ძალზე საშური და აუცილებლად განსახორციელებელი, ისევე ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად.

პოლიტიკოსთა განცხადებები: „მოდით, შევრიგდეთ!“ და ასე შემდეგ, ჩემი აზრით, უშედეგოა. მომიტევეთ მათ, მაგრამ შეიძლება ისინი მორიგდნენ, ან ვერ მორიგდნენ და არამც და არამც შერიგდნენ, რადგან მათი სახელისუფლებო ინტერესები ერთიმეორეს ჩანგის სიმებივით ვერც აენწყობიან და არც არის სავალდებულო. ფოთლები ხან დასავლეთის სიოზე იშრიალებენ, ხან ჩრიდლოეთის ქარს მიეგებებიან, მაგრამ ჩემთვის მთავარი ის დამეხილი ხეა, რომელიც, თუ ფესვგანმრთელი იქნა, გაზაფხულზე ახალ ფოთლებს გამოისხამს.

ზოგადი განსჯის ლაბირინთში რომ არ გავიხლართოთ, მაგალითს მოვიტან.

სულ ახლახან გარდაიცვალა ჭეშმარიტად დიდი ვაჟკაცი, თბილისის მკვიდრი ბატონი ჯემალ გოლეთიანი. ბატონი ჯემალი და მე კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს ვიდექით, მაგრამ მისი სიყრმის მეგობრები დამეთანხმებიან, რომ ჩვენი მეგობრობა გარდაცვალების წუთამდე იყო ნაღდი და გაუბზარავი. ამის საფუძველიცა და მიზეზიც ის გახლდათ, რომ ერთმანეთის გულწრფელობის ეჭვი არასოდეს გაგვჩენია.

ყოველგვარი ლოზუნგების გარეშე, ყველამ რომ ერთი დაკარგული მეგობარი იპოვოს, ვფიქრობ, საქმეს ძალიან წაადგება, ნაპრალი შემცირდება და ხე იმ ნაყოფს გამოიბამს, რომლითაც ხე იცნობის.

— რა გახარებს და რა გაშფოთებს დღეს, აი, ახლა?

— მიხარია, როცა ქვეყნის ბედით გულწრფელად შენუხებულ ადამიანებს ვხედავ. მაშფოთებს, როცა შუაგულ საქართველოში ვდგავარ და „შორია გურჯისტანამდე“.

გაზ. „მოქალაქე“, N32 (75), 1 აპრილი, 1997 წელი.

რა ენატრება ქართველ მწერალს — სილამაზე და სიმშვიდე?

გაზეთ „მოქალაქის“ გულშემატკივარი მკითხველი უთუოდ შენიშნავდა, რომ ჩვენ უკვე თითქმის ტრადიციად დავიმკვიდრეთ დიალოგები ქართველ ცნობილ და თუნდაც ნაკლებად ცნობილ მწერლებთან, ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი, პოლიტიკური იქნება ის, სოციალური თუ კულტურული, მწერლის აზრის, ხმისა და ხედვის გაუთვალისწინებლად მდორე და უსიცოცხლო იქნება.

დღეს ჩვენი სტუმარი ლიტერატურულ წრეებში უკვე საკმაოდ პოპულარული ახალგაზრდა მწერალი ირაკლი ჯავახაძეა. მის მოთხრობებს ჯერჯერობით მხოლოდ ლიტერატურული აღმანახებითა და ჟურნალებით ვიცნობთ, ახლა კი, შევიტყვეთ, რომ სულ მალე ამ მოთხრობების პირველ დასტამბულ კრებულსაც მივიღებთ. მამ ასე:

— რა ხასიათისაა, ირაკლი, შენი პირველი ნიგნი?

— ამ ნიგნს ჰქვია „პირველი“, ალბათ გასაგებია რატომაც. ყდაზე ახატია პაბლო პიკასოს ერთ არსებად წარმოდგენილი ქალი და მტრედი — სილამაზე და სიმშვიდე. ესაა 21 მოთხრობისაგან შემდგარი კრებული, რომელიც 1988-1996 წლებში დაინერა. არის მოკლე მოთხრობები, მინიატურები და ერთი

ვრცელი მოთხრობა (რუსები რომ „პოვესტს“ ეძახიან). ყოველი მათგანი თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრებას ასახავს.

— ვინ იყვნენ შენი მასწავლებლები?

— ალბათ, ყველა ის მწერალი, ვისიც რამე ოდესმე ნამიკითხავს, რადგან მიმაჩნია, რომ მწერალზე ყველაფერი მოქმედებს, რასაც კითხულობს. ბევრი მათგანისგან ისიც მისწავლია, თუ როგორ არ უნდა მწერა... ასე რომ, კონკრეტულ მასწავლებელს ვერ დავასახელებ, მაგრამ შემიძლია დავასახელო პიროვნება, რომელიც თავიდანვე გულშემატკივრობდა ჩემს მოთხრობებს და ჩემზე მეტად აქტიურობდა მათ გამოსაქვეყნებლად. ეს არის ზაალ სამადაშვილი — ჩინებული მწერალი და ლიტერატურულ ჟურნალ „XX საუკუნის“ მთავარი რედაქტორი. რომ არა ზალიკო, შესაძლოა, ჩემი დრო და შესაძლებლობები რადიკალურად განსხვავებული „მოღვაწეობისაკენ“ მიმემართა.

— ცოტა რამ ლიტერატურულ კლუბ „XX საუკუნის“ შესახებ. რა განასხვავებს მას სხვა ლიტერატურული გაერთიანებებისაგან და ამგვარი განცალკევება ხომ არ ქმნის იზოლაციას ლიტერატურულ სამყაროში?

— სხვა ლიტერატურული გაერთიანებების შესახებ ცოტა რამ ვიცი. რაც შეეხება ჩვენს კლუბს, იგი ერთნაირი ლიტერატურული (და არა მხოლოდ ლიტერატურული) გემოვნებისა და ერთმანეთთან დაახლოებული მწერლებისაგან შედგება. მას ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — მკითხველმა იგრძნოს, რომ ლიტერატურული პროცესი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა კატაკლიზმებმა ჩრდილში მოაქცია, ფეხს იდგამს და მწერლები, სახელმძღვანელოებიცა და ნაკლებად ცნობილებიც, მის გვერდით დგანან. იგივე მიზანი აქვს ჟურნალ „XX საუკუნის“ გამოცემასაც.

რაც შეეხება იზოლაციას, არა მგონია, რომელიმე მწერლური გაერთიანების შექმნამ ზიანი მიაყენოს სხვა გაერთიანებებს ან საერთოდ ლიტერატურას, რადგან ყოველი მწერალი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მწერლურ ჯგუფს ეკუთვნის გაიზომება და დაფასდება იმის მიხედვით, რასაც თავის საწერ მაგიდასთან შექმნის.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ არაფერი საინტერესო აღარ იწერება...

— ეს მცდარი აზრია. უბრალოდ, აღარ არსებობს ის ლიტერატურული პროცესი, რომელზეც ზემოთ მქონდა ლაპარაკი და რომლის საშუალებითაც ნაწარმოები მკითხველამდე აღწევდა. თვალი გადავავლოთ 90-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებებს და ყველაფერს ფარდა აეხდება: გურამ დოჩანაშვილის „ლოდი ნასაყდრალი“ და ოთარ ქილაძის „აველუმი“, ვაჟა გიგაშვილის „მოთხრობები პოეტზე, რომელიც ძალზე იშვიათად წერდა ლექსებს“ და ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“, ზაალ სამადაშვილის მინიატურები, ზურაბ სამადაშვილის „სველი აგური“, კოტე ჯვანდიერის „დაპატიჟება კინოში“ და გოგა თუთბერიძის მოთხრობები, გიო ახვლედიანის „მოგზაურობა ყარა-

ბაღში“ და „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. ვისაც ეს ნაწარმოებები წაუკითხავს, ენა ვერ უნდა მოუბრუნდეს იმის სათქმელად, რომ აღარაფერი იწერება...

— რას გულისხმობ ცნებაში „მოქალაქე“?

— ადამიანს! ადამიანს, თავისი ტკივილითა და სიხარულით, ამპარტავნებითა და მოკრძალებით, სულმოკლეობითა და შემართებით... უბრალოდ, უნდა ვიფიქროთ მეორე ადამიანზეც და გვახსოვდეს, რომ „ადამიანი ადამიანისთვის დღეა“.

გაზ. „მოქალაქე“, 6 მაისი, 1997 წელი.

პასუხი არცთუ უმიზეზო ეჭვებზე

სამშაბათს, 17 ივნისს, საინფორმაციო პროგრამა „მომამემ“ მცირე სიუჟეტი გადასცა ქართველი კინემატოგრაფისტების და საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის შესახებ. თავიდან ეს შეხვედრა ახლად ჩატარებული ფესტივალი „ნატოს“ შემაჯამებელ, დასკვნით აკორდად მივიჩინე, მაგრამ სულ მალე მეეჭვა, რომ ტელეეკრანიდან მომავალ, საკმაოდ განონასწორებულ ინფორმაციას სწორედ იმ კვამლის სუნი უდიოდა, რუსული ანდაზის მიხედვით, უცეცხლოდ რომ არ არსებობს. არადა, მართლაც, დიდი ხანია ამდენ ნიჭიერ ქართველს ერთ დარბაზში თავი არ მოუყრია, ანდა როგორ მოიყრდა, თუ ნახევარზე მეტი უკვე რა ხანია უცხოეთში მოღვაწეობს. მაშ, რამ შეკრება ასე ერთსულოვნად „სრულიად საქართველოს კინემატოგრაფისტები“? ვის ჭირისუფლობენ, ანდა, როგორც უფრო ხშირად ხდება ხოლმე საქართველოში, ვის და რის წინააღმდეგ გაერთიანებულან? ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უეცრად ტელეეკრანზე მწერალ ანზორ სალუქვაძეს მოვკარი თვალი. ჰოდა, შორს წასვლა აღარ დამჭირვებია, ჩემი ეჭვებით პირდაპირ მივაღდექი კარის მეზობელს.

— ბატონო ანზორ, ქართველი კინემატოგრაფისტებისა და საქართველოს პრეზიდენტის ასეთი მასშტაბური შეხვედრა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ იგი რაიმე მწვავე მიზეზმა გამოიწვია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ქართულ კინემატოგრაფს განგამის ზარის შემოკვრის დრო დაუდგა, ხომ არ ვკარგავთ საგანძური სკივრიდან იმ უძვირფასეს მარგალიტსაც, „ქართული ფილმი“ რომ ჰქვია.

— ქართველ კინემატოგრაფისტთა პრეზიდენტთან შეხვედრა აუცილებლობით გახლდათ გამონეულები. ის, ვინც „ქართული ფილმის“ დღევანდელ ვითარებას კარგად იცნობს, არ გაუკვირდება იმ ურთულესი პრობლემების არსებობა, რომლებიც მართლაც საგანგაშო ვითარებას ქმნიან. ხსენებული პრობლემების

წარმოქმნას მრავალი მიზეზი აქვს. ხოლო, მათ შორის უმთავრესი, ის ეკონომიკური სიდუხჭირე გახლავთ, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო, ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა და, მათ შორის, რალა თქმა უნდა, „ქართული ფილმიც“. სახელმწიფო დაფინანსება, რაც წელიწადში 2,5 მილიონ ლარს არ აღემატება, რამდენადაც ვიცე, სასტუდიო ხარჯების მცირე ნაწილსაც ვერ ფარავს. ეს კი უდიდეს საშიშროებას უქმნის „ქართულ ფილმს“ და ოდესღაც საქვეყნოდ აღიარებულ მის დიდებას სიკვდილით ემუქრება. ფრიად სასიხარულო და ნუგეშის მომცემია ის, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ქართველი კინემატოგრაფისტებისა და, საზოგადოდ, ქართული კინოსადმი უაღრესად კეთილგანწყობილია, ყველა ღონეს მიმართავს ჩვენი კინოხელოვნების გადასარჩენად. იგი შეეცდება, რომ სამომავლოდ როგორმე გააორმაგოს კინოხელოვნებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯი. ეს კი, რალა თქმა უნდა, უდიდესი შეღავათი იქნება ჩვენი კინოშემოქმედებისათვის.

— მართალია, კინოს „წარმოებას“ ეძახიან, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ „რალაც ასპექტში“ იგი კულტურასაც განეკუთვნება. როგორც არაპროფესიონალს, გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ურთიერთმიმართება არსებობს დღეს კინოხელოვნებისა და კულტურის სამინისტროს შორის?

— რაც შეეხება კინოხელოვნებისა და კულტურის სამინისტროს ურთიერთმიმართებას, საქმე ის გახლავთ, რომ დიდად აუცილებელია ფრთხილად და მიზნობრივად ზუსტად განაწილდეს ის მცირედ საკმარისი სახსრები, რომლითაც სახელმწიფო აფინანსებს ქართულ კინოს და, რადგან ფულს სახელმწიფო იძლევა, ბუნებრივია, მას უფლებაც უნდა ჰქონდეს, თვალყური ადევნოს მის მიმოქცევასაც. ამიტომ აუცილებელია, არსებობდეს ასეთი სამეთვალყურეო ორგანო, ვთქვათ, სამხატვრო საბჭო. ოღონდ იგი უნდა იყოს არა კინოკონცერნთან, არამედ მის გარეთ, სახელმწიფო სტრუქტურაში, ანუ ჩვენს მაგალითზე, კულტურის სამინისტროსთან. დიახ, სხვა მრავალ მოსაზრებასთან ერთად, უთუოდ, ამანაც განაპირობა კინოხელოვნების კულტურის სამინისტროს ჭერქვეშ შემყუდროება.

ალბათ, ბევრს ისიც აინტერესებს, ამოიგებს თუ არა სახელმწიფო იმ დანახარჯს, ანუ თანხას, რასაც ის ფილმწარმოებას მოახმარს. პასუხი ჯერჯერობით უარყოფითია. რატომ? ამასაც მრავალი მიზეზი აქვს, ხოლო მათ შორის უმთავრესი, ეგრეთ ნოდებუი „სამომხმარებლო ბაზრის“ უქონლობაა. წინათ ამ „სამომხმარებლო ბაზარს“ თუ მთელი სოცბანაკი არა, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე განფენილი საბჭოთა კავშირი მაინც წარმოადგენდა. ახლა კი, ადვილი მისახვედრია, რის თქმას ვაპირებ. თვითონ განსაჯეთ, პატარა საქართველო, მოძალებუი ტელევიზორი, ათასი ჯურის უცხოური ფილმებით, მოუწყობელი კინოსაპროექციო დარბაზები, კონკურენციის უნარს მოკლებული ჩვენი პროდუქცია, საქართველოს მოსახლეობის, ანუ მაყურებლის სიმცირე და სხვა ათასი...

— იქნებ ვინმე იკითხოს, მამ რალა საჭიროა კინოწარმოება, რატომ ვხარჯოთ გაჭირვებით ნაშოვნი ფული?

— კითხვა სწორად არ იქნება დასმული თუნდაც იმიტომ, რომ კინოხელოვნება, ისევე, როგორც ლიტერატურა და ხელოვნება საერთოდ, ერის სულიერი კულტურის სახეა, მისი ზრდისა და სიმაღლის მაჩვენებელი. ამიტომაც დაუშვებელია ჩვენი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი მძლავრი ნაკადის ოდნავადაც უგულვებლყოფა. უფრო მეტიც, თუ გვინდა, რომ კულტურული ერი ვიყოთ, არა მარტო სახელმწიფო ხარჯებით, არამედ საზოგადოებრივი სახსრებითაც (მხედველობაში მაქვს ქველმოქმედება, სპონსორული თუ მეცენატური დახმარება და სხვა), უნდა გადავარჩინოთ და ავალროძინოთ ჩვენი კინოხელოვნება.

გაზ. „დილის გაზეთი“, 21 ივნისი, შაბათი, 1997 წელი.

არასაიუბილეო ინტერვიუ

თხუთმეტ წელზე მეტია, ტარიელ ჭანტურიას ოჯახთან ერთად საერთო კიბის უჯრედზე ვცხოვრობ და ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ზუსტად სამჯერ მოვესწარი პოეტის საიუბილეო თარიღს. პირველად მაშინ, როცა 55 წლის გახდა, შემდეგ 60-ის, ახლა კი, სულ რამდენიმე დღის წინ, მას 65 წელი შეუსრულდა. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ტარიელ ჭანტურია ქართველ შემოქმედთა იმ უმცირესობას განეკუთვნება, ვინც ცნება იუბილეს ერთობ ეჭვის თვალით უყურებს. მის საზეიმოდ აღნიშვნას, რბილად რომ ვთქვათ — ირონიით, ხოლო, რაც შეეხება საკუთარი იუბილეს გადახდას, ამაზე ხომ საერთოდ ტანში აჟრიალებს. ამიტომ, სულაც არ გამკვირვებია, როცა 11 ივლისს, დილას, სამსახურში მიმავალს, რადიომ ნამომანია, ბატონი ტარიელი რედაქციაში ვერაფრით შემოვიტყუეთ და, სამწუხაროდ, მასთან ცოცხალ საიუბილეო ინტერვიუს ვერ შემოგთავაზებთო. ჟურნალისტობამ სხვა სიკეთესთან ერთად, სხვის შეცდომებზე სწავლასაც შემაჩვია. ჰოდა, ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი. მაშინვე გადავჭერი კიბის უჯრედი და კარის მეზობელი სრულიად არასაიუბილეო საუბარზე გამოვიწვიე. აი, შედეგიც:

— ბატონო ტარიელ, შარშან „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ერთ ლექსს პირდაპირ ასე ჰქვია — „ცუდ ხასიათზე ვარ“. ამ ლექსის წამკითხავი, რა არხეინი კაციც არ უნდა იყო, თუ ქართველი ხარ და ხანდახან რეალურ ყოფასაც ჩაუღრმავდები, მიხვდები, რომ პოეტის მსგავსად, ცხოვრებაში, მაინც და მაინც, არც შენ გიმართლებს. არც შენ და არც შენს საცოდავ ქვეყანას. შარშანდელს შემდეგ ერთი წელი გავიდა, ხომ არ შეგეცვალათ განწყობა, ბატონო ტარიელ, გთხოვთ მოკლე პასუხით არ შემოიფარგლოთ!

— უბედურ წელიწადს რომ ბედნიერების ერთი წამი ჯობს, ეს ახალი ამბავი

არაა! ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ისეთი, რომ თვისებრივად შეეცვალა საქართველოს ცხოვრება, ჯერ, სამწუხაროდ, არაფერი ჩანს! ამის მიუხედავად, ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია ის ვნება, რომლითაც ზოგიერთი პოლიტიკური პარტია თუ ოპოზიციური ჯგუფი მასმედიის საშუალებებით გამუდმებით თესავს სკეპსისს, უიმედობას, ჩიხის განწყობილებას! ამგვარი კაპიტულანტური პროპაგანდა თიშავს ერს, და ისიც, გაღატაკებული და ხელჩაქნეული, კარგავს ბრძოლის სურვილსა და უნარს! აფხაზეთს, რა თქმა უნდა, ვერ დავიბრუნებთო! სამაჩაბლოს, ცხადია, ვერ შემოვიმტკიცებთო! ხალხს, რა ლაპარაკია, ვერ დავაპურებთო! არავითარი ნავთობსადენი აქ არ გავივლისო! აბრეშუმის არა, იმის გზა არ გინდაო! მერედა, რატომ ინვესტს ეს ყველაფერი შენში დადებით ემოციებს! შენ რომ გგონია, პრეზიდენტებსა და პრემიერმინისტრებს უდგახარ ჯიბრში, შენ ჯიბრში შენს გასაცოდავებულ ქვეყანას უდგახარ! ამ ერთ წელიწადშიც, ჩვენი ხალხის გაერთიანების, ერთ მუშტად შეკერის თვალსაზრისით, საიმედო არაფერი მომხდარა! ნაგებული თუ დამარცხებული პარტიების თუ ექსტრემისუფალთა რევანშისტული განწყობილება გასაგებია, მაგრამ ნამდვილი მამულიშვილობა ისაა სწორედ, რევანშიზმის ამ შურისმაძიებელ, მონურ გრძნობაზე მაღლა შენი ქვეყნის ინტერესები დააყენო! არც ამ თვალსაზრისით ყოფილა გამორჩეული შარშანდელი წელი! არადა, დიდი ანგარიშით, სტრატეგიული თვალსაზრისით, მე თუ მკითხავს ვინმე, ყველაფერი სწორადაა: „ერთმორწმუნე“ რუსეთი თანდათან ბითურდება, მისი ნიღაბი სულ უფრო გამჭვირვალე ხდება, და მთელი მსოფლიო ხვდება ჩვენს სიმართლეს! საერთაშორისო სამართალი ჩვენს მხარესაა, მსოფლიო დემოკრატია ჩვენს მხარესაა! მოკლედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც დიდი აკაკი ბრძანებს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“, და კიდევ: „ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამინებს“ ... რაც ახლა ვთქვი, ეს არაა ხბოს აღტაცება, ეს არის 65 წლის ხარის გამოცდილების მიხედვით გაკეთებული დასკვნა! ყველაფერი იქნება — როგორ იცით თქვენ, მოინგლისურებმა? — ყველაფერი იქნება „ოკეი“! ასე რომ, ჩემო მანანა, ცუდ გუნებაზე მე იმ ლექსში ვარ, საერთოდ კი ოპტიმისტების კატეგორიას ვეკუთვნი — მჯერა ჩემი ქვეყნის მომავლის, და ამ თემაზე არანაირ ოპონენტთან არ დავიხევე უკან! — არგუმენტი საკმარისზე მეტი მაქვს! უფრო სწორედ, საქართველოს აქვს მისი დიდი და ნათელი მომავლის, ნათელი პერსპექტივის მამტკიცებელი არგუმენტები!

— 11 ივლისი თქვენი დაბადების დღეა. წელს 65 წელი შეგისრულდათ. თქვენი კიდევ ერთი ლექსი გამახსენდა და მინდა მოგაგონოთ:

„...ხომ მეკუთვნის? ჰოდა ღმერთო
გაიმეტე ასი წელი“.

ძალიან მასშტაბურად რომ ვიოცნებოთ, როგორ ცხოვრებას უსურვებდით საკუთარ თავს და მთელ სამყაროს, ვიდრე 100 წლის შესრულდებით, ანუ XXI საუკუნეში?

— მართალი გითხრა, არ მსიამოვნებს, მაინცდამაინც რომელიმე უფერულ ლექსს რომ გამახსენებენ, მაგრამ რაკი სიცოცხლისა და სიკვდილის თემას ეხება ის უფერული ლექსი, ვიტყვი ერთ ორ სიტყვას.

თუმცა ჯერ ის იმპულსი უნდა ვახსენო, რამაც მისი დანერა შთამაგონა. ესაა ბიბლიური მათუსაღას მეტაფორა.

აღბათ სამართლიანი იქნებოდა, თუკი გინესის რეკორდების წიგნში ის ადამიანიც მოხვდებოდა, ვინც ყველაზე მეტი იცოცხლა. ჯერჯერობით ასეთი „რეკორდსმენი“ ბიბლიური მათუსაღაა — 969 წელი! ხშირად მიფიქრია: რის თქმა სურდათ მათუსაღას მეტაფორით ბიბლიის ბრძენ შემოქმედთ — კარგია ამდენი რომ იცოცხლა? თუ — ცუდი! მათუსაღას ხნის მოყრილიყო, გადღეგრძელებს ვიღაც სუფრაზე და არც დაფიქრდება, გინდა შენ ეს თუ არა! შეკარგო ადამიანო, შენ ხომ მათუსაღა ხარ, ყველა შენი ცოლი ხომ დამარხე, ყველა საყვარელი, ყველა შვილი, ყველა შვილიშვილი, ყველა კეთილი მეზობელი, და მაინც ცოცხალი რომ ხარ და კარგად ხარ, კარგია ეს? რად გინდა ამნაირი სიცოცხლე! მოკლედ, ბევრი რომ არ ვაგავრძელო, მათუსაღას მეტაფორა იმის სამტკიცებლადაა ბიბლიაში, რომ ცხოვრების აზრი უსათუოდ ხანგრძლივ სიცოცხლეში არ მდგომარეობს! რაშია ეს აზრი, ამაზე მსჯელობას ახლა ნულარ მოვყვებით, ისედაც ყველაფერი ნათელია! აი, ეს ფიქრი იყო იმპულსი, ის ლექსი რომ დამანერინა, ოღონდ ასწლიანი სიცოცხლის მოთხოვნა იმ წინაპირობის გაუთვალისწინებლად, რაც ლექსში წერია, და იმ ირონიის გარეშე, რაც იქაა, პირადად მე, ერთ სიცოცხლეს დახარბებულ უბირ კაცად გამომაჩენდა, რაც სულაც არ მსიამოვნებს! მე ის ასწლიანი სიცოცხლე ჩემს კაცობრიობასთან ერთად მინდა, ჩემიანებთან ერთად მინდა, საყვარელ ადამიანებთან ერთად მინდა, თორემ ისე რა აზრი აქვს სიცოცხლეს, სულ ერთია, 65 იქნება თუ 165!

როგორ ცხოვრებას ვუსურვებდი საკუთარ თავსა და ქვეყანას XXI საუკუნეში?

რომც მოინდომოს, XXI საუკუნეში საქართველო ვერ იქნება დანარჩენ კაცობრიობაზე ბედნიერი, მაგრამ მე მინდა, საქართველო არ იყოს დანარჩენ კაცობრიობაზე უბედური! — იყოს იგი და მისი მომავალი ისეთი, როგორც დანარჩენი კაცობრიობა იქნება! ამ პერსპექტივას კარგი პირი უჩანს: ორასწლიანი მონობის შემდეგ, ჩვენ XXI საუკუნეში შევდივართ საკუთარი კონსტიტუციით, დროშით, გერბით, ინტერესებით და შესაძლებლობებით! სულ მალე საქართველო თავს გააცნობს მსოფლიოს არა მხოლოდ ელჩებისა და დესპანების, არამედ მისი დიდი წარსულის, მისი დიდი კულტურის, მისი ამოუწურავი პოტენციის დონეზე! როცა ეს პროცესები თავის აპოგეას მიაღწევს, საქართველოს ყოველ მოქალაქეს — ქართველსაც და არაქართველსაც — ექნება ბედნიერებისა და საკუთარი სამშობლოთი სიამაყის გრძნობა! მოესწრო კაცი ამ დღეს, დიდი ბედნიერებაა! მეც, როგორც გითხარი, რაღაც ამგვარმა ფიქრმა დამანერინა ის ლექსი, სადაც „კატეგორიულად მოვითხოვ ას წელს!“ — ცხა-

დია, მთელ ჩემს თანამედროვეებთან ერთად! — საყვარელი თანამედროვეების გარეშე გატარებულ 969 წელს რა მაღლი აქვს — მათუსალა ვარ?

— ხშირად გითქვამთ ჩემთვის ჩვეული იუმორით და, თუ გნებავთ, ირონიითაც — ძვირფასო, მე წერა მიჭირს, თორემ კითხვა გადასარევი ვიციო, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენს მახვილ თვალსა და გუმანს ვერც ლიტერატურულ პროცესებში და ვერც საერთოდ ცხოვრებაში ბევრს ვერაფერს გამოაპარებ. ხომ არ გნებავთ დღეს ქართველ მკითხველს კიდევ ერთხელ მიანიშნოთ იმაზე, რასაც უცქერს და ვერ ხედავს, ესმის და არ „ეყურება“, კითხულობს და ბოლომდე ვერ იგებს. თუნდაც ერთი პატარა ცხოვრებისეული დეტალი...?

— რაკი შემოქმედებითი პროცესი ნიშნავს შეუცვლელ ტრიადას — ავტორს, ტექსტსა და მკითხველს, და რაკი ეს პროცესი მხოლოდ მაშინ ითვლება დასრულებულად, როცა ნიგნს ხელში მკითხველი იღებს, გამოდის, რომ მკითხველი ისეთივე გადამწყვეტი ფიგურაა, როგორც ავტორი. მკითხველის როლის არც გაზვიადება მოხერხდება და არც დამცირება — მის გარეშე, უბრალოდ, არანაირი შემოქმედება არ არსებობს. დიდი ანგარიშით, ფრანსუა შამპოლიონიც „მკითხველი“ იყო და „მზიანი ღამე“ ან „პოსეიდონის სასახლე“ რომ უჭირავს ხელში, ისიც მკითხველია! ქადილი, მე წერა მიჭირს, გენაცვალე, თვარა კითხვა ნამეტანი კაი ვიციო, მაინც სხვა კითხვას გულისხმობს — იგი ღირებულებათა გადაფასებაზე მინიშნება უფროა, ვინემ იმით თავმოწონება, რომ მე რომელიღაც ტექსტი უკეთ გავიგე და რომელიმე მეტაფორას უკეთ ჩავხვდი! — მთელი თანამედროვე ქართული მწერლობა ნაუკითხავია! — სამწუხაროდ, დღეს აღარ არსებობს არბიტრი, რეფერი, მსაჯული, გამკითხავი. კრიტიკის სრული სტაგნაცია ერთი აუხსნელი და სამწუხარო ფაქტია — ჩვენ ყველას გვეგონა, ცენზურა რომ გაუქმდებოდა და ტაბუ რომ მოიხსნებოდა, ათასი სიმართლე ითქმებოდა და, შესაბამისად, ათასი ტყუილი გაბათილდებოდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა! პირიქით — გრძელდება საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა, შავის თეთრად გასაღება. ამას ახლა ისიც დაემატა, რომ კრიტიკის როლი ერთგვარად რეკლამამაც შეითავსა, და მარჯვე იმიჯმეიკერები ცოცხალ გრაფომანებსა და „მალიარებს“ ჯილდოებს ურიგებენ, გარდაცვლილებს კი პანთეონებში ეპატიჟებიან! სწორედ ამის შემხედვარე ამოიკვნესებ კაცი ზოგჯერ, კაი კითხვა ვიცი, ვერ მომატყუებთო. მაგრამ ამ განცხადებას აღარაფრის შეცვლა არ შეუძლია.

ამ გაგანია გამოცდების დღეებში ხომ გაგეცი, მანანა, კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი! არ მეკუთვნის ნიშანი?

გაზ. „ქართული კულტურა“, 18-24 ივლისი, 1997 წელი.

კარგია, მაგრამ ცუდია

სულ რამდენიმე წლის წინათ, როცა საბჭოთა ადამიანი უძრაობისა და „უღრმესი მადლიერების“ მორევში ცურავდა, გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილე დროსა და სივრცეში უსასრულოდ გავრცობილ დღესასწაულს ემსგავსებოდა ხოლმე და ჰემინგუეის ერთი რომანის სათაურის რუსული თარგმანისა არ იყოს „მარად ჩვენი იყო“. იგი ტაშის გრივით გადაიზრდებოდა ხოლმე მომდევნო მრგვალ თარიღში, იმ მომდევნო მომდევნოში და ასე დაუსრულებლად... ვზეიმობდით, ვზეიმობდით, ვზეიმობდით — ქალაქად, სოფლად, პრესის, ტელევიზიის, პიონერთა სასახლეების, საკონცერტო დარბაზების, საბავშვო ბაღების, რესტორნების, კლუბების, სკოლების და, ბოლოს, „ცეკას“ დონეზე. ორდენებით, მაღლობებით, მედლებით, ბინებით, მანქანებით, ნაბდებით, ხანჯლებით, ხმლებით, ლენინის ბიუსტებით და მისთანებით ვასაჩუქრებდით (მადლიერი საზოგადოება) იუბილარს.

ეს იყო ადრე — უძრაობისა და მადლიერების ხანაში.

იგივე ახლაც — საჯაროობისა და დემოკრატიის ეპოქაში საქართველოში კვლავ ზეიმობენ იუბილეებს, გამარჯვებებს, თქვენ წარმოდგინეთ დამარცხებებსაც კი. ამ თვალსაზრისით, ახალი ცხოვრება მორჩილად მიჰყვება ფესვმანგარ, ფუძემყარ და ჯიუტად საბჭოურ ტრადიციებს მსუბუქი კოსმეტიკური ჩარევით. დღეს, როგორც ყველა დარგში, „იუბილეების გამართვის სფეროშიც“ რეფორმები დაიწყო და, როგორც ყველგან, ბუნებრივია, ისიც მტკივნეულად მიმდინარეობს.

— მაინც რითი განსხვავდება დღევანდელი იუბილე გუშინდელისგან?

— არაფრით, გარდა იმისა, რო თუ ადრე იუბილარის შესახებ, როგორც მიცვალებულზე, მხოლოდ საუკეთესოს ლაპარაკი შეიძლებოდა და თუნდაც საშუალო ხარისხის ეპითეტს ტაბუ ედო, ახლა, რეფორმის იუბილეს დიზაინში (და ჯერჯერობით მხოლოდ დიზაინში) ცვლილებები შეაქვს. კერძოდ, მოდამი შემოვიდა იუბილარისთვის დაბადების დღეების ცხვირში ძმრად დენა და პრესის (ჯერჯერობით მხოლოდ პრესის) საშუალებით თავზე ლაფის, ბოლმის, ნადგევის და ნარეცხი წყლის გადავლება.

ეს ვრცელი შესავალი ამჯერად 20-22 ოქტომბრის გაზეთ „მერიდიანში“ დაბეჭდილმა ერთმა „მილოცვამ“ დამაწერიანა.

„სხვისი ნიჭით აღფრთოვანების უნარიც ნიჭია. ეს ნიჭი უდავოდ ახასიათებს გიგა ლორთქიფანიძეს, რომელსაც გუშინ 70 წელი შეუსრულდა. ჩვენი გუშინდელი იუბილარი მაშინ მსახიობის ნიჭმა აღაფრთოვანა, რეჟისორის ნიჭით აღფრთოვანებული კი იგი იშვიათად უნახავთ“.

ასე იწყებს თავის საიუბილეო მიძღვნას ჟურნალისტი ზაზა აბაშიძე, სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ გაზეთ „მერიდიანის“ გარდა, დედამინის ზურგ-

ზე, როგორც ჩანს, არავინ იცის ვინ არის ეს ზაზა აბაშიძე — ქალია, კაცი, კოლექტივი თუ მარტოსული. ვიცით, რომ ვილაცის ფსევდონიმია, კერძოდ, ვისი — არა.

თავიდანვე ვაღიარებ, რომ ამ ზაზა აბაშიძისგან განსხვავებით, ძალზე ნამგებიან პოზიციაში აღმოვჩნდი, ვინაიდან ვცდილობ დავიცვა ის, რაც კარგა ხანია, ჩვენი მოდიდან გავიდა, ანუ რუდიმენტად ქცეული ქართული ზრდილობა, უფროსუმცროსობა და მოყვასის დანდობა, თუნდაც, საიუბილეო თარიღის დროს. ზაზა აბაშიძეს მიაჩნია, რომ იგი გიგა ლორთქიფანიძემ თეატრალურ ფესტივალს დაამთხვია, არადა, მართლაც 19 ოქტომბერსაა დაბადებული.

აი, როგორ გვიხატავს ზაზა აბაშიძე თავის მიძღვნაში „მსხვილი“, „ბრეჟნევის კომპლექსით“ დაავადებული „თვითნარმოდგენისათვის, სახელისა და პატივისათვის“ მარად მეზრძოლი რეჟისორის და „საზოგადო (თუ სახელმწიფო) მოღვაწის“ ამკარად უარყოფით პორტრეტს:

„... (ჯერ ქებათა ქება, შემდეგ); მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ფასადია მისი ცხოვრებისა, რომლის მიღმაც რთული და შეუპოვარი ბიოგრაფიაა რეჟისორისა, რომელიც ნახევარი საუკუნეა დგამს სპექტაკლებს, ფილმებად აქცევს და თეატრიდან თეატრში მოგზაურობს... ესაა განუწყვეტელი ბრძოლა საკუთარი პოზიციების დასამკვიდრებლად. მოკლედ, გიგა ლორთქიფანიძე რეჟისორია თეატრშიც, რეჟისორია ცხოვრებაშიც“ (ზ.ა.).

ამასთან დაკავშირებით ვსვამ ერთ უმარტივეს კითხვას:

მაშ, რა უნდა აკეთოს რეჟისორმა, თუ არ დადგა სპექტაკლი, გადაიღო ფილმი, მიაშურა თეატრიდან თეატრს, თუ არ იქნა რეჟისორი სცენაზეც და ცხოვრებაში?

რატომ გამხდარა სტატიის ავტორისათვის გიგა ლორთქიფანიძის პოპულარობა „იუმორის“ საგანი, ან უფრო მკვახედ თუ ვიტყვით, დანაშაულის ტოლფასი? განა იმით, რომ „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის გიგა“, ადამიანის, ცოდნა-არცოდნის უფლება დაირღვა ან ცოდნის შეძენა ძალდატანებით მოხდა? ეჭვი მეპარება. სწავლა და განათლება საყოველთაო და სავალდებულო კომუნისტების ეპოქაში იყო, ახლა ყველაფერი ნებაყოფლობითია. მიუზბრუნდეთ გიგა ლორთქიფანიძის ძეგლის აღმართვის საკითხსაც. სტატიის ავტორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ გიგა ლორთქიფანიძის ძეგლს მუსიკალური კომედიის თეატრის ეზოში დადგამენ, თუმცა გონიათ, რომ თავად ბატონ გიგას ალბათ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ურჩევნია.

თუ გავითვალისწინებთ საყოველთაო ტრადიციას, რომ უიშვიათესი გამოწვევის გარდა, ადამიანებს ძეგლს გარდაცვალების შემდეგ უდგამენ, ბატონი გიგას ძეგლის აღმართვა, ვფიქრობ, ჯერ საკმაოდ ადრეა, თანაც, როგორც თავად გიგა ამბობს ხოლმე, „ეგ საქმე „ორჩერედით“ არ ხდება“. და მაშინ ვინ იცის, ეგებ გიგა ლორთქიფანიძის ძეგლამდე, ჩვენი ძეგლები შეიქმნას „ასალმართი“ თბილისის სხვადასხვა რაიონში!

რაც შეეხება სტატიის დასაწყისში მოხმობილ ციტატას იმის შესახებ, რომ რეჟისორის ნიჭით აღფრთოვანებული გიგა ლორთქიფანიძე იშვიათად თუ უნახავთო, ამაზე სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ გიგა ლორთქიფანიძეს სხვასთან შედარებით თუ არა, ზაზა აბაშიძესთან შედარებით ცოტა უკეთ ვიცნობ და შემოდღია მოგახსენოთ, რომ რეჟისორის ნიჭით აღფრთოვანებული (და ზომაზე მეტად აღფრთოვანებული) გიგა ლორთქიფანიძე არაერთხელ მინახავს. ამის დასტურად ზაზა აბაშიძისგან დაწუნებულ (და სხვათა შორის, სამართლიანად) იუბილეზე იუბილარის მიერ ჩამოთვლილი ქართველი და უცხოელი რეჟისორების გვარებიც საკმარის იქნებოდა.

კიდევ ერთი მარტივი და უკანასკნელი შეკითხვა იმ ერთობ კურიოზული აჟიოტაჟის გამო, რაც აგერ უკვე 60 წელია გიგა ლორთქიფანიძის ცალი ფეხისა და ჯოხის გამოა ატეხილი:

„ვინ არ მოდრეკილა მისი განუყრელი ჯოხის წინაშე?“ სვამს რიტორიკულ კითხვას ზაზა აბაშიძე და ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ჟურნალისტს „მსხვილი“ რეჟისორის ჯოხიც კი აღიზიანებს, მაგრამ ეს მისი ბრალი არ არის, ეს მარტო ზაზა აბაშიძეს არ მოსდის, სხვაც მრავალი მინახავს გიგა ლორთქიფანიძის ჯოხზე შურის თვალით მომზირალი. ბევრი, ძალიან ბევრი ბედნიერი წუთი განუცდია გიგა ლორთქიფანიძეს ცხოვრებაში, ერთი-ორი წვეთი ბალღამიც რომ გაეჟურიოთ შიგ, ამით არაფერი დაშავდებაო, ფიქრობს ალბათ ის ადამიანი, რომელიც სავსებით დარწმუნებულია, რომ „ბატონი გიგას ცხოვრება თითქოს ერთი გაბმული იუბილეა, მას აქვს იშვიათი უნარი საკუთარ ორბიტაში მოიქციოს გარშემომყოფნი. მის გვერდით მუდამ ზეიმი, დღესასწაული და სიხალეა — მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ფასადია“ (ზ.ა.).

ეს ბოლო წინადადება ერთ „წვერებიან“ ანეკდოტს მაგონებს: ამერიკიდან ჩამოსული გურული კაპიტანი-ში დაიბარეს და დაკითხეს. იმანაც თავისი შთაბეჭდილებები ასე მოყვა: კაი საჭმელი, კაი სასმელი, კაი ხელფასი, კაი სახლი და კაი კარი, ბევრი ფარა, დიდებული ცხოვრება, კაი რესტორანი, კაი კარ-მიდამო, კაი მთავრობა, მაგრამ რად გინდა, ნყოფა აქვთ ცუდი.

ჰოდა ზაზა აბაშიძის სტატიაც ამ ანეკდოტივით „ლოგიკურია“ —

სპექტაკლი კაი, კინო კაი, ხასიათი კაი, ნიჭი უსაზღვრო, სიტყვა-პასუხი საუკეთესო, იუმორი უმაღლესი, „გამავლობა“ დიდი... მაგრამ რა გინდა, რეჟისორია ცუდი ეს გიგა ლორთქიფანიძე.

გაზ. „ქართული კულტურა“, 31 ოქტომბერი — 6 ნოემბერი, 1997 წელი.

ფრენკ სინატრა ის ყველაფერს თავისებურად აკეთებდა

15 მაისს, პარასკევს, ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საინფორმაციო სააგენტო და პროგრამა იუნწყებოდა, რომ 14 მაისს, გვიან ღამით, გულის მწვავე შეტევით ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა 82 წლის ფრენკ სინატრა და რომ უახლოესი დღეები ახალი ამბების ძირითადი ნაწილი დაეთმოზოდა ლეგენდარულ ამერიკელ მომღერალთან გამოთხოვების სიუჟეტებს.

პარასკევს, დილიდანვე შეერთებული შტატების ყველა სატელევიზიო არხით გადმოიცემოდა, როგორ დაიძრა სინატრას უბრალო თაყვანისმცემელთა და ფანატიკოსთა ერთი დიდი არმია მისი სახლისაკენ ლოს-ანჯელესში და მეორე არმია — მისი დაბადების და ახალგაზრდობის ქალაქ ნიუ-ჯერსის იტალიური უბნის ჰობოკენისკენ.

თავიგულებით, გამოსათხოვარი წერილებითა და გარდაცვლილი კერპისადმი მიძღვნილი ათასი სხვა საჩუქრებით აივსო ყველა ის უმნიშვნელო ადგილიც კი, სადაც „ცისფერთვალა მოხუცს“ ფეხი დაუდგამს.

„არც ცოცხალსა და არც გარდაცვლილ მომღერალთა თუ მსახიობთაგან მსოფლიოში არცერთს უგემია ჯერ უმაღლესი პოპულარობის 70 წელი, არცერთ შემოქმედს შეუფერებია ისე ღირსეულად პოპულარობა, როგორც ეს ფრენკიმ მოახერხა“, — ასეთ კომენტარს უკეთებდა თავის ერთ-ერთ გამომგვებაში „საბჭოს დიდი თავმჯდომარის“ (ფრენკ სინატრას მორიგი მოსაფერებელი სახელი იმ უამრავთაგან, რომელსაც ამერიკელი ხალხი სიყვარულით არქმევდა ხოლმე მას) ცხოვრებასა და მოღვაწეობას NBC-ის კორესპონდენტი.

მე და ჩემი მეგობარი თამარ კაჭახიძე 15 მაისს დილიდან მანჰეტენის ქუჩებში დავბოდილობდით და პირადად მე ისე სავსე ვიყავი ნიუ-იორკის შთაბეჭდილებებით, მართალი გითხრათ, სინატრას გარდაცვალება მაშინ არც მომგონებია, მაგრამ, როცა მედისონ სტრიტზე ერთ მყუდრო ბარში ყავის დასალევად შევედი და დარბაზიდან დაბალ ხმაზე ძალიან ნაცნობი მელოდია მომესმა გამახსენდა, რომ გუშინ ამერიკას უსაყვარლესი შვილი მოუკვდა, მას ასაკის მიუხედავად, მაინც ნიუ-იორკის „ძველ ბიჭს“ ეძახდნენ. ამ კაფეში, ჭერში, დიდი ტელევიზორი იყო გამოკიდული და კარგად გავიგონე, როგორ უთხრა რეპორტიორს ქუჩაში გამვლელმა ერთმა კაცმა, ნიუ-იორკი მძიმე და დაუნდობელი ქალაქია, ფრენკ სინატრა ამ ქალაქში სიცოცხლეს გვიადვილებდაო.

სალამოს მე და ჩემი მეგობარი თამარიკო ჩაიზე ვიყავით დაპატივებული გაეროს ჩვენი ქართველი წარმომადგენლის დავით ჩიკვაიძის ოჯახში. მათი ცათამბჯენი ზედ მდინარის პირასაა აღმართული. 27-ე სართულზე ცხოვრობენ. სამივე ოთახის ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი გაჩახჩახებული ნიუ-იორკი, რომელსაც, როგორც ამბობენ, არასოდეს სძინავს. სწორედ აქ, ამ ქართულ ოჯახში, მეგობრების წრეში, კიდევ ერთხელ შეგვახსენა ნიუ-იორკმა,

რომ დღეს მისი გლოვის დღეა და დაგვანახა, რა ლამაზი და სულისშემძვრელი გლოვა შეძლება მას. უვარსკვლავო, შავ ცაზე უშველებელი „ცისფერი თვალე-ბივით“ ლურჯად ანათებდნენ „ემფაია სთეით ბილდინგის“, „კრაისლერ ბილ-დინგის“ და სხვა ცნობილი ცათამბჯენების კოშკურები. გლოვობდა ნიუ-იორკი და შენ, ათას შენნაირ ჩამოსულ სტუმართან ერთად ამ საყოველთაო გლოვის უშუალო მონაწილე და მოზიარე ხდებოდი.

16-ში დილას აეროპორტში გაზეთები მოვითხოვე. ბუნებრივია, არც გამკვირვებია, რომ თითქმის ყველა დიდი და მომცრო გაზეთის პირველი გვერდი სინატრას სურათებით იყო მოფენილი. სარედაქტორო გვერდებიც თითქმის მთლიანად მას ეთმობოდა. ეტყობა, მიუჩვევლობისგან მე გამოაცა და აღმაფრთოვანა იმან, რომ აქ მოჭარბებით ვერ შეხვდებოდი ნეკროლოგებს მთავრობის წარმომადგენლებისგან, გამოჩენილი კოლეგების და სახელმწიფო მოღვაწეებისაგან.

ინტერვიუების ადრესატები ძირითადად იყვნენ მომღერლის ბავშვობის ამხანაგები, საყვარელი იტალიური რესტორნების და ლას-ვეგასის კაზინოების მეპატრონეები, პიცერიის გამყიდველები, ბარმენები, პირადი მდივნები, მძლო-ლები, 50-60-იანი წლების მივიწყებული მომღერლები, უბრალო თავყვანისმცემ-ლები და, რა თქმა უნდა, სინატრას ფანატიკოსები.

სტატიაში, რომლის სათაურია „იგი ამას თავისებურად აკეთებდა“, ეწერა: „იგი იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო პრეზიდენტისთვის და სხვებისთვისაც მხარ-ზე ხელი შემოერთყა და „ბეიბიო“ ეთქვა. და მიუხედავად ამისა, არასდროს ყოფი-ლა ჩვენი უფროსი ძმა, ყოველთვის ფრენკი იყო და ასეთი წავიდა ჩვენგან“.

მეორე სტატიის ავტორი წერს: „როცა ისტორიკოსები შეერთებული შტატე-ბის 50-60-იანი წლების პროცესების ღრმა შესწავლას გადაწყვეტენ, მათ კარ-გად უნდა მოუსმინონ სინატრას უნიკალურ ბარიტონს, რადგან სწორედ მასშია იმდროინდელი ამერიკის სუნთქვის ხმა და რიტმი“.

17 მაისს კვირას, ტელევიზიით უკვე რამდენიმე ფილმი აჩვენეს სინატრას მონაწილეობით. ერთს ასეთი შესავალი ჰქონდა: „ნამდვილი ამერიკელი ბიჭი, ლამაზი, ოდნავ მოთავხედო ამერიკული ღიმილით, მასში აისახა სრულიად ამე-რიკის ოცნება და თავად გადაიქცა ერთ უმშვენიერეს ლეგენდად“.

როცა ამ წერილს ვწერ, CNN აცხადებს, რომ ფრენკ სინატრას ფერფლს მის მშობლიურ ნიუ-ჯერსიში დაასვენებენო. მე კი ჩემთვის ვფიქრობ, რომ იმ სიყ-ვარულის შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა ხალხმა „ცისფერთვალა მოხუცს“ გამოუცხადა, აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, ამერიკის რომელ კუთხეში დასვენდება სინატრას ფერფლი, რადგან ამ უშველებელი მიწის ყოველი გოჯი თურმე მისი ტკბილი სიმღერის ჰანგით ყო-ფილა გამთბარი.

*სპეციალურად „დილის გაზეთისათვის“ კოლუმბია, მისური, აშშ.
გაზ. „დილის გაზეთი“, 19 მაისი, 1998 წელი.*

ნურავის ეგონება, ამერიკაში სულ საქართველოზე ფიქრობენ

სულ რამდენიმე დღის წინათ პატივი მერგო თბილისში მეგზურობა გამენია „ამერიკის ხმის“ საქართველოს განყოფილების რედაქტორისა და წამყვანის ეთერ ფიჩხაძისათვის. ქალბატონი ეთერი თბილისში დაიბადა, ერთხანს ოჯახთან ერთად სოხუმში ცხოვრობდა, ორჯონიკიძის ქუჩაზე, შემდეგ, 1960 წელს, კვლავ დაუბრუნდა დედაქალაქს და 1975-ში თავის ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში, გადავიდა საცხოვრებლად. თითქმის ორი ათეული წელია, იგი საქართველოს ამბებს გადასცემს ამერიკის ხმით, მაგრამ აღარ უნახავს საქართველო.

„სიამოვნება, მაგრამ თან საქმე“, სწორედ ასე შეიძლება ვუწოდოთ პრინციპს, რომლითაც ჩვენი, ეგრეთ ნოდებულები, ავტოექსკურსია მოეწყო თბილისის უბნებში, მობილური ტელეფონის გაბმული ზარის ფონზე. დროის სიძვირისა და უსაშველოდ დატვირთული დღის წესრიგის გამო, ელვისებურად ჩავუქროლეთ დედაქალაქის რამდენიმე ღირსშესანიშნაობას და ნახევარი საათით ვესტუმრეთ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდს. ექსკურსიამძღოლს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ერთსაათიანი პროგრამა ოცდაათ ნუთში ჩაეტია, მაგრამ პროფესიონალიზმმა იმძლავრა — სტუმრების ინტერესი სავსებით დააკმაყოფილა, მეტიც, დროის ამ მოკლე მონაკვეთში გიდმა ისიც კი მოასწრო, სტუმრებს გამოცნაურებოდა და, როცა გაიგო ქალბატონ ეთერის ვინაობა, თქვა — სისტემატურად გისმენთ და თქვენი ხმა ძალიან კარგად ვიცო. სამწუხაროდ, საუბარი ამას აღარ გაცდენია. მშვენიერი ექსკურსიამძღოლი სხვა ჯგუფმა მოგვტაცა, სამაგიეროდ, იქვე გაჩნდა „ამერიკის ხმის“ მეორე, უკვე ძველი თაყვანისმცემელი, საექსკურსიო ბიუროს ხელმძღვანელი, ქალბატონი ბაია ტყეშელაშვილი.

სულ რაღაც ორმოცდახუთ ნუთში ქალბატონი ეთერი იუსტიციის სამინისტროში უნდა ყოფილიყო პრესკონფერენციაზე. ბაია ტყეშელაშვილი სწორედ ისეთი რესპოდენტი ჩანდა, არც ერთი ალღოიანი ჟურნალისტი ხელიდან რომ არ გაუშვებს, თანაც საუბრისას აღმოჩნდა, რომ მას და ქალბატონ ეთერს, მართალია სხვადასხვა დროს, მაგრამ თბილისის ერთ უბანში („ზემელზე“), გაბაშვილის ქუჩა N10-სა N3-ში უცხოვრიათ.

ქალბატონი ეთერი ხელოვნების მუზეუმში ამდენი წლის შემდეგ პირველად იმყოფებოდა და უაღრესად გაახარა იმ ფაქტმა, რომ ოქროს ფონდში ბევრი ახალგაზრდა იხილა. ბაია ტყეშელაშვილმა ამაზე ასეთი პასუხი გასცა: „ჩვენს პედაგოგებს ამაში არაფერს უნდოდა, და მაინც, ისინი ბავშვებთან ერთად ფულს აგროვებენ და ასე მოჰყავთ საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და ხელოვნების გაცანობად. ამაში მათ შეძლებისდაგვარად მუზეუმიც ეხმარება. აბა, ხელოვნების გარეშე როგორ შეიძლება ადამიანის აღზრდა“.

— რა მისიით ხართ ჩამოსული?

— ტაბახმელაში შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტო და განათლების განვითარების აკადემია მართავს ქალთა კონფერენციას. ამერიკულმა ფონდმა „ფის ლინკს“ და „ამერიკის ხმამ“ ერთობლივად გადამწყვიტეს ევრაზიის განყოფილებიდან გამოეგზავნათ ჟურნალისტები. ასე აღმოვჩნდით საქართველოში მე და სომხეთის განყოფილების უფროსი ქალბატონი არაქსი ვენი. თითქოს სულ საქართველოს პრობლემებით ვარ დაკავებული, მიმდინარე მოვლენების საქმის ყურში ვარ, მაგრამ ხომ იცით, ასჯერ გავგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. თანაც ოცდასამი წელია არ ვყოფილვარ ჩემს სამშობლოში, საქართველოში. ჩემი მისია, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება ამ კონფერენციით, რადგანაც მინდა იმ ხალხს შევხედე, ვისაც ვიზუალურად არც კი ვიცნობ, არადა, ჩემი რესპონდენტები არიან, თითქმის ყოველდღე ვესაუბრები. მინდა ვიცოდე, რა სტკივა ქართველ მოქალაქეს, რადგან მე მიმყავს რუბრიკა „ქართველები უცხოეთში — ქართველები ამერიკაში“ და ასევე რუბრიკა „ამერიკელები საქართველოს შესახებ“. უფრო სწორად, საქართველო ამერიკელების თვალთ. და აი, ეს რუბრიკა აინტერესებს ჩვენს მსმენელებს. როგორ ხედავენ ამერიკელები საქართველოში მიმდინარე პროცესებს, პრობლემებს, როგორ ეხმარებიან, რა ურთიერთობებია დამყარებული. აი, მაგალითად სულ ახლახან მქონდა გადაცემა პატარა თორნიკეს გადარჩენაზე. ორმა ამერიკელმა წყვილმა სპონსორობა გაუწია თირკმლებით დაავადებულ ბავშვს და ფილადელფიაში ოპერაცია გაუკეთა. თორნიკეს გადარჩენის ამბავი ბევრი გაზეთით გაშუქდა. რა თქმა უნდა, არც ასეთი თორნიკეა საქართველოში ბევრი და არც ასეთი ამერიკელები არიან ამერიკაში მრავლად, მაგრამ კეთილი საქმე, ხომ იცით, ყოველთვის თუ არა, ხანდახან მაინც გადამდებია. ჩვენ უფრო პოლიტიკურ ასპექტებს ვაშუქებთ ხოლმე, ამერიკელი და ქართველი ლიდერების თანამშრომლობას, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს, მის მომავალ პერსპექტივებს. ისე, ნურავის ეგონება, რომ ამერიკაში სულ საქართველოზე ფიქრობენ. მართალია, ჩვენ გვინდა, ჩვენი სატკივარი მეტმა ქვეყანამ გაიზიაროს, მეტს ზრუნავდნენ ჩვენზე, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობაში ეს ასე არ არის. ჩვენს თავს ჩვენზე უკეთ ვერავინ მოუფლის, ხოლო კარგი საერთაშორისო კონტაქტები, რა თქმა უნდა, არ გვანწყენს, ისევე ჩვენს კეთილდღეობას წაადგება.

მე, სამწუხაროდ, ძალიან მცირე ხნით ვარ ჩამოსული და მინდა, რაც შეიძლება მეტი გავიგო, მეტი აღვიქვა, ეს ძალზე მენხმარება. უფრო ახლებურად და რეალურად აღვიქვა საქართველოს დღევანდელი დღე, უფრო მეტი და ახალი კითხვები გამიჩნდება აქედან გაცვლითი პროგრამებით, სამუშაოდ თუ ბედის საძიებლად წასული ქართველებისადმი. ძალიან მაინტერესებს აქაურების დამოკიდებულება მათ მიმართ. კრიტიკულად აფასებენ ამ მოვლენებს თუ დადებითად. ისე, ნაწილი მაინც თუ დაბრუნდა, საქართველოსთვის მაინც კარგია.

ჩემს მისიაზე, ალბათ, წასვლის წინ უფრო მეტს გეტყვით, რადგან იმდენი

იდეა, პროექტი და გეგმა მაქვს, შეიძლება ასმაგად შევასრულო, რაც ჩავიფიქრე და შეიძლება იმის ნახევარიც ვერ მოვახერხო.

— თქვენ განსაკუთრებით დაინტერესებული ხართ ქალების პრობლემებით...

— მე ასეთი რუბრიკა მაქვს: „ქალებისათვის“. გადაცემა მიმყავს ორ კვირაში ერთხელ. ასე რომ, ეს კონფერენცია ჩემი პირდაპირი ინტერესის სფეროა. სიტყვა „ფემინისტ“ ჩემთვის ძალიან უარყოფითი უღერადობა აქვს. რა შუაშია „იზმი“. მე დავიბადე ქალად, ვიღაც — მამაკაცად. ქალი ხარ, თუ კაცი, უნდა იყო კარგი მოქალაქე, თუ ქალი ხარ, ყველაფერთან ერთად, უნდა იყო კარგი დედა, ხოლო, თუ კაცი — კარგი მამა, მეოჯახე, მამულიშვილი. რაც შეეხება ქალთა უფლებებს, ამაზეც მოგახსენებთ: რა თქმა უნდა, არიან უუფლებო ქალები, და ეს შეიძლება სოციალურ სფეროსაც სცილდებოდეს. ამ კონფერენციაზე, რამდენადაც ვიცე, სწორედ ქალთა უფლებებზე იქნება გამახვილებული ყურადღება. ვფიქრობ, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ქალთა უფლებები არ ირღვევა.

ხშირად ხდება, რომ კონფერენცია საოცრად საინტერესოდ მიმდინარეობს, დიდ მიზნებს ისახავს, მაგრამ, დასრულდება თუ არა, ეს მიზნები და ამოცანები ლიტონ სჯა-ბაასად რჩება ხოლმე. როგორც მომახსენეს, ეს კონფერენცია განსაკუთრებით საქმიანი და შედეგიანი უნდა იყოს. და თუ ეს გამართლდა, მაშინ ნამდვილად სასიკეთო საქმეს ჩაეყრება საფუძველი.

ქალთა კონფერენცია ჩემი პროგრამის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ ჩამოვლენ წარმომადგენლები ამიერკავკასიის ქვეყნებიდან. ჩამოსულია ამერიკის დელეგაცია. ის, თუ რა არის ამიერკავკასიელ და ამერიკელ ქალთა პრობლემებში იდენტური და რა — განსხვავებული, ეს სერიოზული თემაა. აქ მე საშუალება მომეცა, პირადად გავესაუბრო ამ ქალებს. გავიგო მათი ტკივილი, ინტერესები. ძალზე მაინტერესებს ის ორმაგი პრობლემა, რომელიც ლტოლვილ ქალებს აწუხებს. თემები უთვალავია, ქალი, მოგეხსენებათ, იმდენად დიდი და მრავლისმომცველია, ჩემი რუბრიკა კი არა, მას მთელი სამყაროს ფილოსოფია ვერ ამონურავს.

კიდევ, იმისი იმედი მაქვს, რომ კონფერენციის მონაწილე საქართველოს ქალებს შორის აღმოჩნდებიან ჩემი გადაცემის მსმენელებიც და მე მათგან სასარგებლო რჩევებსა და რეკომენდაციებს მივიღებ. ამის შემდეგ უკეთ მეცოდინება, ვის ვესაუბრები. ეს გადაცემას მეტ რეალისტურობას და, რაღა თქმა უნდა, სიტბოს შემატებს. ჩემთვისაც უფრო ადვილი იქნება კონტაქტი ცოცხალ და არა რალაც ეფემერულ სახეებთან. ნუ დაივინყებთ, მე ჩემს სამშობლოს, საქართველოს, ოცდასამი წელი მაშორებს. ეს ხომ ადამიანის ცხოვრების თითქმის მეოთხედია.

გაზ. „დილის გაზეთი“, 3 ოქტომბერი, 1998 წელი.

მწერალი პასუხს აგებს ყველაფერზე

გურამ ასათიანთან საათობით მისაუბრია ათას წვრილმანზე. ბევრი რამ კარგად მახსოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო მეტი დამავიწყდა. დიდი ადამიანები იმდენად „უბრალონი“ არიან, მათთან გატარებული წუთების მნიშვნელობას, როგორც წესი, ვერა გრძნობ ხოლმე. მერე უზომოდ გენატრებიან და მათ ნაღვანში იწყებ გაუთავებელ ფათურს. ეგებ, რაღაც უხილავი სიმებით ოდნავ მაინც მიუახლოვდე იმათ სახეებს და წლების წინათ განყვეტილი საუბარი აღადგინო.

— ბატონო გურამ, თქვენ იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნით, ვისაც ყოველთვის, როგორც ცოცხალს, ისე აღიქვამენ. ან ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში მათ ნააზრევს მოიხმობენ ხოლმე და დასძენენ, ეგ რომ ცოცხალი ყოფილიყო, ქვეყნის ჩარხი სულ სხვაგვარად დატრიალდებოდაო. დღეს ქართველი მწერლები, სამწუხაროდ, ვეღარ უდგანან მხარში თავის ერს, მაგრამ საქმე ის არის, რომ აღარც ერი ილტვის მაინცდამაინც თავისი მწერლებისაკენ. ამ გაუსაძლის დღევანდელობაში ხომ არ დაავიწყდათ ქართველ შემოქმედთ თავიანთი უპირველესი მოვალეობა?

— ...მწერალი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც მის გარშემო ხდება. იგი პასუხისმგებელია ყველაფრის გამო, რისი გაკეთებაც შეეძლო და რაზეც, პროფესიული ქედმაღლობისა თუ ჩვეულებრივი სიმხდალის მიზეზით, ხელის გასვრა არ ინება.

ქართველი მწერლობა არასოდეს ყოფილა გულგრილი ეროვნული განსაცდელის მიმართ და, თუ ამას საქმე მოითხოვდა, მისი ღირსეული წარმომადგენლები უბრალო „დღიურმუშის“ მძიმე ტვირთსაც არ თაკილობდნენ. დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე ასეთი გადაუდებელი ამოცანა დგას და არ არსებობს სხვა მიზანი, სხვა საქმე, რომელიც ამ საზრუნავზე უარის თქმას ან ოდნავ დაუდევრობას ამართლებდეს.

არ არსებობს გამართლება, რომლის გამო ჩვენ ეს სამარცხვინო გულგრილობა გვეპატიოს.

— მაინც რამ მოიტანა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ასეთი დეპრესია, გაუცხოება და ინდიფერენტიზმი?

— ქართულ სინამდვილეში მოხდა იშვიათი (თუმცა არა უპრეცედენტო) ფაქტი: საზოგადოების სულიერი აღზრდისა და აღზევებისათვის მონოდებულ ადამიანთა რიგებს შეერივნენ პიროვნებები, რომელთაც პირადი წარმატებისა და მატერიალური კეთილდღეობის კერპი თავიანთ მთავარ ღვთაებად აღიარეს.

„ანტიინტელიგენტიზმი“ შეძლო მისთვის სანუკვარ სფეროში შეღწევა და ფაქიზი მასალის შიგნიდან გამოლრღნა მოინდომა.

მაგრამ ქართველი ინტელიგენციის სალი ნაწილი ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქვეყნის სამსახური ნამდვილ მსხვერპლსა და უანგარობას მოითხოვდა.

— ნახევარი საქართველო უცხოეთში გადაიხვევნა, მიდიან ბედის საძიებლად, ფულის საშოვნელად, განათლების მისაღებად, ოჯახების შესაქმნელად. ნასული ბევრი გვინახავს, უკან დაბრუნებული კი — ნაკლებად. ვინც დაბრუნდა, ისეა განაზებული, მარსიდან ჩამოფრენილი გეგონება. აღარაფერი აკმაყოფილებს, ველარ ეგუება აქაურ რეალობას და ისევ გაქცევაზე უჭირავს თვალი. საოცარი ის არის, რომ ჩვენ, „ძველები“ ამ პროცესს გულწრფელად მივესალმებით, მეტიც, იმედის თვალით შევყურებთ და შთამომავლობის განათლებისა და განვითარებისათვის ზრუნვას ვეძახით.

— შთამომავლებისათვის ზრუნვა ბიოლოგიური ინსტინქტია, მაგრამ საქმე ის არის, რამდენად ადამიანური, რამდენად ჰუმანური ხასიათისაა ჩვენი წარმოდგენა ამ ზრუნვის შესახებ.

საქართველოს ხვალინდელ დღეს სრულიად სხვა კატეგორიის ადამიანები ქმნიან: უნიჭიერესი, უაღრესად განათლებული, უმაგალითოდ ფართო გონებრივი ჰორიზონტის ახალგაზრდები, რომელნიც კანონიერი სიამაყითა და იმედის გრძნობით გვივსებენ გულს.

მაგრამ მათ გვერდით არსებობს „გამონაკლისი“. არსებობენ „ერთეულები“ და ამ „ერთეულთა“ რიცხვი დღითი დღე იზრდება. რაც შეეხება უცხოეთის გამოცდილებას, ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ უნდა გადმოვიღოთ მათგან, ვინც ჩვენზე წინ წავიდა ცივილიზაციის თანამედროვე გზაზე, — სიბეჯითე, მომჭირნეობაც, გამჭირახობაც, ყაირათიც, მაგრამ ისე, რომ ჩვენი არსი არ შეიბღალოს — არა მხოლოდ კოლორიტი, არა მხოლოდ გარეგანი იერი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, არსი, ბუნება, შინაგანი კონსტიტუცია.

ზუსტად არ მახსოვს, ვისი სიტყვებია: „ვიდრე ამ ქვეყნად ერთი ქართველი მაინც დარჩება, საქართველო იარსებებს“.

შეიძლება ამ აზრის სხვანაირად შეტრიალება: საქართველო იარსებებს მანამ, ვიდრე იარსებებს ქართული სული.

— მაინც როგორია, ბატონო გურამ, ქართული სული, ქართული ხასიათი?

— ქართული ხასიათი თავდავიწყებით ელტვის სულიერებას („ცისა ფერს“, „სამუდამო მხარეს“), მაგრამ, ცოცხალი გამხელილი ჯობს (თუკი ეს ცოცხაა), ამ მაღალ სფეროებს მიღწეული, დიხანს ვერ ძლებს წმინდა სულიერების საუფლოში, მალე წყინდება იქ, სისხლი ეყინება, მინიერი დარდი ალონებს („სამუდამო მხარეში მუდამ სიმწუხარეა...“).

ასევე მძაფრი და ძალუმი მისი სიყვარული ყოველივე ამქვეყნიურისადმი, „ამა ქვეყნისა სიამეთადმი“, ცოცხალი საგნებისადმი, მატერიისადმი და მაინც, მატერიალური კმაყოფილების (ფართო გაგებით), ამქვეყნიურ საწადელს ნაზიარები ასევე მალე იმსჭვალება სულის მოუსვენრობით, ამაღლებულზე ოცნებით, იდეალის წყურვილით.

საქართველოს ნამდვილი სიყვარული ქართული სულის მიერ მოპოვებული მწვერვალებისადმი ერთგულებას უნდა ემყარებოდეს. მისი ნათელი, პრომეთე-

სეული ბუნების ამაყ შეგნებას, მტერი და დუშმანი ყოველთვის გვყავდა, მაგრამ რა გამოვიდოდა, მისი ძლევის მიზნით ჩვენც რომ მზაკვრობა და სიმუხთლე გაგვეხადა სალოცავ კერპად.

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სეული, არამედ ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა.

იმ დიდ წარღვნებს გადარჩენილი საუნჯის დღევანდელ პირობებში დათმობა, სხვა რომ არ იყოს, სრული ბედოვლათობა იქნებოდა.

— დღეს ძალზე შორსა ვართ (და შესაძლოა, ჩვენთვის ასეც სჯობს) მაღალი მატერიებისაგან, პათეტიკისა და ჰეროიზმისაგან. ჰეროიზმი არც სხვისი გვხიბლავს და საკუთარისგან ხომ, ღმერთმა დაგვიფაროს. ასეთი რამის არა მარტო განცდა, ნაკითხვაც კი აღარ გვინდა. უღიმღამო ყოფამ და ნიჰილიზმმა შეჭამა ჰეროიკული ქართული სული. სასაცილოდ არ ყოფნის დღეს ქართველს, „არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, ხოლო „სახელის მოხვეჭის“ იდეის შინაარსი ისე დაშორდა მის პირვანდელ არსს, რომ მის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულადაა მიჩნეული.

— „სახელის მოხვეჭის“ გარეშე ქართული ხასიათი გაუგებარია. ამიტომ იყო, ალბათ, რომ ყველა დროის პოეტები და მორალისტები ქართველ კაცს ერთს უჩიჩინებდნენ: ყველაზე დიდი სახელი მამულისთვის თავდადებით მოიხვეჭებო.

პოეტის თავდადება დაინწყებას არ ეძლევა. ლადო ასათიანი ბრძოლის ველზე არ დაცემულა. ის მაინც წინაპართა მეომრულ უკვდავებას ეზიარა, რადგან თავისი ლექსით, თავისი დაუღალავი სიმღერით ზედ დააკვდა ქართულ მიწას, მის სიყვარულში, მასზე ფიქრით დაიფერფლა და ჭაბუკური თრთოლვა ჩვენც გადმოგვედო...

„...რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი.

თუ მამულს თავი არ ანაცვალე?

ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,

მეც ქართველი ვარ და ეს მანვალებს!“

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ სტრიქონებზე დღევანდელი ოცდაექვსი წლის ქართველები?

არსად ვმუშაობ, ვზივარ და ვმღერი

მამუკა ჩარკვიანი მიყვება: ერთხელ, შუადღისას, ჩემებთან გადავედი და მამაჩემი ლოგინში დამხვდა ჩანოლილი. ავად ხომ არა ხარ-მეთქი, ვკითხე. არაო, მიპასუხა, უბრალოდ, „ალიონში“ გნახე დილას, „ღამე მშვიდობისას“ მღეროდი. მერე რა-მეთქი, ჩავეკითხე, გადავბრუნდი და დავიძინეო.

— თუ გიფიქრია ოდესმე, სცენაზე რომ იმღერებდი, საჯაროდ?

— არასოდეს. თუმცა სტუდენტობის დროს მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს ინსტრუმენტული ჯგუფი გვკონდა შექმნილი და ერთი-ორჯერ სტუდენტურ დღეებზე გვიმღერია ქართული სიმღერები „ბითლზების“ გავლენით. ისე, სუფრაზე ვმღეროდი ხოლმე. ჩემი სტილი მაინც ცალკე სიმღერაა. გიტარაზე 7-8 წლიდან ვუკრავ. ცოტა, მე რომ მყოფნის ისე, ფორტეპიანოზეც შემიძლია სიმღერის შესრულება. აქაც და იქაც თვითნასწავლი მუსიკოსი ვარ. პირველი საკუთარი სიმღერა 16 წლისამ დავწერე. „თეა“ ერქვა, იმას მოჰყვა „ჩამოთოვა ისევ“, შემდეგ — „ბეთანია“ და მერე აღარ მახსოვს. ძირითადად, ჯანსუღის ლექსებზე ვწერ სიმღერებს. 30 ლექსი გავუმუსიკე. ჩემს თავს ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის რეჟისორს ვეძახი.

— რატომ მაინცდამაინც ჯანსუღის?

— იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მამაა და მიყვარს, მერე, მომწონს მისი პოეზია დაბოლოს, რაც მთავარია, მის პოზიციას ვეთანხმები. განსაკუთრებით, მამულთან მიმართებაში.

მამათა და შვილთა ტრადიციული ომი, რა თქმა უნდა, მე და მამაჩემმაც გადავიტანეთ და ბოლოს, ისევ სიმღერამ და ლექსმა გაგვიყვანა სამშვიდობოზე.

მამაჩემის ლექსები მე არ ამომიჩემებია. სხვა კომპოზიტორებს უფრო მეტი სიმღერები აქვთ მის ტექსტებზე დანერგილი. მიყვარს უკვე შექმნილი ლექსისთვის მუსიკის მისადაგება და არა პირიქით — მუსიკაზე ლექსის მირითმვა, ამას ხომ ყოველი მეორე რითმის ხელოსანი აკეთებს. ლექსის არჩევა ჩემთვის ურთულესი პროცესია. სიმღერა — ჩემი სულიერი მე, როცა ამ ორს შორის ჰარმონიას ვაღწევ, ყველაზე ბედნიერი მაშინ ვარ. ეს სულის გაშიშვლებას შემიძლია შევადარო.

— გაშიშვლებას ვის წინაშე?

— უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის და ჩემი მსმენელის წინაშე. თუ შენ არ იტყუები, მე კი მსმენელს ვერასოდეს მოვატყუებ, ისიც ზუსტად იმავეს განიცდის, რასაც შენ. შენი თანამოაზრე ხდება, სულით ნათესავი. ამაზე დიდი ბედნიერება განა არის რამე?

— მაინც როგორ მოხვდი სცენაზე? მახსოვს, ესტრადისგან სრულიად საპირისპირო ატმოსფეროში მუშაობდი.

— გაინტერესებს, სად ვმუშაობდი? ახლავე გეტყვი: 78 წლიდან — კომკავ-

შირის ცეკასთან არსებულ შემოქმედი ახალგაზრდობის ცენტრში. შემდეგ კალინინის (ახლა მთაწმინდის) რაიონის რაიკომის მეორე მდივანი ვიყავი, 85-90 წლებში — საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ერთი-ორი წელი მთავრობის მეთაურის აპარატში ვიმუშავე კულტურის დარგში მრჩეველად. იქიდან ქალაქის კულტურის სამმართველოში გადავედი რიგით თანამშრომლად. ახლა ეს სამმართველო თითქმის გაუქმებულია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, არსად ვმუშაობ, ვზივარ და ვმღერი. ლუკმაპურსაც ამით ვშოულობ. საკმაოდ მაღალ ჰონორარს მიხდიან.

— ეს სად?

— ძირითადად, ღამის კლუბებში. ამას წინათ, მაგალითად, ვიმღერე ვერის ბაღის კლუბ „ელიტაში“. ღამის კლუბებს თავისი მსმენელი ჰყავს, ისეთი, ძვირადღირებული ბილეთის ყიდვა რომ შეუძლია. იქ ჩემი ღარიბი ამხანაგები ვერ მოდიან. მათთვის სხვაგან ვმღერი. მალე ხელოვნების მუშაკთა სახლში გავმართავ საღამოს და იქ ყველა ჩემს ახლობელს თავად დავპატიჟებ.

— მარტო შენს სიმღერებს მღერი, თუ სხვისასაც გაურევ ხოლმე?

— ადრე სხვის სიმღერებსაც ბლომად ვმღეროდი. მერე ჩემი რომ დამიგროვდა, სხვისი აღარ მიმღერია.

— ლექსი თუ დაგიწერია?

— ორად ორი, ისიც ბავშვობაში. მამაჩემს წაუკეთხე ომახიანად და იმან მითხრა, ოჯახში ერთი პოეტი სრულიად საკმარისიაო. ალბათ, მართალი იყო.

— ყველაზე დიდმა ტკივილმა რომელი სიმღერა დაგანერინა?

— ყველაზე დიდმა ტკივილმა ბევრი სიმღერა დამანერინა. ტკივილი — ტკივილია, ვინ გაზომა მისი საზღვრები?! აუტანელმა ტკივილმა დამანერინა ბლუზი საყვარელი გოგონას გარდაცვალების გამო. აფხაზეთის ტკივილს სულში რომ ვეღარ ვიტევდი, „ჰიმნი თავისუფლებაზე“ დავწერე. ეს სიმღერა პირველად „ქართულ ხმებთან“ ერთად შევასრულე. დიდმა ტკივილმა და სიყვარულმა დამანერინა „ღამაში ქალი სანაპიროზე“. ტკივილი დიდი სიხარულის განუყოფელი ნაწილიცაა. ყველაზე კარგად მაშინ ვარ, როცა ვმღერი. ხასიათით ოპტიმისტი ვარ, უკეთესის იმედს არასდროს ვკარგავ. თუმცა ჩემი ქვეყანა, ბანალურად რომ ვთქვათ, მაინც უკეთესი მინდა რომ იყოს. ზუსტად ისე მიჭირს, როგორც ჩემს ქვეყანას, ჩემს სამეგობროს. იმ ჰაერით ვსუნთქავ, ისე ვხარობ და ისე მტკივა, ხბოს აღტაცებას ნამდვილად ვერ დავიჩემებ, მაგრამ უკეთესის იმედსა და ღამაზე ოცნებას ყოველთვის ვებლაუჭები ხოლმე. აი, ახლა დეკემბერში ბაბუა უნდა გავხდე. ესე იგი, კიდევ ერთი დიდი ბედნიერების მომლოდინე ვარ. ბენიერება მგონია ისიც, რომ სცენიდან სიმღერებით ჩემი სათქმელის საშუალება მეძლევა. ამაში მეგობრების დიდი წვლილია. სწორედ მათ გამაბედინეს საჯაროდ მემღერა. სიმღერამ ბავშვობიდანვე უამრავი მეგობარი შემძინა და დროთა განმავლობაში ჩემი საკუთარი, ძალიან მკაცრი, მომთხონი და ობიექტური მსმენელიც გამიჩნდა. მათ „ხალტურას“ ვერ შეაჩერებ. იმათგან

ბევრი ვისწავლე და ახლა მიმაჩნია, რომ იმას ვაკეთებ, რაც ვიცი. აბა, ბიზნესი მე არ მეხრებება, ფულზე კი საერთოდ ვერ ვლაპარაკობ.

* * *

ეს ინტერვიუ ალბათ დაუსრულებელ დიალოგად გადაიქცეოდა, მამუკა ჩარკვიანს გიტარა რომ არ აელო ხელში. მიხვდა, სათქმელს უკეთესად სიმღერით რომ მეტყოდა. აკი ასეც მოხდა. მე მას ვუსმენდი და აღტაცების მაგივრად სევდა ჩამიდგა სულში. ჩემი და მამუკას თაობის შემოქმედ ახალგაზრდობას ქვეყნის ორომტრიალმა ზუსტად იმ ფაზაში მიუსწრო, ეგრეთ ნოდებულ, ბოჰემური პერიოდის „ბატონებს“ რომ იხდიდნენ. ხელის შეწყობისა და დაყვავების ნაცვლად კი ყოველი მხრიდან მორალურ თუ ფიზიკურ დარტყმას დარტყმაზე იღებდნენ. ბევრს უბრალო „ბატონები“ უკურნებელ სენში გადაეზარდა და ასე დაიკარგა თითქმის მთლიანად ერთი ნიჭიერი, იმედისმომცემი თაობა. დუქან-დუქან, სარდაფ-სარდაფ გაიფანტა და ზოგის სახელიც კი დავინწყებას მიეცა. მამუკას სურათებს დავყურებ და იქიდან სწორედ იმ ორომტრიალში, იმ სასტიკ ქარბორბალაში გახლართული მისი სახე მიმზერს. დიახ, ასეთი მამუკაც მახსოვს — თაობასთან ერთად დასაკარგად განწირული მამუკა. ღმერთო, რა ბედნიერებაა, ერთ პატარა მარგალიტს მაინც რომ გამოგლეჯ, ხოლმე გამძვინვარებულ კაეშანს, სამშვიდობოს გამოიყვან და ხმის ჩახრინწვამდე ამღერებ:

„არა თაყვანი სცე სხვას,
არა მსახურებდე სხვას!“

ან „შენზე უსაყვარლესი ქვეყნად არაფერია“.

გაზ. „დილის გაზეთი“, 31 ოქტომბერი, 1998 წელი.

მე ისიც არ ვიცოდი, რომ მამამ ციხე გამოიარა

ფილოსოფოსები ამბობენ, გენიოსების შემდეგ ბუნება მათ შვილებზე ისვენებსო, თანაც დასძენენ, ასე რომ არ იყოს, წარმოიდგინეთ დედამინაზე რა ორომტრიალი ატყოდებოდა, ყველა გენიოსს ზურგს უკან გენიოს შთამომავალთა გრძელი ჯაჭვი რომ მოსდევდესო.

თამარ ნუცუბიძე ნამდვილი გენიოსის, შალვა ნუცუბიძის ქალიშვილია. მას უკვე მეოთხედი საუკუნეა ვიცნობ და მიმაჩნია, რომ მამის შემდეგ ბუნებამ თამარზე დაისვენა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ანუ, ბატონი შალვას ასულს მან მაღალი გემოვნება, გამჭრიახი გონება, სხარტი აზროვნება, კიდევ უფრო

სხარტი იუმორი, სიცოცხლის და ადამიანების სიყვარულის საოცარი ნიჭი, ქალური ხიბლი, ლამაზი ოჯახი და სათნოება გადმოაბერტყა.

სანაცვლოდ კი დაიფარა გენიოსის იმ მძიმე, მღელვარე, მშფოთვარე და ფათერაკიანი ხვედრისგან, რომლის ტარებაც სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ შალვა ნუცუბიძის დარ პიროვნებებს ხელენიფებათ.

— თამარ, შენ ბატონ შალვა ნუცუბიძის და ქალბატონ ქეთევანის ნაბოლარა შვილი ხარ, გვიან გაჩენილი. ალბათ, სხვა შვილებზე მეტად ნაფერები და განებივრებული. მაინც როგორი იყო პატარა გოგონას ბავშვობა ბატონ შალვას ფრთის ქვეშ?

— არ ვიცი, რას გრძნობდნენ გიორგი ბრწყინვალს, კარლოს დიდისა თუ დავით აღმაშენებლის შვილები. მე კი ნამდვილად მეფის ასული მეგონა თავი. გარემო, რომელშიც დავიბადე, ყველანაირად განგანყობდა საამისოდ — ფართო ბინა მოჩუქურთმებული ავეჯით, სარკეებითა და ნატიფი ფაიფურით, მოსამსახურეებით... და, რაც მთავარია, ოჯახის მეთაურით, რომელსაც ყველა ჩვენი სურვილის შესრულება შეეძლო. ვხედავდი, რომ მას ხალხი თაყვანს სცემდა; სადმე საზოგადოებაში რომ გამოვჩნდებოდი, ყველანი ფეხზე დგებოდნენ. თავის გარშემო რალაც განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდა. საიდან ჩამომიყალიბებოდა მძიმე ხასიათი, პესიმიზმი, უიმედობა, როცა ასეთ ზეანულ გარემოში ვიზრდებოდი. ისიც კი არ ვიცოდი, რომ მამამ ციხე გამოიარა, რომ მას სდევნიდნენ, ავინროებდნენ, რომ ყოველი დღე მისთვის ბრძოლის ველზე გასვლა იყო. შინ ის ბრუნდებოდა გამარჯვებული: დედა ჯდებოდა როიალთან, მამა მღეროდა, ჩვენ ვცეკვავდით. ყველაფერი გვიან გავიგე, მაგრამ გენებმა, გარემომ და გაზრდამ თავისი გაიტანა — როგორც ვიცით, ხასიათი, რომელიც ბავშვობაში ყალიბდება, აღარ იცვლება.

— უნივერსიტეტის თეატრის სცენიდან მახსოვხარ „ურიელ აკოსტაში“ ივდითის როლს ასრულებდი. როგორ მოხდა, რომ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პირდაპირ თეატრალურში გადაინაცვლე სამსახიობოზე?

— მამა იყო არტისტი ბუნების, რაც მას გამოარჩევდა მეცნიერთაგან. ჩანს, ცოტაოდენი ამ თვისებიდან მეც გადმომეცა და ერთ დღეს განვუცხადე, რომ მინდა გავხდე მსახიობი. აბა, წამიკითხე რამეო და „ვეფხისტყაოსანი“ გადამიშალა. კარგიაო, შემაქო და შემდეგ ასე მიჩრია — შვილო, ცხოვრება რთულია, თეატრში ცხოვრება კიდევ უფრო რთული. ამიტომ, მოდი, ჯერ საუნივერსიტეტო განათლება მიიღე და თუ შემდეგ სურვილი არ გაგინელდება, შედი თეატრალურშიო. ასეც მოხდა — მამის რჩევით დავამთავრე დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი (ხედავთ, მან წინასწარ განჭვრიტა, რომ ქვეყნის ორიენტაცია ბოლოს დასავლეთისკენ იქნებოდა) და შემდეგ — სამსახიობო. მოსაგონარი ბევრია — ივდითის თამაში კი ერთ-ერთი სასიამოვნო. ხორავას სახელობის მსახიობის სახლი ამ სპექტაკლით გაიხსნა. დაესწრო ვერიკო ანჯაფარიძე. მუზეუმი-

დან მისი კაბა გამოიტანეს და ჩამაცვეს ასლის ასაღებად. მიხეილ თუმანიშვილმა (მაშინ ის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო) მთავარი როლი მათამამა თეატრში: დირექტორი იყო სერგო ზაქარიაძე, რომელიც სპექტაკლის ბოლოს მოვიდა ჩემთან მოსალოცად კულისებში. ჩემი პარტნიორები იყვნენ მედეა ჩახავა, გურამ სალარაძე, მერაბ თავაძე; რეჟისორი — მედეა კუჭუხიძე. ეს იყო არაჩვეულებრივი განცდები, მთელი ცხოვრება რომ გამომყვა.

— გგავს თუ არა შენი პატარა სალომე, ხედავ თუ არა მასში პატარა თამარს და როცა ხედავ, რა გინდა, რომ ამ დროს მოიმოქმედო — ხელი შეუწყო და თავის ნებას მიუშვა, თუ დაამუხრუჭო და სხვა კალაპოტში გადასვა?

— ვოცნებობდი გოგოზე და სალომეს, როგორც ღმერთის საჩუქარს, ისე ვუყურებ. ასეთ საჩუქარს კი კარგი მოვლა უნდა. ჩემი მეუღლე ირაკლი კენჭოშვილი მეუბნება — თუ ნიგნი შეიყვარა, გადარჩენილად ჩათვალო. თვითონ ირაკლი ნიგნების ტყვეობაშია მუდამ, დღეს ეს ცოტა ანაქრონიზმად ჟღერს და ჩვენი ქალიშვილიც ისეთი გატაცებული მკითხველია, რომ ძლივს ვერევით, ასეთი ძალა აქვს ოჯახში მაგალითს. მინდოდა ყოფილიყო ბალერინა, აღნაგობა ხელს უწყობდა, ეს იყო ჩემი აუსრულებელი ოცნება, მაგრამ უარი მითხრა. ხელოვნების რომელიმე დარგი მინდა აირჩიოს — ეს ცხოვრებას ალამაზებს, თუნდაც დროებით. დღეს საოპერო ხელოვნებაზე ვფიქრობთ, თქვენ წარმოიდგინეთ, რალაც მონაცემი აქვს. ოპერა ჩვენს ოჯახში იმთავითვე პატივისცემით სარგებლობდა — მამამ ზეპირად იცოდა არაერთი ცნობილი არია და ხშირად გვიმღეროდა შინ, მეგობრობდა ოპერის მომღერლებთან. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ფოტოხელოვნებაში ზურაბ ანჯაფარიძის პორტრეტი იყო.. ესე იგი, რალაც ტრადიცია არის ოჯახში და, იქნებ, სალომეს სოპრანოზე ამან დადებითად იმოქმედოს.

მის ხასიათში არაფრის შეცვლა არ მინდა. რომც მინდოდეს, ვერაფერს შევცვლი. ოღონდ ვცდილობ, იყოს საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი. არ იყოს მიმბაძველი: სხვის ბედნიერ ქვეყანას თავისი ტანჯული ქვეყანა ერჩიოს და ასეთ მძიმე ვითარებაშიც იმედი და ხალისი არ დაეკარგოს.

— ძალიან დიდი ხანია გიცნობ და ჯერ გაუღიმარი, მონუნუნე არ მინახიხარ. ამ საყოველთაო სიდუხჭირის დროს ისევ შემართულს გხედავ, კაცი იფიქრებს, ნათელი ანწყო და კიდევ უფრო ნათელი მომავალი უნათებს ყოფასო. დარწმუნებული ვარ, არც მთლად ასეა. ამიტომ, ჩვენ, მოღუშულებსა და დეპრესიულებს ხომ არ შემოგვთავაზებდი ცხოვრების გახალისებს პატარ-პატარა რეცეპტებს? გამიგია, ბატონი შალვა კიდევ უფრო ხალისიანი იყო.

— როცა ვიყავი 18-ის, ერთს მოვწონდი და მითხრა — ნეტავი თქვენი თავი 30-ისა მანახა — ასეთი ხალისიანი და მხიარული ხასიათი თუ შეგრჩებათო. ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთი დადარდინებული საზოგადოება ძალიან გავახალისე და მაშინ გავიფიქრე, ნეტა, ის კაცი მხედავდეს ახლა — იტყოდა, ამას არაფერი ეშველა. ჩვენ დავინგერით ამას კი სიცოცხლის ხალისი არ ტოვებსო.

აი, ამას ვუმაღლი მამას — სიცოცხლისადმი სიყვარულს, სიხარულის საოცარ განცდას და იმედით სავსე განწყობას მაშინაც კი, როცა საამისო მიზეზი თითქოს სრულიადაც არ არის, და წარმოიდგინეთ — მაშინ უფრო მეტად. ციხიდან ისეთი ზეანეული გამოვიდა, თითქოს მსოფლიო მოგზაურობიდან დაბრუნდა სტალინს რომ თავისი ხელით გამოვეყვანე და შუბლზე ეკოცნა ჩემთვის, მეც ვიქნებოდი ზეანეული — იტყვის ამის გამგონი ვილაცა. მაგრამ ეს მისი საოცარი ბედი იყო: კამერიდან — კრემლში! ბოლოს, შეუძლოდ რომ გახდა, მეგობრები ეუბნებოდნენ — ავად კი არ ხართ, ბატონო შალვა, არავინ რომ აღარ გებრძვით, იმიტომ ხართ ასეო. აი, ეს ხასიათი გამომაცოლა და რამდენჯერმე მის საფლავთან მიმირბენია და მადლობა დამიძახია — შენი გენი მეხმარება, მამა.

ცხოვრების შუაგულში უნდა იყო მუდამ. ცხოვრება კი საინტერესო ყველა მისი გამოვლენით. ღმერთმა საოცრებაში დაგვასახლა. რაც დროზე გავიაზრებთ ამას, უფრო მეტს მივიღებთ ცხოვრებისაგან და ხალისიც არ მიგვატოვებს. ერთ-ერთ ჩემს დღიურში (თვლა არა აქვს, იმდენია!) ოდესღაც ჩამინერია — თუ აპრილს მოესწარი და ჯანმრთელი ხარ — ბედნიერებაც ეს არის. ხომ ხედავთ, საკუთარი აფორიზმებიც მაქვს!

რეცეპტებიდან კი რამდენიმეს შემოგთავაზებთ:

* მთავარი და მეორეხარისხოვანი არ აგერიოთ ცხოვრებაში;

* შორს ნუ ეძებთ, ის ყოველთვის თქვენს გვერდით არის;

* რისი გაკეთებაც შეიძლება დაღამებამდე, არ გადადოთ დილამდე!

* ეძებთ ყოველთვის მეგობარი. ყოველი ახალი ახალ ძალასა და ინტერესს შეგმატებთ;

* გჯეროდეთ, რომ ოცნებები კი არ გვალატობს, არამედ ჩვენ ვალატობთ ჩვენს ოცნებებს. ამიტომ, მაქსიმალურად გააკეთეთ რაც შეგიძლიათ და დანარჩენი მიანდეთ ღმერთს.

გაზ. „დილის გაზეთი“, 7 ნომბერი, 1998 წელი.

შოკოლადი გვითავდება!

„მე რომ შენხელა ვიყავი, მაშინ ხომ ვიყავი შენხელა?
ჰოდა, ოცდაათი წლის შემდეგ შენც ხომ გახდები ჩემხელა?
ესე იგი, ჩვენს შორის რა განსხვავებაა? არაფერი, რა მნიშვნელობა
აქვს, ვის მეტი ბალანი და ბურღლა აქვს თავზე.
ჩვენ მეგობრები ვართ. შეგვენიოს ცხრა სახარება“.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
ნოდარ დუმბაძე

მანაც საიდან მოვიდა ასეთი კეთილლიმილიანი, უშუალო, ზომიერად მორცხვი და თამამი, ჭკვიანთვალეა ბავშვი ტელევიზიაში-მეთქი, ვფიქრობდი საბავშვო გადაცემა „შოკოლადის მიკროფონის“ ცქერისას და გულდანყვებით ჩუმად ველოდი, როდის დაშტამპავდნენ, გაატუტუცებდნენ და როდის გაუხუნებდნენ ნიჭს მასკულტურის მოქოქელ მანქანაში მოყოლილ ამ მშვენიერ „საზარბაზნე მასალას“. დამეთანხმებით, ამის მაგალითები უხვად არის არა მარტო საქართველოში — მთელ მსოფლიოში. რას იზამ, მასკულტურაც თავისებურ მსხვერპლს მოითხოვს, ხშირად, ყველაზე ძვირფას მსხვერპლს. საბედნიეროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, „შოკოლადის მიკროფონის“ პატარა ნამყვანი, ჯერჯერობით, მაგრად დგას და, როგორც ჩანს, ნარმატებით ებრძვის თავს დატეხილ აურაცხელ „ცთუნებას“. მიუხედავად ასეთი შესავლისა, ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის გმირი მანაც ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი გიორგი ბოკუჩავა არ არის. ეს ამბავი „შოკოლადის მიკროფონის“ იდეის სათავიდან გვიანდა დავინწყით, ანუ შევიხედოთ საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემების, კერძოდ კი, „შოკოლადის მიკროფონის“ ავტორისა და რეჟისორის ზურაბ ინაშვილის შემოქმედებით სამზარეულოში.

— რატომ აირჩიეთ გადაცემისათვის მანაცდამანაც ასეთი ფორმა, რისი მიღწევა, ან, უხეშად რომ ვთქვათ, რისი დამტკიცება გინდოდათ ამ დიალოგებით?

— მე ძალიან ხშირად ვუბრუნდები ჩემს ბავშვობას, ჩემთვის ყველაზე კარგი სკოლის პერიოდი. მიყვარს ამ თემაში ტრიალი, ფილმების გადაღება ამ პერიოდზე, გადაცემების კეთება. აქამდე ცხოვრებაში ორი უკიდურესობა მქონდა: სადიპლომო ფილმი ჯემალ თოფურაძის სცენარის „ნუ მოინყენ შემოდგომისას“, მიხედვით გადავიღე. ფილმი მოხუცებზე იყო. მაშინ ერთმა კრიტიკოსმა ჩემზე თქვა, ეს მისთვის უცხო თემააო. ესე იგი, ბებერი უნდა ვყოფილიყავი, მოხუცებულების ცხოვრება რომ ამეწერა. არადა, იმ ფილმში სულ სხვა სულიერება და მარცვალი იყო ჩადებული, რაც კრიტიკოსმა ვერ დაინახა, ან შეიძლება, ვერ დავანახე.

მეორე უკიდურესობა ბავშვების თემით გატაცება იყო. თუმცა, იმ კრიტიკოსისთვის რომ დამეჯერებინა, წესით, არც ეს სფერო უნდა ყოფილიყო ჩემთ-

ვის ახლობელი. ამ ორი უკიდურესობიდან ბავშვების თემამ გადაძლია. ეტყობა, მართლაც ადრეა ჯერ ჩემთვის მოხუცებზე ფილმის გადაღება.

ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლებოდა მომეფიქრებინა საბავშვო გადაცემაში ისეთი, რაც მას ძალიან პოპულარულს კი არა, საერთო დაძაბულობის განმუხტვისა და ტელეეკრანიდან უკვე ასე შემოჩვეული აგრესიისგან თავის დასაღწევ პატარა ოაზისად აქცევდა. მინდოდა, გამოსულიყო ერთი უბრალო პატარა ბიჭი და მასზე უფროსს, როგორც თანატოლი ისე დალაპარაკებოდა. არ მინდოდა, ამ სტუდიაშიც მათ შორის უკვე ნორმად მიღებული ოფიციალური, მენტორულ-დიდაქტიკური ურთიერთობა დამყარებულიყო, მინდოდა, ორ თანასწორუფლებიან და ერთმანეთისადმი იმთავითვე მეგობრულად განწყობილ ადამიანს შორის გულახდილი და უშუალო დიალოგი გამართულიყო. პრინციპში, არაბუნებრივი ამაში არაფერია. ბოლოს და ბოლოს, როგორც ამბობენ, ყველანი ხომ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. თუნდაც ხელისუფლების წარმომადგენლები, მინისტრები, როგორი მოსაწყენები არიან ეკრანზე. განა არ შეიძლება, თუნდაც ერთ გადაცემაში, მათაც მისცე საშუალება, თავიანთი ხასიათის ყველაზე საინტერესო, ადამიანური შტრიხები წარმოაჩინონ, ან თუ უჭირთ, მიეხმარო და გულწრფელად ალაპარაკო საკუთარ განცდებზე, საბოლოოდ, ისინიც ხომ უბრალო მოკვდავნი არიან და მეტი არაფერი. ეს „ახირება“, ეტყობა, მაინც ჩემგან მოდის. მე მართლა მანუხებს საბავშვო თემატიკასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. თუ ახალ ფილმს გადავიღებ, ისიც, ალბათ, „მისის თოვლივით“ (ზურაბ ინაშვილის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი) 12-14 წლის ბიჭის თვალთ დანახული სამყარო იქნება.

— გიორგი ბოკუჩავა რომ გაიზრდება და თქვენს „საყვარელ“ ასაკს გადააბიჯებს, რა ბედი ეწევა მაშინ „შოკოლადის მიკროფონს“? თუ მიგაჩნიათ, რომ ამასობაში ეს გადაცემაც თავის დროს მოჭამს და საჭირო აღარ იქნება?

— დიახ, ეს გადაცემა მოჭამს თავის დროს. ხომ არ შეიძლება, დაუსრულებლად ერთი და იგივე აკეთო. ბიჭიც გაიზრდება. რაც შეეხება გიორგის, მე იგი დაახლოებით ექვსი თვე ვეძებ. მის ხასიათში უკვე ძალზე დიდი ძვრები მოხდა. ის ძალიან კარგ ოჯახში იზრდება. არაფრით გამოირჩეოდა სხვა ბავშვებისგან, არ ჰქონდა გამოკვეთილი ინტერესები, გარდა იმისა, რომ შედარებით კარგად ხატავს, უყვარს ყვავილები, ცხოველები, ბუნებაში ხეტიალი. დღეს ტელევიზია ძალიან შეიჭრა მის ცხოვრებაში, შეხვდა უამრავ კარგ და ცნობილ ხალხს. როგორც ვაკვირდები, ძველსა და ახალ ჩანანერებს ვადარებ, ვხედავ, რომ ამ ერთი წლის მანძილზე იგი ძალიან გაიზარდა — სულიერად, პიროვნულად, გახდა თვითდაჯერებული, კარგი გაგებით, მაგრამ უკვე იმის საფრთხეც ჩნდება, თუ როგორ იმოქმედებს ყოველივე ეს მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ისეთ აჟიოტაჟს, რაც მის გარშემო ატყდა, ხშირად ძალიან გამოცდილი და განებივრებული უფროსებიც ვერ უძლებენ. სადაც უნდა წავიდეთ, თითქმის ყველგან ცნობენ. ამას წინათ სახაჭაპურეში შევედით და ისეთი ოვაციები მოუწყეს, „შოკო-

ლადის მიკროფონი“, „შოკოლადის მიკროფონი!“, „აბა, პატივი უნდა ვცეთ!“ და ერთი ხაჭაპური უფასოდ გამოუგზავნეს. უნდა ნახოთ, გაცნობისას რა მოწინებით ართმევენ ხელს უფროსები. „ეს ის არის, შოკოლადის მიკროფონი?“ ამბობენ და რალაც გამორჩეული მორიდებითაც ეპყრობიან.

— და ხომ არ წაიშალა უნებლიედ საზღვარი თაობათა „დამეგობრების“ შენეულ იდეასა და უბრალო ფამილარობას შორის?

— არა, მაგრამ ამ საზღვრის დაცვა ძალიან ფაქიზი საქმეა. ყველა გადაღებისთვის ვერ ვახერხებ ხოლმე გიორგისა და მონწეული პიროვნების წინასწარ შეხვედრას. ასეთ დროს განსაკუთრებით ვაკვირდები სტუმრის სახეს და ემოციებს. იცი, რას გეტყვი, საოცრად ღელავენ. ხდება ხოლმე, რომ ჩანერა ვერ მიდის კარგად. გიორგი ჯერ კიდევ პატარაა, ავინყდება ტექსტი, გრძელი დასახელებები, სამაგიეროდ, ძალზე უშუალოა, დაიძახებს „სტოპ მატორ, შემეშალა, ერთხელაც რა, არ გამომივიდა“, მოკლედ, შინაურულად იქცევა კამერის წინ და თავად განმუხტავს ხოლმე, ნებისმიერ უხერხულობას, ამით სტუმრსაც ათავისუფლებს დაძაბულობისგან და ასაკობრივი ბარიერის დაძლევისაც უიოლებს.

თუ წინასწარ მოვახერხებ სტუმართან შეხვედრა, ათასი ხერხის გამოძებნა მიხდება იმისთვის, რომ ეს პიროვნება ბავშვის პირისპირ ადვილად გაიხსნას. სულ რალაც სატყუარებს ვეძებ მათ „ანკესზე წამოსაგებად“. მაგალითად, გიზო ჟორდანიასთვის ასეთი რამ მოვიფიქრეთ: გიორგი ამბობს: ბატონო გიზო, წარმოიდგინეთ, რომ პატარა ხართ, გაცვიათ მოკლე შარვალი და კედები. „რას ამბობ, სად იყო ჩემს დროს კედები, ტყავის სანდლები მეცვა“, — უშალ წამოეგო ანკესზე გიზო ჟორდანიას. „კარგით, — ეუბნება ახლა გიორგი. — ასე სანდლებით და მოკლე შარვლით შემიძებნით თქვენს სახლში, სადაც დაიბადეთ, გაატარეთ ბავშვობა, მომიყევით, როგორი იყო ის თქვენი სახლი“ და გიზო ჟორდანიას ჰყვება თავისი ბავშვობის ამბებს. მიდის ისე ღრმად, რომ აღარც ახსოვს, სად არის, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი. უცებ შუა თხრობისას, გიორგი ეკითხება: „ბატონო გიზო, ხომ არ გცივათ?“. იმას კი უკვირს, ძალიან კარგად ვარ, რატომ უნდა მციოდესო. „თქვენ ხომ მოკლე შარვალი და სანდლები გაცვიათ, ნუთუ, არ გცივათ“ — ახსენებს პირობას გიორგი და გიზო ჟორდანიას გულიანად ეცილება. არა, ნამდვილად არ მცივა, ძალიან კარგად ვგრძნობ თავსო, ამბობს.

კახი კავსაძეს გადაცემის წინ მეზღვაურის ქუდი მოვუტანეთ. გიორგიმ უთხრა, ეს ქუდი თქვენი ბავშვობის ნივთიაო. გაგიჟდა კაცი, სად იპოვეთო, მართლა ჩემიაო? გიორგიმ უთხრა, როცა თქვენ არ ბრძანდებოდით, თქვენს სახლში ვიყავი და იქ აღმოვაჩინეო. კახიმ ის ქუდი სიხარულით დაიხურა და მთელი გადაცემა არ მოუხდია.

ნოდარ ანდლულაძეს ვთხოვე, ეგებ, თან ბავშვობის რომელიმე სათამაშო წამოიღო-მეთქი. ერთი ავტომატი უნდა მქონდეს და შეიძლება, ვიპოვოო, დამპირდა. მართლაც, მოიტანა სტუდიაში ავტომატი და კიდევ რალაც სხვა. ის გადაცემა გიორგიმ ასეთი განცხადებით დაიწყო: „ბატონ ნოდარს ცოტა შეაგვი-

ანდა და ახლა თვითონ გვეტყვი, რატომ?“ ნოდარ ანდლულაძემ კი ძალზე სახასიათოდ დახატა, როგორ არ უშვებდა ტელევიზიის დაცვა შენობაში ავტომატი. ეს იყო 1932 წლის გამოშვების ამერიკული სათამაშო ავტომატი, რომელიც ბატონ ნოდარს ნათესავმა ჩამოუტანა შეერთებული შტატებიდან, ავტომატთან ერთად მან სტუდიაში აპაჩების ბელადის კოსტიუმი მოიტანა, თან დააყოლა, რომ ეს კოსტიუმი ბავშვობაში, პალენოვოში დასვენებისას მამამისის, ბატონ დავით ანდლულაძის მეგობარ ცნობილ მხატვარს მისთვის საკარნავალოდ დაუმზადებია. სპეციალურად წასულან პალენოვოს მეფრინველეობის ფერმაში, წამოულიათ იქიდან ბუმბული, შეუფერადებიათ და ასე გამოუნყვიათ აპაჩის ფორმაში პატარა ნოდარი. მე ეს ფორმა გიორგის ჩავაცვი და გადაცემაც ასე, აპაჩის თავსაბურავში გამონყობილს წავაყვანინე. დასასრულ, გიორგიმ ბატონ ნოდარს უთხრა, შემოსვლით კი შემოხვედით, გასვლა ნამდვილად გაგიჭირდებათ ამ ავტომატითო. ამაზე ბატონმა ნოდარმა მიუგო: მე კი გავალ, აი, შენ ვინ გაგიშვებს აქედან მაგ აპაჩის ფორმით, ამასაც ვნახავთო. რაღაც გამორჩეული გადაცემა გამოვიდა იმ დღეს.

სწორედ ასეთ ზომიერ ურთიერთშეთამაშებაში ვხედავ მე ჩემი იდეის გაცოცხლების გზას: ასაკით განსხვავებული ადამიანების დაამხანაგება, მათი სულების მონათესავე შტრიხების აღმოჩენა და გაღვივება, ზოგადადამიანური თანასწორუფლებიანობა.

„შოკოლადის მიკროფონთან“ ადამიანები ერთი საათის განმავლობაში მართლაც თვალსა და ხელს შუა იცვლებიან, რაღაც პერიოდით უკეთეს სამყაროში გადადიან და აშკარად ვხედავ, რომ უსაზღვროდ კმაყოფილები და მადლიერები არიან ამისთვის. იგივე მემართება მეც გადაღებისას, კამერასთან. ადრე ვერ ვხვდებოდი, რა მემართებოდა. თუ შემთხვევით აპარატურას არ მომცემდნენ, ან მოწვეული სტუმარი ვერ მოვიდოდა და გადაცემა ჩამეშლებოდა, საშინელ ხასიათზე ვდგებოდი, ოჯახიც წუხებოდა. თურმე, ეს იმიტომ, რომ იმ დღეს ვერ გავერთე, ვერ ვისიამოვნე, ვერ დავიხარჯე და ვეზიარე უნეტარეს ბავშვობას.

— როგორც ვიცი, შოკოლადის მიკროფონის წარმოება და მისი „ბაზარზე გატანა“ გინდოდა. რისთვის?

— ჯერ ერთი, მინდა, ეს სტუდია, „შოკოლადის მიკროფონი“, განვავითარო და ასეთი გადაცემების პარალელურად კიდევ სხვა ხასიათის გადაცემები წამოვიწყო, რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ჩავრთო ჩემს გადაცემებში. ისეთი კარგი მუშა-ჯგუფია შეკრული, ნებისმიერ პროექტს უმაღლეს დონეზე განახორციელებს. სხვათა შორის, „შოკოლადის მიკროფონმა“ ბევრ პატარაზე იქონია გავლენა. რაღა შორს წავიდე, ჩემმა 9 წლის ბიჭმა კიდევ იეჭვიანა გიორგი ბოკუჩავაზე. მერე ბაბუამისმა, გიზი ფაშალიშვილმა, შინ საკუთარი „შოკოლადის მიკროფონი“ მოუწყო, თავისი ბავშვობის საოცრად სასაცილო და საინტერესო ამბებს უყვებოდა, ჩაგვერთო ამ თამაშში მთელი ოჯახი და დღესაც დიდი სიამოვნებით ვთამაშობთ სახლში „შოკოლადის მიკროფონობანას“. საქმე ის არის,

რომ ამ გადაცემამ მარტო ბავშვები და მათი მშობლები კი არა, მოხუცები და სრულიად განყენებული ხალხიც დაინტერესა. ამას არ ვიტყვოდი, უამრავი ტელეფონის ზარი და მადლობა რომ არ მალაპარაკებდეს. ერთმა პენსიონერმა ქალბატონმა დამირეკა, რატომ არ არის დღეს „შოკოლადის მიკროფონი“, ამ გადაცემას რომ ვუყურებ, ნნევა მიკლებსო.

— მაინც რატომ არ მოხერხდა „შოკოლადის მიკროფონის“ გამოშვება?

— დღეს ბიზნესმენებს უჭირთ საქმისთვის თავის მობმა. პირადად მე არავითარი კაპიტალი არ გამაჩნია. ის, ვისი დაინტერესებაც მინდოდა — შოკოლადის ქარხანა — თავდაპირველად სექსტიკურად შეხვდა ჩემს წინადადებას: არავინ იცის, გახდება თუ არა ეს გადაცემა პოპულარული და იყიდის თუ არა ვინმე ამ შოკოლადსო. მერე, პოპულარულები რომ გავხდით, გადაცემის სტუმარმა თენგიზ სუხიშვილმა თქვა, ტაისონმა რომ ჰოლიფილდს ყური მოაჭამა, ნიჭიერმა ბიზნესმენმა ის ყური მეორე დღესვე შოკოლადად ჩამოასხა და მილიონობით გაყიდა, რაღა ამ მიკროფონს გაუნყრება ღმერთითო. მაგრამ გვიანდა იყო. აღმოჩნდა, რომ ქარხანას საკმარისი ფული აღარ ჰქონდა. შემომთავაზეს სანახევროდ გავაკეთოთო, სამწუხაროდ, მე ეს ნახევარიც არ გამაჩნია. არადა, ამ შოკოლადით დიდი მოგების მიღება შეიძლებოდა, სხვა თუ არაფერი, გადაცემის ხარჯებს მაინც დაფარავდა. კასეტებიც ძვირი ღირს, რამე თუ არ მოვიფიქრე, რა ეშველება გადაცემას, არ ვიცი. პირადად მე, ბევრი მოძრაობის საშუალება არცა მაქვს. თვითონ გადაცემის მომზადებას ოთხ დღეს ვანდომებ და კომერციისთვის თითქმის არ მცალია. თუმცა, როცა გავინძერი, რა მოვიგე, თანაც ძალიან დამამცირებელია ეს გაუთავებელი მათხოვრობა. არადა, „შოკოლადის მიკროფონის“ სახელით საბავშვო ფესტივალების გამართვაც შეიძლება და ათასი სხვა კარგი რამის.

საახალწლოდ ნიკო ლეკიშვილი მოვინვიეთ, თვითონვე თქვა, კარგი ფეხი მაქვს და ბავშვობიდან ახლობლები სულ მეკვლედ მეპატიჟებიანო. ახლა იმას ვფიქრობთ, ეგებ ბატონ ნიკოს მეკვლეობამ ჩვენზეც გაჭრას და წლეულს „შოკოლადის მიკროფონის“ აღზევება და აყვავება დაინყოს. თუმცა, ბატონმა ნიკომ იმ დღეს ისიც თქვა, რა დიდი პრობლემაა ამ მიკროფონის გამოშვებო. გადაცემის დროს ბავშვობის „ქონებრივი დეკლარაცია“ შევავსებინეთ. აღმოჩნდა, რომ პატარაობისას ველოსიპედი ჰქონია. გადაცემის მერე ვეღარ მივედი ნიკო ლეკიშვილთან. რამდენჯერმე გამოვაცხადეთ ტელევიზიით, გვითავდება შოკოლადი, იქნებ ვინმე შემოგვეშველოთო, შენც არ მომიკვდე, რის სპონსორი, რა სპონსორი. ახლა გადაცემის დროს სამი რეკლამა გვაქვს. ჯერჯერობით, მხოლოდ ამ რეკლამების იმედად ვართ. ახალი ხელმძღვანელობა გადაცემის დაფინანსებას გვპირდება. ტელევიზიაში რეორგანიზაცია მიმდინარეობს და გვპირდებიან, რომ საინტერესო პროექტებს დიდი მხარდაჭერა ექნება. ღმერთმა გვისმინოს.

— კუროოზები თუ ხდება გადაცემის დროს?

— რამდენიც გინდა. მაგალითად, ერთხელ, სოფიკო ჭიაურელთან შეხვედ-

რისას გიორგიმ გამოაცხადა: „გადაცემას უძღვებოდა ცნობილი წამყვანი გიორგი...“, სოფიკოს და თავისი ტექსტი ერთმანეთში აერია, სიცილი აუტყდა და მერე სოფიკომ დაასრულა, „ცნობილი წამყვანი გიორგი ბოკუჩავა“.

გაზ. „დილის გაზეთი“, 24 მაისი, 1999 წელი.

„ვინც ადრე მიყვარდა, დღესაც იმავე გატაცებით მიყვარს“

ჩემი მეორე სამშობლო საქართველოა, შემოგვითვალა ცხრა წლისთავზე „სამშობლოსთან“ განშორებულმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ და რამდენიმე დღის წინათ უძღები შვილის დაუოკებელი ვნებით ჩაეხუტა დედა-საქართველოს. დღესავით მახსოვს, ცხრა წლის წინათ მეგზურობას ვუნევედი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღის დიდი ზეიმი იმართებოდა. ევტუშენკო იმ ზეიმის სტუმარი არ ყოფილა და ამდენად, არც ოფიციალური კორტეჟი ახლდა თან. თბილისის სტადიონზე თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. სულაც არ ესაჭიროებოდა მეგზური, ჩემზე უკეთ იცოდა, სად რომელი ტრიბუნა იყო და გზააბნეულს (ვინაიდან პირადად მე სტადიონის ხშირი სტუმარი არა ვარ) თავად მიწევდა მეგზურობას. დასავლეთ ტრიბუნის ყველაზე ზედა რიგში დავსხედით. ყურადღების მიპყრობას არ ცდილობდა, საქართველოში, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, მაშინ უკვე სულ სხვა სიო ქროდა და „დიდი ძმის შვილის“ მოულოდნელ გამოცხადებაზე რა გრძნობებს აიშლიდა „ერთ მუჭად“ შეკრული სტადიონი, არც მე და არც მან არ ვიცოდით.

სტადიონი კი ამ დროს „შავლეგოს“ გუგუნებდა. ვხედავდი, როგორ ცქმუტავდა ადგილზე შენია ევტუშენკო, როგორ უბრწყინავდა თვალები, ერთი სული ჰქონდა, ზეიმის უშუალო მონაწილე გამხდარიყო, მაგრამ თავს იკავებდა. გარდა იმისა, რომ ევტუშენკო დაბადებით ტრიბუნი პოეტი, დიდი კოსმოპოლიტი და სულით რევოლუციონერია, საქართველოსთან მას 50 წლის გამჟღავნებული სიყვარული და პოეტური სიგიჟით გაჯერებული ძალზე არაორდინარული ცხოვრებაც აკავშირებს.

„ისტორიას არ ახსოვს ორი ქვეყნის პოეტთა მეგობრობის ისეთი იდეალური მაგალითი, როგორიც საუკუნეების წინათ ქართველი და რუსი პოეტების მეგობრობამ დაბადა. არ არსებობს არც პოლიტიკური და არც რამე სხვა ძალა, რომელსაც ამ ტრადიციის აღმოფხვრა და გადაგდება შეეძლოს“, — თქვა მან 5 ივლისს გრიბოედოვის თეატრის სცენიდან საკუთარი პოეზიის საღამოზე.

მაშინაც, სტადიონზე, იმავეს ფიქრობდა, ალბათ, ევგენი ევტუშენკო. ფიქრობდა, თქმით კი არაფერს ამბობდა. უეცრად, ახალგაზრდების ერთი პატარა ჯგუფი მოგვიახლოვდა. სწორედ იმ ახალგაზრდებისა, ერთი წუთის წინ ხმის ჩახლქვამდე „შავლეგოს“ რომ მღეროდნენ. არ მოგატყუებთ, და მათ გამოჩენაზე, ცოტა არ იყოს, დავიძაბე. წარმოდგენა არ მქონდა, რისი მოსმენა მომიწევდა. იმ წლებში უმაღლესი ტრიბუნიდან ისე ხშირად და მოურიდებლად აცხადებდნენ, ნოდარ დუმბაძე ქართული კრიმინალური ინტელიგენციის დამარსებელიაო, რომ რუსული ინტელიგენციის ამ ჯერჯერობით „უსტატუსო“ წარმომადგენელს რა ეპითეტებით შეამკობდნენ, აღარ ვუნყოფი. თავად ევტუშენკოს ფართო ღიმილს კი ამ დროს ორჭოფობის კვალიც არ ეტყობოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, საუბარი ახალგაზრდა გოგონამ ქართულად წამოიწყო. ჟენია ევტუშენკო თარგმანის მოლოდინში გაისუსა. იმ გოგონამ მკითხა, ეს ევგენი ევტუშენკოა, თუ გვემღებო. მე თავი დავუქნიე. დიახ, ის არის-მეთქი, ვუთხარი. პასუხი რომ მოისმინა, ჟენიას მიუბრუნდა და გატეხილი რუსულით უთხრა, საოცრად გვიხარია თქვენი მობრძანება, ჩვენ თქვენს ლექსებს ვკითხულობთ და ძალიან გვიყვარხართო. ჟენია ევტუშენკომ რა იგრძნო იმ წუთას, არ ვიცი, მაგრამ დაიხარა და გოგონას გამხდარ ხელზე ეამბორა. მეც ძალიან მიყვარხართო, უთხრა. ამ დიალოგმა წინა რიგების ყურადღებაც მიიპყრო, ხალხი გაღიმებული უყურებდა სტუმარ პოეტს. ხელს უქნევდა და ბოლოს იგი მოკრძალებული ტაშითაც დააჯილდოვა. გმადლობთ, გმადლობთ, გულში ვეუბნებოდი იმ ახალგაზრდებს და მრცხვენოდა კიდევ იმ სისულელების გამო, ხუთი წუთის წინათ თავში რომ მიტრიალებდა.

ეს იყო ზუსტად ცხრა წლის წინათ. მას მერე ევტუშენკო საქართველოში აღარავის უნახავს. სად დაიკარგნენ საქართველოს სიყვარულში ერთმანეთის მოპაექრე რუსი პოეტები? სად არის ბელა? რატომ აღარ იჩემებს ქართველობას ანდრეი ვოზნესენსკი? როგორ გვიღალატა ჟენიამ? თურმე, აფხაზეთში ყოფილა, სულ დაავიწყდა, საქართველოს სადღეგრძელოებს რომ სვამდა დიდი ჭიქებით, — ბუზღუნებდნენ ამასობაში ათას ჭირ-ვარამგადახდილი, ომგადატანილი, დაქცეული და დამარცხებული ქართველები.

რატომ არ გამოეჩნაურეთ არც ერთხელ ქართველებს მაშინ, როცა რუსეთის ტელევიზია ჩვენს ქვეყანაზე სრულ დეზინფორმაციას ავრცელებდაო, ჰკითხეს ტელეჟურნალისტებმა თბილისის აეროპორტში ახლად ფეხჩამოდგმულ ევტუშენკოს და იმან კი უპასუხა: თქვენ, როგორც გატყობთ, ჩემს ბოლო ნიგნებს საერთოდ არ იცნობთ და აბა, რა გიპასუხოთო.

5 ივლისს გრიბოედოვის თეატრის სცენიდან პოეტი ევტუშენკო ერთ ჟურნალისტს კი არა, მთელ დარბაზს უკითხავდა თავისი უახლესი კრებულიდან საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, საკუთარი სამშობლოს, რუსეთის ტრაგედიასთან ნაზიარებ ლექსებს. ბევრმა ქართველმა (საქართველოს მთელ მოსახლეობას ვგულისხმობთ და არა მხოლოდ მის ელიტას) არც კი იცის, აღ-

ბათ, რომ ევგენი ევტუშენკომ საქართველოს ტერიტორიაზე, სოხუმთან ახლოს, საკუთარი სამოთხე — გულრიფშის სახლი და უახლოესი მეგობარი, აფხაზეთის ომის გმირი ჯუმბერ ბეთაშვილი დაკარგა. ჟენია ევტუშენკოს ჯუმბერზე ძვირფასი მეგობარი ბოლო 20 წლის განმავლობაში არც ჰყოლია. აფხაზეთშიც სამაგალითოდ დახვრეტილი მეგობრის ძვლების საძებნელად და ადამიანური ნესით მის დასამარხად წავიდა. იქ კი გაცამტვერებული ქვეყანა, გადაბუგული სახლ-კარი და გაუბედურებული ხალხი დახვდა. ხალხი, რომელსაც არაფერი აქვთ საერთო პარტიულ-ძალაუფლებრივ ამბიციებსა და პატივმოყვარეობასთან, რომელიც, თურმე, სულაც არ ჰგავს გამარჯვების ჟინით გაბედნიერებულ და თვითკმაყოფილ „ტრიუმფატორს“. მეგობრის საფლავს, რა თქმა უნდა, ვერ მიაკვლია. ტკივილმა კი ისეთი ლექსი დაანერინა, მხოლოდ საკაცობრიო და საკუთარი სამშობლოს სევდით ნაიარევი პოეტის ხელით რომ დაინერება. ისეთი ლექსი მიუძღვნა ჯუმბერ ბეთაშვილს, მასაც და საკუთარი მეგობრობის ნიჭსაც მარადიული ძეგლი დაუდგა.

„ჯუმბერის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ოჯახის ერთადერთი იმედი ჟენია ევტუშენკოა, და თუ დღეს მე და ჩემს შვილებს სული გვიდგია, ეს მხოლოდ მისი დამსახურებაა“, — თქვა მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე წელი ბეთაშვილმა. დაახლოებით იმავე სიტყვებით გადაუხადა მადლობა პოეტს სულისა და ხორცის გადარჩენისთვის აფხაზეთიდან დევნილმა რუსლან გრიგოლიამ, რომლის ოჯახი დღემდე ევტუშენკოს აგარაკზე ცხოვრობს პერედელკინოში, სულ რამდენიმე დღის წინათ პოეტი მისი შვილიშვილის ნათლია გახდა.

როგორც ყველა შინაურისადმი, ევგენი ევტუშენკოს მიმართაც მის ბევრ ქართველ კოლეგას პირადი ანგარიში და მომეტებული პრეტენზიაც აღმოაჩნდა. ამიტომ, ჩამოსვლისთანავე მოყვარეთა ქათნაურებთან ერთად არათავყანისმცემლებმა მას მწარე-მწარე საყვედურებით გულიც ატკინეს, ცრემლიც მოადინეს, მაგრამ, აკი ვამბობ, შინაურია და, ალბათ, იმიტომ-მეთქი. ეს თავადაც კარგად იცის პოეტმა, ამიტომ, პოეტის ღირსებით და გამძლეობით მოისმინა ტკბილიცა და მწარეც, არც გაბოროტებულა, უკან არ დაუხევია, ხმამაღლა და კიდევ უფრო მეტი ჟინით განაცხადა, საქართველოს გარეშე ჩემი ვერც განვლილი და ვერც მომავალი ცხოვრება ვერ წარმომიდგენიაო. მერე ზედ დაამატა, გაისად ცოლ-შვილთან ერთად ვაპირებ ჩამოსვლას, რომ ჩემმა შვილებმაც შეიგრძნონ საქართველოს მადლი, მეგობრები გაიჩინონ და ჩვენზე დიდი ადამიანების დაწყებული ტრადიცია გააგრძელონო.

„ვინც ადრე მიყვარდა, დღესაც იმავე გატარებით მიყვარს. ასეთია ჩემი ბუნება და აქ რაიმეს შეცვლა ჩემს ძალას აღემატება“, — თქვა პოეტმა და პოეზიის საღამო დაიწყო ლექსით, რომელიც, თურმე, პირველად აქ, თბილისში ნაუკითხავს 1954 წელს. ლექსი ევგენი ევტუშენკოს პირველ მეუღლეს, პოეტ ბელა ახმადულინას ეძღვნება. მაშინ ახალგაზრდა ახმადულინაზე უგონოდ შეყვარებული ჟენია ევტუშენკო, თურმე, გაბუტული ყოფილა ბელასთან და თბილისში

დანერილმა ამ ლექსმა ისინი შეარიგა. მერე გავიდა დიდი დრო, ორი პოეტის ცხოვრების გზები გაიყარა, ლექსმა კი მათგან დამოუკიდებლად განაგრძო არსებობა, გაცილებით მეტი გამომსახველობა და სიმბოლიკა შეიძინა. ერთ მშვენიერ დღეს იგი სიმღერადაც იქცა და მალე რუსეთში ყველას გადაავიწყდა, რომ ამ სევდიანი სიყვარულის ამბის ავტორი სრულიად ახალგაზრდა ევგენი ევტუშენკო იყო.

ვისაც ჰგონია, რომ ეს ლექსი არ წაუკითხავს, ელდარ რიაზანოვის პოპულარულ ფილმს „სამსახურებრივ რომანს“ შევახსენებ. ფილმის წამყვანი სიმღერა სწორედ ამ ლექსზეა შექმნილი, გაგახსენდათ?

ლაქსი ლ ,
 ° Ø æ ბØ ა 1 ლ .
 1 Ø æ ,
 ზ ბ .
 " .
 ~ æ ლ 1 ლ ა >
 " ლ .
 " ჰ ზæ æ ლ
 " ზ æ æ ლ ...

და თუ მართლა გაგახსენდათ, იმასაც კარგად მიხვდებით, რატომ ირჩია ცხრა წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა ევგენი ევტუშენკომ ქართველი მსმენელისთვის თავი მაინცდამაინც ამ ლექსით გაეხსენებინა.

გაზ. „დილის გაზეთი“, 7 ივლისი, 1999 წელი.

რას გადაეყარა ზურაბ წერეთელი გაუკვალავში

ზურაბ წერეთელი ორიოდ კვირის წინათ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში ვნახე, მისი მეუღლის, ინესა ანდრონიკაშვილის წლისთავზე. მე ინესას დასაფლავება არ მინახავს, არც მომაკვდავი ინესა მინახავს, მაგრამ იშვიათად მაინც ვხვდები ხოლმე მას ცოცხალს, ბავშვობის უმშვენიერეს სიზმარში, მხარზე გადმოგდებული, ჭრელი, ფუშფუშა ბაფთით შეკრული კუპრივით შავი თმით, ვარდისფერ-იასამნისფერ შიფონის კოჭებამდე გრძელი, ფართო კაბით, ფეხშიშველს ხელჩაკიდებული მიყვავარ გარინდულ, კანკალა ზღვასთან და მშვიდი, უტკბესი ხმით ჩამჩურჩულებს: „აი, ოქრო, შენი სახლი აქ არის“.

გუშინდელივით მახსოვს, გულრიფში წერეთლების აგარაკის ეზოში რკინის საქანელაში 5-6 წლის მზისგან ლოყებდაბრანულ პატარა, ქერა გოგონას ეძინა და სიზმარში რალაცას უღიმოდა.

— რა კარგები არიან ეს მაიმუნები, როცა სძინავთ, — უთხრა დედაჩემმა ინესას და კისრამდე ტალახში ამოსვრილ ჩემ დას, თითოთ ანიშნა, ახლავე სახლისკენო.

— არა, ოქრო, ისედაც ძალიან კარგი ვინმეა, სულ ზურამას ხასიათი აქვს, — თქვა ინესამ.

ეს იყო გულრიფში სამოციანი წლების ბოლოს. მას მერე, სოხუმის დაცემამდე, იქ მოსახლე ჩვენი ოჯახებისთვის გულრიფშისდარი სხვა სამოთხე არ არსებობდა. იმ ერთ მტკაველ, უსაზღვროდ მზიან, ზღვიან და მთიან მიწაზე სრულიად გავიწყდებოდა, რომ „დიდი დერჟავის“ ლირსეული მოქალაქე ხარ და თავი პირველქმნილი სამყაროს ტიტველ პირმშოდ წარმოგედგინა, ვისთვისაც მამამღერეთმა აკრძალული ხილის გასინჯვისთვის სამოთხიდან გაძევების სასჯელი სამუდამოდ გააუქმა.

— გენატრებათ გულრიფში? — ვეკითხები ზურაბ წერეთელს და იმდენად დარწმუნებული ვარ, რასაც მიპასუხებს, რომ პასუხს ცალი ყურით ვუსმენ. ძირითადად, საკუთარ მოგონებებში ვეშვები. უეცრად მეჩვენება, რომ იმას მკასუხობს, რასაც საერთოდ არ ველი და ყურადღება მეძაბება.

— ჩვენს უკან ეზოში კაცი რომ ცხოვრობდა, იმის ოჯახს ზედ გადავყვეი. პირველმა სწორედ იმან გამოაცალა თურმე ჩემს სახლს დედაბოძი. მერე კრამიტ-კრამიტ, ფიცარ-ფიცარ, თავის ეზოში გადაზიდა, იფიქრა, აფხაზები თითს არ დამაკარებენ და შემრჩებაო.

რამდენიმე წლის წინათ ქუჩაში შემხვდა თბილისში. ერთ დელეგაციას ვმასპინძლობდი. დიდის ამბით ცხვირწინ წამომეჭიმა. მაშინ სიტყვა არ მითქვამს მისთვის, დროც არ იყო. როცა მოვიცალე და მოვტრიალდი, აღარსად ჩანდა. ეტყობა, სახეზე შემატყო, რომ ყველაფერი ვიცოდი და აორთქლდა.

მიყვებოდა ამ ამბავს და ზედაც არ მიყურებდა. გრძელი მაგიდის თავში იჯდა, ღრმა საგარძელში, მუხლზე პატარა დაფა ედგა, ზედ კორდონის ფირფიტა და შავი ფანქრით აზიურად ფენმორთხმულ კაცს ხატავდა.

უცბად, უკნიდან ერთი პატარა ანგელოზი მოგვიახლოვდა, ზურაბს მხარზე თავი დაადო. იმან ახედა, გაუღიმა, მერე ხელმარჯვნივ, მაგიდიდან კონვერტი აიღო, მისცა და უთხრა, ამით ზღვაზე დაისვენეო.

— ფულია? — გულუბრყვილოდ ჰკითხა პატარამ და რომ დარწმუნდა, კაცური სიტყვა დადო, ახლავე დედას წავუღებო. მალე დედაც მოვიდა და ორივემ აქეთ-იქით ლოყები დაუკოცნეს ზურაბს. ამასობაში მე კიდევ რამდენიმე კითხვის შეპარება მოვასწარი. პასუხებს ისე ჩქარ-ჩქარა ვინერდი, მათი შინაარსი მხოლოდ გადანერის დროს გავიზარე.

ზურაბ წერეთელი: მზის ჩასვლის ყურება მიყვარს ყველაზე უფრო. ხომ გახ-

სოვს, როგორ ჩადის მზე გულრიფშში, შიგ ზღვაში. ჰოდა, ერთხელ, ეზოში მოლბერტი მქონდა გატანილი და მზის ჩასვლას ვხატავდი. დავინახე, ნოდარი მიახლოვდებოდა. იგი ზუსტად იმ დროს გაუსწორდა მოლბერტს, როცა ზღვაში ნახევრად ჩასულ მზის დისკოს სქელი შავი საღებავი დავადე. ნოდარი ერთხანს ხმას არ იღებდა. მერე უეცრად ნაშოიძახა: „მზე მოკვდა, მზე გარდაიცვალა“ და ელდანაკრავივით სახლისკენ გაქანდა. ვიცოდი, ახალ რომანს წერდა. „მარადისობის კანონში რომ მზის გარდაცვალების ხილვის ეპიზოდია, სწორედ იმ ლამეს დაინერა.

ზურაბ ნერეთლის ბაგების სახლიდან დაბრუნებულმა სპეციალურად გადავიკითხე „მარადისობის კანონის“ ის პასაჟი და, თუ დამიჯერებთ, გულწრფელად შემზარა იმ უდავო ფაქტმა, რომ მხატვრის ფუნჯითა და მწერლის კალმით ტილოსა თუ ფურცელზე გადმოტანილი პირობითი ხატი, ხილვა, ფანტაზია, უსასრულობაში გაშვებული ის ინფორმაციაა, რომელიც არასდროს იცი, როდის ახდება. ის, რასაც ახლა მე „მარადისობის კანონიდან“ „დილის გაზეთის“ ფურცლებზე გადმოვწერ, საქართველოში სწორედ დღეს ხდება.

„ოცი საუკუნე ქრისტემდე და ოცი საუკუნე ქრისტეს აქით, დაატარებდნენ გარდაცვლილ მზეს — ცისარტყელას ბაჩანა და მამა იორამი ქვეყნიერებაზე და მდულარე ცრემლით ევედრებოდნენ კაცობრიობას სიყვარულსა და სათნოებას. რათა გარდაცვლილი მზე დაებრუნებინათ დაობლებული ცის კაბადონისთვის და სინათლე დედამიწისთვის. ქუდმოხდილი კაცობრიობა დუმილით მიაცილებდა საკუთარ სიცოცხლეს მზეთა სასაფლაოზე, რადგან დედამიწაზე არ აღმოჩნდა მისი სამყოფელი და განსასვენებელი... და ბოლოს, როდესაც ბაჩანამ და მამა იორამმა ვერცხლის სარეცელზე დასვენებული მზე მიიტანეს მზეთა სასაფლაოზე და მისთვის გამზადებულ, თეთრი ღრუბლის უკიდევანო და უსასრულო აკლდამაში შეაცურეს, ჩამქრალ ცის კაბადონზე ორი შავი დისკო გამოისახა, ერთი დიდი, ვეებერთელა, მეორე კი ძალიან პატარა, მის ჩრდილს ამოფარებული. უმზეოდ დარჩენილი კაცობრიობა განცვიფრებული შესცქეროდა ჩამქრალი მზის სამეფოში დაბადებულ ორ შავ დისკოს... ბაჩანამ ერთში გარდაცვლილი მზე იცნო. მეორეში კი მის მკერდზე სიყვარულით გამღვალი ბულიკა. იცნო და, აქვითინდა...

— ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი! იკვილა მან განწირული ხმით და ყიულივით ცივ დედამიწაზე დაემხო“.

— თქვენს რომელ ნაწარმოებშია მთლიანად გამომჟღავნებული ზურაბ ნერეთელი, თქვენი სულიერი სამყარო, სანუკვარი მიზანი და მისწრაფება?

— ვერ გეტყვით, რომ რომელიმე ჩემი ნაწარმოები სრულად გამოხატავს ჩემს სულიერებას. მე ჯერ თავად არ გამიხსნია ბოლომდე საკუთარი სამყარო, თავი მარად მაძიებელ მხატვრად მიმაჩნია, ამიტომ ყველა ჩემს ნაწარმოებში მეტ-ნაკლებად ძევს ჩემი ნამდვილი მე. სრულ გამომჟღავნებამდე კი, ალბათ, კიდევ ბევრი დრო მჭირდება.

— ხელოვანისთვის ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობები შედეგის

შექმნის ერთ-ერთი სტიმულიც არის და ხელოვნებაზე გულის აცრუების უპირველესი ფაქტორიც. თქვენ როგორ ძლევთ ხოლმე ამგვარ წინააღმდეგობებს?

— ცხოვრებაში ადვილად არაფერი მოდის. ყოველ სიახლეს თან წინააღმდეგობა მოსდევს. ბრძოლა სჭირდება ყველაფერს, ეს კანონია. წინააღმდეგობის დაძლევის ჩემი მეთოდი იყო და არის შრომა, შრომით ვწყვეტ ყველაფერს.

— ზურაბ წერეთელს ტიტულები და რეგალიები რომ არ აკლია, ყველამ იცის. აკლია კი არა, მინდა გკითხოთ, ზეპირად, უშპარგალკოდ თუ შეგიძლიათ ყველა მათგანის ჩამოთვლა?

— ნარმოიდგინე, შემიძლია. იმიტომ კი არა, რომ ცოტაა, იმიტომ, რომ ყოველ მათგანს უზომოდ ვაფასებ.

— მაინც რომელი პრემია ან ტიტული გეამაყებათ ყველაზე მეტად?

— საქართველოში ჯერ პრემია არ მიმიღია, არც რაიმე განსაკუთრებული ნოდება. უცხოური რეგალიებიდან საოცრად მეამაყება, რომ ვარ „მსოფლიო კეთილი ნების ელჩი“, პიკასოს პრემიის ლაურეატი, ესპანეთის სამეფო აკადემიის აკადემიკოსი და კიდევ ყველაფერი ის, რაც მსოფლიო საზოგადოებამ დამაპყრობა.

— თქვენ საკმაოდ მძიმე ბავშვობა და არანაკლებ რთული ახალგაზრდობა გამოიარეთ. ვიცი, რომ ვიდრე ამ აღიარებას და კეთილდღეობას მიაღწევდით, თქვენს მთელ ოჯახს ცხოვრების უმძიმესი დღეების გადატანა გერგოთ წილად. ნარმოიდგენდით ბავშვობაში, რომ ოდესმე ასეთ პიკს მიაღწევდით? ასე გაგიმართლებდათ?

— არა, საიდან. პლენხანოვზე, კრილოვის ქუჩის ერთ იტალიურ ეზოში ვიზრდებოდი ბიძაჩემთან, მხატვარ გიგლა ნიჭარაძესთან. ბავშვობიდან იმან მაზიარა მხატვრის სახელოსნოს საიდუმლოებებს, დიდი ქართველი ოსტატების წრეში მატრიალა, შრომის სიყვარული და ფასიც იმან მასწავლა. ვიცოდი, რომ ერთხანს მისი გაკვალული გზით უნდა მევლო, მაგრამ მერე, გაუკვალავში რას გადავეყრებოდი, ამას მხოლოდ უფალი უნყოდა.

— თბილისის იტალიური ეზოები ბევრი ხელოვანის შემოქმედების მუზად იქცა. ვისაც ასეთ ეზოებში გვიცხოვრია, იქაურ ამბებს ზღაპრებივით და ლეგენდებივით ვყვებით ხოლმე. დარწმუნებული ვარ, გასახსენებელი თქვენც ბევრი გექნებათ.

— გასახსენებელის მეტი რა მაქვს. სულ პატარა ბიჭი ვიყავი. ჩემი საძინებლის ფანჯარა საერთო აივანზე გამოდიოდა. მეზობელი გვყავდა, მუსიკის მასწავლებელი, მარი სერგეენა ნუნუპაროვა. საპირფარეოში მიმავალი მისი ქმარი სტიოპკა სისხამ დილით ღამის ქოთნით ჩაუვლიდა ხოლმე ჩემს ფანჯარას, მერე შეივლიდა საერთო სამზარეულოში და იქიდან აშიშხინებული ტაფით ერბოკვერცხი გამოჰქონდა. ჩემი ფანჯრის წინ ისეთი არომატი დგებოდა, გონება მებინდებოდა. მთელი ახალგაზრდობა იმ ტაფაში პურის ჩანობაზე ვოცნებობდი. ვერ ავიხდინე.

ერთხელაც მოსკოვში დამირეკა იმ სტიოპკამ, ასი წელი არ მენახა. საოცრად გამიხარდა და სტუმრად მოვიწვიე. შინამოსამსახურე ქალს ვთხოვე, გან-

საკუთრებული სტუმარი მყავს, ყველაფერი საუკეთესო მოამზადე, ოღონდ, როგორც კი სუფრასთან დავსხდებით, სტუმარს ცხელ ტაფაზე ამიშხინებული ერბოკვერცხი შემოუტანე-მეთქი. ქალს გაუკვირდა, მაგრამ დავარწმუნე, რომ ასე იყო საჭირო. საღამოს საზღვაო გენერლის ფორმაში გამოწყობილი სტიოპკა მეწვია. ვისაუბრეთ, მაგიდას მივუსხედით. გავაფრთხილე, ჯერ ხელი არაფერს ახლო, შენთვის სპეციალური კერძი მაქვს-მეთქი შეკვეთილი და ალებული ლუკმა ხელიდან გავაგდებინე. მზარეული იგვიანებდა, მე გემრიელად შევექცეოდი, უცებ გაიღო კარი და მარია გიორგევანა ოთახში ტაფაზე ამიშხინებული ერბოკვერცხი შემოაბრძანა. მე გვერდი ამიარა და პირდაპირ სტუმარს დაუდო თეფშზე. სანყალი სტიოპკა გამრა, მე ჯერ არ შევიმჩნიე, ცოტა ვანვალე და მერე ვუამბე, რისთვისაც მოვანყვე მთელი ეს სპექტაკლი. ბევრი ვიცინეთ. წარმოიდგინეთ, ამით დაესვა წერტილი ჩემს იმ აუხდენელ ოცნებას.

ერთხელ, გულრიფში ვახშმად ჩვენი მეზობელი კონსტანტინე სიმონოვი და მისი სტუმრები ფრანგი, პოეტი ქალი ნატალი საროტი და ალექსანდრე ფადეევის ქალიშვილი, მარგარიტა ალიგერი გვყავდა მოწვეული. ჩვენთან იყო ინესაც. როცა სტუმრები აიშალნენ, ინესამ თითიდან ძვირფასი ბეჭედი მოიძრო, ნატალი საროტს გაუწოდა და სთხოვა, თუ შეგიძლიათ, ეს ბეჭედი პარიზში მამიდაჩემს ჩაუტანეთ და მოუყევით, რომ არ გვიჭირს, ნუ ღელავს ჩვენზეო.

ზურაბ წერეთელი: ინესას პარიზში 20-იან წლებში საქართველოდან ემიგრირებული მამიდა ჰყავდა, ლილია ანდრონიკაშვილი. მდიდარი იყო, პოლონელი ემიგრანტის ცოლი. ყოველწლიურად ცდილობდა იქიდან ახლობლებს მიხმარებოდა, მაგრამ ისეთი დრო იყო, ბევრს ვერაფერს ახერხებდა. დაჟინებით ითხოვდა ინესას პარიზში ჩასვლას. ახალდაქორწინებულებმა გადაწყვიტეთ, დასახმარებლად მოსკოვში ვოროშილოვისთვის მიგვემართა და წავედით. ჩავენერეთ მისაღებში. ზამთარი იყო. ფეხზე ძირგამოხვრეტილი ფეხსაცმელი მეცვა, შიგ კარდონი მქონდა ჩაფენილი, წყალი შემდიოდა, ფეხი მეყინებოდა. ვოროშილოვმა მიგვიღო. ჩვენი თხოვნა რომ მოისმინა, კალინინთან გაგვიშვა, იმან კი „მამაშვილურად“ გვირჩია, პარიზში რა გინდათ, ჯერ მოსკოვი დაათვალიერეთ, ნითელი მოედანი, კრემლიო. ასე განბილებულები დავბრუნდით ჩვენი გულუბრყვილო თხოვნით დედაქალაქიდან.

გავიდა წლები, შეიცვალა დრო, მაგრამ ინესას პარიზში გამგზავრებას საშველი არ დაადგა. ბოლოს, ირაკლი აბაშიძემ მითხრა, მაგ საქმეს მე მოგიგვარებო და ჯორბენაძის დახმარებით მართლაც გადაწყდა ჩვენი საფრანგეთში წასვლის ამბავი, ოღონდ, სანახევროდ. მე გამიშვეს, ინესა კი — არა.

ინესას მამიდა საოცარი ქალი აღმოჩნდა. ძალიან ლამაზი. ისე დავმეგობრდით, ქმრისგან მალულად, ერთხელ, პრეზიდენტ დე გოლის მისდამი მოწერილი წერილებიც კი წამაკითხა. ფრანგ გოგონებზე ეჭვიანობდა და მარტო თითქმის არ მტოვებდა. 1984 წელს მან და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, თავიანთი სახლი ჩემზე გადმოეფორმებინათ. მოიწვიეს ნოტარიუსი, გააფორმეს საბუთები,

დაარტყეს ბეჭდები და ასე გავხდით მე და ინესა პარიზში დიდი სახლის მფლობელები. მაგრამ სად იყო და სად არა, გამოცხადდნენ ამხანაგები საბჭოთა კავშირის საელჩოდან, ჩამოგვართვეს საბუთები და, ფაქტობრივად, სახლიც.

— თქვენი პირველი სერიოზული ფერწერული ნამუშევარი?

— პირველი სერიოზული ნამუშევარი ჩემი სადიპლომო ნაშრომი იყო. მშვენიერი საცურაო აუზი გარშემორტყმული შიშველი ფიგურებით. დიპლომზე მუშაობის პირობები სახლში რომ არ მქონდა, ჭავჭავაძის პროსპექტზე ჩემი მომავალი მეუღლის მოცუცქნული ბინის სხვენი ვიქირავე. ინესას ბიძები აღმფოთებულები იყვნენ, ამ ახალგაზრდას სახლში შიშველი ნატურები მოჰყავსო.

ლიკა წერეთელი: ზურაშას (ასე ეძახის მამამისს) დიპლომი სარიანმა ნახა და მოეწონა. ეს ამბავი, ბუნებრივია, უმალ მთელ სამხატვრო აკადემიას მოედო. ამ დროს საბჭოთა კავშირის მთავრობამ სარიანი არასაიმედო ელემენტად გამოაცხადა და ზურას ურჩიეს, გიჯობს ეგ ნახატი სადიპლომო დაცვაზე არ გაიტანო. დაცვამდე კი ორი კვირა იყო დარჩენილი. მაშინ თავი ალიკა რატიანმა გასწირა, იგი ორი კვირით ჩაიკეტა მამაჩემთან ერთად სახელოსნოში და ზურამ დიპლომის დაცვაზე ალიკას ფერწერული პორტრეტი გაიტანა.

ამ დიპლომის ასლი ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე წერეთლების სახლში ვნახე. იგი 1959 წლის 12 დეკემბერს გაცემულია სარეგისტრაციო ნომრით — 473, სპეციალობაში დაზგური ფერწერა. დიპლომს ხელს საქართველოს სამხატვრო აკადემიის რექტორი, დიდი ქართველი ფერმწერი სერგო ქობულაძე აწერს.

— რუსეთი პარადოქსების ქვეყანაა. ყველაზე მეტი სკანდალური და უარყოფითი პუბლიკაცია თქვენზე რუსულ პრესაში მინახავს. ყველაზე მაღალი რეგალიები და აღიარებაც იმავე რუსეთმა მოგანიჭათ. თითქმის ნახევარი ცხოვრება იქა გაქვთ გატარებული და, თუ თქვენივე სიტყვებს მოვიშველიებ მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთიდან, რუსული ხელოვნების ყველაზე ერთგული დამფასებელი და პოპულარიზატორი ბრძანდებით. მაშ, რას ვერ, ან არ ეგუებიან თქვენი რუსი კოლეგები ზურაბ წერეთელში?

— ვიდრე ამას ჩავუღრმავდებოდე, გეტყვით, რომ ერთ უნიკალურ ალბომს ვქმნი. ამ ალბომში შავ ფონზე წითლად ჩემს შესახებ არსებული მთელი უარყოფითი პუბლიკაციებია დაბეჭდილი. თეთრზე ოქროსფრად — დადებითი (ძირითადად, უცხოური, უფრო ამერიკული პრესიდან). გინების წერილების ორი ტომი უკვე შეივსო. ამასობაში კი ამ წერილების ავტორთა უმრავლესობა ჩემს მეგობრებად იქცნენ. მაგალითად, გუსევი, რომელმაც ჩემზე „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ ყველაზე აგრესიული წერილი გამოაქვეყნა. ასევე, მხატვრებიც, პრუსი და ბლანკი. იმით რომ ჰკითხო, ჩემს წინააღმდეგ ასაჯანყებლად მხატვრებს ფულსაც უხდინდნენ. ამ ალბომით მინდა ისტორიას შემორჩეს, ვის უკან ვინ იდგა. ვინ იყო საბოლოოდ მართალი და ვინ — მტყუანი.

ახლა თბილისში, თბილისის ზღვაზე, ყეენის მთაზე, ზურაბ წერეთელი საქართველოს მატთანეს — მხატვრულ-სკულპტურულ კომპლექსს აგებს. 29 სექ-

ტემბერს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციასთან ერთად წმინდა ნინოს 18-მეტრიანი რელიეფური სკულპტურის ანევისა და სვეტში ჩაშენების ცერემონიალს დავესწარი — ყოველი ადამიანი თავისი საქმით ქმნის საკუთარ ავტოპორტრეტს — უთხრა პირველი არხის ჟურნალისტს სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ამწებმა წმინდა ნინოს ვეებერთელა ბარელიეფი მაჯის სიმსხო გვარლებით მიწას მონყვიტეს და ზეცას აიტაცეს. ბარელიეფს ავხედე. შუადღის თაკარა მზის სხივმა თვალი მომჭრა და დამიბნელა, შემდეგ, როცა ისევ დამიბრუნდა სინათლე, დავინახე, რომ მზეს მკერდზე ვაზის ჯვარმიდებული ნინოს სკულპტურა ამოფარებოდა და მოწმენდილ ცაზე ახლა ის აფრქვევდა სხივებს. მე მას წამით თვალი გავუსწორე და ვიცანი: ამ ქვეყანაზე ყველაზე ახლობელი, ყველაზე მშვენიერი, ყველა ქართველის დიდი დედა და იმედი. თვალს არ მჭრიდა. თავის მცხუნვარე ფლუიდებით ნელ-ნელა შემოდოდა ჩემს დამშრალ სხეულში და უტკბესი ხმით ჩამჩურჩულებდა: ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი!

გაზ. „დილის გაზეთი“, 11 აგვისტო, 1999 წელი.

„ჩემი საყვარელი მოთხრობა“

ჟურნალი „XX საუკუნე“, პირადად მე, იმ სათნოების სახლს მაგონებს, რომელიც ზღაპრული ქოხივით სწორედ მაშინ ამოიზარდა დამეწყრილი ნიადაგიდან, როცა ყველაფერ უბედურებასთან ერთად ჯერ სტიქიამ, და შემდეგ ადამიანთა ავბედითმა გულგრილობამ მიწასთან გაასწორა ჩვენი საუკუნოვანი ქვიტიკირის კომპეები და სასახლეები.

პოლიტიკური ამბიციებისგან, ლიტერატურული დივიდენდების მოპოვებისკენ სწრაფვისა და ანგარებისგან სრულიად თავისუფალი „XX საუკუნე“ 90-იან წლებში ერთადერთ მოქმედ წმინდა ლიტერატურულ ჟურნალად მოგვევლინა. იმ ამღვრულ ოთხმოცდაათიან წლებში ფინანსური, იდეოლოგიური, სულიერი თუ სხვა მრავალი კრიზისების ქაოსში მას საკუთარი მრწამსისა და აღებული გეზისთვის არ უღალატია, არც ნომერი ჩაუგდია და არც ხელი ჩაუქნევია, როცა საერთოდ საკითხავი გახდა საზოგადოებრივი თანამედროვე ლიტერატურის ცნობის საჭიროება. დასაწყისში ჟურნალი, ფაქტობრივად, მკითხველთა უმცირესი წრისთვის გამოდიოდა, თუმცა დაჟინებით კი მიიკვლევდა გზას სხვადასხვა მიმართულებით გადახვენილი და გადაკარგული მკითხველისაკენ ანგრეულ, მაგრამ მაინც ერთადერთ და ყველაზე ტკბილ მშობლიურ კერასთან მოსაბრუნებლად.

ვფიქრობ, სწორედ ამ კეთილმა მისიამ დაბადა ჟურნალში „ჩემი საყვარელი მოთხრობის“ რუბრიკის გახსნის და მისთვის ხანგრძლივი ნოსტალგიის დინჯი და მიზანდასახული მკურნალის მოვალებების დაკისრების იდეა. ამ რუბრიკით „XX საუკუნემ“ მკითხველს მივინყებულები სახელები, ნაწარმოებები და ვიტყვოდი, მივინყებულები მთელი თაობა შეახსენა.

„არაფერი ისეთი სიმძაფრით არ გამოხატავს დროს, როგორც რომელიმე პიროვნება, ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა ან თაობის სახელი“ — ნერს სამოციანელთა ერთ-ერთი თავკაცის, ოტია პაჭკორიას წიგნის გამო დაწერილ სტატიაში თამაზ ჩხენკელი და იქვე თაობის ცნების ოტია პაჭკორიასეულ განმარტებასაც იმონებებს: „თაობა ყველაზე მცირე და კონკრეტული ქრონოლოგიური ერთეულია. იგი გულისხმობს იმ აუცილებელ ფენომენს, როცა გარკვეული პერიოდის ლიტერატურულ პროცესში ამკარავდება რამე ახალი მნიშვნელობით აღბეჭდილი რიცხობრივი დაგროვება და ინტენსიფიკაცია. ეს არის ადამიანთა ახალი ფენა, თანაასაკოვანი, ერთნაირი გამოცდილებისა და რეაქციის მქონე ადამიანთა ჯგუფი. ყოველ ადამიანს სწამს რაიმე თავის თაობასთან ერთად, ყოველ თაობას აქვს თავისი ლეგენდა, რომელიც გამოხატავს მის ოცნებასა და ხასიათს“.

მაშინ, როცა სამოცდაათიანი წლების დამწყები მწერლები მწერლობაში პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამდნენ, და სიმწიფის ხანამდე კიდევ დიდი გამოცდა ჰქონდათ გასაუღელი, მთელი საბჭოური და, გნებავთ, ევროპული ლიტერატურათმცოდნეობა ლიტერატურათა ტიპოლოგიურ კვლევაზე გადაერთო. სოც-რეალიზმის აგონიისა და რკინის ფარდის ახდის ნელ პროცესში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა ლიტერატურის ექსპერტთა ხელში ჩაგარდნილი ის აკრძალული და ტკბილი ხილი გამოდგა, რომელმაც დადებითთან ერთად ერთგვარი უარყოფითი როლიც შეასრულა მსოფლიო ლიტერატურასთან მცირე ერების ლიტერატურის ინტეგრირების საქმეში. საქმე ისაა, რომ დასავლურ გამოცდილებას დანაფებული ლიტერატურათმცოდნეები ქართული თანამედროვე ლიტერატურის ყველაზე ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩატყულ ნაწარმოებსაც კი, იძლეოდა თუ არა მასალა ამის საშუალებას, ევროპული ან ამერიკული ცნობილი მოდელების ან მოდური ფილოსოფიური მიმდინარეობების პრიზმაში ატარებდნენ. არაერთი მწერლის შემოქმედება, ზოგის დამსახურებულად და ზოგისაც სავესებით დაუმსახურებლად, უკეთეს შემთხვევაში უცხოური ლიტერატურის გავლენის პროდუქტად და უარეს შემთხვევაში — პირდაპირ გადმოქაჩულ-გადმონერილად და ეპიგონურად მოიხსენიებოდა.

ასეთ დღეში აღმოჩნდნენ უკვე სახელმძოვებელი სამოციანელებიც და ახლად ფეხნადგმული სამოცდაათიანელებიც, რომელთა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ შემოქმედებით მეთოდსა და ხასიათს მეორე უკიდურესობა — ახლად-გორებულ ეროვნულ მოძრაობასთან შესაბამისობაში მოყვანილი რადიკალურად ქართული და ყოველივე უცხოურის კატეგორიულად უარყოფელი მსოფლმხედველობის გაუმართლებელი პროპაგანდა დაუპირისპირდა.

და სწორედ ამ დროს, კერძოდ, სამოცდაათიანი წლების მიწურულს ჯემალ თოფურშიძე თავის დაუშთავრებელ რომანს ეპიგრაფად ასეთ სიტყვებს აწერს: „საქართველო თბილისში ასფალტდაგებულ ეზოებს მაგონებს, იმ პატარა გადარჩენილ მიწას, ეზოს კედელს და ასფალტს შორის რომ არის მოქცეული, მომწყვდეული, ვიღაცას რომ დაურგავს ამ გადარჩენილ მიწაზე ცოტაოდენი მწვანე“.

1975 წლის „ცისკრის“ მე-4 ნომერში გურამ ასათიანი ქართულ მწერლობაში ახლად გამოჩენილი მერაბ აბაშიძის მოთხრობების გამო წერს წერილს სათაურით „გზის დასალოცად“ (იმეორებს მერაბ აბაშიძის მოთხრობის სათაურს). აი, პატარა ნაწყვეტი იმ წერილიდან, რომელიც მერაბ აბაშიძეს კი ეძღვნება, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მთელ თაობაზე განზოგადდეს.

„...მივხვდი, რომ რაღაც (კიდევ ერთხელ) შეიცვალა ჩემს წარმოდგენაში იმის შესახებ, რასაც დღევანდელი ლიტერატურული ახალგაზრდობა ჰქვია. ასეთ ცვლილებებს სიხარული არ მოაქვთ ყოველთვის; განსაკუთრებით მაშინ, როცა ასაკი უკვე მყარი შეხედულებებისკენ გიბიძგებს და კალამიც გამოცდილების (ყოველთვის ნაადრევ) შეჯამებას ეტანება.“

ახალი, ნამდვილად საინტერესო პიროვნების შემოსვლა ლიტერატურაში მძაფრად აღიქმება დამხვდურთა მიერ. დაახლოებით ისეთი გრძნობაა, როცა კარგად მიღებულ ოთახის კარები გაიღება და ვიღაცა წვიმაში განუწყვდილი შემოაბიჯებს ტალახიანი ფეხებით, რომელიღაც ძვირფას ნივთს გამოედება, ყველაფერს აანრილებს ირგვლივ და უცერემონიოდ, სულ სხვა კილოთი ჩაებმება ოთახში მყოფთა საუბარში“. ასეთი „დისკომფორტი“ სამოციან წლებში ქართულ პროზაში გურამ რჩეულიშვილმა შემოიტანა, ხოლო ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მსგავსი „დისკომფორტის“ შემომტანთა შორის ერთ-ერთი თავადაც იყო. გურამ ასათიანი, ოტია პაჭკორია, ნოდარ ჩხეიძე და იმ პერიოდის ახალგაზრდა მწერალთა საუკეთესო ნაწილი ლიტერატურული კრიტიკის ის პროფესიონალები იყვნენ, რომელთაც არასდროს დაუკარგავთ სურვილი „დალაგებულ“ ცხოვრებაში „დისკომფორტის“ შემტანთა აღმოჩენისა და მათი „უზნეო“ საქციელის სტიმულირებისა. თანაც კარგად უწყობდნენ, მათ ავტორიტეტულ სიტყვას როგორი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო საზოგადოებრივ აზრსა და თავად დამწყებ ავტორზე.

ერთხელ მამაჩემს შევესწარი დილის ექვს საათზე კაბინეტში, ტელეფონის ყურმილი ეჭირა და ახალგაზრდა მწერალს ეუბნებოდა, ნეტავ ეგ მოთხრობა მე დამეწერაო. გათენებას არ დაელოდა, უთენია გააღვიძა ის მწერალი და გულიც გაუხეთქა ალბათ. მე ამ ეპიზოდს უფროსი კოლეგის თავისებურ რეაქციას დავარქმევდი ახალგაზრდა მწერლის წარმატებით გამოწვეულ ტკბილ დისკომფორტზე.

სამოციან წლებში ქართულმა ლიტერატურამ და კერძოდ კი პროზამ ისე გაითქვა სახელი, რომ საკავშირო ლიტერატურათმცოდნეობაში მას განსაკუთ-

რებული სამუშაო ტერმინით „ქართული პროზის ფენომენით“ მოიხსენიებდნენ. სამოც-სამოცდაათიან წლებში ერთმანეთის მიყოლებით იბეჭდებოდა საქვეყნოდ ცნობილი, დღეს უკვე ეროვნულ საუნჯედ ქცეული ნაწარმოებები და საქართველო ამ პერიოდში მთელ საბჭოურ სივრცეში ლიტერატურის მექადა აღიქმებოდა.

კარგად იცით, და კიდევ უფრო უკეთესად წარმოგიდგენიათ, ამ საოცარი ბუმის დროს რა ძნელი იქნებოდა მწერლობაში მყარად შემოსვლა და მერე იქ საკუთარი ადგილის შენარჩუნება. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნეა გასული, თანაც ისეთი მეოთხედი საუკუნე, როცა ყოფითმა დისკოფორტმა ტალღასავით გადაუარა და თითქმის მთლიანად შთანთქა სულიერი ამბოხების, იდეოლოგიური დაპირისპირების, ახალი თავგადასავლის ძიებისა და გრძობადაბლაგვებული საზოგადოების შეფუცხუნების სტიმული. და ათასნაირ კრიზისთავდატეხილი საქართველო მართლა ბეტონის კედელსა და ასფალტს შორის მოქცეულ იმ პატარა მინას დაემსგავსა, სადაც ვილაცას ცოტაოდენი მწვანე გაუხარებია.

გურამ გეგემიძე ერთ თავის საკმაოდ გახმაურებულ სტატიაში წერს: „ახალგაზრდა მწერალთაგან დიდი გულისტკივილით უნდა დავასახელო ნაადრევად დაღუპული ჯემალ თოფურიძე, რომლის ნაწარმოების ტრაგიზმმა სულისშემძვრელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე და ვიგრძენი დიდი სინანული, რომ ახალგაზრდას არ ვიცნობდი. ახლახან, ასევე მისი სიკვდილის შემდეგ, გავეცანი ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდის, თამაზ ბაძალუას შემოქმედებას...“ ამ სიას კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მწერლის, გარდაცვლილის და ცოცხლის სახელს დავამატებდი, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. თანაც, ვიდრე მე მათი სახელების ჩამოთვლას დავინწყებდი, კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ ეს ძალზე მოწინებით, ტაქტითა და ზედმეტი კომენტარების გარეშე მშვენივრად განახორციელა „XX საუკუნეში“ „ჩემი საყვარელი მოთხრობის“ სერიის რუბრიკის ავტორმა ლაშა თაბუკაშვილმა.

რუბრიკა ყურნალის მეორე ნომრიდან გაიხსნა, მაშინ რედაქციამ პირველად აუწყა მკითხველს, რომ იწყებდა უახლოეს წარსულში შექმნილი ქართული პროზის ბეჭდვას.

პირველი ბადრი ჭოხონელიძის მოთხრობა იყო. ამ მოთხრობას „ძმა“ ჰქვია და დარწმუნებული ვარ, რომ მისი შინაარსის შესხენება აქ ზედმეტია. ერთს აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს მოთხრობა არის უმცროსი, შვილის თვალთა აღქმული საკუთარი ოჯახი, რომელიც, პრინციპში, თავისი ყოველდღიური პრობლემებითა და თავსატეხებით არაფრით გამოირჩევა ერთი ჩვეულებრივი ოჯახისგან, მაგრამ ტრაგიკულია „მარგინალური ადამიანის“ — გარდამავალი ასაკის ყმანვილის — აღქმით, რომელიც თავისი სისხლისა და ხორცისგან მხოლოდ ერთი გამჭვირვალე კედლით აღმოჩნდა გამოყოფილი და ვერაფრით მიუსადაგა კედლის იქით დარჩენილებს ის მივიწყებული ნორმები, რომლებიც თავად რატომღაც გულის ფიცარზე აღმოაჩნდა ამოტვიფრული: სიყვარული, სინაზე, მიმტვევებლობა, ურთიერთის

ანგარიშგანევა და მოფრთხილება, დანდობა, სილაღე და გულწრფელობა. გარემო სამყაროში ამ ფასეულობების დეფიციტი პატარა ბიჭის გულის ფიზიკურ უკმარისობას იწვევს და რაც უფრო ჯიუტად გრძელდება გარშემო ცრუ სიყვარულზე, ცრუ ურთიერთობებზე აგებული ცრუ უბედურება და თუნდაც ბედნიერება, მით უფრო მტკივნეული ხდება ჭეშმარიტ შეგრძნებებს დანატრებული პატარა მარგინალის გულის კვდომის პროცესი. ბადრი ჭოხონელიძემ ძალიან ადრე თავად შეიგრძნო ამ გლობალური უკმარისობის ტკივილის ძალა და დანერა: „მკერდში, მარცხნივ ღმუოდა ტკივილი. ღრმად ისუნთქავდა და ეს ცოტათი შველოდა. მერე უეცრად შეწყდა მანქანების ხმა, შემოფოთებული ხალხის ყაყანი და ბიჭი სამუდამოდ დაამდა, დამშვიდდა“ (1977 წ.).

„ოთხი ნოველა და ერთი მოთხრობა სამოცდაათიანი წლების ციკლიდან“ — ასეთი საერთო სათაურით გამოქვეყნდა „ჩემი საყვარელი მოთხრობის“ სერიაში ლაშა თაბუკაშვილის ადრეული ნაწარმოებები — „მოკლეს ბიჭი“, „მშვიდობით, ქალბატონო“, „სიყვარული ჩუმათელეთში“, „გასეირნება ვერის ბაზართან“ და „ტერანგი“. პირადად მე და, ალბათ, ბევრ სხვას კარგად ახსოვს, რომ ამ მოთხრობებში, კრიტიკაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ლიტერატურის ყველაზე უტყუარ ბარომეტრზე, იმ თაობის ახალგაზრდობაზე.

მამაჩემს დროდადრო ერთი რუსული გამოთქმის მოშველიება უყვარდა ხოლმე. ქართულად ცოტა უხერხულად ჟღერს, მაგრამ ლაშა თაბუკაშვილის ბოლო პიესის ლექსიკის შემდეგ ვფიქრობ, ამის უფრო ფართო ასპარეზი გვეძლევა. მოკლედ, ეს გამონათქვამი ქართულად ასე ჟღერს „გლანდების ოპერაცია უკანალიდან“. კრიტიკას, ხშირად, სწორედ ასეთი ქირურგიული ხერხით შექმნილი ნაწარმოების შეფასება უფრო ეადვილება, ვიდრე უბრალოდ, ლანგარზე დალაგებულად მორთმეულისა. თითიდან ძალით გამოწოვილი და განზრახ აწენილი პრობლემის გაბურღვა უფრო იზიდავს და მარტივი აზრის ამოსაცნობად ტრეპანაციის ჩატარება უფრო ეხერხება. ამ პატარა მოთხრობებით კი ლაშა თაბუკაშვილმა და სხვათა შორის, მისმა ერთგულმა მკითხველმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნეს იმაში, რომ ყავლი არ გასდის მძლავრ ვნებებს, ჩამუხტულს თხრობის გარეგნულ სისადავეში. სიყვარულსა და სიკვდილზე მოკლედ წერას.

„ნუდისტები გვინდა ახლა ჩვენ?“ გადაულაპარაკებს ვერის ბაზართან მოსეირნე შიშველი შეშლილის დანახვაზე ნასვამი კაცი ტაქსის მძღოლს, რომელსაც არც სიტყვა „ნუდისტი“ ესმის რას ნიშნავს და არც იმის „ოფსილა“ აქვს, გიჟის საქციელს რაიმე ფსიქოლოგიური სარჩული დაუდოს. არც მოეთხოვება. საქმე ისაა, რომ „ნუდისტები“ მაშინაც გვჭირდებოდა და ახლაც არ გვანყენენ. ლაშა თაბუკაშვილის მარგინალური გმირი არც ბავშვია და არც მახინჯი სხეულით ულამაზესი სულისა და ანგელოსის ფრთების მატარებელი. ის გიჟია, თავისუფალი, საკუთარი სხეულივით ლამაზი, ჩამოქნილი და მიმზიდველი, დინჯი აუღელვებელი და ღირსეული. კაცი, რომელიც „არ გრძნობდა სირცხვილს საკუთარი სიტიტვლის გამო, მაგრამ არც ბუნებრივად მიაჩნდა უტანსაცმლობა,

თუმცა არც სიცივე ანუხებდა და არც ბოლმინი ქარი. ერთადერთი, რაც აწვალეზდა, იყო გაურკვეველი მდგომარეობა სულისა, მან არ იცოდა, სიზმარი იყო ეს თუ ცხადი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თავისუფლად შეეძლო ტიტველს ესეირნა ქუჩაში, ხოლო სანთლის ლოლუები, აჯაგრულ მკერდს რომ უწინკინდნენ, მეტ სხივოსნებასა და დამაჯერებლობას შემატებდნენ მის წმიდა მისიას — გამოფიზიზლებინა დაღლილი და საქმიანი ადამიანები“.

1978 წლის „ცისკრის“ მაისის ნომერში დაიბეჭდა ჯემალ თოფურიძის „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“. უკვე აპრილში ჯემალი ცოცხალი აღარ იყო. მოთხრობა „ცისკარში“ გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მიიტანა, რამდენიმე დღით ადრე კი, მიაკითხა იმის გასაგებად, იბეჭდება თუ არა. იქ, სარედაქციო კოლერიაში, ისეთი რამეები უთხრეს, სიხარულით სამი დღე აღარ გამოფიზიზლებულა. საკუთარი ამბავი მოყვა იმ მოთხრობაში ჯემალ თოფურიძემ და ფინალში აღწერილი საკუთარი გარდაცვალება სულ მალე ზედმიწევნითი სიზუსტით გაიმეორა. რაც მის აფორიაქებულ სულს სხეულში ვერ ატევდა, ის დაუდო ხელისგულზე თავის მკითხველს და ისე ახლოს მიუტანა თვალბთან, რომ ამ უკანასკნელმა კარგად ვერც კი გაარჩია, საკუთარი გარდაცვალების გარდა ასე დაჟინებით კიდევ რას უწინასწარმეტყველებდა გულგრილობითა და სრული უდარდებლობით გაბრუნებულ საზოგადოებას. სულ ათიოდე წლის წინ მოთხრობის ავტორის გარდაცვალების სიზუსტით დატრიალდა საქართველოში ის საშინელი წინასწარმეტყველება, რომელსაც თურმე ასე დაჟინებით ლაღებდა მწერალი. „მამინ სულ მოშორდა ზღვა დიოსკურიას, ზღვა აღარაფერს ერჩოდა, მაგრამ, ახლა ადამიანები დაერივნენ ერთმანეთს, ხოცავდნენ, ჟლეტდნენ, აუპატიურებდნენ, სპობდნენ, ადამიანები საკუთარ ოჯახებს ანგრევდნენ და სპობდნენ ფიზიკურად და მორალურად, შეგნებულად და შეუგნებლად, ნებით და უნებლიედ.

— გესმის?! — ოჯახებს კლავენ განზრახ, ნებით და უნებლიედ საშინელება ტრიალებდა დიოსკურიაში. გაბრაზდა დიდი ზღვა, ისევ მოვარდა ქალაქში და მთლიანად ჩაძირა ის.

ახლა მისმინე, არავინ იცის პირველად რატომ მოვიდა ქალაქთან ზღვა, რატომ მოშორდა და ბოლოს, რატომ ჩაძირა სულ. მე ვიცი მხოლოდ და შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ვუმხელ“.

ახლა ისევ თაობის უნიკალობასა და მის ზოგად თვისებას მინდა მივუბრუნდე და შეგახსენოთ, რომ ყოველ ადამიანს სწამს რაიმე თავის თაობასთან ერთად, ყოველ თაობას აქვს თავისი ლეგენდა, რომელიც გამოხატავს მის ოცნებას და ხასიათს. მიკა ალექსიძე სამოცდაათიანელი მწერლების ის წარმომადგენელია, რომელმაც ახალგაზრდა შემოქმედისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმით, უკომპრომისობითა და „სითავხედით“, მთელი თავისი თაობის სახელით შეძლო კატეგორიული უარი განეცხადებინა იმ სამყაროზე, რომელსაც ხედავდა, გაემხილა ოცნება იმ დაკარგულ თავისუფლებაზე, რომელიც ადამი-

ანებმა ნებით თუ უნებლიედ თავად გამოამწყვდიეს ათასი მავთულხლართითა თუ ლობით გამმიჯნავი სამყაროს მეორე მხარეს. რასაც ახლა ვამბობ, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როცა „XX საუკუნეში“ რამდენიმე წლის შემდეგ ხელმეორედ ნავიკითხე „ბაბუში“.

„XX საუკუნის“ ათ ნომერში „ჩემი საყვარელი მოთხრობის“ რუბრიკით დაიბეჭდა სამოციანი წლების იმ მწერალთა თითო მოთხრობა, რომლებმაც შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე დიდი ოჯახის ცალკე შტოდ არჩიეს ცხოვრება და ბოლომდე არცერთი თაობის ტიპურ წარმომადგენლად არ უღიარებიათ საკუთარი თავი. მე დღეს ნამდვილად არა ვარ მზად ამ მწერლების შემოქმედების თუნდაც ზერელედ გასაანალიზებლად, მაგრამ საოცრად მაინტერესებს ის მიზანი, რომლის გამოც „XX საუკუნეში“ მათი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები სამოცდაათიანელების გვერდით, გვერდით კი არა და, ქრონოლოგიის სრული დარღვევით „ჩემი საყვარელი მოთხრობის“ სერიაში მიმოფანტა.

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვოვა სიხარულიძის „მეათე მონმე“ დაიბეჭდა „ცისკარში“. დაიბეჭდა, და ჯერ კიდევ მაშინ, უხვი შემოქმედებითი მოსავლიანობით განებივრებული ქართული მწერლობა კარგა მაგრა შეაჯანჯღარა. „რა თქმა უნდა, ზღაპრულია, რა თქმა უნდა, უცნაურია, მაგრამ ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბების ერთობლიობა, კლასიკურ, ტრადიციულ მოთხრობაზე არანაკლებ დამაჯერებელია, მწერალი „ახალ რეალობას“ ქმნის. ამ მოთხრობის გამოქვეყნებიდან ორი თუ სამი წლის შემდეგ უნდა გასცნობოდა მკითხველი „ასწლიან სიმარტოვეს“, ზეცაში ზენრებს აყოლილ მშვენიერ რემედიოსსა და ყოვლისმცოდნე მელკიადესს. როგორც ჩანს, ჰაერი უკვე გაჟღენთილი იყო „მაგიური რეალიზმის“ ვირუსით“. აი, „XX საუკუნელების“ ის მოკლე და საფუძვლიანი შეფასება ვოვა სიხარულიძის მართლაც უნიკალური მოთხრობისა, რომელიც საბოლოო ჯამში კიდევ იქცა ამ ძალზე თავისებური მწერლის საფლავის ქვადაც და ეპიტაფიადაც ამ ქვაზე.

სამოცდაათიან წლებში დაიბეჭდა ასევე გიორგი ბაქანიძის „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“. ფაქტობრივად, ამ მოთხრობისადმი მიძღვნილ წერილს ტარიელ ჭანტურიაძე „სხვისი ნაშრომით გახარება“ დაარქვა, ხოლო „XX საუკუნეში“ კი საყვარელი მოთხრობის სტატუსით, 25 წლის შემდეგ, ეს პატარა მარგალიტი კვლავ მზის შუქზე გამოიტანა.

და განა მარტო ეს. ვაჟა გიგაშვილის „დღე და ჟამი“, „ცარიელი სიბრტყე“ და „სიზმარი“. ამ მოთხრობებმა დაბადებიდან გამოქვეყნებამდე 40 წლიანი ლეტარგიული ძილით იარსებეს და როცა მოგვევლინენ, აღმოჩნდა, რომ არცერთი მათგანი წამითაც არ ჩამორჩენია თანამედროვე მკითხველის გემოვნებასა და ინტელექტუალური ზრდის ტემპს.

„ჩემი საყვარელი მოთხრობა“ საფუძვლშივე მოიცავს იმ აზრს, რომ ამ რუბრიკის ნიშნით გამოქვეყნებული ნაწარმოები მარადიულ ფასეულობებს უნდა ემსახურებოდნენ უფრო, ვიდრე რომელიმე კონკრეტული აქტუალური მოვ-

ლენის მხატვრულად ასახვას. მე იმ აქტუალურ მოვლენებზე მაქვს საუბარი, რომელთაც ისევე მალე გასდით ყავლი, როგორც მათ ძალით და ხელოვნურად შემქმნელებს, თორემ პრობლემის აქტუალობა, მისი საუკეთესო გაგებით, თავად ძვეს მარადიულ ცნებების იმ სიღრმეში, რომელთაც თავის დროზე ადამიანს ადამიანობის, ხოლო ხელოვანს კი ზეკაცის ძალა განუსაზღვრავს. ამიტომ ის, რაც საყვარელი და დაუფინყარი იყო გუშინ, მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტად ფასეული, როცა საყვარელი და სანატრელი გახდება ხვალაც. სწორედ ამ სასწორზე შემოდო „XX საუკუნემ“ მე-9 ნომერში თენგიზ ჩალაურის „ლომი, ალკოჰოლიკი, მანეთიანი და კლუბტომანი“. ამ მოთხრობამ უკვე გაუძლო ნახევარსაუკუნოვან გამოცდას და დღეს ახალი ცხოვრება დაიწყო ძველ და ახალ მკითხველთან ერთად.

ვინაიდან რუბრიკა „ჩემი საყვარელი მოთხრობა“ ხელოვანთა იდეაა, თანაც მწერლის და არავითარ შემთხვევაში ლიტერატურის კრიტიკოსისა, მაშინ შერჩეული მოთხრობების მიხედვით მიახლოებით მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ რუბრიკის ავტორის მრწამსი, გემოვნება და განვსაზღვროთ მისი ჟურნალის თანამედროვე კონცეფცია. საბედნიეროდ, ნინ კიდევ დიდი ლიტერატურული ცხოვრება და არჩევანია, ჟურნალში ახალი თაობა მოდის. მალე ისინი განსაზღვრავენ საყვარელი მოთხრობის შერჩევის ახალ კრიტერიუმს, რომელიც, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, კარგად დაეინყებული ძველი იქნება.

გაზ. „ქომაგი“, 24 ნოემბერი — 7 დეკემბერი, 1999 წელი.

ბიძინა

ეს 27 იანვარიც მოვიდა — ბიძინა ხერხეულიძის დაბადების დღე. დღეს, რომელსაც მთელი ახალგაზრდობა, და შემდეგაც, განსაკუთრებულად ველოდი ხოლმე, წინასწარ ვემზადებოდი ამ დღისთვის, ყველა დანარჩენ საქმეს განზე ვდებდი, ვფორიაქობდი და მიხაროდა, რომ იმ საღამოს ხერხეულიძეების ოჯახში ერთხელ კიდევ გავხვდებოდი ყველაზე ლამაზი, მხიარული, სიცოცხლის გამახანგრძლივებელი და განუმეორებელი თავშეყრის მონაწილე. ახლაც უცნაურ, მაგრამ სრულიად განსხვავებულ გრძნობას ვყავარ ატანილი. ვიცი, უნდა მოვიდე და დაბადების დღე მოგილოცო. მოვალ კიდევ, მაგრამ წინასწარი მზადებისა და ფორიაქის გარეშე. ვიცი, დღეს განსაკუთრებული აღარაფერი მოხდება შენს სახლში. შეიძლება, ძალიანაც ვეცადოთ, მაგრამ ზემი აღარ შედგება. მორჩა ის 27 იანვარი. ადრე ადვილი იყო. ვიცოდით, რომ ჩვენს შორის ყველაზე ლამაზი და ყველაზე „მაგარი ბიჭი“ სუფრის თავში იჯდებოდა. ახლა ვი-

ცით, რომ ეს ყველაზე მაგარი ბიჭი ცოცხალი აღარ არის. და მხოლოდ იმიტომ, რომ თავად არ მოისურვა. დაამთავრა უთანასწორო ომი ამ გამრუდებულ სინამდვილესთან, არავითარ გარჩევაზე არ წავიდა მასთან და სულის გადარჩენის ფასად საკუთარ თავთან ბრძოლაში დაღალული სხეული ნაფლეთ-ნაფლეთ მიუგდო ეშმაკს.

ღმერთმა ბიძინა ხელოვნების აღქმის მეშვიდე გრძნობით დააჯილდოვა. ზუსტად იცოდა გალაკტიონის, გოგლას, ანას, ბლოკის, პასტერნაკისა თუ სხვათა და სხვათა შემოქმედებითი ჯილდოს გასაღები. პოეზიის აბობოქრებული, აქაფებული ოკეანე მისი ნავსაყუდელი იყო, ხოლო ჩახლერილი ხმით წარმოთქმული ყოველი ლექსი — პოეზიის ოლიმპოდან მოტანილი ექო.

„ბიძინა რომ წიგნს დიაგნოზს დაუსვამს, იმას წყალი არ გაუვა“, — მითხრა ერთხელ მცოვანმა ხელოვანმა. მეტრიაო, ამბობდნენ მისი თანამედროვეები და რარიგ გულდასაწყვეტია, რომ მართლა წუთი გამოდგა მისი წუთისოფელი. წუთი, რომელშიც ერთი სტრიქონის დატოვებაც ვერ მოასწრო ქალაქის ნაგლეჯზე. სამაგიეროდ, ამ ერთი წუთის განმავლობაში ვილაც-ვილაცებს ფრანსუა ვიონის წაკითხვა მოანდომა, შეაგნებინა, რომ „მესაფლავე“ გალაკტიონის პოეზიის მწვერვალი არ არის, რომ ჩვენი გიგი სულაკაური „გრძელ და მოსაწყენ ლექსსაც“ „საკაიფოდ“ წერს...

ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდა გასაცემი და მარგალიტებს ხშირად ქუჩის მტვერსა და ჭუჭყში აბნედა. ბუნებრივია, რომ ამ მარგალიტების ამკრეფი იქ არავინ იყო. თავად ყველაზე კარგად უწყოდა, ამ „ქვეყნისა“ და ამ დროისათვის რომ არ იყო დაბადებული. ამას განსაკუთრებით დახვეწილი თვითირონით გამოხატავდა, რომლის ტრაგიზმი და სიღრმე, თურმე, თავად ესმოდა მხოლოდ და მიუხედავად ამისა, მაინც რალაც მომწუსხველი ჟინით ეურჩებოდა ამ ცხოვრებას. მისი სახელის მატარებელი ყოველი ადამიანი, ნივთიც კი, საოცარი სილამაზითა და სინატიფით გამოირჩეოდა. სამყარო, რომელსაც თავად აშენებდა, მაღალი გემოვნებით, დიდი სიყვარულით, მოუთოკავი იდეალებით, ხშირი იმედგაცრუებით, ჩუმი სევდითა და დაუმორჩილებელი ხალისით იყო გაჯერებული. იუმორი მისი მუდმივი თანამდევი იყო.

ერთხელ მიაბო: „მე და ჩემს ძმას ნარდის თამაშის დროს ტახტის ქვეშ კამათელი შეგვიგორდა, ბევრი ვენვალეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ძალიან ღრმად იყო შეგორებული, ბოლოს, მოვიფიქრეთ და კედლიდან ხერხეულიძეების საგვარეულო ხმალი ჩამოვსხენით. ძმები იატაკზე ვიყავით გამოტილები, მამაჩემმა რომ შემოგვისწრო, თავიდან ვერ მიხვდა, რას ვენვალეობდით, მაგრამ, შემდეგ, ერთის ხელში ხმალი რომ დაინახა, ხოლო მეორეს ხელში — კამათელი, თავი გააქნია და მოგვაძახა — „იმ ხერხეულიძეებს რა ვუთხარი, კედლიდან ხმალს ტახტის ქვეშ შეგორებული კამათლის გამოსაღებად რომ ჩამოხსნიანო“.

ბიძინას მამა ქიცა ხერხეულიძე, თავად იყო ქართული კულტურისა და ხელოვნების დიდი ქომაგი, მწერალი და მეცნიერი, თავისი თაობის მრავალი გა-

მოჩენილი პოეტის მუზა და განუყრელი მეგობარი, სამოციანი წლების თბილისისა და ლიტერატურული თაობის ერთ-ერთი კლასიკური ნაყოფი. ბიძინა, მისი უიღბლო შთამომავალი, რომელიც ვერა და ვერ მოერგო იმ გაუგებრობას, დღეს რომ საქართველოში ბოგინობს, ვერ აპყვავა „ქვეყნის მაჯისცემას“, ცრუ იდეალებს, სხვადასხვათა მარდად ვერ აუწყო ფეხი „დემოკრატიზაციის“, „შოკური თერაპიის“ და არანაკლებ „შოკური რეფორმების“ პროცესებს, საჭიროებათა მიხედვით, ვერ შეიცვალა სისხლი, ფერი, ენა, მამული, სარწმუნოება, მრწამსი, ხასიათი... დარჩა მარტო ქარის წისქვილების პირისპირ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაატანა მათ საკუთარი ცხოვრების ძვირფასი ნამები. შემდეგ მობეზრდა ეს „უსასრულოდ განელილი“ ომი, ერთ მუჭში მოიმწყვდია სოფლის მთელი ამოება და ზედ შეაყარა იმ ქარის წისქვილებს. ყოველივე ეს ხდებოდა ჩვენს თვალწინ, მაგრამ ვერავინ გავუბედეთ ხერხეულიძეთა ორდენის უკანასკნელ სევედიან რაინდს გადმოზივება.

რაღაც ვერ გამომის ეს მოსალოცი წერილი, ბიძინ! ძნელია, როცა თვალწინ კვლავ შენი გაბადრული, კეთილი ღიმილი მიდგას, ყურში — შენი გულიანი და გადამდები სიცილი ჩამესმის, კვლავ მაგონდება:

ვაკეში, „მრგვალ ბალთან“, „პატარა უფლისწულის“ ძეგლის გახსნაზე ბიძინამ უბნის ბიჭებს უთხრა: ეს ძეგლი ტყუილად ხომ არ დაგიდგეს, ახლა მაინც ნაიკითხეთ „პატარა უფლისწული“. კი, აუცილებლად ნავიკითხავთო, — შეჭპირდნენ ისინი. ერთი-ორი კვირის შემდეგ კვლავ ჩაიარა მრგვალ ბალთან და ბირჟაზე ჩამომსხდარ ბიჭებს გასძახა, რა ქენით, თუ ნაიკითხეთო. იმათ მხრები აიჩეჩეს, ხელები გაშალეს და — აუ, ბიძინ, რა ვქნათ, ვერ მოვასწართო, — მიუგეს.

არ ვიცი, რამ გამახსენა ეს ამბავი? მაშინ კი ბევრი ვიცინეთ. კი არ გამახსენდა, ამეკვიატა. რატომღაც, შინაგანად მჯერა, რომ ის ვაკელი ბიჭები ახლა მართლა ნაიკითხავენ „პატარა უფლისწულს“. თუნდაც იმიტომ, რომ შენ, ყველაზე სამაგალითო და „მაგარ“ ბიძინა ხერხეულიძეს, სიცოცხლეში დანაპირები ვერ აგისრულეს. და რა ნამსაც ნაიკითხავენ, ძარღვებში პატარა უფლისწულის სისხლი და მაცოცხლებელი სითბო ჩაეღვრებათ.

შენც ეგ არ გინდოდა, ბიძინ!

გაზ. „დილის გაზეთი“, 27 იანვარი, 2001 წელი.

მოგვენატრები და თანაც როგორ...

როცა შენი ტკიბილი ხმა მომენატრება, ვიცი, ტელევიზიით გამაგონებენ, რადიოთი გამაგონებენ. როცა შენი ლამაზი ლიმილი მომენატრება, ვიცი, თვალნინ კინოკადრებით ჩაიქროლებენ ძველი სურათები: — ბაკურიანი, თელავი, ანანური, მოსკოვი, თაბუკაშვილებთან, ლითანიშვილებთან, შამათავებთან, ჩემთან სახლში. რა გულიანად იციანი. თურმე მთელი ცხოვრება ერთად გაგვიტარებია, მე კი მეგონა, ას წელიწადში ერთხელ ვხვდებოდით. მაშინაც მენატრებოდი. მეამაყებოდა, როცა სუფრასთან შენი სიმღერით მონუსხული ვინმე უცხოელი იკითხავდა, ასეთი მშვენიერი სიმღერა სად ისწავლა ბატონმა გიორგიმ, რომელი სკოლა გაიარაო. ჩვენთვის უბრალოდ გოგია დოლიძე იყავი, თუმცა, იმასაც კარგად ვუნყოფით, რომ შენთვის სიმღერა არავის უსწავლებია. ღმერთმა ჩავიდგა ყელში ოქროს სალამური, სული ბადაგით ავივსო და მარადჟამ შენი სამშობლოს სადიდებელი იგალობეო, დაგანერა გულისფიცარზე.

არაპროფესიული წერილი გამომდის, ჩემო გოგი, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია, შენი ხელოვნების შემფასებელი სულ სხვა ვინმეა. მე კი იმისიც მეშინია, რომელიმე დიდ მომღერალს შეგადარო და არჩევანში შევცდე. მგალობელი შაშვივით იყავი ამ მოცუტქნულ, უიღბლო საქართველოში, ტოტიდან ტოტზე, სარკმელიდან სარკმელზე, გულიდან გულში რომ იბუდებს. ყველგან, ყველგან გაგაჩნდა შენი პატარა ნავსაყუდელი. მთელ ქვეყანას უხაროდი, ყველას უყვარდი, ახლა მთელ ქვეყანას სტიკვა გოგი დოლიძე.

დღეს კიდევ ერთხელ ზეობს სიკვდილი. კიდევ ერთი რჩეული ბიჭი გამოგვეცალა.

მე შენ ვერ დაგემშვიდობები, ჩემო გოგი. არც იმ ნეკროლოგებს წავიკითხავ, შენზე რომ დანერენ. ისევ შენს სევდანარევ, უტკბეს გალობას მივაყურადებ და ვიცი, კიდევ უფრო მომენატრები იქ, ბავშვობაში, სიყმანვილემი, სიცოცხლემი. ხოლო მერე, როცა ჩვენთვისაც ჩამოკრავს უკანასკნელი ზარი, თუ დავიმსახურეთ, აქ დარჩენილთ, ოდესმე, ალბათ, ჩვენც მოგვენატრებით.

გაზ. „დილის გაზეთი“, N33, 14 მარტი, 1996 წელი.

ჩემზე იტყვიან, იყო ერთი გიჟი, აფხაზებს შეაკლა თავიო, და ამით გათავდება ყველაფერი

ჯერ გიორგი სანაია მოკლეს, მერე, რომელიღაცა არხით, გენიალური ფრანგული ფილმი — „ძველი თოფი“ აჩვენეს. სიმნრის ცრემლი და სისხლი ერთად მოაწვა ყველა მიყუჩებულ იარას და ადუღებულ ლავასავით გადაეშვა საუკუნეების მომლოდინე შურისძიების ჩემს დამშრალ და ცარიელ ფიალაში. გიორგი სანაიას მკვლელობისა და, ზოგადად, ძალადობის წინააღმდეგ აგორებულ აქციათა ის ფორმა, რომელიც საქართველოს საზოგადოებამ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დამოუკიდებელმა და დამოკიდებულმა მედიამ აირჩია, რატომღაც, სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ჩემთვის. შუა გზიდან ჩამოვრჩი საერთო დინებას. 26 წლის ყმანვილის მშვენიერი, საოცრად უშუალო და ადამიანური ხატი, რომელიც მუდამ ასე ბუნებრივად სდევდა თან გიორგი სანაიას, თვალსა და ხელს შუა მონუმენტურ, ჰეროიკულ და ხელშეუხებელ, მითიურ ფიგურად იქცა.

ჩქარი მატარებელი ქობულეთისკენ მიქრის და უნებლიეთ მახსენდება ჩემი პირველი შეხვედრა გიორგი სანაიასთან — 3 ივნისი, პრესის ფესტივალი — „ოქროს კალამი“, ვერის პარკის ღია კაფეში ჟურნალისტიებისთვის ალაფურშეცხია მოწყობილი. სამნი ვდგავართ ერთად. შემოგვიერთდა გიორგი. მე მას პირადად არ ვიცნობ. ჩემი მეგობრები „გიოს“ ეძახიან. ერთ-ერთმა უთხრა, გუშინდელი გადაცემით კიდევ ერთხელ დაამტკიცე, ქართული ჟურნალისტიკის მამა რომ ხარო. იმას გაეცინა და, კარგი ერთიო, ბანზე აუგდო სიტყვა. მინდოდა, გამოვცნაურებოდი. უცბად, გამახსენდა, რომ ერთხელ სოხუმელმა მეზობელმა მითხრა, სანაია გულრიფშელიაო. კარგი საბაბი იყო გამოსაცნაურებლად. მეც ხომ სანახევროდ იქაური ვარ. ვკითხე, გიორგი, მართლა გულრიფშიდან ხართ-მეთქი? იმან კი, არც დაფიქრებულა, ისე, ჩქარ-ჩქარა მომიგო, არა, არაო. რა მეკითხა, აღარ ვიცოდი, და, აბა საიდან ხართ-მეთქი, ჩავეძიე. გიორგიმ ხაჭაპური ჩაკბიჩა და საჩვენებლით იმ ადგილზე მიმითითა, სადაც იდგა — აქედანო. ვიფიქრე, ვერელია-მეთქი. არადა, მართლა გულრიფშელი ყოფილა, თანაც, თითქმის ჩემი მეზობელი...

ქობულეთის ცენტრიდან მოშორებით ვცხოვრობდი. მზე უხვად ანათებდა თითქმის ცარიელ სანაპიროს, იყო საოცრად წყნარი ზღვა, ღამე ვარსკვლავები აციმციმდნენ და მე ისევ გულრიფშეზე და „ძველ თოფზე“ ვფიქრობდი. ვფიქრობდი გიორგი სანაიაზე და სიკვდილზე, რომელიც ისე გაგვიშინაურდა, ველარც ვამჩნევთ, რომ სულ აქვეა, გურულები რომ იტყვიან — „ელანძე“. მერე დენტის სუნიც მეცა ცხვირში, ღამე საზარელმა კომმარმა წამომავდო ლოგინიდან და გახსნილი ნაიარევიდან კვლავ სისხლის და ცრემლის ნიაღვარმა იფეთქა. დილას მანქანაში ჩავჯექი და ზუგდიდისკენ გავეშურე, სადაც თოფინი კაცი მეგულებოდა.

ის ზუგდიდის შესასვლელთან დამხვდა, თავისი გადახდილი თეთრი „ჯიპ-ვრანგლერიტ“. მასთან ჩვეულებრივ, ყოფით საკითხებზე მინდოდა საუბარი — ყველაფერზე და არაფერზე. იმის ყველაფერი და არაფერი კი ომით იწყება და ომით მთავრდება. ჩემი მოკლე ჭკუით, მე იგი რობინ ჰუდი, ზორო, მაცი ხვიტია, ხარება და გოგია მგონია, ის კი მეუბნება, რა დროს რომანტიკა და ილუზიები, ჩამოდი ღრუბლებიდანო.

დათო შენგელია, აფხაზეთის პარტიზანული მოძრაობის „ტყის ძმების“ მეთაური:

— ომი რომ დაიწყო, 37 წლის ვიყავი. კვანტალიანმა მაშინ ჩემი დოსიე ამოიღო და აღმოჩნდა, რომ წინა 10 წლის განმავლობაში, ნელინადში რვა-ნახევარ თვეს აპარტამენტებში ვატარებდი. ორი წელი ტალინში ვცხოვრობდი, ცოლი სწავლობდა იქ. მერე ოჯახით მოსკოვში გადავედი და იქ წამოვიწყე ბიზნესი. საქმე ისე კარგად მიმდიოდა, სულ არ ვაპირებდი რამდენიმე წელიწადს უკან დაბრუნებას. ბინაც ვიყიდე, დავლაგდით და, ამ დროს დაიწყო ომი. მოსკოვში რაღა გამაჩერებდა. არ იქნებოდა სწორი, რომ არ წამოვსულიყავი. წამოვედი და ოჯახიც თან წამოვიყვანე. გალში სამურზაყანოს ბატალიონის ჩამოყალიბება დავიწყეთ. 92-ში მე ამ ბატალიონის მეთაურის მოადგილე ვიყავი. გალში დიდი არეული სიტუაცია იყო. აქეთ — ზვიადი, იქით — ესენი. გალელებს იარაღის აღება არ უნდოდათ. უმრავლესობა ზვიადისტები იყვნენ, ზვიადმა კი შემოთვალა, აფხაზები ჩვენი ძმები არიან და ტყვია არ ესროლოთო. თვითონ გალში არა, მაგრამ გალელები იბრძოდნენ სოხუმის ბატალიონში, ოჩამჩირის ბატალიონში, სხვა ბატალიონებშიც. შიგ გალში ეს არ ჩანდა. სამურზაყანოს ბატალიონის ჩამოყალიბების დროს ბატონ ჯაბა იოსელიანს შევხვდი. ის ყველანაირ დახმარებას შემპირდა. მაშინ მე გალის „მხედრიონის“ უფროსი ვიყავი. ეს ორი სამხედრო ბატალიონი გაერთიანდა და ერთად ვიბრძოდით. ჩვენ ტყვარჩელის და ბედლის მოსაზღვრე ტერიტორიების დაცვა გვევალებოდა.

ჯაბაზე

— ჯაბა არის საქართველოზე შეყვარებული, პატრიოტი კაცი. ჯაბას სახელი ბევრმა ბოროტად გამოიყენა და ლაფში ამოსვარა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მეც მომდის ხოლმე ხმები: შენმა დეიდამ თქვაო, შენი და ყოფილა, ვილაცა ბიძაშვილობას იბრალებს, მერე დავრბივარ და ვეძებ ამ დებს და ბიძაშვილებს, საერთოდ რომ არ გამიგია, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ. რაც ჩემი თვალით ვნახე ომის დროს, უფრო ლეგენდას ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ამბავს. ჯაბამ მითხრა, თბილისში წამომყევი და იარაღს მოგცემო. ჩავსხედით მიკროავტობუსში და ნავედით თბილისისკენ. ოჩამჩირესთან ჯაბამ თქვა, ნავიდეთ, ერთი, ვნახოთ, გოგას როგორა აქვს საქმეო (გოგა ხაინდრავა მაშინ სახელმწიფო მინისტრი იყო) და სოხუმისკენ მოვტრიალდით. მთავრობის სახლს რომ მივუახლოვდით, ჯაბას დანახვაზე ჟურნალისტები შემოგვეხვივნენ. ყვიროდნენ: ბატონო

ჯაბა, შრომაში რა ხდება, ხალხი გამორბის, შრომა დაეცაო. ჩვენ არაფერი ვიცოდით. ჯაბა მაშინათვე ჩახტა მანქანაში და შრომისკენ გავექანდით. მართლა საშინელება ვნახეთ. თავზარდაცემული ხალხი გამორბის, გამორბიან იარაღს-ხმული მეომრებიც. ჯაბამ მანქანა გააჩერებინა, თავისი დაცვის უფროსს, თამაზას, იარაღი წაართვა და ყვირილი დაიწყო — ვისაც იარაღი გიჭირავთ, სად გარბიხართ, დაბრუნდით უკან, ვის ლალატობთო. ასე ყვირილით გავარდა წინ. ეს რომ მეომრებმა დაინახეს, შემობრუნდნენ და ჯაბას გვერდით დადგნენ. დედის საფლავს გეფიცები, მამის საფლავს, ხატს და გულს, ერთ სიტყვას თუ ვამატებდე ნანახს, — თქვა დათომ და პირფარი გადაიწერა. ჩავედით კამანში. იქ ერთი ბიჭი მძიმედ დაიჭრა და მე იგი საავადმყოფოში წამოვიყვანე. დანარჩენი ბიჭებმა მიაბნეს — იმ დღეს გაათავისუფლეს კამანი, დააბრუნეს სახლებში ხალხი და შრომიდანაც გაყარეს აფხაზები. ჯაბა მთელი ამ ამბის შემდეგ ბიჭივით ყოფილა ჯანზე, დაცვის უფროსი — ფენზე ვერ იდგა.

იმას გეუბნებოდით, ბევრმა ისარგებლა ჯაბას სახელით და დიდი უსინდისობები ჩაიდინა. იმ დროს ყველა გაიძახოდა, „მხედრიონი“ ვარო — გვარდია, შინაგანი ჯარი, პოლიცია. „მხედრიონს“ თავისი უნამუსოებიც საკმაოდ ჰყავდა, მაგრამ სხვისი ცოდვებიც ბევრი მიაწერეს. შემოდგომაზე, სადღაც ნოემბერში, კოჩარაში (ოჩამჩირის რაიონი) დავიჭერი. მაშინ მოკლეს ირაკლი ამირეჯიბი.

დათოს მობილური ტელეფონი არ ჩერდება, საუბარს არ გვაცლის. თხრობა წყვეტილია, ასოციაციური. თვალწინ ჭაბუა ამირეჯიბის გაფითრებული სახე მიდგას. თვალეზაცვენილი, მხრებში უჩვეულოდ მოხრილი, შავი პერანგი აცვია, აცანცახებული ხელით ჩიბუხს ტენის და კორესპონდენტს უხსნის იმას, რასაც, უკვე მეთათსედ, ალბათ, საკუთარ თავს უმტკიცებდა: ამირეჯიბების გვარის ისტორიაში უჩვეულო არაფერი მომხდარა, ირაკლი მოკვდა ისე, როგორც არაერთი მისი წინაპარი — სამშობლოს სამსახურში. ასეთი იყო ამ ამირეჯიბის ხვედრიც და ირაკლიმ ღირსეულად აღასრულა იგი.

— ოცი დღე გალის საავადმყოფოში ვინექი. შემდეგ ათი დღე ვიმკურნალე და იმავე ადგილებში გავაგრძელე ბრძოლა. ეს იყო ტყვარჩელის მისადგომები და მოსაზღვრე სოფლები ნართე, ჩხორთოლი, ბედია... 93-ში ბედიაში დავიჭერი. არტერია მქონდა ბარძაყთან გახეთქილი. ბოდიში თქვენთან და, კინალამ დამკოდეს აფხაზებმა. უიმედო მდგომარეობაში წამიყვანეს მოსკოვში. მე სოხუმის დაცემა არ მინახავს. ამით ნამდვილად ბედნიერი ვარ. ჩემი თვალით არ მინახავს ჩვენი ხალხის გამოქცევა, ტანჯვა-წამება, გოდება და ტირილი. ძნელი სათქმელია, ვისი ბრალია ის, რაც მოხდა. ყველამ ვიცით, რუსეთის თამაში რომ იყო ეს, მაგრამ ჩვენს ხალხს რომ იარაღი ჩააბარებინეს და აფხაზებს დაუტოვეს, ეს დაუშვებელი იყო, „პერიმერია“ დაგაკარგვინა საქართველოს საუცხოო კუთხე.

93-ის 3 ნოემბერს საავადმყოფოდან გამომწერეს და რვაში ზუგდიდში ჩავედით. იქ უკვე სამთავრობო ჯარი იდგა. ზვიადის მომხრეებმა ქალაქი დატოვეს. სიარული მიჭირდა, ჯოხის დახმარებით ვმოძრაობდი. შევხვდი ჩემს მეზობ-

ლებს ყველას და ვნახე ის, რის ნახვასაც მტერსაც არ ვუსურვებ. გაბრაზებულ-ლიც ვიყავი ხელისუფლებაზე, მაგრამ ბრაზზე უფრო აუტანელი იყო შოკი, რომლიდანაც ვერ გამოვდიოდი. ორი-სამი დღე ვერაფერმა დამანწყნარა. როგორი საყურებელია, მთელი ჩვენი ხალხი ტყეში დაყრილი, გაუბედურებული, მშიერ-მწყურვალი, დაფლეთილ-დაღლეტილი. როცა გაიგეს რომ ჩამოვედი, 50 ათასი კაცი მაშინათვე შეგროვდა. ჭკუიდან კინალამ გადავდექი, ერთი მექაჩე-ბა, დათო, ბავშვებს ოთხი დღეა პური არ უჭამიათ, მეორე მეუბნება — ძუძუმ-წოვარა ბავშვი შიმშილით მიკვდება, დამეხმარე რამითო. რითი უნდა დავხმარებოდი, არადა, ვხედავ, ამ ხალხს ჩემი იმედი აქვს. დავინყეთ პარტიზანული მოძრაობისთვის მზადება. ჩვენი ძმობის უმეტესობა, საბედნიეროდ, ცოცხლები იყვნენ, დაჭრა და სიკვდილიანობა მერე დაიწყო, იქით გადასვლისა და გადაპარვების შემდეგ. აფხაზებს მისადგომები სულ დანალმული ჰქონდათ. ბიჭები, ზოგი თავისი სახლის სანახავად მიდიოდა, ზოგი — საფლავის მოსანახულე-ლად და ფეთქებოდნენ იმ ნაღმებზე. ჩვენი პარტიზანული მოძრაობის მიზანი რა იყო — მტრისთვის თავისუფალი მოძრაობის და ჩვენს ტერიტორიაზე დარჩენის საშუალება არ მიგვეცა. მეგონა, მთავრობაც გამოიჩინდა თავს და რა-ღაც-რაღაცეებში დაგვეხმარებოდა.

ისევ ტელეფონის ზარი. უკვე მერამდენედ. დათო მეგრულად ლაპარაკობს. მე ფოტოს ვუღებ. ორი ფოტო შეხვედრისთანავე გადავუღე. ერთ ფოტოზე ორივე მის თეთრ „ჯიპ-ვლანგლერში“ ვსხედვართ. ჯიპი გადახსნილია, გარდი-გარდმო რკინის შავი ჩარჩოთი შეკრული. ლამაზი „კაცური“ მანქანაა. მართალი გითხრათ, თავიდან შემეშინდა კიდევ, ასეთი ღია მანქანით, დაცვის გარეშე, პარტიზანების მეთაურთან ერთად ზუგდიდში სიარული, მაგრამ, როცა ვკითხე, ღია მანქანით რატომ დადიხარ-მეთქი, სხვა არა მყავსო, მიპასუხა. რამდენიმე ფოტო იმ „ჯიპსაც“ გადავუღე.

პარტიზანული მოძრაობა ინტერიერში

— აფხაზეთის მთავრობა უნდა იყოს ძლიერი, აქტიური და უნდა იყოს ზუგდიდში, სადაც არის საზღვარი. თბილისში უნდა იჯდეს თავმჯდომარე და იყოს დიპლომატიური სამსახური. საკოორდინაციო ბაზა და დანარჩენი სამსახურები უნდა იყოს ზუგდიდში და უნდა იყვნენ ჩვენს გვერდით, მაგრამ ეს არავისთვის არის ხელსაყრელი... მეგონა, მთავრობა თავს გამოიჩინდა და რაღაც-რაღაცეებში დაგვეხმარებოდა, მაგრამ მე ამ მთავრობისგან ვერ ვნახე ვერანაირი დახმარება და გვერდში ამოდგომა. თავიდან კი, მორალურად გვიჭერდნენ მხარს, მაგრამ მარტო მორალურად. ხანდახან ცოტა ტყვია-წამალსაც გადმოგვიგდებდნენ, თუმცა, ჩვენ ტყვია-წამალი არ გვიჭირდა, ვშოულობდით იმ პერიოდში. მთავარი იყო, რომ მორალური მხარდაჭერა გვექონდა. მაგრამ 96 წლიდან დაიწყო ჩვენი დისკრედიტაცია, ჩვენი დაჭერები, დაიწყო პარტიზანებზე ნადირობა. ხალხს კი ჰგონია, მთავრობა გვეხმარება. ზოგს ჰგონია, აფხაზეთის მთავრობა გვეხმარე-

ბა, ზოგს — ხელისუფლება. სინამდვილეში, არც ერთი გვეხმარება და არც მეორე. საკუთარ თავს თვითონ ვეხმარებით. არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ძალიან ნაწყენი ვარ და ვიცი, ამას სხვაგანაც ვიტყვი. 92 წლიდან, რაც ხელში იარაღი ავიღე, პირველად ვთხოვე აფხაზეთის მთავრობას ორი ათასი დოლარი, რაღაცა მქონდა საყიდელი. შემპირდნენ, რა სალაპარაკოაო და, მერე იმდენჯერ ჩამომიყვანეს თბილისში, ერთი იმდენი გზაში, ბენზინში დაგვეხარჯა. კაპიკი რომ კაპიკია, ის არ მოუციათ. ისეთი ზარალი ვნახეთ, ჯიბიდან რომ ამოეღოთ სათითაოდ და მოეცათ, იმასაც კი ვიმსახურებდით. რა გახდა ასეთი ეს ორი ათასი დოლარი, ზედ რომ გადაგვაცოლეს. ერთი კაცი ვერ ვნახე მე ამ მთავრობაში ისეთი, ჩვენი საქმე რომ აინტერესებდეს, ბევრს არ ვთხოულობთ, სულ ცოტათი მაინც რომ აინტერესებდეს. არ შეიძლება, ასე ბედის ამარა დატოვო კაცი, რომელიც პირველი დღეებიდან ომობდა და დღესაც იარაღი უჭირავს ხელში. ერთხელ მაინც ეკითხათ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ, რად გვინდოდა ის ორი ათასი დოლარი. ან, რომც მომცენ, მე მაგის ამღები აღარა ვარ.

გალის აქცენტი და შენერილი საქმეები

— როგორც გითხარით, 96-ში დაიწყო ჩვენი დაჭერები, პარტიზანების სახლებში ტყვიების შეგდება. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. რა პრინციპით აგვითვალწუნეს, ვერ გამიგია. აი, მაგალითად, ამ რამდენიმე თვის წინათ ბანკი გაიტანეს — 60 ათასი ლარი. დღესაც გაუხსნელია ეს საქმე. ხომ უნდა გახსნან, არადა, დამნაშავეებს ვერ პოულობენ. იტყვიან, აფხაზური მეგრული ისმოდაო — გალის აქცენტი — გალის აქცენტით პარტიზანების გარდა ვინ ილაპარაკებს — არავინ. ასე შეუვარდებიან სახლში პარტიზანს და იქიდან ტყვია-ნამაღს ამოიღებენ. პარტიზანს ტყვია-ნამაღი და იარაღი ექნება სახლში, აბა, სანერკალამი და „ვეფხისტყაოსანი“ ხომ არა. წამოათრევენ პოლიციაში, იწყება მერე ბათქა-ბუთქი, სცემენ იმ საწყალ ბიჭებს და აწვებიან — გინდა თუ არა, ეს საქმე შენ აიღეო. არადა, როგორ აიღოს, ხომ დაიღუპა კაცი. მერე, თუ გაიგეს, რომ შეცდომა მოუვიდათ, ატყდება დიდი ბოდიშობანა, გვეხვეწებიან, გვაპატიეთ, არ დაგვღუპოთ, ან იმ საქმეს აღარაფერი ეშველება, 3-4 თვე მაინც ჩაჯდეს, თორემ დაგვხსნიან ყველასო. როგორი ჩასაჯდომია. მიდის მერე განვე-გამონევა, ვაჭრობა, დღესაც ეგრე ხდება, არ არის ეს სწორი, რა... ვერ გავიგე, რატომ დაიწყო და რა მიზანს ემსახურება ყოველივე ეს!

კიდევ დარეკა მობილურმა. ახლა უკვე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სადღაც აფხაზეთის მოსაზღვრე სოფელში მანქანა გაუტაციათ. მანქანა რაღაცას დაჯახებია. იციან, ვინც გაიტაცა. დათო ამბობს, კიდევ კარგი, რომ იციან, თორემ იტყვიან, „გალსკი აკცენტი“ და იმასაც ჩვენ დაგვაბრალებენ.

როგორც ვიცი, აფხაზებს და ქართველებს ამ მიმართულებით მეტად „წარმატებული“ და „ურთიერთსასარგებლო“ ბიზნესი აქვთ გაჩაღებული. ამასთან დაკავშირებით, პარტიზანთა მეთაურის აზრი მაინტერესებს:

— მე ის ქართველი შევარცხვინე, ქართველ კაცს მანქანიდან რომ ჩამოსვამს და მტერს მიჰყიდის. იქ ჩვენს ხალხს მანქანები არა ჰყავთ, ურმებით დადიან. ჩაუქროლებენ აფხაზები აქედან მოტაცებული მანქანით და აყლაპებენ მტვერსა და კვამლს. ერთი პერიოდი ძალიან ვიყავი დაინტერესებული ამ ამბის გაკონტროლებით, მაგრამ, აბა როგორ! პოლიცია იქ ვერ ჩავა, იქ აფხაზები დადიან. მთავრობამ თავიდან ამ საქმეს ნაუყრუა. იფიქრეს, მივუშვათ ეს ხალხი, ეგებ, რაღაც ურთიერთობა დაინწყოს და ნელ-ნელა შერიგდნენო. სინამდვილეში კი რა მოხდა — დღეს გალში ქართული მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ჩვენს წინააღმდეგაა დაგეშილი. რამე რომ მოხდეს, ყველა ჩვენს წინააღმდეგ წამოვა. აფხაზი იმათ ეფერება, ამ ბიზნესით ორი კაპიკის გაკეთების საშუალებას აძლევს. პარტიზანებს ძალებივით დასდევენ. აფხაზეთში დღეს იდეალური განათებაა — 24-საათიანი გრაფიკი. კავშირგაბმულობაც სამაგალითოდ მუშაობს. ღამე რომ პარტიზანი იქ შეიპარება, ან ძალღი დაუყფეს, ან ვინმე მოჰკრავს თვალს, მაშინათვე მილიციას ატყობინებენ. მოდის მილიცია და კლავს, მერე იცით, რაც ხდება... სულ გააფუჭეს ის ხალხი. აფხაზებმა ახლა თითო ოჯახს ბაჟი დაადეს — 150 კილო თხილი. როგორი გადასახდელია გლეხისთვის 150 კილო, როცა სულ 200-300 კილოს მოინვეს, მაგრამ ოლონდ არ გამოაგდონ იქიდან და იხდიან, რა ქნან. ჩვენ და ჩვენი პოლიტიკა მაგათ არ აინტერესებთ. გალის ტერიტორიაზე ჩვენ უკვე ყველა შანსი დავეკარგეთ. ერთი წლის წინათ ჩვენ აფხაზებს საშუალება მივეცით, გალის სუფთა ქართული მოსახლეობა მთლიანად გადაეპირებინათ თავისკენ. ახლა ისინი ჩვენი წყევლა-კრულვის მეტს არაფერს აკეთებენ. ძალიან ბევრს ვფიქრობ ამაზე. ჯერჯერობით, გაჩერებულები ვართ, მაგრამ ჩანაფიქრები გვაქვს და რაღაცას მაინც მოვახერხებთ.

ტყის ძმები

ძმობაში უმეტესობა დევნილები არიან — რუსებიც არიან, აფხაზებიც, ვინც შემორჩა, ერთსულოვანი და საქმის ერთგულია. სხვადასხვა ასაკის ხალხია. ახალგაზრდებიც მოდიან, მაგრამ იმათ ხელში იარაღს არ აძლევენ, არც საზღვარს იქით უშვებენ. „ასწავლიან იმ მთავარს, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში გამოადგებათ“ — თქვა დათო შენგელიას მეგობარმა გია ჭანიამ, რომელიც, ამავე დროს, დათოს შვილის ნათლიაა. თავად ორი ქალიშვილის მამაა. ამ ხნის განმავლობაში სულ ჩვენთანაა, მაგრამ არც ერთხელ არ ჩარეულა საუბარში. მოგვიანებით მე მას ვკითხე, ბიჭი რომ შეგეძინება, დათოს თუ დაარქმევ-მეთქი, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა ისევ პარტიზანებს დავუბრუნდეთ. ამას წინათ უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელთან ჰქონიათ სერიოზული საუბარი. რაღაც საქმე შეუთავაზებიათ. ამათ თავი შეუკავებიათ, არც ჰო უთქვამთ, არც არა.

დათო ამბობს, ბიჭებს გული გაუცივესო, — არა ხელფასი, არა საჭმედ-სას-

მელი, არა ტყვია-ნამალი და იარაღი, თვითონ შოულობენ გაჭირვებით იარაღს და ტყვია-ნამალს, იმათ არაფერზე ანუხებენ, გადადებული აქვთ თავი და იბრძვიან. ესენი რომ არ იყვნენ, აფხაზები მოლაპარაკებაზე არ წამოვლენ. რომელი აფხაზი დაგიჯდება სალაპარაკოდ, ჩვენ რომ არ ვომობდეთ და პრობლემებს არ ვუქმნიდეთ, ამიტომ მოდიან რალაც დათმობებზე. ახლა ამ ბიჭებს რწმენა დაუკარგეს, სიმართლე რომ გითხრათ, მეც მაგ ხასიათზე ვარ, მაგრამ რა ვქნა, ხომ ვერ მივატოვებ. ეს ხალხი ათი წელია, ჩემთან ერთად იბრძვის და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ჩემზე უფროსია, ზოგი უმცროსი, თითოეული მათგანი ღვიძლი შვილივით მიყვარს. მათი მიტოვება ღალატია. ეს რომ არა, ერთი დღე არ დავრჩებოდი აქ და, საერთოდ, მოვეშვებოდი ამ საქმეს. წარმოუდგენელ პირობებს გვიქმნიან იმისთვის, რომ საერთოდ შეწყდეს ეს პარტიზანული მოძრაობა. თან პირდაპირაც არ ამბობენ ამას. გამოჩნდებიან უცბად და გვეუბნებიან, აქა და აქ ესა და ეს არის გასაკეთებო. იმას აღარ ანგარიშობენ, რომ ამას ტყვია-ნამალი უნდა, იარაღი უნდა. რატომ წავაგეთ ომი? იმიტომ, რომ ხალხი თბილისში, რუსთაველზე გროვდებოდა და იქიდან „რეიზანისსათვალთან“ მოუმზადებულ პატარა ბიჭებს აგზავნიდნენ საომრად. ხალხს ხომ უნდა ცოტა აზრზე მოყვანა, ვარჯიში. ესენი საშუალებას არ მძლევენ, მეომრები ყაზარმაში შევინახო, ვავარჯიშო, მწყობრისთვის და საომრად მოვამზადო. ამათ უცბად უნდათ ყველაფერი — გაჭირდა და არიქა, ნადი. კი, წავა პარტიზანი, მაგრამ ეს ხომ ნაღდ სიკვდილზე წასვლაა. არ არის ეს სწორი, რა..? საქართველოში არ არსებობს კაცი, რომელიც, როგორც პატრიოტებს, გვერდში დაგვიდგება, დაგვეხმარება.

სიკვდილს თვალეში უყურებ?

— აქამდე მხოლოდ ღმერთის წყალობით ვარ ცოცხალი. ბოლოს რომ ამაფეთქეს, შარშან, რუხთან, ხიდამდე არმისული, იქ კაცის გადარჩენის შანსი არ იყო. ღმერთმა არ გამწირა, თორემ ათი მეტრიდან ათი ავტომატით მესროდნენ, სამი „მუხა“ მესროლეს, შემდეგ ბომბი ამიფეთქეს. სიკვდილს ყოველი მხრიდან მოველი, ყოველ წუთას და ნებისმიერის ხელიდან. ყველანაირად ცდილობენ, უახლოესი ადამიანები გვერდიდან ჩამომაცილონ, მომიკლან, გული აუცრონ, მარტო დამტოვონ, მაგრამ რა ქნან, ვერაფერი მოუხერხეს იმათ, ვინც თავიდანვე ჩემთან იყო. ზუგდიდი პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. აქვეა გალის მოსახლეობა, გრძნობენ, რომ მათ გასაკეთებელ საქმეს ვაკეთებთ და ხიფათში ვიგდებთ თავს, ვეხმარები ყველას, რითიც შემიძლია, ვცდილობ. ამიტომ გულთბილ სალამს არავინ მამადლის, მაგრამ სალამი და გადაკოცნა ჩვენში რა პრობლემაა, მთავარია, გულში რა გიდევეს. მე ვიცი, ერთი-ორი კაცი ჩემს გვერდითაა, ხალხის დასანახად ისე იქცევიან, ვითომ ჩემი გულისთვის თავს გადადებენ, მაგრამ... თუმცა, ვიცი, იმათ დავალებაც აქვთ მიცემული — ჩემი გაქრობა.

ჩემს შვილებს ჯერ არ დამუქრებიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეშინია. ეგაა

რომ მაკავებს, თორემ აქ რა მინდა, მე დღეს ტყეში უნდა ვიყო. ერთ რამეზე მწყდება გული. მე რომ რამე მომივიდეს, ჩემს ოჯახს ათი ლარიც არ ექნება შემოსავალი. ბავშვები ობლად დამრჩებიან. ჩემზე იტყვიან, იყო ერთი გიჟი, აფხაზებს შეაკლა თავიო, და ამით გათავდება ყველაფერი.

კალაპოტიდან ამოვარდნილი ბიზნესმენი

— ვფიქრობდი, დღეს იქნება დაბრუნება, ხვალ იქნება, ზეგ — და ათი წელია, ჩამოვცილდი ბიზნესს. არადა, ეგ საქმე კარგად გამომდიოდა. ბიზნესი ქირურგის შრომას ჰგავს, ათი წელი ოპერაციას თუ არ გააკეთებ, რალა ექიმი იქნები, მედიცინა შენ ხომ არ დაგელოდება, ჰოდა, ასე ჩამოვრჩი მეც ჩემს საქმეს. სამწუხაროდ, დღეს მე არავითარი ბიზნესი არ გამაჩნია. ხალხს რომ ჰკითხო, ზუგდიდში მე მაქვს ყველაფერი: ჩემია თხილის ბიზნესი. როგორ ფიქრობთ, არ მაქვს უფლება, რომ ვიყო თხილის ბიზნესში? ვიყიდო გლეხისგან თხილი და მივყიდო ვიღაცას? ვინ დამიშლის მე ამას, სირცხვილია, აკრძალულია თუ რა?! მაგრამ, რომ არ ვაკეთებ ამას და არ მაქვს ეს ბიზნესი? ბიზნესის წამოწყებას თანხა უნდა, მე ეს თანხა არა მაქვს. ორ კაპიკს თუ ვიშოვი, ისიც ბიჭებთან უნდა წავიღო. აღარ დადგა ეს ხვალ-ზეგ. დღესდღეობით, აფხაზეთის დაბრუნების ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავ, მაგრამ ხომ მოვა ის დრო, როცა საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდება, აღარ ვიქნებით მეგობარ ქვეყნებზე, სავალუტო ფონდზე, ევროპაზე და სხვებზე დამოკიდებული. ჩვენი ზურგი რომ გვექნება, მაშინ დავბრუნდებით აფხაზეთში და აფხაზებთან ერთად ავაშენებთ ქვეყანას. ვინა გვყავს ჩვენ აფხაზებზე უფრო ღვიძლი ნათესავი, არავინ! ახლა პარტიზანების ომია. პარტიზანს ომის მოგება არ შეუძლია. იმას შეუძლია, მთავრობას ომში ხელი შეუწყოს და საქმე გაუიოლოს.

„ტყის ძმების“ მეთაურმა რალაციის თქმა კიდევ დააპირა, მაგრამ, არაო, თქვა და ისე კუმტად გაჩუმდა, ვარჩიე, საუბარი ყოფით თემებზე გადამეტანა.

დათოს ორმოცი წლის მეუღლე ჰყავს, სახელად — ნანა. მისი ვაჟი — დათო თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია, ქალიშვილმა მარინამ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლესში აბარებს. ოჯახი თბილისში, დიღმის მასივში ცხოვრობს. ბიჭი წყნარია, უყვარს სწავლა, დათოს არა ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ ტყეშიც უცხოვრია პარტიზანებთან და ბრძოლის ტექნიკაც შეისწავლა, ბუნებით მებრძოლი არ არის. სხვა საქმეა გოგო — მარინა ამბობს, იარაღს ავიღებ და მამაჩემის გვერდით დავდგებიო.

დათო ამბობს, ამ ბავშვებს თავიდანვე აერიათ ცხოვრება. ბიჭი მესამე კლასში იყო, სახლიდან რომ აგყვარეს, გოგო — საბავშვო ბაღში. ბევრი არაფერი ახსოვთ თავიანთი მხარის. საიდან უნდა ჰქონდეთ იმ ადგილების სიყვარული? ორივემ სკოლა თბილისში დაამთავრა, თბილისშია იმათი სამეგობრო და უბანი. სიყვარულიც, ალბათ, იქ ეწვევათ. როგორ ფიქრობთ, დაბრუნდებიან

ისინი აფხაზეთში? ცოლი? ცოლმა რა ქნას, ცუდ ხასიათზეა, წარმოიდგინეთ, ჩვენი შრომით ავანყვეთ ყველაფერი, სახლი ავაშენეთ, შვილებს ვზრდიდით, მშვენივრად წარვმართეთ ცხოვრება, პერსპექტივა გვქონდა და ყველაფერი ერთ დღეს დაგვენგრა, დასატოვებელი გაგვიხდა, რაც წლების განმავლობაში შევქმენით. ერთი პერანგიც არ გამოგვიტანია სახლიდან, ყველაფერი დაინვა, დარჩენილი — აფეთქდა და დაინგრა, რა ქნას, ხან ნაწყენია ჩემზე და ხან არა, ხან მართალი ვარ, ხან — მტყუანი, უფრო, ალბათ, უკმაყოფილოა, არ უნდა, იარაღთან რომ მაქვს საქმე, ნერვიულობს.

რას სთხოვენ დათო შენგელიას დილის 6 საათიდან?

— ყველაფერს, დილის ექვსი საათიდან სახლთან მთხოვნელების რიგი დგება. ზოგს თბილისში უნდა წასვლა, ზოგს პენსია ეკუთვნის და ხელს არ უწერენ, ზოგი ისეთ რაღაცას თხოულობს, კაცთან ამაზე არ უნდა მიდიოდე, მაგრამ მაინც მოდიან. მსიამოვნებს, როცა ვიცი, რომ ნამდვილად სასარგებლო და სასიკეთო საქმეს ვაკეთებ. ამას წინათ ობოლი გოგონა მომიყვანეს, კარგად სწავლობს, თბილისში უცხო ენებზე უნდა, ფსიხანზე, ჩაბარება, საშუალება არა აქვსო. დავპირდი, რომ პირველ შესატანს ვუშოვიდი, თუ კარგად ისწავლიდა, შემდეგმაც დავეხმარებოდი. თუ მაქვს, გაჭირვებულს ფულს არ დაუჟკავენ. ხალხს ჰგონია, მთავრობა მეხმარება. მოკლედ, მაქვს თუ არა მაქვს, მე ამ ხალხს უნდა დავეხმარო!

ახლა იმ კითხვას დავუბრუნდეთ, გია ჭანიას რომ დავუხსვი — ბიჭი რომ გაგიჩნდება, დათოს თუ დაარქმევ-მეთქი და აი, მისი პასუხი: — დათოს ყველაფერი თავისი ხალხისთვის უნდა, საერთო საქმისთვის. ყველაფერს, რასაც აკეთებს, მოძმის სიყვარულით და დასახმარებლად აკეთებს. რატომაც არ დავარქმევ ჩემს შვილს დათოს, სიამოვნებით დავარქმევ. ყველამ ჩვენი შვილები უნდა გაზარდოთ იმ შეგნებით, რომ საქართველოს ერთიანობა აღდგეს. სხვანაირ ცხოვრებას თუ ასწავლი, საქართველოში სიმშვიდე არ იქნება. სანამ ჩვენი ქვეყანა არ გაერთიანდება და აფხაზეთი არ დაბრუნდება, ნორმალური ცხოვრება არ აღდგება. ამ შეგნებით თუ არ გაზარდე შვილი, ის რეალურ ქვეყანას ვერ ააშენებს.

არის თუ არა მისხალი რომანტიკა დათო შენგელიას ათწლიან პარტიზანულ ცხოვრებაში?

— არავითარი ილუზიები, არავითარი რომანტიკა და ეგზოტიკა, ეს არის ჩემი ცხოვრება და მოვალეობა. როგორია, მშობლებს რომ მოგიკლავენ, სახლს გადაგიწვან, აყრიან იმ ადგილიდან, სადაც დაიბადე და გაიზარდე, შენს წმინდა საფლავებს მიგატოვებინებენ. მე ასეთ ცხოვრებას სულ არ ვაპირებდი. მიყვარდა დროსტარება, ფულის ხარჯვა. ამ გზით სიარული რომ მდომოდა, სხვა განათლებას მივიღებდი. სამხედრო აკადემიაში ჩავაბარებდი, უშიშროებაში წავიდოდი სამუშაოდ. მე აქ სამშობლოს სიყვარულმა დამაბრუნა და ჩემი ხალხის გაჭირვებამ დამაჭერინა ხელში იარაღი. პოლიტიკისგან ძალიან შორსა

ვარ. მე ჩემს სახლში მინდა დაბრუნება, ტყეში დასაფლავებული ჩემი მშობლების ნორმალურად დასაფლავება მინდა. ჩემი ხალხის დაბრუნება მინდა თავიანთ სახლებში, მეტი არაფერი!

პარტიზანების მეთაურს გამოძინებაც არ ვაცალე, ისე ადრიანად დავადექი თავს, არადა, იმ ღამეს, თურმე, ბიჭები გამოჰყავდათ ტყიდან. შევატყვე, მეგრული თავაზიანობა უფლებას არ აძლევდა, თავად შეენწყვიტა საუბარი და მე თვითონ შევთავაზე, აქ დავამთავროთ-მეთქი. დათომ მანქანით ზუგდიდის გასასვლელამდე გამომაცილა. კიდევ ერთი ფოტო გადავუღე გია ჭანიასთან ერთად და, ოთხშაბათის „დილის გაზეთი“ ნაიკითხეთ-მეთქი, ვუთხარი. ახლა, ბოდიში მინდა მოვუხადო ჩემს „თოფიან“ რესპოდენტს იმის გამო, რომ იქ გაღებულ ფოტოთაგან არც ერთი არ ახლავს ამ სტატიას. ლაბორატორიაში რომ მივიტანე ფირი გასამჟღავნებლად, ყველა ფოტო დასხივებული აღმოჩნდა.

დათო ამბობს, ილუზიას და რომანტიკას ჩემს გვერდით არც კი გაუვლიაო. მე კი გეკითხებით, აბა, რა არის ეს, თუ არა ზმანება? — „ტყის ძმათა“ მეთაურის მთელმა ცხოვრებამ ნამიერი სიზმარივით გაიელვა ჩემს თვალნინ, შემდეგ თავადაც ჯადოქარივით გაუჩინარდა და სამახსოვროდ ერთი სურათიც არ დამიტოვა. იყო და არა იყო რა, იყო რობინ ჰუდი, იყო ზორო, იყო მაცი ხვიტია, იყო ხარება და გოგია...

ეგებ მოიყვანოს ერთმა სეიკომ გაზაფხული

„სეიკოს“ პრეზენტაციაზე არც ოფიციალური სტუმარი ვყოფილვარ და არც მასალის „ასალებად“ მისული ჟურნალისტი. მე „ჭოტიკას“ მეგობარი ვარ, ძალიან ძველი მეგობარი. აი, იმ დროიდან, ჯერ რომ მარტო მღეროდა. ალბათ, წერდა კიდევ, მაგრამ მე და ბევრმა სხვამ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. შესაძლოა, თვითონაც არ იცოდა, რომ წერდა და შემდეგ შუალამისას — შაბათს, კვირას, ორშაბათს, სამშაბათს და კიდევ რამდენიმე მომდევნო დღეს, მამლის ყვილამდე, დღის სიმძიმით დასიებული სიცოცხლეგამოცლილ და რადიაციულად დამტვერილ სხეულზე ანცი გურული მდინარესავით გადმოგვეღვრებოდა „ელანძე“.

მე საგაზეთო სტატიის დასაწერად არ მივსულვარ „სეიკოს“ განხილვაზე. დარბაზში რომ შევედი, იქ დასაჯდომი ადგილი აღარ იყო და ამიტომ როიალს მივუჯექი. ალბათ, ასე უფრო ბუნებრივად ვიგრძნობდი თავს, „ჭოტიკა“ მართლა მარტო გენიალური მომღერალი რომ იყოს.

მისი წიგნის კითხვა ადვილია, იმიტომ, რომ, ვიდრე ამ „ადვილ“ წიგნს დაწერდა, დიდი „ცხოვრების წიგნი“ ნაიკითხაო, — ამბობს მისასალმებელ სიტყ-

ვაში მერაბ ხაჩიძე. გურამ დოჩანაშვილს უთქვამს: ახლა უკვე, ვიდრე რამის დაწერას დავინწყებდე, კეთილგანწყობაზე დასადგომად თემურ ჭკუასელის ნიგნის კითხვას ვინწყებო.

სიკო გეგიაძე აღნიშნავდა, თუ რაოდენ ცოცხალი ადამიანებითაა დასახლებული თემურ ჭკუასელის ყოველი ნოველა. მომღერალ დათო აბესაძეს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ „სეიკოს“ ერთ-ერთი პერსონაჟი თავად არის. მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ნაწარმოებში ავტორის ახლობლები პოულობენ საკუთარ თავს, არამედ ის, რომ ნიგნში მთელი დღევანდელი თაობაა ხელისგულზე ამოტანილი — ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა, საოცრად სევდიანი თვალებით. ისინი მამლის ყვირს ელიან: „იმ ღამეს მამალი არ იყვილებს. თქვენ კი მაინც უნდა გესმოდეთ. აი, ამ უბრალო რამის სწავლა დაგჭირდებათ — მამლის ყვირის სმენა, როცა არ ყვივს. იცით, რატომ არ ყვივს? მკვდარია უკვე“.

ეს აბზაცი „სეიკოს“ წინათქმიდან ამოვიწერე. იქიდან ვისწავლე, როგორ წავიკითხო თემურ ჭკუასელის მარტივი ნიგნები. ზუსტად ისეთი მარტივი, როგორიც ის საგალობლები და სიმღერებია, რომელთაც ასე მარტივად და დაუძალებლად მღერის. სიკო გეგიაძემ ერთი ანექდოტი გაიხსენა: გურულმა ტაქსი გააჩერა. მძღოლი ეუბნება, დაბრძანდითო, გურული კი უკადრისობს — სა მცალი დასაჯდომადო. ჰოდა, წესით, არც თემურ ჭკუასელს უნდა ეცალოს დასაჯდომად, რადგან მისი მეგობრების თქმისა არ იყოს — „ერთი სეიკო გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.

არც ნაწარმოებს, არც მის ავტორს და არც განხილვას იუმორი და სიხალისე არ აკლდა. თურმე, შარშანაც წინა ნიგნის პრეზენტაციაც აქ შემდგარა, 11 ივლისს, ოღონდ პირველ სართულზე. ახლა მეორეზე ვართ. თემური ხუმრობს, მომავალ წელს ახალი ნიგნის გამოსვლას სახურავზე ვიზეიმებთო.

მე კი ვფიქრობ, წინ რომ პატარა ნიგნი მიდევს — „სეიკო“, მას ლიტერატურული მნიშვნელობის გარდა, კიდევ ერთი დიდი მხატვრული ღირსება აქვს. მისი პატრონი (მკითხველს და მყიდველს ვგულისხმობთ) ერთდროულად სულიერი და ნივთიერი სიმდიდრის მფლობელი ხდება, რადგან „სეიკოს“ ყდაზე დახატულ მამალში თენგიზ მირზაშვილის შემოქმედებითი საიდუმლო — თავად „ჩუბჩიკაა“ ჩაბნეული და ნიგნი იმთავითვე (რა თქმა უნდა, ნაკითხვის შემდეგ) კედელზე დაკიდების სურვილს ბადებს.

წერილი არეული გამოძივიდა, რადგან ამისთვის არ ვიყავი დაპატიჟებული და, საერთოდ, ჩემთვის ვიჯექი დარბაზის კუთხეში შავ როიალთან, თუმცა, არც მე ვუკრავდი და არც „ჭოტიკა“ მღეროდა. მიუხედავად ამისა, საღამო საოცრად თბილი და მხიარული იყო. შაბათს კი — შუალამისას, მამლის ყვირის დაველოდები, ჩემო ჭოტიკ! მე მგონი, უკვე ვისწავლე მამლის ყვირის მოსმენა, მაშინაც, როცა იგი არ ყვივს, და ეგ სულ შენი ბრაღია, რომ იცოდე!

ჯემო

ჯემალ თოფურძე 1947 წლის ახალი წლის ღამეს დაიბადა. მაგრამ ოფიციალურ საბუთებში და თვით საფლავის ქვაზეც კი, მისი დაბადება 1948 წლით არის დათარიღებული.

მამამისი ვახტანგ დავითის ძე თოფურძე, თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ინჟინერ-კონსტრუქტორი და არქიტექტორი იყო. დედა – გულიზარ სულეიმანის ასული დიასამიძე – ექიმი, ნიაზ დიასამიძის ღვიძლი და.

ჯემალი ცხოვრობდა ბელინსკის ქუჩაზე, ვერაზე, თბილისის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ უბანში, 8 წლის იყო, როცა მშობლები გაიყარნენ. სწავლობდა ვერის უბნის 51-ე საშუალო სკოლაში მეთე კლასამდე. მერე დედამისი ორი წლით აჭარაში გაანაწილეს სამუშაოდ და სკოლა ბათუმში დაამთავრა. ბათუმის თემა განსაკუთრებული სიცხოველით აისახა მის მოთხრობაში „გამოუსწორებელი“.

1967 წლიდან ჯემალ თოფურძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. 1971 წელიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში მუშაობდა, ხოლო 1974 წლიდან გარდაცვალებამდე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო. 1975 წელს ცოლად შემირთო და 1976 წელს ერთადერთი ვაჟიშვილი ნოდარ თოფურძე შეგვეძინა.

1974 წელს ჟურნალ „ცისკარში“ ჯემალის პირველი მოთხრობა „ნუციკო ემხვარი“ დაიბეჭდა. ამას მოჰყვა „ლექსო“ („ცისკრის“ დამატება „ნობათში“) და მას შემდეგ, „ცისკარი“ თითქმის ყოველ მეორე თუ მესამე ნომერში მის ახალ ნაწარმოებს ბეჭდავდა. მხოლოდ ერთი მოთხრობა – „მარტო“ — დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. 1978 წლის 22 აპრილს ჯემალ თოფურძე ტრაგიკულად გარდაიცვალა.

ჯემალის პირველი ნიგნი (11 მოთხრობა) სახელწოდებით „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა. იმავე წელს „დიოსკურიას“ წლის საუკეთესო ნაწარმოების პრემია მიენიჭა. მეორე ნიგნი, რომელშიც ჯემალის სამი გამოუქვეყნებელი მოთხრობა შევიდა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა. 2003 წელს ჯემალ თოფურძის ბოლო ნიგნი გამოვიდა და მასში ძველ მოთხრობებთან ერთად კიდევ ხუთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა დაიბეჭდება.

* * *

„ერთხელ ქუთაისის მილიციაში“ ჯემალის ერთ-ერთი პირველი მოთხრობათაგანია. ვინაიდან ეს მოთხრობა ნამდვილ ამბავს ასახავდა და მისი პერსონაჟები კონკრეტული პირები იყვნენ, ჯემალი მის დაბეჭდვას ერიდებოდა. ამას

გარდა, დარწმუნებული იყო, რომ მოთხრობას ასეთი სახით მაინც არ დაუბეჭდავდნენ. ამბობდა, ათი წლის მერე, თუ ამ ამბავმა აქტუალობა არ დაკარგა, ვიფიქრებ მის გამოქვეყნებაზეო.

ათი წელიც გავიდა ჯემალის გარდაცვალებიდან და ოცდაექვსიც. არცერთ წიგნში ეს მოთხრობა არ შემთხვანია. ახალ გამოცემაზე მუშაობისას, კვლავ გადავიკითხე და თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა იგი ბევრად უფრო მძაფრი და აქტუალური მომეჩვენა, ვიდრე მაშინ, როცა დაინერა. ამბავი, რომელიც მოთხრობაშია აღწერილი, დღეს იმდენად ტიპურია, რომ დარწმუნებული ვარ, კონკრეტულ პროტოტიპებს პერსონაჟებთან თავის გაიგივება აღარ მოუწევთ, რადგან როგორც მაშინ, საქართველო დღესაც ერთი დიდი მილიციაა მთელი თავისი „სიკეთებით“. არც თხრობის სტილია მოძველებული, იგი სრულად გამოსახავს იმ უსაზღვრო ცინიზმს, აღვირახსნილობას და ძალადობას, რომელიც მოთხრობაშია აღწერილი.

განა რა არის 26 წელი მწერლობის ისტორიისთვის? არც არაფერი. მაგრამ, 26 წლის წინ დღემდე საქართველომ ხომ მართლაც ეპოქალური ძვრები გადაიტანა, და თუ გარდასული წლებში ნაამბობი ამბავი ვინმეს ერთ ნერვს მაინც შეუტოკებს, ეს მწერლის სიკვდილზე ღირსეული გამარჯვებაა. სამწუხარო არის ის, რომ ჭაობიდან თავის დაღწევის ის პატარა იმედი, რომელიც მწერალმა მოთხრობის ფინალში დაღეული სანთელივით დაგვიტოვა, იმედად დარჩა და დიდი სინათლე ვერც ამ ახალ ათასწლეულში ნახა. ისევ ბუფტავს სანთელი პატროსანი, კეთილი ადამიანების სარკელში და მის გარეთ რა ხდება, მარტო ეშმაკმა უწყის.

ჯემალს ბედმა შემოქმედებითი დაღვინება არ აცალა, თუმცა პოპულარობა მას პირველივე მოთხრობებმა მოუხვეჭეს. იგი უჩვეულოდ მორიდებული და თავმდაბალი ადამიანი იყო, არასოდეს გაუცხადებია ხმამაღლა, როგორ უყვარდა და ტკიოდა თავისი სამშობლო. ეს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ამოვიკითხე მის გაცრეცილ უბის წიგნაკში: „საქართველო თბილისში ასფალტდაგებულ ეზოებს მაგონებს, ოღონდ ეზოს ბეტონიან ნაწილს კი არა, იმ პატარა გადარჩენილ მიწას, კედელსა და ასფალტს შორის რომ არის მოქცეული, მომწყვდეული, ვილაცას რომ დაურგავს ამ გადარჩენილ მიწაზე ცოტაოდენი მწვანე...“ ჯემალი სწორედ ის ვილაც მებაღე იყო, რომელიც ასფალტსა და კედელს შორის დაჟინებით რგავდა ცოტაოდენ მწვანეს.

* * *

„ირი“ ჯემალ თოფურიძის კიდევ ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობაა.

მის არქივში ამ მოთხრობის მხოლოდ „შავი“, მაგრამ ავტორის მიერ სულდაგულ ჩასწორებული ვარიანტი არსებობს. როგორც ვიცი, ჯემალი „ირის“ „ნობათში“ დაბეჭდვას აპირებდა, მაგრამ, მერე გადაიფიქრა, მოთხრობას პირველივე გვერდზე, სათაურთან, წაანერა — „უნდა გავაქართულო“ — და უჯრაში

ჩაკეტა. ამით დასრულდა „ირის“ ბედი. ჯემალი მას აღარასოდეს მიბრუნებია, მაგრამ არც დაუხვია და გადაუგდია, ისე, როგორც სხვა ხელნაწერებს უშვებოდა ხოლმე. „ირისთან“ განმორების შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ „ცისკარში“ ჯემალის პირველი მოთხრობა „ნუციკო ემხვარი“ დაიბეჭდა. იგი განწყობით საოცრად გავდა „ირის“, მაგრამ მისგან განსხვავებით წმინდა ქართული სიყვარულის ამბავი იყო.

სამოცი-სამოცდაათიანი წლების თაობის „ჯემოსნაირი“ ბიჭებისთვის, სკოლასა თუ საზოგადოებაში ორგანიზებულად და საოცრად „დახვეწილი აგრესიულობით“ თავმოხვეული კომკავშირული რომანტიკა სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ისინი, ზოგი ნებით და ზოგიც, უნებლიეთ, მდინარის გაღმა ნაპირზე გარიყულები აღმოჩნდნენ. ვინაიდან, არცერთი მათგანისთვის სულერთი არ იყო სულიერი თავისუფლებისა და ღირსების ხელშეუხებლობა, თვითდამკვიდრებისთვისა და სამართლიანობის საძიებლად არა პარტიული იერარქიის კიბეს, არამედ სულ სხვა — ვინრო, კლდოვან და ზიგზაგოვან ბილიკებს შეუყვინენ. მე მათ, „შეუმდგარი დონკისოტების“ თაობას ვეძახდი, რომელიც სად არ აგროვებდა სიმართლის ნამსხვრევებს: უახლოეს ისტორიის — თეთრგვარდიელი ოფიცრების სულისშემძვრელ ნოსტალგიასა და ტრაგიზმში, რეალურად არსებულ და საკმაოდ მიმზიდველ თანამედროვე ქურდულ რომანტაკში, იატაკქვეშა ბოჰემურ ლიტერატურულ „სალონებში“, ქუჩის „ნუმპეში“, ყველგან, და არა იქ, საითკენაც მიუთითებდნენ — „კომსომოლაში“ (თუმცა, ფორმალურად ყველა ყოფილი პიონერი და კომკავშირელი იყო). სიმღერებსაც სხვანაირს მღეროდნენ: `ნაჟ ზნაჟ ° , ლ ზ ა ლ ლ ჟბ... ლ ლ

ა , ლ — ჟჟლ ლ ° ზ ...

ეს „ბატონები“ რეპრესიაგადატანილ ოჯახებში გაზრდილმა თითქმის ყველა ბიჭება მოიხადა, ზოგს სახადი გაურთულდა, ზოგს მსუბუქი, გვერდითი მოვლენები დარჩა, ზოგიც მთლიანად განიკურნა და სრულიად ჯანმრთელი ჩაება ცხოვრების საერთო ფერხულში!!!

ჯემალმს ეს მდგომარეობა ისე მიესადაგა, რომ მასთან განმორება თავად არ ისურვა. ვისაც მისი ნამღერი `ნაჟ , ზნაჟ ზსსოვს, და ახლა, „ირისაც“ კითხულობს, ალბათ დამეთანხმება, რომ მთელი მისი ცხოვრება ემიგრაციიდან დაფლეთილი მუნდირით, მაგრამ შეუბღალავი ღირსებით დაბრუნებულ იმ ოფიცრის ცხოვრებას გავდა, რომელსაც „ის“ სამშობლო და სიყვარული ისე ენატრებოდა, რომ „აქ“ დაბერებას ველარ დაელოდა.

გაზეთი „ახალი ეპოქა“, „ჩვენი მწერლობა“ №41(119), 11-17 ოქტომბერი, 2002

გაზეთი „ახალი ეპოქა“, „ჩვენი მწერლობა“ №17(147), 2-8 მაისი, 2003.

„რაა უფრო გულდამწყვეტი...“

ამარენდრა ჩაკრაवორტი, რომელიც ამ არეულ დროს ჩვენთან მხოლოდ რუსთაველის საქართველოს ნახვის ნატვრამ ჩამოიყვანა, და მე, ოქტომბრის ერთ მზიან დღეს ფილარმონიის წინ, ვერის პარკთან, ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექით და მერაბ ბერძენიშვილის „მუზის“ მშვენიერებით ვტკბებოდით. შემდეგ ჩვენი ყურადღება ერთმა ჭალარა, სუფთად ჩაცმულმა, სანდომიანი გარეგნობის შუახნის ქალბატონმა მიიპყრო: იგი ბოლთას სცემდა, იქით-აქით ნერვიულად იყურებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა. ვიფიქრე, რალაც უჭირს, ალბათ, ეჩქარება და „მარშუტკა“ იგვიანებს-მეთქი. ცოტა ხანში ქალმა ხმას აუწია და ნაბიჯსაც აუჩქარა. მისი მოუსვენრობა გადმომედო, შევწუხდი, ნავინიე მისკენ, იქნებ გზა აერია და დავეხმარები-მეთქი, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდი და თვალი გავუსწორე, მივხვდი, რომ ველარაფრით დავეხმარებოდი — მას უკვე აღარსად ეჩქარებოდა, გზა და ყველაფერი ერთმანეთში ჰქონდა არეული, მისი მღვრიე, ცისფერი თვალები სულ სხვა სივრცეებს ჭვრეტდა და აღარაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რაც გარშემო ხდებოდა. სტუმარს მივუბრუნდი და საქმეზე დავუწყე საუბარი.

— რაო, რას ბუტბუტებს ის ქალი? — მკითხა უცებ ჩაკრაवორტიმ.

— არაფერს, ავად არის უბედური.

— მაინც რას ამბობს, გიჟს, ნამდვილად არა ჰგავს.

— გიჟი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი უკლია. ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ თბილისის ქუჩებში სუფთა ძველმანებში „გამონკეპილი“, სანდომიანი გარეგნობის, ასაკოვანი ინტელიგენტები. მოდიან და ასე ხმამაღლა ელაპარაკებიან საკუთარ თავს. ეს ის ხალხია, ვინც დროზე ვერ „გარდაიქმნა“ და თანამედროვე ცხოვრების ფერხულში დროზე ვერ ჩაება. ჩვენმა სახელმწიფომ დემოკრატიის შენება, რატომღაც, მის ფუნდამენტში ასეთი ინტელიგენტების ჩაშენებით დაიწყო. შემდეგ, საშენ მასალადაც რომ არ მოუნდათ, საერთოდაც დაივიწყეს მათი არსებობა. ამათი მდინარე კარგა ხანია, დაშრა, ახალ კალაპოტში ჩასახტომად კი ფხა და მარიფათი არ ჰყოფნით. დღეს არავის სჭირდება მათი ცოდნა, გამოცდილება, არ აინტერესებს მათი სახელები, საზოგადოების „ჯანმრთელმა“ და აქტიურმა ნაწილმა მათ ერთი საერთო იარლიყი — „კომუნისტური გადმონაშთი“ — მიანება და, როგორც ბალასტი, ნაგავსაყრელზე მოისროლა. ჰოდა, ამ გადმონაშთის ნახევარს დარდით გული გაუსკდა და მოკვდა, დარჩენილმა ნახევარმა კი, აი, ასე „გარეკა“.

— მაინც, რას ამბობს, მითარგმნე! — არ მომეშვა ჩაკრაवორტი.

ქალი ისევ ხმამაღლა ელაპარაკებოდა თავის თავს, მოვუსმინე და მექანიკურად დავიწყე თარგმნა: „არა, ეს არ არის საქართველო, ეს არ არის ჩემი ლამაზი საქართველო...“ — არ ჩერდებოდა ქალი და მასთან ერთად იგივეს გავიძახდი მეც, ოღონდ ინგლისურად. ბოლოს გავეჩერდი.

— ჩემს ნიგნს საქართველოზე ამ სიტყვებით დავინწყებ, — თქვა ჩაკრავორტიმ.

— არ გინდა, ამაზე უკეთესად მაინც არ გამოგივა, — ვუთხარი მე და გალაკტიონის ეს სტროფი ვუთარგმნე:

„რაა უფრო გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო,
არის რკინიგზების ხლართი,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ,
ეს არ არის საქართველო“.

ამარენდრას გაელიმა და კარგი, ეგრე იყოსო, მითხრა.

შეზინდებისას მამადავითიდან ჯერ კიდევ განათებულ თბილისს რომ გადმოვხედეთ, ჩაკრავორტიმ გაშლილი მკლავები ვარსკვლავებით მოჭედული ცისკენ აზიდა და ქართულად შესძახა — აქ არის ჩემი ლამაზი საქართველო!

რა ადვილია, მოკეთედ მოსულ სტუმარს დიადი წარსულითა და თვალწარმტაცი ბუნებით თვალში ნაცარი შეაყარო და რა ძნელი, მასთან ერთად სინამდვილეს თვალი გაუსწორო, — გავიფიქრე.

შინაარსი

ერთ ქილაში ჩატეული სიმართლე	3
ოცნება — ერთადერთი თავისუფლება	5
ეგება წაღმა ვიფიქრო, სოფლის უკუღმა ტრიალი, ჰე!	7
მე, ყოფილი პიონერთა სასახლის ყოფილი აღსაზრდელი	9
ვინ ვყოფილვართ დღეს ქართველები!	13
ოცნებაო, ჩემო ძველო, ვარ ღამეთა მთევველი	15
სერტიფიკატი რუსული ენის შესასწავლად?	19
ამერიკაში ცხოვრება საათივით არის აწყობილი?!	21
საუკეთესო სურვილებით!	25
გამოვცეთ თუ არ გამოვცეთ? ანუ: გაიყიდება თუ არ გაიყიდება	27
ჩვენი სურვილის ავტობუსი	29
პათეტიკა დღესასწაულის შესაბამისად	33
„პალევოი ტეატრი“ ცოდნის ტაძარში	37
ბრიტანული გალა სადღილი-მეჯლისი „მეტეხი-პალასში“	41
ფეხბურთის მოყვარულის გზამკვლევი	45
ჩვენ რომ ბავშვობაში წიგნები გვეკითხა...	47
ანი თოვლის ბაბუაც მოვა!	49
გაერო საქენერგო ეგონათ	51
ქართველი დეპუტატები თურმე ტყვიას ტყვიაში აჯენენ	53
უმიკროფონოდ და უმეგაფონოდ	53
შენ ქელებში წაბრძანდი და მე ქორწილში წავეთრევი	57
ვარდი უეკლოდ ამერიკაშიც არავის მოუკრეფია	59
გადაიხადე და თუ გინდა ნუ ისწავლი	63
შევუქმნათ მანანწალებს სკოლა-ოჯახი-კოლეჯი	63
როგორ გავხდი მანანა დუმბაძე გრაფინია დიმიტროვსკაია	67
ოღესლაც იქ, აფხაზეთში	71
იმ მიმართულებით არაფერი დადის	73
ნეტავ, გულრიფში თუ ისევ წვიმს?..	75
გახსოვდეს „ივერია“!	77
სამკუთხა ბარათი ზულიეკა ბენიას, ჩემს აფხაზ მამიდას	79
შევედ შენ კიდობნად!	83
ამ წერილის დაბრუნება რალაცით	
მართლა ჰგავდა „ოდისევის დაბრუნებას“ 20 წლის შემდეგ	85
შევედ შენ კიდობნად!	86
რისთვის, ღმერთო?	88
იქ, სადაც ზურიკელას, ოლლა ბებიას, ილიკოს,	

ილარიონის, სოსოიას და ხატიას საბუღარია	92
ალბათ ნამდვილი ამბავი	95
ოცნებას კაცი არ მოუკლავს?	97
არის საშველი?	99
ქურდები	101
ტრადიციები გვტანჯავს, თორემ ქურდობა რა მოსატანია	103
სამი ზღვის ტალღები	105
ოდესს ვართ როდოსს!	107
გავიხსენოთ, ძალა ერთობაშია!	119
დილის გაზეთის „ტუსოვკები“	123
ისინი ღრიჭობიდან გაიპარნენ	125
აბიტურიენტთათვის სასწრაფოდ წასაკითხი „შპარგალკა“	139
არქიტექტორებს მხოლოდ კარგი პროექტების შექმნა შეუძლიათ	147
სად იზღუდება პრესის თავისუფლება?	161
შობის ღამის სიზმარი ჩემს კომპიუტერში	163
დედამინის მოსახლეობის ორმა მესამედმა არ იცის,	
რას ნიშნავს პრესის თავისუფლება	165
ჯერ გავამარტივებთ, მერე ვართულებთ	169
ხელისუფლება ბჭობს, კრიმინალები იცინიან, რა ქნას მედია?	175
დიქტატურის დროს მე ალტერნატიულ პრესაში ვმუშაობდი	177
საგაზეთო ბიზნესის მესვეურთ საავტორო უფლებების მოქმედი	
კანონი აღარ აკმაყოფილებთ	181
ნიზარ ნეიუფი	
„თავსუფლების ოქროს კალმის“ წლევიანდელი ლაურეატი	183
ფარაჯ სარქოი	
„თავისუფლების ოქროს კალმის“ წლევიანდელი კავალერი	187
შოკოლადის „მიკროფონი“	191
საქართველოს ამბავი თავორის ენაზე	193
როგორ უყვართ ნამდვილ მეგობრებს	195
თეატრი ფეთქავს — ჩვენ ვცოცხლობთ	197
სახლში წასაკითხი „პროგრამა გაზეთი“	201
ვიდრე ვარსკვლავები ციმციმებენ	203
ფილიპ ჟერარი — ნიაზ დიასამიძის მეგობარი	213
გულს ვიოხებ და ისევ მწყობრში ვდგები	213
მე თბილისში ვნახე ნიგნების კოცონი	217
პასპორტი ისეთი უნდა, მტერს რომ გულზე გახეთქავს	219
მმართველ პარტიას მთავარი აგენტი ვაახლეთ,	
ჟურნალი მაინც არავინ გამოინერა	221
პასუხმა შეიძლება მართლა დაიგვიანოს!	225

ძნელია, როცა შუაგულ საქართველოში დგახარ	
და „შორია გურჯისტანამდე“	227
რა ენატრება ქართველ მწერალს — სილამაზე და სიმშვიდე? 2	33
პასუხი არცთუ უმიზეზო ეჭვებზე	235
არასაიუბილეო ინტერვიუ	237
კარგია, მაგრამ ცუდია	241
ფრენკ სინატრა — ის ყველაფერს თავისებურად აკეთებდა	245
ნურავის ეგონება, ამერიკაში სულ საქართველოზე ფიქრობენ	247
მწერალი პასუხს აგებს ყველაფერზე	249
არსად ვმუშაობ, ვზივარ და ვმღერი	253
მე ისიც არ ვიცოდი, რომ მამამ ციხე გამოიარა	255
შოკოლადი გვითავდება!	259
„ვინც ადრე მიყვარდა, დღესაც იმავე გატაცებით მიყვარს“	263
რას გადაეყარა ზურაბ წერეთელი გაუკვალავში	267
„ჩემი საყვარელი მოთხრობა“	273
ბიძინა	279
მოგვენატრები და თანაც როგორ...	282
ჩემზე იტყვიან, იყო ერთი გიჟი, აფხაზებს შეაკლა	
თავიო, და ამით გათავდება ყველაფერი	283
ეგებ მოიყვანოს ერთმა სეიკომ გაზაფხული	293
jemal TofuriZe	294
„რაა უფრო გულდამწყვეტი...“	297

მანანა ღუმბაქაძის გაზეთის „ტუსოვკები“

პროზა
კრიტიკა

ის და ყვე
ერისთვის
ურ-კობუ-
ში უპატ-
გაცვეთი-
ტყვა „სო-
ნი ხანის
ტუ დაელო
თიქმის
და. მამ,
რობა-პე-
ობიანად“
ან დაეინ-
— დლე-
ნობებმა,
ამოკიდე-
მა გულმა
ოდ მოყო-

ონზომიე-
ური მოეს-
ი“ გაუი-
ი“ და მისი
ენებლები
იისა და,
ი, მონყა-
ქტად ვაქ-
გზა და-
— ერთ-
სასიარუ-
გია ვერ-
ლი ღმერ-
მიზნის მი-
დასაშვე-
თბანეთის
ო გზებიც
ფერი და-
შედეგებ-
ა.

ის და ყვე
ენტცენია

კრიტიკა

წარსული წინააღმდეგობა

ობდით... უსუფთავეს! ხანდა-
ხან თანამედროვე ფილმებს
რომ ვუყურებთ ხოლმე, იცით,
მზარავს, იმიტომ, რომ ყვე-
ლაფრის ჩვენება ეკრანთან,
თანაც მაშინ, როცა ქვეყანა
ჯერ დაულაგებელია, არ დანყ-
ნარებულა, არ შეიძლება. პირა-
დად მე ტრაიკორი ქართველი
ადამიანი ვარ. საქართველო
ჩემთვის ყველაფერია, სიცოც-
ხლეზე მეტი. ჩემთვის საქათ-
ველო იდეოლოგიაა და მე მინ-
და, რომ ეს იდეოლოგია ქარ-
თების განწმენდას ემსახუ-
რებოდეს, არ ისმოდეს კერაზი-
დან სიბინძურე, არ გადმოინ-
დებოდეს იქიდან ჭუჭყი. ამის

დანახვაც კი საშინლად მოქმე-
დება ჩემს ფსიქიკაზე. ჩემი
თავი, ჩემი საყვარელი მარ-
ჯანიშვილის თეატრი, ტრადი-
ციულად იყო ის უდიდესი სამ-
ჭედილო, სადაც მუდამეჭამ ქარ-
თული სული ღვივდებოდა.
ჩვენი სცენაზე ყოველთვის
ეროვნული პიესები იდგებო-
და. ნახეთ, რა სპექტაკლებს
ვითამაშობდი: „დავით აღმაშე-
ნებელი“, „ერეკლე“. 15 წელი
ვითამაშობდი „ერეკლემ“ და 15
წელი იყო ანშლავი. ხალხს წყუ-
როდა თავისი წარსულის გახ-
სენება, ენატრებოდა, ეამაყე-
ბოდა. მე იმ თაობას ვეკუთვნი,
რომელსაც კოცნაც კი არ უგე-

მია ეკრანზე. წარმოდგინეთ,
რა უჩვეულოა ჩემთვის ეკრანი-
დან დღევანდელი ეროტიული
სცენების ყურება. ვილაცის გა-
მო მე მრცხენი, როცა ქვეყანა
ჯერ დაულაგებელია, არ დანყ-
ნარებულა, არ შეიძლება. პირა-
დად მე ტრაიკორი ქართველი
ადამიანი ვარ. საქართველო
ჩემთვის ყველაფერია, სიცოც-
ხლეზე მეტი. ჩემთვის საქათ-
ველო იდეოლოგიაა და მე მინ-
და, რომ ეს იდეოლოგია ქარ-
თების განწმენდას ემსახუ-
რებოდეს, არ ისმოდეს კერაზი-
დან სიბინძურე, არ გადმოინ-
დებოდეს იქიდან ჭუჭყი. ამის

დებს ჩემს ფსიქიკაზე. ჩემი
თავი, ჩემი საყვარელი მარ-
ჯანიშვილის თეატრი, ტრადი-
ციულად იყო ის უდიდესი სამ-
ჭედილო, სადაც მუდამეჭამ ქარ-
თული სული ღვივდებოდა.
ჩვენი სცენაზე ყოველთვის
ეროვნული პიესები იდგებო-
და. ნახეთ, რა სპექტაკლებს
ვითამაშობდი: „დავით აღმაშე-
ნებელი“, „ერეკლე“. 15 წელი
ვითამაშობდი „ერეკლემ“ და 15
წელი იყო ანშლავი. ხალხს წყუ-
როდა თავისი წარსულის გახ-
სენება, ენა ახლავარდების.
მინდა, რომ ძველი ქრისტიანუ-
ლი წესები ადამიანმა მოიყარა
ვიღს, რომლსრულიად.

იხილეთ
პროზა

გახსოვდეს აფხაზეთი.
მასხოვდეს? ოთარ ჭილაძის
რომანი მაგონდება — „ყო-
ველმან ჩემთან მპოვნელმან“
— ნანარების მოხუცი პერ-
სონაჟი, შვილოშვილების წინ
ძველ ქრილობაზე მარისს იყ-
რის, ტყვილი რომ არ გაუყუწ-
დეს, ბებერი ჭრილობა არ შეუ-
ხორცდეს და ბოლმამ არ გაუა-
ხროს.

1982 წლის სექტემბერია.
ჩვენები გულირფში არიან, მე
— ბათუმში. აქ „მონანიებას“
იღებენ. თბილისიდან ორი აე-
ტობუსი ხალხი წამოყვდი
„მასოვკაში“ სათამაშოდ. ფილ-
მის სცენარის ავტორმა ნაც-
ნობთა წრე შეკრიბა და დღემ
3 მანეთად „დაგვიქრავა“.
სხვათა შორის, მაშინ „მონანი-
ებას“ სულ სხვა სახელი —
„აფთარი“ ერქვა. მთავარ
როლზე გვაკ კობახიძე ჰყა-
დათ. შემდეგ, თვითმფრინავის
გატაცების ოპერაციაში მონა-
ნილოების გამო, გვაკ შემსრუ-
ლებელთა სიიდან ამოირიცხა
და ნახევრად გადაღებული
ფილმიც თავიდან გადასაღები
გახდა.

მოკლედ, ბათუმში მაშინ
მშვიდი და უზრუნველი დღე-
ები იდგა. დრომ მზიარულად და
საოცრად სწამატორაფის ის-
ტორიას ასეთი დამჯერი შემს-
რულებელი და ენთუზიაზმით
აღსავე „მასოვკა“ არ ღირსე-
ბია. წელიწადი კინოსტუდია
ქართული ფილმის“ ისტორია-
ში გრანდიოზული ბასკეტით
დაგვირგვინდა.

ვიქრ პარსკვლავა-

დებს ჩემს ფსიქიკაზე. ჩემი
თავი, ჩემი საყვარელი მარ-
ჯანიშვილის თეატრი, ტრადი-
ციულად იყო ის უდიდესი სამ-
ჭედილო, სადაც მუდამეჭამ ქარ-
თული სული ღვივდებოდა.
ჩვენი სცენაზე ყოველთვის
ეროვნული პიესები იდგებო-
და. ნახეთ, რა სპექტაკლებს
ვითამაშობდი: „დავით აღმაშე-
ნებელი“, „ერეკლე“. 15 წელი
ვითამაშობდი „ერეკლემ“ და 15
წელი იყო ანშლავი. ხალხს წყუ-
როდა თავისი წარსულის გახ-
სენება, ენა ახლავარდების.
მინდა, რომ ძველი ქრისტიანუ-
ლი წესები ადამიანმა მოიყარა
ვიღს, რომლსრულიად.

